ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

აპოლონ თაბუაშვილი

ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში
(X–XVIII სს.)

გამომცემლობა „კოლორი“
თბილისი 2019

ნაშრომში განხილულია ფეოდალური ეპოქის საქართველოში სხვადასხვა პროდუქტის, ნივთების, შენობა-ნაგებობების და ა.შ. ფასები. ნაჩვენებია როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ისე მიწის, ტანისამოსის, სამხედრო შეიარაღებისა და საქალაქო ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთების ღირებულება. მონოგრაფია ასევე ეხება გლეხების ღირებულებას, ე.წ. „სისხლის ფასებს“, თანამდებობის პირებისა და მუშა-ხელოსანთა ხელფასებს, ფეოდალების ქონებას, სახელმწიფო შემოსავლებს და სხვა საკითხებს.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსების, სტუდენტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი
როლანდ თოფჩიშვილი

სტილისტ-რედაქტორი
ქეთევან ხითარიშვილი

რეცენზენტი
მიხეილ ბახტაძე

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი №YS-2016-92 – „ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში“.

მონოგრაფიის გამოცემა ნებადართულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიის მიერ.

© აპოლონ თაბუაშვილი, 2019
ISBN 978-9941-8-1314-6

სარჩევი

შესავალი 5

I. ხორბლის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში (XI-XVIII სს.) 7

ფეოდალურ საქართველოში მარცვლეული კულტურების წარმოების ზოგადი მიმოხილვა 7

ხორბლის ფასი XI-XIII საუკუნეების საქართველოში 18

ხორბლის ფასი XVI-XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 31

ხორბლის ფასი აღმოსავლეთ საქართველოში XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I მესამედში 35

ხორბლის ფასი აღმოსავლეთ საქართველოში 1740-იან წლებში 37

ხორბლის ფასი დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში 39

ხორბლის ფასი აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში 41

ხორბლის ფასი დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში 43

ხორბლის ფასი აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში 44

ზოგიერთი დასკვნა ხორბლის ფასებთან დაკავშირებით 46

II. ღვინის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში (XIII-XVIII სს.) 55

ფეოდალურ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ზოგადი მიმოხილვა 55

ღვინის ფასი XIII საუკუნის საქართველოში 67

ღვინის ფასი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში 71

III. ცხენის, ხარ-კამეჩის, ძროხისა და სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღების ფასები X-XVIII საუკუნეებში 78

ცხენის ღირებულება ფეოდალური ეპოქის საქართველოში 78

ხარ-კამეჩისა და ძროხის ღირებულება XI-XVIII საუკუნეების საქართველოში 82

სახნისის, გუთნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღების ფასები XI-XVIII საუკუნეების საქართველოში 85

IV. საკვები პროდუქტების ფასები X-XVIII საუკუნეების საქართველოში 89

V. ტანისამოსის და ქსოვილების ფასები XI-XVIII საუკუნეების საქართველოში 101

VI. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში და მისი გავლენა ყოფით ცხოვრებაზე 117

დასავლეთ საქართველოს ზოგადი ეკონომიკური ვითარება XVI-XVIII საუკუნეებში 117

პროდუქციის ფასები XVI-XVII საუკუნეებსა და XVIII საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში 120

პროდუქციის ფასები XVIII საუკუნის II ნახევრის დასავლეთ საქართველოში 134

VII. სამხედრო შეიარაღების ფასები XI-XVIII საუკუნეების საქართველოში 142

VIII. წიგნების, ხატების, ჯვრებისა და სხვა საეკლესიო ნივთების ღირებულება XI-XVIII საუკუნეებში 166

წიგნების ღირებულება XI-XVIII საუკუნეებში 166

ხატების, ჯვრებისა და სხვა საეკლესიო ნივთების ღირებულება XI-XVIII საუკუნეებში 177

IX. საგლეხო ფუძისა და გლეხის ღირებულება XI-XVIII საუკუნეების საქართველოში 184

სახნავ-სათესი მიწის ღირებულება XI-XV საუკუნეების საქართველოში 186

ვენახის ღირებულება XI-XV საუკუნეების საქართველოში 190

გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულება XI-XV საუკუნეების საქართველოში..... 193
მიწის ღირებულება XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში..... 202
ვენახის ღირებულება XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში 205
გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულება XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში 206
„ლეკიანობა“ და მისი გავლენა გლეხების ღირებულებაზე..... 212
გლეხური მეურნეობის ყოველწლიური შემოსავლებისა და გადასახადების ფულადი გამოხატულება XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში..... 214
საგლეხო ფუძის ღირებულება XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოში..... 218

X. ფეოდალების ქონება XI-XVIII საუკუნეებში 223
ფეოდალების ქონება XI-XV საუკუნეებში.....223
ფეოდალების ქონება XVI-XVII საუკუნეებსა და XVIII საუკუნის დასაწყისში..... 224
საამილახვროს ქონება..... 224
საყაფლანიშვილოს ქონება 226
არაგვის და ქსნის საერისთავოების ქონება..... 229
სამუხრანბატონოს და საციციანოს ქონება..... 230
მეორე და მესამე ხარისხის თავადების ქონება..... 231
აზნაურების ქონება..... 232
თავადების ქონება XVIII საუკუნის II ნახევარში..... 234

XI. სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების (ჯამაგირის) ოდენობა 237

XII. „სისხლის ფასები“ XIV-XVIII საუკუნეების საქართველოში..... 249
„სისხლის ფასები“ ბექა-აღბუღას და ვახტანგის სამართლის წიგნების მიხედვით..... 250
„სისხლის ფასები“ XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში..... 259
„სისხლის ფასები“ XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში..... 260

XIII. საქალაქო ცხოვრებასთან დაკავშირებული ფასები 265
სახლების ღირებულება XVIII საუკუნის თბილისში 267
სავაჭრო-სახელოსნო ქულბაქების/დუქნებისა და ქარვასლების ღირებულება XVIII საუკუნის თბილისში 269
აბანოების ღირებულება XVIII საუკუნის თბილისში 272
თბილისის განაპირა ბაღების ღირებულება XVIII საუკუნეში..... 274
თბილისელი მოქალაქეების კაპიტალი, სავახშო კაპიტალი და სესხების პროცენტის ოდენობა XVIII საუკუნეში 277
სხვადასხვა საჭიროებისათვის გაწეული დანახარჯები და ზოგიერთი ნივთის ფასი 279
მუშებისა და ხელოსნების ჯამაგირის ოდენობა, საშენი მასალის ფასები XVIII საუკუნის თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებში..... 288

XIV. მასშტაბური ნაგებობების მშენებლობის ხარჯები X-XVIII საუკუნეების საქართველოში 294

XV. ერთიანი ქართული მონარქიისა და სამეფო-სამთავროების სახელმწიფო შემოსავლები..... 307

XVI. ინფლაციის დონე საქართველოში ფეოდალური ეპოქიდან დღემდე..... 320

ძირითადი დასკვნები..... 323

ცხრილში მოცემული ლიტერატურის შემოკლებათა ძირითადი განმარტება 328

PRICES IN FEUDAL GEORGIA (THE 10TH-18TH CENTURIES) (Summary).....331

შესავალი

ნაშრომში წარმოდგენილია ფეოდალური ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ერთ-ერთი საკითხი – სხვადასხვა პროდუქტის, ნივთების, საცხოვრებელი სახლების, დუქნების, აბანოებისა და სხვა ნაგებობების ფასები. გარდა კონკრეტული პროდუქტებისა და ნაგებობების ფასებისა, განხილულია მიწის, სოფლებისა და გლეხების ღირებულება. წინამდებარე გამოკვლევა ეხება ასევე „სისხლის ფასებს“, სახელმწიფო შემოსავლებსა და ფინანსებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ფეოდალურ საქართველოში სხვადასხვა პროდუქტის, ნივთებისა თუ შენობა-ნაგებობების ღირებულება რამდენიმე ქართველმა ისტორიკოსმა მიმოიხილა. ზოგიერთი პროდუქტისა და ნივთის ფასზე თავდაპირველად, ყურადღება გაამახვილა აკად. ივ. ჯავახიშვილმა ნაშრომში – „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (1907). აღნიშნულ საკითხს ეხება კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მისივე პირადი არქივის მასალაც.

ზოგიერთი პროდუქტის ღირებულება მოცემულია ს. კაკაბაძის სტატიებში – „ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის საქართველოში მე-13–მე-17 საუკ.“ (საისტორიო მოამბე. I. ტფ. 1925) და „საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში“ (მნათობი. №2, №3. ტფ. 1924).

გვიანი ფეოდალური ეპოქის თბილისში არსებული უძრავი ქონების ფასები მოკლედ განიხილა შ. მესხიამ (საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983).

ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ფასებს ეხება პ. გუგუშვილი ნაშრომში – „ქართული სტამბის წიგნი 1629-1979“. წიგნის ღირებულება განიხილა ასევე, ე. მაჭავარიანმა სტატიაში – „შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის ფასი“ (მრავალთავი. 24. თბ. 2015).

სავაჭრო-სახელოსნო სახლების ფასებს ეხება რ. კაშიას და მ. სანაძის სტატია „ვაჭრობა და ვაჭართა ფენა XVIII ს. თბილისში“ (მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. № 2. თბ. 1989).

ბოლო პერიოდში, ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, XI საუკუნის სამხედრო შეიარაღებისა და სხვა პროდუქტების ფასები განიხილა მ. წურწუმიამ სტატიაში – „XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის“ (შრომები. VIII. თბ. 2013-2014).

დასახელებულ ავტორთა შრომების მიუხედავად, საკითხის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც მოცემული იქნებოდა საუკუნეთა განმავლობაში არსებული ფასების დინამიკა, დღემდე არ არსებობდა. სწორედ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი.

რადგან ფასების შესახებ ინფორმაცია X საუკუნეზე ადრინდელ წყაროებში პრაქტიკულად არ გვხვდება, ნაშრომის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად სწორედ დასახელებული საუკუნეა ნაგულისხმევი. კვლევა სრულდება XIX საუკუნის დასაწყისით, რაც იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ რუსული ადმინისტრაციის დამყარების შემდეგ,

თანდათანობით შეიცვალა ქართული ეკონომიკის ხასიათი. ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მრავალი საკითხი, წინა ეპოქასთან შედარებით, დეტალურადაა შესწავლილი.

განვითარებული ფეოდალური ეპოქის წყაროებში არცთუ ბევრი ცნობა მოგვეპოვება სხვადასხვა პროდუქციისა და ნივთის ღირებულების შესახებ. საპირისპირო სურათს ვხვდებით გვიანფეოდალური ეპოქის წყაროებში, საიდანაც თითქმის ყველა პროდუქტის თუ ნივთის ფასს ვიგებთ. სასაქონლო პროდუქციის ფასები მოცემულია როგორც თანადროულ ისტორიულ საბუთებში, ისე უცხოელ ავტორთა ნაშრომებსა და ქართულ ორიგინალურ ნარატიულ წყაროებში.

X-XV საუკუნეების ფასების შესახებ, ძირითად ინფორმაციას ვხვდებით ისტორიულ საბუთებში, მათ შორის, ფავნელის დაწერილში, ნიკორწმინდელის დაწერილში, რკონის დაწერილში, გრიგოლ სურამელის დაწერილსა და სხვა უამრავ დოკუმენტში. აღმოსავლური წყაროებიდან აღსანიშნავია ალ-ისთახრის, ჰამდალაჰ ყაზვინის და სხვათა ცნობები. მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია გვიანი ფეოდალური ეპოქის საქართველოში მყოფ უცხოელ მოგზაურთა, მათ შორის, არქანჯელო ლამბერტის, ჟან შარდენის, ტურნეფორის, გიულდენშტედტის და სხვათა ცნობები. სასაქონლო პროდუქციის ფასები დაფიქსირებულია ოსმალურ საგადასახადო დავთრებში, მათ შორის, 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარსა და სხვა დოკუმენტურ წყაროებში. ზოგიერთი პროდუქტის ფასისა და მათი გაძვირების შესახებ, გარკვეულ ინფორმაციას ვხვდებით უცნობი მემატიანის თხზულებაში – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ჟამთააღმწერლის თხზულებაში, პაპუნა ორბელიანის და სხვა მემატიანეთა ნაშრომებში; საკითხის შესახებ მნიშვნელოვანია ეპიგრაფიკული და ეთნოგრაფიული მასალაც. მაგალითად, ოშკის ტაძრის მშენებლობისათვის განეული ღირებულების დადგენა შესაძლებელი ხდება ოშკის სააღმშენებლო წარწერის მიხედვით. ცხადია, გამოყენებული წყაროები დეტალურადაა განხილული ნაშრომის შესაბამის ადგილას.

რაღა თქმა უნდა, გამოკვლევაზე მუშაობა სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა ქართული ნუმიზმატიკისა და მეტროლოგიის სათანადო განვითარების გარეშე.

I. ხორბლის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში (XI-XVIII სს.)

ფეოდალურ საქართველოში მარცვლეული კულტურების წარმოების ზოგადი მიმოხილვა

ფეოდალურ ეპოქაში ხორბალს, როგორც ძირითად საკვებ პროდუქტს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ავტორები ქვეყნის კეთილდღეობის სიმბოლოდ პურისა და ღვინის სიუხვეს მიიჩნევდნენ: „და იყო ქართლს შინა პური და ღვინოჲ | ფრიადი“;[1] „ესრეთ დამშჳდნა ქუეყანა და ყოვლით კერძო იწყო მშჳდობა. მოხედნა ღმერთმან წყალობით მოსავთა მისთა. და იყო უხუება პურისა და ღჳნისა“.[2] ხოლო ღვთის სასჯელად „პურისა მოკლება“ ითვლებოდა – „რამეთუ ესოდენთა სიბილწეთა, სოდომურთა ცოდვათა შემოსრულთათჳს განრისხნა ღმერთი და ვიქმნენით პირველად მწარესა ტყუეობასა და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და ჴოცასა, მესამედ იქმნა პურისა მოკლება“.[3] შესაბამისად, ფეოდალური ხანის საქართველოში არსებულ ფასებზე მსჯელობას სწორედ ხორბლის ფასის განსაზღვრით ვიწყებთ.

ზოგადად, შუა საუკუნეებში როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე ევროპაში მოსახლეობის კვების რაციონში მთავარი პროდუქტი პური იყო. ქვედა ფენების წარმომადგენლები შემოსავლის ნახევარს პურის შესაძენად ხარჯავდნენ,[4] რაც განაპირობებდა კიდეც აღნიშნული პროდუქციის მიმართ დიდ მოთხოვნილებას. აქედან გამომდინარე, პურის, ანუ ხორბლის ფასის მიხედვით განისაზღვრებოდა სხვა პროდუქტების ფასები.[5]

თავდაპირველად, თვალი გავადევნოთ ხორბლისა და, ზოგადად, მარცვლეული კულტურების წარმოების ტრადიციასა და მასშტაბებს ფეოდალურ საქართველოში. განსახილველ ეპოქაში დიდი რაოდენობით იყენებდნენ ხორბალს. წყაროებიდან ირკვევა, რომ ძველ საქართველოში ერთი ადამიანის გამოსაკვებად, დღეისათვის მიღებულ ნორმაზე გაცილებით მეტი პური იყო საჭირო. აკად. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა დავით აღმაშენებლის ანდერძზე შიომღვიმისადმი, რომელშიც აღნიშნუ-

---

[1] მატიანე ქართლისაჲ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 291.

[2] ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გიული ალასანიამ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ. 2008, გვ. 615.

[3] ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 641.

[4] E. Ashtor. The Diet of Salaried Classes in the Medieval Near East. Journal of Asian History. 4. Wiesbaden. 1970, გვ. 2-3, 17-19; მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VIII. თბ. 2013-2014, გვ. 139-140.

[5] A. E. Laiou. C. Morrisson. The Byzantine Economy. Cambridge, 2007, გვ. 135.

ლია, რომ „საზრდელი ძმათა პური, – ხი|ლი ფურნისაჲ – ხუთასისა დრამისა წონი, ნუმცა ოდეს მოაკლდების“ („ხი|ლი ფურნისაჲ“ ავტორს განმარტებული აქვს, როგორც „?[ც]ხ[ობ]ილი ფურნისაჲ“). მისი დაკვირვებით, ერთი ადამიანისათვის გათვალისწინებული იყო არანაკლებ 500 დრამა პური.[6] თავის მხრივ, ერთი დრამა დაახლ. 3 გრამს უდრიდა,[7] რის მიხედვითაც ცხადი ხდება, რომ ერთი ადამიანის გამოსაკვებად დავით აღმაშენებლის ანდერძში ნაგულისხმევია 1,5 კილოგრამი „ცხობილი“ პური. 1,5 კილოგრამი გამომცხვარი პურისთვის კი 1 კილოგრამზე მეტი ხორბალი იქნებოდა საჭირო. კვების რაციონში ხორბლის ოდენობის განსაზღვრისათვის საინტერესოა გვიანდელი, XVIII საუკუნის 70-იან წლებში შედგენილი „მორიგე ლაშქრის განჩინება“. განჩინების მიხედვით, ერთი ადამიანისთვის თვეში 1 კოდი ხორბალია ნაანგარიშები.[8] კოდი კი ამ დროს 36 კილოგრამს იწონიდა.

XVIII საუკუნის ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი ისტორიული საბუთების მიხედვითაც, მუშების თუ ხელოსნების კვებით რაციონში დაახლოებით ანალოგიური ოდენობის ხორბალია განსაზღვრული. ბერბუკის გალავნის მშენებლობაზე მუშების და „გალატოზთა“ კვებისათვის, ერთ ადამიანზე ნახევარი ლიტრა (ლიტრა იმ პერიოდში დაახლ. 3,3 კგ.-ს იწონიდა) პური იყო გათვალისწინებული, რაც თანამედროვე მეტრული მონაცემებით, 1,65 კგ.-ის ტოლფასია. როგორც ვხედავთ, ფეოდალურ ეპოქაში ერთი სრულწლოვანი ადამიანის გამოსაკვებად დღეში საშუალოდ, კილოგრამი ან ცოტა მეტი ხორბალი იყო საჭირო.[9] შესაბამისად, ქვეყანას შიდა მოხმარებისათვის დიდი რაოდენობით მარცვლეული ესაჭიროებოდა.

ათასწლეულების განმავლობაში, თავისუფლების დასაცავად თუ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისთვის ქართველ ხალხს მედგარი თავდაცვითი ბრძოლების წარმოება უხდებოდა, რაც უზარმაზარ რესურსს მოითხოვდა. აგრესორ სახელმწიფოთა სამხედრო თუ ეკონომიკური შესაძლებლობები რამდენჯერმე აღემატებოდა მცირე მასშტაბის ქვეყნის რესურსებს. ამიტომაც, ჯერ კიდევ 1880 წელს ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „საკვირველი ეს არის, – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრას? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, – საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“.[10] სამწუხაროდ, დასმულ კითხვებზე სრულყოფილი პასუხი დღემდე არ არის გაცემული. წინამდებარე კვლევა გარკვეულწილად, წამოჭრილი საკითხის ერთგვარ განმარტებასაც ითვალისწინებს.

---

[6] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში: ხეც). ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 304, ფ. 184.

[7] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.). თბ. 1973, გვ. 34.

[8] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 443.

[9] „მორიგე ლაშქრის განჩინების“ მიხედვით, XVII-XVIII საუკუნეებში ერთი ადამიანის ხორბლის დღიურ ნორმად დაახლ. ანალოგიურ ოდენობას ასახელებს დ. მეგრელაძე და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, გ. ჯალაბაძე. იხ.: დ. მეგრელაძე. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა XVII-XVIII სს. ქართლის მასალების მიხედვით. მაცნე. № 5. თბ. 1965, გვ. 202.

[10] ილია ჭავჭავაძე. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ (1880). ნაწერების სრული კრებული. ცხრა ტომად. შედარებული პირველ წყაროებთან და შევსებული ახალი ტექსტებით პავლე ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით. ტ. V. ტფ. 1927, გვ. 202; ივ. ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. ტფ. 1938, გვ. 8.

ძირითადი საკვები პროდუქტის – ხორბლის ხშირი დეფიციტი და მისი სიძვირე, ცხადია, მკვეთრად უარყოფით როლს შეასრულებდა ქვეყნის თავდაცვის ორგანიზების საქმეში. ისტორიულ წყაროებში არ ფიქსირდება ფეოდალური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის ან სხვა მარცვლეულის დიდი ოდენობით იმპორტის ფაქტები. არ არის გამორიცხული, რომ სხვადასხვა დროს ქვეყნის სამხრეთით მდებარე მეზობელი ქვეყნებიდან პერიოდულად შემოეზიდათ კიდეც მარცვლეული, მაგრამ ეს იქნებოდა მცირე მასშტაბების. თეორიულადაც კი წარმოუდგენელია, დამპყრობლების მუდმივი შემოსევების ფონზე, პატარა ქვეყნის ეკონომიკა ამ მხრივ საგარეო ვაჭრობაზე ყოფილიყო დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში პროდუქციაზე ფასები მკვეთრად გაიზრდებოდა, შიმშილობა და საკვების ნაკლებობა სისტემურ სახეს მიიღებდა, რაც, ბუნებრივია, შინაგანი რესურსების მნიშვნელოვან შემცირებას გამოიწვევდა.

შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის გამძლეობის ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი განვითარებული მეურნეობა, მათ შორის, ხორბლეულის დიდი ოდენობით წარმოება იქნებოდა. ამდენად, საქართველოს წარსულის ანარეკლად არა მარტო მუდმივი ომების ისტორიას უნდა ვხედავდეთ, არამედ მაღალგანვითარებული მეურნეობის საფუძვლებსაც. სწორედ დიდ დოვლათს უნდა უზრუნველეყო პატარა ქვეყნის თავდადებული ბრძოლა, რათა შეენარჩუნებინა ეროვნული იდენტობა და გადარჩენა მოეხერხებინა უზარმაზარ სახელმწიფოთა აგრესიის პირობებში.

როგორც ცნობილია, საქართველო მიწათმოქმედების უძველეს კერად არის მიჩნეული, რასაც ხელს უწყობდა ნაყოფიერი მიწები და წყალუხვი მდინარეები. როგორც აკად. გ. ჩიტაია აღნიშნავს, დღემდე ცნობილი ხორბლეულის 16 სახეობიდან, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია 11 და მათგან 6 ენდემურია. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორია მიიჩნევა ხორბლის კულტურის ერთ-ერთ პირველ კერად.[11] აქ ხორბლეულის თუ სხვა მარცვლეულის წარმოება ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა. რა თქმა უნდა, ქვეყნის უკლებლივ ყველა კუთხეში არ მოდიოდა დიდი ოდენობით ხორბლეული, ეს განსაკუთრებით ითქმის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთზე, ასევე დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე, თუმცა დანაკლისის შესავსებად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უხვმოსავლიან რეგიონებს. „ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის უაღრესი მნიშვნელობა ქვემო და ზემო ქართლს ენიჭებოდა. სწორედ აქ იყო საუკეთესო მოსავლიანი მიწები: საქართველოს საკვები მცენარეების ნამდვილ ბეღელს ჯავახეთი, შიდა-ქართლი, ქვემო-ქართლი, შემდგომ ბორჩალოდ, საბარათიანოდ და საორბელოდ წოდებული თემი წარმოადგენდა. უამათოდ თვით საქართველოს დედაქალაქ ტფილისსაც არსებობა უჭირდა“, – აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი.[12] აქვე უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილ მხარეებთან ერთად, აუცილებლად აღსანიშნავია კახეთიც, სადაც, მევენახეობის პარალელურად, დიდი რაოდენობით მარცვლეული კულტურები მოჰყავდათ.

---

[11] გ. ჩიტაია. შრომები. I. ქართველო ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. თბ. 1997, გვ. 30.

[12] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი I. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა. ტფ. 1930, გვ. 421.

ხორბლის, ქერის და სხვა მარცვლეულის უხვმოსავლიანობისათვის სახვნელი იარაღების მუდმივი გაუმჯობესება და სარწყავი სისტემის განვითარება იყო საჭირო. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოში ძელის სახნისის ნაცვლად, რკინის სახნისი უძველესი დროიდანვე უნდა შემოსულიყო. თუ მანამდე არა, V საუკუნიდან მაინც უნდა დამკვიდრებულიყო გაუმჯობესებული სახვნელი – ერქვანი, XIII საუკუნიდან კი – გუთანი.[13] დიდი ქართული გუთანი შედგებოდა მრავალი დეტალისაგან: რვილი, მანჭები, ფრთა, ხმალა, კბილა, სახნისი, საკვეთელი, კაკაბა, საჯამბრი და ფამფალაკი.[14] საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, გუთნის დეტალების განხილვას არ შევუდგებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მიწის მოხვნის დროს სახნის-საკვეთელთან და გუთნის სხვა დეტალებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფამფალაკს, რომლითაც დიდი ქართული გუთანი განსხვავდებოდა წინამორბედი ერქვანისაგან. ფამფალაკი გუთნის წინა ნაწილს, ანუ „წინა-საზიდს“ ეწოდებოდა, რომელსაც ორი თვალი – გოგორები ჰქონდა. კლასიკურ ქართულ გუთანს ორი არათანაბარი ზომის გოგორა ჰქონდა, დიდ გოგორას კვალის გოგორა ეწოდებოდა, პატარას – ველის გოგორა.[15] ველის გოგორას ღირღიტასაც უწოდებდნენ.[16] სწორედ ამ არათანაბარი თვლების წყალობით, მძიმე ქართული გუთანი ეფექტური ხდებოდა და ძალზე მოხერხებულად შეიძლებოდა მისი გამოყენება. ის ღრმად, 35 სანტიმეტრზე ხნავდა, 50-60 სანტიმეტრის ზომის ბელტს ჭრიდა, აბრუნებდა და შლიდა.[17]

დიდი ქართული გუთანი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. საინვენტარო ნომერი 2255

[13] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 202-204.
[14] გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. თბ. 1960, გვ. 43.
[15] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 259-261.
[16] გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 142.
[17] ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2011, გვ. 610.

ივ. ჯავახიშვილი ადარებდა რა ევროპულ სახვნელ იარაღს ქართულ გუთანს, ვარაუდობდა, რომ XII-XIII საუკუნეებში და ცოტა მოგვიანებითაც, დასავლეთ ევროპაში საზიდი თვლები ერთი და იმავე ზომის ყოფილა, რაც მის ეფექტურობას ამცირებდა, შესაბამისად, ქართული გუთანი ამ მხრივ ევროპულზე დაწინაურებულიც კი ყოფილა.[18] გ. ჩიტაიაც მიუთითებს, რომ ევროპაში არასწორფარდოვანთვლებიანი სახვნელი იარაღი XVII-XVIII საუკუნეებიდან არის ცნობილი. მისი აზრით, ევროპულ სახვნელს ამავე პერიოდიდან ემატება გაუმჯობესებული სახვნელი იარაღის კიდევ ერთი დეტალი – ოვალური ფრთა. გ. ჩიტაიას აზრით, საქართველოში ყველა ჩამოთვლილი დეტალით აღჭურვილი გუთანი უკვე XII საუკუნიდან გვხვდება.[19]

როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ირკვევა, საქართველოში ფამფალაკის ორი ტიპი დასტურდება – ერთ შემთხვევაში თანატოლი, ხოლო მეორე შემთხვევაში არათანატოლი გოგორებით.[20] აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დაშვებაც, რომ არათანაბარგოგორებიანი გუთანი დამკვიდრდა არა XII-XIII საუკუნეებიდანვე, არამედ დროთა განმავლობაში დაიხვეწა.

საერთოდ, დიდი ქართული გუთნის სახნის-საკვეთელი 20 კილოგრამი რკინისაგან მზადდებოდა. გუთანში 8, 10 და 12 უღელ (16-24) ხარ-კამეჩს აბამდნენ. რვაუღლიანი გუთნის ღვედებისათვის 4 ხარისა და 2 კამეჩის ტყავი იყო საჭირო. ხარ-კამეჩებით გაწყობილ გუთანს გუთნეული ეწოდებოდა, რომელსაც ხვნის დროს გუთნისდედა, 5 მეხრე და კიდევ ერთი დამხმარე ესაჭიროებოდა. მათგან უმთავრესი იყო გუთნისდედა, რომელიც ხვნის პროცესში გუთანს მიმართულებას აძლევდა.[21] დიდი ქართული გუთანი გამოიყენებოდა ბარის რაიონებში, მთიან ზოლსა და მთისწინეთში კი, უფრო მსუბუქი და გარემოზე მორგებული „აჩაჩა“ და სხვა სახვნელები. ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ, ფოლკლორულ და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, გ. ჩიტაია საქართველოში უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე არსებულ სახვნელ იარაღთა ხუთ ტიპს გამოყოფს.[22]

ერთი სიტყვით, ქართული გუთანი, სამეურნეო თვალსაზრისით, ძალიან ეფექტური იყო. აკად. ჰრ. აჭარიანის მოსაზრებით, ტერმინი „გუთანი“ ქართულიდან უნდა იყოს შესული თითქმის ყველა კავკასიელი ხალხის ენაში,[23] რაც მეტყველებს ფაქტზე, რომ, სულ მცირე, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, საქართველო ამ მხრივ მოწინავე ქვეყანას წარმოადგენდა.

რაც შეეხება ირიგაციას, საქართველოში უძველესი დროიდანვე სარწყავად იყენებდნენ მთის ნაკადულებს, ხევებს, მდინარეებს, საიდანაც მარტივი რუები გაჰყავდათ. ანტიკური ეპოქიდანვე დადასტურებულია ქსნის, ურბნისის, უჯარმის, ნინოწმინდა-მანავისა და სხვა უამრავი დიდი თუ მცირე მასშტაბის არხისა და რუს არსებობა. დიდი არხებისა თუ მცირე რუების გაყვანის მნიშვნელობა საქართველოში კარგად

[18] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 228-231, 259; გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, გვ. 51.
[19] გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 144.
[20] გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, გვ. 50-51.
[21] გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 23, 141-142.
[22] გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 22-24.
[23] მ. ლორთქიფანიძე, ნ. შოშიაშვილი. ეკონომიკური და სოციალური განვითარება IV-X საუკუნეებში. საქართველოს ისტორია. I. თბ. 2006, გვ. 272.

ჰქონდათ გააზრებული. როგორც ვახტანგის სამართლის წიგნშია აღნიშნული, „წყალი ასრეა, რომე სადაც ჴელმწიფე წყლისა და რუს გატანას მოინდომებს, ქვეყნის შენებისა და პურის მოსავლისათვის იქს, რომე კოდის პური არ დააკლდეს, და სადაც ეპრიანების, რუს თავს ვერავინ დაუშლის; სადაც რუ მოიჴდენს, ვენაჴი თუ ხოდაბუნი, რაც დახუდების, გასჭრის და გაატარებს...“.[24] ფეოდალურ ეპოქაში სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების დონის განსაზღვრისათვის, საკმარისია გავიხსენოთ XII საუკუნეში გაყვანილი სამგორისა და ალაზნის არხები. ალაზნის არხის სიგრძე 119 კილომეტრია და მორწყვის ფართობი 53 000 ჰექტარს უდრის. „გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს მოქმედი არხების დიდი უმეტესობა დასაბამს ელინისტური და ფეოდალური ხანიდან იღებს და სარწყავი ფართობით ფეოდალური საქართველო არც თუ ისე ჩამორჩებოდა დღევანდელ დღეს“, – აღნიშნავდა ი. კიკვიძე 1963 წელს გამოცემულ ნაშრომში.[25] საირიგაციო ნაგებობების მშენებლობა თუ უკვე მწყობრიდან გამოსული ძველი არხების აღდგენა ყველა ეპოქაში მიმდინარეობდა.[26] აღმოსავლეთ საქართველოში სამეურნეო საქმიანობა, დიდწილად, სწორედ სარწყავი არხების არსებობაზე იყო დამოკიდებული, რადგან სახნავ-სათეს სავარგულებად უმეტეს რაიონებში მხოლოდ ის მიწის ფართობი გამოიყენებოდა, რომლის გასარწყავებაც შესაძლებელი იყო. დიდი საირიგაციო ნაგებობების მშენებლობას სახელმწიფო, ძირითადად, ყმა-გლეხების შრომითი ბეგარის გამოყენებით უზრუნველყოფდა.[27] შედარებით მცირე მასშტაბის არხებს თავის მამულებში ფეოდალებიც აგებდნენ.

სახვნელი იარაღის გაუმჯობესებისა და ირიგაციის განვითარების პარალელურად, მოსავლიანობის გაზრდისთვის საქართველოში სხვადასხვა მეთოდი არსებობდა. მსგავსი მეთოდებიდან აღსანიშნავია მიწის ერთი წლით დასვენების პრაქტიკა, რომელიც აქტიურად იყო გავრცელებული ძველ საქართველოში. ზოგიერთ ადგილას მიწას ორი და მეტი წლითაც ასვენებდნენ. მოსავლიანობის გასაზრდელად აგრეთვე მიმართავდნენ ნიადაგის გაპატივებას, ღრმად მოხვნას, თესლმონაცვლეობას და ა.შ.[28] გავრცელებული ყოფილა შერეული თესლის გამოყენებაც. თესავდნენ ქერისა და დიკას შერეულ თესლს, რომელსაც გვალვის ატანა შეეძლო. დიკა ქერზე მაღალი იზრდებოდა, ჩრდილავდა ქერს და გვალვიან, ურწყავ ადგილებში კარგ მოსავალს იღებდნენ. ასეთ ნარევს ქერ-დიკას, ან ქერჭრელს ეძახდნენ.[29] საქართველოში ითესებოდა როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო ხორბალი და სხვა მარცვლეული.

ერთი სიტყვით, ფეოდალურ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მხოლოდ ნიადაგის ნაყოფიერებაზე არ იყო დამოკიდებული, სახნავი იარაღებისა თუ

---

[24] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 523.

[25] ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. თბ. 1963, გვ. 126.

[26] მაგალითად, ვახტანგ VI-ის (ქართლის გამგებელი/ჯანიშინი 1703-1712 წწ; ქართლის მეფე 1716-1724 წწ.) მმართველობის დროს გაიყვანეს ყარაიას არხი, რომლის საშუალებითაც უნაყოფო მინდვრების მორწყვა გახდა შესაძლებელი. არხები გაიყვანეს მდინარე მტკვრიდან სოფელ ქვიშხეთამდე, ასევე სურამისაკენ და აშ. იხ.: მ. ქიქოძე. სამეურნეო ცხოვრების წინსვლა XVIII ს. პირველ მეოთხედში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 386.

[27] რადგან ფეოდალური ეპოქის ეკონომიკისათვის საირიგაციო არხებს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნდა, ზოგჯერ სამხედრო მობილიზაციის დროს შეკრებილი მოლაშქრეების შრომასაც იყენებდნენ მათ ასაგებად. იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 529.

[28] გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, გვ. 139-158.

[29] გ. ჩიტაია. შრომები. I, გვ. 11.

საირიგაციო სისტემების გაუმჯობესებით და სხვა უამრავი მეთოდის გამოყენებით მოსავლიანობა იზრდებოდა, რაც დარგის მაღალგანვითარებულობაზე მეტყველებს.

ვახტანგ VI-ის შედგენილი დასტურლამალის მიხედვით, გვიანდელი პერიოდის საქართველოში, ერთ დღიურ მიწაზე (დაახლ. 0,5 ჰა.) ითესებოდა 2,5 კოდი ხორბალი.[30] კოდი XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის I მესამედში 30 კგ.-ს იტევდა.[31] ცნობის თანახმად, ერთ დღიურ მიწაზე ითესებოდა 75 კგ. ხორბალი, ხოლო მოსავალი საშუალოდ, რვაჯერადი იყო და იღებდნენ 600 კგ.-მდე. სავარაუდოა, რომ ვახტანგ VI-მ საკანონმდებლო ძეგლში მოსავლიანობა მინიმალური ოდენობით განსაზღვრა, რათა გადახდისუნარიანობას საფრთხე არ დამუქრებოდა. გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს XIX საუკუნის 10-იან წლებში თბილისის პოლიცმეისტერის, იოსებ შაგუბატოვის ცნობები, რომელთა მიხედვითაც, დღიურ მიწაზე თესავდნენ 2,5 კოდ[32] ხორბალს ან 3 კოდ ქერს. აღებისას კი მოიწევდნენ 25 კოდ ხორბალს და 30 კოდ ქერს.[33] როგორც ვხედავთ, მოსავალი 10-ჯერადი ყოფილა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდში კოდის წონა შეადგენდა 36-37 კგ.-ს. შესაბამისად, შაგუბატოვის თანახმად, ერთი დღიური ხორბლის ყანის მოსავლიანობა უდრიდა 900-925 კგ.-ს, ხოლო ქერის ყანის – 1080-1110 კგ.-ს. შესაძლებელია, შაგუბატოვი გამორჩეული, საუკეთესო მიწების მოსავლიანობაზე მიუთითებდა, მაგრამ აღნიშნული ცნობა, სულ ცოტა, იმას მაინც ადასტურებს, რომ 8-ჯერადი მოსავლიანობა XVIII საუკუნის ბოლომდე და XIX საუკუნის დასაწყისშიც შენარჩუნებულა.

მ. სვანიძის დაანგარიშებით, რომელიც 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მონაცემებზეა დაფუძნებული, დაახლოებით ანალოგიური მოსავლიანობა ყოფილა XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოში. სვანიძე ასევე შენიშნავს, რომ მოსავლიანობის ოდენობა სამცხე-საათაბაგოში დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც იმდროინდელ მოწინავე ევროპულ ქვეყნებში, სადაც XVI-XVIII საუკუნეებში იწერებოდა უამრავი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატი, იბეჭდებოდა სპეციალური სახელმძღვანელოები და წერილები, რომლებშიც მოცემული იყო რჩევა-დარიგებები სოფლის მეურნეობის საკითხებზე. პარიზსა და სხვა ქალაქებში არსებული აგრონომიული საზოგადოებები დიდად ზრუნავდნენ მეურნეობის უკეთ განვითარებასა და, შესაბამისად, მოსავლიანობის გაზრდაზე. ამ ფონზე, განსაკუთრებით საინტერესოა ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული ქართული მეურნეობის მდგრადობა და მაღალმოსავლიანობა.[34]

საქართველოში ხორბალი და სხვა მარცვლეული კულტურები მოჰყავდათ როგორც გლეხურ მეურნეობებში, ისე ფეოდალთა მამულებში, რომლებსაც მებეგრე გლეხები ამუშავებდნენ. სახნავ-სათეს მიწას „ყანაჲ“ ეწოდებოდა. გლეხს ფეოდალისაგან მუდმივ სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა რამდენიმე დღიური მიწა, რომელსაც ამუშავებდა. საბუთებში მოხსენებულია ასევე „სასეფონი ყანანი“, რაც, ივ. ჯავახიშვილის

[30] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 379.

[31] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 96-100.

[32] კოდი XVIII საუკუნის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

[33] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა. რუსული ტექსტის ქართული თარგმანი, გამოკვლევით, კომენტარებით, საძიებლებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს ა. თაბუაშვილმა და გ. ჟუჟუნაშვილმა. თბ. 2015, გვ. 53.

[34] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში. თბ. 1984, გვ. 45-46.

განმარტებით, საკუთარ ყანას, საუკეთესოს, „თავნი მიწანის“ ნიშნავდა. მის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი – „სეფე ყანა“. „თავ-მიწის“ გავრცელებული ტერმინი იყო „ხოდაბუნი“, რომელიც, ჯავახიშვილისავე აზრით, სპარსულიდანაა შემოსული და საბატონო მიწას ეწოდებოდა.[35] ამრიგად, მარცვლეული ითესებოდა როგორც გლეხების საკომლოებზე, ისე მეფის, ფეოდალების, ეკლესია-მონასტრების ხოდაბუნებზე.

ყანაში მუშაობის სცენა, მინიატიურა ჯრუჭის II ოთხთავიდან (XII-XIII სს.). კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც.). H-1667. 87r

თესვის და მომკის სცენები, მინიატიურა ვანის ოთხთავიდან (XII ს.). ხეც. A-1335. 4r

ფეოდალური ეპოქის საქართველოში ხორბლისა და, ზოგადად, მარცვლეული კულტურების ყოველწლიური მოსავლის ოდენობის შესახებ, ერთგვარი წარმოდგენის შესაქმნელად, ძალიან საინტერესოა 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში არსებული მონაცემები, რომლებიც მ. სვანიძემ დააჯამა. ავტორის დაანგარიშებით, XVI საუკუნის მიწურულს, დავთარში აღწერილ 711 სოფელში მცხოვრებ 12 633 კომლს ყოველწლიურად მოჰყავდა 36 182 715 კგ. ხორბალი.[36]

მ. სვანიძემ ხორბლის მოსავალთან ერთად სამცხე-საათაბაგოში ქერის, ჭვავის და ფეტვის წლიური მოსავლის ოდენობაც გამოთვალა. რეგიონში მოჰყავდათ 34 010 218 კგ. ქერი, 2 885 014 კგ. ჭვავი და 1 514 370 კგ. ფეტვი. სულ რეგიონში მოყვანილი ხორბლის, ქერის, ჭვავისა და ფეტვის მოსავალი 74 630 478 კგ.-ს შეადგენდა. მისივე დაანგარიშებით, ერთ კომლს საშუალოდ, 5900 კგ. მარცვლეული მოჰყავდა.[37]

აღნიშნული მონაცემებით, კიდევ ერთხელ ესმევა ხაზი იმ ფაქტს, რომ სამცხე-საათაბაგო ქართული ეკონომიკური სხეულისათვის ნამდვილ „ხორბლის ბეღელს“ წარ-

[35] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 152.

[36] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 12-17.

[37] დაანგარიშება დაფუძნებულია ოსმალური გადასახადების ოდენობაზე. დავთრის კანონ-ნამე გვამცნობს, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის ქაფირები (ქრისტიანები) რეგისტრირებულნი არიან როგორც ხუმსი“. ხუმსი არაბული სიტყვაა და მეხუთედს ნიშნავს. შესაბამისად, მოსახლეობა გადასახადის სახით მოსავლის მეხუთედს იხდიდა. ამდენად, შეწერილი გადასახადის ხუთმაგი მოცულობა საერთო მოსავლის რაოდენობას წარმოადგენდა. მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, გვ. 19-42.

მოადგენდა. ისიც აღსანიშნავია, რომ დავთარში მთელი სამთავროს მოსახლეობა არ არის შეყვანილი. ამ შემთხვევაში აღწერილი და დაბეგრილია ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩრდილის, ფოცხოვის, პერტეს, ფანაკისა და დიდი არტაანის ლივები. როგორც ცნობილია, სამცხე-საათაბაგოს ერთი ნაწილი (თორთუმის, ოლთის (ანუ ოლთისის), დიდი არტაანისა და არტანუჯის ლივები) ოსმალებმა ჯერ კიდევ 1574 წელს აღწერეს[38] და იქ მოწეული მოსავლის დიდი ნაწილი 1595 წლის დავთარში არ არის გათვალისწინებული.

გლეხთა გადასახადებიდან და საბატონო მიწებიდან (ხოდაბუნებიდან) დიდი ოდენობით მოსავალს იღებდნენ ფეოდალებიც. მაგალითად, საყაფლანიშვილოს ფეოდალური სახლის მარცვლეულის საერთო შემოსავალზე წარმოდგენის შესაქმნელად, საინტერესოა 1690-1691 წლების საჩივრის წიგნი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დმანისის ხეობიდან (დმანისის ხეობა საყაფლანიშვილოს მამულების ნახევარზე მეტს მოიცავდა) 12 000 კოდი ხორბლისა და ქერის მოსავალი მიიღეს.[39] 12 000 კოდი კი აღნიშნულ პერიოდში 360 000 კგ.-ს იწონიდა.

XVII-XVIII საუკუნეების ქართლ-კახეთში წლიურად მოყვანილი მარცვლეულის ოდენობის გამოსარკვევად, საინტერესოა XIX საუკუნის დასაწყისის მონაცემების გათვალისწინება. არასრული სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ქართლ-კახეთში 1807 წელს დაუთესავთ 84 559 ჩეტვერტი პურეული, ხოლო 1813 წელს – 83 300 ჩეტვერტი.[40] სტატისტიკური ცდომილების გათვალისწინებით, დათესილი მარცვლეულის რეალურ ოდენობად 100 000 ჩეტვერტი მაინც უნდა ვიანგარიშოთ. ჩეტვერტი უდრიდა 9 ფუთს,[41] ანუ მცირე დამრგვალებით, დაახლ. 145 კილოგრამს. მიღებული მოსავლის ოდენობად ნაჩვენებია 400 000-მდე ჩეტვერტი, მაგრამ, როგორც დ. გოგოლაძე აღნიშნავდა, ეს გამოწვეული უნდა იყოს სტატისტიკურ მონაცემებში დაშვებული უზუსტობებით, რომელთა მიხედვითაც, შემცირებულად იყო ნაჩვენები მოწეული მოსავლის სიდიდე (4-5-ჯერადი მოსავლიანობით). რეალურად კი, მოსავლიანობა 8-ჯერადი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც XVIII საუკუნეში.[42] ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რამდენიმე მოუსავლიანი წელი იყო (მაგ., 1811-1812 წწ.), რასაც რუსეთის მთავრობის მოხელეების მიერ შედგენილ სტატისტიკურ მონაცემებზე უნდა ჰქონოდა გავლენა. ამდენად, გამონაკლისი წლების გარდა, XIX საუკუნის დასაწყისშიც, მოსავლიანობა სულ მცირე 8-ჯერადი უნდა ყოფილიყო, რასაც ცალსახად ადასტურებს თბილისის პოლიცმეისტერი იოსებ შაგუბატოვიც.[43] შესაბამისად, ქართლ-კახეთში დათესილ 100 000 ჩეტვერტზე, სულ მცირე, 800 000 ჩეტვერტის ოდენობის მოსავალს მიიღებდნენ. თუ სტატისტიკური ცნობარის შედგენის წლებში

---

[38] იხ.: 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 2016.

[39] გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები). თბ. 1955, გვ. 100-103.

[40] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა 1800-1864 წწ.). თბ. 1971, გვ. 251.

[41] Б. Н. Миронов. Хлебные цены в России за два столетия (XVIII—XIX вв.). Ленинград. 1985, გვ. 214; დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება, გვ. 251.

[42] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება, გვ. 251.

[43] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 53.

აღნიშნული მოსავალის ოდენობა მართლაც არ მიუღიათ, რაც, დიდი ალბათობით, მოუსავლიანმა წლებმა გამოიწვია, XVIII საუკუნის II ნახევარში, როდესაც დადასტურებულად 8-ჯერადი მოსავლიანობა იყო, უნდა ვივარაუდოთ წლიურად დაახლ. 800 000 ჩეტვერტი მარცვლეულის მიღება. თანამედროვე მეტრული მონაცემების მიხედვით, 800 000 ჩეტვერტი უდრის 115 000 000 კგ.-ზე მეტს.

მოცემული ოდენობის პურეულის (ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭვავი) უმეტეს ნაწილს მოიხმარდა ქართლ-კახეთის მოსახლეობა – დაახლ. 270 000-300 000 ადამიანი.[44] ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ერთი სრულწლოვანი და შრომისუნარიანი ადამიანის გამოსაკვებად, დღიურად დაახლ. 1 კგ. ხორბალი იყო საჭირო. ცხადია, მთელი ქვეყნის მოსახლეობა საუკეთესო ხარისხისა და მიღებული ოდენობის პურით ვერ გამოიკვებებოდა, რადგან ღარიბ, უმიწო გლეხებს მწირი შესაძლებლობები ექნებოდათ, რაც მათ კვებაზეც აისახებოდა. ასევე გასათვალისწინებელია მთის რეგიონების მოსახლეობა, რომელთაც ნაკლები მოსავალი ჰქონდათ და დანაკლისის შესავსებად ბარში იძენდნენ მარცვლეულს. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „პურეულის ნაკლებობის შესავსებად გარკვეული ეკონომიური პოლიტიკა უნდა ყოფილიყო. ყოფილა კიდევაც: იქ, სადაც ხორბლეული საკმარისი არ მოდიოდა, ქრთილ-ნარევი პური უხმარიათ... რომელსაც ქერზე უკეთესი ღირსება ჰქონია და ხორბლის და ქერის შუალედი ადგილი სჭერია... საქართველოს ზოგ თემში ქრთილ-ნარევი პურის ჭამა გასაკვირველი არც არის: ქერის პურს ძველად საბერძნეთსა და რომშიც სჭამდნენ“.[45] ერთი სიტყვით, ზემოთ დასახელებული გამონაკლისების, ასევე ბავშვების, ქალებისა თუ ხანდაზმულების კვების რაციონის გათვალისწინებით, რაშიც შრომისუნარიან მოსახლეობასთან შედარებით, პურეულის ნაკლებ მოხმარებას ვგულისხმობთ, მიახლოებითი გათვლით, აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები 270 000-300 000 ადამიანისათვის წელიწადში, საშუალოდ, 75-80 მილიონი კგ. პურეული იქნებოდა საჭირო.

მოწეული მოსავლიდან დაახლ. 14-15 მილიონი კგ. მარცვლეული იყო საჭირო ფეოდალების, ეკლესია-მონასტრების, სახელმწიფო სავარგულებში (ხოდაბუნებში) და გლეხების საკომლოებში დასათესად.

ქერის, ჭვავის და ფეტვის მნიშვნელოვანი ნაწილი (რამდენიმე მილიონი კილოგრამი) ცხენების და სხვა შინაური ცხოველებისა თუ ფრინველების გამოსაკვებად გამოიყენებოდა.

ხორბლეულის ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში შედიოდა. ნაწილს კავკასიელი მთიელებიც იძენდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ჭარბმოსავლიან წლებში სხვა მეზობელ ქვეყნებშიც განხორციელებულიყო მარცვლეულის ექსპორტი.

ყოველწლიურად მოწეული მოსავლის ნაწილით კი მარაგებს ქმნიდნენ. რა თქმა უნდა, მარცვლეულის წლიური მოსავალი მოსახლეობაზე თანაბრად არ ნაწილდებოდა, მარაგების სოლიდურ ნაწილს ფეოდალები შექმნიდნენ და არა ქვედა ფენები.

---

[44] განსახილველი ეპოქის ქართლ-კახეთის მოსახლეობის შესახებ დაზუსტებული მონაცემები არ გაგვაჩნია. ამ შემთხვევაში მოტანილია მიახლოებითი რიცხვი. საკითხის შესახებ იხილეთ: ვ. გამრეკელი. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის მიხედვით. მაცნე. ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის და სამართლის სერია. № 3. თბ. 1976, გვ. 57-75; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 100-101.

[45] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 420.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საჭიროებებისა, როგორც ჩანს, ქვეყანას განსაკუთრებულ ვითარებაში დამატებითი რესურსების გამონახვაც შეეძლო. როგორც ჩვენთვის ცნობილია, XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთში შემოსულ რამდენიმე ათასკაციან რუსეთის ჯარს შეუფერხებლად მიეწოდებოდა ხორბალი. ხშირად ვხვდებით დაღესტნელებისა და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელების დაქირავების შემთხვევებს, რომელთა გამოკვებასაც, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფო უზრუნველყოფდა.

უხვმოსავლიანობასთან ერთად, საქართველოში მოყვანილი ხორბლეული საუკეთესო თვისებებითაც გამოირჩეოდა, რასაც ყოველთვის ხაზს უსვამდნენ უცხოელი ავტორები. XVII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მყოფი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი აღნიშნავდა, რომ „მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის ისეთი გემრიელი პური, როგორც აქ“ (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო).[46] XVIII საუკუნის II ნახევარში რუსეთის იმპერიის სამხედრო მოხელეები, იაზიკოვი და ბურნაშოვი, ასევე მიუთითებენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ხორბალი ყუათიანობითა და მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.[47]

ხორბლის მოსავლის საერთო ოდენობის შესახებ ერთიანი საქართველოს მონარქიის პერიოდის მონაცემები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. თუმცა, XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისის ცნობებიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, რამდენიმე მილიონი მოსახლეობის პირობაზე, რა მასშტაბებთან გვექნებოდა საქმე.

ძალიან საინტერესო და საგულისხმოა თეიმურაზ ბატონიშვილის აზრი ქართველთა სამიწათმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებით. ბატონიშვილი თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავდა: „მოუთხრობენ ჩვენი და სხვათაცა მემატიანენი: ვინაჲდგან მცხოვრები გიორგიისანი არიან მხნენი და დაუშრომელნი მუშაკობასა შინა მიწისასა და მრავალსა ნაყოფისა შემკრებელობისათვის უაღმატებულესისა შრომისა, და უგანრჩეულესისა სახვნელთა მიწისათა, ვითარ იგი აქვსთ ჩვეულება უმეტეს ზემოთა ქვეყანათა გეორგიისათა რვითა ანუ ცხრითა უღელითა ჴართათა და დიდი-დითთა კამბეჩთა მიერ ჴვნისა, რომელნიცა მრღვეველნი უმტკიცესისა ქვეყანისა, კნინღა გულადმედ ქვეყნისა სახნის საკვეთნი გადმოაბრუნებენ ბელტთა ზრქელთა, ვითარ რა ლოდთა უმძიმესთა. აგრეთვე სხვათაცა შინა მუშაკობითა: მკითა, ლეწვათა, წნეხათა ყურძნისათა და ფერად-ფერადთა შინა მუშაკობითა განსხვავდებიან სხვათა ყოველთა ნათესავთა აზიურთა, გინა ევროპიისათა“.[48] შესაძლებელია, თეიმურაზ ბატონიშვილი გადაჭარბებულად აფასებდეს ქართველთა სამეურნეო საქმიანობას, მაგრამ საერთო მონაცემები ნათლად ადასტურებს ხორბლისა და სხვა მარცვლეული კულტურების წარმოების მაღალ დონეს.

ამდენად, ზოგადი ცნობები საქართველოში მარცვლეული კულტურების უხვმოსავლიანობზე მეტყველებს. ამ მხრივ, ფეოდალური საქართველო თვითკმარ ქვეყანას

---

[46] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1975, გვ. 296.

[47] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I. СПб. 1891, გვ. 185; С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. Тифлис, 1896, გვ. 4.

[48] თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა. ქმნილი საქართველოს მეათცამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან. სანკტპეტერბურღი. 1848, გვ. 16-17.

წარმოადგენდა. შესაბამისად, ლოგიკურად ჩნდება მოსაზრება, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ხორბლის ფასი მაღალ ნიშნულზე არ უნდა ყოფილიყო. ვნახოთ, საუკუნეების განმავლობაში, რა ვითარება იყო ქვეყანაში ამ თვალსაზრისით.

ხორბლის ფასი XI-XIII საუკუნეების საქართველოში

ფეოდალური ეპოქის საქართველოში სხვადასხვა პროდუქციის ფასების შესახებ, არცთუ ბევრი ინფორმაციაა შემონახული. გამონაკლისი არც ხორბლის ფასია. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ცნობებიდან მაინც შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნეების განმავლობაში, ხორბლის ფასის განსაზღვრა მაინც პირობითია და ყველა გამონაკლისს არ მოიცავს. ხორბლის, ისევე როგორც სხვა პროდუქციის ფასები კონკრეტულ ვითარებაში, ბუნებრივია, ცვალებადი იყო. მასშტაბური სტიქიური მოვლენები, საბრძოლო მოქმედებები, დამპყრობლების მიერ დაწესებული დიდი ხარკი და მსგავსი ფაქტორები გავლენას იქონიებდა არა მარტო ხორბლის ფასზე, არამედ, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებაზეც. წყაროებში ზოგიერთი ასეთი შემთხვევაა ასახული. მაგალითად, ბაგრატ IV-ის მიერ თბილისის ალყის შედეგად, ქალაქში შიმშილობა დაწყებულა: „... ესრე შეაჭირვეს ტფილელთა, რომელ ლიტრა ვირის ‌ორცი ხუთას დრამად ასყიდიეს“.[49] ბუნებრივია, თბილისში ამ დროს ხორბლის ფასიც ძალიან გაიზრდებოდა. ჟამთააღმწერლის გადმოცემით, დავით VIII-ის აჯანყების დროს „... არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე... იქმნა პურისა მოკლება, ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად არცა დიდითა ფასითა“.[50] მოსავლის განადგურებისა და დეფიციტის შექმნის წინაპირობა შეიძლება გამხდარიყო სეტყვა, წყალდიდობა და ა.შ. „ოდესცა დასეტყოს და არაჲ მოვიდეს“, – აღნიშნულია რკონის დაწერილში, თუმცა აქვე მითითებულია, რომ რომელ წელსაც კარგი მოსავალი იქნებოდა, მოუსავლიანი წლისათვის მარაგს „დაიგულებდენ“.[51] საინტერესოა, ასევე კირაკოს განძაკელის ცნობა 1252 წელს სომხეთში ირანიდან შემოსეული კალიების მიერ ნათესის სრულად განადგურების შესახებ.[52] მსგავსი მოვლენები დროდადრო საქართველოსთვისაც იქნებოდა დამახასიათებელი. შესაბამისად, როდესაც ამა თუ იმ ეპოქაში კონკრეტულ ფასზე ვსაუბრობთ, ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ აღნიშნული ღირებულება არ არის მუდმივად ფიქსირებული და ვითარებისდა მიხედვით იცვლებოდა.[53]

აქვე აღვნიშნავთ, რომ რადგან სხვადასხვა დროს საქართველოში მოჭრილი და მიმოქცევაში არსებული მონეტების როგორც სახელწოდებები, ისე წონა და სხვა

[49] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 281.

[50] ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 641.

[51] დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 150.

[52] Киракос Гандзакеци. История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян. москва, 1976, გვ. 219-220.

[53] თუმცა, როგორც გვიანფეოდალური ეპოქის წყაროებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ყოველი სტიქიური მოვლენა, მტრის შემოსევა თუ ქვეყნის დახარკვა არ იყო ასეთი გამონაკლისი შემთხვევების წინაპირობა.

მახასიათებლები იცვლებოდა, ჩვენ ხორბლის თუ სხვა პროდუქტების ფასს დავიანგარიშებთ ვერცხლის წონასთან შეფარდებით.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ძველი, არაპირდაპირი ცნობა ხორბლის ფასის შესახებ, XI საუკუნით თარიღდება. აღნიშნული საუკუნის II ნახევარშია შედგენილი „დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა“ (ნიკორწმინდელის დაწერილი),[54] რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია ხორბლის ფასის მიახლოებითი დაანგარიშება.

თავდაპირველად ნიკორწმინდელის დაწერილში მოხსენებულ სხვადასხვა პროდუქციის ფასებს ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. მის ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში – „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ მუხლებად არის მოცემული ფასებთან დაკავშირებული ცნობები. ყანისა და ზოგიერთი პროდუქციის ფასი კი დაანგარიშებულია მის თანადროულ (1907 წ.) ფულთან მიმართებით, თუმცა ავტორი საგანგებოდ არ ჩერდება ხორბლის ფასზე.[55]

ივ. ჯავახიშვილი მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდა აღნიშნულ თემას და ფასების შესახებ გარკვეული კვლევა ჩაატარა. სამწუხაროდ, ეს შრომა გამოქვეყნებული არ არის, თუმცა დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.[56]

ავტორი ხორბლის ფასთან მიმართებით, თავდაპირველად, ათონის აღაპში დაცულ ცნობას ეხება. ათონის აღაპებში აღნიშნულია: „სახელითა ღმრთისაჲთა და ბრძანებითა ყოველთა ძმათაჲთა დავაყენეთ მამაჲ პავლე თუესა მარტსა, ინდიკტიონსა გ... მას ჟამსა შინა იყო იფქლი მოდი დრაჰკანად“.[57] აღაპი თარიღდება 1170 წლის ახლო ხანებით. ამ ცნობაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: „მაშასადამე, 36 კილოგრამი იფქლი 1 დრაჰკანი ღირებულა, ხოლო 1 კილო 1/36 დრაჰკანისა“.[58]

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოთვლა არ არის მართებული, რადგან ბიზანტიაში მოდი იტევდა 12,8 კგ.-ს,[59] ანუ 12,8 კილოგრამი ერთი ოქროს მონეტა ღირებულა. აღაპში მოცემული ფასი არის ძალიან მაღალი და საქმე გვაქვს ხორბლის გაძვირებასთან. ჩვეულებრივ კი, XI საუკუნის მონაცემებით, ბიზანტიაში 1 მოდის ფასი 1/12 ნომისმა იყო.[60] შესაბამისად, ათონის აღაპებში მოცემული ფაქტი გამონაკლისია. ბიზანტიის იმპერიაში დროდადრო ხორბლის გაძვირების ფაქტებს ვხვდებით.[61]

---

[54] დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 39-44.

[55] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფ. 1907, გვ. 106-109.

[56] ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 206, ფ. 80-84. არქივში ფასების შესახებ ცნობების მხოლოდ მცირე ნაწილია დაცული (5 ფურცელი). სრულყოფილი ტექსტი კი ინახება ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის დაუმუშავებელ მასალაში.

[57] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998, გვ. 188.

[58] ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის დაუმუშავებელი ნაწილი (ეკონომიკის ისტორიის საკითხები, ფ. 210-211).

[59] Jacques Lefort. The Rural Economy, Seventh–Twelfth Centuries. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington, 2002, გვ. 258; C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington, 2002, გვ. 817.

[60] C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century, გვ. 823, 830; მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 140.

[61] მაგალითად, 1076 წლიდან ხორბალი მნიშვნელოვნად გაძვირდა და მოდის ფასმა მცირე ხნით მიაღწია და გადააჭარბა კიდეც 1 ნომისმას. იხ.: C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century, გვ. 823-824.

სწორედ ასეთი ფაქტია ასახული ათონის აღაპებში. თუ ბიზანტიაში არსებულ ნორმალურ ფასს (1 მოდი=1/12 ნომისმას) ვერცხლის გრამებში განვსაზღვრავთ (ოქროს ნომისმას და 3-გრამიანი ვერცხლის მონეტის 1:14 შეფარდებით), გამოდის, რომ 1 კგ. ხორბალი ღირდა დაახლ. 0,27 გრამი ვერცხლი. ხოლო თუ უკიდურესი სიძვირის პირობებში (ათონის აღაპებში მოცემული ცნობის მიხედვით) დავიანგარიშებთ, 1 კგ.-ის ფასი იქნება დაახლ. 3,28 გრამი ვერცხლი. ათონის აღაპებში მოცემული ცნობა ზოგადი ფასის დასადგენად არ გამოგვადგება, რადგან აქ საუბარია არაორდინალურ მდგომარეობაზე, უკიდურეს სიძვირეზე და, ასევე ეხება არა საქართველოს, არამედ ბიზანტიაში არსებულ ფასს. იმ ეპოქაში ბიზანტიასა და საქართველოს მახლობელ ქვეყნებში არსებულ ხორბლის ფასს მოგვიანებით შევეხებით. ამჯერად კი, დავუბრუნდებით ნიკორწმინდელის დაწერილს.

ივ. ჯავახიშვილი ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, ხორბლის ფასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „პურის ჩვეულებრივი ფასის გამოსარკვევად შეიძლება ნიკორწმინდის XI ს. საბუთის შემდეგი ორი ცნობა იქმნეს გამოყენებული: ერთის მხრივ იქ ნათქვამია, რომ იალმაგისაგან ნაყიდ ყანაში „მივეც... დრაჰკანი კოსტანტინატი ორი“-ო. მეორეს მხრით იქ ნათქვამია, რომ „ზნაკუას, ვახტანგის გლეხისაგან ვიყიდე ყანაა ა. და მივეც ხუარბალი გრივი გ (სამი)“-ო. მაშასადამე, დაახლ. 3 გრივი ხორბალი 2 დრაჰკანი კოსტანტინატი ღირებულა“.[62] ნიკორწმინდელის დაწერილში, ყანის 2 დრაჰკან კონსტანტინატად ყიდვის გარდა, განსხვავებული ინფორმაციაც ფიქსირდება, თუმცა ავტორი საბუთში არსებულ სხვა აქტებს აღარ მიმოიხილავს. როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ XI საუკუნეში 3 გრივი ხორბლის ფასი იყო 2 დრაჰკანი კონსტანტინატი.

უკანასკნელ პერიოდში ნიკორწმინდელის დაწერილში ნახსენებ ფასებზე ყურადღება გაამახვილა მკვლევარმა მ. წურწუმიამ. ავტორმა დეტალურად განიხილა ნიკორწმინდელის დაწერილში დაფიქსირებული ფასები, შეისწავლა საბუთში დაცული გარიგების ყველა აქტი. მანაც ხორბლის ფასის განსაზღვრისას ყურადღება მიაქცია ანალოგიურ ცნობას. მისი აზრით, 3 გრივი ხორბლის ფასი არის 2 ოქრო.[63]

როგორც ვხედავთ, ავტორისათვის ამოსავალი წერტილი ხორბლის ფასის განსაზღვრაში არის ცნობა, სადაც ჩანს, რომ ყანა შეიძინეს 3 გრივად, ხოლო ყანაში, იმავე წყაროს ცნობით, ერთ შემთხვევაში გადახდილია 2 დრაჰკანი კონსტანტინატი, მეორე შემთხვევაში კი – ჯაჭვი და 2 დრაჰკანი („ველიშეულს ფარსმანისძეთაგან ვიყიდე ორი ნაკუეთი ყანაჲ და მივეც ჯაჭ3 ა და დრაჰკანი კოსტანტინატი ბ. და მოწამე არიან კაცნი“). ლოგიკურია მკვლევრის ვარაუდი, რომ ჯაჭვი ღირდა 2 დრაჰკანი და ამ შემთხვევაშიც, ყანის ფასი 2 დრაჰკანით განისაზღვრება.[64]

ჩვენ, ძირითადად, ვიზიარებთ აღნიშნულ დასკვნებს, თუმცა, ვფიქრობთ, გამოთქმული მოსაზრება გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ იმავე წყაროში ყანის ყიდვის სხვა ფაქტებიც გვაქვს მოცემული, რაც დაგვეხმარება ყანისა და, შესაბამისად, ხორბლის ზოგადი ფასის დადგენაში.

ნიკორწმინდელის დაწერილში ყანის ყიდვა-გაყიდვის ოცზე მეტი შემთხვევიდან ორ მათგანში ფასი ძალიან მაღალია (მაგ. „მუნვე, საწირეს, ვიყიდე ყანაჲ და მივეც

[62] ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის დაუმუშავებელი ნაწილი (ფ. 212).
[63] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 139-140.
[64] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 131, 140.

ფური ა, ჯაჭჳ ა, ჩაბალახი ვეცხლი დრამაჲ კ, და მოწამე არიან კაცნი“). ამიტომ სავსებით ვეთანხმებით მ. წურწუმიას ვერსიას, რომ აღნიშნული ცნობები გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს.[65] ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ შესაძლებელია, კონკრეტული მიწის ფართობთა უპირატესობა მათი მდებარეობა ყოფილიყო. ისიც დასაშვებია, რომ საქმე გვქონდეს ყანის ფართობის სტანდარტულზე დიდ მოცულობასთან, რაც უბრალოდ საბუთში არ აისახა.

ყანის ყიდვა-გაყიდვის ოცზე მეტი აქტიდან სულ რამდენიმეა, რომლებშიც გარკვევით იკითხება მისი ფასი.[66] ორ მათგანზე, ოქროს მონეტით ყანის ყიდვის შესახებ, საუბარი უკვე გვქონდა. გარდა ამისა, არის ორი შემთხვევა რომლებშიც ასევე გარკვევით იკითხება ფასი. ორივე შემთხვევაში ყანის ფასად მითითებულია ადგილობრივი ფული, დრამა (ვერცხლის მონეტა) – 1. „ქუმელოანს ვიყიდე სგოჯაჲს ძისაგან ყანაჲ ა და მივეც რკინაჲ და მატყლი დრამისა ლ-საჲ, მოწამე არიან კაცნი“; 2. „თერნეულისა თავსა ვიყიდე თავბრტყელისაგან ყანაჲ და მივეც ფასად ოცისა დრამისაჲ, და მოწამე არიან კაცნი“.[67]

ამ შემთხვევაში ყანის ფასად გადახდილია 30 და 20 დრამა (ერთ შემთხვევაში 30 დრამის ღირებულების რკინა და მატყლი). ბუნებრივია, ამ ცნობებსაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, რადგან ყანის 2 დრაჰკან კონსტანტინატად ყიდვის თუ ერთი შეუვალი ცნობა გვაქვს, მეორე შემთხვევაში – პირობაზე დამყარებული, აქ, ორივე აქტში, ნათლად არის მითითებული ყანის ფასი ადგილობრივი მონეტებით. თანაც, თუ დრაჰკანი კონსტანტინატის რაობა გარკვეულად კამათს იწვევს, ამავდროულად, ჩვენ არ ვიცით მისი ზუსტი შეფარდება ადგილობრივ ვერცხლის ფულთან, ვფიქრობთ, ეს ცნობები სანდოდ გამოიყურება. ამავე დროს, დრამებში ყიდვის ფაქტები გარკვეულწილად დახმარებას გაგვიწევს 2 დრაჰკან კონსტანტინატის რეალური ღირებულების დადგენაში. ერთი სიტყვით, როგორც არ შეიძლება ყანის ოქროს ფულით შეძენის შემთხვევის უარყოფა, ასევე დაუშვებლად მიგვაჩნია ვერცხლის დრამებით ყიდვის ფაქტების გაუთვალისწინებლობა. მ. წურწუმია აღნიშნავს, რომ ყანის ფასის 2 ოქროდ განსაზღვრასთან ახლოს არის ყანის ვერცხლით ყიდვის შემთხვევებიც. მისი აზრით, „30 და 20 დრამა ოქროზე რომ გადავიყვანოთ (1:14), მივიღებთ 2,14 და 1,42 ოქროს.[68] ამ დაანგარიშების ამოსავალი ის არის, რომ ავტორს დრამის წონად მიიჩნია არა რეალური მონეტა (XI საუკუნის მეორე ნახევრის მონეტების წონა), არამედ დრამის თავდაპირველი წონა მცირე დამრგვალებით – 3 გრამი. ავტორის აზრით, რადგან მონეტის რემედიუმი მერყევი იყო, „ამიტომაც ანგარიშსწორებას მონეტების აწონვის გზით ახდენდნენ“.[69]

აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით გამოდის, რომ 30 დრამაში იანგარიშებოდა არა რეალური 30 მონეტა, არამედ მისი პირობითი წონა, ამ შემთხვევაში

[65] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 139-140.

[66] ერთგვარად საკამათოა ნიკორწმინდელის დაწერილში გლეხების მიერ ყანის გაყიდვის ფაქტების დადასტურება. შესაძლებელია, უმეტეს შემთხვევაში, აქ საქმე გვქონდეს გლეხის მიერ არა როგორც იურიდიული მესაკუთრის მხრიდან მიწის გასხვისებასთან, არამედ სარგებლობის უფლების დათმობასთან. ხოლო მიწის გაყიდვის იურიდიულ თანხმობას, ალბათ, გლეხის მებატონე იძლეოდა. საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საბუთში რა ფორმითაც არ უნდა იყოს მიწის ფართობის ყიდვა-გაყიდვის ფაქტი ნაგულისხმევი, ეს ხელს არ გვიშლის ხორბლის ფასის დადგენაში.

[67] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 41.

[68] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 139.

[69] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 136.

90 გრამი (30X3=90). იმ ეპოქის დრამების რეალური წონა კი 1,2-2,2 გრამი იყო,[70] ხოლო თუ ზედა ზღვრის სასარგებლოდ დავამრგვალებთ – დაახლ. 2 გრამი, ანუ ამ ლოგიკით, 30 დრამად ნაყიდ ყანაში გადაუხდიათ მინიმუმ რეალური 45 დრამა. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ სახით დაანგარიშების ფორმა ძალზე საეჭვოდ მიგვაჩნია.

ავტორი საკუთარ მოსაზრებას ამყარებს ფავნელის დაწერილსა და ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის წარწერაში არსებული ცნობებით, რომლებშიც დადასტურებულია ფულის წონით ანგარიშსწორების ფაქტები: „მივათუალენით სოფელნი და მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი...“. ამავე საბუთის გვიანდელ მინაწერზე აღნიშნულია: „თეთრსა რა ანგარიში უნდა: კაბარჭითა გარდაუწყე...“.[71] ვერცხლის წონით მითვლაზე მოგვითხრობს ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის XI საუკუნის წარწერაც: „სამოცდასამი აჟურა, შჳდი დრახ[კანი, ხუ]თისა დრახკნისა წონით სხვაი შეყრილი ვეცხლი, ხუთი ბეჭედი – ესე გიორგის, ხუცეს(ს) ა, ხაფთანანსა მიუთვალა სოფელმ(ა)ნ“.[72]

ჩვენი აზრით, ეს ცნობები ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ იმ ეპოქის საქართველოში ანგარიშსწორების ფორმად უცილობლად ფულის აწონა იყო დაკანონებული – ჯერ ერთი, ორივე შემთხვევაში, ფავნელის დაწერილშიც და ჩვაბიანის ეკლესიის წარწერაშიც, ხაზგასმულია, რომ ანგარიშსწორებისას, ფულის აწონაა გამოყენებული. ეს კი მიანიშნებს, რომ ასეთ შემთხვევებს საგანგებოდ აღნიშნავდნენ. ხოლო ნიკორწმინდელის დაწერილში ასეთი აღნიშვნა არ გვხვდება; მეორე, ფავნელის დაწერილში დიდი რაოდენობით ფულის აწონაზეა საუბარი, ნიკორწმინდელის დაწერილში კი, უმეტესად, საქმე ეხება რამდენიმე ათეული დრამის გადახდას და ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველა ამ შემთხვევაში აწონის მეთოდი გამოიყენებოდეს. თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ ჩვაბიანის ეკლესიის წარწერაში, რომელშიც დადასტურებულია აწონის მეთოდი, იქვე არის მინაწერი: „ხუ]თისა დრახკნისა წონით სხვაი შეყრილი ვეცხლი, ხუთი ბეჭედი“, ანუ აწონილია არა ფული, არამედ ძვირფასი ლითონი. ხოლო, სადაც რეალური ფულია დამოწმებული („სამოცდასამი აჟურა, შჳდი დრახკანი“), იქ აწონის ფაქტი არ ჩანს. ანალოგიურ ვითარებას ვხვდებით ფავნელის დაწერილში – აწონილია „ოცდაათი ლიტრა ოქრო“ და „ოცდაათი ლიტრა ვერცხლი“, ხოლო „ათი ათასი პელპელი“ (ანუ პერპერა) გადახდილია აწონის გარეშე.[73]

ერთი სიტყვით, ალოგიკურად მიგვაჩნია, რომ ნიკორწმინდელის დაწერილში მოხსენებულ 20 და 30 დრამაში მათი პირობითი წონა (60 და 90 გრამი ვერცხლი, რაც იმ ეპოქაში მოჭრილ 30 და 45 დრამის ტოლფასია) იყოს ნაგულისხმები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ნიკორწმინდელის დაწერილში აღნიშნულია, რომ ყიდვა-გაყიდვისათვის, დრამის გარდა, გამოიყენებოდა ვერცხლის სხვა ნომინალიც – აჟურა.[74] თუ დრამაში მისი პირობითი წონა (3 გრ.) იგულისხმებოდა, რატომ გახდებოდა საჭირო

[70] ამ პერიოდის საქართველოში მოჭრილი მონეტები განხილულია ქვემოთ.

[71] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 18; მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 136.

[72] სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.): ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. ტ. II. თბ. 1988, გვ. 372; მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 136.

[73] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 18.

[74] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 43.

განსხვავებული წონის მქონე ვერცხლის ნომინალის მითითება? თანაც აჟურაც დაახლ. 3 გრამს იწონიდა.[75]

ნიკორწმინდელის დაწერილი თარიღდება XI საუკუნის მეორე ნახევრით, უფრო კონკრეტულად – 1071-1080 წლებით. ამ პერიოდში იჭრებოდა ბაგრატ IV-ის (პირველი ჯგუფი – 1055/56-1060 წწ. რემედიუმი 1,6-2,2; მეორე ჯგუფი – 1060-1072 წწ. რემედიუმი 1,2-2,2) და გიორგი II-ის მონეტები (სამი ჯგუფი, საერთო რემედიუმი 1,1-2,1).[76] როგორც ვხედავთ, ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტების მაქსიმალური წონაა 2,2 გრამი შემცირების ტენდენციით. მონეტის წონის დაკლება შემოსავლების გაზრდის მიზნით ხორციელდებოდა და თავდაპირველად, მას ძველი წონის ეფექტი უნდა ჰქონოდა. მისი რეალური წონა ბაზარზე მოგვიანებით აისახებოდა. ამდენად, არ შევცდებით, თუ ამ ეპოქის ქართული დრამების საშუალო წონის დადგენისას, ზედა ზღვრის სასარგებლოდ გადავიხრებით და ავიღებთ 2 გრამს.

ერთი სიტყვით, 2-გრამიანი დრამის პირობებში, ნიკორწმინდელს ყანაში გადაუხდია ერთ შემთხვევაში 40 და მეორე შემთხვევაში – 60 გრამი ვერცხლი. თუ ყანის 20 დრამად ყიდვის ფაქტს ფასის სიმცირის გამო, გარკვეულ გამონაკლისად ჩავთვლით და ყანის საშუალო ფასად 30 დრამას მივიჩნევთ, დრამებით ყიდვისას ყანისა და, შესაბამისად, 3 გრივი ხორბლის ფასი გამოდის 60 გრამი ვერცხლი.

ყანის 2 დრაჰკან კონსტანტინატად ყიდვის შემთხვევაში, ღირებულების ვერცხლის გრამებში გადაყვანისთვის ყურადღება უნდა გავამახვილოთ ვერცხლისა და ოქროს შეფარდებაზე. თუ ბიზანტიაში X საუკუნის მიწურულსა და XI საუკუნის დასაწყისში მიღებული სტანდარტული კურსით დავიანგარიშებთ, 1 ოქროს ნომისმა უდრიდა 14 მილიარისს, რომელიც საშუალოდ, 3 გრამს იწონიდა[77] და უტოლდებოდა დრამის დადგენის წონას – დაახლ. 3 გრამს.[78] ივ. ჯავახიშვილის აზრით, XII საუკუნეში ოქროსა და ვერცხლის ღირებულებათა თანაფარდობა იყო 1:13, თუმცა აღნიშნავს, რომ ოქროსა და ვერცხლის ფულის შეფარდება ცვალებადი იყო და მეზობელ ქვეყნებში მერყეობდა 1:10-დან 1:15-მდე.[79] ამ შემთხვევაშიც საუბარია ოქროსა და ვერცხლის არა წონით, არამედ ოქროსა და ვერცხლის ნომინალების – დრაჰკანის (4,4 გრამი ოქრო) და დრამის (დაახლ. 3 გრამი ვერცხლი) – შეფარდებაზე.[80] როგორც აღინიშნა, მ. წურწუმია (ოქროს და ვერცხლის 1:14 შეფარდებით) ყანაში გადახდილ 2 დრაჰკან კონსტანტინატის ეკვივალენტად მიიჩნევს 28 სრულწონიან (3 გრამიან) დრამას. 28 დრამა კი, 3-გრამიანი დრამის გათვალისწინებით, იწონიდა 84 გრამს.

ერთი სიტყვით, ჩვენი დაანგარიშებით, დრამებით ყიდვის შემთხვევაში, ყანის ფასია დაახლ. 60 გრამი ვერცხლი, ხოლო 2 დრაჰკანად ყიდვის შემთხვევაში (ოქროსა და ვერცხლის მონეტების 1:14 შეფარდებით), დაახლ. 84 გრამი ვერცხლი. ვფიქრობთ,

---

[75] Ph. Grierson. Miliaresion. The Oxford Dictionary of Byzantium. Ed. by Al. P. Kazhdan. Vol. 2. Oxford, 1991, გვ. 1373.

[76] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი. თბ. 2006, გვ. 190-193.

[77] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 137; C. Morrisson. Byzantine Money: Its Production and Circulation. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century, გვ. 930.

[78] დრამის წონის შესახებ იხილეთ: გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 40.

[79] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვეთი მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ. 1925, გვ. 40-41.

[80] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 96.

ყანის დრამებში ყიდვის ფაქტის ხელაღებით უარყოფა არ იქნება მართებული, ისევე როგორც ყურადსაღებია ოქროს შემთხვევაში მიღებული ციფრიც.

30 დრამასა და 2 დრაჰკან კონსტანტინატს შორის მნიშვნელოვან განსხვავებას ვიღებთ იმ დაშვებით, თუ დრაჰკანი კონსტანტინატისა და 3-გრამიან ვერცხლის მონეტის შეფარდება იქნება 1:14. თუმცა ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ბიზანტიური ოქროს მონეტების განხილვა გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ დრაჰკანი კონსტანტინატის და 3-გრამიანი ვერცხლის მონეტის შეფარდება იმ ეპოქის საქართველოში 1:13/1:14-ზე ნაკლები იყო. გ. ჯაფარიძე თავის სტატიაში „ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საქართველოში“ დეტალურად განიხილავს აღნიშნული ეპოქის ბიზანტიური ოქროს მონეტებს. ავტორის აზრით, ჩვენთვის საინტერესო მონეტა, კონსტანტინატი, უნდა იყოს კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) ნომისმა.[81] ბიზანტიაში XI საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ჰისტამენონ ნომისმას (4,4 გრ.) სინჯის დაცემა. 24 კარატიდან სინჯი XI საუკუნის 70-იან წლებში 8 კარატამდე დაეცა. კონსტანტინე IX მონომახის მმართველობის დროს იჭრებოდა 4 სახის ჰისტამენონ ნომისმა. მათი სინჯადობა განსხვავებული იყო. ყველაზე გავრცელებული ტიპის სინჯი 20-22 1/2 კარატი იყო.[82] კონსტანტინე IX-ის სხვა ტიპის ჰისტამენონ ნომისმას ხარისხი უფრო დაბალია, IV კლასის ჰისტამენონ ნომისმას სინჯი 19 1/2 კარატამდე ჩამოდის.[83] ჰისტამენონ ნომისმას და 3-გრამიანი ვერცხლის დადგენილი შეფარდება იყო 1:12, ხოლო X საუკუნის მიწურულს, როგორც აღინიშნა, მიაღწია 1:14-მდე.[84] თუმცა ეს შეფარდება ძალაშია 24-კარატიან ჰისტამენონ ნომისმას პირობებში. კონსტანტინატის სინჯი კი, როგორც ვნახეთ, შედარებით დაბალია. შესაბამისად, ვერცხლის მონეტებთან მიმართებით მისი კურსი შემცირდებოდა. ვინაიდან ნიკორწმინდელის დაწერილიდან ოქროს მონეტების ღირებულებებს შორის სხვაობის დადგენა ვერ ხერხდება, მ. წურწუმია პირობითად, მათ თანაბარი ძალის მქონედ მიიჩნევს.[85] თუმცა XI-XIII საუკუნეების ქართულ წყაროებში ოქროს მონეტის ზედსახელების – კონსტანტინატის, დუკატის, ბოტინატის და სხვ. – გა-

[81] კონსტანტინატი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკავშირდებოდა კონსტანტინე X დუკას სახელს (1059-1067 წწ.), თუმცა მის მიერ მოჭრილი მონეტის ზედსახელი უნდა იყოს დუკატი. ხოლო კონსტანტინე IX-ის ოქროს მონეტის – კონსტანტინატი. ეს აზრი გაზიარებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ.: გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი, გვ. 220.
აქვე აღვნიშნავთ, რომ გავრცელებული შეხედულებით, XI-XIII საუკუნეებში საქართველოში დრაჰკანი შეესატყვისებოდა როგორც აღმოსავლურ დინარს, ასევე ბიზანტიურ ნომისმას. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვეთი მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 14; გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ. 1976. № 3, გვ. 89-92.
დრაჰკანთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. თ. დუნდუას აზრით, დრაჰკანი ორი ნომისმაა (8,4 გრ.). იხ.: თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 202-203.

[82] გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საქართველოში, გვ. 89-92.

[83] Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Yaks Collection and in the Whittemore Collection. Ed. by Alfred E. Bellinger and Philip Grierson. Vol. 3, part 1, 2nd ed. Washington, 1993, გვ. 40. კონსტანტინე IX მონომახის მონეტების 19-22-კარატიან სინჯადობას მიუთითებს თ. დუნდუა. იხ.: თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 220.

[84] C. Morrisson. Byzantine Money: Its Production and Circulation. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century, გვ. 930.

[85] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 135.

მოყენება[86] სწორედ მათ შორის ღირებულებითი განსხვავების ცოდნაზე მიუთითებს.[87] დრაჰკანის ზედსახელებს ოქროს სინჯადობის ინდიკატორად მიიჩნევს თ. დუნდუა.[88] აქედან გამომდინარე, შედარებით დაბალი ხარისხის კონსტანტინატი საქართველოში, სავარაუდოდ, ხურდავდებოდა არა 3-გრამიან 13-14 ვერცხლის მონეტად, არამედ უფრო ნაკლებად. თუ დავუშვებთ, რომ XI საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში დრაჰკან კონსტანტინატის 3-გრამიან ვერცხლის მონეტასთან შეფარდება იყო 1:10-სა და 1:12-ს შორის, მაშინ 2 ოქროს ვერცხლში გამოხატულება იქნება საშუალოდ, 66 გრამი (33 ადგილობრივი დრამა). მოცემული პირობის გათვალისწინებით, ყანის 2 დრაჰკან კონსტანტინატად და 30 დრამად ყიდვის შემთხვევებს შორის სხვაობა მინიმუმამდე დადის. ამდენად, კონსტანტინატის შემცირებული კურსის პირობებში 2 ოქროდ შეფასებული ყანის, ისევე როგორც 3 გრივი ხორბლის საშუალო ფასი გამოდის 60-66 გრამი ვერცხლი (30-33 დრამა).

იმისათვის, რომ დავადგინოთ ხორბლის, ანუ პურის ფასი, საჭიროა გავარკვიოთ გრივის ოდენობა. ივ. ჯავახიშვილი გრივის წონას 32,745 კილოგრამით განსაზღვრავდა.[89] რაც შეეხება მ. წურწუმიას, ის იმოწმებს გ. ჯაფარიძის ნაშრომს „ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან“ და გრივის მოცულობად 100 კგ.-ს მიიჩნევს.[90]

როგორც აღინიშნა, მ. წურწუმიას აზრით, 3 გრივი, ანუ 300 კგ. ხორბალი ღირდა 2 დრაჰკანი კონსტანტინატი. ავტორს თავისი მოსაზრების სისწორის გადასამოწმებლად მოხმობილი აქვს მეზობელ ქვეყნებში არსებული ხორბლის ფასები: „IX-XI საუკუნეების კონსტანტინოპოლში... 153.6 კგ. ხორბლის ფასი 1 ბიზანტიური ოქროს ნომისმა იყო; XI საუკუნის მეორე ნახევარში პალესტინაში 1 კაფიზი (199.09 კგ.) ხორბალი ღირდა 1.33-1.625 დინარი, რაც ნიშნავს, რომ 150 კგ. ხორბალი 1-1.22 დინარი ღირდა. XI საუკუნის ბაღდადისათვის ე. აშტორი ნორმალურ ფასად მიიჩნევს 0.75 დინარს 100 კგ. ხორბალში, XII საუკუნისათვის კი – 0.68 დინარს. ე.ი. XI საუკუნის ბაღდადში 150 კგ. ხორბალი ღირდა 1.125 დინარი, XII საუკუნეში კი – 1.02 დინარი“. ავტორი მიუთითებს, რომ XI-XII საუკუნეების კონსტანტინოპოლში, პალესტინასა და ბაღდადში 150 კგ. ხორბლის ღირებულება იყო დაახლოებით 1 ოქრო, რაც მისი დაანგარიშების იდენტურია.[91] ავტორი, მართალია, ხორბლის ფასს ვერცხლზე არ ანგარიშობს, თუმცა, როგორც აღინიშნა, მას 2 დრაჰკან კონსტანტინატის ეკვივალენტად მიაჩნია 28 დრამა 3 გრამიანი დრამის პირობებში (=84 გრამ ვერცხლს). აქვე დავძენთ, რომ ეს არგუმენტი მნიშვნელოვანია და, სულ მცირე, ამ დაანგარიშების დაახლოებით სისწორეზე მიუთითებს.

გავითვალისწინეთ რა ყანის დრამებში ყიდვის ფაქტები და დრაჰკანი კონსტანტინატის კურსის სავარაუდო კლება, ჩვენ 3 გრივი ხორბლის ღირებულების ამგვარ დაანგარიშებაში, როგორც ვნახეთ, გარკვეული კორექტივები შევიტანეთ. ჩვენ მიერ

---

[86] საკითხის შესახებ ვრცლად იხილეთ: გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI -XIII საქართველოში, გვ. 84-95.

[87] ნიკორწმინდელის დაწერილშიც დრაჰკან კონსტანტინატთან ერთად მოხსენებულია დრაჰკანი და დრაჰკანი დუკატი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 41-43.

[88] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 220.

[89] ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის დაუმუშავებელი ნაწილი (ფ. 212).

[90] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 128.

[91] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 139-140.

მიღებული ხორბლის ფასი (3 გრივი – დაახლ. 60-66 გრამი ვერცხლი), მართალია, რადიკალურად არ ცვლის მ. წურწუმიას დასახელებულ ფასს (3 გრივი – დაახლ. 84 გრამი ვერცხლი), მაგრამ მაინც განსხვავებულია.

ვიდრე საკითხის განხილვას გავაგრძელებთ, ყურადღება უნდა მიექცეს ერთ დამაბრკოლებელ გარემოებას. გ. ჯაფარიძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში აღნიშნულია, რომ XIII-XIV საუკუნეებში გრივის ზომა იყო დაახლოებით 100 კგ.[92] სწორედ ამ მეტროლოგიურ გათვლას ეყრდნობა მ. წურწუმია ხორბლის ფასის დაანგარიშებისას. თუმცა, როგორც ითქვა, გ. ჯაფარიძე 100-კილოგრამიან გრივს ვარაუდობს XIII-XIV საუკუნეებისათვის, ხოლო XI-XII საუკუნეებში გრივის წონას არ ასახელებს. გრივის მოცულობის დასადგენად, ავტორი სულხან-საბა ორბელიანის იმ ცნობას ეყრდნობა, რაც მას სამცხესა და გურიაში მოუპოვებია და, რომლის მიხედვითაც, გრივის დაყოფა საქართველოში ათობით პრინციპს ემყარებოდა. გ. ჯაფარიძე ამ ცნობაზე დაყრდნობით და ირანში გრივის 10 კაფიზად დაყოფის პრინციპის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ საქართველოში გრივი 10 კაბიწს შეიცავდა.[93] რაც შეეხება კაბიწს, ავტორი აღნიშნავს, რომ 24-ლიტრიანი კაბიწის არსებობა უნდა გამოირიცხოს და ის ტრადიციულად, 10-ლიტრიანად უნდა მივიჩნიოთ, რაც XIII-XIV საუკუნეებში 10 კგ.-ის ტოლფასია.[94] როგორც ვხედავთ, გრივის ზომა ლიტრის სისტემაზე იყო დამყარებული. ლიტრა კი იმავე ნაშრომში მოცემული ვრცელი გამოკვლევის მიხედვით, IX საუკუნიდან, სულ მცირე, XIII საუკუნის დასაწყისამდე, 406,25 გრამს იწონიდა, ხოლო მანამდე, ისევე როგორც თანადროულ ბიზანტიაში – 327,45 გრამს. მხოლოდ XIII საუკუნიდან იზრდება ლიტრის წონა დაახლ. 1 კილოგრამამდე.[95] ამდენად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კაბიწს გ. ჯაფარიძე 10-ლიტრიანად მიიჩნევს, ხოლო გრივს 10-კაბიწიანად, ლიტრის 406,25 გრამის პირობებში, XI საუკუნეში გრივის ზომად ჩაითვლება 40,625 კგ. (0,40625X10X10=40,625).

როგორც აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილი გრივის წონას 32,745 კილოგრამით განსაზღვრავდა. მისი ამოსავალი იყო, ასევე 10-კაბიწიანი გრივის სისტემა 10-ლიტრიანი კაბიწის გათვალისწინებით, თუმცა ლიტრის წონად ის მიიჩნევდა მის თავდაპირველ ბიზანტიურ მოცულობას – 327,45 გრამს (0,32745X10X10=32,745).

თუ გრივის მოცულობად მივიჩნევთ 40,625 კგ.-ს, მაშინ 3 გრივი ხორბალი ყოფილა დაახლ. 122 კგ. და მისი ფასი, ჩვენი დაანგარიშებით, 60-66 გრამი ვერცხლი გამოდის, ხოლო 1 კილოგრამის – 0,49-0,54 გრამი ვერცხლი. მოცემული ფასი ძალიან მაღალია, რაც გამოთვლის სიზუსტეში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა. როგორც ზემოთ ითქვა, XI საუკუნეში უდიდეს ქალაქებში – კონსტანტინოპოლსა და ბაღდადში – საშუალოდ, 150 კგ. ხორბლის ფასი 1 ოქრო იყო, ვერცხლით კი (ოქროს და ვერცხლის 1:13, 1:14 შეფარდებით) – 1 კგ. დაახლ. 0,27 გრამი. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაშიც 2 ფუნტი (960 გრ.) პური ღირდა 1/4 ინგლისური პენი. პენის წონა იყო 1,3 გრამი,[96] ხოლო მეოთხედი პენის – 0,325. როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში 1 კგ. პურის ფასი საშუალოდ, 0,32 გრამი

[92] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 84.
[93] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 83-84.
[94] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 92-93.
[95] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 48-61.
[96] Jeffrey L. Singman. The Middle Ages: Everyday Life in Medieval Eupope. New York, 2013, გვ. 68-69.

ვერცხლი იყო. ამდენად, ალოგიკურად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ხორბალი ჩამოთვლილ ქვეყნებში არსებულ ფასზე ორჯერ ძვირი იქნებოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ იმ დროს რაიმე მიზეზის გამო, ქვეყანაში ხორბლის დეფიციტი შეიქმნა, რამაც მისი ფასი მკვეთრად გაზარდა, თუმცა ასეთი არაორდინალური შემთხვევა აუცილებლად აღინიშნებოდა დოკუმენტში – მონასტრის წინამძღვრის მიერ შედგენილი საბუთის მიზანი ხომ მისი გაწეული საქმის აღნუსხვა იყო და, შესაბამისად, მსგავს ვითარებაში ხორბლით რაიმეს შეძენისას აუცილებლად აღნიშნავდა მის განსაკუთრებულ სიძვირეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გადასახედია გრივის მოცემული წონა. გრივის 40,625 კილოგრამით განსაზღვრის შემთხვევაში ფასთან შეუსაბამობას რომ არ მივაქციოთ ყურადღება, რთულად ასახსნელია, ასევე ყანის 122 კგ. ხორბლით ყიდვის ფაქტი. ყანა ეჭვგარეშეა, რომ მინიმუმ ერთ დღიურ მიწას მაინც მოიცავდა. როგორც უკვე აღინიშნა, გვიანდელი პერიოდის საქართველოში ვახტანგ VI-ის შედგენილი დასტურლამალის მიხედვით, ერთ დღიურ მიწაზე ითესებოდა 2,5 კოდი, ანუ 75 კგ. ხორბალი, ხოლო მოსავალი საშუალოდ, რვაჯერადი იყო[97] და იღებდნენ 600 კილოგრამამდე. იმ პერიოდში, თუნდაც ნაკლები მოსავლიანობა ყოფილიყო, ყანიდან 300-400 კგ. ხორბლის მოწევა მაინც იქნებოდა შესაძლებელი. ამდენად, ფასის მიუხედავად, სრულებით ალოგიკურად მიგვაჩნია ყანის საფასურად 122 კილოგრამი ხორბლის გადახდა. ამ რაოდენობაზე მცირედით ნაკლები ხორბალი ხომ ყანის დათესვისათვის გამოიყენებოდა, ხოლო ერთი წლის განმავლობაში, იმავე ყანიდან 122 კილოგრამზე მინიმუმ სამჯერ მეტი მოსავალის მიღება შეიძლებოდა. ერთი სიტყვით, არარეალურად მიგვაჩნია ფეოდალურ ეპოქაში ასეთი მცირე რაოდენობის ხორბლის საფასურად მიწის რაიმე ფორმით შეძენა.

ჩვენი აზრით, გრივის 40-კილოგრამიანი ტევადობის საპირისპიროდ უნდა მეტყველებდეს X საუკუნის II ნახევრის ოშკის სააღმშენებლო წარწერა. წარწერაში აღნიშნულია, რომ მშენებლობაზე წელიწადში სხვა პროდუქტებთან ერთად იხარჯებოდა „ხუარბალი გრივი სმი“, ანუ 250. იმავე წარწერიდან ჩანს, რომ მშენებლობაზე მუშაობდა მინიმუმ 150 ადამიანი – „გალატოზი და ხუროჲ და მჭედელი ჲი (70)“, ასევე „(ყოველი) ერი და მოქმედი პ (80)“.[98] 40,625-კილოგრამიანი გრივის ანგარიშით ერთ წელიწადში ოშკის მშენებლობაზე დახარჯულა 10 156 კგ. ხორბალი (250X40,625=10156). თუ ჩავთვლით, რომ აქტიური სამშენებლო სამუშაოები ზამთრის ყინვებისა და კვირის უქმე დღის გათვალისწინებით, წელიწადში 250 დღე გრძელდებოდა, 150 ადამიანის გამოსაკვებად დღეში დახარჯულა 40,624 კგ. ხორბალი, ანუ ერთი ადამიანისათვის განკუთვნილი ყოფილა დღეში 270 გრამი. ეს მონაცემი კი რეალობასთან შეუსაბამოა. როგორც ზემოთ გავარკვიეთ, ძველ საქართველოში ერთი ადამიანის გამოსაკვებად, დღეში მინიმუმ 1 კგ. ხორბალი ყოფილა საჭირო. ასევე დიდია ალბათობა, რომ ოშკის წარწერაში მოხსენებული ხორბლის ოდენობა განკუთვნილი ყოფილიყო მხოლოდ ხელოსნების (გალატოზებისა და ხუროებისათვის) კვებისათვის და მშენებლობაზე მომუშავე დასახელებული 80 ადამიანი, „ერი და მოქმედი“ ბეგარის გადამხდელი გლეხები ყოფილიყვნენ, რომლებიც საკუთარი საკვებით იკვებებოდნენ. ასეთ შემთხვევაშიც კი შეუძლებელია 10 156 კგ.

[97] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 379.
[98] ე. თაყაიშვილი. თხზულებანი. 1. თბ. 2016, გვ. 337-338.

ხორბალი საკმარისი ყოფილიყო, რადგან 70 ხელოსნის დღიური ნორმა გამოდის არა 1-1,2 კგ., არამედ 580 გრამი. ამდენად, ოშკის წარწერის მიხედვით, შეუძლებელია გრივის წონა 40 კილოგრამის ფარგლებში ყოფილიყო. ამ შემთხვევაში უფრო ლოგიკურია გრივის 100-კილოგრამიან საწყაოდ მიჩნევა.

„განგებაჲ ვაჰანის ქუაბთაჲ“ გრივის მოცულობასთან დაკავშირებით, ასევე იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას. აქ აღნიშნულია, რომ მოძღვარს უნდა მიეცეს 8 გრივი პური, 4 გრივი წმინდა, 4 ქრთილი, იკონომოსს – 6 (3 წმინდა და 3 ქრთილი), „ხოლო უთავადესთა ძმათა“ – 3 გრივი (2 წმინდა და 1 ქრთილი).[99] ამ ცნობების მიხედვით, XIII საუკუნის დასაწყისში გრივის წონას 100 კილოგრამზე ნაკლებად ვერ განვსაზღვრავთ, რადგან „უთავადესთა ძმათათვის“ მისაცემი ხორბალი, ერთი ადამიანის დღიური ნორმის გათვალისწინებით, 300 კილოგრამზე ნაკლები ვერ იქნებოდა. ლოგიკასთან ახლოსაა, რომ XI საუკუნეშიც გრივი 100 კილოგრამის ფარგლებში ვივარაუდოთ.

ამ შემთხვევაში საინტერესოა ს. კაკაბაძისეული კაბიწის განსაზღვრება. ავტორი აღნიშნავს: „რკონის სიგელის მიხედვით საგულისხმებელია, რომ მე-13 საუკ. ნახევარში ქართლში კაბიწი მარცვლეულობის დაახლოვებით ისეთივე საზომი იყო, როგორც კოკა სითხისათვის: „კოკაი და კაბიწი ყოველი გამოწყული იყოს და ეგრე წაიგებოდეს“-ო... კოკა ამ ხანებში შიდა-ქართლში რკონის სიგელისავე მიხედვით, 24-ლიტრიანი იგულისხმებოდა... თუ კაბიწი მარცვლეულობისათვის დაახლოვებით სითხის საზომი ერთეულის კოკის შესატყვისი იყო (როგორც შემდეგ ვნახავთ, კოკა და კოდი დაახლოებით ერთნაირი რაოდენობის ლიტრას შეიცავდნენ), მაშინ მივიღებდით კაბიწსაც მე-13 საუკ. ნახევარში შიდა-ქართლში 24 ლიტრის მოცულობისად“.[100] აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს გ. ჯაფარიძე. ის მიუთითებს, რომ ს. კაკაბაძის არგუმენტი, თითქოს, კოკა და კაბიწის შემცვლელი კოდი დაახლოებით ერთი სიდიდის იყო, არასწორია. წყაროებზე დაყრდნობით კოკა 8-24-ლიტრიანია, მაშინ, როდესაც გვიანდელი კოდი 8-12-ლიტრიანი. 1524 წლის დავით მეფის სიგელზე დაყრდნობით, რომელშიც კაფიზი 10 ლიტრით განისაზღვრება, გ. ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ კაბიწი ტრადიციულად 10-ლიტრიანი იქნებოდა წინა საუკუნეებშიც.[101]

გ. ჯაფარიძე მართებულად აღნიშნავს, რომ კოკა და გვიანდელი კოდი, რომელიც კაბიწის შემცვლელია, ლიტრის ოდენობით ერთმანეთს არ ემთხვევა და 24-ლიტრიანი კოდი წყაროებით არ დასტურდება. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს ფაქტი არ გამორიცხავს იმას, რომ კოდის წინამორბედი კაბიწი ადრეულ ეპოქაში 24-ლიტრიანი ყოფილიყო. როგორც ზემოთ მოხმობილმა არგუმენტებმა გვიჩვენა, გრივის ოდენობა XI-XII საუკუნეებში 40,625 კგ. (10-ლიტრიანი კაბიწის გათვალისწინებით) ვერ იქნებდა და ლოგიკის მიხედვით, მისი მოცულობა 100 კგ.-ს უახლოვდება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მცირე ლიტრის პირობებში (406,25 გრამი) კაბიწი, ისევე როგორც კოკა, შედგებოდა 24 ლიტრისაგან. ამ მხრივ საინტერესოა ისიც, რომ რკონის დაწერილში აღნიშნულია: „ხუთი გრივი ხორბალი მიეცემოდეს ხოდაბუნთაგანვე, სეფითა

[99] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 141.

[100] ს. კაკაბაძე. ქართული მეტროლოგია. საისტორიო მოამბე. I. ტფ. 1925, გვ. 67-68.

[101] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 92-93.

კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) ჰისტამენონ ნომისმა. 20-22$^{1/2}$-კარატიანი ოქრო. 4,4 გრამი. ქართული ზედსახელით: დრაჰკანი კონსტანტინატი

დავით III კურაპალატის მონეტა ჭეშმარიტი ჯვრის გამოსახელებით (3,05-3,5 გრ. ვერცხლი)

გიორგი II-ის მონეტა ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულებით. II ემისია (1,21-2,03 გრ. ვერცხლი). დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

კაბიწითა“.[102] სავარაუდოდ, „სეფე კაბიწი“ სწორედ 24-ლიტრიანი იყო და იწონიდა დაახლ. 10 კგ.-ს. მოგვიანებით, ლიტრის ზრდასთან ერთად, როგორც ჩანს, იკლებდა კაბიწში ლიტრების ოდენობა და საბოლოოდ 10-ლიტრიანი კაბიწი XV-XVI საუკუნეებისათვის ნორმად იქცა. 24-ლიტრიანი კოდის არარსებობა, სავარაუდოდ, გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ კაბიწი კოდმა ჩაანაცვლა უკვე გაზრდილი ლიტრის პირობებში.

მოცემული მეტროლოგიური გათვლით, გრივის, ანუ 10 კაბიწის (24-ლიტრიანი) წონა XI საუკუნისათვის იქნებოდა დაახლ. 100 კილოგრამი (97.5 კგ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრივი 100 კილოგრამზე დიდი მოცულობის ვერ იქნებოდა, რადგან კოკის, ისევე როგორც კაბიწის, მაქსიმალური მოცულობა შეიძლება ყოფილიყო 24-ლიტრიანი – 24-ლიტრიანზე დიდი კოკა წყაროებში არ ჩანს, შესაბამისად, გამორიცხულია უფრო დიდი მოცულობის კაბიწის არსებობაც.

აღნიშნული მეტროლოგიური მონაცემის გათვალისწინებით (გრივი – დაახლ. 100 კგ.), ვიღებთ შემდეგ სურათს: 300 კილოგრამი ხორბლის ფასი გამოდის 2 დრაჰკანი კონსტანტატი ან 30-33 ადგილობრივი დრამა, რომლის ჯამური წონა უდრის 60-66 გრამ ვერცხლს.

ამდენად, მოცემული გამოთვლის მიხედვით, XI საუკუნის ბოლო მეოთხედში 1 კილოგრამი ხორბლის საშუალო ფასი გამოდის დაახლ. 0,20-0,22 გრამი ვერცხლი. შესაბამისად, იმ პერიოდში მოჭრილი ადგილობრივი 2-გრამიანი დრამით შესაძლებელი ყოფილა დაახლ. 9,5 კგ. ხორბლის შეძენა, ხოლო დავით III კურაპალატის (გარდ. 1001 წ.) მოჭრილი 3,05-3,5-გრამიანი ვერცლის დრამით დაახლ. 14,5-16,5 კგ.-ის.

როგორც აღინიშნა, მ. წურწუმია მიიჩნევს, რომ 150 კილოგრამი ხორბლის ფასი იყო 1 სრულფასოვანი ოქროს ნომისმა და ამ მაჩვენებლის სანდოობის არგუმენტად მოჰყავს კონსტანტინოპოლში, ბაღდადსა და პალესტინაში იმ დროს არსებული ფასები, რომლებიც ემთხვევა მის მიერ გამოთვლილ მონაცემს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დიდი ქალაქების პროდუქციით მომარაგების სირთულეებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებ-

[102] დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 149.

და სიძვირეს კონსტანტინოპოლისა და ბაღდადისაგან განსხვავებით, საქართველოში, როგორც ხორბლის მწარმოებელ ქვეყანაში, ლოგიკურია, რომ ფასი შედარებით დაბალი ყოფილიყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გვიანდელ ეპოქაშიც მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით საქართველოში ხორბალი გაცილებით იაფი ღირდა.

ჩვენი აზრით, XI საუკუნის მეორე ნახევარში რაჭის რეგიონში, სადაც წყაროებით დასტურდება სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგის ინტენსიური განვითარება, 1 კგ. ხორბლის ფასი განისაზღვრებოდა დაახლ. 0,21 გრამი ვერცხლით. შესაძლებელია, მისი ფასი აღმოსავლეთ საქართველში მცირედით ნაკლებიც ყოფილიყო, ხოლო ზღვისპირა რაიონებში – მაღალი. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება მოუსავლიანი წლები და „დიდი თურქობის“ თუ სხვა მასშტაბური საგარეო შემოსევების შედეგად შექმნილი რეალობა. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჩვენი გამოთვლა ბევრ პირობაზეა დამყარებული, რაც ხორბლის ფასის სიზუსტის ალბათობას ამცირებს, თუმცა მეზობელ ქვეყნებსა და ევროპაში არსებული ფასების გათვალისწინებით, დაახლოებით სურათს მაინც იძლევა.

XI საუკუნიდან XVI საუკუნემდე, ოთხი საუკუნის განმავლობაში, ხორბლის ფასთან დაკავშირებით პირდაპირი ცნობები არ გაგვაჩნია. XII საუკუნეში და XIII საუკუნის I მეოთხედის საქართველოს სამეფოს ქალაქების მოსახლეობის ზრდისა და, ზოგადად, ეკონომიკური წინსვლის ფონზე, შესაძლებელია ხორბლის გარკვეული გაძვირების დაშვება. თუმცა ასეთი დაშვების შემთხვევაშიც, საშუალო ფასი XI საუკუნეში დაფიქსირებული ფასისაგან მნიშვნელოვნად არ იქნებოდა განსხვავებული, რადგან ამ პერიოდის წყაროებში ხორბლის განსაკუთრებული გაძვირების, ან გაიაფების ფაქტები არ ფიქსირდება.

1125 წლის შემდგომ ხანებში ვითარება შეცვლილა. ჯალალ ედ-დინის შემოსევის (1225 წ.) ახლო ხანებში, როგორც აბუსერიძე ტბელის ნაწარმოებშია აღნიშნული, პურის სიძვირე ყოფილა: „ხოლო იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი და სიძჳრე პურისაჲ“.[103] როგორც ჩანს, ხვარაზმელთა შემოსევამ ქვეყანაში პურის დეფიციტი და სიძვირე გამოიწვია. ანალოგიური მდგომარეობა იქნებოდა მონღოლთა შემოსევის პირველ ხანებში, თუმცა ფასები, სავარაუდოდ, მალევე დარეგულიდრებოდა. ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს ღვინის ფასთან დაკავშირებით, რკონის დაწერილში არსებული ცნობა გვაძლევს. საბუთიდან ჩანს, რომ მონღოლთა ხარკის გამო, ქვეყანაში ფულის დეფიციტი შექმნილა. სავარაუდოდ, ამ პროცესმა პროდუქციის გაიაფება გამოიწვია, რადგან იმ დროს ღვინო საკმაოდ იაფი ყოფილა. ღვინო კი ყოველთვის ხორბალზე ძვირად ფასობდა.[104] ამდენად, 1260 წლის ახლო ხანებში ქვეყანაში პროდუქციის სიძვირე არ უნდა ყოფილიყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟამთააღმწერლის გადმოცემით, დავით VIII-ის აჯანყების დროს „...არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე... იქმნა პურისა მოკლება, ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად არცა დიდითა ფასითა. ესოდენ განძჳნდა შიმშილი, მძორსა არაწმიდასა ურიდოდ ჭამდეს. სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი და მინდორნი და ქალაქნი და სოფელნი მკუდრებითა,

[103] აბუსერიძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. თბ. 1941, გვ. 60.
[104] ღვინის ფასის შესახებ ქვემოთ.

ყრმანი მკუდართა დედათა ძუძუთა ლეშკთა სწოვდიან. და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს ქუეყანად ბექასსა, სადა-იგი იპოვებოდა პური სასყიდლად".[105] როგორც ვხედავთ, XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნის დასაწყისში ქართლში სამხედრო მოქმედებების გამო, ხორბლის დეფიციტი შექმნილა, რასაც ფასის ზრდა გამოუწვევია. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქვეყნის ერთ-ერთ რეგიონში არსებული დეფიციტის აღმოფხვრა მეორე რეგიონის დახმარებით მოხერხდა – „უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს ქუეყანად ბექასსა, სადა-იგი იპოვებოდა პური სასყიდლად". აღნიშნული ცნობიდან კარგად ჩანს სხვადასხვა დროს ქვეყნის შიგნით შექმნილი სასაქონლო კრიზისის დაძლევის გზები.

XIV-XV საუკუნეებში ხორბლის გაძვირების ან გაიაფების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ თემურ-ლენგის შემოსევები და გამუდმებული სამხედრო კამპანიები დროდადრო პროდუქციის დეფიციტს გამოიწვევდა.

ხორბლის ფასი XVI-XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

XVI საუკუნიდან ხორბლის ფასების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ოსმალური დავთრები. ჩვენ ამჯერად, ძირითადად, ყურადღებას გავამახვილებთ სამ მათგანზე: I. 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე,[106] II. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე (1595 წ.)[107] და III. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარზე.[108] ასევე, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის შემცველია ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის შესახებ.[109]

ეს სამი დავთარი და დოკუმენტურ წყაროებში მოცემული ცნობები ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის XVI, XVII და XVIII საუკუნის I მესამედის საქართველოში არსებულ ხორბლის ფასზე.

პირველი დავთრის შედგენა დასრულებულა 1574 წლის 23 მარტს.[110] დავთარში ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის აღწერის შემდგომ, მოცემულია გადასახადები და მითითებულია არა მხოლოდ ნატურალური პროდუქტის ოდენობა, არამედ მისი ფასიც. მაგ.: „სოფელი ზემო და ქვემო სიმურდუნი ექვემდებარება ჩრდილს". შემდეგ ჩამოთვლილია სოფლის მამაკაცების რაოდენობა, ბოლოს კი მიწერილია გადასახადები. მაგ.:

„ისფენჯი 26 კაცი 650

---

[105] ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 641.

[106] 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი.

[107] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. II. თბ. 1941.

[108] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. თბ. 2009; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. II. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. თბ. 2010.

[109] ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 1982; XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. I. თბ. 1987.

[110] 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 12.

ხორბალი ქილა 100, ახჩა 800

ქერი 80 ქილა ახჩა 480...".[111]

როგორც ვხედავთ, ერთი ქილა ხორბლის ფასია 8 ახჩა (800 ახჩა/100 ქილა=8 ახჩა), ქერის – 6. 6 ახჩით განისაზღვრება ჭვავისა და ფეტვის ფასიც. თუმცა დავთრის საწყის ნაწილში 1 ქილა ხორბლის ფასად 7 ახჩაა მითითებული, ქერის, ჭვავის და ფეტვის კი – 5 ახჩა. დავთარში შესულია სულ ოთხი ლივა: თორთუმის, ოლთისის, დიდი არტაანის და არტანუჯის. შესაბამისად, თორთუმის ლივაში ქილა ხორბლის ფასია 7 ახჩა, ხოლო დანარჩენ ლივებში – 8 ახჩა. ჩვენი აზრით, სხვაობა განაპირობა ახჩის წონის შემცირებამ, სავარაუდოდ, აღწერის დაწყებისას, ახჩას სხვა წონა ჰქონდა, ხოლო მოგვიანებით – მცირედით შემცირდა. მართლაც, სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ახჩის წონა XVI საუკუნის მეორე ნახევარში ეტაპობრივად მცირდებოდა, რაც მოგვიანებითაც გაგრძელდა.[112]

მცირე სხვაობის მიუხედავად, 1 ქილა ხორბლის ფასად, 1574 წლისათვის 8 ახჩა უნდა ჩავთვალოთ, ხოლო ქერის, ფეტვის და ჭვავის – 6 ახჩა. სტამბულის ქილა იწონიდა 18-20 ოყას.[113] ოყა კი – 1,28 კგ.-ს.[114] ნ. შენგელია 1 ქილის საშუალო წონად 25 კგ.-ს მიიჩნევს.[115] თუმცა თუ დეტალურად დავიანგარიშებთ, ქილის წონა მცირე დამრგვალებით 24 კგ. გამოდის. სელიმ II-ის (1566-1574 წწ.) მოჭრილი ახჩას წონითი მაჩვენებლები მერყეობს 0,61-0,80 გრამებს შორის, ანუ საშუალოდ, 0,70 გრამი იყო.[116] აქედან გამომდინარე, 8 ახჩა იწონიდა დაახლ. 5,6 გრამ ვერცხლს (8X0,70=5,6), შესაბამისად, 1 კილოგრამი ხორბლის ფასი ყოფილა დაახლ. 0,23 გრამი ვერცხლი (5,6/24=0,233). 1 კგ. ქერის, ფეტვის და ჭვავის ფასი კი – 0,175 გრამი ვერცხლი.

1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში 1 ქილა ხორბლის ფასად ზოგ შემთხვევაში მითითებულია 12 ახჩა, სხვაგან კი – 10 ახჩა.[117] მ. სვანიძის დაკვირვებით, რომელმაც აღნიშნული დავთრის მიხედვით შეისწავლა XVI საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა და სხვა საკითხებთან ერთად შეეხო ხორბლის ფასსაც, ქილა ხორბალი ახალციხესა და პეტრეს ლივაში 12, ხოლო სხვაგან 10 ახჩა ღირდა.[118] მთლიანად რეგიონში ქილა ხორბლის ფასად 11 ახჩა უნდა მივიჩნიოთ. ახჩის წონა სელიმ II-ის შემდგომ მკვეთრად ეცემა. მურად III-ის (1574-1595 წწ.) მოჭრილი ახჩა საშუალოდ, 0,38 გრამს იწონიდა. შესაბამისად, ამ დავთარში 1 ქილა ხორბლის ახჩაში გამოხატული ფასის ზრდა გამოწვეული უნდა იყოს მისი წონის შემცირებით და არა პროდუქტის გაძვირებით. თუ ზუსტად დავიანგარიშებთ, ვნახავთ, რომ ხორბლის ფასი შემცირებულიც კი არის. 1595 წლისათვის 11 ახჩა იწო-

---

[111] 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 145-146.

[112] იხ.: მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. თბ. 1982.

[113] 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 66; XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, გვ. 285.

[114] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 73.

[115] 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 66; XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, გვ. 285.

[116] მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 39.

[117] იხ.: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. II.

[118] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 18.

ნიდა დაახლ. 4,2 გრამს, რის მიხედვითაც, 1 კგ. ხორბლის ფასი გამოდის 0,17 გრამი ვერცხლი (11X0,38=4,18; 4,18/24=0,174). ჩვენი აზრით, იმ რთულ ეპოქაში, რომლის თანმდევი პროცესია სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის წარმოებული ბრძოლები ოსმალეთის ოკუპაციის წინააღმდეგ, ხორბალი ასე მკვეთრად ვერ გაიაფდებოდა და ფასის სიმცირის მიზეზი უფრო ახჩის ცვალებად კურსში უნდა ვეძებოთ. სავარაუდოდ, ხორბლის რეალური ფასი, 1574 წლის მსგავსად, 20 წლის შემდეგაც 0,20-0,23 გრამის არეალში იქნებოდა. დიდი ალბათობით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული ფასის იდენტური იქნებოდა იმავე ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ფასიც, რადგან ორივე რეგიონში პურეული კულტურა წამყვანი იყო. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ფასი, სავარაუდოდ, მაღალი იქნებოდა.

ამავე დავთრის მიხედვით, 1 ქილა ქერი, ფეტვი და ჭვავი საშუალოდ, 9 ახჩა ღირდა.[119]

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ოსმალურ დავთრებში მოცემული ფასები არ შეესაბამებოდა რეალურ ღირებულებას და დაწესებული იყო ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით დადგენილი ფასები. თუმცა ეს ასე არ არის – 1595 წლის ახლო ხანებში საკუთრივ ოსმალეთში ქილა ხორბალი 20-30 ახჩა ღირდა, მანამდე 80-იან წლებში – 10-12 ახჩა; სტამბულში 1586 წელს ღირდა 23-24 ახჩა, ხოლო 1585-1588 წლებში უნგრეთში (სცეგლედის ოლქში) – 50 პენზე, ანუ 25 ახჩა.[120] როგორც ჩანს, XVI საუკუნეში, ისევე როგორც XI საუკუნეში, საქართველოში მეზობელ რეგიონებთან შედარებით, ხორბალი იაფი ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნიდან ევროპაში ვხვდებით „ფასების რევოლუციას“, ანუ ფულის გაუფასურების პროცესს, რასაც პროდუქციაზე ფასების მატება მოჰყვა. ამ პროცესს ბიძგი მისცა ამერიკული კოლონიებიდან დიდი რაოდენობით ოქროსა და ვერცხლის ევროპაში შეტანამ.[121] როგორც ვნახეთ, საქართველოში XVI საუკუნეში ფასების მატება არ ფიქსირდება. სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოში, სადაც სახეზეა მთელი რიგი პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემები, ევროპაში მიმდინარე მოვლენებს გავლენა არ მოუხდენია.

XVII საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხორბლის ფასი იზრდება. 1677 წელს ახალციხის ციხეში მდგომი ჯარისკაცებისათვის კუთვნილი ხორბლის შესასყიდად ქილის ფასად მითითებულია 40 ახჩა.[122] ქილის ფასი, 1685/1686 წელს ახალციხესა და არტაანშიც 40 ახჩაა.[123] XVII საუკუნის 70-80-იან წლებში ახჩა იწონიდა 0,23 გრამს.[124] 40 ახჩა – 9,2 გრამს. შესაბამისად, 1 კგ. ხორბლის ფასი გამოდის 0,38 გრამი ვერცხლი. საქმე ისაა, რომ XVII საუკუნეში ახჩის წონა შეუქცევადად მცირდებოდა. ამ პროცესმა სხვა ფაქტორებთან ერთად, პროდუქციაზე ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. მათ შორის, ხორბალი გაძვირდა 10-ჯერ. დასავლეთ ანატოლიაში 1603 წელს

[119] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 18-31.

[120] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 18.

[121] გ. კუტალია, ე. მამისთვალიშვილი, ნ. კალანდია. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორია. თბ. 2015, გვ. 34.

[122] XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. I, გვ. 43.

[123] XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. I, გვ. 46, 195.

[124] An Economic and Social History of the Ottoman Empire. Edited by Halil Inalcik with Donald Quataert. Volume 2: 1600-1914. Cambridge, 1994, გვ. 963.

თუ ქილა ხორბალი ღირდა 50 ახჩა, 1604 წელს მისმა ფასმა მიაღწია 120 ახჩას. 1608 წელს კაისერში ქილა ხორბალი იყიდებოდა 320 ახჩად. 1641 წელს ქილა ფქვილის საბაზრო ფასი იყო 100 ახჩა, სახელმწიფო კი 50-60 ახჩად ყიდულობდა.[125] როგორც ვხედავთ, XVII საუკუნის ოსმალეთში ხორბლის ფასი მკვეთრად გაიზარდა. როგორც ჩანს, ამ ფაქტორმა იმოქმედა ოსმალეთის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, რის შედეგადაც, სახეზე გვაქვს რეგიონში ფასების ზრდა. მართალია, ხორბლის ფასი ისე არ გაზრდილა ახალციხე-არტაანის მიმდებარე რაიონებში, როგორც დასავლეთ ანატოლიაში და, ზოგადად, ოსმალეთის უმეტეს ტერიტორიაზე, თუმცა, როგორც ვნახეთ, კილოგრამი ხორბლის ფასი 0,20-0,23 გრამი ვერცხლიდან 0,38 გრამ ვერცხლამდე ავიდა.

რადგან ახალციხის საფაშოში არსებულ ფასებს განვიხილავთ, აქვე მოკლედ შევეხებით XVIII საუკუნის ვითარებასაც. 1716/1717 წელს ქილა ხორბალი 40 ახჩა ღირდა, ხოლო 1718 წელს – 48 ახჩა, 1719 წლიდან კი ისევ – 40 ახჩა. ქილა ხორბალი 40 ახჩა ღირს 1725, 1730, 1731, 1733 წლებშიც.[126] ამ პერიოდში სულთან აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) მოჭრილი ახჩების წონითი სტანდარტი 0,19-0,32 გრამზე მოდის, სინჯი – 68-70%.[127] მონეტების საშუალო წონა არის 0,25-0,26 გრამი. 1 კგ. ხორბლის ფასი XVIII საუკუნის I მესამედში 0,42 გრამი ვერცხლი ყოფილა, ხოლო 1718 წელს დროებით 0,51 გრამამდე გაძვირებულა. 1750/1751 წელს ახალციხეში ჯარისკაცების საკვების შესაძენად 1 ქილა ხორბალში კვლავ 40 ახჩა იყო გათვალისწინებული.[128] აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1750-1760-იან წლებში ახჩის წონა აჰმედ III-ის მოჭრილ მონეტებთან შედარებით, იკლებს, რაც ახალციხეში ხორბლის გაიაფებაზე მიუთითებს. 1768-1770 წლებში ქილა ხორბლის ფასად მითითებულია, ასევე 40 ახჩა.[129] სულთან მუსტაფა III-ის (1757-1774 წწ.) მოჭრილი ახჩების წონა მკვეთრად შემცირებულია და 1 ყურუში თუ XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის 120 ახჩას შეადგენდა,[130] იმავე დოკუმენტში, რომლებშიც 1768-1770 წლებში ხორბლის ფასია მოცემული, აღნიშნულია, რომ „თითოეული ყურუში 160 ახჩაა“. ახჩის წონა 0,12 გრამამდე ჩამოდის.[131] ამ მონაცემის მიხედვით, საუკუნის პირველ მესამედთან შედარებით, 1770 წლის ახლო ხანებისათვის ხორბალი 2-ჯერ გაიაფებულა. თუმცა აქ შესაძლებელია საქმე გვქონდეს არა ხორბლის საბაზრო ფასთან, არამედ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ შესასყიდ ღირებულებასთან. მიუხედავად ამისა, ახალციხის საფაშოში XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ხორბლის გაიაფების ტენდენცია აშკარაა.

---

[125] А. Д. Новичев. История Турции. Том 1. Эпоха феодализма (XI-XVIII вв.). Ленинград, 1963, გვ. 121-122.

[126] XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. I, გვ. 195, 196, 207, 215, 230, 232.

[127] იხ.: მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 75.

[128] XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. I, გვ. 242-243.

[129] XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. I, გვ. 252.

[130] მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 75.

[131] მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 75.

ხორბლის ფასი აღმოსავლეთ საქართველოში XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I მესამედში

მივუბრუნდეთ ხორბლის ფასის XVII საუკუნის მონაცემებს. ახალციხის საფაშოში ხორბლის გაძვირების მიუხედავად, ქართლში განსხვავებული მდგომარეობა იკვეთება. მართალია, პირდაპირი ცნობა ფასთან დაკავშირებით არ მოგვეპოვება, მაგრამ გარკვეული წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია. ჟან შარდენი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1670-იან წლებში, აღმოსავლეთ საქართველოს ნაყოფიერ ქვეყანას უწოდებს. მისი შეფასებით, „ცხოვრება აქ კარგად და იაფად შეიძლება."[132] შარდენი ქართლში პროდუქციის სიიაფის საჩვენებლად, ღვინის ფასს ასახელებს: „ერთი ცხენის საპალნე, რომელიც წონით სამას ფუნტს უდრის, მხოლოდ და მხოლოდ რვა ფრანკი ღირს... ყველა დანარჩენი სურსათი ამის შესაბამისი".[133] როგორც ჩანს, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში ხორბალი საკმაოდ იაფი ღირდა და, სავარაუდოდ, XVI საუკუნის ნიშნულზე იყო – კილოგრამი 0,20-0,23 გრამი ვერცხლის არეალში.

XVIII საუკუნის I მესამედის აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლის ფასის შესახებ ცნობებს ვხვდებით 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში, რომელშიც 1 ქილა ხორბლის ღირებულებად განსაზღვრულია 20 ახჩა.[134] როგორც აღინიშნა, ამ დროს ახჩის საშუალო წონაა 0,25-0,26 გრამი. 20 ახჩა იწონიდა 5,1 გრამს, ხოლო 1 კგ. ხორბალის ფასი იყო 0,21 გრამი ვერცხლი (5,1/24=0,212). როგორც ვხედავთ, ოსმალეთში მიმდინარე ფასების ზრდის პროცესს გავლენა არ მოუხდენია აღმოსავლეთ საქართველოზე და ხორბლის ფასი საკმაოდ დაბალია.

ს. კაკაბაძემ ნაშრომში „ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის...", ყურადღება მიაქცია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში არსებულ ცნობას ხორბლის ფასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც, მან 1 კოდი ხორბლის საშუალო ფასად მიიჩნია 1,5 შაური.[135] თუ აღნიშნულ მოსაზრებას დავეყრდნობით, XVIII საუკუნის დასაწყისში 1 კოდის, ანუ 30 კგ. ხორბლის[136] ფასი ყოფილა 2,55/2,7 გრამი ვერცხლი (შაურის წონა 1604/1605-1717 წლებისათვის უდრიდა დაახლ. 1,7-1,8 გრამს[137]), ხოლო 1 კგ. ხორბლის ღირებულება გამოდის 0,085/0,09 გრამი ვერცხლი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთი დაბალი ფასი არარეალურად გვეჩვენება. მართლაც, ვახტანგის სამართლის წიგნის შესაბამისი მუხლების დეტალური ანალიზი კაკაბაძისეულ ხორბლის ფასის განსაზღვრის სისწორეში გარკვეულ ეჭვს აჩენს. ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია 129-ე მუხლშია მოცემული. თუმცა მანამდე 126-ე მუხლი ეხება პურის, ანუ ხორბლის

---

[132] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 296.

[133] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 297.

[134] იხ.: 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. I; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. II.

[135] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის საქართველოში მე-13 – მე-17 საუკ. საისტორიო მოამბე. I. ტფ. 1925, გვ. 49.

[136] 10-ლიტრიანი კოდი იმ პერიოდში 30 კგ.-ს იწონიდა, რადგან ლიტრის ტევადობა 3 კგ.-ს უდრიდა. იხ.: გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 58-60, 96-100.

[137] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV. ოსმალები, ირანელები და რუსები. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XVII საუკუნის-XVIII საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში. ავტორები: თ. დუნდუა, გ. დუნდუა. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ფიფია, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 8-22; 78-90.

ვალად მიცემის შემთხვევაში სარგებლის ოდენობას: „პური სამართლიანად ათი თორმეტად, მაგრამე, თუ უღმ[რ]თოობა ქნას კაცმან, ათი თხუთმეტად კარგია. ამის ზეით არ უნდა მიაცემინონ. თუ პურის ძვირობა იყოს, რომ კოდი ან ათშაურად, ან ორ აბაზათ, ან სამ აბაზათ იყოს, მაშინ ერთიორათაც მიეცემის. ქერისა და ფეტვისა – ასრე და მგზავსად ამისა“.[138]

1604/1605-1717 წლებში თბილისში მოჭრილი აბაზი (დაახლ. 7,5 გრ. ვერცხლი)

როგორც ვხედავთ, სიძვირის პირობებში, 1 კოდი ხორბლის ფასი შეიძლება ყოფილიყო 10 შაური (2,5 აბაზი, დაახლ. 18 გრ. ვერცხლი), 2 ან 3 აბაზი. აბაზის წონა იმ დროს შეადგენდა 7,5 გრ. ვერცხლს,[139] ანუ სიძვირის პირობებში 1 კგ. ხორბლის ფასი, ვახტანგის სამართლის მიხედვით, მერყეობდა 0,5-0,75 გრ. ვერცხლის არეალში.

რაც შეეხება 129-ე მუხლს, რომლის სათაურია „პურზე თეთრის გაცემა“, აღნიშნულია: „თეთრად მარჩილი რომ მისცეს პურზედა, იმისი სარგებელი წელიწადში ერთი კოდი და ნახევარი კმარა; და თუ გამცემმა სულს პური არჩიოს, ორი კოდი კმარა; თუ არა ქნას და კიდევ უფრო სული გმოს, სამი კოდი გამოართვას. ეს ამიტომ რომ, იქნების, პური კოდი შაურნეხევრად იყოს, და, იქნების, უფრო ძვირად და გინა იაფად, – იმავ ათი თორმეტსა, გინა მცირედ, უფროსზე წავა“.[140]

119-ე და 128-ე მუხლებში კანონმდებელი საგანგებოდ აღნიშნავს: „მარჩილის თავს წელიწადში ერთი აბაზი სარგებელი მოსცენ“, „მარჩილი წლამდინ აბაზს მოიგებს“.[141] 129-ე მუხლში კი, სწორედ მარჩილის (3 აბაზის) სესხების პირობებში ხორბლით პროცენტის გასტუმრებაზეა საუბარი, რომელშიც კანონმდებელს მიღებულ ნორმად 1,5 კოდი ხორბლის გადახდა დაუდგენია. ამ მოცემულობით, 1,5 კოდი, ანუ 45 კგ. ხორბალი მინიმუმ 1 აბაზი ღირდა, ანუ 1 კგ. ხორბლის ფასი ყოფილა დაახლ. 0,17 გრამი ვერცხლი. რაც შეეხება განმარტებას: „იქნების, პური კოდი შაურნახევრად იყოს, და, იქნების, უფრო ძვირად გინა იაფად“, აქ კანონმდებელი, როგორც ჩანს, გამონაკლის შემთხვევას ითვალისწინებდა და მიუთითებდა იმგვარ ვითარებაზე, როდესაც ხორბალი ძალიან იაფი ეღირებოდა. ხორბლის მსგავსი გაიაფების შემთხვევაში, შესაძლებელი ყოფილა მარჩილზე 2 ან 3 კოდის სარგებელში აღებაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „გამცემმა სულს პური არჩიოს“ და „კიდევ უფრო სული გმოს“. კონტექსტიდან ჩანს, რომ ასეთი გამონაკლისი ძალზე იშვიათად იყო. შესაბამისად, 1,5 შაური უნდა ჩაითვალოს არა ხორბლის საშუალო ფასად, არამედ იშვიათ გამონაკლისად.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: XVIII საუკუნის დასაწყისში (სამართლის წიგნთა კრებული შედგენილია 1705-1708 წწ.) 1,5 კოდის საშუალო ფასი ყოფილა 1 აბაზი (1 კილოგრამი – 0,17 გრამი

[138] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 514.
[139] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV, გვ. 8-22; 78-90.
[140] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 514.
[141] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 513-514.

ვერცხლი), სიძვირის პირობებში, მაქსიმუმ – 1 კოდი 3 აბაზი (1 კგ. კოლოგრამი – 0,75 გრამი ვერცხლი), ხოლო იშვიათ შემთხვევაში (ხორბლის განსაკუთრებული სიუხვის პირობებში) – 1 კოდი 1,5 შაური (1 კგ. კოლოგრამი – 0,09 გრამი ვერცხლი).

კოდი. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. ქიმ. 8168. B-1318

აქვე მოვიყვანთ XVIII საუკუნის I მეოთხედის კიდევ ერთ მონაცემს მარცვლეულის ფასთან დაკავშირებით. 1724 წლის 6 მარტს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში ვინმე შერმაზანა აღნიშნავდა: „...რაც ქერი უნდა წავიღო, კოდი ხუთ შაურათ უნდა ჩავაგდო...“.[142] როგორც ვხედავთ, 1724 წელს 1 კოდი ქერის ფასი იყო 5 შაური. ქერისა და ხორბლის ფასის შეფარდებიდან გამომდინარე, ხორბლის ფასი იქნებოდა 6-7 შაური. აბაზის წონა 1724 წლისთვის იყო დაახლ. 4,6 გრამი, შაურის – 1,15 გრამი.[143] აღნიშნული მონაცემებით, 1724 წლისათვის ხორბლის ფასი გაზრდილა და 1 კგ. ღირდა დაახლ. 0,25 გრამი ვერცხლი, ხოლო 1728 წლისათვის, როგორც ვნახეთ, კვლავ გაიაფებულა და კილოგრამის ფასი 0,21 გრამი ვერცხლი ყოფილა. უნდა ითქვას ისიც, რომ იმ პერიოდში მოჭრილი ახჩა შედარებით დაბალსინჯიანი იყო და, შესაძლებელია, აბაზებით ყიდვისას, 1 კგ. ხორბლის ფასი 1728 წლისთვის 0,21 გრამზე ნაკლებიც ყოფილიყო.

ხორბლის ფასი აღმოსავლეთ საქართველოში 1740-იან წლებში

XVIII საუკუნის 40-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლის ფასი მკვეთრად გაიზარდა. გაძვირება ნადირ-შაჰის (1736-1747 წწ.) პოლიტიკამ გამოიწვია, ვინაიდან დაღესტანში წარმოებული ბრძოლების დროს, ქართლიდან დიდი რაოდენობით ხორბალი მოითხოვა, რომლის ტრანსპორტირებაც ქართველებსვე ევალებოდათ. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, ერთდროულად, ქართლიდან ჯერ 3000 ურემზე დატვირთული ხორბალი წაუღიათ დაღესტანში, მოგვიანებით კი, 2000 მოუთხოვიათ. თითო ურემზე ორ-ორი ხარვალი, ანუ 200-200 ლიტრა ხორბალი დაუტვირთავთ. ვინაიდან ლიტრა იმ პერიოდში დაახლ. 3,3 კგ.-ს იტევდა, ერთ ურემზე დაუტვირთავთ 660 კგ. ხორბალი. აღნიშნული კამპანიის დროს, 5000 ურმით ქვეყნიდან გაუზიდავთ 3 300 000 კგ. ხორბალი. ნადირ-შაჰი ამით არ დაკმაყოფილებულა და, როგორც პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს, 1741 წელს ნადირ-შაჰის ბრძანებით, ქართლი აღუწერიათ და მოსახლეობა მძიმე გადასახადებით დაუხარკავთ. ამასთან ქართლის ყველა გადა-

[142] საქართველოს სიძველენი. ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1909, გვ. 321.
[143] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი. თბ. 2011, გვ. 106.

სახადის სანაცვლოდ შაჰს ხორბალი მოუთხოვია და ფასიც თავად დაუწესებია: „... რაც ქართლის ქვეყანას ჩემი ხარჯი აძევსო, იმისი სულ ლიტრა ერთ ბისტათ პური მამეციათო...“.[144] ნადირ-შაჰის დადგენილი ფასის მიხედვით, 1 კოდი ხორბლის ღირებულება გამოდის ერთი აბაზი (აბაზი 10 ბისტისაგან შედგებოდა).[145] წყაროებიდან ირკვევა, რომ ირანის შაჰმა საბაზრო ფასზე ნაკლებად შეაფასა ხორბალი, რათა გაზრდილი შემოსავალი მიეღო. ამავე დროს ყველა სახის, მათ შორის, ფულადი გადასახადის ხორბლით ჩანაცვლებას ითხოვდა. 1741-1742 წლები მოუსავლიანი ყოფილა, ამ დროს კი ნადირ შაჰს 3 000 000 ლიტრა, ანუ 10 000 000 კგ. ხორბალი მოუთხოვია.[146] იგივე ავტორი გადასახადის დაწესების შედეგებს ასე გადმოგვცემს: „ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ, თქვენმა მზემა, ბევრჯელ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდენ... თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვიდენ, თავისის ჴელით შვილებს აძლევდენ...“.[147] ამ ფაქტს თავის თავგადასავალში იასე ოსეს ძეც ეხება – „...აბაზად კოდი პური ითხოეს და ორ მინალთუნად (მინალთუნი შეიცავდა 5 აბაზს, 2 მინალთუნი – 10 აბაზს) გვასყიდინეს და ისე წაგვართვეს...“.[148] იესე ოსეს ძის ცნობის თანახმად, დაახლ. 33 კგ. ხორბლის ფასი ყოფილა 50 გრამი ვერცხლი (10 აბაზი), აქედან გამომდინარე, კილოგრამის ფასი გამოდის 1,5 გრამი ვერცხლი. როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, დიდი რაოდენობით ხორბლის გადასახადის და, მეორე მხრივ, დაწესებული დაბალი ფასის გამო, 1740-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში ხორბლის დეფიციტი შექმნილა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ნადირ-შაჰის დაწესებული ფასი (კოდი ხორბალი – 1 აბაზი) ხელოვნური იყო და არ შეესაბამებოდა რეალობას. ამ მოვლენას ხორბალზე ფასების მატება გამოუწვევია. 1741 წელს გორჯასპი თუმანიშვილის „ხარჯის ნუსხაში“ აღნიშნულია: „ჩვენ, თუმანიშვილებს, სურსათი გვთხოვეს და სულ ქართლს რამდონიც თუმანი მალუჯათი გვეწერა, თუმანზე ხუთი ხარვარი ქერი და პური გამოგვართვეს... ხარვარი ორ მინალთუნათ რომ პური და ქერი გამოგვართვეს... ერთი ხარვარი ას ლიტრას ჰქვიან. რაც ვიშოვეთ პური და ქერი მივეცით და რაც პური და ქერი ვერ ვიშოვეთ, ხარვარზე შვიდი მინალთუნი თეთრი გამოგვართვეს“.[149] თუმანიშვილის განცხადებით, 1 ხარვალი, ანუ 10 კოდი ხორბალი, იანგარიშებოდა 7 მინალთუნად (35 აბაზად). 1 კოდის ფასი კი ამ შემთხვევაში 3,5 აბაზი გამოდის. იმავე ხანებში 15 კოდი ხორბალი 9 მინალთუნად იყიდებოდა,[150] ანუ 1 კოდი – 3 აბაზად.

---

[144] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1981, გვ. 48, 101.

[145] თბილისის ზარაფხანაში 1736 წელს მოიჭრა 5,44-გრამიანი აბაზები, ხოლო 1737/1738 წელს 4,66-გრამიანი. შესაბამისად, აბაზის საშუალო წონა ამ დროს დაახლ. 5 გრამი იყო. თ. ქუთელია. თბილისის ზარაფხანა 1736-1757 წლებში (ვერცხლის ფული). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXV-B. თბ. 1981, გვ. 43-47.

[146] აღნიშნულ წლებში მოუსავლიანობასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში არ შედიოდა ყაზახ-ბორჩალო და სხვა სამხრეთის პროვინციები, სადაც დიდი ოდენობით ხორბალი მოდიოდა. 1742 წელს კი შაჰმა კახეთი გაათავისუფლა ხარკისაგან. ამდენად, დასახელებული გადასახადი მხოლოდ ქართლს უნდა გაეღო, რასაც აჯანყებები მოჰყვა.

[147] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 48-49, 102.

[148] ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა. ტფ. 1913, გვ. 8.

[149] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1955, გვ. 51.

[150] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 53.

ერთი სიტყვით, 5-გრამიანი აბაზის კვალობაზე, ქართლში 1 კოდი, ანუ 33 კილოგრამი ხორბალი 13,5-15,75 გრამი ვერცხლი ღირდა. გამოდის, რომ 1740-იან წლებში 1 კგ. ხორბლის ფასი გამხდარა 0,40-0,48 გრამი ვერცხლი. რიგ შემთხვევაში კი, 1,5 გრამი ვერცხლი ღირდა. შესაძლებელია, იესე ოსეს ძე გადაჭარბებულ მონაცემს გვისახელებს, თუმცა ფაქტია, რომ ამ პერიოდში ხორბალი განსაკუთრებულად გაძვირებულა.

იმავე ეპოქის საბუთში, რომელსაც კონკრეტული თარიღი არ გააჩნია და, ჩვენი ვარაუდით, ნადირ-შაჰის მძიმე გადასახადების დაწესებამდე უნდა იყოს შედგენილი, აღნიშნულია, რომ ერთი კოდი ხორბალი 5 შაური ღირდა.[151] სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით, 1 კოდი ხორბლის საბაზრო ფასი 1730-იან წლებში 1740-იანი წლების მოვლენებამდე დაახლ. 5-6 შაური იყო (1 კგ. ხორბალი – 0,20-0,25 გრამი ვერცხლი). ხოლო დამპყრობლის ფისკალური პოლიტიკის წყალობით, კონკრეტულ ეპოქაში ხორბლის ფასი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 40-იან წლებში 2-ჯერ, რიგ შემთხვევებში კი 5-ჯერ და მეტჯერაც გაძვირებულა.

„ყიზილბაშობის“ შემდგომ პერიოდში ხორბლის ფასი შედარებით დარეგულირებულა. 1749 წლის „ბერბუკის გალავნის და რუების კეთების დანახარჯის ანგარიშის“ მიხედვით, შიდა ქართლში 1 კოდი ხორბალი ღირდა 2 აბაზი.[152] 1749 წლისათვის თბილისის ზარაფხანაში, ისევე როგორც ირანის ქალაქებში მოჭრილი აბაზი იწონიდა დაახლ. 4,6 გრამს,[153] შესაბამისად, 1 კგ. ხორბალი წინა პერიოდთან შედარებით 0,27-0,28 გრამ ვერცხლამდე გაიაფებულა.

ხორბლის ფასი დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში

აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებულ სურათს ვხედავთ დასავლეთ საქართველოში. XV-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონებში ხორბლის გადასახადის ნაცვლად, ჩვენ ვხვდებით ღომის გადასახადს. მაგალითად, „საცაიშლოს გამოსავლის დავთარში“, რომელიც შედგენილია XVII საუკუნის I ნახევარში, ძირითადი მარცვლეული გადასახადია ღომი, ხოლო პურის გადასახადი ყველა ოჯახს არ ეკისრებოდა. ვისაც ევალებოდა პურის გამოღება, მხოლოდ მინიმალური ოდენობით – „მართებს ხუხუბიას შანიგიას 1 საკლავი, 1 ქათამი, მისი მარილი, 1 პური, 3 ლიჯი ღომი, 3 ფოხალი ღვინო და გოჭკუმური მისის ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, სამრხოთა, რაჲცა იმ დღეს მოუნდებოდეს... მართებს მათეს წარბიას 1 საკლავი, 1 ქათამი, მისი მარილი, 1 პური, 5 ფოხალი ღვინო, 6 ლიჯი ღომი და გოჭკუმური კარგი საჭმელი მისის ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, სამრხოთა, რაჲცა იმ დღეს მოუნდებოდეს“.[154] „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარის“ მიხედვით,

[151] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. I (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938, გვ. 5.
[152] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.). II თბ. 1974, გვ. 94.
[153] თ. ქუთელია. თბილისის ზარაფხანა 1736-1757 წლებში, გვ. 43-47.
[154] ს. კაკაბაძე. საცაიშლოს გამოსავლის დავთარი. ტფ. 1913, გვ. 22, 27.

რომელსაც გამომცემელი XVI-XVII საუკუნეებით ათარიღებს,[155] ბარის რაჭაში ძირითადი მარცვლეული გადასახადია ხორბალი (პური) და ქერი, ხოლო სხვა რეგიონებში უმეტესად – ღომი. იმერეთში პურის გადასახადსაც ვხვდებით, მაგრამ წამყვანი ადგილი ღომს უკავია. მაგალითად, „ჯგალის ციხის გამოსავალში“ მოსახლეობას ეკისრება 11 ჯამი ღომის და 1 ჯამი პურის გადახდა.[156] თუმცა აქვე მითითებულია ზოგიერთი სოფელი, სადაც მხოლოდ პურის გადასახადია დაწესებული.[157] როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზღვისპირა რაიონებში, ღომის კულტურას ეკავა წამყვანი ადგილი. ანალოგიური დასკვნის საფუძველს იძლევა სხვა საეკლესიო გლეხთა საგადასახადო დავთრებიც.[158] ღომი რომ მოსახლეობის ქვედა ფენების უმთავრესი საკვები იყო დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონებში, განსაკუთრებით სამეგრელოში, და ხორბალი ნაკლებად მოჰყავდათ, ამას ადასტურებენ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მყოფი უცხოელი მოგზაურებიც – არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი, გიულდენშტედტი.[159] ვახუშტის სიტყვებით, დასავლეთ საქართველოში თესავენ „...ღომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანცა მით“.[160] ყოველივე ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში ხორბალი საერთოდ არ მოჰყავდათ. ვახუშტისავე ცნობით, ხორბალი და ქრთილი ღომთან შედარებით ნაკლებად, მაგრამ მოჰყავდათ.[161] არქანჯელო ლამბერტი ადასტურებს, რომ სამეგრელოშიც მცირე მასშტაბებით, მაგრამ მისდევდნენ მეხორბლეობასაც: „პური ნაკლებად მოდის და ის ცოტაც, რაც მოჰყავთ, მეტად წვრილ მარცვლოვანი არის... კარგი მიწა სადაც არის... პირველ წელიწადს თესენ ღომს, მეორეს – სიმინდსა და მესამეს – პურსა“.[162] 1769 წლის მაქსიმე აბაშიძის მოხსენებაში რუსეთის მთავრობის მიმართ, ხაზგასმულია, რომ „იმერეთში მოდის თეთრი პური, შავი პური...“.[163] ერთი სიტყვით, დასავლეთ საქართველოში ხორბალი მოჰყავდათ, თუმცა ღომის კულტურა იყო წამყვანი, რასაც განაპირობებდა ადგილობრივი კლიმატი. ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დასავლეთ საქართველოში ხორბალი შედარებით ძვირად ფასობდა. 1707-1708 წლების ოსმალური დოკუმენტის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ქუთაისის ციხეში მყოფი სამხედო პირების პროდუქტებისათვის თანხის გაცემის ანგარიშს, 1 ქილა ხორბლის ფასად მითითებულია 40 ახჩა. ანალოგიური ფასია მითითებული 1722-1723 და 1730-1731 წლების იდენტურ საბუთებში. თუკი 1728 წლის ოსმალური დავთრის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში

---

[155] დავთარს ი. დოლიძე 1621 წლით ათარიღებს. იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 397-437.

[156] იხ.: ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი. ტფ. 1914, გვ. 43,

[157] ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, გვ. 51-53.

[158] იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 279-342, 358-373, 380-381.

[159] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. იტალიურით ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიასი. ტფ. 1901, გვ. 55-59; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 111-112, 120-122; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962, გვ. 157, 297.

[160] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტები დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 743-744.

[161] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 744.

[162] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 58-59.

[163] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III, ნაკვ. I. რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო. თბ. 1988, გვ. 300.

ხორბლის ფასად ნაჩვენებია 20 ახჩა, ქუთაისში ხორბალი ორჯერ ძვირი ყოფილა.[164] ქილა ხორბლის ფასად 40 ახჩაა მითითებული, ასევე, იმავე პერიოდში რუხისა და ანაკლიის ციხეებში მყოფ იანიჩართა კვებისათვის განკუთვნილ ანგარიშებში.[165] ამ მონაცემების მიხედვით, XVIII საუკუნის I მესამედში დასავლეთ საქართველოში 1 კგ. ხორბლის ფასი ყოფილა დაახლ. 0,42 გრამი ვერცხლი.

საინტერესო სურათს ვხვდებით სოხუმის ციხესთან დაკავშირებით. 1727 წლის დოკუმენტში დაფიქსირებულია სოხუმის ციხეში ხორბლის ოსმალეთიდან გემით შეტანის ფაქტი.[166] როგორც ჩანს, ციხეებში მდგარი ოსმალო ჯარისკაცების გამოსაკვებად, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ნაწილში არ იყო საკმარისი ხორბალი.

ხორბლის ფასი აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში

XVIII საუკუნის II ნახევრის წყაროებში ბევრი ინფორმაციაა თავმოყრილი სხვადასხვა სასაქონლო პროდუქციისა და მათ შორის, ხორბლის ფასის შესახებ. გიულდენშტედტის ცნობით, 1772 წელს თბილისში ერთი ბათმანი, ანუ ერთი ლიტრა (გიულდენშტედტი ბათმანს და ლიტრას აღმოსავლეთ საქართველოში იდენტურ საწყაოებად მიიჩნევდა[167]) ხორბალი რუსულ ფულზე ღირდა 8 კაპიკი.[168] შესაბამისად, 10 ლიტრა, ანუ ერთი კოდი ხორბალი თბილისში 80 კაპიკი ღირდა, რაც 4 აბაზის ეკვივალენტური იყო. ერთი ლიტრა, გიულდენშტედტისავე ცნობით, $8^{3/4}$ რუსულ ფუნტს, ანუ 3,6 კილოგრამს შეადგენდა. ამდენად, ამ პერიოდში, როგორც უკვე აღინიშნა, კოდი იტევდა 36 კგ.-ს.[169] თბილისისგან განსხვავებით, რეგიონებში ხორბალი შედარებით იაფი ყოფილა. გიულდენშტედტი კახეთში ერთი ბათმანის (ლიტრის) ფასად 6 კაპიკს ასახელებს,[170] რის მიხედვითაც, ერთი კოდის ფასი კახეთში 60 კაპიკი, ანუ 3 აბაზი გამოდის. ხორბლის ანალოგიური ფასია დასახელებული XVIII საუკუნის მიწურულის ერთ-ერთ საბუთში: „პურისა... გაყიდვა გებრძანებინა, სამ აბაზ იქით არავინ მაძლია“ – ატყობინებდა თავად მანუჩარ თუმანიშვილს მისი მოხელე შიდა ქართლიდან.[171] ამ შემთხვევაშიც ქართლში ერთი კოდი ხორბლის ფასი 3 აბაზით განისაზღვრებოდა. თუმცა გვაქვს სხვა მონაცემებიც. ბეჟან ამილახვრისშვილი თავისი დანახარჯების

---

[164] ნ. შენგელია. ოსმალური არზები ქუთაისის ციხის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა. VI. თბ. 1985, გვ. 148-158.

[165] იხ.: ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.).

[166] ოსმალური დოკუმენტური წყაროები აფხაზეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესახებ (XVII-XVIII სს.). ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს პროფ. გიორგი ანჩაბაძემ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. თბ. 2012, გვ. 273-274.

[167] იხ.: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 237.

[168] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 93.

[169] XIX საუკუნის 10-იან წლებში კოდის წონას 9 ფუნტით, ანუ დაახლ. 37 კილოგრამით განსაზღვრავდა თბილისის პოლიცმეისტერი იოსებ შაგუბატოვი. იხ.: მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 53.

[170] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 255.

[171] გ. აკოფაშვილი. მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. მეორე ნახევარი – XIX ს. დამდეგი). კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966, გვ. 410; ხეც. Hd-14394.

ნუსხაში აღნიშნავდა: „...პური, რომ არ დამხვდა, რაც იმ წელიწადს პური მოუნ-დებოდა, მე მიყიდნია კოდი ოთხ აბაზათ...“. სხვა ადგილას კი 250 კოდი ხორბალი 175 მინალთუნად არის შეფასებული,[172] ანუ ერთი კოდი ხორბალი – 3 აბაზად და 2 შაურად. 1783-1784 წლებში სახელმწიფო გადასახადის შეკრებისას (კომლზე სამი კოდი ფქვილი, რომელიც გროვდებოდა ნახევარი ფულადი გადასახადით, ნახევარი – ნატურით), 1 კოდი ფქვილის ფასად მითითებულია ერთი მინალთუნი (5 აბაზი).[173] ამ შემთხვევაში, ხორბლეული გაძვირებული ჩანს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ფქვილი ხორბალთან შედარებით, ისედაც ძვირი ღირდა.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთში ხორბლის ფასი ცვალებადი იყო და 1 კოდი (36 კილოგრამი) დაახლ. 3-4 აბაზი ღირდა, საშუალოდ კი – 3 აბაზი და 2 შაური. ერეკლე II-ის მოჭრილი სირმა-აბაზი იწონიდა 2,9 გრამს,[174] ხოლო კოდი ამ პერიოდში, როგორც აღინიშნა, იტევდა 36 კილოგრამს, შესაბამისად, 1 კგ. ხორბლის საშუალო ფასი ყოფილა 0,28 გრამი ვერცხლი. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, უფრო ძვირიც ღირდა. იესე ოსეს ძის გადმოცემით, 1780 წლის ზამ-თარში მოუსავლიანობის გამო, ხორბალი გაძვირებულა და ლიტრში აბაზს იხდიდა.[175] აღნიშნული ცნობის გათვალისწინებით, 1780 წლის ზამთარში კილოგრამი ხორბალი 0,80 გრამ ვერცხლამდე გაძვირებულა. ხორბლის გაძვირების ფაქტები სხვა წლებ-შიც ფიქსირდება. 1750-იან წლებში პაპუნა ორბელიანის გადმოცემით: „შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალციხისა ქვეყნიდამ ქარავანი, ამით ქალაქს თბილისს ძვირობა შეიქმნა და ხალხი, დიახ, შეწუხდენ, გაბრძანდა ბატონი საქართველოს ჯარით, რომელი ქალაქში ახლდენ, მიბძანდა, დადგა მცხეთას, შემოიყარა საერისთოების ჯარი, დააყენა გზებზე, გაიხსნა გზები და უკუდგა მტერი, ჩამოვიდა ურიცხვი პური, ღვინო, თუ რაც რაფერი საზდო, აივსო ქალაქი ყოველთა სანოვაგითა“.[176] გვაქვს გაიაფების ფაქტებიც: იესე ოსეს ძე თავისი ანდერძის სხვა ადგილას ლიტრა ხორბლის ფასად 1 შაურს ასახე-ლებს.[177] ამ შემთხვევაში კილოგრამი ხორბალი გაიაფებულა 0,20 გრამ ვერცხლამდე.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ 1795 წლის სექტემბერში აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აღებისა და დარბევის ფონზე, პირველადი მოთხოვნილების პრო-დუქტებზე, მათ შორის ხორბალზე, ფასები არ გაზრდილა. ამის დამადასტურებელია 1796 წლის 18 იანვრის დანახარჯის ნუსხა, რომელშიც მითითებულია, რომ 1 პური თბილისში ღირდა 1 ბისტი.[178] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბაზი 10 ბისტისაგან შედგებოდა. როგორც ვხედავთ, კრწანისის ბრძოლიდან 3-4 თვეში თბილისში 1 აბა-ზად 10 გამომცხვარი პურის ყიდვა იყო შესაძლებელი. ეს კი ნიშნავს, რომ 1796 წლის დასაწყისში მარცვლეულის ფასი მცირედითაც არ ყოფილა გაზრდილი, რადგან თბილისში აღა-მაჰმად ხანის შემოსევამდეც 10 პური 1 აბაზად ფასობდა.[179]

---

[172] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 79-81.
[173] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 70-80.
[174] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV, გვ. 39-54.
[175] ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 121.
[176] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 235.
[177] ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 127.
[178] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 548.
[179] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 90.

საინტერესოა ქართლ-კახეთში არსებული ხორბლის ფასის შედარება რუსეთის იმპერიაში არსებულ ფასებთან. XVIII საუკუნის განმავლობაში, რუსეთში ხორბლის ფასი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 1760-1770-იან წლებში იმპერიის სხვადასხვა ქალაქში 1 ჩეტვერტი ხორბლის საშუალო ფასია 300 კაპიკი (ანუ 3 რუბლი). 1790-იანი წლების ბოლოს კი ფასი მკვეთრად გაზრდილა.[180] ჩეტვერტი, როგორც აღინიშნა, 9 ფუთს უდრიდა და იწონიდა დაახლ. 145 კილოგრამს. კილოგრამის ფასი კი გამოდის 2 კაპიკზე ოდნავ მეტი. როგორც ითქვა, გიულდენშტედტის მონაცემებით, 1770-იანი წლების საქართველოში ხორბლის ფასი დაახლოებით ანალოგიური იყო.[181]

მოცემულ ფასთან შედარება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის იმპერია ხდება ხორბლის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყანა. საუკუნის ბოლო მესამედში რუსეთიდან ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი რუბლის ხორბალი გადიოდა.[182] ამ ფონზე კიდევ უფრო ცხადი ხდება ქართული მეურნეობის მდგრადობა, რადგან საქართველოში ხორბლის საბაზრო ღირებულება ხორბლის ექსპორტიორ ქვეყანაში არსებული ფასის ანალოგიური იყო.

ხორბლის ფასი დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში

დასავლეთ საქართველოში ხორბლის ფასთან დაკავშირებით, საინტერესოა 1808 წლის სოლომონ II-ის (1789-1810 წწ.) დაწესებული სავაჭრო ნიხრები პროდუქციის ზღვრული ფასების მითითებით. ვფიქრობთ, საბუთში დაფიქსირებული ფასები XVIII საუკუნის მიწურულის რეალობასაც ასახავს. საბუთში აღნიშნულია: „პური ორი ბათმანი – ერთი ქილა ორ რუბათ“.[183] დასავლეთ საქართველოში ბათმანი იწონიდა 7,3 კილოგრამს.[184] ორი ბათმანის წონა გამოდის 14,6 კგ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ცნობილია სტამბულის ქილის ოდენობა (24 კგ.), არსებობდა განსხვავებული მოცულობის ქილაც. ამ შემთხვევაში სწორედ განსხვავებული ზომის, 14,6-კილოგრამიან, ქილასთან გვაქვს საქმე. მისი ფასი ყოფილა 2 რუბი. გიულდენშტედტი ათფარიან მონეტას, ანუ, სავარაუდოდ, რუბს, 20 კაპიკის ტოლფასად მიიჩნევდა.[185] როგორც ჩანს, რუბი ერთ სირმა-აბაზს უდრიდა, 2 რუბი, ანუ 2 თბილისური აბაზი კი – 5,8 გრამ ვერცხლს.[186] შესაბამისად, კილოგრამი ხორბლის ღირებულება ყოფილა დაახლ. 0,40 გრამი ვერცხლი. ამ შემთხვევაში საინტერესოა ფაქტი, რომ იმავე ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ვნახავთ, ხორბალი ანალოგიური ფასი ღირდა.

---

[180] Б. Н. Миронов. Хлебные цены в России за два столетия (XVIII-XIX вв.). Ленинград ,1985, გვ. 214.

[181] გიულდენშტედტის ცნობით, 1770-იანი წლების თბილისში 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ. ხორბალი 8 კაპიკი, ხოლო რეგიონებში 6 კაპიკი ღირდა. 1 კგ. ხორბლის საშუალო ფასი 2 კაპიკამდე გამოდის.

[182] ბ. სოხვაძე. რუსეთი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნეში. თბ. 1996, გვ. 155.

[183] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 261.

[184] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 69.

[185] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 286.

[186] XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის რუბის და დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ სხვა ოსმალური მონეტების ღირებულების შესახებ ვრცლად ქვემოთ: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში და მისი გავლენა ყოფით ცხოვრებაზე.

იმავე საბუთში, ასევე აღნიშნულია: „ქალაქის გამომცხვარი პური ოყა სამ ფარათ“.[187] ოყა, როგორც ითქვა, იწონიდა 1,28 კგ.-ს, გიულდენშტედტისავე ცნობით, თბილისური აბაზი 16 ფარის ტოლფასი იყო, ხოლო შაური – 4 ფარის.[188] შაური ამ დროს 0,7 გრამს იწონიდა, შესაბამისად, სამი ფარას წონა იქნება დაახლ. 0,52 გრამი ვერცხლი. როგორც ვხედავთ, 1,28 კილოგრამი გამომცხვარი პურის ფასი ქუთაისში დაახლ. 0,5 გრამ ვეცხლად ფასობდა.

ხორბლის ფასი აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში

მოკლედ შევეხებით აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში არსებულ ფასსაც. საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში განუზომლად იზრდებოდა რუსეთის ჯარის რიცხვი. როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთში რამდენიმე ათასი ჯარისკაცის გამოკვება მარცვლეულის განსაკუთრებულ დეფიციტს არ იწვევდა. ერეკლე II რუსეთის მთავრობას მუდმივად სთხოვდა 4000-7000-კაციანი დამხმარე ჯარის ქართლ-კახეთში გამოგზავნას.[189] ჩანს, ქვეყანას სწორედ დასახელებული რიცხვის ან ცოტა მეტი უცხოური ჯარის შენახვა შეეძლო. თუმცა XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდგომ, თანდათან იზრდებოდა საოკუპაციო ჯარის რიცხვი. თუ 1801 წელს ქართლ-კახეთში 9 000-ზე ცოტა მეტი ჯარისკაცი და 2600 ცხენი შემოიყვანეს, სამხედრო კონტიგენტის რიცხვი 1805 წლისათვის 22 000-ს აღწევდა, ხოლო ცხენების რაოდენობა – 5600-ს. 1810 წელს საქართველოში რუსული ჯარის რიცხვი 30 000-ს აჭარბებდა, ცხენების რიცხვი 13 848-ს მოითვლიდა.[190] დროთა განმავლობაში, მათი რაოდენობა კიდევ იზრდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში მყოფი ჯარის კონტიგენტი გათვლილი იყო არა მხოლოდ გაუქმებული სამეფოების დამორჩილებისთვის, არამედ ირანთან და ოსმალეთთან ომებისათვის. მათ გამოსაკვებად კი ქვეყანაში საკმარისი ხორბალი არც იყო და თეორიულადაც ვერ ექნებოდა 270-300 ათასი მოსახლეობის მქონე ქვეყანას, სადაც დაახლ. 60 000 შრომისუნარიანი მამაკაცი ცხოვრობდა. ამდენად, 30 000-კაციანი ჯარის შენახვა უმტკივნეულო ვერ იქნებოდა. მართალია, დანაკლისის შესავსებად, რუსეთიდანაც დაიწყეს გარკვეული ოდენობის ხორბლის შემოზიდვა, თუმცა ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოდან ამოღებულ ხორბალს მოიხმარდნენ. ასე, მაგალითად, 1801-1805 წლებში რუსული ჯარის გამოსაკვებად საჭირო იყო დაახლ. 282 000 ჩეტვერტი მარცვლეული, რუსეთიდან კი შემოუზიდავთ მხოლოდ 83 000 ჩეტვერტი.[191] დაწესებული გადასახადების გამოკლებით, 1801-1805 წლებში ქართლ-კახეთის მოსახლეობას რეკვიზიციისა და შესყიდვის გზით, წაართვეს

[187] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 263.

[188] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 287.

[189] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III, ნაკვ. I. გვ. 93; გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბ. 1983, გვ. 59.

[190] ი. ანთელავა. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. საისტორიო მოამბე. № 5. თბ. 1950, გვ. 286-287, 301.

[191] მ. დუმბაძე. ცვლილებები ეკონომიკურ ცხოვრებაში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 906.

183 ათასი ჩეტვერტი პურეული,[192] წელიწადში საშუალოდ, 36,5 ათასი ჩეტვერტი. 1806-1809 წლებში რუსეთის მთავრობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობიდან ამოიღო 242 000 ჩეტვერტზე მეტი მარცვლეული,[193] წელიწადში საშუალოდ შეუკრებიათ – 60 500 ჩეტვერტი მარცვლეული, რაც თანამედროვე მეტრული სისტემით, 9 მილიონ კგ.-მდე აღწევს.

შედეგად, ფასები გაიზარდა, თუმცა არა საგანგაშოდ. 1803 წლისათვის კოდის ფასი 5 აბაზი (დაახლ. 0,40 გრ. ვერცხლი) იყო.[194] ათეულობით ათასი რუსი ჯარისკაცის გამოსაკვებად, ყოველწლიურად მილიონობით კილოგრამი მარცვლეულის ამოღების მიუხედავად, რაოდენ გასაკვირვიც უნდა იყოს, XIX საუკუნის I ათწლეულში აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლის ფასი მაინც მეტ-ნაკლებ სტაბილურობას ინარჩუნებდა. მაგალითად, 1808 წელს კოდი ხორბლის ფასად კვლავ 5 აბაზი, ანუ 1 მინალთუნია ნაჩვენები. იმავე წელს 20 კოდი ფქვილი საგარეჯოში 17,5 მინალთუნად შეუძენიათ, 1810 წელს კოდი ხორბლის ფასად კვლავ 5 აბაზია მითითებული.[195] მაგრამ რუსეთის მთავრობა ყოველ მომდევნო წელს მეტ გადასახადს ითხოვდა. საერთო მდგომარეობას ამძიმებდა რუსეთის იმპერიის კიდევ ერთი გადასახადი – ათიათასობით ხარ-კამეჩით შებმული ურმითა და ათასობით ცხენით ქართველ გლეხობას თვეობით უწევდა რუსეთის არმიის ტვირთის ზიდვა.[196] შედეგად, ფერხდებოდა ხვნა-თესვა. მოუსავლიან 1811-1812 წლებში გაზრდილი ოდენობით გადასახადების შეკრებას ვეღარ გაუძლო ქართულმა ეკონომიკურმა ორგანიზმმა. შედეგად, პურზე ფასები მკვეთრად გაიზარდა. მოუსავლიანი წლებისა და აუტანელი გადასახადების გამო, კოდის საბაზრო ფასმა მანამდე არნახულ ნიშნულს, 4-5 რუბლს, ანუ 20-25 აბაზს მიაღწია. შესაბამისად, 1 კილოგრამი ხორბლის ღირებულება 1,6-2 გრამი ვერცხლი გახდა. მთავარმართებლის ბრძანება კი ხალხს ავალდებულებდა, რომ მთავრობისათვის კოდი 1,2 რუბლად, ანუ 6 აბაზად ჩაებარებინათ.[197] ცხადია, გაუსაძლის მდგომარეობას მოსახლეობა ვერ შეეგუებოდა. შექმნილმა ეკონომიკურმა ვითარებამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, 1812 წელს კახეთსა და მთიანეთში, გამოიწვია მოსახლეობის მძლავრი აჯანყება რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. მოგვიანებით, ვითარება დასტაბილურდა და ხორბლის ფასმა კლება დაიწყო, თუმცა XVIII საუკუნის II ნახევრის საშუალო ნიშნულამდე აღარ ჩამოსულა. 1816 წელს 1 კოდი 5 აბაზი ღირდა.[198] ჩანს, დროდადრო ხორბალი ძვირდებოდა – 1822 წელს თბილისში 1 კოდი ფქვილი 8 აბაზად იყიდებოდა.[199]

ზოგიერთი დასკვნა ხორბლის ფასებთან დაკავშირებით

---

[192] მ. დუმბაძე. ცვლილებები ეკონომიკურ ცხოვრებაში, გვ. 906.

[193] ი. ანთელავა. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გვ. 298.

[194] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ. 1948. ნაკვეთი I (26), გვ. 16, 17, 26, 27.

[195] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 267, 326.

[196] ალექსანდრე ჭავჭავაძე. საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-1831 წლამდე. თხზულებანი. ი. გრიშაშვილის რედ. თბ. 1940, გვ. 247.

[197] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. V. Тифлис, 1873, გვ. 65.

[198] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 347.

[199] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 561.

ხორბლის ფასთან დაკავშირებით, თუ შევაჯერებთ XI საუკუნიდან დაწყებული XVIII საუკუნის I მესამედის ჩათვლით არსებულ მონაცემებს, გარკვეული გამონაკლისების გარდა, როდესაც სახეზე გვაქვს დროებითი გაძვირების ფაქტები, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხორბლის ფასი დაახლოებით თანაბარი იყო და 1 კგ.-ის ღირებულება მერყეობდა საშუალოდ 0,17-0,25 გრამი ვერცხლის არეალში.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, რამდენადმე განსხვავებულ სურათს ვხედავთ. ერთიანი ქართული სამეფოს არსებობის დროს, ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, რაჭაში დაფიქსირებული ფასის და შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ, ასევე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული ღირებულების შედარება ნათლად აჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველოში ხორბლის ფასი დიდად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო დანარჩენი საქართველოს ვითარებისაგან. საპირისპირო სურათს ვხედავთ გვიანი ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში – XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოს ფასთან შედარებით, ხორბალი სულ მცირე 2-ჯერ ძვირად ფასობდა. ეს პროცესი უმთავრესად, გამოწვეული უნდა ყოფილიყო საქართველოს ამ ორი ორგანული ნაწილის ეკონომიკური გახლეჩით – აღმოსავლეთ საქართველო ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, დასავლეთ საქართველო ოსმალეთის. ასეთ პირობებში უხვმოსავლიან აღმოსავლეთ საქართველოში ხორბალი სტაბილურ ფასს ინარჩუნებდა, თუმცა, ჩანს, ძალზე შესუსტდა დასავლეთ საქართველოში ხორბლის შეტანა, რამაც გამოიწვია ქვეყნის ორ ნაწილს შორის, ძირითადი საკვები პროდუქტის ფასთა შორის დიდი განსხვავება. აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას უკიდურესად მძიმე ყოფაში უწევდა ცხოვრება და ქვედა ფენების ძირითად საკვებს ღომი წარმოადგენდა. სავარაუდოა, რომ XVI-XVIII საუკუნეების ვითარებისგან განსხვავებით, ერთიანი საქართველოს სამეფოს დროს მოსახლეობის შედარებით დიდი ნაწილი იკვებებოდა ხორბლით.

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ხორბლის ღირებულება უკვე დაუახლოვდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ფასს. ამ შემთხვევაში, ფასების გათანაბრება ქვეყნის ორ რეგიონს შორის კავშირ-ურთიერთობის აღდგენას უნდა გამოეწვია.[200]

რაც შეეხება საქართველოს „ხორბლის ბეღელად“ წოდებულ სამცხე-საათაბაგოს, XVII საუკუნემდე, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, ფასები სტაბილური ჩანს. ოსმალეთის მიერ რეგიონის დაპყრობის შემდეგ, XVII საუკუნიდან, ვხედავთ ფასების ზრდის პროცესს, რაც ოსმალეთში მიმდინარე პროცესების გამოძახილი უნდა ყოფილიყო.

ხორბლისა და, ზოგადად, მარცვლეული კულტურების ფასის სტაბილურობის მხრივ, ყველაზე მდგრადი მუდმივად საომარ ვითარებაში მყოფი აღმოსავლეთ საქართველო აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ნაყოფიერი მიწების გარდა, მეურნეობის მაღალი დონის შესანარჩუნებლად, სახელმწიფოებრიობის უწყვეტობა გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

---

[200] საკითხი დეტალურად განხილული იქნება ქვემოთ: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში და მისი გავლენა ყოფით ცხოვრებაზე.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ XI საუკუნიდან XVIII საუკუნის I მესამედის ჩათვლით, ხორბლის ფასის მხრივ, ინფლაცია პრაქტიკულად არ ჩანს.[201] საქართველოს არ შეხებია ე.წ. „ფასების რევოლუცია“, რადგან განსახილველ საუკუნეებში ქვეყნაში არ მომხდარა რადიკალური გარღვევა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, საწარმოო და ტექნოლოგიური საშუალებების მცირე პროგრესისა და ფეოდალური მეურნეობის პირობებში, ნორმალურ ვითარებაში, ინფლაციის მაჩვენებელი მაღალი არც უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ქართლ-კახეთში XVIII საუკუნის I მესამედის შემდგომ პერიოდს, კილოგრამი ხორბლის ფასი დაახლ. 0,21 გრამიდან 0,28 გრამ ვერცხლამდე მერყეობდა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, 2-ჯერ და მეტჯერაც ძვირდებოდა. ხორბლის მკვეთრი გაძვირების შემთხვევა პირველად 40-იან წლებში გვხვდება, რაც გამოწვეული იყო ნადირ-შაჰის საგადასახადო პოლიტიკით. ხორბლის ფასმა ამ დროს მაქსიმუმს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ „ყიზილბაშობის“ შემდგომ პერიოდში ხორბლის ფასმა მოიკლო, ტრადიციულ ნიშნულამდე აღარ მიუღწევია.

ზოგადად, XVIII საუკუნის II ნახევარში, საუკუნის დასაწყისთან შედარებით, ხორბლის ფასი დაახლოებით 30-40%-ით გაძვირდა. XVIII საუკუნეში ხორბლის ფასის მერყეობაზე ყურადღება გაამახვილა ს. კაკაბაძემ. მისი აზრით, 1700-იან წლებთან შედარებით, საუკუნის II ნახევარში ხორბლის ფასი 2,5-ჯერ გაიზარდა. აქვე ავტორს მოხმობილი აქვს სხვადასხვა მონაცემი XVIII საუკუნის II ნახევარში ხორბლის ფასის შესახებ.[202] როგორც ზემოთ აღინიშნა, ს. კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში 1 კოდი ხორბლის ფასი 1,5 შაური იყო. სწორედ ამ პირობაზე დამყარებით მიიღო ავტორმა ფასებს შორის მაღალი განსხვავება. ს. კაკაბაძე, ზოგადად, ფასის მატებას ფულის გაიაფებას უწოდებს და აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნეში ფასების მერყეობა დეტალურ გამოკვლევას საჭიროებს.[203]

მართლაც, თუ 1740-იან წლებში ხორბლის გაძვირება ნადირ-შაჰის მძიმე საგადასახადო პოლიტიკით იყო განპირობებული, იმავე საუკუნის II ნახევარში ხორბლის შედარებით მაღალი ფასი გარკვეულ კითხვებს აჩენს. წინა საუკუნის მსგავსად, უცხოელი მოგზაურები ქართლ-კახეთში ხორბლის უხვმოსავლიანობაზე მიანიშნებენ. 1770-იან წლებში გიულდენშტედტი ხაზს უსვამს ქვეყანაში ხორბლის ინტენსიურ მოყვანას და აღნიშნავს, რომ „მთელს კახეთსა და ქართლში ჭამენ გაღვივებულ ხორბლის პურს“.[204] 1770-1780-იან წლებში რუსეთის იმპერიის სამხედრო მოხელეები, იაზიკოვი და ბურნაშოვი, რომელთა განსაკუთრებული ინტერესის სფერო იყო ამ თვალსაზრისით, ქვეყნის პოტენციალის შესწავლა და საკუთარი მთავრობისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება, ასევე მიუთითებენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ხორბალი უხვად მოდიოდა, იყო საკმარისი რაოდენობის.[205]

---

[201] გარკვეულ პერიოდში დასავლეთ საქართველოში ხორბალის ფასის ზრდა, როგორც აღინიშნა, ქვეყნის ორ ეკონომიკურ ზონად გახლეჩვას უკავშირდება, ხოლო XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხორბლის ღირებულების მატება – ომალეთში მიმდინარე მოვლენებს. შესაბამისად, ამ რეგიონებში დროებითი ფასის ზრდა ჩვენს დასკვნას არ აბათილებს.

[202] ს. კაკაბაძე. საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში. მნათობი. № 3. ტფ. 1924, გვ. 274-282.

[203] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის საქართველოში.., გვ. 49-50.

[204] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 253.

[205] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А.

ჩვენი აზრით, XVIII საუკუნის II ნახევარში ხორბლის ფასის ზრდა გამოიწვია რამდენიმე მიზეზის ერთობლიობამ. უპირველესად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1760-იანი წლებიდან თბილისის ზარაფხანში იჭრებოდა დიდი რაოდენობით ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. ახტალისა და ალავერდის ვერცხლისა და სპილენძის გამოსადნობი საწარმოების ამოქმედების შემდეგ ყოველწლიურად, თბილისის ზარაფხანში იჭრებოდა დამატებით რამდენიმე ასეული ათასი აბაზი (ნომინალი – 1,5 სირმა-აბაზი, სირმა-აბაზი, 0,5 სირმა-აბაზი, სირმა-შაური[206]) და სპილენძის მონეტა (ნომინალი – შაური, ბისტი, ნახევარი ბისტი, ფული). მხოლოდ ახტალის ვერცხლის გამოსადნობი საწარმოდან წელიწადში იღებდნენ 150, 200, 300 და ზოგჯერ მეტ ლიტრა (საშუალოდ, 700 კგ.-ზე მეტ) ვერცხლს.[207] აღნიშნული მარაგი მთლიანად თბილისის ზარაფხანაში ხვდებოდა, ისევე როგორც მოპოვებული სპილენძის სოლიდური ნაწილი. XVIII საუკუნის 70-იან წლებში თბილისის ზარაფხანის მაღალი ინტენსივობით მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იაზიკოვის ცნობით, ზარაფხანიდან სახელმწიფო შემოსავალი წელიწადში ყოფილა 30000 მანეთი[208] (ადგილობრივი ფულით 30000 მინალთუნი, ანუ 150 000 აბაზი). უხეში გათვლებით, საუკუნის დასაწყისთან შედარებით, XVIII საუკუნის 70-იან წლებში თბილისის ზარაფხანა 3-ჯერ და მეტად ყოფილა დატვირთული. ამ ვითარებამ პატარა ქვეყნის კვალობაზე, სავარაუდოდ, ფულის მასის გარკვეული ზრდა გამოიწვია. ფულის მასის ზრდაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ საქართველოში ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი „სირმა-ვერცხლი“ XIX საუკუნის 50-იან წლებშიც კი იყო ხმარებაში.[209] ჩვენი აზრით, ამ ფაქტს წვლილი უნდა შეეტანა პროდუქციის გაძვირებაში.

ფასის ზრდის ტენდენციას ასევე ხელს შეუწყობდა ქართლ-კახეთის ეკონომიკის განვითარება და, შესაბამისად, ქალაქების მოსახლეობის შედარებითი ზრდა. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს ერეკლე II-ის მიერ განხორციელებულ რეფორმებს – რეგულარული ჯარის სახეობების ჩამოყალიბებასა და სამოხელეო აპარატის გაფართოებას,[210] რამაც სურსათზე მოთხოვნილება გაზარდა. შესაბამისად, თუ საუკუნის დასაწყისში, დასტურლამალის მიხედვით, დიდი სათავადოები სარგებლობდნენ საგადასახადო შეღავათებით (მაგ., ქსნის საერისთავოდან მხოლოდ 94 კომლს ეკისრებოდა „კოდის პურის“ გადახდა[211]), საუკუნის II ნახევრიდან სათავადოებმა დაკარგეს აღნიშნული შეღავათები და გადასახადის გადახდა ქართლ-კახეთის მთელ მოსახლეობას დაეკის-

---

Цагарели. Т. I, გვ. 185; С. Н. Бурнашев. Картина Грузии, გვ. 4.

[206] „სირმა“ – წმინდას, ხალასს ნიშნავდა. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლი აბაზები მაღალი სინჯადობით გამოირჩეოდა და ამიტომაც, მოსახლეობა სირმა-აბაზს უწოდებდა.

[207] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 72-77.

[208] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I, გვ. 187.

[209] რ. ქებულაძე. სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 53. თბ. 1969, გვ. 759; გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 141-142.

[210] დაწვრილებით იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 118-180.

[211] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 275.

რა.[212] სხვადასხვა დროს რუსეთის ჯარის ნაწილების საქართველოში შემოსვლასაც უნდა მოეხდინა გავლენა ხორბლის ფასის ზრდაზე.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა XVIII საუკუნის II ნახევარში ხორბლის ფასის ზრდა.

ამდენად, XI საუკუნიდან XVIII საუკუნის I მესამედის ჩათვლით, აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლისა და სხვა მარცვლეულის ფასები, ძირითადად, სტაბილურობით ხასიათდება. მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევარში ვხედავთ 30-40%-იან ინფლაციას. როგორც აღინიშნა, ეს, ერთი მხრივ, ეკონომიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, თუმცა, მეორე მხრივ, საგარეო მტრის ინტენსიური შემოსევების და ქვეყნის ხშირი დახარკვის პირობებში, მსგავსი მდგრადობის შენარჩუნება სხვაგვარი დასკვნის საშუალებასაც გვაძლევს – ამ მონაცემებით, კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ფეოდალურ ეპოქაში, საქართველოს მოსახლეობის მუდმივი თავდაცვითი ბრძოლების მიუხედავად, ინტენსიური მეურნეობის ხარისხი უწყვეტად მოწოდების სიმაღლეზე იდგა, რაც განაპირობებდა კიდეც ძირითადი საარსებო წყაროს, ხორბლის საჭირო მოსავლიანობას. მოძიებული მასალის მიხედვით, ჩვენ მიერ ნაჩვენები სურათი სრულ თანხვედრაშია ნ. ბერძენიშვილის გამოთქმულ მოსაზრებასთან: „მიფიქრნია, გონების ძალით მიკვლევია, თუ რაში იყო ის ძალა, რომლის წყალობითაც საქართველო, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ-სამხრეთი ასეთი სიმედგრით უძლებდა ველის ხალხთა გამანადგურებელ შემოტევებს და აღდგომა-განახლების დაუშრეტელ უნარს იჩენდა. სხვა პირობათა შორის ასეთი უნარიცა და თვით სპეციფიკაც ქართული ფეოდალური ურთიერთობისა მე ქვეყნის მეურნეობის ხასიათში... მორწყვაზე აგებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურაში მეხატებოდა. ... ადვილი ასახსნელია საქართველოს გაუტეხელობა. ეს გაუტეხელობა ქართული მეურნეობის მოუშლელობაშია, მის ადვილად აღსადგენლობაშია“.[213]

საუკუნეების განმავლობაში, ქართული მეურნეობა იმდენად მდგრადი აღმოჩნდა, რომ დამპყრობლებთან მუდმივი ბრძოლისა და დროდადრო დიდი ხარკის გადახდის მიუხედავად, ხორბლის ფასი არა თუ სტაბილურობას ინარჩუნებდა, არამედ ხშირ შემთხვევაში, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, დაბალიც კი იყო.

ბოლოს, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, XI საუკუნიდან დაწყებული 1810-იანი წლებით დასრულებული, ქყვეყანაში ხორბლის ყველაზე მაღალი ფასი დაფიქსირდა 1811-1812 წლებში (1 კგ. – 2 გრამი ვერცხლი). უმთავრეს საკვებ პროდუქტზე ფასის ასეთი მკვეთრი მატება მოსახლეობის მასობრივ შიმშილობას იწვევდა.[214] როგორც ქვემოთ ვნახავთ, თბილისში მუშის დღიური ანაზღაურება დაახლ. 1 აბაზს შეადგენდა, რაც ნიშნავს, რომ მსგავსი სიძვირის პირობებში, მუშის მიერ დღიურად გამომუშავებული ჯამაგირით მხოლოდ 1,45 კგ. ხორბლის შეძენა შეიძლებოდა. ამასთან, მარაგები მცირდებოდა და დიდი ფასის სანაცვლოდაც, პური ძნელად ხელმისაწვდომი ხდებოდა. როგორც ჩანს, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპე-

[212] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 125-134.

[213] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. I. თბ. 1965, გვ. 394-395.

[214] მაგალითად, იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში ზოგიერთი რეგიონის მოსახლეობისათვის ხორბლის ნაკლებობა და შიმშილობა არცთუ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ხორბლის დიდი ოდენობით ექსპორტს ეწეოდა.

რია აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით იმდაგვარ პოლიტიკას ეწეოდა, რასაც აკეთებდა XVIII საუკუნის 40-იან წლებში ირანის შაჰი. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ნადირ-შაჰს ხორბალი ხარკის ანგარიშში მიჰქონდა, ხოლო რუსეთის სახელმწიფო მოსახლეობას ხორბლის ნაწილის სანაცვლოდ, გარკვეულ ანაზღაურებას აძლევდა, თუმცა სავალდებულო შესყიდვა საბაზრო ღირებულებასთან შედარებით, გაცილებით ნაკლებ ფასად ხორციელდებოდა. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნადირ-შაჰმა ქვეყნიდან მაქსიმალური ოდენობის მარცვლეული მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში წაიღო და ჯერ კახეთს, შემდეგ ქართლსაც შეუმსუბუქა ხარკის ოდენობა, ხოლო რუსეთის იმპერიის მიერ მოსახლეობაზე გაუგონარი ზეწოლით მარცვლეულის ამოღება გაცილებით დიდხანს გაგრძელდა. ნადირ-შაჰის ფისკალურმა პოლიტიკამ აღმოსავლეთ საქართველოში კილოგრამი ხორბლის ფასის ზრდა 0,2-0,25 გრამი ვერცხლიდან 1,5 გრამამდე გამოიწვია, რუსეთის იმპერიის პოლიტიკამ კი – 0,28 გრამიდან 2 გრამამდე. ამდენად, ხორბლის ფასების განხილვამ გვიჩვენა, რომ XVII საუკუნის I მესამედიდან XIX საუკუნის 20-იან წლებამდე ქართლ-კახეთის მოსახლეობისათვის პირველადი მოხმარების პროდუქციაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო რთულ პერიოდებად უნდა მივიჩნიოთ 1740-1742 და 1811-1813 წლები. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ხორბლის ფასების ანალიზმა ცხადყო, რომ მოსახლეობის ყოფითი ცხოვრებისათვის მსგავსი მასშტაბის უარყოფითი გავლენა არ მოჰყოლია ისეთ ნეგატიურ მოვლენასაც კი, როგორიც 1795 წლის აღა-მაჰმად ხანის შემოსევა იყო.

ხორბლისა და სხვა მარცვლეულის ფასები:

თარიღი	**რეგიონი/ ქალაქი**	**ხორბლის (ან სხვა მარცვლეულის) ოდენობა**	**მოცემული ოდენობის ხორბლის ფასი (ნომინალის წონის მითითებით)**	**1 კგ. ხორბლის ფასი ვერცხლის გრამებში**	**1 ვერცხლის ნომინალით რამდენი კილოგრამის ყიდვა შეიძლებოდა**	**წყარო[215]**
XI ს. 70-იანი წწ.	რაჭა	2 გრივი, ანუ დაახლ. 300 კგ.	32-33 დრამა (დრამა=დაახლ. 2 გრ.)/ 2 დრაჰკანი კონსტანტინატი (დრაჰკანი კონსტანტინატი=4,4 გრ. ოქროს)	0,20-0,22 გრ.	1 დრამა – დაახლ. 9,5 კგ. ხორბალი	ქისკ. I: 39-40
1225 წლის ახლო	საქართველო	–	სიძვირე/დეფიციტი	–	–	ატ: 60

[215] ცხრილებში მოცემული ლიტერატურის შემოკლებათა ძირითადი განმარტებები იხილეთ ნაშრომის ბოლოს.

1300 წლის ახლო	აღმოსავ-ლეთ საქა-რთველო	–	სიძვირე/დეფიციტი	–	–	ჟ: 641
1574	სამხ.-დას. საქართვე-ლო	1 ქილა, ანუ 24 კგ.	8 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,7 გრ.)	0,23 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 3 კგ. ხორბალი	1574 გვდდ
1595	სამხ.-დას. საქართვე-ლო	1 ქილა, ანუ 24 კგ.	11 ახჩა (ახხჩა=დაახლ. 0,38 გრ.)	0,175-0,23 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 1,65-2 კგ. ხორბალი	გვდდ
XVII ს. II ნახ.	სამხ.-დას. საქართვე-ლო	1 ქილა, ანუ 24 კგ.	40 ახჩა (ახჩა =დაახლ. 0,23 გრ.)	0,38 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 0,6 კგ.	XVI–XVIII ოდ. I: 43
1716-1717	სამხ.-დას. საქართვე-ლო	1 ქილა, ანუ 24 კგ.	40 ახჩა (ახჩა =დაახლ. 0,25-0,26 გრ.)	0,42 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 0,6 კგ.	XVI–XVIII ოდ. I: 193-195
1718	სამხ.-დას. საქართვე-ლო	1 ქილა, ანუ 24 კგ.	48 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,25-0,26 გრ.)	0,51	1 ახჩა – დაახლ. 0,5 კგ.	XVI–XVIII ოდ. I: 198
1719-1733	სამხ.-დას. საქართვე-ლო	1 ქილა, ანუ 24 კგ.	40 ახჩა (ახჩა =დაახლ. 0,25-0,26 გრ.)	0,42	1 ახჩა – დაახლ. 0,6 კგ. ხორბალი	XVI–XVIII ოდ. I: 207
1768-1770	სამხ.-დას. საქართვე-ლო	1 ქილა, ანუ 24 კგ.	40 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,12 გრ.)	0,20 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 0,6 კგ. ხორბალი	XVI–XVIII ოდ. I: 252
XVIII ს. I მე-სამ.	ქუთაისი/ რუხი/ ანაკლია	1 ქილა, ანუ 24 კგ.	40 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,25-0,26 გრ.)	0,42 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 0,6 კგ. ხორბალი	ოაქცშ: 148-158; ოდწარცშ: 34, 39, 46, 66
1705-1708	ქართლი	1,5 კოდი, ანუ 45 კგ.	1 აბაზი (აბაზი=7,5 გრ.)	0,17 გრ.	1 აბაზი – 45 კგ. ხორბალი	ქსძ. I: 513-514
1724	ქართლი	1 კოდი, ანუ 30 კგ.	1,5-1,75 აბაზი/6-7 შაური (აბაზი= დაახლ. 4,6 გრ.)	0,25 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 18,5 კგ. ხორბალი	სს. II: 321
1728	ქართლი	1 ქილა, ანუ 24 კგ.	20 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,25-0,26 გრ.)	0,21 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 1,2 კგ. ხორბალი	1728 თვდდ. I. II
1730-იანი წწ.	ქართლი	1 კოდი, ანუ 30-33 კგ.	1,25-1,5 აბაზი (აბაზი=4,5 გრ.)	0,20-0,22 გრ.	1 აბაზი – 20-22 კგ. ხორბალი	მსეი. I: 5

1740-1742	ქართლი	1 კოდი, ანუ 33 კგ.	3-3,5/ მაქსიმუმ 10 აბაზი (აბაზი=დაახლ. 5 გრ.)	0,45-0,53 გრ./მაქ-ისმუმ 1,5 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 10 კგ. ხორბალი/ მაქს. ფასის პირობებში – 3,3 კგ.	თიო: 8
1749	ქართლი	1 კოდი, ანუ 33 კგ.	2 აბაზი (აბაზი=4,6 გრ.)	0,27-0,28	1 აბაზი – დაახლ. 17 კგ. ხორბალი	სეიძ. II. 94
1772	თბილისი	1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ./ 1 კოდი, ანუ 36 კგ.	8 კაპიკი/ 4 აბაზი (აბაზი=2, 9 გრ.)	0,32 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 9 კგ. ხორბალი	გმს. I: 237
1772	კახეთი	1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.)/ კოდი, ანუ 36 კგ.	6 კაპიკი/ 3 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.)	0,24 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 12 კგ. ხორბალი	გმს. I: 255
1780 წ. ზამ-თარი	თბილისი	1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	1 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.)	0,80 გრ.	1 აბაზი – 3,6 კგ.	თიო: 121
1783-1784 წწ.	ქართლი	ფქვილი 1 კოდი, ანუ 36 კგ.	1 მინალთუნი, ანუ 5 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.)	0,40 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 7 კგ.	მსეი. III: 70-80
XVIII ს. II ნახ.	ქართლი	ფქვილი 1 კოდი, ანუ 36 კგ.	3,5 აბაზი	0,28 გრ.	1 აბაზი – 10 კგ. ხორბლის ფქვილი	მსეი. I. 79-81
1796. I. 18	ქართლი	1 პური (გამომცხ-ვარი)	1 ბისტი (ბისტი=დაახლ. 0,29 გრ.)	0,29 გრ.	1 აბაზი – 10 გამომცხვარი პური	მსეი. I: 548
1799	ქართლი	1 კოდი, ანუ 36 კგ.	3 აბაზი	0,24 გრ.	1 აბაზი – 12 კგ. ხორბალი	მთმ: 410
1803	ქართლი/ კახეთი	1 კოდი, ანუ 36 კგ.	5 აბაზი	0,40 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 7 კგ. ხორბალი	მქსსწი: 16,17, 26, 27
1808	იმერეთი	2 იმერ. ბათმანი, ანუ 14,6 კგ.	2 რუბი (რუბი=დაახლ. 2,9 გრ.	0,40 გრ.	1 რუბი – 7,3 კგ. ხორბალი	მსეი. I: 261

1808	კახეთი	1 კოდი, ანუ 36 კგ.	5 აბაზი	0,40 გრ.	1 აბაზი – 7,3 კგ. ხორბალი	მსეი. I: 267
1808	კახეთი	1 კოდი ფქვილი, ანუ 36 კგ.	17,5 შაური (შაური=0,7 გრ.)	0,34 გრ.	1 აბაზი – 8,5 კგ. ხორბლის ფქვილი	მსეი. I: 267
1812	კახეთი	1 კოდი, ანუ 36 კგ.	4-5 რუბლი, ანუ 20-25 აბაზი	1,6-2 გრ.	1 აბაზი – 1,45 კგ. ხორბლის ფქვილი	Акты. V: 65
1822 წ.	თბილისი	1 კოდი, ანუ 36 კგ.	8 აბაზი	0,64 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 4,5 კგ. ხორბალი	მსეი. I: 561
1574	სამხ.-დასავ. საქართველო	ქერი 1 ქილა ანუ 24 კგ.	5-6 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,7 გრ.)	0,14-0,17 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 4-5 კგ. ქერი	1574 გვდდ
1574	სამხ.-დასავ. საქართველო	ფეტვი 1 ქილა, ანუ 24 კგ.	5-6 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,7 გრ.)	0,14-0,17 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 4-5 კგ. ქერი	1574 გვდდ
1574	სამხ.-დასავ. საქართველო	ჭვავი 1 ქილა, ანუ 24 კგ.	5-6 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,7 გრ.)	0,14-0,17 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 4-5 კგ. ქერი	1574 გვდდ
1595	სამხ.-დასავ. საქართველო	ქერი 1 ქილა, ანუ 24 კგ.	9 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,38 გრ.)	0,14 გრ.	1 ახჩა – 2,7 კგ.	გვდდ
1595	სამხ.-დასავ. საქართველო	ფეტვი 1 ქილა, ანუ 24 კგ.	9 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,38 გრ.)	0,14 გრ.	1 ახჩა – 2,7 კგ.	გვდდ
1595	სამხ.-დასავ. საქართველო	ჭვავი 1 ქილა, ანუ 24 კგ.	9 ახჩა (ახჩა=დაახლ. 0,38 გრ.)	0,14 გრ.	1 ახჩა – 2,7 კგ.	გვდდ
1724	ქართლი	ქერი 1 კოდი, ანუ 30 კგ.	5 შაური, ანუ 1,25 აბაზი (აბაზი=4,6; შაური=1,15 გრ)	0,19 გრ.	1 აბაზი – 24 კგ. ქერი	სს. II. 321.

1728	ქართლი	ქერი 1 ქილა, ანუ 24 კგ.	15 ახჩა (ახჩა=0,25-0,26 გრ.)	0,13 გრ.	1 ახჩა – 1,9 კგ. ქერი	1728 თვდდ
1728	ქართლი	ფეტვი 1 ქილა, ანუ 24 კგ.	15 ახჩა (ახჩა=0,25-0,26 გრ.)	0,13 გრ.	1 ახჩა – 1,9 კგ. ფეტვი	1728 თვდდ
1728	ქართლი	ჭვავი 1 ქილა, ანუ 24 კგ.	15 ახჩა (ახჩა=0,25-0,26 გრ.)	0,13 გრ.	1 ახჩა – 1,9 კგ. ჭვავი	1728 თვდდ
1772	თბილისი	ქერი 1 კოდი, ა ნუ 36 კგ.	50 კაპიკი/ 2,5 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.)	0,20 გრ,	1 აბაზი – 14,5 კგ. ქერი	გმს. II: 235, 237
1785 წ. ახლო	ქართლი	ქერი 1 კოდი, ანუ 36 კგ.	1,5 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.)	0,12 გრ.	1 აბაზი – 24 კგ. ქერი	მსეი. I: 79
1785 წ. ახლო	ქართლი	ქერჭრელი 1 კოდი, ანუ 36 კგ.	1,65 აბაზი (აბა-ზი=2,9 გრ.)	0,13 გრ.	1 აბაზი – 22 კგ. ქერჭრელი	მსეი. I: 79
1785 წ. ახლო	ქართლი	ფეტვი 1 კოდი, ანუ 36 კგ.	2 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.)	0,16 გრ.	1 აბაზი – 18 კგ. ფეტვი	მსეი. I: 79

II. ღვინის ფასი ფეოდალური ეპოქის საქართველოში (XIII-XVIII სს.)

ფეოდალურ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს ტერიტორიაზე ვაზის კულტურის გავრცელება პრეისტორიულ ეპოქას უკავშირდება. რადგან ვხვდებით ვაზის გარეულ, ადგილობრივ ჯიშებს და, ამავე დროს, კულტურული ვაზის უძველეს ნიმუშებს, სპეციალისტების მოსაზრებით, აქ ვაზის კულტურული ფორმების ადრე ჩამოყალიბების ყველა პირობა არსებობდა. ერთ-ერთ ნამოსახლარზე ნაპოვნი ყურძნის წიპწა ველურიდან კულტურულ ჯიშზე გარდამავალ საფეხურს მიეკუთვნება. შულავერის გორაზე კი ამ მცენარის კულტურული სახეობაა აღმოჩენილი.

კულტურული ვაზისა და ღვინის უძველესი კვალი აღმოჩენილია ნეოლითური ხანის ნამოსახლარებში – შულავერის გორაზე, ხრამის დიდ გორაზე, არუხლოს გორაზე და სხვა ადგილებში. ვაზის წიპწებთან ერთად, აღმოჩენილია თიხის საღვინე ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებზეც დალექილი ღვინის მჟავაა შემორჩენილი. აღმოჩენების შედეგად მიჩნეულია, რომ საქართველოში ღვინის კულტურა 8000 წელს ითვლის, ხოლო საქართველოს ტერიტორია ღვინის სამშობლოდ მიიჩნევა.

ივ. ჯავახიშვილმა დეტალურად გამოიკვლია ძველი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ვაზის ჯიშები, რომელთა ოდენობა 420-ს აღწევდა. მევენახეობა განვითარებული იყო კახეთსა და ჰერეთში, ქვემო და შიდა ქართლში, მესხეთში, იმერეთში, რაჭასა და ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, შავშეთ-კლარჯეთში. ანუ, მაღალმთიანი ზონის გარდა, პრაქტიკულად, მთელ საქართველოში.[216] ქართულ ენაში 1200 ლექსიკური ერთეულია, რომლებიც დაკავშირებულია ვაზის ჯიშებთან, ვაზის ნაწილებთან, ვაზის მოვლასა და მსგავს საქმიანობასთან.[217]

ქრისტიანობამდელ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის წარმართული კულტი უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ქართულ ყოფაში ქრისტიანობის მიღების შემდეგაც, ვაზს განსაკუთრებული და დიდი ადგილი ეკავა, რაც დასტურდება წერილობითი წყაროებითა და ხალხის წეს-ჩვეულებებით.[218] ფეოდალური ეპოქის საქართველოში ვაზის და, ზოგადად, მევენახეობა-მეღვინეობის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს

[216] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II. ტფ. 1934, გვ. 400-471.

[217] მ. ლორთქიფანიძე, ნ. შოშიაშვილი. ეკონომიკური და სოციალური განვითარება IV-X საუკუნეებში. საქართველოს ისტორია, გვ. 268.

[218] მ. ლორთქიფანიძე, ნ. შოშიაშვილი. ეკონომიკური და სოციალური განვითარება IV-X საუკუნეებში, გვ. 268-269.

ქართველთა განმანათლებლის – წმინდა ნინოს ჯვარი, რომელიც ვაზისგან იყო დამზადებული. ტაძრების ფასადებზე ვხვდებით ვაზისა და მტევნების გამოსახულებებსაც.

შუა საუკუნეებში ქართველების წარმოდგენით, ვაზი და ვენახი იმდენად დიდ მნიშვნელობას ატარებდა, რომ მოქცევჲ ქართლისაჲს ქრონიკა ვენახის გაშენებას და სარწყავი რუს გამოღებას ეპოქის ყველაზე დიდ პიროვნებას – ალექსანდრე მაკედონელს მიაწერდა: „და შემდგომად რაოდენისა-მე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფჱ ყოვლისა ქუეყანისაჲ... დადგა სარკინეს დასავლეთით კერძო და დაასხა ვენაჯი და რუჲ გამოიღო ქსნით, დასხნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუჲსაჲთა; და ჰრქჯან ადგილსა ნასტაგისი“.[219]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფეოდალური ეპოქის საქართველოში ღვინო ხორბალთან ერთად, სიმდიდრის დაგროვების მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ეს კი განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: ძველ საქართველოში ღვინოს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი ეკავა. ის არა მარტო დღესასწაულებსა და სალხინო თუ სამგლოვიარო სუფრაზე გამოიყენებოდა, არამედ პირველადი მოხმარების საგანს წარმოადგენდა. ღვინო იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას მოიხმარდნენ სამხედრო მობილიზაციის პირობებშიც კი. უფრო მეტიც, სახელმწიფო ავალდებულებდა მოსახლეობას, რომ სალაშქროდ, სურსათ-სანოვაგის მარაგთან ერთად, გარკვეული რაოდენობის ღვინო აუცილებლად წაეღოთ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, საუბარია ყოველდღიურ მინიმალურ ოდენობაზე.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ღვინის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ, საინტერესოა 1774 წელს შედგენილი „მორიგე ლაშქრის განაჩენის“ ის მუხლები, რომლებშიც საუბარია ჯარში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დამნაშავეების დასჯაზე. დარღვევისას, თავად-აზნაურებს ეკისრებოდათ ფულადი გადასახადი, ხოლო თუ თანხის გადახდა არ შეეძლოთ, მათი მამული უნდა გაეყიდათ. „განაჩენში“ გათვალისწინებული იყო ისეთი გარემოებაც, როდესაც დამნაშავეს არც თანხა და არც დადგენილი ჯარიმის ღირებულების მამული ექნებოდა. ასეთი შემთხვევისათვის აღნიშნულია: „ქ. რომელსაც თავადიშვილს მამულისა და საქონლის ილაჯი არა ჰქონდეს, ის სატუსაღოში ერთი თვე დაებას ბორკილით და ცარიელის პურის, წყლისა და ღვინის მეტს ნურას მიაღებინებ ჭამითა და სმითა, ზედამდგომელნი. და თუ იმ ზედამდგომელთ შეუტყევით, რომ ამისი მეტი, რაც არ დაგვიწერია სასმლისა და საჭმლისაგან, მიუტანინებიათ რამე, იმის გარდასაჯდევინებელს ზედამდგომელს გარდავაჯდევინებთ“. ანალოგიური კვების რაციონია გათვალისწინებული აზნაურის დაპატიმრების შემთხვევაშიც.[220]

როგორც ვხედავთ, ღვინის ყოველდღიური ნორმა დამნაშავის მკაცრი დასჯის პირობებშიც კი იყო გათვალისწინებული.

თუ რა ოდენობის ღვინოს მოიხმარდა საშუალოდ, ერთი ადამიანი დღეში, ამის შესახებ, წყაროებში გარკვეული ინფორმაცია მოგვეპოვება. ზემოთ განხილული XIII საუკუნის დასაწყისის ძეგლი „განგებაჲ ვაჰანის ქუაბთაჲ“ ასევე ადასტურებს ფაქტს, რომ ღვინო ყოველდღიური სასმელი იყო მოსახლეობის ყველა ფენისათვის, მათ შორის, სასულიერო პირებისათვის. ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ სასულიერო პირებისათვის

[219] მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ალ. გიუნაშვილმა. თბ. 1979, გვ. 320.
[220] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 439-442.

გადასაცემი ხორბლის ნორმის შესახებ. ამჯერად, ყურადღებას ღვინის ოდენობაზე გავამახვილებთ. საბუთში აღნიშნულია, რომ მოძღვარს უნდა მიეცეს სამი საპალნე ღვინო, იკონომოსს – ორი, „ხოლო უთავადესთა ძმათა, რომელთა: გ˜ :გ˜ :დუკატი აქუს საჩოჴედ, ამათ პური ორი გრივი წმიდაჲ და ერთი ქრთილი მიეცემოდის და თჳთო საპალნე ღჳნოჲ.

და მეორისა დასისათა, რომელთა წირვისა მეტი არაჲ შეეძლოს, ღჳნოჲ თჲთოჲ ცალი მოიცემოდის, გარნა პური ვითა თავადთა ძმათათჳს დაგჳწესებია, ეგრეთვე [ამ]ათთჳს.

ხოლო მწირთა პური თჳთოჲ გრივი წმინდაჲ და თჳთოჲ ქრთილი და ღჳნოჲ ოთხთა და ოთხთა თჳთოჲ საპალნე“.[221]

„უთავადესთა ძმათათვის“, ისევე როგორც ხორბლის შემთხვევაში, ღვინის წლიური მარაგიც დღიური ნორმის გათვალისწინებით უნდა იყოს აღებული. ამდენად, იერარქიულად დაბალ საფეხურზე მყოფი სასულიერო პირებისათვის წლის ნორმად მიიჩნეოდა ერთი საპალნე ღვინო.

შარდენის ცნობით, საპალნე დაახლ. 150 ლიტრს იტევდა,[222] შესაბამისად სამღვდელო პირების ყოველდღიური ნორმა ყოფილა დაახლ. 0,4 ლიტრი ღვინო.

„მორიგე ლაშქრობის განაჩენიც“ გვაწვდის ცნობას ყოველდღიურად მოსახმარი ღვინის ოდენობის შესახებ. „განაჩენის“ მიხედვით, თუ გლეხს უკიდურესი სიღარიბის გამო, „მორიგე ჯარში“ სურსათ-სანოვაგის წაღების საშუალება არ ექნებოდა, „იმ კაცს იმისმა მებატონემ, რომლისაც იყოს, თვეში ხუთი თუნგი ღვინო და ერთი კოდი პური მისცეს და საყოფი მარილი ერთს თვისა და ისე გამოგზავნოს შეუძლებელი, თავისი მემკვიდრეცა და ჴიზანიცა“.[223]

გიულდენშტედტის ცნობით, თუნგი ლიტრის ოდენობის ყოფილა[224] და XVIII საუკუნის II ნახევარში იწონიდა 3,6 ლიტრს. მაშასადამე, 5 თუნგი იტევდა 18 ლიტრს. როგორც ვხედავთ, ერთი მამაკაცისათვის თვის განმავლობაში განკუთვნილი ყოფილა 18 ლიტრი ღვინო. შესაბამისად, დღიური ნორმა გამოდის 0,6 ლიტრი.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ღარიბ გლეხებზე. შედარებით შეძლებულები კი, სავარაუდოდ, ყოველდღიურად უფრო მეტ ღვინოს მოიხმარდნენ. ბერბუკის გალავნის მშენებლობაზე დასაქმებული ხურო-კალატოზებისათვის 3 კაცზე 1 ლიტრა (დაახლ. 3,3 ლიტრი) ღვინო იყო გათვალისწინებული.[225] შესაბამისად, ხელოსნების კვების რაციონში დღიურად 1 ლიტრზე ცოტა მეტი იანგარიშებოდა, რომელსაც, ცხადია, 2-3-ჯერადი კვების დროს მიირთმევდნენ.

იესე ოსეს ძე თავის თავგადასავალში აღნიშნავდა: „ღვინის სმა შეზომილ და ერთს ჩარექს ღვინოს არც დავიკლებდი და არც იმის მეტს მიხჴუმევნდი ნებით ჩემით და თუ ლხინსა მიწოდიან, დავლევდი, მარა ჩემს ჟამში კაცს მთვრალი არ უხილავარ“.[226]

---

[221] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ 141.

[222] ზოგიერთი ცნობით, საპალნე გაცილებით დიდიც ყოფილა. ზოგადად, არსებობდა ცხენის, აქლემის და ვირის საპალნე, რომლებიც განსხვავებულ მოცულობებს იტევდა. იხ.: გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 110-116.

[223] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ 443.

[224] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 237.

[225] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. II, გვ. 94.

[226] ს. კაკაბაძე თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 4.

როგორც ვხედავთ, იესე ოსეს ძე ღვინის დღიურ ნორმად 1 ჩარექს,[227] ანუ 820-900 გრამს ასახელებს.

ერთი სიტყვით, სასულიერო პირებისათვის დღეში ყველაზე ცოტა 400 გრამი ღვინო იყო გათვალისწინებული, ხოლო საერო პირები 600 გრამიდან 1 ლიტრს და ცოტა მეტ ღვინოს მოიხმარდნენ.

შუა საუკუნეების საქართველოში ღვინის კულტურასთან კავშირის გარეშე, თითქმის, არ არსებობდა საქმიანობა. მაგალითად, ოშკის სამშენებლო წარწერა გვამცნობს ტაძრის მშენებლობისათვის გაწეულ დანახარჯებს, რომელთა შორის, ერთ-ერთი მთავარი ადგილი ღვინოს უკავია. მშენებლობაზე დასაქმებული ხელოსნების კვების რაციონში პურთან ერთად, გათვალისწინებული იყო ღვინოც.[228]

ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებულ საქართველოს ეკონომიური ისტორიის მასალების სამივე წიგნიდან კარგად ჩანს, რომ ფეოდალურ საქართველოში ღვინო კვების რაციონის აუცილებელი კომპონენტი იყო და ღვინის დანახარჯებს ითვალისწინებდნენ არა მხოლოდ ლხინის, არამედ მუშის და ხელოსნის დაქირავების, სახელმწიფო მოხელეთა ანაზღაურების, სამხედრო მობილიზაციის და სხვა უამრავ საქმიანობის დროს.

წყაროებით დასტურდება ის ფაქტიც, რომ მცირე ოდენობით, არა ყოველდღიურად, მაგრამ კვირაში რამდენჯერმე მაინც, ქალებიც მიირთმევდნენ ღვინოს. 1790 წლის დანახარჯის ნუსხაში, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი უცნობი პირის მიერ ყოველდღიურად თბილისის ბაზარში შეძენილი პროდუქცია, რამდენჯერმე ვხვდებით შემდეგ ფრაზას: „გოგოებისათვის ვიყიდე ღვინო“.[229] ყოველ ჯერზე „გოგოებისათვის“ ნაყიდია 2 შაურის, ანუ უზალთუნის ღვინო, რაც იმდროინდელი ნახევარი ლიტრაა. თანამედროვე მეტრული სისტემით კი უდრის 1,8 ლიტრს, რომელსაც დაახლოებით კვირაში ორჯერ ყიდულობდნენ. საბუთში არ არის მითითებილი ორი, სამი თუ მეტი გოგოსთვის იყო ნაყიდი დასახელებული ოდენობის ღვინო, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისსა და, ზოგადად, საქართველოში მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა კვების კულტურის ნაწილი ყოფილა მცირე ოდენობის ღვინის მირთმევა.

რაღა თქმა უნდა, დღესასწაულებსა და სალხინო სუფრებზე გაცილებით დიდი რაოდენობით ღვინოს მოიხმარდნენ. თბილისის პოლიცმაისტერი იოსებ შაგუბატოვი XIX საუკუნის დასაწყისში თბილისური ქორწილის შესახებ აღნიშნავდა, რომ „კაცები აუცილებლად სვამენ 5-6 გირვანქა (2-2,5 ლიტრი – ა. თ.) ღვინოს; მათ ამ საქმეში არც ქალები უდებენ ტოლს“.[230]

როგორც ვხედავთ, სალხინო სუფრებზე ერთი ადამიანი მიირთმევდა საშუალოდ, 2-2,5 ლიტრ ღვინოს. გაცილებით მეტი ღვინის მოხმარებასთან გვაქვს საქმე ცალკეულ შემთხვევებში. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ქართული ღვინის ხარისხსა და მოხმარების ოდენობას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ქვეყანა, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამენ, როგორც

[227] ჩარექი XVIII საუკუნის II ნახევარში დაახლ. 820 გრამს უდრიდა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში 920 გრამს, ანუ ლიტრის მეოთხედს ნიშნავდა. იხ.: გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 61-62.

[228] ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი. 1. თბ. 2016, გვ. 338.

[229] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ, 100-119.

[230] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 43.

აქ".[231] სხვა ადგილას აღნიშნულია, რომ „მეგრელები და მათი მეზობლები ღვინოს ბევრს სვამენ. ისინი ღვინის სმაში აჭარბებენ გერმანელებს და ყველა ჩრდილოელს". ხოლო ქუთაისში მცხოვრები ერთ-ერთი აზნაურის ლხინის აღწერისას, დაუჯერებელი ოდენობის ღვინის დალევაზე მიუთითებდა.[232] დიდი ოდენობით ღვინის მოხმარების მიუხედავად, ძველ საქართველოში, როგორც იესე ოსეს ძის თავგადასავლიდან ვიგებთ, სიმთვრალე საძრახის ქცევად მიიჩნეოდა.

მოხმარების დიდი მასშტაბებიდან გამომდინარე, საქართველოში ღვინო, როგორც აღინიშნა, სიმდიდრის დაგროვების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ მიიჩნეოდა. ადგილობრივი მოხმარების გარდა, დადასტურებულია ღვინის ექსპორტის შემთხვევებიც. შარდენისავე ცნობით, თბილისიდან ღვინო გაჰქონდათ სომხეთში, მიდიასა და ისპაჰანში.[233] საუკეთესო ღვინოს ქართველები სხვადასხვა ეპოქაში ხარკის სახითაც იხდიდნენ, თუმცა, ხარკის გადახდას მაინც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რეალურად მცირე მოცულობასთან გვაქვს საქმე.[234]

ექსპორტის დადასტურებული შემთხვევებისა და ხარკის სახით გარკვეული ოდენობის გადახდის მიუხედავად, საქართველოში დაყენებული ღვინო, ძირითადად, მაინც შიდა მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი. გლეხის ვენახებსა და ფეოდალების ზვრებში მოყვანილი ღვინის ნახევარზე მეტი პირადი მოხმარებისათვის გამოიყენებოდა. ღვინის რეალიზაცია უმთავრესად ქალაქებში ხდებოდა. XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში თბილისის 23 000 მცხოვრები ყოველწლიურად, 700 000-მდე ვედრო, ანუ 7,7 მილიონ ლიტრა ღვინოს მოიხმარდა. სტატისტიკურ მონაცემში აღნიშნულია, რომ მოცემულ ოდენობაში არ იყო გათვალისწინებული თბილისში მყოფი 9080 რუსი სამხედრო პირი და ჩინოვნიკი, რომლებიც ძირითადად, არაყს სვამდნენ.[235] ღვინის დაახლოებით იდენტური ოდენობის მოხმარება უნდა ვივარაუდოთ XVIII საუკუნის II ნახევარში, რადგან 1795 წლის აღა-მაჰმად ხანის შემოსევამდე თბილისში საშუალოდ, 20-25 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ღვინის არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა იქნებოდა საჭირო სხვა ქალაქების მოსახლეობისათვის. მაგალითისათვის, მოვიტანთ ქალაქ თელავში ღვინის რეალიზაციის ოდენობას – თელავის მოურავი თავადი ბარამ გურგენიძე 1803 წლის სიგელში მიუთითებდა: „რაც თელავის ბაზარში ღვინო გაიყიდებოდა, ურემზე ერთი ჩაფი ჭაშნიკი ჩვენი იყო, აქედამაც მერგებოდა წელიწადში ხუთასი თუნგი".[236] როგორც ვხედავთ, თელავის ბაზარში წლის განმავლობაში, იყიდებოდა 500 ურემი ღვინო. ურემი, XVIII საუკუნის მიწურულის მონაცემებით, საშუალოდ, 820

---

[231] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 297.

[232] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 122.

[233] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 297.

[234] ტურნეფორის ცნობით, 1700 წლის ახლო ხანებში ქართლიდან სპარსეთის შაჰის კარზე ხარკის სახით ყოველწლიურად, მხოლოდ 24 საპალნე ღვინო იგზავნებოდა (იხ.: ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1988, გვ. 64). 1771 წლის 30 დეკემბრის ერეკლე II-ის მიერ ეკატერინე II-ისადმი გაგზავნილ ხელშეკრულების პროექტში კი აღნიშნულია, რომ ირანზე დამოკიდებულების პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოდან ირანში გაგზავნილი ღვინის ოდენობა 50 საპალნეს, ანუ 2000 ვედროს (დაახლ. 22 000 ლიტრს) შეადგენდა (იხ.: გეორიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბ. 1983, გვ. 59-60).

[235] Обозрение российских владений за Кавказом, в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях, произведенное и изданное по высочайшему соизволению. Ч. 1. СПб. 1836, გვ. 53-53.

[236] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 48.

ლიტრს იტევდა.[237] გამოდის, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ქალაქი თელავი მოიხმარდა 400 000 ლიტრზე მეტ ღვინოს. ასევე, დიდი რაოდენობით ღვინო იყიდებოდა გორში, სადაც სპეციალური ღვინის დუქნები ყოფილა მოწყობილი.[238] წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით, XVIII საუკუნის ქართულ ქალაქებში, სულ ცოტა, 10-12 მილიონი ლიტრი ღვინის რელიზაციაა სავარაუდებელი.[239] ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილად წარმოსადგენია, რა ოდენობის ღვინის მომხმარებელი იქნებოდა XI–XIII საუკუნეების ქართული ქალაქები.

ღვინოს ასევე ყიდულობდნენ ან სხვა პროდუქტებზე ცვლიდნენ საქართველოს მთიანეთისა და ქვეყნის იმ რეგიონების მოსახლეობა, სადაც ან ვაზი არ ხარობდა, ანდაც მევენახეობას ნაკლებად, ან საერთოდ არ მისდევდნენ. როგორც ჩანს, ამ მხრივ, საშინაო ბაზარი საქართველოში იმაზე მეტად იყო განვითარებული, ვიდრე ეს ტრადიციული შეხედულებით წარმოგვიდგენია, რაც გამომდინარეობს ფაქტობრივი მასალის სიმცირიდან. მაგრამ არსებობს გამონაკლისები – ზოგიერთი ისტორიული წყარო საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს რეგიონებს შორის, ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის ფორმების შესახებ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია XV საუკუნის თავისუფალი სვანეთის მოსახლეობისა და ჯაფარიძეთა საგვარეულოს დავის ამსახველი საბუთი. საბუთიდან ჩანს, რომ სვანებს ჯაფარიძეთა ოჯახის წევრი მოუკლავთ, რის გამოც, აღნიშნული ფეოდალური საგვარეულო მათ დაუპირისპირდა. საბუთში ჩვენთვის საინტერესო მრავალ დეტალზეა საუბარი. სვანები აღნიშნავდნენ: „... აღარც გაგვიშვით საჯამაგიროდ, აღარც რაჭას და ლეჩხუმს სამუშაოდ გამოგვიშვით, შვიდს წელიწადსა ასე ვიყუენით, რომე სრულიად სვანეთის ქუეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიშოვებდით და არცა ვის მარილის გემო გვინახავს. მერმე მიგვჭირდა და აღარა ღონე გვქონდა. შევიყარენით და ოთხასი საპალნე ცხენი წამოვიტანეთ, თჳითოს ცხენსა ოროლი კაცი წამოვჰყევით. ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც სავაჭრო გვახლდა, გავჰყიდეთ და ვისაქმეთ. ავკიდეთ ღვინო და წამოვედით... წინათ თქუენ დაგვხვდით, უკანით კუჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე და გარეყენიძე მოგვეწივნეს, გავიყავით წინა უკანა და დაგვჴოცეთ და ამოგვწყვიტეთ. რვაასის კაცისგან ოთხასის მეტი აღარ მოვრჩით. ეს ყუელა კაცნი დაგვჴოცეთ და ოთხასი ცხენი, ყუელას ღვინო ეკიდა, მისის საპალნით წაგვართვით. ამას გარეთ სხუა მრავალი მტრობა გვიყავით და ვერსით საჯამაგიროდ ვერ გაგეპარენით. ამისი ღონე ვერ დავდევით, რომ გზა გვეშოვნა. ასი სვანი დვალეთისკენ გავიპარენით, კახეთს საჯამაგიროდა წავედით... მერმე შინისკენ რომ შემოვიქეცით, იმავ დვალეთზედ წამოვედით, დაგვხვდით გლოლას და ჭიორსა შუაზედან... ჴელთა დაგვცარცვეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბედ გაუშვით, სხუა ყუელა ტყუეთ წამოასხით... ღონე არა გვქონდა, დავიჴსენით თავი და თვითო კარგი აბჯარი ჩუენის თავის სახსრად გამოვიღეთ და

[237] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 118-119.

[238] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში. თბ. 1980, გვ. 51.

[239] XVIII საუკუნი II ნახევარში თბილისის გამოკლებით, აღმოსავლეთ საქართვლოს ქალაქებში მცხოვრებთა მიახლოებითი ოდენობა ასე გამოიყურება: გორი – 500 კომლი, სურამი 200 კომლი, თელავი – 740 კომლი, სიღნაღი – 100 კომლი, ანანური – 100 კომლი, ახალგორი – 140 კომლი, ცხინვალი – 130 კომლი, დუშეთი – 100. სულ – 2010 კომლი, ანუ დაახლ. 12 ათასი ადამიანი. იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 420; ვ. გამრეკელი. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის მიხედვით, გვ. 57-75; ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები. თბ. 2013, გვ. 18.

გარჯილი სული ამით შევირჩინეთ... ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სვანეთი არის, თორმეტი წელიწადსა ასრე შეწყვდეულნი, რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერცა გურიისაკენ".[240]

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეებში თავისუფალი სვანეთის მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყოფილა საქართველოს ბარის რეგიონებთან კავშირი. ბარის რაიონებთან ეკონომიკურ ურთიერთობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონია, რომ გარდაუვალი საფრთხის მიუხედავად, სვანები ჯერ ლეჩხუმში ჩასულან 400 საპალნე, ანუ ტვირთმზიდავი ცხენით, შემდეგ 100 მათგანი დვალეთის გზით, ფარულად, კახეთში წასულა „საჯამაგიროდ". სვანები კახეთში „საჯამაგიროდ", ანუ სამუშაოდ მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში რომ არ მიდიოდნენ და ამ პროცესს მუდმივი ხასიათი ჰქონია, ეს კარგად ჩანს ამავე საბუთის სხვა ადგილას – მეფისა და სახელმწიფო მოხელეთა გადაწყვეტილებით სვანებს მოკლული ჯაფარიძის სისხლში ამავე საგვარეულოსათვის გადაუციათ მნიშვნელოვანი ქონება, მათ შორის, „ვერცხლის ტაშტი, წურწუმა, კახთა მეფის ნაპარევი".[241] როგორც ჩანს, სვანეთიდან კახეთში „საჯამაგიროდ" მოსახლეობა იმდენად ხშირად დადიოდა, რომ სამეფო კარიდანაც კი მოუხერხებიათ გარკვეული ნივთების მოპარვა. საბუთიდან ვიგებთ, რომ კახეთის გარდა, სვანეთიდან მოსახლეობა სამცხესა და გურიაშიც დადიოდა „საჯამაგიროდ", საიდანაც მარილთან და სხვა პროდუქტებთან ერთად, დიდი რაოდენობით ღვინოსაც იძენდნენ. როგორც ვნახეთ, ლეჩხუმში ერთ ჯერზე მათ 400 საპალნე ღვინო შეუძენიათ, რაც 150-ლიტრიანი საპალნის პირობაზე 60 000 ლიტრის ტოლფასია. ამდენად, საბუთი სრული სიცხადით გადმოგვცემს მთის რეგიონების მცხოვრებთა საჭიროებებს და ბარის რაიონებთან ეკონომიკური კავშირების აუცილებლობის ფაქტს.[242]

იოსებ შაგუბატოვის გადმოცემით, თბილისს ხშირად სტუმრობენ მთიულები, ფშაველები და ხევსურები, რომელთაც ჩამოქონდათ ლობიო, ქათმები, მამლები და სხვა წვრილმანი, ხოლო სანაცვლოდ, იძენდნენ მათთვის საჭირო პროდუქციას.[243]

როგორც აღინიშნა, მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის გარდა, ღვინოს (ცხადია, მათთვის საჭირო სხვა პროდუქციასაც) იმ კუთხეების მოსახლეობაც იძენდა, სადაც მევენახეობა არ იყო განვითარებული. მაგალითად, იოსებ შაგუბატოვისავე ცნობით, ქართლ-კახეთის სამხრეთით, ბამბაკის და სხვა პროვინციების მოსახლეობა თბილისში ჩამოტანილი საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად აღებული თანხით ყიდულობდა ნაბდებს, ტანსაცმელს, ღვინოს და არაყს.[244]

ერთი სიტყვით, ღვინო, ისევე როგორც ხორბალი და სხვა მარცვლეული, ძირითადად, ადგილობრივი მოხმარებისათვის გამოიყენებოდა და უმთავრესად, საშინაო

---

[240] ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. I. თბ. 1914, გვ. 126-128.

[241] ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. I, გვ. 130.

[242] საქართველოს რეგიონების ეკონომიკური კავშირების შესახებ ვრცლად იხილეთ: რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. შოთა მესხია – 100. თბ. 2016, გვ. 392-421.

[243] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 38.

[244] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 37.

ბაზრებზე იყიდებოდა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ვაჭრობასთან დაკავშირებით, ქართველი ფეოდალების კონსერვატიული მიდგომის მიუხედავად, როგორც ჩანს, ღვინის რეალიზაცია მიუღებელ საქმიანობად არ მიიჩნეოდა. იესე ოსეს ძის თავგადასავალში აღნიშნულია: „მამულები რაც მიყიდია, დამიწერია და წელიწადში ხუთასი და ექვსასი კოდი პური მერგება ხოლმე... ვენახს ვყრი და ღუთის ნება იყოს, გაისარჯენით და დარჩით... ქართველები ვართ, პური საჭმელად და სამოსლად უნდა ვიყოფინოთ, ღვინო სამოსლად და სასმლად, ცხვარი, ღორი საკლავად, ძროხა საჴნვად და ასე უნდა დავრჩეთ... ქართველის კაცის რჩომა ასე ყოფილა და ასე იქნება“[245] – ასეთ დარიგებას აძლევდა თავადი საკუთარ შვილებს. სხვა ადგილას ავტორი აღნიშნავდა: „ჩემგან პური არ გაისყიდებოდა, თუნდ ათასი კოდი მომსვლოდა“.[246] როგორც ვხედავთ, ფეოდალური საზოგადოების შეხედულებით, ხორბლის რელიზაცია არცთუ მიღებულ საქმიანობად ითვლებოდა, ხოლო ღვინის შესახებ ცალსახადაა აღნიშნული, რომ მას „სამოსლად“ და პირადი მოხმარებისათვის იყენებდნენ. ღვინის „სამოსლად“ გამოყენება სწორედ რეალიზაციას გულისხმობდა.

საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, სადაც შესაფერისი ნიადაგი და ჰავა იყო, ვენახი საგლეხო ფუძის ერთ-ერთ აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდა. საშუალო შეძლების გლეხს ერთი ვენახი (დაახლ. 0,3-0,5 ჰა.[247]) ჰქონდა. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მოცემული პირობა ეხება საშუალო შეძლების და მდიდარ გლეხებს, ხოლო გლეხების სოლიდურ ნაწილს – ბოგანოებს, ღარიბებს არა თუ ვენახი, არამედ სამყოფი ოდენობის სახნავი მიწაც არ გააჩნდათ. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, კახეთში ვენახებს უფრო მეტი ფართობი ეკავა. 1804 წლის თელავის მაზრის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, 1368 კომლი სახაზინო (რუსული მმართველობის დამყარებამდე სახასო, ანუ სამეფო) გლეხიდან მამული ჰქონდა 1174 კომლს, ხოლო მევენახეობას მისდევდა 804 კომლი, 1811 კომლი საბატონო გლეხიდან მამული ჰქონდა 1431 კომლს, ხოლო ვენახი – 1266 კომლს, საკათალიკოსო 98 გლეხიდან მამული ჰქონდა 88 კომლს, ვენახი – 81 კომლს, 1233 საეკლესიო კომლიდან მამული ჰქონდა 1128 კომლს, ვენახი – 900 კომლს, სახაზინო და საკათალიკოსო თანამფლობელობაში მყოფი 292 გლეხიდან მამული ჰქონდა 292 კომლს, ვენახი – 228 კომლს.[248] სულ აღწერილი 4802 კომლიდან მამული ჰქონდა 4113 კომლს, ხოლო ვენახი – 3279 კომლს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული აღწერის მონაცემები არასრულია და თელავის მაზრის ყველა სოფელი არ არის მასში შეყვანილი. იმავე წლის სიღნაღის მაზრის აღწერის მიხედვით, 4450 კომლიდან ვენახი ჰქონდა 3544 კომლს.[249] რა თქმა უნდა, ყველა გლეხი თანაბარი ოდენობის ვენახს არ ფლობდა. გლეხთა მცირე ნაწილს ორი და მეტი ვენახი ჰქონდა, გარკვეულ ნაწილს – ვენახის ნახევარი ან მეოთხედი.

გლეხების მცირე ფართობის ვენახების გარდა, ვაზი გაშენებული იყო საბატონო ზვრებშიც. ზვარი ვენახთან შედარებით, დიდი ზომის ფართობზე გაშენებულ ვაზის ნარგაობას ეწოდებოდა. ზვრები, თითქმის, ყველა ფეოდალს ჰქონდა. ზვრების მფლო-

[245] ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 129.
[246] ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 126.
[247] ვენახის ოდენობის შესახებ, დაწვრილებით ქვემოთ.
[248] გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. საქართველოს არქივი. III. თბ. 1927, ცხრილი № 6.
[249] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში. 1800-1864 წწ. თბ. 1971, გვ. 302-304.

ბელად, ასევე გვევლინება სახელმწიფო და ეკლესია-მონასტრები. ზვრები არათანაბარი ფართობის იყო. სოფლის ზვრებიდან ზოგჯერ იმავე სოფლის გლეხების ვენახების საერთო ოდენობის ან უფრო მეტ მოსავალს იღებდნენ.

ვენახების საერთო ფართობზე წარმოდგენის შესაქმნელად, საინტერესოა XIX საუკუნის დასაწყისის მონაცემების გაცნობა. XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მთლიანად კახეთში 10 000 დესეტინამდე,[250] ანუ დაახლ. ამავე ოდენობის ჰექტარ (20 000 დღიური) ფართობზე ყოფილა ვენახი გაშენებული, აქედან, 7000 დესეტინა – თელავის მაზრაში, 3000 დესეტინა – სიღნაღის მაზრაში.[251] ცხადია, კახეთში გაშენებული ვაზის ნარგავების საერთო ფართობში იგულისხმება არა მხოლოდ გლეხების ვენახები, არამედ ფეოდალთა ზვრებიც. მოცემული რიცხვები შეგვიძლია, თავისუფლად გავავრცელოთ ზოგადად გვიანფეოდალური ეპოქის საქართველოზე, რადგან XIX საუკუნის პირველ 20-30 წლებში, წინა პერიოდთან შედარებით, ქართული მეურნეობის არსი პრაქტიკულად, არ შეცვლილა. ქართლისა და დასავლეთ საქართველოში არსებული ვაზის ნარგაობების ჩათვლით, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ვენახები დაახლ. 20 ათას ჰექტარზე იქნებოდა გაშენებული.

ერთი ვენახიდან (0,3-0,5 ჰა.) მოწეული მოსავლის ოდენობის შესახებ საინტერესოა 1630 წლის 25 დეკემბერის ბატონყმობის წიგნი, მიცემული გიორგი და ხუცია აღაიანელების მიერ შერმაზან სუმბულაძისადმი. მასში აღნიშნულია: „...რადგან თქვენი ყმა შევიქმენ, პური ორმოთი მამეცი სამოცი კოდი, ფეტვი მოსამკალი მოგვეც, ვენაჯი მოსაკრეფი – ცხრა საპალნე ტკბილი გამამივიდა...“.[252]

როგორც ვხედავთ, ვენახიდან 9 საპალნე ტკბილი მოიწიეს. თუ საპალნეს ვიანგარიშებთ 150 ლიტრად, მაშინ ვენახიდან აუღიათ 1350 ლიტრა ტკბილი, რომლის დამზადებას 2 ტონაზე მეტი ყურძენი ესაჭიროებოდა. 1350 ლიტრა ტკბილიდან დაახლ. 1200 ლიტრა ღვინო დამზადდებოდა.

დარეჯან დედოფლის ჩვენებით, კახეთში, სოფელ ხოდაშენში, 5 დღის ზვრიდან 60 საპალნე ღვინოს იღებდნენ,[253] შესაბამისად, ერთი დღიური ვენახიდან 1800 ლიტრ ღვინოს მოიწევდნენ. ცხადია, აქ სრული ერთი დღიური ვენახი, ანუ 0,5 ჰერქტარი იგულისხმებოდა. ისიც შესაძლებელია, რომ ზემო ხოდაშენი განსაკუთრებული მოსავლიანობით გამოირჩეოდა.

XIX საუკუნის დასაწყისის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 7 000 დესეტინა (დაახლ. 7 000 ჰა.) ვენახებიდან 1 960 000 მილიონამდე ვედრო ღვინოს იღებდნენ.[254] ამ შემთხვევაში, 1 ჰა. ვენახიდან დაახლ. 3000 ლიტრა ღვინოს იღებდნენ, ხოლო 1 დღიურიდან – 1500 ლიტრს.

ერთი სიტყვით, გვიანი ფეოდალური ეპოქის საქართველოში ერთი დღიური ვენახი (0,3-0,5 ჰა.) საშუალოდ, 1200-1500 ლიტრ ღვინის მოსავალს იძლეოდა.

უნდა ითქვას, რომ არ მოგვეპოვება პირდაპირი მონაცემი განვითარებულ ფეოდალურ ხანაში არსებული მოსავლიანობის შესახებ. თუმცა, ქვემო ქართლის ნასოფლარ

---

[250] დესეტინა უდრის 1,09 ჰექტარს.

[251] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 368.

[252] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.). ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940, გვ. 22.

[253] საქართველოს სიძველენი. ტ. III. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1910, გვ. 297.

[254] Обозрение российских владений за Кавказом, გვ. 375.

ნაჭივჭავებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ერთი ვენახიდან მიღებული მოსავლის ოდენობის შესახებ. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დადასტურდა, რომ XI-XIII საუკუნეების სოფლის თითქმის ყველა ოჯახის მარანში დაახლოებით 600 ლიტრის ქვევრები იყო განთავსებული.[255] თუ მოცემულ ინფორმაციას განვაზოგადებთ, გამოდის, რომ ერთი კომლი საშუალოდ, აყენებდა 600 ლიტრ ღვინოს. ოჯახებში დაყენებულ ღვინის მოცულობას თუ ღვინის ფეოდალური გადასახადის, ანუ კულუხის ოდენობასაც დავუმატებთ, რომელსაც შესაძლებელია, ტკბილის სახით იხდიდნენ, გამოდის, რომ ერთი კომლი ერთი ვენახიდან იღებდა დაახლ. 800 ლიტრს, მაქსიმუმ 1000 ლიტრ ღვინოს.

ამჯერად, მოკლედ გავადევნოთ თვალი იმ მონაცემებს, რომლებშიც დაფიქსირებულია ღვინის მოსავლის საერთო ოდენობები. 1619-1620 წლებში ორბელიანების ფეოდალურმა სახლმა, რომელთა მამულებიც ქვემო ქართლში მდებარეობდა, ღვინის შემდეგი ოდენობის მოსავალი მიიღო: 1619 წელს 10 ზვრიდან მიიღეს 616 საპალნე ტკბილი, კულუხიდან – 117 საპალნე, 1620 წელს კი 11 ზვრიდან – 828 საპალნე, ხოლო 7 სოფლის კულუხიდან 130 საპალნე.[256] საპალნის 150 ლიტრით განსაზღვრის პირობით, ორბელიანების ფეოდალური სახლის ტკბილის მოსავალი 1619 წელს 110 000 ლიტრამდე ყოფილა, ხოლო 1620 წელს – 143 700 ლიტრი. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ორბელიანების მამულებში მევენახეობა წამყვანი დარგი არ იყო და არც ქვემო ქართლი ითვლებოდა მეღვინეობის მთავარ კერად.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მხოლოდ მუხრანის ზვრიდან 1619 წელს ორბელიანებს მიუღიათ 240 საპალნე ტკბილი, ხოლო 1620 წელს – 310 საპალნე. 300 საპალნე ტკბილის მიღებას კი დაახლ. 30-33 დღიური, ანუ 15-17 ჰა. ვენახი დასჭირდებოდა. აქედან ცხადი ხდება, თუ რამდენად დიდი შეიძლება ყოფილიყო ფეოდალის თითოეული ზვარი.

ივ. ჯავახიშვილმა დასტურლამალში მოცემული ცნობების საფუძველზე, გამოთვალა რთველის დროს შულავერის და თეთრ სოფელის ზვრებში მომუშავეთა რიცხვი. ავტორის აზრით, აღნიშნულ ზვრებში ყურძნის მოსაკრეფად სულ ცოტა 50, საშუალოდ კი, 100-მდე მუშახელი ყოფილა ჩაბმული.[257]

ზვრებში მომუშავე მუშათა ოდენობა აღნიშნულია XVIII საუკუნის შუა ხანების ერთ-ერთ საბუთშიც: „ელენეს ზვარს მოუნდება მუშა ასორმოცდა(ა)თი. საკაძისეულს ზვარს მუშა ასოცი, დიდის ხანის ზვარს მუშა ასსამოცდა(ა)თი. ლევანის ზვარს მუშა ასოცი. ყუჯიაშვილისეულს ზვარს მუშა ასხუთი. ერისთავის დეგეულას მუშა ასსამოცდა(ა)თი. ქრისტეფორეს ზვარს მუშა ასი. იქნა მუშა ცხრა(ა)ს ოცდა თხუთმეტი“.[258]

---

[255] ი. გძელიშვილი. რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი. საქართველო რუსთაველის ხანაში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ. 1966, გვ. 193.

[256] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მეორე. ტფ. 1897, გვ. 442-443; ივ. ჯავახიშვილს გამოთვლა მცირედით განსხვავდება ჩვენს მიერ მოტანილი ციფრებისაგან. ჯავახიშვილს მითითებული აქვს, რომ 1619 წელს ორბელიანებმა მიიღეს ზვრებიდან 758 საპალნე, კულუხი – 117, ხოლო 1620 წელს ზვრებიდან – 828, კულუხი – 130. ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I. გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის კაბინეტმა. რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი. თბ. 1964, გვ. 77-78; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. V. თბ. 1986, გვ. 677-678.

[257] ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 19-20.

[258] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 3.

როგორც ვხედავთ, საბუთი ეხება, სავარაუდოდ, შიდა ქართლის ერთ-ერთ ნაწილში საკმაოდ დიდი ფართობის ზვრების დამუშავებას.

მ. სვანიძემ დეტალურად დაიანგარიშა 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მონაცემების მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში ღვინის მოსავლის ოდენობა. დავთარში შეყვანილი 711 სოფლიდან ვაზი გაშენებული ყოფილა 156 სოფელში, სადაც წელიწადში 1,5 მილიონამდე ლიტრ შირას, ანუ ახლად დაწურულ ტკბილს იღებდნენ.[259] ისიც აღსანიშნავია, რომ დასახელებული რეგიონი მარცვლეული კულტურის (ხორბალი, ქერი) მოსავლიანობით იყო ცნობილი და მევენახეობა უმთავრეს დარგს არ წარმოადგენდა.

ჟ. პ. დე ტურნეფორის ცნობით, ქართლის მეფეს „გადასახადის სახით ოთხი ათასი საპალნე (ღვინო – ა.თ.) შემოსდის, რაც ორმოც ბათმანს შეადგენს, ბათმანი კი ექვსი ოყაა“.[260] როგორც ვხედავთ, ფრანგი ბოტანიკოსის ინფორმაციით, XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მეფის ყოველწლიური ღვინის შემოსავალი შეადგენდა 4000 საპალნეს. საპალნეს ავტორი 40 ბათმანით, ბათმანს კი 6 ოყით განსაზღვრავს, რის მიხედვითაც, საპალნის მოცულობა დაახლ. 300 ლიტრი გამოდის. ამდენად, ქართლის მეფის ღვინის შემოსავალი 1 200 000 ლიტრი (300X4000) ყოფილა. აქედან ცხადი ხდება, თუ რამდენად დიდი იქნებოდა ღვინის მოსავლის საერთო ოდენობა იმდროინდელ საქართველოში.

დიდი ოდენობით ღვინის შემოსავალი ჰქონია ქართლ-კახეთის სამეფო კარს XVIII საუკუნის II ნახევარშიც. თომა მეღვინეთუხუცესის ჩვენებით, მოსახლეობას ყოველწლიურად 500 საპალნე ღვინო „შესწერდებოდა“.[261] საპალნე იმ პერიოდში დაახლ. 270 ლიტრს შეადგენდა.[262] ამდენად, მხოლოდ მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადებიდან, სახელმწიფო იღებდა 135 000 ლიტრ ღვინოს. აღნიშნულ ციფრს უნდა დაემატოს სახელმწიფო ზვრებიდან მიღებული ღვინის საკმაოდ დიდი ოდენობაც.

XVIII საუკუნის მონაცემებით, ღვინით ვაჭრობზე სახელმწიფო მონოპოლია არ იყო დაწესებული. წყაროებიდან დგინდება, რომ ღვინით ვაჭრობა თავისუფალი იყო და აიღებოდა ჩვეულებრივი ბაჟი. არაყთან ერთად, ღვინის საბაჟო გადასახადის შეკრება ცალკე გაიცემოდა იჯარით და საბაჟო შემოსავალი 1801 წლის მონაცემებით, შეადგენდა 3030 რუბლს (მინალთუნს).[263] ეკონომიკური ისტორიის მასალებში კი ქორონიკონით უოგ, ანუ 473 წელს, რაც შეესაბამება 1785 წელს, ღვინის და არყის საიჯარო ფასი 216 თუმნით, ანუ 2160 მინალთუნით იყო განსაზღვრული.[264] როგორც ჩანს, ღვინით ვაჭრობის შედეგად, სამეფო კარის მიღებული შემოსავალი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა – თბილისის მოურავის, ევსტათი ციციშვილის მოხსენებაში აღნიშნულია: „ქ. მეორე ჭაშნიკი ჩემი საკუთარი იჯარა იყო, ამას გავცემდი ხოლმე ხან სამოც თუმნათ და ხან ოთხმოც თუმნათა. უფრო ოთხმოც თუმნად

[259] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, გვ. 110-121.
[260] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63.
[261] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 73.
[262] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 113.
[263] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. I. Тифлис, 1866, გვ. 197, 479.
[264] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 102.

გავცემდი ხოლმე“.[265] ცხადია, მოურავი პირველ „ჭაშნიკში“ გულისხმობდა სამეფო „ჭაშნიკის იჯარას“. სარდალ-სახლთუხუცესი იოანე ორბელიანი პავლე ციციანოვისადმი გაგზავნილ მოხსენებაში, ღვინისა და არყის ბაჟის იჯარისაგან დამოუკიდებლად, საიდანაც მისი შემოსავალი 63,5 მინალთუნს შეადგენდა, ასახელებს ღვინის იჯარას ცალკე და აღნიშნავს, რომ იქიდან მისი სარგო შეადგენდა 73 მინალთუნს.[266] იოანე ორბელიანის სარგოს მიხედვით, სახელმწიფო ღვინის იჯარის შემოსავალი აჭარბებდა ღვინისა და არყის ბაჟის იჯარას. როგორც ჩანს, სამეფო კარი ეწეოდა საკუთარი მეურნეობიდან მიღებული მოსავლის ნაწილის რეალიზაციას და ამისათვის თბილისში ჰქონდა სავაჭრო დაწესებულება – „პირველი ჭაშნიკი“. ამდენად, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ფართო მოხმარების საგნით – ღვინით ვაჭრობიდან, ფულადი სახით ორმაგი შემოსავალი ჰქონია. პარალელურად, გადასახადების სახით იღებდა დიდი ოდენობით ღვინოს, რომელიც სამეფო კარის შენახვისათვის, მოხელეების „სარგოსა“ და სხვა საჭიროებისათვის გამოიყენებოდა.

გვიან ფეოდალურ ხანაში ქვეყნის მასშტაბით ღვინის საერთო მოსავლის ოდენობის გასარკვევად, საინტერესოა XIX საუკუნის დასაწყისის მონაცემები. XIX საუკუნის I მესამედის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს გამოკლებით, მთელ კავკასიაში აწარმოებდნენ 3 888 000 ვედრო ღვინოს და 140 000 ვედრო არაყს. აქედან მხოლოდ თელავის მაზრაში აყენებდნენ 2 მილიონ ვედრო ღვინოს და 75 ათას ვედრო არაყს.[267] სულ საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში 4-5 მილიონ ვედრო (42-55 მილიონი ლიტრ) ღვინოს ამზადებდნენ.[268] სულ მცირე დაახლ. 3-4 მილიონ ვედროს, ანუ 33-44 მილიონ ლიტრამდე ღვინის მოსავლიანობაა სავარაუდებელი XVII-XVIII საუკუნეების ქართულ სამეფო-სამთავროებში.[269] ღვინის უდიდეს ნაწილს თავად ვენახისა და ზვრების მეპატრონეები მოიხმარდნენ, ნაწილს გლეხები და მემამულეები ყიდდნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ თბილისში ყოველწლიურად, 8 მილიონ ლიტრამდე ღვინის რეალიზაცია ხდებოდა.

XVIII საუკუნის მონაცემებით, საქართველოში ღვინოსთან ერთად სოლიდური ოდენობით არაყსაც ამზადებდნენ. დასტურლამალიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფოში არყის გაყიდვაზე სახელმწიფო მონოპოლია იყო დაწესებული, რის შედეგადაც, სახელმწიფო გარკვეულ შემოსავალს იღებდა. არყის მონოპოლია XVIII საუკუნის II ნახევარში გაუქმებულა.[270]

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოში XIX საუკუნის 50-იან წლებამდე არ არსებობდა ვაზის დაავადებები,[271] რაც ხელს უწყობდა შედარებით სტაბილურ მოსავლიანობას.

---

[265] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 91.

[266] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 2-3.

[267] Обозрение российских владений за Кавказом, გვ. 53.

[268] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 269.

[269] სხვადასხვა ცნობაზე დაყრდნობით, დ. გოგოლაძე მიიჩნევს, რომ XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში ყოველწლიურად, 4-5 მილიონ ვედრო (ანუ დაახლ. 44-55 მილიონ ლიტრ) ღვინოს აყენებდნენ. დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 269.

[270] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. თბ. 1963, თბ. 136-137, 181-182.

[271] ვ. სიჭინავა. მასალები მევენახეობის და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში. თბ. 1960, გვ. 150.

თუნგი. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი. საინვენტარო ნომერი 23211

თუნგი. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექცია

ტიკი. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექცია

როგორც ცნობილია, საქართველოში ყურძენს წურავდნენ საწნახელში და ათავსებდნენ თიხის ქვევრებში. შაგუბატოვის ცნობით, დიდი ქვევრები იტევდა 330-მდე თუნგ,[272] ანუ დაახლ. 1200 ლიტრ ღვინოს.

ღვინო, ძირითადად, ურმით და ცხენის საპალნეებით გადაჰქონდათ. გადასაადგილებლად, ღვინოს ასხამდნენ ტიკებში. ტიკებს სპეციალური ხელოსნები – კუპრავები ხარისა და კამეჩის ტყავისაგან ამზადებენ. ტყავს ბეწვი შიგნით ჰქონდა მოქცეული და მას ნავთით ან ფისით პოხავდნენ. ასეთი ტიკები 30-დან 100 თუნგამდე (დაახლ. 110-360 ლიტრი) ღვინოსა და არაყს იტევდა. ტიკები ცხვრის ტყავისაგანაც მზადდებოდა, რომელთა მოცულობა შედარებით მცირე (25 თუნგამდე) ყოფილა.[273]

როგორც მოხმობილი მასალიდან ჩანს, ღვინოს ძველ საქართველოში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, შესაბამისად, სრულიად გასაგები ხდება, თუ რატომ მიიჩნეოდა ის სიმდიდრის დაგროვების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ. სწორედ ამიტომ, საქართველოს ეკონომიკური განადგურების გზად უცხოელი დამპყრობლები – თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი და სხვ. – ხშირად მიმართავდნენ ვაზის ნარგაობის განადგურებას, რაც ქართულ წყაროებში სათანადოდ არის ასახული.

ღვინის ფასი XIII საუკუნის საქართველოში

ამჯერად, განვიხილავთ ღვინის ფასის შესახებ არსებულ ცნობებს. საქართველოში ღვინის ფასის შესახებ, პირველი არაპირდაპირი ცნობები 1260 წლის კახა თორელის მიერ შედგენილი რკონის დაწერილიდან მოგვეპოვება, რასაც ყურადღება მიაქცია ს. კაკაბაძემ. ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ სიგელში (იგულისხმება რკონის დაწერილი) კახა თორელი სწერს, რომ სოფელ ხოვლეს „კულუხი ძუელი თორმეტი კოკაი იყო და ოცდაოთხ ლიტრიანითა კოკითა თჳთო მიწასა ზედა. აწ, ექუს ექუსი გამიშუია და მის ექუს ექუსისათჳს სამას და ორმოცსა თეთრსა გამოიღებდენ ეკუტერს მისაღებელსა: თჳთოი მიწაი რვა-რვასა

[272] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 29.
[273] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 33.

თეთრსა გამოიღებდეს“. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ამ დროს ქართლში 24 ლიტრიანი კოკა ღვინო საშუალოდ ღირდა (8:6=) 1,3 თეთრი“.[274]

ს. კაკაბაძე 1260 წლის ახლო ხანების ქართულ ვერცხლის მონეტებს 3-დანგიანად მიიჩნევს (დანგი – 0,77 გრ.; 3 დანგი=2,31 გრ.), ხოლო ლიტრის წონას საშუალოდ 64 მისხლით განსაზღვრავს.[275]

გ. ჯაფარიძე დეტალურად განიხილავს რა ლიტრის მოცულობასთან დაკავშირებულ წყაროებს, აღნიშნავს, რომ XIII საუკუნეში ლიტრის წონა, XI საუკუნის წონასთან შედარებით (406,25 გრ.), ორჯერ იყო გაზრდილი და შეადგენდა 950 გრამს.[276]

ავტორი XIII საუკუნეში ლირტის გადიდების ერთ-ერთ არგუმენტად იმოწმებს ქართლის კათალიკოს ნიკოლოზის დაწერილს არვანბეგ საბაისძისადმი, რომელშიც ნახსენებია ლიტრა, რომელიც „ძუელად ყოფილა“.[277] „ძველი ლიტრის“ არსებობა თავისთავად მიუთითებს „ახალი ლიტრის“ შემოსვლაზე. გ. ჯაფარიძე ასევე აღნიშნავს, რომ სიგელში არ ჩანს, „ძუელ“ ლიტრში 950-გრამიანი ლიტრი იგულისხმებოდა, თუ უფრო მომცრო.[278]

გ. ჯაფარიძის დამოწმებული ცნობები ნათლად მეტყველებს საქართველოში XIII საუკუნეში ლიტრის მოცულობის გადიდებაზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყოფით ცხოვრებაში 950 გრამიანი ლიტრა საუკუნის ბოლო მეოთხედში უნდა დამკვიდრებულიყო და არა მანამდე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ XI, XII და XIII საუკუნის I ნახევრის ჩვენამდე შემორჩენილ არც ერთ საბუთში, რომელშიც ლიტრაა მოხსენებული, ტერმინები „ძუელი“ და „ახალი“ არ ჩანს, რაც გვავარაუდებინებს, რომ დასახელებულ პერიოდში ლიტრის ცვლილება არ უნდა მომხდარიყო. პირველად მსგავსი ცნობა სწორედ კათალიკოს ნიკოლოზის დაწერილში გვხვდება, რომელშიც აღნიშნულია: „... აწ ესრე განვაჩინე|თ, რ(ო)მე ძუელი ბეგარა ზედა სდებოდა შეუბანსა თერ|თმეტი ლიტრაი ცუილი, მას ზედა ცხრაი ლიტრაი ცუილ|ი სხუაი მოგიმატეთ და შევქმენით ოც ლიტრად, მით| ლიტ<ი>რითა, რომელი ძუელად ყოფილა“.[279] სიგელი თარიღდება 1281-1282 წლებით.

როგორც ვხედავთ, 1281-1282 წლის საბუთის მიხედვით, 11 ლიტრა ცვილის ბეგარა თითქმის გაორმაგებულა. სამაგიეროდ, საწყაოდ კვლავ „ძუელი“ ლიტრი დაუტოვებიათ. ჩვენი აზრით, ყოფით დონეზე სწორედ ამ პერიოდში უნდა გაორმაგებულიყო ლიტრის მოცულობა და 406,25-გრამიანი ლიტრის ნაცვლად, 812-950 გრამიანი ლიტრა შემოსულიყო. პროცესი რომ იმ დროისათვის ახალი დაწყებული იყო, ამაზე უნდა მეტყველებდეს ის გარემოებაც, რომ სიგელის შემდგენელს 1280-იანი წლების დასაწყისში საგადასახადო საწყაოდ ფორმალურად მაინც „ძუელი“ ლიტრა დაუტოვებია.

გამოთქმული მოსაზრების სისწორეზე უნდა მიუთითებდეს ს. კაკაბაძის მიერ მოხმობილი ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც ემყარება მხითარ გოშის ცნობას იმის

---

[274] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 36-37; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 149.

[275] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 37-44.

[276] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 50-60.

[277] დაწერილი ნიკოლაოზ ქართლის კათალიკოსისა არვანბეგ საბაისძისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 178.

[278] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 52.

[279] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 178.

შესახებ, რომ XIII საუკუნის შუა ხანებში ლიტრის მოცულობა 100 დრამის ტოლი ყოფილა. როგორც გ. ჯაფარიძე აღნიშნავს, მხითარ გოშის ცნობაზე ყურადღება გაამახვილა ა. მანანდიანმა და დააზუსტა, რომ დრამა სომხეთში სასანური დრამის მსგავსი (4,06 გრამი) იყო. შესაბამისად, მხითარ გოშის დასახელებული ლირტის წონა 408 გრამს უდრიდა.[280]

დასახელებული ლირტის ოდენობა თანხვედრაში მოდის საქართველოში ლიტრის გაორმაგებამდე არსებულ წონასთან (406,25 გრამი). ვინაიდან სომხური მიწების დიდი ნაწილი XIII საუკუნეში საქართველოს სახელმწოფოს შემადგენლობაში იყო მოქცეული, ლოგიკურად მიგვაჩნია, რომ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მეტ-ნაკლებად თანაბარი საწყაოები იქნებოდა გავრცელებული.

ერთი სიტყვით, 950-გრამიანი „ახალი“ ლიტრის დამკვიდრების თარიღად მივიჩნევთ XIII საუკუნის ბოლო მეოთხედს, ხოლო 1260 წლისთვის კახა თორელის მიერ შედგენილ საბუთში მოხსენებულ ლიტრში 406,25-გრამიანი საწყაო უნდა ვიგულისხმოთ. როგორც ქვემოთ ვნახავთ, თავის მხრივ, ღვინის მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებაც გამორიცხავს იმ დროისათვის 950-გრამიანი ლიტრის არსებობას, ყოველ შემთხვევაში, ყოფით დონეზე.

406,25-გრამიანი ლიტრის პირობაზე, რკონის დაწერილში მოხსენებული (24-ლიტრიანი) კოკის წონა თანამედროვე მეტრული სისტემით 9,75 ლიტრი გამოდის, ხოლო 6 კოკის – 58,5 ლიტრი, რომელიც შიდა ქართლში 8 თეთრად ფასობდა.

XIII საუკუნის შუა ხანების საქართველოში იჭრებოდა როგორც ქართველ მეფეთა მონეტები (დავით ნარინისა და დავით ულუს მონეტები), ისე მონღოლური საოკუპაციო სერიები. აღნიშნული მონეტების წონები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული არ იყო და საშუალოდ, 2,7 გრამს იწონიდა.[281] შესაბამისად, 8 თეთრის წონა იქნება 21,6 გრამი. ამდენად, ლიტრი ღვინის ფასი გამოდის დაახლ. 0,37 გრამი ვერცხლი (21,6:58,5=0,369).

ერთი სიტყვით, შიდა ქართლში, XIII საუკუნის შუა ხანებში სოფლად ღვინის ფასი ყოფილა 0,37 გრამი ვერცხლი, ხოლო ქალაქში მისი ფასი შედარებით მაღალი, დაახლ. 0,45 გრამ ვერცხლამდე უნდა ვივარაუდოთ.

მოცემული ფასი სრულიად მისაღებად მიგვაჩნია განსახილველი ეპოქისათვის, რადგან იმავე რკონის დაწერილიდან ჩანს, რომ მონღოლური ხარკის გამო, პროდუქცია გაიაფებული იყო, ხოლო ფული ძვირად ფასობდა. ნორმალურ ვითარებაში, სავარაუდოდ, 1 ლიტრი ღვინო შედარებით მეტი, დაახლ. 0,50 გრამი ვერცხლი ეღირებოდა.

XIII საუკუნის კიდევ ერთ ისტორიულ საბუთში საინტერესო ცნობაა დაცული ღვინის ფასთან დაკავშირებით. აღნიშნული საუკუნის შუა წლებით დათარიღებულ კავთულა და თევდორა ბურჯულთა დაწერილში დემეტრე ტოხუაისძისადმი აღნიშნულია: „დაგუე|ჭირუა ჰავისა ჟამისაგან და ხარაჯობისაგან და ავიღეთ თქუენ მო|ძღუარისაგან დემეტრესაგა{ნ} ტოხუაისძისაგა{ნ} სამოცი თეთრი დეკენ|ბერსა ათსა და

[280] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 53.

[281] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III. „ოქროს ხანა“ და დაქვეითება. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XI-XVI საუკუნეების საქართველოში. ავტორები: თ. დუნდუა, გ. დუნდუა. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ა. ჩიქობავა, ე. ავდალიანი. თბ. 2015, გვ. 68-71, 96-100.

გაგიჩინეთ ოცი კოკაჲ ტკბილი წელიწა|დსა შიგა მზაი, რომე უსიტყუელადა ჴელთა მოგაჴსენე|ბდეთ, ვირემდისცაღა ამა თეთრსა შენსა მოგაჴსენე|ბდეთ“.[282]

როგორც ვხედავთ, კავთულა და თევდორა ბურჯულებს მოძღვარ დემეტრე ტოხუაისძისაგან 60 თეთრი ვალად აუღიათ. დასახელებული თანხის დაბრუნებამდე პროცენტის სახით, წელიწადში 20 კოკა ტკბილი უნდა გადაეხადათ. თუ გვიანდელი, XVIII საუკუნის დასაწყისის ვახტანგის სამართლის წიგნით ვიხელმძღვანელებთ, ფულის გასესხებისას, სარგებლის ტკბილით გასტუმრების შემთხვევაში, ნასესხები თანხის მესამედი, ამ შემთხვევაში მესამედი თანხის ღირებულების ტკბილი, იყო გადასახდელი.[283]

XIII საუკუნის შუა ხანებში გასესხებულ 60 თეთრის სარგებელს თუ იმავე მეთოდით გამოვითვლით, გამოდის, რომ 20 კოკა ტკბილის ფასი ყოფილა 20 თეთრი. თეთრი, როგორც აღინიშნა, იმ ეპოქაში დაახლ. 2,7 გრამს იწონიდა, კოკა კი – 9,75 ლიტრს. შესაბამისად, ტკბილის ფასი გამოდის დაახლ. 0,27 გრამი ვერცხლი. ტკბილი ეჭვგარეშეა, რომ ღვინოზე იაფი ეღირებოდა. ტკბილიდან, ანუ ახლად დაწურული ყურძნის წვენიდან 10-15%-ით ნაკლები ღვინო დგება. ამავე დროს, ღვინის დაყენებას ესაჭიროებოდა მარანი, ქვევრები, სპეციალური ცოდნა, გამოცდილება და გარკვეული დრო. ტკბილს რომ ღვინისგან განსხვავებული ფასი ჰქონდა, ეს კარგად ჩანს საბუთებიდან. მაგალითად, 1729 წლის ქაიხოსრო ჯავახიშვილის მდივან სოლომინისადმი მიცემულ თამასუქში აღნიშნულია: „...თუ ტკბილი მოვიდეს, როგორც იქ, რთველში ფასობდეს, ტკბილს მოგცემდე თავის ფასით სარგებელში“.[284] როგორც ვხედავთ, საბუთში საგანგებოდ ხაზგასმულია, რომ რთველის დროს ტკბილს თავისი ფასი ჰქონდა, რაც პირდაპირ მიანიშნებს ღვინის ფასისგან მის განსხვავებაზე. ასევე სხვადასხვა ღირებულება ჰქონდა ღვინოსა და ყურძენს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისში 3,6 ლიტრა ღვინო 1 აბაზად ფასობდა, 1 აბაზით კი 10 კილოგრამამდე ყურძნის შეძენა იყო შესაძლებელი.[285] ამიტომ არ შევცდებით, თუ ღვინის ფასს ტკბილის ფასზე 1,5-1,75-ჯერ ძვირად განვსაზღვრავთ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, 1 ლიტრა ღვინის ფასი გამოდის საშუალოდ, 0,45 გრამი ვერცხლი.

ამდენად, XIII საუკუნის ორივე ცნობის თანახმად, 1 ლიტრი ღვინის ღირებულება ყოფილა დაახლ. 0,40-0,45 გრამი ვერცხლი, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ პერიოდში მოჭრილი 2,7-გრამიანი თეთრით დაახლ. 6-6,5 ლიტრი ღვინის შეძენა იყო შესაძლებელი. თბილისსა და დიდ ქალაქებში 1 ლიტრის ღირებულება, სავარაუდოდ, 0,50-0,55 გრამი ვერცხლის ფარგლებში იქნებოდა.

ანალოგიური პერიოდის დასავლეთ ევროპაში ერთი გალონი (3,67 ლიტრი) ღვინის ფასი იყო 2-3 პენი.[286] თანამედროვე მეტრული მონაცემების მიხედვით, დასავლეთ ევროპაში ერთი ლიტრი ღვინო 0,7-1,05 გრამ (საშუალოდ 0,85 გრ.) ვერცხლად ფა-

[282] დაწერილი კავთულა და თევდორა ბურჯულთა დემეტრე ტოხუაისძისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 94.
[283] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 514.
[284] საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 351.
[285] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 94.
[286] Jeffrey L. Singman. The Middle Ages: Everyday Life in Medieval Eupope. New York, 2013, გვ. 68-69.

სობდა. XII-XIII საუკუნეების ბიზანტიაში კი 1 ლიტრი ღვინო დაახლ. 1 გრამი ვერცხლი ღირდა.[287]

როგორც ვხედავთ, საქართველოში ღვინო, ისევე როგორც ხორბალი დასავლეთ ევროპაში არსებულ ფასებთან შედარებით იაფი ღირდა.

ღვინის ფასი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში

XIII-დან XVI საუკუნემდე ღვინის ფასის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ღვინის ფასს ვხვდებით 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთაში. მ. სვანიძის დაკვირვებით, სამცხე-საათაბაგოში ერთი ბათმანი შირა 1595 წლისათვის 8 ახჩად ფასობდა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ამ პერიოდში მურად III-ის (1574-1595 წწ.) მოჭრილი ახჩა საშუალოდ, 0,38 გრამს იწონიდა. 8 ახჩა წონა კი უდრიდა დაახლ. 3 გრამს. დავთარში მოხსენებული ბათმანი იწონიდა 7,6 კილოგრამს.[288] ამდენად, 1 ლიტრის ფასი ყოფილა დაახლ. 0,40 გრამი ვერცხლი. თუმცა ამ შემთხვევაში, ვხვდებით ერთ დამაბრკოლებელ გარემოებას – შირა ახლად დაწურულ წვენს ნიშნავს და, ამდენად, დავთრიდან არ ჩანს შირას გადასახადში ღვინის ფასი იყო გათვალისწინებული თუ ტკბილის. თუ 8 ახჩა მართლაც 1 ბათმანი ტკბილის საფასურია, მაშინ ახლად შექმნილ ახალციხის საფაშოში 1 ლიტრა ღვინის ფასი ყოფილა დაახლ. 0,6-0,7 გრამი ვერცხლი.

სამცხე-საათაბაგოში ოსმალეთის გაბატონებამ მეღვინეობის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. მკვეთრად შემცირებულა ღვინოზე მოთხოვნილება. XVII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ჟან შარდენი გონიოდან ახალციხეში მგზავრობისას აღნიშნავდა, რომ „ვაზი ხეებს ეხვევა და ისე მაღლა ადის, რომ ხშირად მტევნებს ვერ ჰკრეფენ. შესანიშნავი მეჩვენა ყურძენი, ახალი და ძველი ღვინო. ღვინო ისე იაფი ღირს, რომ ზოგ ადგილას სამას გირვანქას ერთ ეკიუდ ყიდიან. რადგანაც მთელ მოწეულ ღვინოს ვერ ასაღებენ, გლეხები ხშირად ყურძენს არ კრეფენ და ვაზზე ტოვებენ“.[289] ტურნეფორის ცნობით, 1 ადგილობრივი თუმანი უდრიდა 12,5 ეკიუს.[290] თუმანის, ანუ 50 აბაზის (7,5 გრ.) წონა იყო 375 გრ. ვერცხლი, შესაბამისად, 300 გირვანქა, ანუ დაახლ. 150 ლიტრა ღვინო ღირებულა 30 გრამი ვერცხლი (375:12,5=30), 1 ლიტრა კი – 0,20 გრამი ვერცხლი. გადაჭრით თქმა, თუ კონკრეტულად რომელ რეგიონზე საუბრობს შარდენი, დასავლეთ საქართველოს ნაწილსა თუ სამცხე-საათაბაგოზე, ძნელდება, თუმცა მოტანილი ცნობა, სავარაუდოდ, ორივე მხარეს ეხება. როგორც ვხედავთ, ოსმალური ეკონომიკური პოლიტიკისა და ისლამის გავრცელებით, საქართველოს ამ ნაწილში მევენახეობა-მეღვინეობას დიდი ზიანი მისდგომია.

---

[287] C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century, გვ. 834. ნაშრომში ფასი მოცემულია ოქროს მონეტებში.

[288] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, გვ. 113-115

[289] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 270-271.

[290] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63.

შარდენი ასახელებს თბილისში არსებულ ღვინის ფასსაც. მოგზაური აღნიშნავს, რომ ერთი ცხენის საპალნე (300 ფუნტი, დაახლ. 150 ლიტრა) საუკეთესო ღვინო თბილისში ღირდა 8 ფრანკი, ხოლო საშუალო ღვინო – ამის ნახევარი.[291]

ს. კაკაბაძე შარდენისავე ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ აბაზი 18 სოლს უდრიდა, ხოლო თუმანი 45 ფრანკს. ავტორმა ღვინის ფასი დასახელებული მონეტათა შეფარდების მიხედვით გამოითვალა.[292] აღნიშნული მონაცემებით, თბილისში ერთი ლიტრა საუკეთესო ღვინო ღირდა დაახლ. 0,45 გრამი, ხოლო შედარებით დაბალი ხარისხის – 0,225 გრამი ვერცხლი.

მოცემული გამოთვლა გარკვეულწილად საკამათოა შემდეგი მიზეზის გამო – შარდენის ცნობის მიხედვით, 1 თუმანი უდრიდა არა 45 ფრანკს, არამედ 45 ლივრს და სწორედ ლივრი შედგებოდა 20 სოლისაგან. რაც შეეხება ფრანკს, შარდენი მის წონას არ ასახელებს. რეალურად ფრანკს ფრანგულ ლივრზე მეტი წონა ჰქონდა, თუმცა იმ პერიოდში აღარ იჭრებოდა. აქედან გამომდინარე, თბილისში ღვინის საშუალო ფასად დაახლ. 0,50 გრამი ვერცხლი უნდა მივიჩნიოთ.

ასევე არასწორად ანგარიშობს ს. კაკაბაძე ღვინის ფასს ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით. სამართალის წიგნში აღნიშნულია: „მარჩილი (3 აბაზი – ა. თ.) წლამდინ აბაზს მოიგებს და ერთი კოკა ტკბილი მეტად არ ღირს“.[293] როგორც ვხედავთ, სამართლის წიგნის მიხედვით, 1 კოკა ტკბილი, რომელიც იმ ეპოქაში 30 ლიტრს იწონიდა,[294] 1 აბაზად, ანუ 7,5 გრამ ვერცხლად ფასობდა. ამდენად, 1 ლიტრა ტკბილის ფასი გამოდის 0,25 გრამი ვერცხლი. ს. კაკაბაძე კი 1 აბაზს მიიჩნევს 1 კოკა ღვინის ფასად.[295] როგორც აღინიშნა, ღვინო ტკბილთან შედარებით, დაახლ. 1,5-1,75-ჯერ ძვირი ღირდა, შესაბამისად, ღვინო 0,38-0,43 გრამი ვერცხლი ეღირებოდა. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამართლის წიგნის კონტექსტის მიხედვით, ღვინის დასახელებული ფასი სოფლად არსებულ ვითარებას ეხება, ამიტომ თბილისში მისი ფასი 0,50-0,55 გრამის ფარგლებში იქნებოდა.

ღვინო საკმაოდ ძვირი ჩანს 1717-1719 წლებში – ბაქარ მეფის ბრძანებაში ფირან თავლიდარისადმი აღნიშნულია: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, თავლიდარო ფირან: მერმე შენ რომ სამს გორელ კაცს თურამეტს თუმანზე დაგაყენეთ, მაგ თურამეტის თუმნის ანგარიშში, ას ორმოცდა-ათი კოკა ღვინო გამოურთვი და ჯორები გამოგვიგზავნია, ზოგი აქა გამოგზავნეთ და ზოგი მანდავ შეგვინახე. ეს ასე ახლავა გა[ა]რიგე, ღვინო არა გვაქუს. აშიაზე აწერია: რაც ტიკები მოუნდეს, ეგეც მანდ უშოვნეთ“.[296]

მოცემული ცნობის მიხედვით, 150 კოკა ღვინო 1717-1719 წლებში ღირდა 18 თუმანი, ანუ 180 მინალთუნი, ხოლო ერთი კოკა – 1,2 მინალთუნი, ანუ 6 აბაზი. აბაზის წონა 1717 წლიდან შემცირდა 7,5 გრამიდან 5 გრამამდე. საბუთში არ არის მითითებული განსხავებული ოდენობის კოკის შესახებ, რაც გვავარაუდებინებს, რომ იგულისხმებოდა სტანდარტული, ათლიტრიანი კოკა. შესაბამისად, 1 ლიტრი ღვინის ფასი გამოდის 1 გრამი ვერცხლი. რადგან მეფე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ღვინო

[291] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 297.
[292] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 45.
[293] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 514.
[294] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 101.
[295] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 45.
[296] საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 413-414.

არა გვაქუს“, დიდი ალბათობით, მოუსავლიან წელთან გვაქვს საქმე, რასაც გაძვირება უნდა გამოეწვია. ისიც შესაძლებელია, რომ ბაქარი გადასახადის შეკრებისას „სამ გორელ კაცს“ გარკვეულ შეღავათს უწესებდა და მათგან რეალურ ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის ღვინოს ითხოვდა. თუმცა მოცემული ცნობა მაინც მიახლოებით წარმოდგენას გვიქმნის ღვინის სავარაუდო ღირებულების შესახებ.

ერთი სიტყვით, XIII საუკუნის შუა ხანებში საქართველოს რეგიონებში 1 ლიტრი ღვინის ფასი იყო 0,37-0,45 გრამი ვერცხლი, დიდ ქალაქებში დაახლ. 0,50-0,55 გრამი, ხოლო XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში სოფლად საშუალოდ – 0,40 გრამი, თბილისში კი – 0,50-0,55 გრამი. სიძვირის პირობებში კი ლიტრის ფასი 1 გრამ ვერცხლამდე ძვირდებოდა.

აღნიშნული ფასები ეხება უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს. რაც შეეხება ქვეყნის სხვა მხარეებს, ახალციხის საფაშოში XVI საუკუნის მიწურულს, 1 ლიტრა ღვინო დაახლოებით, ანალოგიური ფასი ან ცოტა მეტი ღირდა. XVII საუკუნის ბოლო მესამედში სამხრეთ-დასავლეთ და, სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოშიც ღვინო მკვეთრად გაიაფებულა და ლიტრის ფასი გამხდარა 0,2 გრამი ვერცხლი.

ამჯერად, მოკლედ განვიხილავთ ღვინის ფასს XVIII საუკუნის II ნახევარში. ამ ეპოქის ფასების შესახებ მრავალი პირდაპირი ცნობა მოიპოვება. გიულდენშტედტის გადმოცემით, XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში თბილისში 1 თუნგი (3,6 ლიტრა) ღვინო 20 კაპიკად, ანუ 1 აბაზად იყიდებოდა,[297] ხოლო კახეთში, როგორც ავტორი აღნიშნავს, „ერთი ციტრა (შვიდი ზომა) (სავარაუდოდ, ლიტრა – ა. თ.) კახური ღვინო უშუალოდ პატრონისაგან თუ იყიდი, ღირს 10-15 კაპიკი და განთქმულია მთელს საქართველოში“.[298]

მსგავსად გიულდენშტედტის ცნობისა, XVIII საუკუნის II ნახევარის უამრავ საბუთში თბილისში 1 თუნგი (3,6 ლიტრი) ღვინის ფასად დასახელებულია 1 სირმა-აბაზი,[299] რომელიც დაახლ. 2,9 გრამს იწონიდა. ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისში ლიტრა ღვინის ღირებულება ყოფილა 0,80 გრამი ვერცხლი, ხოლო კახეთში 0,40-0,60 გრამი. მოცემული ფასი სტაბილურია თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში. წყაროებში იშვიათად ვხვდებით ღვინის გაძვირების ფაქტებს.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევარში, წინა ეპოქასთან შედარებით, ღვინო გაძვირებულა 0,4-0,55 გრამიდან 0,8 გრამ ვერცხლამდე. ისევე როგორც ხორბლის შემთხვევაში, ღვინის ფასი დაახლ. 40%-ით გაზრდილა. როგორც ხორბლის ფასის განხილვის დროს აღვნიშნეთ, გაძვირების მიზეზები ფულის მასის ზრდას, საქალაქო ცხოვრების განვითარებას, სამოხელეო აპარატის გადიდებასა და მსგავს ფაქტორებს უნდა გამოეწვია.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, როგორც აღინიშნა, შარდენის ცნობით, დასავლეთ საქართველოსა და ახალციხის საფაშოს მიმდებარე რაიონებში ღვინოს ძალიან დაბალი ფასი ჰქონია და ლიტრის ღირებულება უდრიდა 0,2 გრამ ვერცხლს. 1808 წლის სოლომონ II-ის დაწესებული სავაჭრო ნიხრებიდან ჩანს, რომ ქუთაისში ღვინო ამ პერიოდშიც საკმაოდ იაფი ღირდა. საბუთში აღნიშნულია: „ღვინო საპანე

[297] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 93.
[298] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 253.
[299] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 87, 90, 129...

სამ მარჩილათ და სამი დოქი ერთ რუბად“.[300] თუ ძნელი დასაზუსტებელია „საპანეში“ კონკრეტურალად რა მოცულობის საპალნე იგულისხმება, (თუ საერთოდაც საპალნეს გულისხმობდნენ), სამაგიეროდ, იმერული დოქის ოდენობის შესახებ გვაქვს ცნობები. დოქი განსახილველ ეპოქაში დაახლ. 6,15 ლიტრს იტევდა.[301] ამდენად, 3 დოქის წონა იქნება დაახლ 18,5 ლიტრი. რუბი, როგორც აღინიშნა, დაახლ. 5,8 გრამს იწონიდა. შესაბამისად, ქუთაისში ლირტი ღვინის ფასი გამოდის 0,31 გრამი ვერცხლი. როგორც ჩანს, XVII საუკუნის II ნახევართან შედარებით, XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ღვინის ფასი გაზრდილა, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს ფასებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში 1 თუნგი ღვინო ისევ 1 აბაზად ფასობდა.[302] XIX საუკუნის 20-იან წლებში 1 ვედრო ღვინო (იმ პერიოდში დაახლ. 12 ლიტრი) 50-60 რუსული კაპიკი, ანუ 2,5-3 აბაზი ღირდა. შესაბამისად, ლიტრის ფასი იყო 4-5 კაპიკი,[303] ანუ დაახლ 0,6-0,75 გრამი ვერცხლი. 1880-იან წლებში 1 ვედრო ღვინის ფასი 84 კაპიკიდან 1,1 რუბლამდე, ანუ, როგორც მაშინ საქართველოში უწოდებდნენ, მანეთამდე მერყეობდა. როგორც ვხედავთ, ღვინოს XIX საუკუნის ბოლო მეოთხედშიც დაახლოებით ქართლ-კახეთის სამეფოსდროინდელი ფასის ანალოგიური ღირებულება ჰქონდა. მნიშვნელოვანი განსხვავება ის იყო, რომ ინფლაციური პროცესები, წინა საუკუნის ფასებთან შედარებით, უკვე საგრძნობი იყო. სხვადასხვა პროდუქტის ფასები გაიზარდა, ხოლო ღვინის ღირებულება ძველ ნიშნულზე ფიქსირდებოდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში დიდად წუხდა ღვინის დაბალი ფასის გამო, რადგან „მიწის მოქმედს კაცს ამ ფასების დაცემამ ძალიან შეუცარა ხელი“.[304] საქართველოში არსებული ვითარების ფონზე, ამ პერიოდის რუსეთის იმპერიაში მილიონობით რუბლის უცხოური ღვინო შედიოდა.[305]

აქვე შევეხებით არყის ფასს. რუსი ელჩები – იევლევი და ტოლოჩანოვი – 1650-1652 წლებში იმერეთში მიუთითებენ არყის წარმოების ფაქტზე, თუმცა აღნიშნავენ, რომ მოსახლეობა მას არ სვამდა, მხოლოდ ყურძნის ღვინოს მოიხმარდნენ.[306] სულხან-საბა ორბელიანი არყის შესახებ აღნიშნავს: „არაყი არაბულად ოფლს ჰქვიან, ვინაიდგან იგიცა ქვაბისა ოფლი არს, ხოლო ქართულად არაყსა სახელი იყი ეწოდების“.[307]

---

[300] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 261.

[301] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 103.

[302] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 342.

[303] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 269.

[304] ციტირებულია: ვ. სიჭინავა. მასალები მევენახეობის და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 155.

[305] აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში საქართველოში თანდათანობით გავრცელდა ვაზის სხვადასხვა დაავადება, რამაც დიდად დააზარალა ქართული მევენახეობა. ვაზის დაავადების გავრცელება გამოიწვია მეფისნაცვალ ვორონცოვის გადაწყვეტილებამ, რომ საქართველოში მოეშენებინათ ევროპული ჯიშები. ვაზის ნერგებს შემოჰყვა სხვადასხვა დაავადება. დავადებების გავრცელებას ხელი შეუწყო, ასევე ევროპელი კოლონისტებისა და უცხოელი მემამულეების მიერ შემოტანილმა ევროპულმა ვაზის ჯიშებმა. გავრცელებული დაავადებების (იოდიუნი, ანუ ნაცარა, მილდიუმი, ანუ ჭრაქი, ფილოქსერა და სხვ.) შედეგად, საქართველოში მკვეთრად შემცირდა ვენახების საერთო ფართობი. იხ.: ვ. სიჭინავა. მასალები მევენახეობის და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 152-155.

[306] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ. 1970, გვ. 151.

[307] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთი ილია აბულაძემ. თბ. 1991, გვ. 60.

რთულია იმის გარკვევა, თუ როდიდან ამზადებდნენ საქართველოში არაყს, მაგრამ მოტანილი ცნობები ცხადყოფს, რომ XVII საუკუნეში ნამდვილად გამოიყენებოდა. ჩანს, არაყს საქართველოში გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე ეს წყაროებიდან ჩანს, რადგან XVIII საუკუნის დასაწყისში მისი მოხმარება იმდენად მოცულობითი ყოფილა, რომ ქართლის სამეფოში, როგორც დასტურლამალიდან ირკვევა, არყის წარმოება-გაყიდვაზე სახელმწიფო მონოპოლია ვრცელდებოდა: „ხან ოცდათხუთმეტად და ხან მეტ-ნაკლებად იქნების ხოლმე. ვინც ივჯარად აიღებს, იმის მ[ე]ტი კაცი ვეღარც იყიდის და ვეღარც გაჰყიდის. სოფლის არაყს სამ ბისტად იყიდის; მერმე დუათაშად გამოხდის, ლირტას ექუს შაურად გაჰყიდის“.[308] ნ. ქოიავას დაკვირვებით, მონოპოლია ნაწილობრივია, რადგან სოფლად არყის გამოხდა არ იკრძალებოდა. მონოპოლიზებული იყო მხოლოდ მისი „დუათაშად“ გამოხდა და ქალაქში გაყიდვა. ავტორი ხაზს უსვამს ფასებს შორის განსხვავებას: „თვალსაჩინოა საგრძნობი განსხვავება ამ ფასებს შორის – სამი ბისტი და შვიდი შაური, ე.ი. 6 კაპ. და 35 კაპ“. მისი აზრით, მონოპოლია ვრცელდებოდა მხოლოდ მეფის სახასო მამულზე.[309]

როგორც ვხედავთ, სოფლად არაყი იყიდებოდა 3 ბისტად. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 10 ბისტი უდრიდა 1 აბაზს, ხოლო 2,5 ბისტი – შაურს. ბისტი იწონიდა დაახლ. 0,7 გრამს. იმდროინდელი 1 ლიტრა თანამედროვე 3 ლიტრის ტოლფასი იყო. ამდენად, სოფლად 1 ლიტრი არყის ფასად 0,7 გრამი ვერცხლი ყოფილა დადგენილი.

დასტურლამალის მიხედვით, „დაუთაშად“/„დუათეშად“ გამოხდილი, ანუ ორნახადი, ორგზის გამოხდილი[310] იმდროინდელი 1 ლიტრა არაყი თბილისში იყიდებოდა 6-7 შაურად, ანუ დაახლ. 10,5-12 გრამ ვერცხლად. თანამედროვე მეტრული სისტემით, 1 ლიტრი ორნახადი არაყი იყიდებოდა დაახლ. 3,7 გრამ ვერცხლად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რეალურად, თბილისში არაყი, სოფელთან შედარებით, 5-6-ჯერ ძვირად არ იყიდებოდა, რადგან მისი მეორედ გამოხდა მოცულობას გაანახევრებდა. ამასთანავე, გარკვეულ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული მეორედ გამოხდის პროცედურაც. ამდენად, რეალურად, მონოპოლიის შედეგად, სახელმწიფო არაყს გაორმაგებულ ფასს ადებდა. არყის მონოპოლიიდან სახელმწიფოს შემოსავალი შეადგენდა 35 თუმანს, ანუ 350 მინალთუნს.

XVIII საუკუნის II ნახევარში არყის მონოპოლია აღარ ჩანს. გიულდენშტედტის ცნობით, ორი ვედრო არაყი ღირდა ოთხი რუბლი,[311] ანუ 20 აბაზი. 20 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.) იწონიდა 58 გრამს, ხოლო 2 ვედრო 22 ლიტრას. შესაბამისად, 1 ლიტრი არაყი აღნიშნულ პერიოდში ღირდა დაახლ. 2,6 გრამი ვერცხლი. 1779 წელს 1 თუნგი (3,6 ლიტრი) „დუათეში“ (ორჯერ გამოხდილი) არაყი იყიდებოდა 3,5 აბაზად[312] (დაახლ. 10,15 გრამი), ანუ 1 ლიტრი – 2,8 გრამ ვერცხლად, ხოლო 1 თუნგი

[308] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 283.
[309] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 136-137.
[310] იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი. I, II, III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები. შეადგინა მ. ბერძნიშვილმა. თბ. 1957, გვ. 15.
[311] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1964, გვ. 241, 255.
[312] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 69.

„იაქათეში“[313] (ერთნახადი არაყი) – 5 შაურად[314] (3,5 გრამი), ანუ 1 ლიტრი – დაახლ. 1 გრამ ვერცხლად.

როგორც ვხედავთ, არაყი XVIII საუკუნის II ნახევარში, იმავე საუკუნის დასაწყისთან შედარებით, იაფი ჩანს, რაც ბუნებრივიცაა, რადგან საუკუნის მეორე ნახევარში „არაყხანის“ მონოპოლია აღარ მოქმედებდა და თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ფასიც შედარებით დაბალი იყო.

ღვინისა და არყის ფასები:

თარიღი	**რეგიონი/ ქალაქი**	**ღვინის (ან არყის) ოდენობა**	**მოცემული ოდენობის ღვინის ფასი (ვერცხლის ნომინალის წონის მითითებით)**	**1 ლიტრი ღვინის ფასი ვერცხლის გრამებში**	**1 ვერცხლის ნომინალით რამდენი ლიტრის ყიდვა შეიძლებოდა**	**წყარო**
1259	შიდა ქართლი	6 კოკა, ანუ 58,5 ლიტრი	8 თეთრი (თეთრი=2,7 გრ.)	0,37 გრ.	1 თეთრი – დაახლ 7,3 ლიტრი ღვინო	ქისკ. I: 149
1250-იანი წწ.	შიდა ქართლი	1 კოკა ტკბილი, ანუ 9,75 ლიტრი	1 თეთრი (თეთრი=2,7 გრ.)	0,27 გრ.	1 თეთრი – 9,75 ლიტრი ღვინო	ქისკ. I: 94
1595	სამხ.-დასავლეთ საქართველო	1 ბათმანი/ 6 ოყა, ანუ 7,6 ლიტრი	8 ახჩა (ახჩა=0,38 გრ.)	0,40 გრ.	1 ახჩა – დაახლ. 1 ლიტრი ღვინო	გვდდ
1670-იანი წწ.	სამხ.-დასავლეთ საქართველო/ დასავლეთ საქართველო	1 საპალნე, ანუ დაახლ. 150 ლიტრი	1 ეკიუ/4 აბაზი (აბაზი=7,5 გრ.	0,2 გრ.	1 ბაზი – 37,5 ლიტრი ღვინო	ჟშმ: 270-271
1670-იანი წწ.	თბილისი	1 საპალნე, ანუ დაახლ. 150 ლიტრი	8 ფრანკი	დაახლ. 0,5 გრ.	1 ფრანკი – დაახლ. 19 ლიტრი ღვინო	ჟშმ: 297
1705-1708	ქართლი	1 კოკა ტკბილი, ანუ 30 ლიტრი	1 აბაზი (აბაზი=7,5 გრ.	0,25 გრ.	1 აბაზი – 30 ლიტრი ტკბილი	ქსძ. I: 514

[313] იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 20.
[314] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 69.

1717-1719	ქართლი	1 კოკა ღვინო, ანუ 30 ლიტრი	6 აბაზი (აბაზი=-დაახლ. 5 გრ.)	1 გრ.	1 აბაზი – 5 ლიტრი ღვინო	სს. III: 413-414
1772	თბილისი	1 ლიტრა/ 1 თუნგი, ანუ 3,6 ლიტრი	20 კაპიკი/1 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.	0,8 გრ.	1 აბაზი – 3,6 ლიტრი ღვინო	გმს. I: 93
1772	კახეთი	1 ციტრა/ 1 თუნგი, ანუ 3,6 ლიტრი	10-15 კაპიკი/2-3 შაური (შაური=0,7 გრ.)	0,4-0,6 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 5,8 ლიტრი ღვინო	გმს. I: 253
XVIII ს. II ნახ.	თბილისი	1 თუნგი, ანუ 3,6 ლიტრი	1 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.)	0,80 გრ.	1 აბაზი – 3,6 ლიტრი ღვინო	მსეი. I: 87, 90, 129...
1705-1708	ქართლი	1 ლიტრა ერთნახა-დი არაყი, ანუ 3,6 ლიტრი	3 ბისტი (ბისტი=0,7 გრ.)	0,7 გრ.	1 აბაზი – 10 ლიტრი ერთნახადი არაყი	ქსძ. II: 283
1705-1708	თბილისი	1 ლიტრა ორნახადი არაყი, ანუ 3,6 ლიტრი	6-7 შაური (შაუ-რი=1,7-1,8 გრ.)	3,7 გრ.	1 აბაზი – 2 ლიტრი ორ-ნახადი არაყი	ქსძ. II: 283
1772	თბილისი	2 ვედრო არაყი, ანუ 22 ლიტრი	4 მინალთუნი/20 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.)	2,6 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 1,1 ლიტრი არაყი	გმს. II: 241, 255
1779	თბილისი	1 ლიტრა ორნახადი არაყი, ანუ 3,6 ლიტრი	3,5 აბაზი (აბა-ზი=2,9 გრ.)	2,8 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 1 ლი-ტრი ორნახა-დი არაყი	მსეი. I: 69
1779	თბილისი	1 ლიტრა ერთნახა-დი არაყი, ანუ 3,6 ლიტრი	5 შაური, ანუ 1,25 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.)	1 გრ.	1 აბაზი – დაახლ. 2,9 ლიტრი ერთნახადი არაყი	მსეი. I: 69

III. ცხენის, ხარ-კამეჩის, ძროხისა და სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღების ფასები X-XVIII საუკუნეებში

განვითარებული ფეოდალური ეპოქის წყაროებში არცთუ ბევრი ცნობა მოგვეპოვება სხვადასხვა პროდუქციისა და ნივთის ფასების შესახებ. საპირისპირო სურათს ვხვდებით XVIII საუკუნის წყაროებში, საიდანაც თითქმის ყველა პროდუქციისა თუ ნივთის ღირებულებას ვიგებთ. XVIII საუკუნის ფასების ფართო სპექტრს ქვემოთ დეტალურად წარმოვადგენთ. ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ პროდუქციაზე, რომელთა ფასების შესახებ, ცნობები მოგვეპოვება როგორც X-XIV საუკუნეების, ისე გვიანფეოდალური ხანის წყაროებში. შესაბამისად, ხორბლისა და ღვინის ფასების მსგავსად, განსახილველი პროდუქციის ფასების რეტროსპექტივა, ამჯერადაც, რამდენიმე საუკუნის ჭრილში იქნება ნაჩვენები.

ცხენის ღირებულება ფეოდალური ეპოქის საქართველოში

თავდაპირველად, განვიხილავთ ცხენის ფასს. შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ცხენს, როგორც სატრანსპორტო საშუალებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. განვითარებული ფეოდალური ეპოქის ძირითად სამხედრო დანაყოფებს კავალერია ქმნიდა და, ამდენად, კარგი საბრძოლო ცხენი მეომრისათვის და, ზოგადად, ფეოდალური საზოგადოებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. მხედრის განკარგულებაში იყო საბრძოლო ცხენის შემცვლელი – მარქაფა ცხენიც. ნაკლები ღირსების ცხენი ტვირთის საზიდად გამოიყენებოდა. ასეთი იყო საბარგო, ანდაც საპალნე[315] ცხენი. კარგი ჯიშის ცხენები ფეოდალური საზოგადოების წევრებს ჰყავდათ. იშვიათ შემთხვევაში, ცხენის მეპატრონეებად გლეხებიც გვევლინებიან, მაგრამ მათი ცხენები ნაკლები ღირსებით გამოირჩეოდნენ.[316] ამდენად, განსხვავებული ღირსების ცხენებს ფასებიც სხვადასხვა უნდა ჰქონოდა.

საქართველოში გავრცელებული იყო ქართული ჯიშის ცხენები – თუშური და მეგრული.[317] ეჭვგარეშეა, რომ აშენებდნენ არაბულ და სხვა საუკეთესო ჯიშის ცხენებსაც. საქართველოში რომ მეცხოველეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული, მათ შორის, დიდი რაოდენობით ცხენები იყო მოშენებული, ამას ადასტურებს არაერთი

[315] ასეთ ცხენებზე საპალნეებით ჰკიდებდნენ ტვირთს.

[316] ზოგადად, საქართველოში ცხენებს არც ურემსა და არც გუთანში აბამდნენ. ამ საქმიანობისათვის ხარ-კამეჩს იყენებდნენ, რაც ცხენის სიძვირით, უფრო მეტად კი, ადგილობრივი ლანდშაფტის თავისებურებით უნდა აიხსნას – როგორც ჩანს, მთაგორიან ქვეყანაში გამწევ საშუალებად მეტი ძალის მქონე ხარ-კემეჩები ამ მხრივ უფრო ეფექტური იყო.

[317] ნ. ჩხეიძე, დ. კობალავა. საქართველოს ადგილობრივი ცხენის ჯიშები. თბ. 1950, გვ. 17.

წყარო.[318] საქართველოდან მეზობელ ქვეყნებში ცხენების ექსპორტიც ხორციელდებოდა.[319]

პირველ ცნობას ცხენის ფასის შესახებ, ვხვდებით ფავნელის დაწერილში: „... მივეც|ით ერთი ჯორი პალარ-კურტამითა, ერთი ცხენი სამასად, ერთი უნაგ|ირი ხუთასად ყუელასა მჯობი...“.[320] საბუთი, ზოგადად, IX საუკუნის II ნახევრით თარიღდება, თუმცა ახლავს სხვადასხვა პერიოდის გვიანდელი მინაწერები. ამდენად, საბუთის ტრადიციული დათარიღება კამათს იწვევს.[321] რაც შეეხება საბუთში მოხსენებული ცხენის საფასურს, ყველა შემთხვევაში, ვერცხლის მონეტასთან გვაქვს საქმე. თუმცა ძნელი დასაზუსტებელია, ამ შემთხვევაში 3-გრამიანი ვერცხლის თეთრი/დრამა იგულისხმება თუ წონადაკლებული მონეტა.

ფავნელის დაწერილში ნახსენებ ცხენის საფასურს, ანუ 300 ნომინალს თუ 3-გრამიანი ვერცხლის მონეტის პირობაზე დავიანგარიშებთ, ცხენის ღირებულება 900 გრამ ვერცხლს უდრის, ხოლო ოქროზე გადაყვანის შემთხვევაში (ვერცხლის და ოქროს მონეტების შეფარდება 1:13-თან) – 23 დრაჰკანს. იმ შემთხვევაში, თუ 2-2,2-გრამიან ვერცხლის მონეტასთან გვაქვს საქმე, მაშინ ცხენის ფასად მივიღებთ 600-660 გრამ ვერცხლს, ან 15-17 ოქროს დრაჰკანს.

ცხადია, საბუთში კარგი ჯიშის, პირობითად, საშუალო ღირსების ცხენია მოხსენებული. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბუთში ნახსენები უნაგირი ცხენზე ძვირი ყოფილა, რასაც თავისი ახსნა აქვს – ჯერ ერთი, საქმე გვაქვს „ყუელასა მჯობ“ უნაგირთან, ამავდროულად კი, ცხენის შესახებ არ არის მითითებული, რომ ის საუკეთესო იყო; მეორე, ნებისმიერი უნაგირი შეიძლება მოჭედილი ყოფილიყო ძვირფასი თვლებით და ოქრო-ვერცხლით, შესაბამისად, მისი ფასი მდიდრულ გაფორმებაზე იყო დამოკიდებული. თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ საბუთში ცხენზე უწინარესად ჯორია ნახსენები, რაც მათ ფასთა თანაბრობაზე მეტყველებს.

---

[318] IX საუკუნის არაბი ისტორიკოსის იაკუბის ცნობით, ხალიდ იბნ-იეზიდის მეთაურობით, არაბთა ჯარს წანარების წინააღმდეგ ბრძოლისას, ხელში ჩაუგდია საქონლის ჯოგები, ხოლო საზავო პირობების მიხედვით, კახეთის სამთავროს 3000 ფაშატი და 20 000 ცხვრის გადახდა დაკისრებია (იხ.: მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 328). მოსახლეობას სხვადასხვა ღირსების ცხენი მრავლად ჰყავდა გვიანფეოდალურ ეპოქაშიც. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1819 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში 30 000 ცხენი ჰყოლიათ (იხ.: დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 273).

[319] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 29.

[320] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 18.

[321] კონკრეტულად საბუთის იმ ნაწილში, რომელშიც ცხენის და უნაგირის ფასია მოცემული, ფულის აღმნიშვნელ ტერმინად თეთრია გამოყენებული – „თეთრსა რა ანგარიში უნდა...“. სხვა წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ტერმინი თეთრი XIII საუკუნიდან მკვიდრდება, მანამდე ვერცხლის ფულს საქართველოში დრამას უწოდებდნენ. დათარიღების კუთხით, ასევე კამათს იწვევს საბუთში „პელპელის“, ანუ პერპერას (ბერძნ. hyperpyron – გავარვარებული, გაწმენდილი ოქრო) მოხსენება, რომელიც ბიზანტიის იმპერატორ ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) სამონეტო რეფორმის შემდგომ, დაახლ. 1092 წლიდან, იჭრებოდა და ბიზანტიურ წყაროებში 1093 წლიდან იხსენიება. ამდენად, „პელპელის“ მოხსენება თითქოს გამორიცხავს IX ან X საუკუნეებში საბუთის შედგენის შესაძლებლობას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მასში მოხსენებული მეფეების ზეობის მიხედვით, საბუთი სწორედ IX საუკუნეში უნდა შეედგინათ. ვინაიდან საბუთის დედანი დაკარგულია, შესაძლებელია, საქმე გვქონდეს გადამწერის მიერ ფულადი ტერმინების გადაკეთებასთან.

ნიკორწმინდელის დაწერილიდან ჩანს, რომ საშუალო ღირსების ცხენი ვენახსა და ყანაზე იცვლებოდა,[322] რაც მის მაღალ ღირებულებაზე მეტყველებს. როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეებში ცხენი საკმაოდ ძვირად ფასობდა.

ცხენის ფასს ასევე ვხვდებით 1247-1250 წლებში შედგენილ გრიგოლ სურამელის დაწერილში, რომელშიც აღნიშნულია: „ცხენი ერთი – სამას|ორმოცდაათ თეთრად ნასყიდი“.[323] XIII საუკუნის 40-იან წლებში, კერძოდ, 1247 წელს, საქართველოში იჭრებოდა დავით ნარინის ვერცხლის მონეტები მხედრის გამოსახულებით, რომლის წონითი რემედიუმი იყო 2,4-2,7 გრამი. ამავე პერიოდში იჭრებოდა მონღოლური საოკუპაციო 2,64-2,87 გრამიანი მონეტები.[324] შესაბამისად, საშუალო ღირსების ცხენის ღირებულება ყოფილა დაახლ. 900 გრამი ვერცხლი, რაც პირობითად, 23 ოქროს ნომისმის/დრაჰკანის ეკვივალენტია. ისიც აღსანიშნავია, რომ მოცემული ცხენის ფასი მნიშვნელოვნად აღემატებოდა გლეხის ოჯახის ფასს – 18 დრაჰკან დუკატს.[325]

იმავე საბუთის მიხედვით, კარგ ჯორს, უნაგირს და აღვირს ცხენზე არანაკლები ან მეტი ფასი ჰქონდა – „ერთი პალან-კურდნითა შეკაზმული| დიდად კ(ა)რგი ჯორი, ოთხას თეთრად მოფასებული... უნაგირი ოქროჲთა ზარხოჲთა მოჭედი|ლი, ექუსას თეთრად დაფასებული, აღჳრნი თათრულნი მარგალიტის ძი|რისანი, რ(ომე)ლსა ჰქჳან სადაფი, ოცი დუკატი მისთა ყმათა მოურავისადა მიმიცემ|ია...“.[326]

როგორც აღინიშნა, ცხენის უნაგირისა და სხვა აღკაზმულობის ღირებულება დამოკიდებული იყო მათი გაფორმების ხარისხზე, რაც შეეხება ჯორს, მართალია, მისი ფასი 50 თეთრით აჭარბებს ცხენის ფასს, მაგრამ საბუთიდან ჩანს, რომ საუბარია საუკეთესო ჯორზე, ხოლო ცხენის შემთხვევაში, ასეთი მახასიათებლის არარსებობა მის საშუალო ღირსებაზე მიგვანიშნებს. ამასთანავე, ჯორის ღირებულებში მისი აღკაზმულობაც იყო გათვალისწინებული. ამდენად, „დიდად კარგ“ ჯორს და საშუალო ღირსების ცხენს დაახლოებით თანაბარი ფასი ჰქონდათ.

ჯორის ფასებს ვხვდებით ათონის აღაპებშიც. ერთ შემთხვევაში აღნიშნულია: „მოსცა ეკლესიასა ჯორი ერთი გავყიდეთ ჩჳდმეტ პერეპერად“, ხოლო სხვა ადგილას ვკითხულობთ: „მოსცა ეკლესიასა ჩუენსა მუტრუკი (ჯორის შვილი – ა.თ.) ნასყიდი პერპერად იე (15)“.[327] პირველი აღაპი თარიღდება XII საუკუნის I ნახევრით, მეორე – XII საუკუნის 80-იანი წლებით.[328] მართალია, აღაპებში მოცემული ფასები, სავარაუდოდ, ათონზე არსებულ ვითარებას ასახავს,[329] მაგრამ ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ, ზოგადად, იმდროინდელი ფასებს ვეცნობით.

რადგან ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის მიხედვით, ჯორის ფასი ყოფილა დაახლ. 15-17 პერპერა, რიგ შემთხვევებში, ცხენის ფასადაც 15-17 პერპერა/დრაჰკანი უნდა მივიჩნიოთ.

---

[322] ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, გლეხი (თავის ოჯახთან ერთად) ფასობდა 18 დრაჰკან დუკატად. იხ.: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 44.
[323] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 127.
[324] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 68-69, 96-98.
[325] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 40.
[326] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 127-128.
[327] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 165, 174.
[328] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 239-241, 245-246.
[329] არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ შეწირვა ზოგჯერ საქართველოში ხდებოდა და კონკრეტული შეწირულობის რეალიზაციის შემდეგ თანხა ათონზე მიჰქონდათ.

ამდენად, ყველა მონაცემის შეჯერებით, საშუალო ღირსების ცხენის ფასად შეგვიძლია 15-23 ოქროს დრაჰკანი/პერპერა, ანუ 600-900 გრამი ვერცხლი მივიჩნიოთ. კონკრეტული ფასი კი დამოკიდებული იქნებოდა ცხენის ხარისხზე.

რაც შეეხება საუკეთესო ცხენებს, მათი ფასი კიდევ უფრო მაღალი იყო. ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ცხენის საფასურად სოფელი და ციხეა გადახდილი – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი მემატიანე დავით სოსლანის შესახებ გადმოგვცემს: „მაშინ აღიჭურა და შეიჭურა მეფე, შეჯდა ზერდაგსა, რომელი სახელგანთქმულობისათჳს ეყიდა ვახტანგ ხაჩენელისაგან, მბოძებელსა ციხისა და სოფლისასა, რომელ არიან ჭარმანი“.[330]

ნაკლები ღირსების ცხენის (მარქაფა და საბარგო ცხენი) ღირებულება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად მცირე იქნებოდა საბრძოლო ცხენის ფასთან შედარებით. მ. წურწუმია ნიკორწმინდელის დაწერილში მოცემული ცნობებიდან გამომდინარე, სამარქაფო ცხენის ღირებულებად 6 ნომისმას მიიჩნევს, საბარგო ცხენისას კი – 2 ნომისმას.[331] ჩვენ სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია დასახელებული ფასები.[332]

ცხენი მაღალ ფასს ინარჩუნებდა გვიანფეოდალურ ეპოქაშიც. XVIII საუკუნის II ნახევარის ერთ-ერთ საბუთში კარგი ცხენის ფასად დასახელებულია 15 თუმანი.[333] ვხვდებით 20 თუმნად დაფასებულ ცხენსაც.[334] 15-20 თუმნის, ანუ 750-1000 აბაზის (აბაზი=2,9 გრ.) წონა 2175-2900 გრამ ვერცხლს უდრის. ხოლო გამორჩეულად კარგ ცხენს აღნიშნულ ეპოქაშიც დიდი ფასი ჰქონდა – XVII საუკუნეში იმერეთის მეფემ 40 თუმნის და ცხენის ფასად სოფელი მოხისი დათმო.[335]

გიულდენშტედტის ცნობით, XVIII საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ხონის ბაზარზე, ცხენები 30-40 მანეთად, ანუ 3-4 თუმნად იყიდებოდა.[336] ცხენის ფასად 10 თუმანიც არის დასახელებული.[337] როგორც ჩანს, საშუალო ღირსების საბრძოლო ცხენის ფასი 3-4 თუმნიდან 10 თუმნამდე მერყეობდა, რაც 435-580 გრამიდან 1450 გრამი ვერცხლის ტოლფასია.

სააბარგო ცხენს უფრო დაბალი ღირებულება ჰქონდა. ზოგიერთი ცხენი 2 თუმნად იყიდებოდა, ვხვდებით 5 მინალთუნის, ანუ 0,5 თუმნის ღირებულების ცხენსაც.[338]

---

[330] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ. ქართლის ცხოვრება, გვ. 439.

[331] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 143.

[332] აქვე აღვნიშნავთ, რომ მ. წურწუმია ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, საბრძოლო ცხენის ფასად 8-9 ოქროს ნომისმას მიიჩნევს. ნიკორწმინდელის დაწერილში, როგორც ცნობილია, უმეტეს შემთხვევაში, ფასები პირდაპირ არ არის ნაჩვენები და გამოთვლა შესაძლებელია პირობითად, მიწის, ყანის, ხარ-ძროხის და სხვ. ფასების გათვალისწინებით. 8-9 ოქროს ნომისმას ღირებულების ცხენი მართლაც ჩანს საბუთში, მაგრამ ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მხოლოდ ერთ ყიდვა-გაყიდვის აქტშია მითითებული „ცხენი კარგი“, სხვა შემთხვევაში, უბრალოდ აღნიშნულია ცხენი. აქედან გამომდინარე, ნიკორწმინდელის დაწერილში, ერთი შემთხვევის გარდა, ყოველთვის დაბალი ღირსების ცხენზეა საუბარი. „ცხენი კარგი“ კი გაიცვალა ვენახსა და ყანაში. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვენახის და ყანის ფასი დაახლ. 15 დრაჰკანის ტოლფასია.

[333] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 82.

[334] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 272.

[335] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 529.

[336] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 155.

[337] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 80.

[338] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 82; III, გვ. 349.

ამდენად, XI-XVIII საუკუნეებში საქართველოში საუკეთესო ცხენის ღირებულება ძალიან მაღალი იყო. საშუალო ღირსების საბრძოლო ცხენი XI-XIII საუკუნეებში ღირდა 15-23 ოქროს დრაჰკანი, ანუ 600-900 გრამი ვერცხლი, მარქაფა და საბარგო ცხენები კი – 2-6 დრაჰკანი. XVIII საუკუნეშიც ანალოგიურად, ცხენის საშუალო ფასები 450-1450 გრამი ვერცხლის (3-10 თუმანი) ფარგლებში მერყეობდა, ხოლო ყველაზე იაფი ცხენის ფასი დაახლ. 75-300 გრამი ვერცხლი (0,5-2 თუმანი) იყო.

ხარ-კამეჩისა და ძროხის ღირებულება XI-XVIII საუკუნეების საქართველოში

მესაქონლეობა ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი დარგი იყო. გარდა იმისა, რომ მესაქონლეობის შედეგად მოსახლეობა იღებდა ხორცს, რძეს, ტყავს, მატყლს და აშ., მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, კერძოდ, ხარ-კამეჩებს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოქმედებისათვის, რადგან გუთანსა და სხვა სახვნელ იარაღებში სწორედ ხარ-კამეჩს აბამდნენ. ხარ-კამეჩის საშუალებით გადაადგილდებოდა ურემი და, ამდენად, ტვირთების ტრანსპორტირებისთვისაც გამოიყენებოდა.

ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში სამიწათმოქმედო კულტურის ჩასახვისთანავე, ხარმა საკრალური მნიშვნელობა შეიძინა. ხარის კულტს დიდი ადგილი ეკავა ქართულ წარმართულ პანთეონში და მან შეიძინა საკუთარი დატვირთვა ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგაც.[339] შესაბამისად, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ვხვდებით ხარის გამოსახულებებს.

გარდა მთიანი ზოლისა და ქვეყნის ზოგიერთი კუთხისა, სადაც მეურნეობაში წამყვანი როლი აღნიშნულ დარგს ეკავა (ყაზახში, ბორჩალო-ბაიდარში, შამშადილუსა და ბამბაკში), მეცხოველეობა ბარის რაიონებშიც ფართოდ იყო გავრცელებული.[340]

ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, XI საუკუნის II ნახევარში რაჭის რეგიონში ერთი ხარის მიახლოებითი ფასი იყო 2 დრაჰკანი კონსტანტინატი,[341] რომელიც, ჩვენი გამოთვლით, დაახლ. 65-70 გრამი ვერცხლის ტოლფასია. მოცემული ფასი ეხება მთიან რეგიონს, რომელიც, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მეცხოველეობის ზონად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ბარის რაიონებში მისი ფასი უფრო მაღალი იქნებოდა.

ხარის ფასს ვხვდებით ათონის აღაპებშიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ სჯმეონ ჭყონდიდელის გაზრდილმა ნიკოლოზმა „მოსცნა ეკლესიასა ჩუენსა... უღელნი ჴარნი,

---

[339] იხ.: ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ. 1953; დ. ბერძენიშვილი. ხარის კულტი წარმართული ხანის საქართველოში. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები. XVIII. ქუთაისი, 2008, გვ. 6-9.

[340] იმის შესახებ, თუ რა ოდენობის პირუტყვი იყო მოშენებული გვიანფეოდალური ეპოქის საქართველოში, ძალიან საინტერესოა XIX საუკუნის მონაცემები – 1819 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 203 300 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 347 500 ცხვარი და თხა. არ არის ნაჩვენები ღორების ოდენობა. იხ.: დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 273. არანაკლები ოდენობის შინაური ცხოველი იქნებოდა დასავლეთ საქართველოში.

[341] ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, ყანა, რომელიც საშუალოდ 2 დრაჰკანი კონსტანტინატი ღირდა, ასევე იყიდებოდა 1 ხარის ან 2 ძროხის სანაცვლოდ. იხ.: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 42.

ნასყიდნი პერპერად ზ (7)".[342] აღაპი თარიღდება 1183 წლით.[343] როგორც ვხედავთ, უღელი ხარის ფასი ყოფილა 7 პერპერა, ხოლო ერთი ხარის – 3,5 პერპერა. რთულია იმის გარკვევა, ათონის აღაპებში მოცემული ცნობა საქართველოს რეალობას ეხება თუ ბიზანტიაში არსებულ ფასს, თუმცა ზოგად ინფორმაციას მაინც გვაწვდის იმდროინდელი ხარის ღირებულების შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სირიაში XI საუკუნეში კამეჩის ფასი 2-3 ოქროს დინარი ყოფილა.[344] ყველა მონაცემის გათვალისწინებით, XI-XIII საუკუნეებში ხარის ღირებულება გამოდის 2-3, მაქსიმუმ 3,5 ოქროს მონეტა (პერპერა/დრაჰკანი/დინარი), რაც ვერცხლში გადაყვანით დაახლ. 80-120 გრამის ტოლფასია (3,5 პერპერას შემთხვევაში – 135 გრამის). შესაბამისად, მოცემულ ეპოქაში ხარის საშუალო ფასად დაახლ. 100 გრამი ვერცხლი უნდა მივიჩნიოთ.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სვანეთში შედგენილ ერთ-ერთ საბუთში ნახსენებია „ასისა თეთრისა ‍ვარი".[345] საბუთის გაცემის წელი უცნობია, თუმცა ზოგადად, XIV საუკუნის I ნახევრით თარიღდება. XIV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მიმოქცევაში იყო კირმანეული თეთრი. აღნიშნული მონეტის ყველაზე მცირე ნომინალი 1 გრამს აჭარბებდა, ხოლო უმეტესად, 1,5-2-გრამიანი ნომინალები იჭრებოდა.[346] XIV საუკუნის საბუთში დაფიქსირებული ხარის ფასი, იმ პერიოდში მოჭრილი ყველაზე მცირე ნომინალებით რომ დავიანგარიშოთ, სულ ცოტა 100 გრამ, საშუალოდ კი 150 გრამ ვერცხლს უდრიდა.

ერთი სიტყვით, XI-XIV საუკუნეების მონაცემების მიხედვით, ხარის საშუალო ფასი გამოდის 2-3 პერპერა/დრაჰკანი, ანუ დაახლ. 100 გრამი ვერცხლი. ხარსა და კამეჩს შუა საუკუნეებში თანაბარი ფასი ჰქონდა, ხოლო ძროხას – ორჯერ ნაკლები. ამდენად, ძროხის ფასად უნდა მივიჩნიოთ 1-1,5 დრაჰკანი, ვერცხლზე გადაყვანით – 40-60 გრამი.

XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგის სამართლის წიგნიდან ვიგებთ, რომ ქართლში ძროხის ფასი იყო 2 მინალთუნი[347] (10 აბაზი), ანუ 75 გრამი ვერცხლი. რადგან ხარ-კამეჩი ძროხაზე ორჯერ ძვირი ღირდა, აღნიშნული პერიოდის ქართლში ხარის ფასი ყოფილა 4 მინალთუნი, ანუ 150 გრამი ვერცხლი.

XVIII საუკუნის II ნახევარში ხარი ღირდა 8-10 მინალთუნი (დაახლ. 115-145 გრამი ვერცხლი), ხოლო ძროხა – 3-6 მინალთუნი (დაახლ. 45-90 გრამი ვერცხლი).[348]

როგორც ვხედავთ, XI-XIV საუკუნეებთან შედარებით, XVIII საუკუნეში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფასი გარკვეულწილად გაზრდილია.

---

[342] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 174.

[343] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 241.

[344] C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou. Washington. 2002, გვ. 839.

[345] დაწერილი ვაჟილა ვახდაგიანისა ივანე სიტიელისადმი. სვანეთის წერილობითი ძეგლები. I. ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ. თბ. 1986, გვ. 188.

[346] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 123-142.

[347] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 486.

[348] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 81; III, გვ. 211.

ცხრილში მოცემულია XI-XVIII საუკუნეებში ცხენის, ხარ-კამეჩის და სხვა შინაური ცხოველის ფასები:

ცხენისა და ჯორის ფასი			
თარიღი	**შინაური ცხოველი**	**ფასი**	**წყარო**
IX-XI სს.	საშუალო ღირსების საბრძოლო ცხენი	300 თეთრი, ანუ 600-900 გრამი ვერცხლი (დაახლ. 15-23 დრაჰკანი)	ქისკ. I:. 18
XIII ს. შუა ხანები	საშუალო ღირსების საბრძოლო ცხენი	350 თეთრი, ანუ 900 გრამი ვერცხლი (დაახლ. 23 დრაჰკანი)	ქისკ. I: 127
XII ს. II ნახ.	საუკეთესო ცხენი	ცხენში გადახდილია სოფ. ჭარმანი და ციხე	იაზ: 439
XI ს. II ნახ.	მარქაფა და საბარგო ცხენი	2-6 დრაჰკანი, ანუ დაახლ. 80-230 გრამი ვერცხლი	ქისკ. I: 39-44
1660 წლის ახლო ხანები	საუკეთესო ცხენი	ცხენის და 40 თუმნის სანაცვლოდ, გადახდილია სოფელი მოხისი	ქსძ. III: 529
XVIII ს. II ნახ.	კარგი ცხენი	15-20 თუმანი ანუ 2175-2900 გრამი ვერცხლი	I: 82; III: 272[349]
XVIII ს. II ნახ.	საშუალო ღირსების ცხენი	3-10 თუმანი ანუ დაახლ. 450-1450 გრამი ვერცხლი	გმს. I : 155; I: 80
XVIII ს. II ნახ.	საბარგო, სამარქაფო ცხენი	0,5-2 თუმანი, ანუ 75-300 გრამი ვერცხლი	I: 82; III: 349
XII ს.	ჯორი	15-17 პერპერა, ანუ დაახლ. 600-665 გრამი ვერცხლი	აქმსწ: 165, 174
XIII ს. შუა ხანები	ჯორი კარგი, თავისი აღკაზმულობით	400 თეთრი, ანუ დაახლ. 1000 გრამი ვერცხლი	ქისკ. I: 127

ხარ-კამეჩისა და ძროხის ფასი			
თარიღი	**შინაური ცხოველი**	**ფასი**	**წყარო**
XI ს. II. ნახ.	ხარი/კამეჩი	2 დრაჰკანი კონსტანტინატი, ანუ დაახლ. 70 გრამი ვერცხლი	ქისკ. I: 39-44
XI ს. II. ნახ.	ძროხა	1 დრაჰკანი კონსტანტინატი, ანუ დაახლ. 35 გრამი ვერცხლი	ქისკ. I: 39-44
XII ს. II ნახ.	ხარი/კამეჩი	3,5 პერპერა, ანუ 80-135 გრამი ვერცხლი	აქმსწ: 174

[349] ცხრილში მხოლოდ ტომისა და გვერდების მითითებით დამოწმებულია: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, III.

XIV ს. შუა ხანები	ხარი/კამეჩი	100 თეთრი, ანუ დაახლ. 100-150 გრამი ვერცხლი	სწძ. I: 188
XVIII ს. I მეოთხ.	ძროხა	2 მინალთუნი (აბაზი=7,5 გრ.), ანუ 75 გრამი ვერცხლი	ქსძ. I: 486
XVIII ს. II ნახ.	ხარი/კამეჩი	8-10 მინალთუნი (აბაზი=2,9 გრ.), ანუ 115-145 გრამი ვერცხლი	I: 81[350]
XVIII ს. II ნახ.	ძროხა	3-6 მინალთუნი (აბაზი=2,9 გრ.), ანუ 45-90 გრამი ვერცხლი	I: 81; III: 211
XVIII-XIX სს. მიჯნა	ვირი	4 მინალთუნი, ანუ 58 გრამი ვეცხლი	III: 349

სახნისის, გუთნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღების ფასები XI-XVIII საუკუნეების საქართველოში

აქვე მოკლედ შევეხებით XI-XIII საუკუნეების წყაროებში დაფიქსირებულ ზოგიერთი შრომის იარაღის ფასს. ნიკორწმინდელის დაწერილში რამდენჯერმე ნახსენებია სახნისი, რომელიც ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენდა. მართალია, საბუთში არ არის მითითებული სახნისის კონკრეტული ფასი, მაგრამ გარკვეული დასკვნების გამოტანა შესაძლებელია. საბუთზე დაკვირვებით ირკვევა, რომ სახნისის ფასი 2 დრაჰკანამდე უნდა ივარაუდებოდეს.[351] სახნისი სახვნელი იარაღის რკინის მთავარ, მაგრამ ამავე დროს, ერთ დეტალს წარმოადგენდა. სახვნელ იარაღს ესაჭიროებოდა ხის კონსტრუქცია, რომელზეც მიმაგრებული იყო სახნისი. სახვნელი იარაღის შემადგენელი იყო ხარის ან კამეჩის ტყავისაგან დამზადებული ღვედები და სხვა დეტალები. ერთი სიტყვით, რაჭაში გავრცელებული სახვნელი იარაღის საერთო ფასი სახნისის ღირებულებაზე ორჯერ მეტი, საშუალოდ, 4 დრაჰკანი (დაახლ. 150 გრ. ვერცხლი) იქნებოდა. ისიც აღსანიშნავია, რომ რაჭის ზონაში შედარებით მცირე მოცულობის სახვნელი საშუალება უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რომლის რკინის სახნისის წონა, სავარაუდოდ, 2-3 კილოგრამს შეადგენდა.

გვიანდელი მონაცემებით, 1785 წლის ახლო ხანებში, 8 უღელი ხარ-კამეჩი „სახნის საკვეთითა და ღვედითა“ 20 თუმნად შეიძინეს.[352] თუ 8 უღელი, ანუ 16 ხარ-კამეჩის ღირებულებად 14-16 თუმანს მივიჩნევთ, სახნის-საკვეთელის და მისი ღვედის ფასი ყოფილა 4-6 თუმანი, ანუ 600-900 გრამი ვერცხლი. შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში, საქმე გვქონდეს არა მთლიანი გუთნის შეძენასთან, არამედ მხოლოდ ჩამოთვლილ დეტალებთან. 12 უღელი ხარ-კამეჩის გასაწევი სრულფასოვანი გუთნის ფასი, სავარაუდოდ, უფრო დიდი იქნებოდა.

---

[350] ცხრილში მხოლოდ ტომისა და გვერდების მითითებით დამოწმებულია: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, III.

[351] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 40-43. მ. წურწუმიას აზრით, სახნისის ფასია 1-1,33 ოქრო. იხ.: მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 141.

[352] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 81.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აბაშიძის ქვრივის საჩივრის მიხედვით, დიდი ქართული გუთანი თავისი ხარ-კამეჩებით, რომელსაც გუთნეული ეწოდებოდა, ფასობდა 40 თუმნად.[353] თუ 20-24 თუმანს ხარ-კამეჩების საფასურად მივიჩნევთ, საკუთრივ გუთნის ფასი გამოდის 16-20 თუმანი (2400-2900 გრამი ვერცხლი). ჩვენი აზრით, მეტი სარგებლის მიღების მოტივით, საჩივარში გუთნეულის ფასი განგებ უნდა იყოს გაზრდილი და მის რეალურ ღირებულებად მსაქიმუმ 10 თუმანი უნდა მივიჩნიოთ. XVIII საუკუნის წყაროებში ვხვდებით სხვა სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღების ფასებსაც, რომლებიც ქვემოთ ცხრილის სახით არის წარმოდგენილი.

სახნისის, გუთნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღების ფასები:

თარიღი	შრომის იაღაღის დასახელება	ფასი	წყარო
XI ს. II. ნახ.	სახნისი	2 დრაჰკანი/26 დრამა, ანუ დაახლ. 80 გრამი ვერცხლი	ქისკ. I: 40, 41, 42.
1785 წ. ახლო	8 უღელ ხარ-კამეჩი „სახნის საკვეთითა და ღვედით“	20 თუმანი (1000 აბაზი; აბაზი=2,9 გრ.), ანუ 2900 გრამი ვერცხლი	I: 81[354]
XIX ს. დასაწყისი	გუთნეული	40 თუმანი (?) (2000 აბაზი; აბაზი=2,9 გრ.), ანუ 5800 გრამი ვერცხლი (?)	III: 372
XVIII ს. 40-იანი წწ.	ურემი თავისი „აპეურებით და ერთი ღერძი“	2 მინალთუნი და 2 აბაზი (12 აბაზი; აბაზი = დაახლ. 5 გრ.), ანუ 60 გრამი ვერცხლი	I: 5
XVIII ს. 40-იანი წწ.	კამეჩის „ჩული არშიკებით“ – 2 (კამეჩის საჩრდილობელი თავისი იარაღით)	ერთეულის ფასი – 1,5 მინალთუნი (7,5 აბაზი; აბაზი=დაახლ. 5 გრ.), ანუ 37,5 გრამი ვეცხლი	I: 5
XVIII ს. 40-იანი წწ.	ურმის საპონი (საპოხი მასალა)	1 შაური (შაური=1,15 გრ.)	I: 6
XVIII ს. 40-იანი წწ.	თოფრა კამეჩისათვის[355]	6 შაური/1,5 აბაზი (შაური=დაახლ. 1,15 გრ.), ანუ დაახლ. 7 გრამი ვერცხლი	I: 6
XVIII ს. 40-იანი წწ.	ტომარა	4 აბაზი (აბაზი=დაახლ. 5 გრ.), ანუ 20 გრამი ვერცხლი	I: 6
1757	ტიკი – ძველი, მიწის საზიდავად	1 აბაზი (აბაზი=4,6 გრ.)	I: 35
1749	30 ნიჩაბი	6 აბაზი (აბაზი=4,6 გრ.), ანუ დაახლ. 27,5 გრამი ვერცხლი	სეიძ. II: 94

[353] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 372.

[354] ცხრილში მხოლოდ ტომისა და გვერდების მითითებით დამოწმებულია: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, II, III.

[355] თოფრა/თორბა – მცირე ტომარა სცენის ან ხარ-კამეჩის კისერზე დასაკიდი, სადაც ქერი ან ბზე იყო მოთავსებულ. იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 19.

1751	3 ნიჩაბი	2,5 შაური და 1 ფული (შაური=1,15 გრ.), ანუ დაახლ. 3 გრამი ვერცხლი	I: 7
1749	4 ბარი და 4 წერაქვი	4 მინალთუნი და 2 აბაზი (22 აბაზი; აბაზი=4,6 გრ.), ანუ დაახლ. 100 გრამი ვერცხლი.	სეიძ. II: 94
1751	ბარი	6 შაური/1,5 აბაზი (შაური=1,15 გრ.), ანუ დაახლ. 7 გრამი ვერცხლი	I: 10
1751	ბარის ტარი	0,5 შაური (შაური=1,15 გრ.)	I: 7
1757	2 კალათა ქვის საზი-დავი	1 შაური (შაური=1,15 გრ.)	I: 34
1757	2 შალთა[356]	6 შაური/1,5 აბაზი (შაური=1,15 გრ.), ანუ დაახლ. 7 გრამი ვერცხლი	I: 42
1757	გუთნის მუშაობისათ-ვის გასამრჯელო, კვების ჩათვლით – 3 დღე	3 მინალთუნი/15 აბაზი (აბაზი=4,6 გრ.), ანუ დაახლ. 70 გრამი ვერცხლი	I: 43
1779	გოდორი – 10	7 შაური და 2 ფული (1,8 აბაზი; აბაზი=2,9 გრ.), ანუ დაახლ. 5,2 გრამი ვერცხლი	I: 74

[356] ნამგლის მსგავსი ბოსტნეულის გასამარგლი რკინის იარაღი, დაკბილული. იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 46.



ურემი და ურმის თვალი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. საინვენტარო ნომერი 350

IV. საკვები პროდუქტების ფასები X-XVIII საუკუნეების საქართველოში

ამჯერად, განვიხილავთ ფეოდალური ხანის საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონში შემავალ, საკვები პროდუქტების ფასებს. ყურადღებას გავამახვილებთ როგორც ადგილობრივად წარმოებულ, ისე იმპორტირებულ საქონელზე. ბუნებრივია, აღარ შევეხებით ხორბლეულის, ღვინის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ღირებულებას.

სამეურნეო საქმიანობა, მინიატიურები ვანის ოთხთავიდან (XII ს.). ხეც. A-1335. 4r, 4v

როგორც აღინიშნა, საგლეხო ფუძესა თუ ფეოდალის პირად მეურნეობაში დიდი წილი ეკავა მარცვლეულის და ღვინის წარმოებას. მათ გარდა, მოჰყავდათ პარკოსანი კულტურები – ოსპი, ცერცვი, ბარდა და მუხუდო, XVII საუკუნიდან კი ლობიო, რომელმაც პარკოსან კულტურათა შორის, უპირატესი ადგილი მალე დაიკავა. ლობიოს გავრცელების შედეგად, სხვა პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობები ძალიან შემცირდა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, აღმოსავლეთ საქართველოში ბრინჯის კულტურა IX საუკუნიდან ირანიდან უნდა შემოსულიყო, დასავლეთ საქართველოში კი – უფრო ადრე.[357]

მეურნეობაში გარკვეული ადგილი ეკავა მებოსტნეობას. XVIII საუკუნის საქართველოში ბოსტნეულიდან გავრცელებული იყო ბადრიჯანი, ხახვი, ნიორი, პრასი, ბოლოკი, ოხრახუში, სტაფილო, მაკედონი, კიტრი, კომბოსტო, ლახანა, წიწაკა, ძირა, მდოგვი, ჭარხალი, კვახი, პიტნა, თალგამი, მხალი, სატაცური, ღანძილი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი და სხვ.[358] დასახელებული კულტურებიდან ზოგიერთი უძველესი ეპოქიდანვე მოჰყავდათ საქართველოში, ზოგი კი შედარებით გვიან შემოსულა. მაგალითად, ისპანახი და ბადრიჯანი დაახლოებით X საუკუნეში ან შემდგომ პერიოდში შემოვიდა,[359] კომბოსტო უკვე VIII-IX საუკუნეებისათვის უნდა გავრცელებულიყო, რადგან გიორგი მერჩულე მოიხსენიებს კალნაბს – კომბოსტოს ერთ-ერთ ჯიშს,[360] XII საუკუნეზე ადრე უნდა გავრცელებულიყო კი-

[357] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 360.
[358] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 141-143.
[359] საქართველოს ისტორია. I, გვ. 270.
[360] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 168.

ტრიც.[361] ბოსტნეულის მრავალი სახეობა, მათ შორის, სტაფილო, ნიორი, ხახვი, პრასი, ძირა, ცერეცო, ქინძი და სხვ. უძველესი დროიდანვე მოჰყავდათ.

ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში მისდევდნენ სამრეწველო დანიშნულების მცენარეთა მოშენებას – სელისაგან, ძირითადად, ზეთს ამზადებდნენ, კანაფისაგან – თოკებს, ხოლო ბამბისაგან – ქსოვილებს. როგორც ცნობილია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განვითარებულ იყო მეაბრეშუმეობაც. აბრეშუმი იმ ეპოქისათვის ერთ-ერთ ძვირადღირებული პროდუქციას წარმოადგენდა. აგრეთვე, დიდი რაოდენობით ენდროს მოიპოვებდა მოსახლეობა, რომლისგანაც წითელი საღებავი მზადდებოდა და ის საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა. ენდროს ნაწილი ადგილობრივ წარმოებას ხმარდებოდა. ვახუშტის ცნობით, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში თამბაქოს კულტურაც ყოფილა გავრცელებული.[362]

ხეხილის მოვლის სცენა. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი (XII ს.). ხეც. A-109. 204v

ქვეყანაში გავრცელებული იყო სხვადასხვა სახეობის ხილი, მათ შორის ატამი, კომში, ვაშლი, ბროწეული, ხურმის ხე, თუთა, ყურძენი, ლეღვი, მსხალი, ნიგვზის კაკალი, ნუში, ალუჩა, ქლიავი, ბალი, შინდი, ბროწეული, მაყვალი, ზღმარტლი, ფინიკი, თურინჯი, ნარინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, წაბლი, თხილი, უნაბი, მარწყვი, ნესვი, საზამთრო და აშ.[363] ამასთან, ვაშლის, მსხლის, ატმის და სხვა ხილის მრავალი ადგილობრივი ჯიში იყო ცნობილი. ხილის ზოგიერთი სახეობა უძველესი დროიდანვე მოჰყავდათ, ზოგიერთი კი გვიან შემოსულა.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საქართველოში განვითარებული იყო მეცხოველეობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გარდა, მისდევდნენ ცხვრების, თხებისა და ღორების მოშენებას. საოჯახო მეურნეობაში მრავლად ჰყავდათ ქათმები, ბატები და სხვა ფრინველები. XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში ინდაურიც შემოუყვანიათ, რომელსაც „ინდოურ ქათამს“ უწოდებდნენ.[364] ქვეყანაში მაღალ დონეზე იყო განვითარებული ასევე მეფუტკრეობა და მეთევზეობა.

ერთი სიტყვით, საქართველოში ინტენსიური მეურნეობა სრულად პასუხობდა იმდროინდელ მოთხოვნებს და ქვეყანა ადგილობრივად წარმოებული მრავალფეროვანი პროდუქციით გამოირჩეოდა.

ცხადია, საქართველოში ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი ადგილობრივ კლიმატთან შეუსაბამობის გამო, არ მოდიოდა და ქვეყანაში იმპორტის გზით ვრცელდებოდა. გვიანფეოდალურ ეპოქაში იმპორტირებულ პროდუქციას წარმოადგენდა მარილი, შაქარი, ყავა, ჩაი, ზოგიერთი სუნელი, თევზის გარკვეული სახეობები და სხვ. აღნიშნული პროდუქტების უმეტესობა მაღალი ფასით გამოირჩეოდა და მათი

[361] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 254.
[362] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV, გვ. 307.
[363] იხ.: ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გვ. 89-137.
[364] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 391.

მომხმარებლები, ძირითადად, ზედა ფენების წარმომადგენლები იყვნენ. ქვეყანაში შემოჰქონდათ ის პროდუქტებიც, რომლებიც ადგილზე მცირე ოდენობით იწარმოებოდა და ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ ბაზარს. მაგალითად, ადგილობრივი მოსავლის სიმწირის გამო, თბილისის ბაზარზე წარმოდგენილი იყო ერევნიდან და განჯიდან შემოტანილი საზამთრო და ნესვი. მეზობელი ქალაქებიდან შემოჰქონდათ გამოყვანილი და შებოლილი თევზი, ზურგიელი, ხიზილალა, ასევე ბრინჯი და სხვ.[365]

უნდა აღინიშნოს, რომ საკვები პროდუქტების მრავალფეროვნების მიუხედავად, ქვედა ფენებისათვის ხელმიწასვდომი იყო მხოლოდ მათ მიერვე წარმოებული პროდუქცია. გლეხებს ზოგიერთი პროდუქტის შეძენაც უხდებოდათ, თუმცა, ცხადია, იაფფასიანის.[366]

მრავალფეროვანი და ძვირადღირებული საკვები პროდუქტებით მოსახლეობის შეძლებული ნაწილი იკვებებოდა. თუ როგორი სახის საკვებს მიირთმევდნენ ზედა ფენის წარმომადგენლები ძველ საქართველოში, ეს კარგად ჩანს XVIII საუკუნის ერთ-ერთი საბუთიდან, რომელიც წარმოადგენს თბილისში ფეოდალის ქორწილისათვის გაწეული დანახარჯების დავთარს. დავთრის მიხედვით ირკვევა, რომ საქორწინო სუფრისათვის შეუძენიათ ძროხის ხორცი, ცხვრის ხორცი, ქათმები, ქათმის მუჟუჟი, ბატი, ხოხობი; თევზეული – ზურგიელი, ზუთხი, ხრამის ფიჩხული, ორაგული; ყველი, მუხუდო, ბრინჯი, ლობიო, ცერცვი, ზეთისხილი, ჯონჯოლი, ისპანახი, ხახვი, მწვანილი, ერბო; სხვადასხვა სუნელი (კოჭა, ზირა, ანუ ძირა, დარიჩინი, ზაფრანა და სხვ.) საკვების შესანელებლად. ხილი და ტკბილეული – ნუში, ჭანჭური, ქიშმიში, ხილის ჩირი, ჩაი, შაქარი, თაფლი; პური; სპირტიანი სასმელები: ღვინო, არაყი და აშ.[367]

სამწუხაროდ, საკვები პროდუქტების ფასების შესახებ, იშვიათ შემთხვევებში ვხვდებით XVI საუკუნეზე ადრინდელ ცნობებს. XVI საუკუნის მიწურულში შედგენილ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში კი ასახულია ზოგიერთი საკვების ფასი, ხოლო XVIII საუკუნის II ნახევრის წყაროების მიხედვით, თითქმის ყველა საკვები პროდუქტის ღირებულების დადგენაა შესაძლებელი. როგორც ხორბლის, ღვინის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფასების განხილვის დროს დავრწმუნდით, საუკუნეების განმავლობაში, საქართველოში მკვეთრი ინფლაცია არ ყოფილა. მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევარში ვხვდებით ფასების დაახლ. 30-40%-იან ზრდას. ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევრის ფასების გაცნობა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის თუნდაც XI-XIII საუკუნეებში არსებულ ვითარებაზე.

სასაქონლო პროდუქციის ფასების შესახებ, ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ცნობა განეკუთვნება X საუკუნეს. X საუკუნის I ნახევრის ავტორი ალ-ისთახრი გადმოგვცემს, რომ რანის, არმენიის და საქართველოს ტერიტორიაზე „ფასები... უსაზღვროდ დაბალია. არის ისეთის ადგილი, რომ ცხვარს ორ დირჰემად იძლევიან“.[368] ამდენად,

---

[365] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 29.

[366] გლეხები იმპორტირებული პროდუქტებისგან, ძირითადად, მარილს ყიდულობდნენ. მათი კვების რაციონი უმეტესად პურისაგან, მწვანილეულობისა და, ასევე მცირე ოდენობის სხვა ბოსტნეულისაგან, რძის პროდუქტებისა და იშვიათად, ხორცისაგან შედგებოდა.

[367] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 69-75.

[368] ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებით და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა. თბ. 1937, გვ. 5.

X საუკუნის I ნახევარში სამხრეთ კავკასიის რეგიონი პროდუქციის სიუხვითა და დაბალი ფასებით გამოირჩეოდა, სადაც 2 დირჰემადაც შეიძლებოდა ცხვრის ყიდვა. კონტექსტიდან ჩანს, რომ, გამონაკლისი ადგილების გარდა, ცხვრის ჩვეულებრივი ღირებულება 2 დირჰემზე მეტი ყოფილა და, სავარაუდოდ, ეღირებოდა 3 დირჰემი. X საუკუნის დასაწყისში თბილისში მოჭრილი აბასიანთა დირჰემები საშუალოდ, 3-3,3 გრამს იწონიდა.[369] ამდენად, თუ ცხვრის იმდროინდელ საშუალო ღირებულებად 3 დირჰემს მივიჩნევთ, ვერცხლის გრამებში მისი ფასი გამოდის 9-10 გრამი.

რაც შეეხება გვიანდელ მონაცემებს, XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში ცხვარი ფასობდა 4-6 აბაზად[370] (აბაზი=2,9 გრ.), ანუ დაახლ. 12-17 გრამ ვერცხლად.

ალ-ისთახრი ხაზს უსვამს ასევე, თაფლის ღირებულების სიმცირესაც – „არსებობს კიდევ ისეთი ადგილებიც, სადაც ორ მენ თაფლს ერთ დირჰემად მოგცემენ“.[371] აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით, ს. კაკაბაძე აღნიშნავდა, რომ X საუკუნეში 384 მისხალი თაფლი ღირდა ერთი დირჰემი.[372] მანის/მენის ტევადობა სხვადასხვა მუსლიმურ ქვეყანაში განსხვავებული სიდიდის ყოფილა. გ. ჯაფარიძე მიუთითებს, რომ კანონიკური მანის წონა 812,5 გრამს უდრიდა.[373] შესაბამისად, 2 მანის წონა გამოდის 1,6 კგ. ამდენად, 1 კილოგრამი თაფლის ფასი ყოფილა დაახლ. 1,9 გრამი ვერცხლი. გვიანდელ ეპოქაში, კერძოდ, 1779 წელს თბილისში 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ. თაფლი 3,5 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.) ღირდა.[374] 1 კგ.-ს ფასი ყოფილა 2,8 გრამი ვერცხლი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ალ-ისთახრის ცნობით, აღნიშნულ ფასად მხოლოდ ზოგიერთ ადგილას შეიძლებოდა შესაბამისი ოდენობის თაფლის შეძენა, გამოდის, რომ თაფლი, ზოგადად, შედარებით ძვირი იქნებოდა. ამდენად, X საუკუნესა და XVIII საუკუნის II ნახევრში თაფლის ფასებს შორის განსხვავება მინიმალური ყოფილა.

ამჯერად, შევეხებით 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, პარკოსანი კულტურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებს. მ. სვანიძის დაკვირვებით, 1 ქილა, ანუ 24 კგ. მუხუდოს ფასი ყოფილა 30 ახჩა, შესაბამისად, 1 კგ.-ის – 1,25 ახჩა, ანუ 0,475 გრამი ვერცხლი; 24 კგ. ოსპი ღირდა 20 ახჩა, 1 კგ. კი – დაახლ. 0,3 გრამი ვერცხლი; 24 კგ. ცერცვი – 15 ახჩა, ანუ 1 კგ. – დაახლ. 0,24 გრამი ვერცხლი.[375]

1574 წლის დავთარში ზეთის ფასსაც ვხვდებით. დავთრის მიხედვით, 1 მუდი ზეთი 40 ახჩა ღირდა.[376] რადგან სელიმ II-ის მოჭრილი ახჩები საშუალოდ, 0,7 გრამს იწონიდა, 40 ახჩის წონა იქნება 28 გრამი ვერცხლი. ხოლო, მოდი (მუდი), როგორც ხორბლის ფასების განხილვის დროს აღინიშნა, იტევდა 12,8 კგ.-ს. ამდენად, XVI

[369] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. II. ქრისტიანობა, მითრაიზმი და ისლამი. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა ქართლსა და ეგრისში I-X საუკუნეებში. ავტორები: თ. დუნდუა, გ. დუნდუა. შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ა. ჩიქობავა. თბ. 2014, გვ. 128-136, 267-274.

[370] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 80; III, გვ. 211; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 155.

[371] ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებით და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა, გვ. 5.

[372] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 47.

[373] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 52.

[374] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 70.

[375] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს., გვ. 47-56.

[376] 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 131, 134-135.

საუკუნის მიწურულს 1 ლიტრი სელის ზეთის ღირებულება ყოფილა დაახლ. 2,2 გრამი ვერცხლი.

საინტერესოა დასახელებული პროდუქტების XVI საუკუნეში არსებული ფასების შედარება XVIII საუკუნის II ნახევრის ფასებთან. 1779 წელს 10 ლიტრა, ანუ 36 კგ. მუხუდო ფასობდა 1 მინალთუნად, ანუ 14,5 გრამ ვერცხლად.[377] 1 კგ.-ის ფასი ყოფილა 0,4 გრამი ვერცხლი, ხოლო 3,6 კგ. თეთრი მუხუდო ღირდა 5 შაური, ანუ 1 კგ. – დაახლ. 1 გრამი ვერცხლი; XVIII საუკუნეში ოსპის და ცერცვის ფასების შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება. გვხვდება მხოლოდ ჩენჩოშემოცვეთილი ცერცვი, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ლაფა. 1 კილოგრამი ლაფას ფასი იყო დაახლ. 1 გრამი ვერცხლი.[378] ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს სპეციალურად დამუშავებულ ცერცვის ფასთან. როგორც ჩანს, XVIII საუკუნეში ოსპს ნაკლებად მოიხმარდნენ, ხოლო ცერცვი მინიმალურად გამოიყენებოდა, ისიც დელიკატესის სახით.

რაც შეეხება XVIII საუკუნის II ნახევარში ზეთის ფასს, 1 თუნგის, ანუ 3,6 ლიტრის ღირებულება იყო დაახლ. 4 აბაზი.[379] შესაბამისად, 1 ლიტრის ფასი გამოდის 3,2 გრამი ვერცხლი.

ამდენად, მოცემულმა შედარებამ ცხადყო, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ზოგიერთი პროდუქტის ფასი XVI საუკუნის ნიშნულზე იყო, ხოლო ზოგიერთის, ისევე როგორც ხორბლისა და ღვინის შემთხვევაში, – გაზრდილი.

ცხრილში, ძირითადად, XVIII საუკუნის II ნახევრის მონაცემების საფუძველზე, წარმოდგენილია პროდუქციის ფართო ასორტიმენტი:

თარიღი	**პროდუქტის დასახელება**	**ფასი**	**ნომინალის წონა**	**წყარო**
X ს. I ნახ.	ცხვარი	2 (3) დირჰემი	დირჰემი=დაახლ. 3-3,3 გრ. ვერცხლი	ისთახრი: 5
X ს. I ნახ.	თაფლი – 2 მენი, ანუ დაახლ. 1,6 კგ.	1 დირჰემი	დირჰემი=დაახლ. 3-3,3 გრ.	ისთახრი: 5
XVIII ს. II ნახ.	ცხვარი	4-6 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 80; III: 211...[380]
1779	თაფლი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	3,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1574	ზეთი – 12,8 ლიტრი	40 ახჩა	ახჩა=0,7 გრ.	1574 გვდდ.: 131, 134...
1779	ზეთი – 1 თუნგი, ანუ 3,6 ლიტრი	4 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 74
1778	ზეთი – 1 თუნგი, ანუ 3,6 ლიტრი	15 შაური, ანუ 3,75 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 59

[377] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 71.
[378] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 71.
[379] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 59, 74.
[380] ცხრილში მხოლოდ ტომისა და გვერდების მითითებით დამოწმებულია: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, II, III.

1595	ცერცვი – 1 ქილა, ანუ 24 კგ.	15 ახჩა	ახჩა=დაახლ. 0,38 გრ.	1595 გვდდ.
1595	მუხუდო – 1 ქილა, ანუ 24 კგ.	30 ახჩა	ახჩა=დაახლ. 0,38 გრ.	1595 გვდდ.
1595	ოსპი – 1 ქილა, ანუ 24 კგ.	20 ახჩა	ახჩა=დაახლ. 0,38 გრ.	1595 გვდდ.
1779	ლაფა – 6 ლიტრა, 21,6 კგ. (ლაფა – ჩენჩოშე-მოცვეთილი ცერცვი[381])	1 მინალთუნი და 7 შაური, ანუ 6,75 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I:71
1779	მუხუდო – 10 ლიტრა, ანუ 36 კგ.	1 მინალთუნი, ანუ 5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 71
1779	მუხუდო თეთრი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	5 შაური, ანუ 1,25 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 70
1772	მარილი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	გმს. I: 93
1785	მარილი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	3-4 შაური, ანუ 0,75-1 აბაზი	შაური=0,7 გრ.	III. 213
XVIII-XIX სს. მიჯ.	ღორი	2,3 მინალ-თუნი, ანუ 13 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 390
1785 წ. ახლო	თხა	3-4 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 80
1788	ძროხის ხორცი – 1 ლირტა, ანუ 3,6 კგ.	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 90
1790	„სამწუადე“, ანუ ღორის ხორცი – დაახლ. 1-1,5 კგ.	1,5 შაური, ანუ დაახლ. 0,38 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 102
1788	ბატკნის ხორცი – 14 ლირტა, ანუ 50,4 კგ.	4 მინალთუნი და 1 აბაზი, ანუ სულ 21 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 90
1779/ 1785	ცხვრის ხორცი – 1 ლირტა, ანუ 3,6 კგ.	4,5 შაური/1 აბაზი და 2 ბისტი, ანუ დაახლ. 1,2 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 73; III: 211
1779	ქათამი	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 50, 73
1778	4 ვარია	2 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 66
1785	ვარია	1 შაური, ანუ 0,25 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 78
1779	ხოხობი	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 73, 132

[381] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 23. ცხრილში, სადაც ამა თუ იმ პროდუქტის დასახელების განმარტებაა მოცემული, მითითებული იქნება მხოლოდ დასახელებული ნაშრომის გვერდები.

1779	ბატი	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	აბაზი = 2,9 გრ.	I: 73
XVIII ს. მი-წურ.	კვერცხი – 10	1 შაური, ანუ 0,25 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 171
1771	ყველი – 1 ჩარექი, ანუ დაახლ. 900 გრ.	2 შაური, ანუ 0,5 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 52
1779	ყველი – 12 ლიტრა, ანუ დაახლ. 43 კგ.	3 მინალთუნი და 1 მარჩილი, ანუ 18 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 74
1788	ყველი – 1 ლიტარა, ანუ 3,6 კგ.	1 აბაზი/1 აბაზი და 2 ბისტი, ანუ 1,2 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	გმს. I: 93; I: 90
1788	ერბო – 7 ლიტრა, ანუ 25,2 კგ.	6 მინალთუნი და 6 შაური, ანუ 31,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 90
1779	ერბო – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	13 შაური, ანუ 3,25 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 71
1771	ერბო – 1 ჩარექი, ანუ დაახლ. 900 გრ.	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 53
1772	კარაქი 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	80 კაპიკი, ანუ 4 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	გმს: 93
1790	დოში (ზუთხის, ორაგუ-ლის ან სხვა თევზის ლორად გამოყვანილი გვერდი)	დაახლ. 2-3 შაური, ანუ 0,5-0,75 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 109
1792	დოში და ხიზილალა – მცირე ოდენობით	2 შაური, ანუ 0,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 127
1788	ხიზილალა – მცირე ოდენობით	2 შაური (უზალთუნი), ანუ 0,5 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 91
XVIII ს. II ნახ.	გელაქნური – 5 (თევზი სევანის, იმავე გელაქუ-ნის ტბიდან, გვ. 12)	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 55
1794	გელაქნური – 10	1 მარჩილი, ანუ 3 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 131
1794	ლოქო – 1	3 აბაზი და უზალთუნი, ანუ სულ 3,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 133
XVIII ს. II. ნახ.	ფიჩხული – 3 ჩარექი, ანუ დაახლ. 2,7 კგ.	5 შაური, ანუ 1,25 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 55
1769	ფიჩხული (თევზი) – 1 ლიტრა	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 50

XVIII ს. II. ნახ.	ხრამული მოხარშული – 0,5 ლიტრი, ანუ 1,8 კგ.	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 55
1779	ზუთხი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	5 შაური, ანუ 1,25 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 70
1779	ორაგული – 4 ლიტრა, ანუ 14,4 კგ.	2 მინალთუნი და 4 აბაზი, ანუ სულ 14 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 74
1788	ორაგული – 2,5 ლიტრა, ანუ დაახლ. 9 კგ.	12 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 91
1790	თევზი – მცირე ოდენობით	1 შაური, ანუ 0,25 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I. 102
1779	ჯუფთი – 5 წყვილი (ჯუფთი – ორაგულის დოში, გამხმარი შაშხად, გვ, 53)	3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 74
1779	თაფლი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	3 აბაზი და უზალთუნი, ანუ სულ 3,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1785	ღორის ქონი – 5 ლიტრა, ანუ 18 კგ.	1 მინალთუნი, ანუ 5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 211
1779	ნიგოზი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	7 შაური, ანუ 1,75 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 72
1779	ბრინჯი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1757	სიმინდი – 4 ლიტრა, ანუ 13,4 კგ.	2 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 44
1757	ლობიო – 4 ლიტრა, ანუ 13,4 კგ.	4 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 44
1757	ლობიო – 3 ლიტრა, ანუ 10 კგ.	7,5 შაური, ანუ დაახლ. 1,9 აბაზი	შაური=1,1 გრ.	I: 44
1757	კახური ლობიო – 1 ლიტრა, ანუ 3,3-3,4 კგ.	2 შაური, ანუ 0,5 აბაზი	შაური=1,1 გრ.	I: 44
1779; XVIII ს. მიწ.	ლობიო – 20 ლიტრა	3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 71, 171
1779	არაყი, „დუათეში“ – 1 თუნგი, ანუ 3,6 ლიტრი („დუათეში“ ორგზის გამოხდილი არაყი, გვ. 15)	3,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 69

1779	არაყი, „იაქათეში“ – 1 თუნგი (ერთხელ გა-მოხდილი არაყი, რახი, გვ. 20)	5 შაური, ანუ 1,25 აბაზი	შაურ =2,9 გრ.	I: 69
1779	ძმარი – 1 თუნგი, ანუ 3,6 ლიტრი	5 შაური	შაური=2,9 გრ.	I: 70
1757	ნიორი – 1 ლიტრა, ანუ 3,3-3,4 კგ.	3 შაური და 8 ფარა	შაური = 1,1 გრ.	I: 44
1779	ხახვი – 40 ლიტრა, ანუ 144 კგ.	12 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 72
1757	ქინძი – 1 ლიტრა, ანუ 3,3-3,4 კგ.	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	შაური=1,1 გრ.	I: 44
1779	ჯონჯოლი – 3 ლიტრა, ანუ 10,8 კგ.	1 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 7,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 73
1779	მწნილი – 19 ლიტრა, ანუ 68,4 კგ.	4 მინალთუნი, ანუ 20 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 73
1779	ზეთისხილი – 2 ბათმა-ნი, ანუ დაახლ. 14,7 კგ.	12 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 73
1788	ატამი – 60 ლიტრა, ანუ 216 კგ.	3 მინალთუნი და 3 აბაზი, ანუ სულ 18 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 94
1794	ატამი – 1,5 ლიტრა, ანუ 5,4 კგ.	2 შაური, ანუ 0,5 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 131
1788	ყურძენი – 60 ლირტა, ანუ 216 კგ.	4 მინალთუნი და 1 აბაზი, ანუ სულ 21 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 94
1794	ყურძენი – 2 ლიტრა, ანუ 7,2 კგ.	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 94
1778	ნუში – 1 სტილი, ანუ 164 გრ.	9 შაური, ანუ 2,25 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 66
1779	ნუში – 5 ლირტა, ანუ 18 კგ.	6 მინალთუნი და 4 აბაზი, ანუ სულ 34 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 69
1779	ქიშმიში – 5 ლიტრა, ანუ 18 კგ.	2 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 12,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1778	2 საზამთრო	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 64
1794	ნესვი – 5	10 შაური, ანუ 2,5 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 131

1794	ნესვი „განჯური ქრისტიშობისთვეში“, ანუ იანვარში სპეციალურად შენახული ნესვი	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 132
1779	ჩურჩა – 5 ლიტრა, ანუ 18 კგ. (ჩურჩა – ხილის ჩირი, კურკაგამოცლილი, გვ. 49)	2 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 12,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 73
1779	ჭანჭური – 2 ლიტრა, ანუ 7,2 კგ.	მარჩილი, ანუ 3 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 73
1795	ხურმა, კახური – 2 ლიტრა, ანუ 7,2 კგ.	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	შაური=0,7 გრ.	III: 263
1794	ლეღვი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	3 შაური, ანუ 0,75 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 131
1792	ყავა – 1 სტილი, ანუ დაახლ. 164 გრ.	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 288
1826	ჩაი – 2 გირვანქა, ანუ 820 გრ.	8 რუბლი და 3 აბაზი, ანუ 43 აბაზი	აბაზი 2,9 გრ.	II: 227
1779	ჩაი – 2 სტილი, ანუ დაახლ. 330 გრ.	6 მინალთუნი და 6 შაური, ანუ 31,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 73
1792	ჩაი – 1 გირვანქა, ანუ 409 გრ.	3 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 17,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 287
1792	შაქარი 21 გირვანქა, დაახლ. 8,6 კგ.	7 მინალთუნი და 17 შაური, ანუ 39,25 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 287
1779	შაქარი – ბათმანი, ანუ 7,3 კგ.	8 მინალთუნი, ანუ 40 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1771	შაქარი „მისრიდნის“ (საუკეთესო, თავი შაქარი) – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	4 მინალთუნი, ანუ 20 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 52
1757	წითელა – 1,5 ჩარექი	2 შაური	შაური=1,1 გრ.	I: 44
1779	ზაფრანა – 67 მისხალი, ანუ დაახლ. 310 გრ.	4 მინალთუნი და 1 ბისტი, ანუ 20,1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 74
1757	ქონდარი – 0,5 ლიტრა, ანუ 1,65-1,7 კგ.	7 შაური, ანუ 1,75 აბაზი	შაური=1,1 გრ.	I: 44
1779	დარიჩინის ყვავილი – 1 სტილი, ანუ 164 გრ.	4 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1779	ზირიშკინი – 3 ჩარექი, ანუ 2,7 კგ. (ზირიშკინი – სანელებელი)	9 აბაზი	აბაზი = 2,9 გრ.	I: 70

1779	ზირა, სანელებელი – 13 სტილი, ანუ დაახლ. 2,1 კგ.	6,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1779	კოჭა – 1,5 სტილი (კოჭა – სანელებელი, ჯანჯაფილი, გვ. 23)	15 შაური, ანუ 4,75 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 70
1779	ილი – სტილი (164 გრ.) (ილი – მცენარე, კაკულა, რომლის თესლები იხმარება მედიცინასა და კულინარიაში, გვ. 21)	6 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1779	ჯავზი – 0,5 სტილზე მეტი (ჯავზი – მცენარის ნაყოფი, ხეხო – მუსკატის კაკალი, გვ. 52)	18 შაური, ანუ 4,5 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 70
XVIII სუკ. II ნახ.	სამარხვო, პური და მწვანილი	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 47
1757	ძეძვი ღობისათვის – 1 ურემი	2 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 36
1757	ნიორი (დასათესად ნაყიდი) – 1 ლიტრა, ანუ 3,3-3,4 კგ.)	1 აბაზი და 0,5 შაური	შაური=1,1 გრ.	I: 42
1757	ხახვის თესლი – 1 ლიტრა, ანუ 3,3-3,4 კგ.	6 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 44
1757	ჭარხლის თესლი – 1 ლიტრა, ანუ 3,3-3,4 კგ.	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	შაური=1,1 გრ.	I: 44
1757	პრასის თესლი – 1 ლიტრა, ანუ 3,3-3,4 კგ.	1 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 7,5 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 44
1757	ნესვი და საზამთროს თესლი – 1 ლიტრა	1 მინალთუნი, ანუ 5 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 44
1757	კიტრის თესლი – 1,5 ჩარექი, ანუ 1,24 კგ. (ჩარექი 1/4 ლიტრი, ანუ იმ პერიოდში დაახლ. 828 გრ.)	2 მინალთუნი და 5 შაური, ანუ 11,25 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 44
1757	ბოლოკის თესლი – 1 ჩარექი	1 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 44
1757	ნიახურის თესლი – 1 სტილი, ანუ დაახლ. 153 გრ.	2,5 შაური	შაური=1,1 გრ.	I: 44
1757	წიწმატის თესლი – 1 ჩარექი	3 შაური	შაური=1,1 გრ.	I: 44

1757	რეანის (რეჰანის) თეს-ლი – 2 სტილი	2 შაური და 1 ბისტი	შაური=1,1 გრ.	I: 44
1757	ბადრიჯნის თესლი – 1 ჩარექი	7 შაური	შაური=1,1 გრ.	I: 44
1757	კომბოსტოს თესლი – 3 სტილი	1 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 44
1757	სტაფილოს თესლი – 1 ლიტრა, ანუ 3,3-3,4 კგ.	1 მინალთუნი, ანუ 5 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 44

V. ტანისამოსის და ქსოვილების ფასები XI-XVIII საუკუნეების საქართველოში

საქართველოს ქალაქებში ხელოსნობის სხვადასხვა დარგი ადრინდელი ეპოქიდანვე იყო განვითარებული. ქსოვილის დამზადებას და ტანისამოსის შეკერვას უზრუნველყოფდნენ „მქსოველნი“, ანუ „მბეჭველნი“ და „მკერვალნი“. „მეხამლენი“ კი ფეხსაცმელებს ამზადებდნენ.[382] X-XII საუკუნეებში საქართველოს ქალაქებში ქსოვილების, ტანისამოსის და ფეხსაცმლის დამამზადებელი ხელოსნობა რამდენიმე სპეციალიზებულ დარგად იყო წარმოდგენილი. როგორც შ. მესხია აღნიშნავდა, „წყაროებში ცალკე მოიხსენიება „საფენთა და საგებელთა მქსოველნი“; „სამოსთა მქსოველნი“ და ძვირფას შესამოსელთა – „ოქროქსოვილითა“ თუ „ოქრონემსულთა“ მქსოველნი. ამის მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო ქსოვის ხელობაც; წყაროებში მოიხსენიება „ჭრელად“, „შერთულად“ და „ლარულად“, „ორხაულად“ ქსოვა... წყაროებში სხვადასხვაგვარ სამოსთა მოხსენიება, მაგ., „სადიაცო“, „სამამცო“, „სამოსელი სამღვდელო“, „სამოსელი ვაჭართა“, „სამოსელი საფილოსოფო“, „სამოსელი საქორწინე“ და სხვ., მათი მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ მკერვალობის ხელობაც სხვადასხვა სპეციალობად უნდა ყოფილიყო დანაწილებული. ცხადია, ცალ-ცალკე ხელობას წარმოადგენდა ტყავის დამუშავება, „ტყავის სამოსისა“ და თავსაბურავების კერვაც; მეფეხსაცმლეობაც, როგორც წყაროებიდან ჩანს, სხვადასხვა ნაწილებად იყოფოდა: ცალკე იყვნენ მოგვისა, ჩაფლას და სხვა მსგავსთა მკერვალნი, ქალამნების მკერვალნი“.[383]

დამზადებული ქსოვილები სამღებროებში იღებებოდა. იქ მომუშავე პერსონალს მღებარები ეწოდებოდა.

საფეიქრო წარმოება თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში საკმაოდ იყო განვითარებული გვიანფეოდალურ ეპოქაშიც.[384]

გარდა ადგილობრივი წარმოებისა, ქვეყანაში დიდი ოდენობით უცხოური ქსოვილები და ტანისამოსი შემოდიოდა. ძვირადღირებული ტანისამოსი და ქსოვილები შემოჰქონდათ როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ისე ევროპიდან.

პირველ ცნობებს ტანისამოსის ფასების შესახებ, ვხვდებით ნიკორწმინდელის დაწერილში. საბუთში ნახსენებია სტავრის სამოსი – „ლაფაჩაი სტავრისაჲ და მელის ტყავი შიგან ამოკერებული“; „სტავრაჲ კაბაჲ“.[385] სტავრა, სტავრის სამოსი წარმოად-

---

[382] რ. მეტრეველი. ხელოსნობა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კლასობრივი ბრძოლა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 104-105.

[383] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 103.

[384] С. Н. Бурнашев. Картина Грузии, გვ. 2; მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 244; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 85-89.

[385] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 42-43.

გენდა ძვირფას, სირმის ნაქსოვ[386] ფარჩას. საბუთზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მისი სავარაუდო ფასი 2-3 დრაჰკანით უნდა განისაზღვროს, რაც დაახლ. 70-100 გრამი ვერცხლის ტოლფასია.

ათონის ქართველთა სააღაპე წიგნიდან ვიგებთ, რომ სტავრის სამოსი გაცილებით ძვირადაც ფასობდა: „განგჳწესებია თამარ დედოფლისადა აღაპი, რამეთუ ოდეს კეთილ-ნნი დაგუჳწუნეს და მონაზონნი აღმოსავლეთს გავგზავნენით, თამარს მოეცა ევლოგიად კ დუკატი და ორნი დიდნი სტავრანი, რომელნი ოც-ოც დრაჰკანსა სჯობდეს“.[387] ამ შემთხვევაში, თამარ მეფის მიერ ათონის ივერთა მონასტრისათვის შეწირული ერთი სტავრის სამოსის ფასი 20 დრაჰკანზე მეტი ყოფილა. 20 დრაჰკანი კი დაახლ. 260 სრულფასოვანი დრამის, ანუ 780 გრამი ვერცხლის ეკვიველანტი იყო. ცხადია, ზოგიერ-თი ოქროქსოვილით დამზადებული სამოსი 20 დრაჰკანზე გაცილებით ძვირი იქნებოდა.

სამოსის ფასი მოცემულია ასევე 1200 წლის ახლო ხანებში შედგენილ საბუთში: „... ესე შესამოსელი რვა დრაჰკანად ვაჭრულად დააფასეს...“.[388] მართალია, საბუთიდან არ ჩანს, რა სახის „შესამოსელი“ დაფასდა 8 დრაჰკანად, მაგრამ ზოგადი წარმოდგენა გვექმნება აღნიშნულ ეპოქაში ტანისამოსის ფასზე. 8 დრაჰკანი კი უდრიდა დაახლ. 100 სრულფასოვან დრამას, ანუ 300 გრამ ვერცხლს.

XIII საუკუნის I ნახევარში შედგენილ ვაჰანის ქვაბთა განგებაში ჩვენთვის საინ-ტერესო ცნობებს ვხვდებით. საბუთში აღნიშნულია: „... გაუჩინეთ საჩოჴედცა: რაჲათა მოძღუარსა ვიდრემდე, ვითარცა მწყემსსა სულიერსა... მიეცემოდის ექსი დუკატი... ხოლო დეკანოზსა და იკონომოსსა ოთხ-ოთხი დუკატი... მწირველთა... სამ-სამი დუ-კატი მიეცემოდის... მეჭურჭლესა და მეტრაპეზე[სა] და კანდელაკსა და იპიტირიტისსა ესრევე სამ-სამი დუკატი. ხოლო მეორისა დასისათა... [ორ-]ორი დუკატი აქუს. და მესამესა დასისათა, ესე იგი არს მწირთა, ბოტინატი და დოკატი მიეცემოდის. ხოლო მსახურთა სატანისამოსლედ მწირთავე სწორად ჰქონდეს ბოტინატი და დოკატი... ხოლო უთავადესთა ძმათა, რომელთა: გ˜ :გ˜ :დუკატი აქუს საჩოჴედ...“.[389] როგორც ვხედავთ, XIII საუკუნეში მონასტრის წინამძღვრის სამოსისათვის გათვალისწინებული ყოფილა 6 დუკატი, ანუ დაახლ. 180-200 გრამი ვერცხლი; დეკანოზისა და იკონო-მოსისათვის – 4 დუკატი, ანუ დაახლ. 130 გრამი ვერცხლი; მეორე დასისათვის – 3 დუკატი, ანუ დაახლ. 100 გრამი ვერცხლი.

საინტერესოა მესამე დასისათვის და „მსახურთა სატანისამოსლედ“ გამოყოფილი თანხის ოდენობაც. მათთვის გათვალისწინებული იყო 1 ბოტინატი და 1 დუკატი. თუ დუკატის, ანუ კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) მოჭრილი ოქროს მონეტების სინჯი საშუალოდ, 18 კარატას შეადგენდა, ბოტინატის, ანუ ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081 წწ.) მონეტის სინჯი 8 კარატამდე ჩამოვიდა და პრაქტიკულად, ელექტრუმს წარმოადგენდა.[390] შესაბამისად, 1 ბოტინატი და 1 დუკატი დაახლ. 13-14 ვერცხლის დრამას, ანუ 40-42 გრამ ვერცხლს უდრიდა. ამდენად, დაბალი რანგის სასულიერო პირის და მსახურის სამოსის ფასი დაახლ. 40 გრამი ვერცხლი ყოფილა.

გლეხების ტანისამოსი, ცხადია, მსახურის სამოსზე იაფი ეღირებოდა.

---

[386] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ. 1993, გვ. 110.

[387] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 178.

[388] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 92.

[389] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 140-141.

[390] გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საქართველოში, გვ. 91.

მსახურის ჩაცმულობა. ლიხაურის ფრესკების მიხედვით შესრულებული მხატვრობა. ხეც. შ. ამირანაშვილის პირადი არქივი, №1060

ტანისამოსისა და ქსოვილების ღირებულების შესახებ, მრავლად ვხვდებით ცნობებს XVIII საუკუნის საბუთებში.[391] მოლოდინისამებრ, დიდად განსხვავებულია გლეხისა და ფეოდალის სამოსლის ფასები.

ქვედა ფენის წარმომადგენლების ჩოხა 1-2 მინალთუნი, ანუ 5-10 აბაზი ღირდა, ხოლო სხვა სახის სამოსი კიდევ უფრო იაფად ფასობდა. გლეხების ნაბდის ფასი საშუალოდ, 1 მინალთუნი იყო.

ნაბადი. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ექსპოზიცია

თუ გლეხის ღარიბული ტანსაცმლის შეძენა პირობითად, 1-2 ცხვრის საფასურად, ანუ 3-10 აბაზად (აბაზი=2,9 გრ.) შეიძლებოდა, თავადის ერთი ხელი ტანისამოსის ღირებულება საშუალოდ, 7-10 თუმანს, ანუ 350-500 აბაზს შეადგენდა, ხოლო ზოგიერთი გამორჩეული სამოსის ფასი 20 თუმანსაც (1000 აბაზს) აჭარბებდა. ამავე

[391] ვინაიდან XI-XIII საუკუნეების სამოსის ფასის შესახებ ნაკლები ცნობები მოგვეპოვება, რთულია გვიანი საუკუნეების ტანისამოსის ფასთან შედარება.

დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გლეხებს, როგორც წესი, ერთი ხელი ტანსაცმელი ჰქონდათ, ხოლო ფეოდალებს – რამდენიმე.[392]

ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი ერთ-ნახევარი სირმა-აბაზი (4,64 გრ. ვერცხლი). დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი სირმა-აბაზი (2,93 გრ. ვერცხლი). დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

ზოგადად, ფეოდალურ ეპოქაში სავალდებულოდ მიიჩნეოდა წოდების შესაფერისი ჩაცმულობა. „ჩაცმა და დაბურვა მიყვარს და არც მაკლია ღუთის მოწყალებით საზომისამებრ ჩემისა“, – აღნიშნავდა თავის თავგადასავალში იესე ოსეს ძე.[393]

თუ რა ოდენობის სამოსი შეიძლება ჰქონოდათ სამეფო ოჯახის წევრებსა და დიდი ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს, ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციის შემცველია მზითვის წიგნები. მაგალითად, 1634 წელს ლევან დადიანის დის მარიამის (რომელმაც ქართლის მეფე როსტომზე იქორწინა) მზითვის წიგნში მხოლოდ ძვირადღირებული ტანისამოსის ოდენობა 30-ს აჭარბებს;[394] 1667 წლის მზითვის წიგნში კი, რომელიც მიცემულია შაჰ-ნავაზ მეფის მიერ თავის ასულისათვის, სხვა უამრავ ნივთთან ერთად, ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის სამოსი, მათ შორის, 81 ძვირფასი კაბა;[395] 1692-1703 წლებში შედგენილი ქსნის ერისთავის ანას მზითვის წიგნში მდიდრული სამოსლის 20-მდე სახეობაა ჩამოთვლილი;[396] 1765-1766 წლების ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნში აღნიშნულია რამდენიმე ათეული სამოსი, რომელთა ნაწილს 400-500 მარგალიტი ამკობდა.[397] საინტერესოა ის ფაქტი, რომ მზითვის წიგნებში სამოსი მხოლოდ ერთ კომპონენტს წარმოადგენდა და მთლიანი მზითვის შედგენილობა გაცილებით მრავალფეროვანი იყო – ვხვდებით ხატებს, ჯვრებს, წიგნებს, სამკაულებს,

[392] დეტალურად ტანისამოსის სახეობების, სადაურობის, ტერმინების შესახებ იხილეთ: ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV. თბ. 1962.
[393] ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 4.
[394] მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. იაშვილმა. თბ. 1974, გვ. 12-13.
[395] მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), გვ. 22-27.
[396] მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), გვ. 39.
[397] მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), გვ. 81-84.

„საპირფარეშო იარაღებს“, „აბანოს იარაღებს“, „საცხენოსნო სამკაულებს“, ქვეშაგებს, საოჯახო ნივთებს, „სუფრის, ყავახანის იარაღებს“, მსახურებს, ყმა-გლეხებს და ა.შ.[398]

თბილისელი ქალების ჩაცმულობის შესახებ ერთობ სახალისო და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის შაგუბატოვი. მისი გადმოცემით თბილისში „... ქალები უფრო იპრანჭებიან, იმიტომ, რომ ძირითადად ისინი დადიან ქორწილებსა და სხვა შეკრებებზე. კაბის გარდა, თავზე, მკერდზე, ყურებზე და თითებზე სხვა ბევრ სამკაულს ატარებენ. ზოგადად, კაბები ქალებს მდიდრული აცვიათ, ამიტომაც მათი ქმრები ვალიდან ვერ ამოდიან“.[399]

ქვემოთ ცხრილის სახით, ძირითადად, წარმოდგენლია XVIII საუკუნის II ნახევრის სხვადასხვა სახის სამოსისა და ქსოვილის ფასები. მოცემულია როგორც ადგილობრივად დამზადებული პროდუქციის, ისე იმპორტირებული ძვირადღირებული სამოსისა და ქსოვილების ფასები.

მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, სავარაუდოდ, ერეკლე II-ის ნივთების აღწერილობიდან ერთ-ერთი სამოსი – „ქათიბი ჩაქსული შალისა სამურით და ლ3 ოქრო ღილი“.[400] საქმე ისაა, რომ „ქათიბი“ ეწოდებოდა ზამთრის ზედა ჩასაცმელს, რომელიც წინ ჩახსნილი და წელში ანაოჭებული იყო, ხოლო სახელოები შიგნითა მხრიდან ჩახსნილი ჰქონდა. „ქათიბს“ უმეტესად ბეწვი ჰქონდა შემოვლებული სახელოებსა და საყელო-კალთებზე. „ჩაქსულიც“ წელში ანაოჭებულ სამოსს წარმოადგენდა.[401]

ერეკლე II-ის სამოსი, სავარაუდოდ, „ქათიბი“, 38 ოქროს ღილით და სიასამურით, რომელიც 18 თუმნად, ანუ 900 აბაზად იყო შეფასებული

ერთი სიტყვით, ერეკლე II-ის აღწერილი სამოსელი წარმოადგენდა ზამთრის შალის ზედას, რომელიც ანაოჭებული იყო, სახელოებსა და საყელოზე შემოვლებული ჰქონდა „სამური“, ანუ სიასამურის ბეწვეული და ამშვენებდა 38 ოქროს ღილი. „ქათიბი“, როგორც ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, არაბულად მწერალს ნიშნავს, ამიტომ, ის თავდაპირველად მოხელეთა, მწერალთა ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო.[402] ქათიბის აღმოსავლური სახელწოდება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად აღმოსავლური სტილის იყო და მაინცდამაინც ირანში ან სხვა მუსლიმურ ქვეყანაში მზადდებოდა. ზემოთქმულის დამადასტურებელია 1785 წლის ახლო ხანებში შედგენილი საბუთი, რომელშიც აღნიშნულია: „მოსკოვს გიორგი ცარევიჩმა ვენგრული ქათიბი მიბოძა, თვრამეტს თუმნათ მოსკოვს იყო შეკერილი“.[403]

---

[398] იხ.: მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები).

[399] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 50.

[400] ქაღალდის ჭვირნიშნიდან გამომდინარე, საბუთი 1797 წლის ახლო ხანებში უნდა შეედგინათ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 276.

[401] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 41, 48.

[402] ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV გვ. 118.

[403] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 81-82.

როგორც ვხედავთ, უნგრული ქსოვილისაგან მოსკოვში დამზადებულ ანალოგიურ სამოსს საქართველოში ქათიბს უწოდებდნენ. ამდენად, ერეკლე II-ის კუთვნილი, წელში ანაოჭებული და სიასამურით გაწყობილი „ქათიბი“, სტილის მიხედვით, ევროპულ სამოსს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენი აზრით, აღწერილი „ქათიბი“ დიდად ემსგავსება ცნობილ ნახატზე ერეკლე II-ის სამოსს. ისევე, როგორც „ვენგრული ქათიბის“ შემთხვევაში, ერეკლე II-ის სამოსიც 18 თუმნად, ანუ 900 აბაზად იყო შეფასებული.[404]

დიდი იყო განსხვავება ქსოვილის ფასებს შორისაც. მაგალითად, ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ქვედა ფენების 1 ტანი, ანუ 3-4 მეტრი სიგრძის ტანისამოსის ქსოვილის ფასი ყოფილა 2-2,5 აბაზი, მაშინ, როდესაც მხოლოდ 1 მეტრი ძვირადღირებული ქსოვილი 30 აბაზზე ძვირი ღირდა.

ტანისამოსის და ქსოვილების ფასები:

თარიღი	**ტანისამოსის/ ქსოვილის სახეობა**	**ფასი**	**ნომინალის წონა**	**წყარო**
		სამოსელი		
XI ს.	სტავრა	2-3 დრაჰკანი, ანუ 26-39 დრამა	დრამა=3 გრ.	ქისკ. I: 42-43
XII ს. II. ნახ.	სტავრა – დიდი	20 დრაჰკანი, ანუ 260 დრამა	დრამა=3 გრ.	აქმსწ: 178
1200	„შესამოსელი“	8 დრაჰკანი, ანუ 104 დრამა	დრამა=3 გრ.	ქისკ. I: 92
XIII ს. I. ნახ.	სამოსი – მონასტრის წინამძღვრის	6 დუკატი, ანუ დაახლ. 60-66 დრამა	დრამა=3 გრ.	ქსძ. III: 140
XIII ს. I. ნახ.	სამოსი – დეკანოზის და იკონომოსის	4 დუკატი, ანუ დაახლ. 40-44 დრამა	დრამა=3 გრ.	ქსძ. III: 140
XIII ს. I. ნახ.	სამოსი – მონასტის მეორე დასის წევრი სასულიერო პირის	3 დუკატი, ანუ 30-33 დრამა	დრამა=3 გრ.	ქსძ. III: 140-141
XIII ს.	სამოსი – მსახურის	1 დუკატი და 1 ბოტინატი, ანუ დაახლ. 13-14 დრამა	დრამა=3 გრ.	ქსძ. III: 141
1801-1806	ქურქი სიასამურის, ხავერდზე გადაკრული	25 თუმანი, ანუ 1250 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 386[405]
1798	„ქათიბი ჩაქსული შალისა სამურით და 38 ღილი“ (ზამთრის ზედა, წელში ანაოჭებული, სიასამურით და 38 ოქროს ღილით, გვ. 41,48[406])	18 თუმანი, ანუ 900 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 276
1785	უნგრული ქათიბი	18 თუმანი, ანუ 900 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 81-82

[404] შედარებისათვის: იმავე ეპოქაში 18 თუმნად დაახლ. 45 ძროხის ან 20 ხარის/კამეჩის ყიდვა იყო შესაძლებელი.

[405] ცხრილში მხოლოდ ტომისა და გვერდების მითითებით დამოწმებულია: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, II, III.

[406] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 23. ცხრილში, სადაც ამა თუ იმ ნივთის განმარტებაა მოცემული, მითითებული იქნება მხოლოდ დასახელებული ნაშრომის გვერდები.

XIX ს. დასაწ.	„ფარჩის ქათიბი დიბისა“ (ფარჩა – აბრეშუმის ქსოვილი, ოქროს და ვერცხლის ძაფნარევი, გვ. 39; დიბა – ოქრომკედით მძიმედ ნაქსოვი ფარ-ჩა, გვ. 15)	10 თუმანი, ანუ 500 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 200
1798	პლაში, თეთრი მაუ-დის	4 თუმანი, ანუ 200 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 275
XIX ს. დასაწყ.	ახალუხი „ფარჩისა“, სარჩულით	2 თუმანი და 5 მინალთუნი, ანუ 125 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
XIX ს. დასაწ.	ღილები და ძაღა – ფარჩის ქათიბი დიბი-სათვის	28 მინალთუნი და 2 აბაზი, ანუ 142 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
1798	კაბა, მაუდის, ინის ფერი 38 ოქროს ღილით	6 თუმანი, ანუ 300 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 276
XIX ს. დასაწყ.	კაბა, ფარჩის – 8 ადლი (დაახლ. 8 მეტრი)	6 თუმანი და 6 მინალთუნი, ანუ 330 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
XIX ს. დასაწყ.	„მოვი იეზდისა“ – 2 (მოვი – აბრეშუმის ქსოვილი, გამოიყენე-ბოდა ძირითადად საპერანგედ. გვ. 27; იეზდი – ქალაქი სპარსეთში, აბრე-შუმის წარმოებით განთქმული, გვ. 21)	14 მინალთუნი, ანუ 70 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
XIX ს. დასაწყ.	შეიდიში იეზდისა – 1 (შეიდიში – შარვლის ყაიდაზე შეკერი-ლი ქვედა საცვალი ქალისათვის, ძვირ-ფასი ქსოვილისაგან შეკერილი. ტოტე-ბი მოქარგული ან ბუზმენტმოვლებული აქვს, გვ. 47)	12 მინალთუნი, ანუ 60 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
1785 წ. ახლო	„ერთი ხელი ტანისა-მოსი“ ახალგაზრდა თავადის ბიჭისათვის – მოვით, შეიდიშით და ბაშმაუდით	4 თუმანი, ანუ 200 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 84
XVIII ს. II ნახ.	ატლასი, „ფრანგის“ – 1 ადლი (დაახლ. 1 მეტრი)	4 მინალთუნი, ანუ 20 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 342

1771	ყალმუხის საყამლე – ანუ ყალმუხური ცხვრის ტყავის ქუდის შემოსაკეცი (საყამ-ლე/ყალმა – ქუდის შემოკეცილი ადგილი, გვ. 44)	2 მინალთუნი, ანუ 10 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 52
1779	ქუდი, ყმაწვილისათ-ვის (ფეოდალის) – 1	5-6,25 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 72-73
1779	ქუდი, „შალდასახვევი“ – 2	2 მინალთუნი და 4 აბაზი, ანუ სულ 14 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 72
1779	ქუდი (ფეოდალის) – 1	2 მინალთუნი და 1 აბაზი, ანუ სულ 11 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 73
1778	„საის ქუდი“, შეკერი-ლი (საია – აბრეშუმის ქსოვილი, გვ. 33)	13 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I:. 61
XIX ს. დასაწ.	ჩადრი	15 მინალთუნი, ანუ 75 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 213
1788	ჩადრი – ისპაჰანის	4 მინალთუნი, ანუ 20 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 90
XIX ს. დასაწ.	სალეჩაქე	1 თუმანი, ანუ 50 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
XIX ს. დასაწ.	ლეჩაქი	7 მინალთუნი, ანუ 35 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 213
XIX ს. დასაწყ.	სარტყელი შალის (ქალის)	3 თუმანი და 5 მინალთუნი, ანუ 175 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
XIX ს. დასაწ.	სამოსი – წარჩინებუ-ლი ქალის მოახლი-სათვის	6 თუმანი, ანუ 300 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
1798	აბრეშუმის წინდა – 2 წყვილი	4 მინალთუნი, ანუ 20 აბზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 276
1786	სამოსელი მოსამ-სახურისათვის – 2 თოფი (თოფი – 8-10 ადლი, ანუ დაახლ. 8-10 მეტრი სიგრძის ქსოვილი, შეადგენდა 2 ტანს)	14 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 215
XVIII ს. მიწურ.	სამოსელი – 2	1 მინალთუნი და 3 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 341
1800	ქურქი, სინჯაფი (სინ-ჯაფი – ციმბირული თრითინა – ძვირფას-ბეწვიანი, გვ. 36)	18 მინალთუნი, ანუ 90 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 300

1779	ქათიბის ბეწვი და ძაღარა – „ყრმაწვილის“ (ძაღარა – ბეწვის არშია ქათიბზე. ქათიბს ხშირად სახელოებზე და საყელო-კალთებზე ძაღარა აქვს შემოვლებული, გვ. 49)	4 მინალთუნი, ანუ 20 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1779	„ქურთუბაღი ტყავისა“ – 1 (ქურთუბაღი – ქათიბის ძაღარზე გვერდზე შემოვლებული არშია, რამდენიმე რიგად განლაგებული მარგალიტით ან სხვა თვლებით, გვ. 42)	8 მინალთუნი, ანუ 40 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1795	ერთი ბოხჩა „მურასა ტანისამოსი, ქათიბით და შალით საქალო“	26 თუმანი	აბაზი=2,9 გრ.	III: 257
1795	თავადის (მამაკაცის) ერთი ბოხჩა ტანისამოსი	4 თუმანი და 6 მინალთუნი	აბაზი=2,9 გრ.	III: 257
1795	ნაბადი	6 მინალთუნი და 1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 262
1777	2 ნაბადი	3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 56
1778	ნაბადი	2 მინალთუნი, ანუ 10 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 65
1795	ნაბადი (ბიჭისთვის)	6 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 262
1742	ნაბადი	4 აბაზი	აბაზი=5 გრ.	I: 2, 3
XVIII ს. II ნახ.	ნაბადი	18 შაური, ანუ 4,5 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 55
1740-იანი წწ.	ღართი (საწვიმარი ნაბადი, გვ. 43)	14 შაური, ანუ 3,5 აბაზი	შაური=1,16 გრ.	I: 5
1738	ჩექმა (დაქირავებული ჯარისკაცის)	14 შაური, ანუ 3,5 აბაზი	აბაზი=5 გრ.	III: 44
XIX ს. დასაწ.	ჩექმა	3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 213
1742	მაუდის კაბა (დაქირავებული ჯარისკაცის)	6 მინალთუნი, ანუ 30 აბაზი	აბაზი=5 გრ.	I:. 1
1740-იანი წწ.	„შალვარი ბამბისა“, (გლეხის)	10 შაური, ანუ 2,5 აბაზი	შაური=1,16 გრ.	I: 5
1742	ჩოხა (დაქირავებული ჯარისკაცის)	9 აბაზი	აბაზი=5 გრ.	I: 2
1742	ჩოხა (დაქირავებული ჯარისკაცის)	1 მინალთუნი და 14 შაური, 8,5 აბაზი	აბაზი=5 გრ.	I: 2, 4

1740-იანი წწ.	ჩოხა (გლეხის)	14 შაური, ანუ 3,5 აბაზი	აბაზი=5 გრ.	I: 5
1738	ჩოხა (გლეხის)	11 შაური, ანუ 2,75 აბაზი	აბაზი=5 გრ.	III: 43
XVIII ს. II ნახ.	ჩოხა, შავი (გლეხის)	9 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 75
XVIII ს. II ნახ.	ჩოხა (გლეხის)	5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 76
1782	ჩოხა (გლეხის)	7 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 189
XVIII ს. II ნახ; 1782; 1797	ჩოხა (გლეხის)	2 მინალთუნი, ანუ 10 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 55, 141; III: 189
1778	„გლახების“ რამდენ-იმე პერანგის შესა-კერავი თანხა	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 65
1797	ტანისამოსი – დაბალი რანგის მოხელის	6-10 მინალთუნი, ანუ 30-50 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 141, 143
XVIII ს. II ნახ.	პერანგი – დაბალი რანგის მოხელის	4 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 76
XVIII ს. II ნახ.	შარვალი – დაბალი რანგის მოხელის	5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 76
1778	„შალვრის ატლასი“	მარჩილი, ანუ 3 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 63
XVIII ს. II ნახ.	პერანგი და შარვალი	9 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 75
1742	ახალუხისა და პერანგის შესაკრავი ხაითანი (ხაითანი აბრეშუმის ძაფი, გვ. 50)	2 შაური და 4 ფარა	შაური= 1,16 გრ.; ფარა=0.5 გრ.	I: 1
1742	ახალუხი, „თავისის მასალით“ (დაქირავე-ბული ჯარისკაცის)	2 მარჩილი, ანუ 6 აბაზი	აბაზი=5 გრ.	I: 1
51740-იანი წწ.	წინდა (გლეხის)	1 შაური	შაური=1,16 გრ.	I: 5
1742	„ნიფხავი“	1 აბაზი	აბაზი=5 გრ.	I: 2, 3, 4
1740-იანი წწ.	ქალამანი და წინდა (გლეხის)	3 შაური, ანუ 0,75 აბაზი	შაური=1,16 გრ.	I: 5
1740-იანი წ.	სარტყელი	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	შაური=1,16 გრ.	I: 5
1740-იანი წწ.	ქალამანი (გლეხის)	2 შაური, ანუ 0,5 აბაზი	შაური=1,16 გრ.	I: 5
1742	ქოში	9 შაური	შაური=1,16 გრ.	I: 1, 3
XIX ს. დასაწ.	ქოში და წუღა	2 მინალთუნი, ანუ 10 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201

1771	ქოში, შავი	7 შაური, ანუ 1,75 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 53
1792	ქოში	1 მინალთუნი, ანუ 5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 126
1785	ქოში – 2 წყვილი	4 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 213
1777	წაღა/წუღა (ტყავის დაბალყელიანი ფეხ-საცმელი, გვ. 49)	10 შაური, ანუ 2,5 აბაზი	შაური=0,7 გრ.	I: 56
1778	წაღა	1-2 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 65, 127
1740-იანი წწ.	ქუდი (გლეხის)	2,5 შაური	შაური=1,16 გრ.	I: 5
XVIII ს. II-ნახ.	ქუდი – მაუდის	5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 75
1792	ბოხოხი	1 მარჩილი, ანუ 3 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 126
1742	„საპერანგე სუსი ნაჭვით“ (სუსი – საპერანგე მატერია, გვ. 37)	1 მინალთუნი, ანუ 5 აბაზი	აბაზი=5 გრ.	I: 1
1740-იანი წწ.	პერანგი (გლეხის)	10 შაური, ანუ 2,5 აბაზი	შაური=1,16 გრ.	I: 5
1742	„საახალუხე თავისი მასალით“	8 აბაზი	აბაზი=5 გრ.	I: 1
ქსოვილები				
1798	დორის პირი, ნაკერი (დორი – ზურგის მისაყრდნობი ბალიში; დორის პირი ძვირფა-სი ქსოვილი გადაკრუ-ლი დორზე, გვ. 15)	4 თუმანი, ანუ 200 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 275
1798	თირმა მწვანე (თირმა – შალის ერთგვარი მატერია, ქაშმირის შალი, გვ. 19)	6 თუმანი, ანუ 300 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 275
1798	„შალი სოსანი სა-ქათიბე ჩარჰაშია“ (შალის ქსოვილი, გვ. 48)	6 თუმანი, 300 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 275
1769	მაუდი იისფერი – 2 ადლი, ანუ დაახლ. 2 მეტრი სირგძის (ადლი – დაახლ. 101 სანტი-მეტრი)	2 თუმანი და 2 მინალთუნი, ანუ 110 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 49
1777	დარაია – ერთი კაბის „მასალა“ (დარაია – აბრეშუმის ქსოვილი, გვ. 14)	2 მინალთუნი, ანუ 10 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	I: 56

1778	ლურჯი მაუდის კაბის მასალა	3 მინალთუნი და 18 შაური, ანუ 19,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 61
1778	2 ნიმთანა ყვითელი დარაია (ნიმთანა/მიმ-თანა – ზედა, მოკლე ტანისამოსი, გვ. 30)	8 მინალთუნი, ანუ 40 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 61
1790	ჩითი, ქალაქის (თბილისური) – 4 თოფი, ანუ 32-40 მეტრი (თოფი – 8-10 ადლი, ანუ დაახლ. 8-10 მეტრი სიგრძის ქსოვილი)	6 მინალთუნი, ანუ 30 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 99
1778	1 „ტოლუღი“ განჯის დარაია, ანუ განჯის აბრეშუმის ქსოვილი (ტოლუღი დაახლ. 360 სმ., გვ. 38	7 მინალთუნი, ანუ 35 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 61
1778	ბაშმაუდი 1 ტანი (ბაშმაუდი – საუკეთე-სო, პირველი ხა-რისხის მაუდი, გვ. 10)	17 მინალთუნი, ანუ 85 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 61
1778	„უსკუდის“ მაუდი – 2 ტანი (8-10 მეტრი)	16 მინალთუნი, ანუ 80 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 61
1778	„ალი ნიმთა და-რაი-ბაფთი“ (ნიმთა/ ნიმთანა – ზედატანი/ მოკლე ზედა, გვ. 30, ალი ნიმთა – მოკლე ალისფერი ზედა; დარაი ბაფთი – სახეებამოქარგული აბრეშუმის ქსოვილი, გვ. 14)	19 მინალთუნი, ანუ 95 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 61
1778	„იისფერი ნიმთა და-რაი-ბაბთი“	17 მინალთუნი, ანუ 85 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 61
1778	„ყუთნი თავრიზისა“ – 3 (ყუთნი – აბრე-შუმნარევი ბამბის ქსოვილი, გვ. 45)	6 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 32,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 61
1779	დიბა – 1 ადლი (დიბა – ოქრომკედით მძიმედ ნაქსოვი ფარ-ჩა, გვ. 15)	18 მინალთუნი, ანუ 90 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 71
1779	დიბა – პატარა ნაჭ-ერი	4 მინალთუნი და 2 აბაზი, ანუ სულ 22 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 70
1779	ბეწვი, ძაღარა და საყელო (დაახლ. 3 მეტრი დიბას მოსარ-თავად)	2 თუმანი, ანუ 100 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 72

1778	ბოხჩა დიდი (მატე-რიის ნაჭერი, რო-მელშიც ტანისამოსს, თეთრეულს ინახავენ, გვ. 11)	1 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 7,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 62
XIX ს. დასაწ.	დარაიას (აბრეშუმის) ბოხჩა	3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 2013
1778	0,5 „ბუთა დარაიას სარტყელი“ („ბუთა“ – ქსოვილზე გამოყვანი-ლი გულის მოყვანი-ლობის სახე, გვ. 11)	13 მინალთუნი, ანუ 65 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 61
1778	1 „სურათის ჩითის“ (სახეებიანი ჩითის) სუფრა და 2 თეთრი სუფრა „თავისის მასალით“	18 მინალთუნი, ანუ 90 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 61
XIX ს. დასაწ.	შალითა – 1, წარჩინე-ბულისათვის (შალითა – სარჩული, ქვედა პირი, გვ. 46)	1 თუმანი, ანუ 50 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
XIX ს. დასაწ.	საბნის პირი თავისი შილათი – წარჩინებუ-ლისათვის (შილა – წითლად შეღებილი მატერია, გვ. 47)	2 თუმანი, ანუ 50 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
XIX ს. დასაწ.	„დოშაქის პირი“ – 1, წარჩინებულისთვის (დოშაქი/დოშაკი – ბუმბულის დიდი ლეი-ბი, გვ. 15)	2 თუმანი და 5 მინალთუნი, ანუ 125 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 201
1779	ბოხჩა, გუჯრათის – 3 (გუჯრათი – ქსოვილი ინდოეთის ერთ-ერთი პროვინციის სახელ-წოდებიდან, გვ. 13)	4 მინალთუნი და 4 აბაზი, 24 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 72
1779	მოვი – განჯის, ერთი ადამიანის საპერანგე (მოვი – აბრეშუმის ქსოვილი, იხმარე-ბოდა ძირითადად საპერანგედ, გვ. 27)	5 მინალთუნი, ანუ 25 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 72
1779	მოვი – თავ-რიზის, რამდენიმე ყმაწვილისთვის საპერანგე	3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 72
1779	მოვი – ქაშანის, ერთი ადამიანის საპერანგე	4 მინალთუნი, ანუ 20 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 72

1778	2 მარამათი/მარმათი/ მარმარი (ერთგვა-როვანი, მეტწილად თეთრი ფერის ქსოვი-ლი, გვ. 25)	19 მინალთუნი, ანუ 95 აბაზი; 14 მინალთუნი, ანუ 70 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 62,73
1783	მარმათი – 1 თოფი (8-10 მეტრი)	12 მინალთუნი, ანუ 60 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 201
1778	„ბაირაღის დარაის ბუდე სარჩულ-მასა-ლით“ (დროშისათვის აბრეშუმის „ბუდე“ ქსოვილთან ერთად)	5 მინალთუნი და 1 აბაზი, ანუ სულ 26 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 63
1790	ალაჯა, თავრიზის – 2 თოფი (დაახლ. 16-20 მეტრი) (ალაჯა – აბრეშუმის ქსვილი სხვადასხვა ფერის ზოლებით, გვ. 7)	6 მინალთუნი, ანუ 30 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 99
1788	ჩითი, „ყალამქრის“ – 1 თოფი (8-10 მეტრი) (ყალამქარი/ყალანქა-რი – სახეებიანი ჩითი, გვ. 44)	1 თუმანი, ანუ 50 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 81
1796	„განდიდური“ – 1 ადლი (დაახლ. 1 მეტრი) (განდიდური/ გრანდიდური/ქრან-დიდული ანუ გარნი-ტური – აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი, თავდაპირველად მზადდებოდა საფრან-გეთის ქალაქ ტურ-ში, სახელწოდებაც აქედანაა, ფრანგ. gros de Tours, გვ. 12)	11-14 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 295
1800	„გარნიტური“, ორ-ფერი – 1 ადლი	1,5 მინალთუნი, ანუ 7,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 299
1800	მაუდი, ხაზყირმიზი – 1 ადლი (ხაზყირმიზი – წმინდა ყირმიზის ფერი, წითელი, გვ. 51)	7 მინალთუნი და 15 შაური, ანუ 38,25 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 299
1800	მაუდი, ზეითუნის – 1 ადლი (ზეითუნის მაუდი – ზეთისხილის-ფერი, მუქი მწვანე მაუდი, გვ. 17)	6,5 მინალთუნი, ანუ 32,5 აბაზი)	აბაზი=2,9 გრ.	II: 299

1800	„ჩიჩაგლუ ხარა“ – 1 ადლი („ჩიჩაგლუ ხარა“ – აბრეშუმის ჭრელი, ტალღოვანი ქსოვილი, გვ. 48)	14 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 299
1792	შირაზის ტყავი – 268 დანა (დანა – ცალი, გვ. 14)	53 თუმანი და 6 მინალთუნი, ანუ 2680 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 287
1785	ტყავი, ხარის – პატარა	1,5 მინალთუნი, ანუ 7,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 212
XVIII ს. მიწურ.	მადართოვი – 1 თოფი (მადართოვი – ერთგვარი ქსოვილი. გვ. 24)	8 მინალთუნი, ანუ 40 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 170
1788	ხელსახოცი, მსხვილი – 1 თოფი	1 მინალთუნი, ანუ 5 აბზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 81
1788	ხელსახოცი, „ჩაფის“ – 2 თოფი (ჩაფი – ამ შემთხვევაში თავმოსართავის სახეობა, ქსოვილი, გვ. 48)	2 თუმანი, ანუ 100 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 81
1794	ხელსახოცი, ჩითის – 1 მეტრი	10 შაური, 1,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 290
1788	სამოსელისათვის მატერია – 1 თოფი	2 მინალთუნი და 1 უზალთუნი, ანუ 10,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 90
XVIII ს. მიწურ.	შილა – 1 ტანი (4-5 მეტრი) (შილა – წითლად შეღებული მატერია, გვ. 47)	6 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 171
1795	3 თოფი სამოსელი	3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 262
XVIII ს. მიწურ.	მუმაია – 1 ტანი (მუმაია – ბამბის მსხვილი ქსოვილი, გვ. 28)	5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 170
XVIII ს. მიწურ.	ჩითი – 1 ტანი	4 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 169
1800	ფარჩა (ამ შემთხვევაში უბრალო მატერია) – 448 ტანი	22 თუმანი და 4 მინალთუნი, ანუ 1020 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 134
XVIII ს. მიწურ.	ხამი – 1 ტანი (ხამი – ბამბის მსხვილი ქსოვილი, გვ. 50)	4 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 170
XVIII ს. მიწურ.	ხამი – 1 თოფი	8 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 171
1780	ხამი – 5 თოფი	3 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 17,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 242

XVIII ს. მიწურ.	ლეინი, წითელი – 1 თოფი (ლეინი/ლაინი – შელებილი ნარმა, გვ. 24)	6 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 250
XVIII ს. მიწურ.	ლეინი/ლაინი, წითელი – 2 ადლი	3 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 171
XVIII ს. მიწურ.	ლეინი, შავი – 1 თოფი	5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 250
XVIII ს. მიწურ.	ლეინი, ლურჯი – 1 თოფი	19 შაური, ანუ 4,75 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 251
XVIII ს. მიწურ.	ლეინი/ლაინი, ნავთის ფერი – 2 ტანი	11 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 171
1783	ნარმა – 1 თოფი (ნარ-მა – ბამბის თეთრი ქსოვილი, გვ. 29)	7 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 201
1790	ნარმა – 2 (თოფი)	12 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 99
1783	ტილო, ოსმალური – 1 ადლი	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	შაური=0,7 გრ.	III: 200
1778	ტილო – 3 ადლი	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 66
1790	ტილო – 3,5 ადლი	17 შაური	აბაზი=2,9 გრ.	I: 99
1779	ყისინა – 2 ტომარა (ყისინა – შინ ნაქსოვი უხეში შალი, მზად-დებოდა დაღესტანში, გვ. 45)	7 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 71
1779	ტილო „კობალა“ – 3 ადლი („კობალა“ – მსხვილი ტილო, გვ. 22)	1 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 67

VI. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში და მისი გავლენა ყოფით ცხოვრებაზე

ხორბლის, ღვინის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფასების განხილვამ ნათლად გვიჩვენა შემდეგი რეალობა: XI-XIV საუკუნეების დასავლეთ საქართველოში პროდუქციის ღირებულება დაახლოებით ქვეყნის სხვა მხარეებში არსებული ფასების ანალოგიური იყო, რითაც დასტურდება გაერთიანებული ქართული სამეფოს ეკონომიკური კონსოლიდაცია; XVII-XVIII საუკუნეებში კი განსხვავებულ ვითარებას ვხვდებით – დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთთან შედარებით, ხორბალი ორჯერ ძვირად ფასობდა, ღვინო – რამდენჯერმე ნაკლებად. ამავდროულად, განსახილველ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში საგანგაშო სახე მიიღო ტყვეებით ვაჭრობამ.

შექმნილი ეკონომიკური რეალობის სიღრმისეული ანალიზისათვის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, თვალი გავადევნოთ XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში პროდუქციის ფასების დინამიკას. ვიდრე უშუალოდ ფასებს განვიხილავთ, მოკლედ შევეხებით ჩვენთვის საინტერესო ეპოქის დასავლეთ საქართველოს ზოგად ეკონომიკურ ვითარებას.

დასავლეთ საქართველოს ზოგადი ეკონომიკური ვითარება XVI–XVIII საუკუნეებში

XV საუკუნის ბოლო მეოთხედში ოსმალეთის სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოს გაუმეზობლდა როგორც სამხრეთ-დასავლეთიდან, ისე ჩრდილო-დასავლეთიდანაც. ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა ის გზები, რომლებიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძველი სავაჭრო გზა თანდათან მოიშალა და დამყარდა კავშირ-ურთიერთობის ახალი სისტემა.[407] შედეგად, საქართველო თითქმის მთლიანად მოწყდა ახალ საერთაშორისო სავაჭრო გზებს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად აისახა.

ვინაიდან 1555 წლის ამასიის ზავის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, დაირღვა ქვეყნის ორ ნაწილს შორის ეკონომიკური და სხვა სახის კავშირ-ურთიერთობები.

---

[407] ვ. გუჩუა. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 87.

შავი და აზოვის ზღვების სანაპირო ქვეყნებთან ვაჭრობა ევროპელებს ამიერიდან მხოლოდ ოსმალთა მეშვეობით შეეძლოთ. ყველა გზა, რომელთა საშუალებითაც დასავლეთ საქართველო საგარეო ვაჭრობას ახორციელებდა, ოსმალთა ხელში გადავიდა.[408] ამ პერიოდში ოსმალეთი სრულად აკონტროლებდა დასავლეთ საქართველოდან გამავალ გზებზე არსებულ საბაჟო სისტემას.

საბაჟოებზე არსებულ ვითარებას კარგად ასახავს ჟან შარდენის ცნობები. ავტორი დეტალურად განიხილავს ერთ-ერთ მათგანს: „გონიოში არის საბაჟო, რომელიც ცნობილია თავისი სიმკაცრით“. შარდენი საბაჟოს „ყაჩაღების ბუნაგს“ უწოდებს.[409] ის აღნიშნავს: „...ჩემგან წაიღეს ოცდაორი პისტოლი ოქროთი და ყველაფერი ის, რაც მოეწონათ იმ წვრილმანი ნივთებიდან, რომლებიც ჩანთაში მქონდა... მე ვუპასუხე, რომ... უსამართლოდ აიღო ბაჟი ჩემი ფულიდან, რადგან არც ვერცხლზე და არც ოქროზე ბაჟი არ არის დაწესებული. მან მიპასუხა, რომ მე ვცდები, რომ უსამართლოდ არ მომქცევია და გონიოში უგამონაკლისოდ ყველაფერზე ახდევინებენ ბაჟს...“. მოგვიანებით, შარდენს კიდევ გადაახდევინეს ასი დუკატი.[410] ასეთ პირობებში, ცხადია, დასავლეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობა სრულად დაექვემდებარა ოსმალეთის ინტერესებს და ადგილობრივი ვაჭრებისათვის დაიხურა საგარეო ბაზრები. პროცესმა საგრძნობლად დააქვეითა როგორც საგარეო ვაჭრობა, ისე ქვეყნის შიგნით არსებული აღებ-მიცემობა. დასავლეთ საქართველოსათვის პირველადი მოთხოვნილების საქონლის მიწოდება ოსმალეთის პოლიტიკურ ნებაზე გახდა დამოკიდებული. მაგალითად, ხშირად იქმნებოდა მარილის დეფიციტი. იყო შემთხვევები, როცა ქართველი მეფე-მთავრები ხარკს იმ პირობით იხდიდნენ, თუ ოსმალები გემებით მარილსა და სხვა პირველადი მოთხოვნილების ნივთებს შეიტანდნენ ქვეყანაში.[411]

ოსმალეთი დაინტერესებული იყო დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური დაუძლურებით, რათა მოსახლეობისთვის შემოსავლების მიღების უმთავრეს საშუალებად ტყვეებით ვაჭრობა ქცეულიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოში ისედაც დაბალნაყოფიერი მიწები იყო, სადაც ფეოდალური ეპოქისათვის მთავარი პროდუქტი – ხორბალი – ნაკლებად მოჰყავდათ. ჩანს, ქვეყნის ამ ნაწილში მნიშვნელოვნად შემცირდა აღმოსავლეთ საქართველოდან ხორბალისა და სხვა პროდუქციის შეზიდვა, ხოლო ადგილობრივი პროდუქცია თითქმის აღარ იყიდებოდა ქართლსა და კახეთში. პარალელურად, დასუსტდა დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ირანსა და მცირე აზიასთან.[412] მართალია, არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ ქუთაისში ოსმალეთიდან, ქართლიდან და ირანიდან შედიან ვაჭრები, ასევე ადგილობრივი ვაჭრებიც სტუმრობენ აღნიშნულ ქვეყნებს, თუმცა ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმერეთში შეტანილ საქონელზე და არა ექსპორტზე.[413] ზოგადად, წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში გარე სამყაროსთან და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოსთან, დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ძალიან

[408] ვ. გუჩუა. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 163-164.
[409] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 261-262.
[410] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 262-263.
[411] ვ. გუჩუა. საქართველოს პოლიტიკური რუკა XVI-XVII სს., გვ. 229; С. А. Белокуров. Материалы для русской истории. Москва, 1888, გვ. 323.
[412] ვ. გუჩუა. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 163.
[413] იხ.: არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 14-15.

შეზღუდული იყო. თუ რამდენად დაირღვა კავშირ-ურთიერთობები ქვეყნის ორ ნაწილს შორის, ამას ნათლად ასახავს შარდენის ცნობები – ფრანგი მოგზაური და კომერსანტი სამეგრელოდან ქართლში გაემგზავრა არა უფრო მოკლე გზით, იმერეთზე გავლით, არამედ გონიოსა და ახალციხის გავლით, სადაც წინასწარ იცოდა, რომ მოუწევდა „თავისი სიმკაცრით“ ცნობილი საბაჟოს გავლა.[414] ხოლო, როდესაც შარდენი თბილისიდან სამეგრელოში გამგზავრებას აპირებდა, მისი სიტყვებით: „გვეგონა ცხენებს ვერ ვიშოვიდით ქირით, რადგან სამეგრელოში არავის უნდოდა წამოსვლა. ბოლოს, როგორც იქნა, ფულის წყალობით, ორი გამყოლი ვიშოვეთ, რომელთაც აღვუთქვით, რომ ავუნაზღაურებდით ცხენებისა და ბარგი-ბარხანის საფასურს, თუ რაიმე ხიფათი შეგვექმნებოდა...“. ჩხარში მისვლის შემდეგ კი ქართველ გამყოლებს გზის გაგრძელებაზე კვლავ უარი განუცხადებიათ. საბოლოოდ, ერთ-ერთ გამყოლს წერილობითი საბუთი მოუთხოვია, რომელშიც ჩაუწერიათ, რომ მოგზაურობის დროს თუ გამყოლები ტყვედ ჩავარდებოდნენ, შარდენს უნდა გამოეხსნა ისინი, ხოლო სიკვდილის შემთხვევაში, მათი ცოლებისათვის ოთხმოც-ოთხმოც ეკიუ გადაეხადა.[415]

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების შემცირებაზე ასევე მიუთითებს XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგის მიერ შედგენილი დასტურლამალი, რომელიც, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, თბილისში შეტანილი საქონლის საბაჟო გადასახადებსაც ეხება. ნიშანდობრივია, რომ დასტურლამალში ზოგიერთი პროდუქციის წარმომავლობაზეც არის მითითება. მაგალითად, აღნიშნულია: „თავრეზის ფარჩა“, „ურდვარის ფარჩა“, „გელაქნური“, „ჩვენის მოქალაქის (ანუ ადგილობრივების – ა. თ.) აბრეშუმი და ფარჩა“. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოდან შეტანილ პროდუქციას, ასეთი საერთოდ არ მოიხსენება, ბაჟი განსაზღვრულია მხოლოდ ტყვის შეყვანისათვის – „ქართველმან, თათარმან, სომეხმან, თუ რამაც რჯულმან იმერეთს, რომ ტყვე იყიდონ, ტყვის თავს მსყიდველს სამს მინალთუნს საბატონოდ გამოართმევენ. და თუ ქართლში გადმოიყვანა და აქ გაყიდა, ან აქაურმან ერთმანერთს მიყიდეს, სამს მინალთუნს მსყიდველი და სამს მინალთუნს გამსყიდველი ბატონს ვერ დააკლებს“.[416]

დასავლეთ საქართველოდან შეტანილი პროდუქცია არ ჩანს არც გორის საბაჟო გადასახადებში, სამაგიეროდ, აქაც ვხვდებით „თავრიზის საპალნეს“ და „ურდრავის საპალნეს“.[417] ცხადია, რომ დასავლეთ საქართველოდან რომელიმე პროდუქტის დიდი რაოდენობით შეზიდვის შემთხვევაში, ის აისახებოდა თბილისის ან გორის საბაჟო ტარიფებში.

აგრეთვე, საინტერესოა, 1736 წლის „ქალაქის ბაჟის, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა“. აქაც იკვეთება თბილისის საგარეო ვაჭრობის სურათი, საიდანაც ჩანს, რომ ინტენსიური ვაჭრობა მიმდინარეობდა ირანის და ოსმალეთის ქალაქებთან („რაც მოქალაქემ განჯიდამ აბრეშუმი მოიტანოს აზრუმისაკენ წაიღოს.., ლილა თავრეზის.., ალვანს (sic) აბრეშუმზედ“ და სხვ.[418]). დასავლეთ საქართველოს პროდუქცია არც ამ შემთხვევაშია აღნიშნული.

---

[414] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 260-266.
[415] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 277, 281.
[416] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 284-286.
[417] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 287.
[418] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 393.

ერთი სიტყვით, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში სავაჭრო კავშირები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ძალიან სუსტი ჩანს.

აღმოსავლეთ საქართველოსთან იძულებით კავშირის გაწყვეტის და ქვეყნის შიგნით მიმდინარე გაუთავებელი დაპირისპირებების ფონზე, ოსმალებმა რეალურად მიაღწიეს მიზანს – ქვეყნის ეკონომიკა უკიდურესად დასუსტდა. ამ პროცესს, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ირანის გაბატონება აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური დასუსტების პირობებში, „ტყვის სყიდვას“ ფართო გასაქანი მიეცა. როგორც ცნობილია, XVI-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობამ საგანგაშო ხასიათი მიიღო, ოსმალეთის ბაზრები ყოველწლიურად ივსებოდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობით.

დასავლეთ საქართველოს ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობას ზედმიწევნით ზუსტად ასახავს არქანჯელო ლამბერტი. ის აღნიშნავს: „კოლხიდა, რამდენადაც წინად იყო ცნობილი ძველთაგან, რომელთა ხშირი მსვლელობა ჰქონდათ ამ ქვეყანაში, იმდენად ჩვენს დროში უცნობია იტალიისათვის, რადგან ყოველივე მიმოსვლა და ვაჭრობა ამ ქვეყანასთან მოისპო. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენსა და კოლხიდას შუა ჩადგა ოსმალეთი, რომელმაც თავის ბარბაროსობით და მტარვალობით ვაჭრებსა და ცნობის მოყვარეთა გზა შეუკრა ამ ქვეყნისაკენ და აქაურები გააუბედურა და მოუსპო მათ ყოველივე ის, რაც საზოგადოდ უცხო ქვეყნელებს იზიდავს და უღვივებს სურვილს სხვა ქვეყნების დათვალიერებისა და გაცნობისას“.[419]

თუ რა მასშტაბის უარყოფითი გავლენა ჰქონდა ოსმალეთის ეკონომიკურ პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაზე, ამის საჩვენებლად, საინტერესოა XVI-XVIII საუკუნეებში სხვადასხვა პროდუქციის ფასების ოდენობის განსაზღვრა. ჩვენი აზრით, აღნიშნული მონაცემების წარმოჩენა უფრო ნათელ სურათს შეგვიქმნის იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს საერთო ეკონომიკური ვითარების შესახებ.

პროდუქციის ფასები XVI-XVII საუკუნეებსა და XVIII საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში

ს. კაკაბაძე თავის ნაშრომში „ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში მე-13-17 საუკ.“ შეეხო წყაროებში დაფიქსირებულ დასავლეთ საქართველოში არსებულ ზოგიერთი პროდუქტის ფასს. მან ყურადღება გაამახვილა 1578 წლის ქუთაისის საყდრის ბეგარის დავთარზე, რომელშიც საგადასახადო „საკლავის“ ფასად ნაჩვენებია 12 თეთრი. ავტორი აღნიშნავდა, რომ უმეტეს შემთხვევაში, საკლავის ფასად მითითებილი იყო 12 თეთრი, ხოლო იშვიათად 6, 20 და 24 თეთრი. შესაბამისად, საკლავის საბაზრო ფასად 12 თეთრი უნდა ვიგულისხმოთ.[420]

[419] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 3.

[420] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 46. ს. კაკაბაძე ასევე ეხება წყაროებში დაფიქსირებულ სხვადასხვა საქონლის ფასებს და ხაზს უსვამს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაბალ ფასს, რასაც „ფულის გაძვირებას“ უწოდებს. ზოგადად, პროდუქციაზე ფასების ზრდას, შესაბამისად, „ფულის გაიაფებად“ მიიჩნევს. იხ.: ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 36-50.

მართლაც, თუ ჩვენ გადავხედავთ XVI საუკუნის მიწურულის დასავლეთ საქართველოს საგადასახადო დავთრებს, უმეტესად აღნიშნულია „საკლავი თორმეტის თეთრის“.[421] ს. კაკაბაძე, ასევე აღნიშნავს, რომ „თეთრი ამ დროს შეიცავდა ოსმალური ასპრის ზომის მიხედვით 0,9 დანგ ვერცხლს, საკლავის ფასი მაშასადამე უდრიდა 10,8 დანგ ვერცხლს“.

ამჯერად, „საკლავის“ მოცემულ ფასს უფრო დეტალურად განვიხილავთ: დავთრებში მოხსენიებულ თეთრში, როგორც ამას ს. კაკაბაძეც აღნიშნავდა, ცხადია, იგულისხმებოდა იმერეთის მეფეების მოჭრილი მონეტები. ბაგრატ იმერეთის მეფის (1510-1565 წწ.) ვერცხლის მონეტა იწონის 0,63 გრამს, ხოლო გიორგი II-ის (1565-1585 წწ.) მონეტების პირველი ტიპი – 0,62 გრამს (არსებობს 1,44-გრამიანი ცალი, რომელიც ორმაგი ნომინალი უნდა იყოს), მეორე ტიპი – 0,75-0,79 გრამს, ხოლო მესამე ტიპი – 0,82 გრამს.[422]

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ეპოქაში მოჭრილი ქართული მონეტები იწონიდა 0,62 გრამიდან 0,82 გრამამდე, საშუალოდ, დაახლ. 0,70 გრამს. 12 თეთრად შეფასებული „საკლავის“ ფასი ყოფილა დაახლ. 8,5 გრამი ვერცხლი.

ს. კაკაბაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ 1549 წელს საგადასახადო „საკლავის“ ღირებულებად 20 და 15 თეთრია ნაჩვენები.[423] მართლაც, დასავლეთ საქართველოს საგადასახადო საბუთში აღნიშნულია: „მართებს... სალოქაას ორი საკლავი ოც-ოცი თეთრისა... მართებს ივანე ხუცესსა ულურელისძესა სალიმონოთ ხუთი ზუთხი, ორი საკლავი ოც-და-ათის თეთრისა“.[424]

აღნიშნული ცნობის მიხედვით, 1549 წელს „საკლავის“ ფასი ყოფილა 10,5-14 გრამი ვერცხლი, საშუალოდ – 12 გრამი. შესაბამისად, 1549 წლიდან 1578 წლამდე „საკლავის“ ფასი დაახლ. 30%-ით გაიაფებულა.[425]

საინტერესოა ს. კაკაბაძისავე დაკვირვება XVIII საუკუნის დასაწყისში საგადასახადო „საკლავის“ ფასის შესახებ. ავტორი აღნიშნავს: „1705 წ. აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლი სწერს, რომ ოთხ საეკლესიო გლეხს „ოთხ-ოთხი ღორი ემართათ, ერთი დიდი და სამი მომცროანი. აწე ის სამი საკლავი ამოგვიწერია და მისი სანთელი დაგვიც, თვითო შამახური“... ხოლო იგივე კათალიკოზი გრიგოლი 1712 წ. აწესებს მარჩილის თავს მის სამაგიეროდ შამახურის გარდახდას“. ავტორის აზრით, 1705-1712 წლებისათვის „საკლავი“ მარჩილი ღირდა. შეაბამისად, მისი ფასი წინა პერიოდის ფასთან შედარებით, გაზრდილა 2,6-ჯერ, ანუ, როგორც ს. კაკაბაძე მიიჩნევს, ფული გაიაფებულა 2,6-ჯერ.[426]

XVIII საუკუნის დასაწყისში საგადასახადო „საკლავის“ ფასის განსაზღვრისათვის მეტად საინტერესოა ს. კაკაბაძის დაკვირვება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ავტორმა კონტექსტი არასწორად გაიგო. კერძოდ, კათალიკოსი გრიგოლი 1705 წლის 25 ივნისის შეწირულობის წიგნში აღნიშნავს: „...ეს ოთხი გლეხი გამოვართვით და თქვენთვის

---

[421] იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 279-380.
[422] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 153-156.
[423] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 46.
[424] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. II, გვ. 389.
[425] ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ფული გაძვირებულა სულ ცოტა 20%-ით. იხ.: ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 46-47.
[426] ს. კაკაბაძე. ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში.., გვ. 46.

შემოგვიწირავს. აწ ამ გლეხებს ოთხ-ოთხი ღორი ემართათ – ერთი დიდი და სამი მომცროანი. აწე ის სამი საკლავი ამოგვიწერია და მისი სანთელი დაგვიც, თვითო შამახური ჩვენის ცოდვილის სულის საოხად“.[427] როგორც ვხედავთ, „სამი მომცროიანი“ ღორის ნაცვლად, დაწესებულია ერთი „შამახური“ სანთელი. თუ „სამი მომცროიანი“ ღორის ნაცვლად, კათალიკოსი 3 „შამახურს“ დააწესებდა, მაშინ აღნიშნავდა, არა „მისი სანთელი დაგვიც, თვითო შამახური“, არამედ „მისი სანთელი დაგვიც, სამ-სამი შამახური“, ისევე როგორც ღორის შემთხვევაში გარკვევით განმარტავს: „ამ გლეხებს ოთხ-ოთხი ღორი ემართათო“. ერთი სიტყვით, კათალიკოსს სამი „საკლავის“ ნაცვლად, ერთი „შამახური“ დაუწესებია. 1712 წლის კათალიკოს გრიგოლის შეწირულობის წიგნშიც, რომელშიც მარჩილის თავს „შამახურია“ დაწესებული, ვხვდებით საბეგრო „საკლავის“ ნაცვლად, „შამახურის“ დაწესების სხვადასხვა ფაქტს. ერთ შემთხვევაში აღნიშნულია: „სამს საკლავში ორ-ორი შამახური სანთელი დავადევით“, სხვა ადგილას კი – „სხვას ბეგარას გარდაის ერთი საკლავი და მისი ქათმები ემართა. მის მაგიერად ერთი შამახური სანთელი დაგვიც“; „სხვა ბეგარას გარეთ ორი საკლავი ემართა; მის მაგიერედ შამახურ ნახევარი სანთელი დავადევით“. შემდეგ ჩამოთვლილია კომლები, რომელთაც თითო „შამახური“ უნდა გადაეხადათ ყველანაირი ბეგარის სანაცვლოდ.[428] როგორც ვხედავთ, „შამახური“ ერთი „საკლავის“ ეკვივლენტური არ იყო. ყველა შემთხვევაში „შამახური“ წესდებოდა ერთ „საკლავზე“ მეტი გადასახადის სანაცვლოდ.

რაც შეეხება მარჩილს, ის სამი აბაზისაგან შედგებოდა, აბაზი კი ამ დროს, როგორც ზემოთ აღინიშნა, იწონიდა 7,5 გრამს. შესაბამისად, მარჩილის საერთო წონა იყო 22,5 გრამი ვერცხლი. თუ გავითვალისწინებთ სამი მომცრო „საკლავის“ ნაცვლად „შამახურის“ დაწესების ფაქტს, ერთი მომცრო „საკლავის“ ფასი XVIII საუკუნის I მეოთხედის დასავლეთ საქართველოში ყოფილა 7,5 გრამი ვერცხლი. ხოლო, იმ მოცემულობის გათვალისწინებით, როდესაც სამი „საკლავის“ ნაცვლად, ორი „შამახური“ იქნა დაწესებული, ერთეულის ფასი გამოდის 15 გრამი ვერცხლი. „საკლავის“ ღირებულება დაახლ. 16,5 გრამი ვერცხლი გამოდის იმ შემთხვევის გათვალისწინებით, როდესაც ორი საკლავის ნაცვლად, 1,5 „შამახური“ დაწესდა. ფასთა სხვაობა გამოწვეული უნდა იყოს „საკლავის“ მოცულობით – სრულფასოვანი, შედარებით დიდი „საკლავი“ გაცილებით ძვირი ღირდა.

ამდენად, XVIII საუკუნის I მეოთხედში მომცრო საგადასახადო „საკლავის“ ფასი ყოფილა 7,5 გრამი ვერცხლი, ხოლო სრულფასოვანი თუ კიდევ უფრო დიდი „საკლავის“ ღირებულება – დაახლ. 15 გრ. ვერცხლი. აღნიშნული მონაცემებით ირკვევა, რომ საგადასახადო „საკლავის“ ღირებულება XVI საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XVIII საუკუნის დასაწყისში დაახლოებით თანაბარი ყოფილა. XVIII საუკუნის დასაწყისში გვაქვს მხოლოდ მცირე ოდენობით ფასის ზრდა, რომელიც უახლოვდება 1549 წლის ფასს. როგორც ვხედავთ, აღნიშნული პროდუქციის ფასი, XVI საუკუნის II ნახევართან შედარებით, XVIII საუკუნის დასაწყისში 2,6-ჯერ არ გაზრდილა. აქ მხოლოდ ფასების მცირე ზრდასთან უნდა გვქონდეს საქმე.

მიღებული მონაცემების საფუძველზე, შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: XVI საუკუნის შუა ხანებთან შედარებით, ამავე საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XVII

[427] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 641.
[428] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 671-672.

საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები დაახლოებით, 30%-ით შემცირდა, ხოლო XVIII საუკუნის I მეოთხედში კვლავ მცირედით გაიზარდა და დაახლოებით, XVI საუკუნის შუა ხანების დონეზე ავიდა. ერთი სატყვით, განსახილველ პერიოდში ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებთან მიმართებით მკვეთრი ინფლაცია არ ჩანს, რაც ლოგიკურია, რადგან დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური გარემო აღნიშნულ საუნკუნეებში არ შეცვლილა.

საგადასახადო დავთრებიდან ნათლად არ ჩანს, რეალურად რას წარმოადგენდა „საკლავი". კათალიკოს გრიგოლის 1705 წლის ზემოთ მოხმობილი შეწირულობის წიგნის მიხედვით, „საკლავად" მიჩნეულია მომცრო ღორი. დავთრებში „საკლავის" ნაცვლად, ხშირად ვხვდებით ღორით ან ძროხით დაბეგვრის ფაქტებს, რაც გვავარაუდებინებს, რომ „საკლავში" შედარებით მცირე ზომის ეს შინაური ცხოველები უნდა იგულისხმებოდეს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გადასახადების ჩამონათვალში „საკლავთან" ერთად ვხვდებით ძროხას (მაგ., XVI საუკუნის მიწურული ოცხანის საკათალიკოსო გლეხების ბეგარის ნუსხაში აღნიშნულია: „თავართქილაძეს ორსავე განაყოფსა, ერთი ზროხა, სამი საკლავი..., ციცუნაშვილსა ერთი ზროხა, სამი საკლავი..., [მართებს] მახარას მეფარიშვილსა ერთი ზროხა, ერთი საკლავი..."[429]), ქათამს („საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა, ქათამი სამი..."[430]), გოჭს („მართებს როკითს ვახტანგისაიშვილსა... საკლავი ერთი, გოჭი ერთი..."[431]), რაც გამორიცხავს, რომ „საკლავში" იგულისხმებოდეს რომელიმე მათგანი. იმავე დავთრებში ცალკეა აღნიშნული ცხვრის გადახდის შემთხვევები[432], რაც ასევე გამორიცხავს „საკლავში" ცხვრის გაიგივებას. შესაბამისად, „საკლავი" უნდა იყოს შედარებით მცირე წონის ღორი ან მოზრდილი ხბო, რომლის საშუალო ფასი XVI საუკუნის შუა ხანებიდან XVIII საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით ყოფილა 8,5-15 გრამი ვერცხლი, ხოლო მომცრო „საკლავის" – 7,5 გრამი ვერცხლი.

ს. კაკაბაძე, ასევე ყურადღებას ამახვილებს ცხვრის ფასზე, რომელიც დაფიქსირებულია იმერეთის მეფე გიორგი II-ის 1573 წლის შეწირულობის წიგნში. დოკუმენტში აღნიშნულია: „...ამ აღაპზედან დაიხარჯებოდეს ორი ცხვარი ათათის თეთრისა და წელიწადშიგან საკამეველი ათი თეთრისა...".[433]

რადგან ამ პერიოდში იმერეთის მეფეების მოჭრილი მონეტები საშუალოდ, 0,7 გრამს იწონიდა, შესაბამისად, 10 თეთრად შეფასებული ცხვრის ღირებულება ყოფილა 7 გრამი ვერცხლი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, XVI საუკუნის შუა ხანებიდან XVIII საუკუნის I მეოთხედამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების მკვეთრი ცვლილება არ ჩანს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცხვრის ფასი აღნიშნულ საუკეენეებში 7-8 გრამი ვერცხლის ფარგლებში იქნებოდა.

საინტერესოა დასავლეთ საქართველოში ცხვრის ღირებულება შევადაროთ ოსმალეთში არსებულ ფასებს. ზოგადად, ოსმალეთში XVI საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XVII საუკუნეში პროდუქციის ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. XVI საუკუნის II ნახე-

---

[429] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 380.
[430] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 284.
[431] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 299.
[432] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 307-308.
[433] ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I. ტფ. 1921, გვ. 30.

ვარში ოსმალეთში ცხვარი ღირდა 70-80 ახჩა.[434] სელიმ II-ის (1566-1574 წწ.) მოჭრილი ახჩის წონითი მაჩვენებლები მერყეობდა 0,61-0,80 გრამებს შორის, ანუ საშუალოდ, 0,70 გრამს იწონიდა.[435] აქედან გამომდინარე, 70-80 ახჩა იწონიდა დაახლ. 49-55 გრამ ვერცხლს. 1596 წელს ცხვრის ფასი ოსმალეთში გაიზარდა 80-100 ახჩამდე, ხოლო 1606-1608 წლებში – 300-400 ახჩამდე.[436] 1600-1612 წლებში ახჩა იწონიდა 0,32 გრამს.[437] შესაბამისად, ცხვრის ფასი გაზრდილა 96-128 გრამ ვერცხლამდე.

როგორც ვხედავთ, იმერეთში, ოსმალეთში დაფიქსირებულ ფასებთან შედარებით, ცხვარი დაახლ. 7-ჯერ, ხოლო, რიგ შემთხვევებში, 18-ჯერ იაფი ღირდა. სხვადასხვა მონაცემიდან ირკვევა, რომ ოსმალეთის აღმოსავლეთის რეგიონებში პროდუქციის ფასები შედარებით ნაკლები იყო,[438] მაგრამ დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებულ ფასებთან შედარებით, განსხვავება მაინც დიდი ჩანს.

არ მოგვეპოვება განსახილველი ეპოქის დასავლეთ საქართველოში პირდაპირი ცნობები ძროხის, ცხენისა და სხვა შინაური ცხოველების ფასების შესახებ, თუმცა მეტად საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდიან ამ ეპოქაში საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერები. იტალიელი თეატინელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, რომელიც სამეგრელოში იმყოფებოდა 1633-1643 წლებში, აღნიშნავს: „ყიდვა-გაყიდვა გაცვლის გზით წარმოებს, მაგრამ ესეც იშვიათად ხდება, რადგან თითოეული არსებობის საშუალებას იმაში პოულობს, რომ ჰყავთ შინაური საქონელი, აქვთ მეურნეობა ანდა ჰყავთ ყმები. ერთი თხა რვა ან ცხრა დედალი ღირს, ცხვარი – ორი თხა, ძროხა – სამი ცხვარი, ხოლო ცხენი – ორი ან სამი ძროხა“.[439]

XVII საუკუნეში საქართველოში მყოფი დონ კრისტოფორო დე კასტელი დაახლოებით ანალოგიურ ცნობას გვაწვდის სხვადასხვა პროდუქციის ფასების შესახებ – „კოლხეთში არავითარი აღებ-მიცემობა ან ფულით სავაჭრო ურთიერთობა არ არსებობს, სახელოსნო-დუქნები ანუ სავაჭრო ადგილები კი აქვთ. ქვეყნის შიგნით ფული ხმარებაში არაა... ან გარედან შემოდის ტანსაცმელსა და ავეჯეულობა-ხორბლეულობასთან ერთად, ან მონად გაყიდულ კოლხელ ყმებში მაჰმადიანი მოვაჭრეები აძლევენ ვერცხლის ლარნაკს, ოქროსა და მისთანას. თავიანთ მთავარს ყმებს აძლევენ საჭირო საქონელს: ხარსა და ცხენს. საქონლით ასე ვაჭრობენ: მაგალითად, ერთი ქათამი (დედალი) ღირს ერთი გირვანქა (ლივრი) მარილი... ცხვარი – თხაზე იცვლება, ერთი ხარი – სამ ვერძზე, ცხენი – სამ ხარზე“.[440]

რადგან ვიცით, რომ აღნიშნულ ეპოქაში ცხვარი ღირდა 7 გრამი ვერცხლი, ჯუდიჩეს მოტანილ ფასთა სისტემის მიხედვით, ძროხის ღირებულება ყოფილა 3 ცხვა-

---

[434] А. Д. Новичев. История Турции. Том 1. Эпоха феодализма (XI-XVIII вв.). Ленинград, 1963, გვ. 122.

[435] მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. თბ. 1982, გვ. 39.

[436] А. Д. Новичев. История Турции. Том 1. Эпоха феодализма (XI-XVIII вв.), გვ. 122.

[437] An economic and social history of the Ottoman empire. Edited by Halil Inalcik with Donald Quataert. Volume 2. 1600-1914. Cambridge, 1994, გვ. 963.

[438] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, გვ. 86.

[439] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მ. პაპაშვილმა და ზ. გამეზარდაშვილმა. თბ. 2014, გვ. 18.

[440] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ. თბ. 1976, გვ. 54.

რი, ანუ 21 გრამი ვერცხლი, ხოლო ცხენის ფასად თუ სამ ძროხას მივიჩნევთ, მისი ღირებულება გამოდის დაახლ. 65 გრამი ვერცხლი.

თუ გავიხსენებთ, რომ „საკლავი“ (ანუ მოზრდილი ხბო თუ მომცრო ღორი) დაახლ. 8,5 გრამი ვერცხლი ღირდა, ლოგიკურად, ძროხა მასზე ძვირი უნდა ყოფილიყო. მართლაც, ჯუდიჩეს ცნობის მიხედვით, ძროხა „საკლავზე“ დაახლოებით 2,5-ჯერ ძვირად ფასობდა, რაც მონაცემის სისწორეზე მეტყველებს.

კასტელის ცნობით კი, ხარის ღირებულება სამი ვერძის ტოლფასია. თუ ვერძში ვიგულისხმებთ გამორჩეულ დიდ ცხვარს და მის ფასად მივიჩნევთ დაახლ. 14-15 გრამ ვერცხლს, ხარის ვერცხლში გამოხატული ღირებულება იქნება საშუალოდ, 42-45 გრამი.

ზოგადად, შუა საუკუნეებში საქართველოშიც და მეზობელ ქვეყნებშიც ხარი ძროხაზე ორჯერ ძვირი ღირდა, შესაბამისად, სრულ შესატყვისობაში მოდის მოცემული ღირებულებები.

კასტელის გადმოცემით კი, ცხენი, რომელიც 3 ხარში იცვლებოდა, ფასობდა დაახლ. 125-135 გრამ ვერცხლად. როგორც აღინიშნა, კასტელის ცნობისაგან განსხვავებით, ჯუდიჩეს მიხედვით, ცხენის განსხვავებულ ფასს ვიღებთ (65 გრამ ვერცხლს), რაც გამოწვეული უნდა იყოს, ზოგადად, ცხენის არათანაბარი ფასებით – სხვადასხვა ღირსების ცხენის ღირებულება დიდად განსხვავებული იყო, შესაბამისად, ალოგიკური არაფერია იმაში, რომ ცხენის საშუალო ფასი ორმა ავტორმა განსხვავებულად წარმოგვიდგინა.

ისევე როგორც ცხვრის ფასის შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოში ძროხის ფასიც დიდად ჩამორჩებოდა არა მარტო ოსმალეთში არსებულ ფასებს, არამედ მეზობელ ქართლის ფასსაც. როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილია, XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლში ძროხის ფასი იყო 2 მინალთუნი[441] (10 აბაზი), ანუ 75 გრამი ვერცხლი. როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, ძროხა სულ მცირე 3-ჯერ იაფი ღირდა.

რაც შეეხება ხარს, როგორც ნაშრომის სათანადო ადგილას ვნახეთ, XVIII საუკუნის I მეოთხედში ქართლში ხარის ფასი იყო 4 მინალთუნი, ანუ 150 გრამი ვერცხლი. დასავლეთ საქართველოში კი ხარის ფასი ყოფილა დაახლ. 45 გრამი ვერცხლი. სხვაობა ამ შემთხვევაშიც სამჯერადია.

კარგად რომ გავიაზროთ დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების სიმცირე, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ თავად ქართლშიც, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ხორბალი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საკმაოდ იაფი ყოფილა.[442]

ზემოთ უკვე განვიხილეთ XI-XIV საუკუნეებში ხარის ღირებულება. სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით, XI-XIII საუკუნეებში ხარი 2-3, მაქსიმუმ 3,5 ოქროს მონეტა (პერპერა/დინარი/დრაჰკანი) ღირდა, რაც საშუალოდ, 100 გრამი ვერცხლის ტოლფასია, ხოლო XIV საუკუნის I ნახევარში ხარი სვანეთში, სულ ცოტა, 100 გრამად, საშუალოდ კი, 150 გრამ ვერცხლად იყიდებოდა.

---

[441] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 486.

[442] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 296.

მოხმობილი ფაქტებიდან გამომდინარე, XI–XIV საუკუნეებში ხარის საშუალო ფასი მინიმუმ ორჯერ აღემატებოდა XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში არსებულ ფასს. როგორც აღინიშნა, მოცემული ფასი, თავის მხრივ, სამჯერ უფრო დაბალი იყო, ვიდრე თანადროულ (XVII-XVIII საუკუნის დასაწყისის) აღმოსავლეთ საქართველოში დაფიქსირებული ფასია.

შინაური ცხოველების ფასების განხილვამ გვიჩვენა, რომ XI-XIII საუკუნეების გაერთიანებულ ქართულ სამეფოსა და გვიანი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში ცხენი სტაბილურად მაღალ ღირებულებას ინარჩუნებდა. საშუალო ღირსების ცხენის ღირებულება დაახლ. 500-900 გრამ ვერცხლს უდრიდა. ჯუდიჩეს და კასტელის ცნობების თანახმად, დასავლეთ საქართველოში ცხენის საშუალო ღირებულება ყოფილა მხოლოდ 65-135 გრამი ვერცხლი. ამ შემთხვევაშიც განსხვავება ძალიან დიდია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოდან გაყიდულ ტყვეებს უფრო ნაკლები ღირებულება ჰქონიათ, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო ღირსების ცხენს – შარდენის ცნობით, ქართველი ტყვეების საშულო ფასი შავიზღვისპირეთში 15 ეკიუ ყოფილა („მამაკაცები ოცდახუთიდან ორმოცი წლის ასაკამდე, ღირდა მხოლოდ თხუთმეტი ეკიუ. ორმოცზე მეტი ხნისა – რვიდან ათამდე. ლამაზი ქალწულები – ცამეტიდან თვრამეტ წლამდე – ოცი ეკიუ, სხვები უფრო იაფად ფასობდნენ. ქალები – თორმეტად, ბავშვები – სამ ან ოთხ ეკიუდ“).[443] 15 ეკიუ 1 თუმანზე ცოტა მეტი ღირებულების იყო და მისი წონა დაახლ. 450 გრამ ვერცხლს უდრიდა.[444]

როგორც ვხედავთ, ისევე როგორც ცხვრის, ძროხის თუ ხარის შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოში ცხენი, თავის პოტენციურ ფასთან შედარებით, ძალიან იაფი ღირდა.

გარდა ზემოთ დასახელებული პროდუქციის ფასებისა, ჩვენთვის ცნობილია XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში თაფლის ფასიც. ვიდრე თაფლის ფასის შესახებ ვიმსჯელებთ, მოკლედ შევეხებით დასავლეთ საქართველოში მეფუტკრეობის თემას.

არქანჯელო ლამბერტი ვრცლად მოგვითხრობს სამეგრელოს თაფლის თვისებებზე: „შემიძლია გაბედულათ ვთქვა, რომ მთელ ქვეყნიერებაზე საუკეთესო თაფლი კოლხიდისა არის. ამას ვამბობ იმიტომ, რომ კოლხიდის ჩვეულებრივი თაფლი ჰგავს ესპანიის თაფლს... გარდა ჩვეულებრივი თაფლისა, არის კიდევ ერთნაირი თაფლი, რომლის მსგავსი არსად სხვაგან ამ მოიძებნება: იგი ფრიად თეთრია და მაგარი, როგორც შაქარი, ისე რომ ხელით თუ მოტეხავთ რომელსამე მარცვალს, თაფლი ხელს როდი ეკვრის და გატეხილ ადგილზე გამოჩნდება თეთრი და მეტად რბილი ცვილი... ამნაირი თაფლი დიდათ მოსწონთ ოსმალებს. როგორც საუკეთესო ძღვენს, უგზავნიან ამ თაფლს მახლობელ ფაშებს, რადგან კონსტანტინეპოლში ვერ გზავნიან იმის მიზეზით, რომ სკებიდან იღებენ ამ თაფლს ზამთრობით, როცა გემები არ დადის შავ ზღვაში. სამაგიეროდ, როცა ოდიშში მოდიან ოსმალების გემები, სხვათა საქონელთა შორის ჩვეულებრივს თაფლს, როგორც საუკეთესო საქონელს, ბლომად ყიდულობენ, მიაქვთ

[443] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 212.

[444] ტურნეფორის ცნობით, 12,5 ეკიუ ერთ თუმანს უდრიდა. იხ.: ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63.

კონსტანტინეპოლში და დიდის მოგებით ჰყიდიან იქ".[445] დასავლეთ საქართველოს თაფლის განსაკუთრებულ თვისებებს ხაზს უსვამს ჟან შარდენიც.[446] ვახუშტი ბატონიშვილი კოლხეთის თაფლის შესახებ აღნიშნავდა: „ფუტკარი სარგებლობს ფრიად თაფლითა და ცკლთა სიმრავლითა; და თაფლი კეთილი, რამეთუ ვიეთთა ადგილთა სპეტაკი და შეყინული, სისქით ვითარცა შაქარი, რომელსა უწოდებენ კიპრუჭსა".[447]

რუსი ელჩის – ალექსი იევლევის 1650-1652 წლებში იმერეთში ელჩობის საანგარიშო აღწერილობაში საინტერესო ინფორმაციაა დაცული თაფლის ფასის შესახებ. „უცეცხლო თაფლი უზომოდ იაფია, რუსული ფუთი აბაზად და ნაკლებადაც შეიძლება იყიდო, აბაზი ორ ჩვენს გრივნას უდრის".[448]

როგორც ვხედავთ, XVII საუკუნის შუა ხანების იმერეთში 16 კილოგრამი თაფლის ფასი ყოფილა 7,5 გრამი ვერცხლი ან უფრო ნაკლები. აღნიშნული მონაცემის მიხედვით, კილოგრამი თაფლის ფასი გამოდის მაქსიმუმ 0,5 გრამი ვერცხლი.

ამავე ელჩობის მეორე მონაწილე – ტოლოჩანოვი თაფლის კიდევ უფრო დაბალ ფასს გვისახელებს – „სუფთა თხიერი თაფლი (წონით) გირვანქაზე ნაკლები მეოთხედი კაპიკი ღირს".[449] ერთი სიტყვით, იმერეთში თაფლი ძალიან იაფი ყოფილა.

თუ რამდენად იაფი ყოფილა თაფლი XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში, ამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე მონაცემს. როგორც ზემოთ თაფლის ფასების განხილვის დროს აღინიშნა, X საუკუნის არაბი ავტორის ალ-ისთახრის ცნობით, კავკასიის რეგიონში თაფლი ძალიან იაფი ყოფილა. მისი გადმოცემით, ორი მენი თაფლი ერთ დირჰემად იყიდებოდა.[450] შესაბამისად, დაახლოებით 1,6 კილოგრამი თაფლის ფასი ყოფილა 3 გრამი ვერცხლი. როგორც ვხედავთ, X საუკუნის თაფლის საჩვენებლად დაბალ ფასთან მიმართებითაც კი, XVII საუკუნის იმერეთში მისი ღირებულება, სულ ცოტა, 3,5-ჯერ ნაკლები იყო.

საინტერესოა, თუ რა ღირდა თაფლი იმ ქვეყანაში, რომელიც ახორციელებდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ იზოლაციას. როგორც მ. სვანიძე აღნიშნავს, 1585/1586 წელს სტამბულში 1 კანტარი თაფლი ღირდა 401,1 ახჩა. კანტარი, თავის მხრივ, იწონიდა 56,5 კგ.-ს, შესაბამისად, ერთი კილოგრამი თაფლის ფასი ყოფილა 7 ახჩა.[451] 7 ახჩა შეადგენდა დაახლ. 2,6 გრამ ვერცხლს.

XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნეში თაფლის ფასი ოსმალეთში 6-7 ახჩადან 30-35 ახჩამდე გაძვირდა.[452] მართალია, XVII საუკუნის განმავლობაში ახჩის წონა მცირდებოდა და სხვადასხვა წელს 0,38 გრამიდან 0,17-0,22 გრამამდე დაიკლო,[453] თუმცა თაფლის რეალური ფასი მინიმუმ ორჯერ გაიზარდა და XVII საუკუნის გან-

---

[445] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 214-215.

[446] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 124.

[447] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV, გვ. 745.

[448] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (მუხლობრივი აღწერილობა). რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ. 1969, გვ. 170.

[449] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 151.

[450] ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებით და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა, გვ. 5.

[451] მ. სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, გვ. 106.

[452] А. Д. Новичев. История Турции. Том 1. Эпоха феодализма (XI-XVIII вв.), გვ. 122.

[453] An economic and social history of the Ottoman empire. Edited by Halil Inalcik with Donald Quataert. Volume 2: 1600-1914, გვ. 963.

მავლობაში, 1 კილოგრამის ფასი, სულ ცოტა, 5 გრამი ვერცხლი მაინც იყო. ლოგიკურია, რომ დასავლეთ საქართველოში (სადაც საქალაქო ცხოვრება ეტაპობრივად უკუსვლას განიცდიდა), სტამბულთან და ოსმალეთის ცენტრალურ პროვინციებთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები დაბალი ყოფილიყო, მაგრამ რუსი ელჩების მიერ მითითებული ფასი დამაფიქრებლად და ალოგიკურად მცირეა.

დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებული თაფლის ფასი დიდად ჩამორჩებოდა XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ თაფლის ფასსაც. თბილისში 1 ლიტრა, ანუ თანამედროვე მეტრული სისტემით 3,6 კგ. თაფლი 3,5 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.) ღირდა.[454] 1 კილოგრამის ფასი ყოფილა 2,8 გრამი ვერცხლი, ანუ დასავლეთ საქართველოში თაფლის ფასზე დაახლ. 5,5-ჯერ ძვირი.

როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით თაფლს აწარმოებდნენ, რომელიც ოსმალეთში ექსპორტზეც გადიოდა, თუმცა მოსახლეობა მას მინიმალურ ფასად ყიდდა.

ამჯერად, განვიხილავთ ზემოთ დასახელებულ „შამახური“ სანთლის ფასს. როგორც აღინიშნა, „მარჩილის თავს“ კათალიკოსმა გრიგოლმა 1712 წელს დააწესა „შამახური“ სანთლის გადახდა. „შამახურის“ ფასი დასავლეთ საქართველოში ყოფილა 1 მარჩილი, ანუ 22,5 გრამი ვერცხლი. თავის მხრივ, შამახური ლიტრა იწონიდა 3-3,3 კგ.-ს.[455] ამდენად, იმერეთში 1 კგ. სანთლის ფასი ყოფილა 6,8-7,5 გრამი ვერცხლი. XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისში 3,6 კგ. თაფლი ღირდა 3-4 მინალთუნი, ანუ 15-20 აბაზი. აბაზი კი იმ პერიოდში 2,9 გრამს იწონიდა. შესაბამისად, 3,6 კგ. სანთლის ფასი გამოდის 43,5-58, საშუალოდ, 50 გრამი ვერცხლი, ხოლო კილოგრამის – დაახლ. 14 გრამი ვერცხლი. როგორც ვხედავთ, სანთელი, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში ორჯერ ნაკლებად ფასობდა.

როგორც ღვინის ფასების განხილვისას აღინიშნა, შარდენი გონიო-ახალციხის გზის მონაკვეთში ღვინის მეტად დაბალ ფასზე გვაწვდის ცნობას. მისი გადმოცემის მიხედვით, 1 ლიტრი ღვინის ღირებულება 0,20 გრამ ვერცხლს უდრიდა, რაც 2-3-ჯერ ნაკლებია აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ფასზე.

ამჯერად, შევეცდებით, გავარკვიოთ ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა პროდუქტის ოდენობა. კასტელის ცნობით, სამეგრელოში „ნესტიან ნიადაგზე ყოველთვის ხშირი ბალახია ამოსული; იქვე მრავალრიცხოვანი ცხვარი ძოვს, უმთავრესად კი ულაყი და ფაშატი ცხენები. მართალს ვამბობ, საძოვარზე უამრავი პირუტყვი იყო ერთად. ასე რომ, თითოეული წარჩინებულის (დიდებულის) მამულში მათი დაახლოებითი რიცხვი ხუთასია, მთავარს კი ჰყავს დაახლოებით ხუთი ათასი“;[456] ჯუდიჩეს ცნობით, „[სამეგრელოში] მთელი წლის მანძილზე მრავლადაა საძოვრები, რომლებიც გაპატივეულია მსხვილფეხა საქონლისა და ჯოგის [ნაკელით], უპირატესად ცხენების, რომლებიც დიდი რაოდენობითაა და ცხვრის ფარასავით ძოვენ...“.[457] იგივე ავტორი გვაუწყებს, რომ „ტყეებში 4 ათასზე მეტი მისი (ლევან დადიანის – ა.თ.) ცხენი ბალახობს“.[458] შარდენი გადმოგვცემს, რომ „სამეგრელოში ბევრია კარგი ჯიშის ცხენი. მათ დიდი

[454] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 70
[455] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 59-60.
[456] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 53.
[457] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), გვ. 13.
[458] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), გვ. 14.

რაოდენობით აშენებენ, რადგან მათი გამოკვება არაფერი უჯდებათ“.[459] ხსენებული რუსი ელჩების ცნობით, „მათ ქვეყანაში (იმერეთში – ა.თ.) აუარებელი თახვი და წავია, წაბლის ფერი და ყვითელი მელიები... თხები, ღორები და კამეჩებია. რაც შეეხება შინაურ საქონელს, ცხენებს, ძროხებს, ცხვრებს, ღორებს და ასეთ პირუტყვებს, მათ მრავალი ჰყავთ.[460] „ყოველგვარი ცხოველი ბევრია: ძროხები, კამეჩები, ცხვარი, ღორი, ბატები, ქათმები და იხვები“;[461] ლამბერტის გადმოცემით, „ცხენები აქ ისე ბლომად არის, რომ ყველა კაცს, რაც უნდა ღარიბი იყოს, ჰყავს თავისი ცხენი, – ახტა თუ ჭაკი. თვითეულს მოსახლეს, თავისი შეძლებისამებრ, ჰყავს ბევრი თუ ცოტა. დაბალ ხალხს ჰყავს: ვის სამი, ვის ოთხი და ვის ხუთი ცხენი; ხოლო კეთილ-შობილებს: ვის ორმოცდა-ათი, ვის ასი და ვის ორასი. მთავარს კი ათასობით ჰყავს. სულ ეყოლება ხუთი ათასი ახტა და ჭაკი... გარდა ცხენებისა, ყველას თავ-თავისი ხარები ჰყავს მიწის სახნავად და ძროხები ყველისათვის. ცხვარი კი ცოტა ჰყავთ... სამაგიეროდ ბლომად ჰყავთ თხები და ღორები, რომელთა ხორცს მუდამ სჭამენ, თვით ზაფხულის სიცხეშიც“.[462]

შინაური ცხოველებისა და მეფუტკრეობის განვითარებაზე მიუთითებს ასევე ზემოთ დამოწმებული XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საგადასახადო დავთრები. დაბეგვრის ინდექსის სიდიდე სწორედ აღნიშნული პროდუქციის სიუხვის მანიშნებელია.

ერთი სიტყვით, დასავლეთ საქართველოში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი მრავლად მოიპოვებოდა, პრობლემას წარმოადგენდა მხოლოდ მათი რეალიზაცია და ალოგიკურად დაბალი ფასები.

დასავლეთ საქართველოში იმ დროისათვის ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო საქონელს, აბრეშუმსაც ამზადებდნენ, მაგრამ მისი ფასიც საგრძნობლად დაბალი ყოფილა. ელჩი იევლევის ცნობით, „იმერეთში და სადადიანოში ყაჭი ყველა ქალაქშია გავრცელებული (მეაბრეშუმეობა) და ყოველი ადამიანი თავისას ჰყიდის, ვის როგორც შეუძლია. ყაჭი იაფია, ფუთს თექვსმეტ ან ჩვიდმეტ ოქროთ იყიდიან და იმერეთიდან მისი გადმოტანა მთებზე ადამიანს ფეხით შეუძლია“.[463] მეორე რუსი ელჩი ტოლოჩანოვიც აღნიშნავს, რომ „აბრეშუმი ყოველ სახლში მოჰყავთ“.[464]

როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში აბრეშუმი იმდენად იაფი ღირდა, რომ ალექსი იევლევი, გზის არარსებობის მიუხედავად, მისი რუსეთში გატანის პერსპექტივას განიხილავდა.

სხვა ადგილობრივი საქონლის ფასებიც ძალიან დაბალი ყოფილა. როგორც შარდენი აღნიშნავს, „ყოველ წელს აქ მოდის თორმეტიოდე იალქნიანი გემი კონსტანტინოპოლიდან და კაფადან და სამოცზე მეტი ფელუკა გონიოდან, ირისიდან, ტრაპიზონიდან. ისინი სამეგრელოში იტვირთება – ტყვეების გარდა – აბრეშუმით, სელის ძაფით, ტილოთი და სელის თესლით, ხარის ტყავებით, კვერნის და თახვის ბეწვით, ბზით, ცვილითა და თაფლით. სამეგრელოში თაფლი საუცხოოა. აქ ორგვარი თაფლია –

[459] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 115.
[460] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 170.
[461] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 150.
[462] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 202-203.
[463] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 170.
[464] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 150.

ყვითელი და თეთრი... თურქები დიდ მოგებას ღებულობენ სამეგრელოდან გატანილი საქონლით – ოთხ ეკიუდ ყიდიან იმას, რაშიაც ერთი ეკიუ აქვთ მიცემული".[465] ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის არქანჯელო ლამბერტი: „მეგრელებისაგან იღებენ თაფლს, ცვილს, ადგილობრივ ტილოს, ძაფს, აბრეშუმს, ხარის, კვერნის და წავის ტყავს, სელის თესლს, ბზის ხეებს და ტყავებს. ბზის ხეებში ოსმალები ძალიან იგებენ, რადგან სამას თუ ოთხას სკუდის მარილით ყიდულობენ იმდენ ხეს, რომელიც ხუთი ათას სკუდზე მეტი ღირს... სხვა საქონელშიც დიდი მოგება აქვთ".[466]

წყაროებიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული, მოჰყავდათ დიდი რაოდენობით ყურძენი.[467] ფეოდალურ ეპოქაში, როგორც წესი, ღვინო, ხორბალთან ერთად, სიმდიდრის დაგროვების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, დასავლეთ საქართველოში არც მეღვინეობის განვითარება იძლეოდა ხელშესახებ შემოსავალს.

დამოწმებული მასალა ცხადყოფს, რომ დასავლეთ საქართველში არსებულ საექსპორტო პროდუქციას ძალიან დაბალი ფასი ჰქონდა. ხოლო ზოგიერთი პროდუქტის – ცხვრების, ძროხის, ხარ-კამეჩის, ცხენების – ექსპორტის შემთხვევები წყაროებში საერთოდ არ გვხვდება.

ერთი მხრივ, თუ დამპყრობლების მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკა განაპირობებდა ადგილობრივი საექსპორტო პროდუქციის სიიაფეს, მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოში ვხვდებით იმპორტული პროდუქციის სიძვირეს. ალექსი იევლევი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ „ქუთაისიდან სადადიანოს საზღვრამდე ცხენით ნახევარი დღის სავალია. ხოლო შავ ზღვამდე მდინარე რიონით და ხმელეთით ორი დღის სავალია. ქუთაისში ვაჭრები თურქეთიდან, სპარსეთიდან, აზოვიდან, თბილისიდან, გურიიდან, სამეგრელოდან ყოველგვარი საქონლით მოდიან სხვადასხვა ხალხი თურქები, ებრაელები, სპარსელები, სომხები, აზოველები და მოაქვთ ირანული ხავერდები, ატლასები, აბრეშუმის ქსოვილები, აბრეშუმის ზოლებიანი ქსოვილები, ყალამქარი და ყოველგვარი თეთრი თუ ფერადი ფარჩა. მხოლოდ რუსეთზე უფრო იაფი არ არის".[468]

როგორც ვხედავთ, იმერეთში და, ცხადია, მთლიანად დასავლეთ საქართველოში, იმპორტული საქონელი, ადგილობრივი პროდუქციისაგან განსხვავებით, ძვირად ფასობდა, როგორც ჩანს, თვითღირებულებაზე მეტად, რადგან რუსი ელჩის დაკვირვებით, იმერეთში მეზობელი ქვეყნებიდან შეტანილი იმპორტული პროდუქცია მინიმუმ რუსეთში არსებული ფასების ტოლი ყოფილა. რუსეთში იმავე საქონლის ფასი, ლოგიკურად, იმერეთთან შედარებით, გზის სიშორის გათვალისწინებით, ძვირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ჩანს, ხელოვნული ბარიერების, ანუ ოსმალური საბაჟო სისტემისა და მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით, დასავლეთ საქართველოში იმპორტული საქონელი საკმაოდ ძვირად ფასობდა, ხოლო ადგილობრივი, თუნდაც მაღალი ხარისხის საექსპორტო პროდუქცია – ძალიან იაფად.

---

[465] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 123-124.
[466] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 169.
[467] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 110-111.
[468] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 169-170.

მოცემული ვითარება ცხადადაა ასახული წყაროებში. მაგალითად, შარდენი გადმოგვცემს, რომ „ანაკლიაში ცხოვრების დროს საჭმელის ნაკლებობა არ განმიცდია. ფრინველის, გარეული მტრედების, ღორისა და თხის შოვნა შეიძლებოდა. ჩემი მსახურები ყოველივე ამას იღებდნენ ტილოს, ნემსების, საკმეველის, სავარცხლების და დანების სანაცვლოდ. სურსათი საკმაოდ იაფი იყო. ღვინო უხვად გვქონდა... მხოლოდ პური გვაკლდა. ანაკლიაში ცხოვრობდა ერთი წარჩინებული ქალბატონი... მას მცირედი საჩუქარი მივართვი. მადლობის ნიშნად და კიდევ ახალი საჩუქრების მისაღებად ეს ქალბატონი ყოველდღიურად მიგზავნიდა ნახევარ გირვანქა პურს სხვა სურსათთან ერთად. მაგალითად, ერთხელ გამომიგზავნა გარეული ღორი, მეორედ – ცვილის ნაჭერი, შემდეგ თაფლი, ხოხობი. მიგზავნიდა რა ამ მოსაკითხებს, ყოველდღე მთხოვდა რაიმე წვრილმანს, დანას, მაკრატელს, ბაბთას, ქაღალდს...“.[469]

შარდენის აღნიშნული ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივი პროდუქცია ძალიან იაფი ყოფილა, ხოლო იმპორტირებული ხელოსნური და მანუფაქტურული ნაწარმი – ძალიან ძვირი.

ერთ ადგილას შარდენი იმპორტული პროდუქციის ფასების შესახებ, უფრო დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის, მისი გადმოცემით: „მსახურმა... ძღვენი ამ ხალხს გადასცა. იგი შედგებოდა გენუის მაკარონისაგან, ბაფთების, ქაღალდის, ნემსების, დანების ქარქაშებისა და საკმაოდ ლამაზი მაკრატლისაგან. ყველაფერი ეს ღირდა ოცდასამი თუ ოცდაოთხი ფრანკი. მაგრამ სამეგრელოში იგი სამოც ფრანკზე მეტი ეღირებოდა“.[470] როგორც ვხედავთ, უცხოური ხელოსნური და მანუფაქტურული ნაწარმი სამეგრელოსა და, ცხადია, მთლიანად დასავლეთ საქართველოში თვითღირებულებაზე დაახლოებით სამჯერ უფრო ძვირად ფასობდა.

როგორც ხორბლის ფასის განხილვამ გვიჩვენა დასავლეთ საქართველოში ხორბალი, ქართლთან შედარებით, ორჯერ ძვირად ფასობდა. ირან-ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს განაწილებით და ოსმალური საბაჟო სისტემის საშუალებით, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება იმდენად იყო გაყოფილი, რომ მეზობელ ქართლსა და იმერეთს შორის, ხორბლის ფასი ერთი-ორად განსხვავდებოდა. ცხადია, აღმოსავლეთ საქართველოდან ხორბლის ექსპორტი დასავლეთ საქართველოში შეზღუდულად ხორციელდებოდა და საბაჟო ბარიერები მის ფასს აორმაგებდა.

ჩვენ არ გვაქვს ამ ეპოქის დასავლეთ საქართველოში მთავარი მარცვლეული პროდუქტის – ღომის – ფასის შესახებ ცნობები, თუმცა, ცხადია, რომ მისი ღირებულება დაბალი იქნებოდა.

როგორც ვხედავთ, ოსმალთა სავაჭრო მონოპოლიის პირობებში, დასავლეთ საქართველოს საექსპორტო პროდუქცია ძალზე იაფად იყიდებოდა, ზოგიერთი პროდუქტი საერთოდ არ გადიოდა ქვეყნიდან. ოსმალურმა სავაჭრო იზოლაციამ განაპირობა განსახილველი პერიოდის დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი პროდუქციის ალოგიკურად დაბალი ფასები. სწორედ მოცემული გარემოება ახალისებდა „ტყვეთა სყიდვას“. რომ არა სავაჭრო იზოლაცია, ადგილობრივი ფეოდალები თუ სხვა ფენის წარმომადგენლები საკუთარ შემოსავლებს მნიშვნელოვნად შეავსებდნენ, თუნდაც ცხე-

[469] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 216.
[470] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 221.

ნების ექსპორტით – ნორმალურ პირობებში საშუალო ღირსების ცხენს თითქმის იგივე ან უფრო მეტი ფასი ჰქონდა, რამდენსაც ოსმალები იხდიდნენ მოტაცებულ ტყვეებში.

შეიძლება დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ ადგილობრივი საკვები პროდუქციის სიიაფეს ხელი უნდა შეეწყო მოსახლეობის იოლი ცხოვრებისათვის, მაგრამ ეს ასე არ იყო. ჯერ ერთი, ოსმალური ხარკი, ფეოდალური თუ სახელმწიფო ფულადი გადასახადები მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობის ქვედა ფენებს და, რაც მთავარია, მარილი და სხვა პირველადი მოხმარების იმპორტული პროდუქცია ძალიან ძვირი ღირდა. შესაბამისად, იაფი ადგილობრივი პროდუქციის პირობებში, მოსახლეობას თავის გატანა ძალიან უჭირდა.

როგორც აღინიშნა, მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელი იყო უცხოეთიდან შემოტანილი ძვირად ღირებული ხელოსნური და მანუფაქტურული ნაწარმი. უცხოელი ავტორები ადგილობრივთა სიღარიბის საჩვენებლად ხაზს უსვამდნენ მოსახლეობის ტანისამოსს. შარდენის ცნობით, ქვედა ფენის წარმომადგენლები „ზამთარში ატარებენ ბეწვის ქუდს. ისინი ისეთი საწყალობელნი და გაჭირვებულნი არიან, რომ წვიმის დროს არახჩინს ან ქუდს ჯიბეში იდებენ, რომ არ გაუფუჭდეთ... ტანზე აცვიათ პატარა, მუხლებამდე ჩამოშვებული პერანგი, რომელიც ვიწრო შარვალში აქვთ ჩატანებული. უარესი ჩაცმულობა ქვეყნიერებაზე არ არსებობს... ღარიბი ხალხი თითქმის შიშველი დადის... უმრავლესობა სხეულის დასაფარად მხოლოდ მდარე ხარისხის ნაბადს ატარებს... თითქმის ყველა ფეხშიშველი დადის...“.[471]

ვინაიდან ზოგიერთი ადგილობრივი პროდუქტი საერთოდ არ გადიოდა ექსპორტზე, ხოლო რაც იყიდებოდა – ცვილი, თაფლი, ხე-ტყე, ტყავი და სხვა – იმდენად იაფად, რომ მოსახლეობას აქედან მიზერული შემოსავალი რჩებოდა. ასეთ პირობებში ადგილობრივ ბაზარზეც აღარ იყიდებოდა ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია – ლამბერტი ხაზგასმით აღნიშნავს: „რაც შეეხება ჩვეულებრივ სანოვაგეს, რომელიც ყველას მუდამ ესაჭიროება, მისი არც მყიდველი და არც გამყიდველი არ მოიპოვება, რადგან დიდებულისათვის მათ ყმებს მუდამ დღე მოაქვთ ყოველივე საჭირო სანოვაგე. სხვა წოდების ხალხიც არ ყიდულობს სანოვაგეს, რადგან, რაც სჭირია, ყოველივე სახლში აქვს, მაგალითად, ყველი საკუთარი ძროხისგან აქვს, მწვანილი თავის ბახჩიდან, კვერცხები თავის ქათმებისაგან, და თუ ხორცი უნდა, დაჰკლავს თავის ძროხას, ღორს, ქათმებს, ყვერულებს და ცხვრებს. ამრიგად ყოველ დღე რაც ესაჭიროება უყიდლად აქვს“.[472]

მართლაც, თუ XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის საგადასახდო დავთრებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ, საშუალოდ, ერთი კომლი გლეხი ბატონყმურ გადასახადს იხდიდა შემდეგი ოდენობით: დაახლ. ერთ ურემ ღომს, ერთ ან ორ საკლავს, ზოგიერთ შემთხვევაში, ძროხას, რამდენიმე ქათამს, რამდენიმე კოკა ღვინოს და აშ.[473] ჩანს, სურსათ-სანოვაგის მხრივ, დასავლეთ საქართველოში არათუ სავალალო მდგომარეობა იყო, არამედ მოსახლეობას ჭარბი პროდუქციაც ჰქონდა, პრობლემას წარმოადგენდა მისი რეალიზაცია და იმპორტირებული პირ-

[471] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 119.
[472] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 167.
[473] იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 279-342, 358-480.

ველადი საჭიროების ნივთების (ტანისამოსის, სამეურნეო და საბრძოლო იარაღის, მარილის და ა.შ.) სიძვირე.

როგორც ტანისამოსის ფასების განხილვამ გვიჩვენა, თანადროული პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში ქვედა ფენების სამოსი არცთუ ხელმიუწვდომელი ყოფილა და დაახლოებით 1-2 ცხვრის, ანდაც ძროხის მეოთხედი ფასით, შესაძლებელი იყო მისი შეძენა. თუ გავითვალისწინებთ, უცხოელი ავტორების ხაზგასმას და საგადასახადო დავთრების მონაცემებს დასავლეთ საქართველოში შინაური პირუტყვის სიმრავლის შესახებ, ცხადი გახდება, რომ ნორმალურ ვითარებში მოსახლეობისათვის მინიმალური ტანისამოსის შეძენა განსაკუთრებულად პრობლემატური არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ შექმნილი სპეციფიკური ეკონომიკური ვითარება იწვევდა საყოველთაო სიდუხჭირეს. ზოგადი ეკონომიკური დეგრადაციის ფონზე, ფეოდალები, მათთვის შესაფერისი პირობების შესაქმნელად, კიდევ უფრო აძლიერებდნენ ყმა-გლეხებზე ზეწოლას, რის ფონზეც მდგომარეობა რთულდებოდა.

სწორედ შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა აიძულებდა მოსახლეობას, დამატებით შემოსავლებზე ეზრუნა. ასეთ საშუალებად კი იმ დროს, ოსმალური ეკონომიკური პოლიტიკის გამოისობით, მხოლოდ ტყვეების გაყიდვა რჩებოდა. ამ ვითარებას დეტალურად აღწერენ უცხოელი ავტორები. შარდენის თქმით, „ყოველწლიურად სამი ათასი კაცი მიჰყავთ კონსტანტინოპოლში, სადაც მათ ქსოვილებზე, იარაღსა და სხვა საქონელზე ცვლიან“.[474]

მოცემულ რეალობას ზუსტად ეხმაურება XVII საუკუნის I მესამედში მამია გურიელის მიერ დადებული ფიცი „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვასთან დაკავშირებით. დავით გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოდან გურიაში მივლინებული ბესარიონი გურიელს „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვას სთხოვდა. გურიელი კი აღნიშნავდა: „დღეის ამას აქეთ, ჩვენთვის საქონლად და სასარგებლოდ, რომ მოიხმარებოდეს ან სასმელ-საჭმელში და ჩვენ აღარ გავსყიდით... რაც ხვანთქარისა და ვეზირისა მართებულება და საგრძნობელი შემოგვივარდეს, რომ მტრისაგან არ ვიჩაგრებოდეთ ან ქვეყნის შემოსავლები საქმე მოგვიხდეს თვარა მას გარეთ ეს ასე გაგითაოთ ამ ქვეყნის ტყუეზედ“.[475]

როგორც ვხედავთ, გურიელის განცხადებით, ტყვეები იყიდებოდა სხვადასხვა საჭიროებისათვის და ოსმალური ხარკისათვის. ის პირობას დებდა, რომ ტყვეებს პირადი საჭიროებისათვის აღარ გაყიდდნენ, მაგრამ იმავე პირობას ვერ იძლეოდა ოსმალური ხარკის, „ხვანთქრისა და ვეზირის მართებულების“ შემთხვევაში.

სწორედ მოცემული ვითარების სიმძიმეს ითვალისწინებდა სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.), როდესაც ევროპასთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზის აღდგენას ცდილობდა. მას სურდა, რომ ადგილობრივი აბრეშუმი და სხვა საქონელი ვენეციელ ვაჭრებს გაეტანათ სამეგრელოდან. მისი პროექტით, თუ აღნიშნული გზა ამოქმედდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა, შედარებით იაფად ირანული პროდუქციის ევროპაში გადაზიდვაც. ხოლო, რომის პაპ ურბან VIII-თან გაგზავნილი წერილით ევროპიდან შალისა და აბრეშუმის მქსოველი ხელოსნების გამოგზავნას ითხოვდა, რომლებიც ადგილობრივებს შესაბამის ხელობას ასწავლიდნენ.[476]

---

[474] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 123.
[475] მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო XVIII საუკუნეში. თბ. 1982, გვ. 314.
[476] ილ. ანთელავა. ლევან II დადიანი. თბ. 1990, გვ. 111-117.

ლევან დადიანის წამოყენებულ პროექტს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ის არ შემოიფარგლებოდა უბრალო სავაჭრო ურთიერთობებით. სწორედ მსგავს პროექტს შეეძლო მოცემული იზოლაციის დაძლევა, მაგრამ იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, აღნიშნულ წამოწყებას შედეგი არ მოუტანია.[477]

XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით, დასავლეთ საქართველოში პროდუქციის ფასების განხილვა შემდეგი დასკვნის საფუძველს იძლევა – XVI საუკუნის შუა ხანებიდან აშკარაა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების კლების ტენდენცია, მისი უკიდურეს ნიშნულამდე დაყვანა და იმპორტული, პირველადი მოხმარებისათვის საჭირო საქონლზე ფასების ზრდა. ყოველივე ეს დაკავშირებული იყო ოსმალეთის პოლიტიკასთან. პროცესი მყარდებოდა დასავლეთ საქართველოს მეზობლად ოსმალეთის იმპერიის გაბატონების კვალდაკვალ და ამავე საუკუნის ბოლო მეოთხედში უკვე ჩამოყალიბებული სახე მიიღო. შექმნილი ეკონომიკური რეალობა გაგრძელდა XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში. იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობამ ფართო ხასიათი მიიღო და მის შესუსტებას ადგილობრივი ხელისუფლება ვეღარ ახერხებდა, სწორედ მოცემული ეკონომიკური ვითარება განაპირობებდა.

პროდუქციის ფასები XVIII საუკუნის II ნახევრის დასავლეთ საქართველოში

ოსმალეთის სახელმწიფომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრეებში მნიშვნელოვანი რაოდენობის სამხედრო ძალები განალაგა. თუ XVIII საუკუნის დასაწყისში ოსმალური გარნიზონები მხოლოდ ქუთაისისა და სოხუმის ციხეებში იდგნენ, 1723 წლიდან დაიკავეს ციხისძირის, ქობულეთის, სეფის, გროგოლეთისა და ანაკლიის ციხეები. გაამაგრეს ბათუმის, ჩაქვის, ფოთის, ბიჭვინთისა და ანაკოფიის ციხეები. გაიზარდა ჯარისკაცთა რაოდენობა ქუთაისის (500 იანიჩარამდე) და ბაღდადის ციხეებში (100 იანიჩარამდე). საერთო ჯამში დასავლეთ საქართველოში რამდენიმე ათასკაციანი ჯარი იდგა. ოსმალური გარნიზონები, ძირითადად, ქართველი მაჰმადიანებისაგან შედგებოდა. მეციხოვნეებსა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას შორის, აქტიური სავაჭრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა.[478] ციხეებში მდგარი გარნიზონებისათვის საჭირო გახდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან პურის, ხორცპროდუქტებისა და სხვა საკვების შეძენა. ჯარის გამოკვების აუცილებლობიდან გამომდინარე, გარკვეულწილად დაირღვა ოსმალეთის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის არსი – ოსმალები ტყვეების გარდა, მოსახლეობისაგან, ამჯერად, უკვე საკვებ პროდუქტებსაც იძენდნენ.

---

[477] აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლევან დადიანის მიერ ჩხარისა და ჩიხორის ებრაელი და სომეხი ვაჭრების აყრით და მათი რუხში ჩასახლებით სამეგრელოს სამთავროს ეკონომიკური მდგომარეობა დროებით უმჯობესდებოდა, მაგრამ ამით მძიმდებოდა ზოგადი ვითარება, რადგან იმერეთის აღმოსავლეთით არსებული მცირე სავაჭრო პუნქტების განადგურება კიდევ უფრო ასუსტებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ისედაც შემცირებულ სავაჭრო კონტაქტებს.

[478] ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო XVIII ს. I ნახევარში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 455-464.

ამდენად, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, დასავლეთ საქართველოში ოსმალური გარნიზონების შეყვანა თუ რაოდენობის გაზრდა მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაზე დადებითად აისახა და ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ღირებულებამ მოიმატა. XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში შედგენილ ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია: „ერთი კარგი ხარი, – თორმეტ მარჩილათ თათარმა გამოითხოვა“.[479] მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საუკეთესო ხარის ღირებულებასთან, თანაც აღნიშნულ პერიოდში მარჩილის წონაც შემცირებული იყო, წინა პერიოდის ფასებთან შედარებით, მნიშვნელოვანი მატება შეიმჩნევა.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, დასავლეთ საქართველოს ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, კვლავ მძიმე რჩებოდა. ოსმალური გარნიზონების ქვეყანაში შესვლით თუ, ერთი მხრივ, გარკვეულ პროდუქციაზე ფასები იმატებდა, მეორე მხრივ, იგივე ძალა „ტყვეთა სყიდვისა“ და ოსმალური ხარკის შეკრების გარანტორად გამოდიოდა. შესაბამისად, დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ვითარება „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვისა და ქვეყნის პოლიტიკური გათავისუფლების საშუალებას არ იძლეოდა.

ეკონომიკურად ჩიხში შესული დასავლეთ საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა XVIII საუკუნის შუა ხანებში. იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა ენერგიულმა მეფემ – სოლომონ I-მა (1752-1784 წწ.). როგორც ცნობილია, სოლომონმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ტყვეებით ვაჭრობას. 1759 წლის დეკემბრის დასაწყისში მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელსაც დადიანთან და გურიელთან ერთად, დასავლეთ საქართველოს ყველა დიდი ფეოდალი ესწრებოდა. საეკლესიო კრების დადგენილებით „ტყვეთა სყიდვა“ სასტიკად იკრძალებოდა, ამ საქმის მიმდევრებს ეკლესია შეაჩვენებდა, ხოლო საერო ხელისუფლება სიკვდილით დასჯიდა.[480] მართალია, XVIII საუკუნის II ნახევარში ტყვეებით ვაჭრობის სრულად აღმოფხვრა ვერ მოხერხდა, თუმცა სამეფო ხელისუფლებამ ხელშესახებ შედეგს მიაღწია და მნიშვნელოვნად შეკვეცა მისი მასშტაბები.

საინტერესოა აღნიშნული პოლიტიკური კურსის ეკონომიკური ასპექტების გაანალიზება. როგორც ზემოთ დავინახეთ, XVI საუკუნის II ნახევრიდან XVIII საუკუნის I ნახევრის ჩათვლით, დასავლეთ საქართველოში არსებული სპეციფიკური ეკონომიკური ვითარება ძალზე ართულებდა „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვას. ვნახოთ, რა შეიცვალა ამ კუთხით XVIII საუკუნის II ნახევარში.

გარდა იმისა, რომ დროთა განმავლობაში, ოსმალეთის სახელმწიფო ძალას კარგავდა, რაც ეკონომიკური მარწუხების შესუსტებას განაპირობებდა, ამ პერიოდში ცვლილება განხორციელდა ქართლ-კახეთში, რასაც, როგორც აღმოჩნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისათვის. ვინაიდან XVIII საუკუნის შუა ხანებში ქართლი და კახეთი ირანის ბატონობისაგან გათავისუფლდა, დაირღვა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ირან-ოსმალეთის განაწილების უკვე ტრადიციულად ქცეული სურათი. დასავლეთ საქართველოს

[479] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 457-458.

[480] ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 641.

მეზობლად, ამჯერად, ირანისაგან დამოუკიდებელი ქართლ-კახეთი იყო, რასაც ლოგიკურად უნდა გამოეწვია ეკონომიკური იზოლაციისაგან თავის დაღწევა.

როგორც ცნობილია, ქართლისა და კახეთის მეფეებმა, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ მჭიდრო სამხედრო პოლიტიკური კავშირი დაამყარეს სოლომონ I-თან, რაც 1758 წელს გორში მეგობრობისა და ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებით გაფორმდა.[481] აღნიშნული კავშირისა და შეთანხმების პარალელურად, სოლომონი დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ტყვეებით ვაჭრობას. ამავდროულად, როგორც წყაროებიდან ირკვევა, დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური გათიშულობა წარსულს ჩაბარდა. XVIII საუკუნის II ნახევრის საბუთებში აღარ იხსენიება „ტყვის ბაჟი". ცხადია, აღმოსავლეთ საქართველოში სრულად აიკრძალა იმერეთიდან ტყვეების გადაყვანა. მართალია, ჩვენ არ გაგვაჩნია XVIII საუკუნის შუა ხანების საბაჟო გადასახადების შესახებ დაწვრილებითი მონაცემები, თუმცა საუკუნის მიწურულის საბაჟო ტარიფებიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოდან დიდი რაოდენობით პროდუქცია შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოში. რუსეთის მოხელეების მიერ 1801 წელს შედგენილი საბაჟო ტარიფის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, სრულად ასახავს XVIII საუკუნის II ნახევრის რეალობას, თბილისში იმერეთიდან შედიოდა სხვადასხვა საქონელი და, რაც მთავარია, მოქმედებდა მფარველობითი საბაჟო ტარიფი – თუ ირანიდან და ოსმალეთიდან შეზიდული საქონელი იბეგრებოდა 10%-ით, იმერეთიდან – 5%-ით; შელავათი იყო დაწესებული თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გატანილ პროდუქციაზე და ამ შემთხვევაში, ბაჟის ოდენობა 4%-ით შემოიფარგლებოდა, მაშინ როდესაც ირან-ომალეთში გატანილი პროდუქცია 15%-ით იბეგრებოდა.[482]

კიდევ უფრო მეტი შეღავათი არსებობდა იმერული საქონლის შიდა ქართლში რეალიზაციის შემთხვევაში. გორში დასავლეთ საქართველოდან შეტანილ პროდუქციაზე ბაჟი 2%-ით განისაზღვრებოდა,[483] ხოლო ადგილობრივის მიერ მიტანილი იმერული საქონელი საერთოდ გათავისუფლებული იყო საბაჟო გადასახადისაგან.[484]

წყაროებით დასტურდება, რომ ქართლსა და იმერეთს შორის სავაჭრო ქარავნები თითქმის ყოველდღე მოძრაობდნენ. სურამის აღწერისას, იაკობ რაინეგსი გადმოგვცემს, რომ ის „ერთადერთი ქალაქია იბერიასა (იმერეთს – ა.თ.) და ქართლს შორის, ამიტომ იქ საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობაა".[485] პ. ციციანოვი აღნიშნავდა, რომ სავაჭრო ქარავნები ქართლსა და იმერეთს შორის, თითქმის ყოველდღე მიმოდიოდნენ.[486]

XIX საუკუნის დასაწყისში რუსი მოხელეების ჩვენებებიდან კარგად ჩანს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სავაჭრო კავშირ-ურთიერთობების ინტენსივობა – საკარანტინო სამსახურის ინსპექტორი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ ხოვენისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ „...ბევრი ისეთია, რომ ქალაქ ქუთაისიდან და იმერეთიდან მიმოდიან სოფლებში, ეწევიან ვაჭრობას, არიგებენ ფულს, და

[481] ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან, გვ. 639.
[482] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 189-197.
[483] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 195.
[484] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 52.
[485] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 148.
[486] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. II. Тифлис, 1868, გვ. 241.

თვითნებურად ჩამოდიან თბილისში“.[487] მოხელე ითხოვდა პასუხს, უნდა შეეჩერებინათ თუ არა იმერელი ვაჭრების მიმოსვლა აღმოსავლეთ საქართველოში.

საბუთებში ვხვდებით, ასევე იმერული ღვინის და სხვა პროდუქციის აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური შეზიდვის ფაქტებს. 1802 წლის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ ქალაქ გორში „ჩამოსულთაგან აქ დუქნები არავის არ აქვს, გარდა იმერლებისა“.[488]

XIX საუკუნის 10-იან წლებში თბილისის პოლიცმეისტერი იოსებ შაგუბატოვი დეტალურად აღწერს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ვაჭრობას. მისი გადმოცემით, თბილისიდან დასავლეთ საქართველოში შეჰქონდათ „აბრეშუმისა და ბამბეულის სხვადასხვაგვარი საქონელი, ბამბა, მატყლი, რკინა, შაბი, ცისფერი საღებავი, ჭიაფერა, ენდრო, მარილი, ფეხსაცმლის ლანჩი, სხვადასხვა ფერის თხის ტყავი, რომლისაგან კერავენ ჩექმებს, მაღალყელიან ფეხსაცმელს და სხვა, ცხენის მოსართავი, ლარი, ბრინჯი, ხახვი, შაქარი, ჩაი, გამოყვანილი და შებოლილი სხვადასხვა ხარისხის ზურგიელი, ხიზილალა და სხვა“; დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში კი შედიოდა „მელიის, კვერნის, თეთრყელიანი, იშვიათად კი შავი მელიის, წავის, თახვის ბეწვი და მუსკუსი, ნედლი აბრეშუმი და აბრეშუმის ნართი, სხვადასხვა ფერის ვიწრო და იშვიათი თაფთა, რომელსაც ართავენ კანაფისაგან, ცვილი, ცუდი ხარისხის სპილენძი, ცხვრის ტყავი, სქელი და იშვიათი ტილო, სელის სქელი ძაფი, გამოყვანილი და შებოლილი ზურგიელი, ხილიდან მხოლოდ წაბლი შემოდიოდა, რითაც მდიდარია იქაური ტყეები“.[489]

აღნიშნული ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში იმერეთიდან გადმოჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც, რისი დამადასტურებელი ცნობები საბუთებშია დაფიქსირებული. მაგალითად, XIX საუკუნის დასაწყისის ანგარიშის წიგნში დავით თარხნიშვილი გორში გაწეული საქმიანობის შესახებ აღნიშნავდა: „... ქ. ორი იმერული ხარი გავყიდე ორ თუმნად, რვა კოდ ქერად, ქერი შინ დაიხარჯა, თეთრი გორს“.[490] როგორც ვხედავთ, შიდა ქართლში იმერეთიდან გადმოყვანილი ხარები იყიდებოდა და ფასიც შესაბამისი ჰქონია (1 თუმანი და 4 კოდი ქერი, ანუ ჯამში, დაახლ. 1 თუმანი და 2 მინალთუნი).

საბუთებიდან ირკვევა XVIII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ინტენსიური კავშირები თბილისსა და, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოსთან. იმერეთის და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებიის ყველა ფენის წარმომადგენლები აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ.[491] ინტეგრაცია იმდენად შორს წასულა, რომ იმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადასული მოსახლეობის ჩადენილ კანონდარღვევებზე საეკლესიო დიკასტერიას სპეციალური განკარგულებაც კი გამოუცია. როგორც 1784 წლის 1 ნოემბრის დიკასტერიის მიერ ნეკრესელი ეპისკოპოსისადმი გაგზავნილი უწყებიდან ირკვევა, „იმერელნი და სხვანი უცხოს ქუეყნიდამ გარდმოცვივნულნი იქ თავეანთ ქუეყანას სჯულიერს

[487] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 54.
[488] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 51.
[489] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 29-30.
[490] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 363.
[491] იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 8-13.

მეუღლეს და შვილებს უშვებენ და აქ ჩვენს ქუეყანაში სხვას ცოლს ირთავენ“. პროცესი იმდენად შორს წასულა, რომ დიკასტერიას მის აღსაკვეთად სპეციალური ზომები მიუღია.[492]

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის II ნახევარში აღდგა სრულფასოვანი კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. ამ ფონზე, საინტერესოა, როგორ შეიცვალა დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი პროდუქციის ფასები.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასავლეთ საქართველოში არსებული ფასების შესახებ, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გიულდენშტედტი. მისი გადმოცემით, ხონის ბაზარზე იყიდებოდა შემდეგი საქონელი:

„რუხი და შავი უხეში მაუდის ჩოხები და ნაბდები, რომლებიც შემოაქვთ ბასიანიდან და დუგორიდან, ონის გზით.

ბამბის, წითელი და ცისფერი უხეში ქსოვილები შარვლებისათვის, პერანგებისა და ქალთა ზედატანისათვის და სახიანი ბამბის ქსოვილები ქვედატანისათვის თბილისის ფაბრიკებიდან.

თეთრი, უხეში, 3/4 არშინის სიგანის ბამბის ქსოვილი, რუსული წყრთა 8 კაპიკად.

ცუდი, 3/4 წყრთის სიგანის, ალისარჩულით შეღებილი თავთა, წყრთა 25 კაპ.. ის აქ მზადდება პერანგებისა და შარვლებისათვის.

ჭრელი არშიები ევროპული ტილოსი, წყრთა 5 კაპ. მათ იყენებენ წინდების მოსაჭერად. ადგილობრივი რუხი მაუდის ქუდები, 20 კაპიკად.

ერთვედრიანი სპილენძის ქვაბი, თითო 3 მანეთად.

სპილენძის საყვირები, თითო 4 მანეთად.

ზღვის მარილი ყირიმიდან – ფოთზე გამოვლით, ფუთი 2 კაპიკი.

დამარილებული ზურგიელი ფოროჯისა (ადრე ფოთიდან, ახლა სალიანიდან და თბილისიდან), ცალი 40 კაპ.

ცხვრები პატარა კუდებით, ურქებოდ; თითო 1 მან. 20 კაპ.

კანაფის თოკი და ხის ჯამები, ამის გარდა აქაური ცხენები, თითო 30-დან 40 მანეთამდე და ზოგი სხვა საგნებიც“.[493]

ვიდრე უშუალოდ ფასებს შევეხებოდეთ, ხონის ბაზარზე გაყიდული საქონლის ადგილწარმოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. როგორც გიულდენშტედტის ცნობებიდან ჩანს, XVIII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოში ტანისამოსისათვის საჭირო ქსოვილები და სხვა საქონელი თბილისიდან, ასევე ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ, ბასიანიდან (ანუ ბალყარეთიდან) და დუგორიდან შედიოდა. აღნიშნული ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკური თავისუფლების და ერეკლე II-ის მფარველობითი საბაჟო ტარიფის წყალობით, დასავლეთ საქართველოსათვის ეკონომიკური იზოლაცია დასრულდა. ასეთ პირობებში აზრს კარგავდა ოსმალეთის დაწესებული მაღალი საბაჟო გადასახადები, რადგან, მაგალითად, მარილი უკვე აღმოსავლეთ საქართველოდან შედიოდა იმერეთში.[494] შესაბამისად, ყირიმიდან შეტანილი ზღვის მარილი უკვე საკმაოდ იაფი ჩანს.

---

[492] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 949-950.

[493] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 153-155.

[494] ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მარილის ქართლიდან შეტანას ადასტურებს როგორც შაგუბატოვის ზემოთ მოყვანილი ცნობა, ისე გიულდენშტედტიც. იხ.: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 107.

რაც შეეხება ფასებს, ყურადღებას გავამახვილებთ ცხვრისა და ცხენის ფასზე. ეს კი საშუალებას მოგვცემს, გიულდენშტედტის დასახელებული ფასები შევადაროთ XVI-XVII საუკუნეებისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ფასებს.

ხონის ბაზარზე ცხვრის ფასი ყოფილა ერთი რუსული მანეთი და 20 კაპიკი, რაც 6 აბაზის, ანუ დაახლ. 17,5 გრამი ვერცხლის ტოლფასია. როგორც ვნახეთ, XVI საუკუნეში და, სავარაუდოდ, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისშიც ცხვრის ფასი იყო 7 გრამი ვერცხლი. 1770 წლისათვის მისი ფასი 2,5-ჯერ გაზრდილა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში ცხვარს დაახლოებით ანალოგიური ფასი ჰქონდა.

რაც შეეხება ცხენს, გიულდენშტედტის ცნობით, მისი ფასი 30-40 მანეთი (3-4 თუმანი), ანუ 435-580 გრამი ვერცხლი ყოფილა. XVIII საუკუნის II ნახევრის დასავლეთ საქართველოში ცხენის ფასი, წინა ეპოქის ფასთან შედარებით (65-135 გრამი ვერცხლი), მნიშვნელოვნად გაზრდილა.

საინტერესო ცნობების შემცველია 1808 წლის სოლომონ II-ის მიერ დაწესებული ფასების ნიხრი. მნიშვნელოვანია თვით ის ფაქტი, რომ აღნიშნული დოკუმენტის შედგენის წინაპირობა გამხდარა ადგილობრივი პროდუქციის გაძვირება. მეფეს სიძვირის გამო, პირველადი მოხმარების საქონელზე ზღვრული ფასები დაუწესებია. 1808 წლის ნიხრების მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო პროდუქციის ფასები ასე გამოიყურებოდა:

„...ქ. პური ორი ბათმანი – ერთი ქილა ორ რუბათ.

ქ. ღომი ორი ბათმანი ორ რუბად...

ქ. ხარი დიდი და მსუქანი ოც მარჩილათ. მაზე ნაკლები თხუთმეტ მარჩილათ, გახედნილი ხარი თორმეტ მარჩილათ, და უნცროსი თერთმეტად. სამი წლის ხარი ათ მარჩილათ, ამაზე ნაკლები რვათ, შვიდათ და ექვსად და წლის ოთხად. ზროხა დიდი და მსუქანი ხფოიანი თორმეტ მარჩილათ და უხფოო ძროხა დიდი და მსუქანი ათად, ამაზე ნაკლები ცხრად, რვად და შვიდათ და უშობელი ექვსად და წლის ხფო ოთხათ. მსუქანი და ნაკლი ათ რუბათ.

ქ. ცხვარი ორი წლის მსუქანი ას ფარად და ნაკლები ორ ყურუშათ და კრავი ოთხისა და სამი თვისა მარჩილათ.

ქ. თხა ვაცი დიდი და მსუქანი ათ რუბათ, ნეზვი დიდი და მსუქანი ფლურად, მაზე ნაკლები ორ ყურუშათ და წლის მარჩილათ.

ქ. ღორი დიდი და მსუქანი ათ რუბათ, გოჭი ორი და სამის თვის რუბათ და ნაკლები ათ ფარად...“.[495]

საკმაოდ რთულია დოკუმენტში მოხსენებული ოსმალური ფულადი ერთეულების რაობის დადგენა. იმავე დოკუმენტის გვიანდელი მინაწერის მიხედვით, რუბი 10 ფარის ტოლია. მ. ანთაძე აღნიშნულ მინაწერზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ რუბი 1/4 ყურუში, ანუ ათფარიანი უნდა იყოს.[496] მოცემული დოკუმენტის კონტექსტიდან ვიგებთ, რომ რუბი 10 ფარაზე მეტია. მაგალითად, ღორის ფასის შესახებ აღნიშნულია: „ღორი დიდი და მსუქანი ათ რუბათ, გოჭი ორი და სამის თვის რუბათ და ნაკლები

[495] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 261-263.

[496] მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 136.

ათ ფარად“. აშკარაა, რომ რუბს ათ ფარაზე უფრო მეტი ღირებულება ჰქონდა. ამ მხრივ საინტერესოა გიულდენშტედტის ცნობები დასავლეთ საქართველოში მიმოქცევაში არსებული ნომინალების წონისა და კურსის შესახებ. მისი ცნობით, თბილისური აბაზი 16 ფარის ტოლფასია, ხოლო შაური – 4 ფარის.[497] აღნიშნული მონაცემის მიხედვით, 10 ფარა თბილისში მოჭრილი 2,5 შაურის ეკვივალენტურია. თუმცა იგივე ავტორი ათფარიან მონეტას (1,5 დრაქმის წონის) 20 კაპიკის ტოლფასად მიიჩნევს.[498] როგორც ჩანს, ათფარიანი მონეტა 4 შაურს (ანუ 1 აბაზს) უდრიდა. ერთი სიტყვით, რუბი უნდა აღნიშნავდეს არა 10 ფარას, არამედ ათფარიან (სავარაუდოდ, ადრე მოჭრილ) მონეტას, რომელიც 1 თბილისური აბაზის ტოლფასი ყოფილა.

დოკუმენტის მიხედვით, გამორჩეულად დიდი და მსუქანი ხარი 20 მარჩილი ღირდა, ხოლო უფრო მცირე ზომის – შედარებით ნაკლები. ხარის საშუალო ფასი 12-15 მარჩილი ყოფილა. მარჩილი 3 აბაზს, ხოლო 12-15 მარჩილი 36-45 აბაზს უდრიდა, რაც დაახლ. 105-130 გრამი ვერცხლის ტოლფასი იყო. როგორც ვხედავთ, 1808 წლისათვის, XVI საუკუნის II ნახევრისა და XVII საუკუნის ფასთან შედარებით, ხარი დაახლოებით 2,5-ჯერ გაძვირებულა.

ძროხა საშუალოდ, 8 მარჩილი, ანუ დაახლ. 70 გრამი ვერცხლი ღირდა. წინა ეპოქასთან შედარებით, ძროხის ფასი დასავლეთ საქართველოში დაახლოებით 3-ჯერ გაზრდილა.

ცხვარი 100 ფარა, ანუ 6,25 აბაზი ღირდა, რაც დაახლ. 18 გრამი ვერცხლის ტოლფასია (როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ცხვრის ფასი 6 აბაზი იყო). გამორჩეულად დიდი თხა კი 10 რუბი (10 აბაზი), ანუ 29 გრამი ვერცხლი ღირდა. ანალოგიური ფასი ჰქონდა ღორსაც.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოშიც ანალოგიური ფასი ჰქონდა ზემოთ დასახელებულ პროდუქციას.

2 ბათმანი ხორბალი იმერეთში ღირდა 2 რუბი, ანუ 2 თბილისური აბაზი (5,8 გრამი ვერცხლი). დასავლეთ საქართველოში ბათმანი იწონიდა 7,3 კილოგრამს,[499] ხოლო ორი ბათმანი – 14,6 კილოგრამს. შესაბამისად, კილოგრამი ხორბლის ღირებულება ყოფილა დაახლ. 0,40 გრამი ვერცხლი. იმავე ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხორბალს ანალოგიური ფასი ჰქონდა.

ისიც აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ღომსა და ხორბალს თანაბარი ფასი ჰქონია, რაც მიანიშნებს ფაქტზე, რომ ხორბალი ქართლ-კახეთიდან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შედიოდა დასავლეთ საქართველოში.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში, წინა ეპოქასთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია 2,5-3-ჯერ გაძვირებულა, ხოლო ხორბალი, მარილი და სხვა იმპორტირებული პირველადი მოთხოვნილების საქონელი გაიაფებულა. ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველომ თავი დააღწია ოსმალეთის ეკონომიკურ იზოლაციას, აღდგა სრულფასოვანი კავშირი ქართლ-კახეთთან, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაზეც აისახა. შექმნილი ეკონომიკუ-

[497] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 287.
[498] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 286.
[499] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 69.

რი ვითარება, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებდა ტყვეებით ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის აღდგენა დადებითად მოქმედებდა, ზოგადად, ეკონომიკის განვითარებაზე. XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში დასავლეთ საქართველოში შეინიშნება საქალაქო ცხოვრების განვითარებაც – თუ კი XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, სოლომონ I-ისა და რუსეთის ჯარის ერთობლივი ძალისხმევით ოსმალური გარნიზონისაგან ახლად გათავისუფლებულ ქუთაისში მხოლოდ 50-მდე ოჯახი ცხოვრობდა,[500] 1804 წლისათვის ქალაქში ასამდე სავაჭრო დუქანი ფუნქციონირებდა და მოსახლეობა 350 კომლს აღემატებოდა.[501] ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის მიწურულისათვის სასურველ განვითარების დონესთან მიახლოებული იყო. რა თქმა უნდა, თუნდაც აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, ჩამორჩენა ჯერ კიდევ დიდი იყო, თუმცა ფაქტია, რომ ოსმალური იზოლაციური პოლიტიკის დასრულებამ დადებითი შედეგი გამოიღო.

[500] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 139-143.
[501] მ. გონიკიშვილი. იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე. თბ. 1979, გვ. 33-34.

VII. სამხედრო შეიარაღების ფასები XI-XVIII საუკუნეების საქართველოში

ადრეფეოდალურ საზოგადოებაში სამხედრო ძალები მოსახლეობის ფართო ფენებიდან იკრიბებოდა. სიტყვა „ერი“ მოსახლეობის აღმნიშვნელიც იყო და ჯარისაც. მოცემულ პერიოდში თავისუფალი მიწისმოქმედნი შეიარაღებული ძალების ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს ქმნიდნენ. განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებაში ვითარება შეიცვალა. ჯარის აღმნიშვნელ ტერმინად „სპა“ და „ლაშქარი“ შემოდის. სამხედრო ნაწილების საფუძველს უკვე ცხენოსანი ლაშქარი წარმოადგენდა. მათი მძიმედ შეჭურვილი შეიარაღება ძვირად ფასობდა. შესაბამისად, ფეოდალურ ლაშქარს შეადგენდნენ საზოგადოების ზედა ფენები – დიდებულ-აზნაურები და გარდამავალი ფენა – მსახურები.

ფეოდალური ურთიერთობის გაღრმავების შედეგად, გლეხები მასობრივად ყმურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რა თქმა უნდა, საზოგადოების ქვედა ფენებს არ ჰქონდათ ძვირადღირებული შეიარაღება და არ ჰყავდათ საბრძოლო ცხენები. აღნიშნულმა სოციალურ-ეკონომიკურმა რეალობამ გამოიწვია მათი სამხედრო საქმისაგან დისტანცირება.[502] ერთი სიტყვით, მოქმედებდა შუა საუკუნეების ცნობილი ფორმულა – „სამღვდელოება ლოცულობს, რაინდები ომობენ, ერი მუშაობს“, რომლის მსგავსს ქართულ რეალობაშიც ვხვდებით – „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს“ – ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“.[503]

ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა გვიანფეოდალურ ეპოქაში. ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ XV საუკუნიდან „ლაშქრობა-ნადირობა“ გლეხებისათვის აუცილებელ და მოუშლელ ვალდებულებად გადაიქცა.[504] XVII-XVIII საუკუნეებში ქართველ მეფე-მთავრებს საომარი მოქმედებების დროს გლეხები მასობრივად გაჰყავდათ. ეს პროცესი, ერთი მხრივ, იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში მეფე-მთავართა განკარგულებაში მცირე ადამიანური რესურსი აღმოჩნდა,[505] მეორე მხრივ, ეჭვგარეშეა, რომ იმ ეპოქის აუცილებელი საბრძო-

---

[502] X-XIII საუკუნეებში გლეხთა მცირე კონტიგენტი, სავარაუდოდ, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობასაც იღებდა, მაგრამ მათი როლი ძალიან უმნიშვნელო იქნებოდა. გლეხებს ომებში ქვეითის და დამხმარე პერსონალის ფუნქცია უნდა შეეთავსებინათ. საკითხის შესახებ ვრცლად იხილეთ: მ. წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700). ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება. თბ. 2016, გვ. 27-84.

[503] შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ. თბ. 2009, სტრ. 11.

[504] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. II. შეადგინეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა. ბ. ლომინაძემ. თბ. 2013, გვ. 117. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. III. შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ. თბ. 2014, გვ. 66; ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1979, გვ. 156.

[505] მ. წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი, გვ. 50.

ლო შეიარაღება უნდა გაიაფებულიყო. ამასთან, იცვლებოდა საბრძოლო ტაქტიკა და საჭურველის სახეობები. გვიანფეოდალურ ეპოქაში ქვეით ჯარს მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამასთანავე, ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლა-დამკვიდრების შედეგად, მძიმე საჭურველი ნაკლებად გამოიყენებოდა.

ამჯერად, თვალი გავადევნოთ XI-XVIII საუკუნეების საქართველოში სამხედრო შეიარაღების ფასებს.

ზოგადად, შუა საუკუნეებში მეომრის აღჭურვილობა მრავალფეროვანი იყო და ძვირიც ღირდა. ფრანკთა სამეფოში ცხენოსნის სრული აღჭურვილობის ფასი 45 სოლიდს შეადგენდა, რაც 45 ძროხის საფასურს უდრიდა.[506] X საუკუნის ესპანეთში ცხენოსნის საშუალო ხარისხის შეიარაღება 250 ცხვრის ღირებულების იყო.[507]

ისევე როგორც ევროპაში, მძიმედ შეჭურვილი მხედრის შეიარაღება საქართველოშიც ძვირად ფასობდა. მეომრის შეიარაღებაში შედიოდა საბრძოლო ცხენი, სამარქაფო და საბარგო ცხენები, ცხენის აღკაზმულობა, ხმალი, ჩაბალახი, ჯაჭვის პერანგი, საბარკული, ქაფი, შუბი, ფარი, კარავი და ა.შ.[508] რკინისაგან დამზადებული იარაღი ძვირად ფასობდა, რაც აღნიშნულ ეპოქაში ამ ლითონის მაღალი ღირებულებით იყო განპირობებული.[509]

მ. წურწუმიამ ნიკორწმინდელის დაწერილისა და სხვა მონაცემების საფუძველზე, დეტალურად გამოიკვლია საბრძოლო აღჭურვილობის ფასები. როგორც ზემოთ, ხორბლის ფასის განხილვისას აღინიშნა, ავტორი ნიკორწმინდელის დაწერლში მოხსენებულ სინჯდაკლებული დრაჰკანი კონსტანტინატის, დრაჰკანი დუკატის და სხვა ოქროს მონეტების კურსს 24-კარატიანი სრულფასოვანი მონეტების ეკვივალენტად მიიჩნევს, რაც, ჩვენი აზრით, მცირედ კორექტირებას საჭიროებს. თუმცა, საერთო ჯამში, ეს დეტალი მნიშვნელოვნად არ ცვლის საჭურველის ღირებულების ოდენობას.

ავტორის შეფასებით, ცხენის აღკაზმულობა ფასობდა 3-4 ოქროდ, ხმალი – 8 ოქროდ, ჩაბალახი – 2-4 ოქროდ, ჯაჭვის პერანგი – 2 ოქროდ, საბარკული – 1 ოქროდ, ქაფი – 1 ოქროდ, შუბი და ფარი – 1-2 ოქროდ, კარავი – 3-5 ოქროდ. საერთო ჯამში, ცხენის ჩათვლით, სრული აღკაზმულობის ფასად შესაძლებელი იყო 37-44 ძროხის შეძენა. მისივე შენიშვნით, მინიმალურად აღჭურვილი ცხენოსნის შეიარაღების ფასი (ქაფის, საბარკულის, საბარგო ცხენის და კარვის გამოკლებით) 30-35 ოქრო გამოდის.[510]

ჩვენ მოცემულ ფასებში მხოლოდ მცირედ შესწორებას შევიტანთ. როგორც ზემოთ აღინიშნა, საშუალო ღირსების საბრძოლო ცხენის ფასი საქართველოში დაახლოებით, 15 დრაჰკანი უნდა ყოფილიყო და არა 8-9 ნომისმა, როგორც ამას მ. წურწუმია უთითებს, ხოლო სამარქაფო და საბარგო ცხენების ფასად სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია 6 და თუნდაც 2 ნომისმა.

---

[506] Г. Дельбрюк. История военного искусства в рамках политической истории. Т. III. Москва, 1938, გვ. 4-5.

[507] მ. წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი, გვ. 37.

[508] თავდაცვითი და შეტევითი იარაღის შესახებ იხილეთ: მ. წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი, გვ. 228-549.

[509] ჩვენ არ მოგვეპოვება კონკრეტული ცნობები X-XIII საუკუნეებში რკინის ფასის შესახებ, თუმცა, ცხადია, ისევე როგორც იმდროინდელ მსოფლიოში, საქართველოშიც ძვირი ღირდა.

[510] მ. წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი, გვ. 224-225; მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 140-147.

ამდენად, მხედრის აღკაზმულობის დასახელებულ ფასს – 37-44 ოქროს, უნდა მიემატოს საბრძოლო ცხენის ღირებულების ნაწილი – 6-7 დრაჰკანი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მ. წურწუმიას სამხედრო შეიარაღების დიდი ნაწილი დაანგარიშებული აქვს სინჯდაკლებულ კონსტანტინატებსა და დუკატებში, მათ სრულფასოვან დრაჰკანებში გადაყვანით, დაახლოებით იმავე ოდენობას მივიღებთ. ამიტომ, უცვლელად ვტოვებთ აღჭურვილობის დასახელებულ ფასს – 37-44 დრაჰკანს, რაც საშუალოდ, 480-570 დრამას (დრამა=3 გრ.) უდრის. 480-570 დრამა კი 1440-1700 გრამი ვერცხლის ტოლფასია.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, გლეხის ოჯახი 18 დრაჰკან დუკატად ფასობდა,[511] ცხადი გახდება სამხედრო აღჭურვილობის განსაკუთრებული სიძვირე.

ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს არა მდიდრულად გაფორმებულ, არამედ უბრალო სახმარ შეიარაღებასთან. გამომდინარე იქიდან, რომ ფავნელის დაწერილისა და გრიგოლ სურამელის დაწერილის მიხედვით, მხოლოდ უნაგირი, ერთ შემთხვევაში, 500 თეთრი (სულ მცირე 35 ოქრო), მეორე შემთხვევაში, 600 თეთრი (დაახლ. 40 ოქრო), ხოლო აღვირი 20 დუკატი ღირდა,[512] ადვილად წარმოსადგენი ხდება ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი თვლებით შემკული მდიდრული საბრძოლო შეიარაღების თვალშისაცემი სიძვირე.

ამდენად, საჭურველის ფასიდან გამომდინარე, ნათელი ხდება X-XIV საუკუნეებში, თუნდაც ადამიანური რესურსების სიმცირის შემთხვევებში, რატომ ვერ იქნებოდნენ გლეხები შეიარაღებულ ძალებში მასობრივად ჩართულნი.

მ. წურწუმია ეხება IX-XII საუკუნეებში საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დაქირავებულ ჯარისკაცთა ყოველთვიურ ანაზღაურებასაც – IX საუკუნეში ბაღდადის სახალიფოში ქვეითი გვარდიელის ყოველთვიური მინიმალური ხელფასი 4 დინარიდან (ოქროს მონეტა) იწყებოდა, ხოლო ცხენოსანი ორჯერ მეტს იღებდა. XII საუკუნეში სალაჰ ად-დინის არმიაში მძიმედ შეჭურვილი მხედრის ანაზღაურება წელიწადში სულ ცოტა 120 დინარი, ხოლო საშუალოდ, 400 დინარზე მეტი ყოფილა.[513] შესაბამისად, XII საუკუნეში სალაჰ ად-დინის არმიის ელიტური ჯარისკაცები ყოველთვიურად იღებდნენ, სულ მცირე, 10 დინარს, ხოლო საშუალოდ, 30 დინარზე მეტს.

აბჯარი და სხვა შეიარაღება მაღალ ფასს ინარჩუნებდა მომდევნო საუკუნეებშიც. საბუთებში ვხვდებით აბჯრის სახით სისხლის საფასურის გადახდის ფაქტებს.[514] თავისუფალი სვანეთის მოსახლეობისა და ჯაფარიძეთა საგვარეულოს დავის ამსახველ საბუთში აღნიშნულია, „... ასისი კაცისაგან ორი მოამბედ გაუშვით, სხუა ყუელა ტყუეთ წამოასხით... ღონე არა გვქონდა, დავიჴსენით თავი და თვითო კარგი აბჯარი ჩუენის თავის სახსრად გამოვიღეთ და გარჯილი სული ამით შევირჩინეთ...“.[515]

[511] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 44.
[512] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 18, 127-128.
[513] მ. წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი, გვ. 65.
[514] საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 33-34.
[515] ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. I, გვ. 127.



კარავი, ფარები, შუბები, მახვილი, მშვილდი, ისარი, ლახტი. მინიატიურების (დავითნი, H-1665) მიხედვით შესრულებული მხატვრობა. ხეც. შ. ამირანაშვილის პირადი არქივი, №1060

ჯაჭვის პერანგი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია. GNM 1 35-1935/87

დროთა განმავლობაში იცვლებოდა სამხედრო სტრატეგია და მეომრის აღჭურვილობაც მსუბუქდებოდა. მეტი დატვირთვა ენიჭებოდა ქვეითებს. ამასთანავე, იაფდებოდა რკინა. XVIII საუკუნის II ნახევრის მონაცემებით, 3,6 კგ. რკინის ფასი იყო 2,5 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.),[516] ანუ დაახლ. 7 გრამი ვერცხლი, რაც მას საკმაოდ ხელმისაწვდომს ხდიდა. რკინის გაიაფება მსოფლიო მასშტაბით წარმოების განვითარებასთან იყო დაკავშირებული. რკინის წარმოება გაიზარდა არა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, არამედ რუსეთშიც.[517] რკინა საქართველოში რუსეთიდან, მეზობელი სახანოებიდან და ირანიდან შემოჰქონდათ. აღნიშნულ ეპოქაში რკინას ადგილზეც აწარმოებდნენ. საბაჟო ტარიფში აღნიშნულია როგორც ადგილობრივი რკინა – „მოტანილი... ბოლნისიდან“, ისე უცხოურიც – „რკინა მოტანილი რუსეთიდან“, „მოტანილი რუსეთიდან და ირანიდან“, „მოტანილი განჯიდან“. აღსანიშნავია, რომ განჯიდან და ბოლნისიდან მოტანილი რკინა გა-

[516] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 290; III, გვ. 213.

[517] XVIII საუკუნის შუა ხანებიდან რუსეთში 9,5 მილიონ ფუთ თუჯს ადნობდნენ. იხ.: П. И. Лященко. История народного хозяйства СССР. Т. I. Докапиталистические формации. Москва, 1952, გვ. 443, 450-451.

ცილებით მცირე ბაჟით იბეგრებოდა, ვიდრე რუსეთიდან შემოტანილი. ეს განსხვავება გამოწვეული უნდა ყოფილიყო რკინის ხარისხით. რუსეთიდან შემოჰქონდათ გაგლინული რკინა, რომელიც შედარებით ძვირად ფასობდა. შესაბამისად, თუ ადგილობრივი და განჯიდან შემოზიდული ერთი ლიტრა რკინა იბეგრებოდა 10 კაპიკით, რუსეთიდან შემოტანილი – 16 კაპიკით.[518] საბაჟო ტარიფების გარდა, გვაქვს ბურნაშოვის და იაზიკოვის ცნობები, რომ რკინა საქართველოში შემოდიოდა რუსეთიდან და ირანიდან.[519] ცხადია, რკინის ფასის შემცირება ერთბაშად არ მოხდებოდა, თუმცა დროთა განმავლობაში, ეს პროცესი შესამჩნევი გამხდარა.

XVI-XVII საუკუნისათვის ქართული ქვეითი ჯარის ძირითად შეიარაღებას წარმოადგენდა ხმალი, შუბი და მშვილდი. მკვიდრდებოდა ცეცხლსასროლი შეიარაღებაც.

XVII საუკუნის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შეიარაღების შესახებ, დაზუსტებულ ინფორმაციას იძლევა საამილახვროს დავთარი, რომელშიც თითოეული მოსახლის შეიარაღებაა ნაჩვენები.[520] დავთარში სულ აღწერილია 901 კომლი, საიდანაც 1326 მოლაშქრე გამოდიოდა. მათგან 442 მოლაშქრე თოფით იყო შეიარაღებული, რაც საერთო მაჩვენებლის 1/3, ანუ დაახლოებით 33%-ია. 451 მოლაშქრე შუბით (დაახლ. 34%), 309 – მშვილდით (დაახლ. 23%) გამოდიოდა, ხოლო 114 ბოგანო (დაახლ. 8,5%) უიარაღო იყო. 10 ბოგანოს შემთხვევაში, შეიარაღება ნაჩვენები არ არის.[521] თოფის, შუბის და მშვილდის გარდა, მოსახლეობა ხმლებითაც იყო შეიარაღებული, რადგან ამ დროს ხელჩართული ბრძოლის გარეშე, სამხედრო ოპერაციები, ფაქტობრივად, არ იმართებოდა. როგორც ჩანს, შეიარაღებაში ხმალი ავტომატურად იგულისხმებოდა და მას საგანგებოდ არ აღნიშნავდნენ. არსებული მონაცემიდან ვიგებთ, რომ XVII საუკუნის II ნახევარში გლეხების აბსოლუტური უმრავლესობა შეიარაღებული ყოფილა.

ხმალ-ხანჯლებისა თუ შუბების მასობრივი გავრცელება, რკინის გაიაფებასთან ერთად, ხელოსნობის შესაბამისი დარგის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ძველ თბილისში ფოლადის დამზადების საუკეთესო ოსტატები იყვნენ. ქართული ბულატი (მაღალი ხარისხის ფოლადი) თბილისში მზადდებოდა.[522]

მოსახლეობაში შეიარაღების მასობრივი გავრცელება ცხადყოფს, რომ გვიანფეოდალურ ეპოქაში ხმლის, შუბის თუ მშვილდის ფასები მკვეთრად ნაკლები უნდა

---

[518] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 190.

[519] С. Н. Бурнашев. Картина Грузий или опйсание политического состояния царств Картлалического и кахетического, გვ. 2; Грамоы и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. цагарели. Т. I, გვ. 189.

იაზიკივის ცნობით, რკინა ოსმალეთიდანაც შემოდიოდა, თუმცა საბაჟო ტარიფებში ეს არ ფიქსირდება.

[520] იხ.: ს. კაკაბაძე. საამილახვროს დავთარი მე-17 ს-ნის მეორე ნახევრისა. ტფ. 1925.

[521] ს. კაკაბაძე. საამილახვროს დავთარი მე-17 ს-ნის მეორე ნახევრისა, გვ. IV-V. ს. კაკაბაძეს აბსოლუტურ ციფრებში არ აქვს საერთო პროცენტი გამოყვანილი. მას ცალ-ცალკე აქვს აღნიშნული „მოსაურეთა“ და ბოგანოთა შეიარაღება.

[522] ხმლების ჭედვის საიდუმლო მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული ოსტატ ელიზარაშვილებს. XIX საუკუნის დასაწყისში ყარამან ელიზარაშვილმა რუსეთის მთავრობას ქართული ბულატის დამზადების საიდუმლო გაანდო. ხმალ-სატევრის დამზადების შესასწავლად, თბილისში რუსეთიდან ქალაქ ზლატოუსტის ქარხნის ოსტატები გამოგზავნეს. ქართველ ოსტატს კი ჯილდო გადასცეს (იხ.: კ. ჩოლოყაშვილი. ბულატის თბილისელი ოსტატები. მეცნიერება და ტექნიკა. თბ. 1965. № 6). თბილისის პოლიცმეისტერი იოსებ შაგუბატოვის ცნობით, მისთვის ასი ოქროს თუმნიანი და ოქროს მედალი მიუციათ (იხ.: მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 34-35).

ყოფილიყო XI-XIV საუკუნის ფასებთან შედარებით. ამ შემთხვევაში, ვსაუბრობთ უბრალო სახმარ შეიარაღებაზე და არა მდიდრულად გაფორმებულ ანალოგებზე – ფეოდალების კუთვნილი ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემკული იარაღი ყველა ეპოქაში ძვირად ფასობდა.

XVI საუკუნიდან საქართველოში ცეცხლსასროლი შეიარაღებაც მკვიდრდებოდა. თავდაპირველად, ადგილობრივი წარმოების განუვითარებლობის გამო, თოფ-დამბაჩები საქართველოში სამხედრო ნადავლის და იმპორტის გზით ვრცელდებოდა. ნადავლი და იმპორტი ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობაში თოფების მასობრივ გავრცელებას. ამას ადასტურებს დოკუმენტური მასალა – რუსი ელჩების ცნობით, XVI საუკუნის ბოლოს კახეთის სამეფოში, რომელიც ეკონომიკურად სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან შედარებით, დაწინაურებული იყო და სამეფო კარი განსაკუთრებით ზრუნავდა ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების დანერგვაზე, სამხედრო ძალებიდან მხოლოდ 500-კაციანი რაზმი ყოფილა თოფებით შეიარაღებული, ხოლო ძირითადი ბირთვი, 13 000 კაცი, ფარ-ხმალს, შუბსა და მშვილდს ატარებდა.[523] ს. კაკაბაძის გამოთვლით, იმ პერიოდის კახეთში თოფით სამხედრო ძალების მხოლოდ 3,7% იყო შეიარაღებული.[524] წყაროებით დგინდება, რომ XVII საუკუნეში ცეცხლსასროლი შეიარაღება საგრძნობლად გაზრდილა. XVII საუკუნის შუა ხანებში რუსი ელჩები იმერეთის სამეფოში რამდენიმე ათასი მეთოფის არსებობას ადასტურებენ, რომლებსაც პატრუქიანი თოფები ჰქონიათ.[525] ამ პერიოდში ქართველთა მხრიდან ბრძოლებში ირანული და ოსმალური ზარბაზნის გამოყენების ერთეული ფაქტებიც დასტურდება.[526]

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება XVII-XVIII საუკუნეებში დაიწყო.[527] ამ პროცესმა, ბუნებრივია, თოფ-დამბაჩების მოსახლეობაში გავრცელებას შეუწყო ხელი. როგორც აღინიშნა, XVII საუკუნის II ნახევარში საამილახვროს გლეხობის 1/3-ს თოფი ჰქონდა. XVII საუკუნის II ნახევარში ქართული ჯარი ოსმალურ და ირანულ არტილერიას კიდევ უფრო ინტენსიურად იყენებდა.[528]

წყაროებით დგინდება, რომ XVIII საუკუნის I ნახევრში ცეცხლსასროლი იარაღი უკვე საყოველთაოდ იყო გავრცელებული. ამის დამადასტურებელია კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთრები,[529] რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ XVIII საუკუნის I ნახევარში კახეთის მოსახლეობის 80%-ზე მეტს ცეცხლსასროლი იარაღი

---

[523] С. А. Белокуров. Сношения России с Кавказом. Выпуск 1-й. 1578-1613 гг. Москва, 1889, გვ. 171.

[524] ს. კაკაბაძე. საამილახვროს დავთარი მე-17 ს.-ნის მეორე ნახევრისა, გვ. VI.

[525] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 153, 263.

[526] ვრცლად იხილეთ: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში. საისტორიო კრებული. 4. თბ. 2014, გვ. 115-116.

[527] ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV, გვ. 280-282; კ. ჩოლოყაშვილი, მ. ქაფიანიძე. ქართული საჭურველი. ეთნოლოგიური ძიებანი. IV. თბ. 2010; მ. ქაფიანიძე. ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის. „საისტორიო ვერტიკალები“. №16. თბ. 2008; აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. IV. თბ. 1962.

[528] ვრცლად იხილეთ: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 126-130.

[529] დავთრები დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ხეც) – Hd-1603, Hd-1605, Hd-1607, Hd-1608, Hd-1609, Hd-1625, Hd-5186, Hd-6110. უკანასკნელი სამი ნაწილის გარდა, ყველა მათგანი გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, რომლებიც, აღნიშნულ სამ ნაწყვეტთან ერთად, მოგვიანებით, 1967 წელს გამოსცეს დ. მეგრელაძემ და ნ. ჯავახიშვილმა. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. წიგნი I. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები. თბ. 1967, გვ. 7-104, 266-270.

ჰქონდა. დავთრებში სხვა ტიპის შეიარაღება აღწერილი არ არის, რაც გვაფიქრებინებს, რომ საბრძოლო ოპერაციები უკვე მშვილდისა და შუბის გარეშე მიმდინარეობდა. დაახლოებით ანალოგიურ სურათს ვხვდებით ქართლის სამეფოში. სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების მობილიზებასა და მათ შეიარაღებასთან დაკავშირებით, ვახტანგ VI-ის მიერ გაცემული 1720 წლის საბუთებიდან ჩანს, რომ ყმების დაახლოებით 80% თოფით იყო შეიარაღებული.[530] საინტერესოა ის ფაქტი, რომ კახეთის მოსახლეობის შეიარაღებისაგან განსხვავებით, ქართლში ჯერ კიდევ გვხვდება მშვილდით, შუბითა და მხოლოდ ფარ-ხმლით აღჭურვილი მოლაშქრეები.

XVIII საუკუნის შუა ხანებიდან ქართლის სამეფოს მოსახლეობის შეიარაღებაში მშვილდი და შუბი აღარ გვხვდება, ისინი მხოლოდ თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი[531], ბუნებრივია, ხმალ-ხანჯალთან ერთად. ყველაზე ღატაკ მოსახლეობას კი უმეტეს შემთხვევაში, შეიარაღების არც ერთი სახეობა არ გააჩნდა.

XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის მოსახლეობაში თოფების მასობრივად გავრცელებას ადასტურებს მრავალი წყარო. მათგან აღსანიშნავია რუსი მოხელეების: კაპიტან იაზიკოვის[532], მოურავოვის[533] და პოლკოვნიკ ბურნაშოვის,[534] ასევე გერმანელი მოგზაურის იაკობ რაინეგსის ცნობები. იაზიკოვის გადმოცემით, ქართლ-კახეთში თითქმის ყველა მოსახლეს ჰქონდა თოფი და ისინი ოსტატურად ისროდნენ. ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდიან სხვა ზემოთ ჩამოთვლილი პირებიც. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ აღნიშნულია: „... ყოველ კაცს უკრავს თითო ჩახმახი თოფზედ და ყოველს არტყია ლეკური და აქვთ თოფები...“.[535]

XVIII საუკუნის II ნახევარში ცეცხლსასროლი იარაღი დასავლეთ საქართველოშიც საკმაოდ იყო გავრცელებული. ეს დასტურდება იაზიკოვის[536], რაინეგსის[537] და სხვათა ცნობებით.[538] თუმცა წყაროებიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში ბრძოლის დროს ჯერ კიდევ იყენებდნენ შუბს. თოფები კი ვრცელდებოდა მხოლოდ იმპორტის გზით – „... იმერლები ჴმარობენ ომში თოფსა, მალსა და შუბსა იმ რიგათ, როგორც ოსმალონი შეიბმიან, ქვეითიცა და უფრო ცხენოსანიცა... თოფსა, ჴმალსა და ტყვიას შოობენ ოსმალოს ქვეყნიდამ, ყიზილბაშიდამ და ტფილისის // ქალაქიდამ...“, – აღნიშნულია მაქსიმე აბაშიძის მიერ რუსეთის მთავრობისადმი შედგენილ 1769 წლის 14 მარტის მოხსენებით ბარათში.[539] როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოს

---

[530] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940, გვ. 183-185; მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 131-132.

[531] ამ ფაქტის საილუსტრაციოდ, მ. წურწუმიას მოაქვს პაპუნა ორბელიანის ცნობა, რომ XVIII საუკუნის 40-იან წლებში თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ, როდესაც ყარაიაში მშვილდით ნადირობა მოინდომეს, ის აღარავის აღმოაჩნდა. იხ.: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 134-135, სქოლიო 124.

[532] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I, გვ. 184-185.

[533] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I, გვ. 72.

[534] С. Н. Бурнашев. Картина Грузии, გვ. 6-7.

[535] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით. 1936, გვ. 195.

[536] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I, გვ. 196.

[537] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 136.

[538] იხ.: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 133-137.

[539] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორი-

მოსახლეობაში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების მასშტაბები ჩამოუვარდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მაჩვენებლებს, რაც ეკონომიკური ვითარებით იყო განპირობებული.

რაც შეეხება არტილერიას, XVIII საუკუნის II ნახევარში უკვე თბილისში მზადდებოდა ზარბაზნები.[540]

როგორც უკვე აღინიშნა, მოსახლეობაში თოფების მასობრივად გავრცელება ადგილობრივი წარმოების განვითარებამ განაპირობა. საქართველოში თოფ-დამბაჩების დამზადების ტექნოლოგია ოსმალეთიდან უნდა შემოსულიყო[541], რომელიც ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების საქმეში გაცილებით წინ იდგა და სტამბულში დამზადებული თოფები ძვირად ფასობდა. თოფების დამზადება საქართველოში XVII საუკუნიდან დაიწყეს. თავდაპირველად, ეს პატრუქიანი თოფები უნდა ყოფილიყო, ხოლო, სავარაუდოდ, XVII საუკუნის მიწურულიდან, უკვე კაჟის ჩახმახიან თოფებს ამზადებდნენ. კაჟის ჩახმახიან თოფებზე ოსმალეთის არმიის მასობრივად გადასვლა XVII საუკუნის ბოლოდან იწყება, რასაც მალევე მოჰყვა მისი კავკასიაში გავრცელებაც. საქართველოში, ისევე როგორც ოსმალეთში და მთელ ხმელთაშუა ზღვის არეალში, ამზადებდნენ კაჟის ჩახმახიანი საკეტის ერთ-ერთ ადრეულ ტიპს – მიკელეტის საკეტს, რომელიც XVI საუკუნეში ესპანეთში გამოიგონეს და აღნიშნულ რეგიონში XIX საუკუნემდე იყო გავრცელებული.[542] XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში ამზადებდნენ კაჟის ჩახმახის ერთ-ერთ ადგილობრივ ნაირსახეობას.[543] საუკუნის განმავლობაში, საქართველოში პატრუქიანი თოფები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული კაჟიანი თოფებით შეიცვალა. კაჟის ჩახმახიან თოფებზე გადასვლა ერთბაშად არ მომხდარა და, ჩანს, ეს ხანგრძლივი პროცესი იყო. XVIII საუკუნის II ნახევრის საბუთებში უკვე, ძირითადად, კაჟის ჩახმახიანი თოფები იხსენიება. იოანე ბატონიშვილიც „სჯულდებაში“ საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ყველა მოსახლეს უნდა ჰქონდეს „თოფის წამალი შენახული სახლში თავისის სამყოფით ტყვიით და ტალითა“.[544] ტალი კი იგივე კაჟია.[545]

ისათვის. ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 300-301.

[540] ცეცლსასროლი იარაღის გავრცელების შესახებ ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების, დამზადებისა და ფასების საკითხისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X. თბ. 2016, გვ. 169-205; მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 110-137.

[541] ამას მოწმობს ტერმინოლოგიაც, მაგ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში აღნიშნულია: „ჩახმახი თურქთა ენათაა, მოკვესილი ჰქვიან ქართულ[ად]“. იხ.: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბ. 1993, გვ. 317.

[542] ვრცლად იხილეთ.: მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 135.

[543] მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 179.

[544] იოანე ბაგრატიონი. სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ. თბ. 1957, გვ. 54.

[545] „კაჟი ტალი, საღტილი, ცეცხლის ქვა“ – იხ.: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 352, ასევე: „ტალი კაჟი, კბილის ანახეთქი“ – სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 132.

თბილისში დამზადებული თოფის ყირიმული ლულის დამღა. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმი, იარაღის ფონდი, საინვენტარო ნომერი GNM 1 12-26/3

საქართველოში თოფ-დამბაჩების დამზადების კერებად მიიჩნევა თბილისი, სამეგრელო, სვანეთი,[546] XVIII საუკუნიდან მაჭახელას ხეობა[547] და სხვა ადგილები.[548]

კაჟის ჩახმახიანი თოფი სამი უმთავრესი დეტალისაგან შედგება, ესენია: ლულა, ჩახმახი და კონდახი. ძვირადღირებულ იარაღს მეზარნიშეები ოქროთი, ვერცხლით ან სხვა ძვირფასი მასალით ამკობდნენ. კონდახს კი ზოგჯერ სპილოს ძვალი ამშვენებდა.

მიუხედავად იმისა, რომ თოფის ლულების დამზადების ფაქტები საქართველოშიც დასტურდება (მაგ., მაჭახელას ხეობაში, სავარაუდოდ, სვანეთში და ა.შ.), უმეტესად ის მაინც იმპორტირებული იყო. თოფის ლულები საქართველოში, ძირითადად, ყირიმიდან შემოდიოდა.[549] ლულების მასობრივ იმპორტზე მეტყველებს XIX საუკუნის დასაწყისის საბაჟო ტარიფები, რომელებშიც ერეკლე II-ისა (1744-1798 წწ.) და გიორგი XII-ის (1798-1800 წწ.) დროინდელი ვითარებაა ასახული. თბილისში შემოტანილ საქონელზე დაწესებულ ტარიფთა შორის, საგანგებოდაა აღნიშნული თოფის ლულები როგორც „ჩუქურთმიანი“, ისე „სადა“.[550] ერთი სიტყვით, თბილისური ცეცხლსასროლი იარაღი, ძირითადად, შემოტანილი თოფის ლულებისაგან მზადდებოდა.[551]

---

[546] ლამბერტის ცნობით, სვანები „თოფს და თოფის წამალს თვითონ აკეთებდნენ“. დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 153.

[547] მაჭახელას ხეობაში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების შესახებ იხილეთ: ნ. ჩიჯავაძე. მაჭახელა (აჭარაში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების საკითხისათვის). ლიტერატურული აჭარა. 4. 1961; ნ. კახიძე. ცეცხლსასროლი იარაღების დამზადების ისტორიიდან აჭარაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა. 2. 1974.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის ქართულ საბუთებში თოფი „მაჭახელა“ დაფიქსირებული არ არის, რაც გვაფიქრებინებს, რომ იმ პერიოდში ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეულ მაჭახელას ხეობიდან თოფები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ არ ვრცელდებოდა.

[548] იხ.: მ. ქაფიანიძე. ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის (დამბაჩები). ეთნოლოგიური ძიებანი. III. თბ. 2007, გვ. 181.

[549] ყირიმიდან საქართველოში შემოდიოდა როგორც ლულები, ისე ადგილობრივი, ოსმალური და ევროპული თოფები. ყირიმიდან შემოტანილი იარაღის მიხედვით, გავრცელდა სახელწოდება „ხირიმი“ (ყირიმი). გავრცელებული იყო თოფის სხვა სახელწოდებებიც – „მაჟარო“, ანუ „მაჯარი“, რაც უნგრულ თოფს აღნიშნავდა (იხ.: ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV, გვ. 28), ხოლო „ფრანგული“ – დასავლეთ ევროპულს.

მ. ქაფიანიძე სწორად შენიშნავს, რომ „ხირიმი“ ეწოდებოდა არა მხოლოდ ყირიმიდან შემოტანილ თოფს, არამედ იმ თოფსაც, რომელიც ყირიმული ლულით თბილისში იწყობოდა. ეროვნულ მუზეუმში დაცულ ნიმუშებზე დაკვირვებით, ასევე აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის I ნახევარში საქართველოში შემოდიოდა გლუვლულიანი ლულები, ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში – კუთხვილლულიანი. იხ.: მ. ქაფიანიძე. ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის (დამბაჩები), გვ. 181-183.

[550] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 190; პ. გუგუშვილი. ქართული საბაჟო ტარიფი. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. IV. ტფ. 1937.

[551] ყირიმიდან თოფის ლულების იმპორტის შესახებ ვრცლად იხილეთ: A. Tabuashvili. The Import of Gun Barrels and Their Price in Georgia in 17th–18th cc. Materials in Archaeology and History of Ancient and Medieval Crimea. Archaeology, History, Numismatics, Sigillography and Epigraphy. 9. Moscow, Tyumen, Nizhnevartovsk, 2017, გვ. 284-293.

რაც შეეხება ჩახმახების, კონდახებისა და, ზოგადად, თოფების ამწყობ ხელოსნებს, XVIII საუკუნის წყაროებში ხშირად მოიხსენებიან. ისინი საქმიანობდნენ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.[552]

თოფების მასობრივად გავრცელებამ, ბუნებრივია, ტყვია-წამალზე მოთხოვნილება გაზარდა. საქართველოში ტყვიისა და თოფისწამლისათვის საჭირო ნედლეულის (გვარჯილა, გოგირდი, ნახშირი) არსებობამ ხელი შეუწყო მათ ადგილზე დამზადებას. თოფისწამალს კუსტარულად ამზადებდნენ და ტყვიას ადნობდნენ თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, სვანეთში, რაჭაში, ხევსურეთში და ა.შ.[553] დიდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისში თოფისწამლის „ქარხანაც“ აიგო და წარმოება მონოპოლიზებული გახდა. 1770 წელს მოქალაქე ისაია თაყუაშვილმა ერეკლე II-ის ნებართვით, თოფისწამლის „ქარხანა“ ააშენა. მეფის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ თაყუაშვილის „მეტი კაცი ვერავინ დაანაყვინებდა და ვერც გვარჯილასა და თოფის წამალს გაჰყიდიდა“.[554] რაც შეეხება ტყვიას, აღნიშნულ პერიოდში ახტალის ვერცხლის საწარმო დიდი რაოდენობით ტყვიას იძლეოდა.[555]

XVIII საუკუნის 70-იან და 80-იანი წლების დასაწყისში რუსი მოხელეების (იაზიკოვის, ბურნაშოვის) შეფასებით, თბილისში დამზადებული თოფისწამალი ცუდი ხარისხის იყო. ისინი ადარებდნენ რუსულ ანალოგს, რომელსაც, ბუნებრივია, თბილისური პროდუქტი ხარისხით ჩამოუვარდებოდა. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლონდონში 1788 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემული ანონიმი ავტორის ნაშრომის მიხედვით, თბილისის „ქარხნის“ თოფისწამალი მიჩნეულია ძალიან კარგი ხარისხის ნაწარმად.[556]

მიუხედავად იმისა, რომ მცირერიცხოვანი რეგულარული ჯარის ნაწილები – „თოფჩები“, ანუ არტილერისტები და „ქეშიკები“, ანუ მეფის მცველი რაზმი სამეფო კარისაგან იღებდა ცეცხლსასროლ იარაღს, ცალკეულ შემთხვევაში, ფეოდალებიც ზრუნავდნენ საკუთარი ყმების შეიარაღებაზე,[557] ბუნებრივია, მოსახლეობას თოფებისა და ტყვია-წამალის შეძენა თავად ევალებოდა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა

---

[552] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.). წიგნი პირველი. შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა. თბ. 1962, გვ. 304, 310.; ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. I, გვ. 145-156; ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. II, გვ. 140; ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), გვ. 60; გ. ბოჭორიძე. კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა. საქართველოს არქივი. წიგნი III, გვ. 177, ცხრილი №4. თელავის მოსახლეობა წოდებათა მიხედვით 1804 წ.

[553] ვრცლად იხილეთ.: ალ. რობაქიძე. თოფისწამლის დამზადება პირაქეთ ხევსურეთში. ანალები. ტ. I. თბ. 1947; მ. ცინცაძე, მ. დემეტრაძე, ნ. კუციავა, გ. ცინცაძე, დ. ოტიაშვილი, რ. ჩაგუნავა. თოფის წამლის დამზადება ძველ სვანეთში (XVII საუკუნის I ნახევარი). საქართველოს ქიმიური ჟურნალი. ტ. 4. №2. თბ. 2004. მ. წურწუმია. ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, გვ. 170-177.

[554] აკ. კლიმიაშვილი. საარტილერიო მშენებლობა საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში, გვ. 272.

[555] იხ.: დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს.). თბ. 1966, გვ. 13-14; ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 73-75.

[556] ს. კაკაბაძე. საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში. მნათობი. №3. ტფ. 1924, გვ. 271.

[557] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V. სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1974, გვ. 106; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 75; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 336; დ. გოგოლაძე. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, გვ. 19; დავით ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა. აპ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით. თბ. 1959, გვ. 134.

თოფისა და ტყვია-წამლის ფასების დადგენა და ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გავრცელების ეკონომიკური საფუძვლების განსაზღვრა.

თავდაპირველად, აღვნიშნავთ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის, ისევე როგორც სხვა სახის შეიარაღების ფასები განსხვავებული იყო. სამეფო ოჯახის წევრები და თავად-აზნაურები, ბუნებრივია, მათი ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, ძვირადღირებული თოფ-დამბაჩებითა და ხმალ-ხანჯლით იყვნენ შეიარაღებულნი. ძვირადღირებულ ცეცხლასროლ იარაღს წარმოადგენდა როგორც იმპორტირებული, ისე ადგილობრივი პროდუქცია, რომელიც ოქრო-ვერცხლით, სპილოს ძვლითა და სხვა ძვირფასეულობით იყო გაფორმებული. ასეთ თოფს „ზარნიშიანი თოფი“ ეწოდებოდა. გლეხები და მცირე ეკონომიკური შეძლების მქონე მოსახლეობა (ღარიბი მოქალაქეები, შესაძლებელია, ღარიბი აზნაურებიც) კი, ძირითადად, ადგილობრივი წარმოების იაფფასიანი „უზარნიშო“ თოფებით იქნებოდნენ შეიარაღებულნი.

თავდაპირველად შევეხებით ძვირადღირებულ შეიარაღებასა და საილუსტრაციოდ რამდენიმე ცნობას მოვიხმობთ. ამ მხრივ, საყურადღებოა, 1797 წლის ახლო ხანებში შედგენილი, სავარაუდოდ, ერეკლე II-ის ქონების ნუსხა, რომელშიც სხვა ნივთების ჩამონათვალთან ერთად აღნიშნულია:

„Რ (ოთხმოცი თუმანი)	ქ. ა (ერთი) მინანქრის ხმალ-ჯავარდენი.
ᲠᲘ (ათი თუმანი)	ქ. ა (ერთი) თოფი ფრანგული.
ᲠᲔ (ხუთი თუმანი)	ქ. ა (ერთი) დამბაჩა ფრანგული.
ᲠᲑᲭ (ორ თუმან ნახევარი)	ქ. ა (ერთი) წელსარტყამი იარაღი ბალთებით.
ᲠᲑ (ორი თუმანი)	ქ. ა (ერთი) დურბინ[დ]ი ამავ იარაღზე.
(ლე (ოცდათხუთმეტი თუმანი)	ქ. ბ (ორი) სამკლავე თავის ჭაჭვებით და ჩაჩქანი.
ᲠᲔ (ხუთი თუმანი)	ქ. ა (ერთი) საპირისწამლე ყადიმი ოქროს ყაწიმებით.
ᲠᲑ (ორი თუმანი)	ქ. ა (ერთი) საპირისწამლე ვერცხლისა სევადა.
ᲠᲓ (თოთხმეტი თუმანი)	ქ. ა (ერთი) ხანჯალი ოქროთი მოჭედილი.
ᲠᲣ (ოთხმოცდაათი თუმანი)	ქ. ა (ერთი) ხანჯალი მურასა მინა[ნ]ქარი მარგალიტის ფოჩით.
ᲠᲕ (ექვსი თუმანი)	ქ. ა (ერთი) ხანჯალი ეშმის ტარიანი გურჯაანის ნაცვლისეული.
...Ხ (ექვსი მინალთული)	ქ. ა (ერთი) ნაბადი წამოსასხამი.
...ᲐᲠ (ერთი თუმანი)	ქ. ა (ერთი) დურბინ[დ]ი დიდი.
Ც (ორი მინალთუნი)	ქ. ა (ერთი) ხანჯალი საია“.[558]

როგორც ვხედავთ, სავარაუდოდ, ერეკლე II-ის შეიარაღების ერთი ნაწილის აღწერის ნუსხაში საგულისხმო ინფორმაციაა დაცული. ზემოთ ჩამოთვლილი შეიარაღებიდან ყველაზე ძვირადღირებული ყოფილა „ხანჯალი მურასა მინა[ნ]ქარი მარგალიტის ფოჩით“, რომლის ფასიც ოთხმოცდაათი თუმნით არის განსაზღვრული, ყველაზე დაბალფასიანი კი – „ხანჯალი საია“ (ანუ სადა). საიტერესოა თოფისა და დამბაჩის

[558] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 275-276; ხეც. Hd-3668.

ფასები – „თოფი ფრანგული“ ათ თუმნად, ხოლო „დამბაჩა ფრანგული“ ხუთ თუმ-ნად ყოფილა შეფასებული. თოფის ფასი ანალოგიური წარმოების დამბაჩის ფასთან შედარებით, ორმაგად ფასობდა.

ერეკლე II-ის თოფი, რომლის სავარაუდო ფასი იყო 10 თუმანი.
ლულაზე ვხვდებით ლათინურ, სპარსულ და ქართულ წარწერებს. ლათინურად აწერია – "SEGLAS LONDON", რაც მიუთითებს ლულის დამზადების ადგილს.
საქართველოს ეროვნული მუზეუმი, იარაღის ფონდი. GNM 1 43-1926/1

ერეკლე II-ის ხმალი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, იარაღის ფონდი. GNM 1 40-1926/258

საინტერესოა, რომ ძვირადღირებული შეიარაღება ზოგიერთ ყმა-გლეხსაც ჰქონია. ომან ხერხეულიძის ყმა, ბერი ბასილაძე ერეკლე II-ისადმი მირთმეულ არზაში აღნიშ-ნავს: „...მასუკან კიდევ ერთი სტანბულის თოფი ვაძლივე, ხუთ-ექვს თუმანი ღირს...“. ეს გლეხი საკმაოდ შეძლებული ჩანს, რადგან იმავე საბუთით ირკვევა, რომ ის „კარგი ცხენის“ პატრონიც ყოფილა.[559] როგორც ვხედავთ, „ფრანგული“, ანუ დასავლეთ ევრო-პაში დამზადებული თოფის მსგავსად, სტამბულში დამზადებული თოფიც საკმაოდ ძვირი ღირდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეფასება მაინც პირობითია, რადგან სტამბულშიც

[559] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. სასამართლო არზა ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1985, გვ. 296.

და ნებისმიერ ადგილას, რასაკვირველია, მზადდებოდა განსხვავებული ღირებულების თოფები, თუმცა ეს ინფორმაცია ზოგად წარმოდგენას გვიქმნის იმპორტირებულ იარაღზე.

საინტერესო ცნობებს შეიცავს ასევე, საამილახვროს სახლის წევრის, ბეჟან ამილახვრისშვილის XVIII საუკუნის 60-80-იანი წლებში გაწეული დანახარჯის ნუსხის ის ნაწილი, სადაც შეიარაღების ფასებზეა საუბარი. დოკუმენტში აღნიშნულია:

„...ჩ (რვა თუმანი)	ქ. დავით ერისთავს მივყიდე რუსეთიდამ მოტანილი თოფი ოთხ-უღელ ხარათ...
ᲒᲒ (სამი თუმანი)	ქ. მუხრანელი კაცისაგან ერთი ცხენი ვიყიდე სამ თუმნათ. ორი თუმანი – ერთი ჭაკი ცხენი მივე და ერთი თუმანი თეთრი...
ᲘᲔ (თხუთმეტი თუმანი)	ქ. ასპინძას რომ გავიმარჯვეთ, იქ ვიშოვნე ბედაური ცხენი. გივი ხანმა მაძლია თხუთმეტი თუმანი...
ᲒᲒ (სამი თუმანი)	ქ. ვერცხლით მოჭედილი პირმრგვალი თოფი ვიშოვნე ასპინძას...
Ე (ხუთი თუმანი)	ქ. ერთი ხმალი ვიყიდე ხუთ თუმნათა...“.[560]

როგორც ვხედავთ, ბეჟან ამილახვრისშვილს, რომელსაც XVIII საუკუნის 70-90-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მინბაშის (ათასისთავის) თანამდებობა ეკავა, რუსეთიდან მოტანილი თოფი რვა თუმნად გაუყიდია. ასპინძის ბრძოლაში ნაალაფარი „ვერცხლით მოჭედილი პირმრგვალი თოფი“ კი რუსეთიდან ჩამოტანილ ანალოგზე საგრძნობლად იაფი (სამი თუმნის ღირებულების) ყოფილა. თავადის საკადრისი ცხენი 15 თუმნის, ხოლო ხმალი დაახლოებით ხუთი თუმნის ღირებულების ყოფილა.

აქვე მოვიხმობთ ძვირადღირებული უნაგირის ფასს. XIX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, „ვერცხლის უნაგირი“ (ანუ ვერცხლით მოჭედილი) 6 თუმანი ღირდა.[561] ცხადია, მოოქრული უნაგირი გაცილებით ძვირი იქნებოდა. იმავე საბუთიდან ვიგებთ, რომ 3 ოსმალური „ორქუთი“, ანუ ცხენის ზურგზე გადასაფარებელი (2 ვერცხლით მოჭედილი, ხოლო 1 ოქრომკედით გაწყობილი) 35 თუმნად, ანუ 1750 აბაზად ფასობდა.[562]

ამდენად, ჩვენ მიერ დამოწმებული წყაროების მონაცემებით ძვირადღირებული თოფების ფასი 3 თუმნიდან 10 თუმნამდე მერყეობდა. სავარაუდოდ, ზოგიერთი თოფი კიდევ უფრო ძვირიც იქნებოდა. 10 თუმნად (500 აბაზად) შეფასებული „ფრანგული“ თოფის ფასად 125-167 კოდის, ანუ 4500-6000 კგ. ხორბლის შეძენა შეიძლებოდა. იმავე თოფის ფასად შესაძლებელი იყო 10-13 ხარის ან 20-25 ძროხის ყიდვა. „ვერცხლით მოჭედილი პირმრგვალი თოფის“ ფასად (3 თუმნის ღირებულების) იყიდებოდა 1350-1800 კგ. ხორბალი ან 6-7 ძროხა. ხოლო 90 თუმნად შეფასებული „ხანჯალი მურასა მინა[ნ]ქარი მარგალიტის ფოჩით“ 40-54 ტონა ხორბლის ან 180-225 ძროხის ტოლფასი იყო. თავადის ხმლის (5 თუმანი) ფასი კი 2250-3000 კგ. ხორბლის ან 10-12 ძროხის ეკივალენტური იყო.

[560] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 81-83.
[561] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 385.
[562] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 386.

როგორც ვხედავთ, ზედა ფენის ცეცხლსასროლი იარაღი თუ სხვა სახის შეიარაღება საკმაოდ ძვირი ღირდა და, ბუნებრივია, მის შეძენას მოსახლეობის ქვედა ფენები ვერ შეძლებდნენ. მათთვის ხელმისაწვდომი უბრალოდ გაწყობილი შეიარაღება გაცილებით იაფი უნდა ყოფილიყო, სხვაგვარად ყმა-გლეხთა მასობრივი შეიარაღება ვერ მოხერხდებოდა.

იაფფასიანი შეიარაღების შესახებ, არცთუ ბევრი ინფორმაცია მოგვეპოვება. ჩვენ ხელთ არსებული ცნობებიდან ერთ-ერთია აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული 1742 წლის დოკუმენტი, რომელიც შედგენილია გორჯასპი მდივნის (თუმანიშვილის) ხელით. ის ხარჯების ნუსხას წარმოადგენს:

„ქკს :ულ: (1742 წ.)

ქ. მარტის 5, ღთისავარა და არაბოღლი რომ ნოქრათ გამოგვართვეს ამათი ხარჯი...

უ (ორი აბაზი)	ქ. ამისი ცხენის სამკერდული.
ნკე (შაურ ნახევარი)	ქ. ამისი თოფის ყალიბი...
რნ (სამი შაური)	ქ. ამისი თოფის წამალი.
ს (ერთი აბაზი)	ქ. ცხენის ტილო დუშაყი.
რნ (სამი შაური)	ქ. თოფისთვის ტყვია...
ყ (ოთხი აბაზი)	ქ. ღთისავარას ცხენის თაქალთოს გასაკეთები და კიდევ ცხენის ხარჯი.
verso	
	...ბაყლიშვილის ცალი ყოწიმი საპირისწამლით – :ყ: (ოთხი აბაზი); ბაყლიშვილის ხმალი – :ჩ: (ერთი მინალთუნი); ბაყლიშვილის თოფი – ც (ორი მინალთუნი).
	...ხმალი არაბოღლისა :ყ: (ოთხი აბაზი), არაბოღლის თოფი – :ც: (ორი მინალთუნი)...“.
განის მარცხენა აშიაზე:	„ქ. არაბოღლის თოფი :ც: (ორი მინალთუნი). ქ. ამისი ხმალი :შ: (თვრამეტი შაური). ქ. ამისი ნაბადი :ყ: (ოთხი აბაზი)... ქ. ამისი ტყვია წამალი :ტ: (ექვსი შაური)... ამისი სარტყელი :ნკე: (შაურნახევარი)...“.[563]

გორჯასპი მდივანი იმავე მონაცემებს უთითებს სხვა საბუთშიც, რომელშიც წარმოდგენილია, ასევე „ნოქრების“ დაქირავების დანახარჯები.[564]

თავდაპირველად, შევეხებით დოკუმენტის რაობას. როგორც აღინიშნა, საბუთის შემდგენელი გორჯასპი მდივანია. ის XVIII საუკუნის 30-60-იან წლებში თუმანიშვილთა ყველაზე აქტიური წევრი იყო. მას სამეფო კარზე მდივნის თანამდებობა ეკავა. გორჯასპი თუმანიშვილი განაგებდა მთელი სათუმანიშვილოს სამეურნეო საქმეებსაც. სხვა მემამულეებისაგან ის გამოირჩეოდა თავისი შემოსავლებისა და გასავლების ზედმიწევნით ზუსტი დაანგარიშებით, მიწების, ყმა-გლეხებისა და გადასახადების

[563] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 1-2; ხეც. Hd-1803.
[564] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 3-4; III, გვ. 42-44.

დაწვრილებითი აღწერით. მოგვიანებით, ეს საქმიანობა უკვე მისმა ვაჟმა, მანუჩარ თუმანიშვილმა განაგრძო.[565] როგორც ვხედავთ, გორჯასპი მდივანს ამჯერადაც დაწვრილებით შეუდგენია დანახარჯების ნუსხა, რომელიც წარმოადგენდა „ნოქართა“ დაქირავების ხარჯთაღრიცხვას. სპარსულად „ნოქარი“ მოსამსახურეს, შეიარაღებულ მსახურს, მეომარს ნიშნავს.[566] პაპუნა ორბელიანის ცნობით, ნადირ შაჰმა ქართლიდან 500 „ნოქრის“, ანუ შეიარაღებული მეომრის გაყვანა ითხოვა.[567] ნადირ შაჰთან შეიარაღებული მეომრების გაგზავნა, ჩანს, სათავადოებს დაეკისრათ. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს სათუმანიშვილოზე შეწერილი ორი „ნოქრისათვის“ გაწეულ დანახარჯებთან. ბუნებრივია, თუმანიშვილების მიერ ირანში გასაგზავნად დაქირავებული მეომრები მაღალი ფენის წარმომადგენლები არ იქნებოდნენ. ამაზე მათი სახელებიც – ღთისავარა და არაბოღლი – მეტყველებს. შესაბამისად, საბუთში ჩამოთვლილი შეიარაღება დაბალი ფენების საერთო შეიარაღების მსგავსი უნდა იყოს.

საბუთში რამდენიმეგან თოფის ფასად 2 მინალთუნია დასახელებული. იმავე ტიპის სხვა საბუთშიც თოფი 2 მინალთუნადაა შეფასებული.[568] ერთ-ერთ მათგანში შემდეგ ჩანაწერს ვხვდებით: „ც (ორი მინალთუნი) ქ. არაბ-ოღლის თოფი, მე უყიდე“.[569] როგორც ზემოთ აღინიშნა, 1740-იან წლებში აბაზი იწონიდა დაახლ. 5 გრამს. ამდენად, მცირეფასიანი თოფის შეძენა შესაძლებელი ყოფილა 50 გრამი ვერცხლის ფასად.

საპირისწამლე. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, იარაღის ფონდი. GNM 1 26-1926/1

„თოფის ყალიბი“, ანუ თოფის ჩასადები ღირდა 1,5 შაური, საპირისწამლე ერთი „ყოწიმით“ (ყაწიმით)[570] – 4 აბაზი. საპირისწამლე სხვა საბუთებში შეფასებულია ორ შაურად.[571]

ტყვია-წამალში გადაუხდიათ 3-3 შაური, რომლის რაოდენობა მითითებული არ არის. დოკუმენტებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ტყვიისა და თოფისწამლის ფასი XVIII საუკუნის 40-იან წლებში თანაბარი ყოფილა. 1738 წლის „ნოქარის ხარჯის ნუსხაში“ უფრო დაკონკრეტებულია ტყვია-წამლის ფასი. აქ ორ ადგილას აღნიშნულია: „ტყვია-წამალი უყიდე შვიდი აბაზისა, ლიტრა ა (1)“. ტყვიისა და თოფისწამლის თანაბარი ფასებიდან გამომდინარე, გამოდის, რომ 1 ლირტა, ანუ დაახლ. 3,3 კგ. თოფისწამალი (ისევე, როგორც ტყვია) ღირდა 7 აბაზი, ანუ 1,4 მინალთუნი. ერთი ლიტრა, ანუ სამ კილოგრამზე მეტი თოფისწამალი საკმაოდ დიდი მარაგი იყო, რადგან ერთ გასროლას დაახლოებით 15-20 გრამი ესაჭიროებოდა.

---

[565] ვრცლად იხილეთ: გ. აკოფაშვილი. მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა, გვ. 405-411.
[566] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 262.
[567] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 50.
[568] იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 3-4.
[569] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 170.
[570] სულხან-საბას მიხედვით – „ჯრმლის სამჭარღლიე“ (იხ.: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 264), ანუ მხარზე გადასაკიდებელი თასმა, რომელზეც ხმლის ქარქაშია ჩამოკიდებული, ის შეიძლება იყოს ვერცხლით ან სხვა ძვირფასი მეტალით შემკული და, შესაბამისად, მისი ფასები განსხვავებული იქნებოდა. მაგალითად, 1738 წელს, ასევე „ნოქარისათვის“ შეძენილ ყაწიმში გადაუხდიათ ექვსი მინალთუნი. იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 44.
[571] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 44.

საინტერესოა ხმლის ფასი. საბუთში ხმლის ფასად დასახელებულია სხვადასხვა თანხა: 1 მინალთუნი, 4 აბაზი და 18 შაური. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ყველაზე იაფფასიან ხმალთან, რადგან ზემოთ ნახსენებ 1738 წლის საბუთში, 18 შაურად ნაყიდ ხმალთან ერთად, დასახელებულია ერთ-ერთი „ნოქრისათვის“ 4 მინალთუნად, ანუ 20 აბაზად შეძენილი ხმალი.[572]

ხმალი, ზარნიშის გარეშე. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, იარაღის ფონდი. GNM 1 35-1935/87

აქვე მოვიხმობთ სამხედრო საქმესთან დაკავშირებულ სხვა ნივთების ფასებსაც: „ტალი (კაჟი – ა. თ.) უყიდე თოფისთვის ერთი შაურისა“, „კარავის ფასათ მივე ხუთი მინალთუნი“, „ცხენის საჭედად მივე აბაზი“, „თოფის გასაკეთებათ ერთი ბისტი...“, „ავშარასა და აღვირში მივე ხუთი შაური“.[573]

ზემოთ მოყვანილი ფასებიდან გამომდინარე, XVIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობის დაბალ ფენებში გავრცელებული თოფის შეძენა შესაძლებელი ყოფილა დაახლოებით 220-260 კგ. ხორბლის ან ერთი ძროხის ფასად. თოფთან ერთად, საპირისწამლეს (2 შაური), კაჟის (1 შაური), თოფის ჩასადებისა (1,5 შაური) და ტყვია-წამლის გარკვეული მარაგის (6 შაური) გათვალისწინებით, ქვედა ფენის მოსახლეობის ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვისათვის საჭირო ყოფილა დაახლ. 2,5 მინალთუნი, ხოლო ამას თუ დავუმატებთ ხმალ-ხანჯალს, ნაბადს და სხვა აუცილებელ ნივთებს, გამოდის, რომ გლეხის შეიარაღების ფასი აჭარბებდა ერთი ხარის ღირებულებას. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის დაბალი ფენები თოფისწამალს ხშირად კუსტარულად ამზადებდნენ, ასევე თავად მოიპოვებდნენ კაჟს.

რაც შეეხება ამავე საუკუნის II ნახევარში მასობრივად გავრცელებული თოფების ფასს, აღნიშნულის შესახებ, ჩვენ რამდენიმე არაპირდაპირი ცნობა გვაქვს. როგორც ზემოთ ითქვა, XIX საუკუნის საბაჟო ტარიფში, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევრის ვითარებას ასახავს, დადასტურებულია თოფის ლულების შემოზიდვის ფაქტები. ლულაზე საბაჟო გადასახადი გაწერილია 22½ კაპიკის ოდენობით.[574] რუსული 22½ კაპიკი 1 აბაზის და ნახევარი შაურის ტოლფასია. როგორც ცნობილია, იმ პერიოდში თბილისში შემოზიდული საქონელი საშუალოდ, 10 პროცენტით იბეგრებოდა. შესაბა-

[572] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 43-44.
[573] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 43-44.
[574] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები, გვ. 190; პ. გუგუშვილი. ქართული საბაჟო ტარიფი.

მისად, თოფის ლულის საბაზრო ფასი გამოდის 2 მინალთუნი, 1 აბაზი და 1 შაური. გვაქვს ცნობები თოფის მეორე უმთავრესი ნაწილის, კონდახის, ფასის შესახებაც – 1788 წლის ერასტი გოსტაშაბისშვილის დანახარჯის ნუსხაში აღნიშნულია: „...თოფის კონდახი გაუკეთებინე სამ აბაზათ ზურაბს...“.[575] გიულდენშტედტი კი თავისი ექსპედიციის დანახარჯების ნუსხაში მიუთითებდა, რომ 1772 წლის 14 მაისს „ერთი ეგერის თოფისთვის კონდახის გაკეთება ერთი მანეთი [დაჯდა]“.[576] როგორც ჩანს, თოფის კონდახის დამზადება XVIII საუკუნის II ნახევარში 3 აბაზიდან 1 მინალთუნამდე ღირდა. თოფის ლულისა და კონდახის მაქსიმალური ფასი 3 მინალთუნი და 1 აბაზზე ცოტა მეტი გამოდის. თუ თოფის მესამე დეტალს, ანუ ჩახმახსაც გავითვალისწინებთ, მასობრივად გავრცელებული თოფის ფასად 4-5 მინალთუნი უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ მიერ განსაზღვრულ ფასს გარკვეულწილად ემთხვევა 1780 წლის დავით გოგიბედაშვილის არზა, რომელშიც აღნიშნულია, რომ 4 მინალთუნის გადასახადის სანაცვლოდ, მისი შვილისათვის ერთი თოფი გამოურთმევიათ.[577]

თბილისში დამზადებული თოფი ყირიმული ლულით, რომლის სავარაუდო ფასი იყო 4-5 მინალთუნი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმი, იარაღის ფონდი, საინვენტარო ნომერი GNM1 12-1926/3

ერთი სიტყვით, ისევე როგორც XVIII საუკუნის 40-იან წლებში, საუკუნის II ნახევარშიც თოფის შეძენა ერთი ძროხის ან დაახლოებით 200-300 კგ. ხორბლის ფასად შეიძლებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იაფფასიან თოფებს შორისაც ყოფილა განსხვავება – შეძლებული გლეხის ოჯახის გაყრის საქმეზე სასამართლო განჩინებაში აღნიშნულია, რომ 1787 წელს დაკარგული თოფის სანაცვლოდ, ერთი თუმანი (10 მინალთუნი) გადაუხდიათ.[578]

არ გაგვაჩნია ინფორმაცია იაფფასიანი დამბაჩების ღირებულების შესახებ, თუმცა, სავარაუდოდ, ის თოფზე იაფი იქნებოდა.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ეპოქის საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის ფასი საგანგაშოდ მაღალი არ იყო, ამავე დროს, არც დეფიციტური.[579]

---

[575] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 221.

[576] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II, გვ. 247.

[577] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII. სასამართლო არზა ოქმები. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1981 გვ. 468.

[578] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 352.

[579] XX საუკუნეში საქართველოს მთიანეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მხედვით, მასობრივად გავრცელებული თოფის ღირებულება შეადგენდა 10-15 და ზოგჯერ 25 ძროხას (იხ.: ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბ. 1984, გვ. 147-148). როგორც ვხედავთ, ცნობები არ არის ზუსტი და დასახელებული ოდენობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით ძვირადღირებული თოფების შეძენა იყო შესაძლებელი.

ერთი სიტყვით, თუ XI-XIII საუკუნეებში საბრძოლო აღჭურვლობის ღირებულება 18-22 ხარის ან 37-44 ძროხის ტოლფასი იყო, XVII-XVIII საუკუნეებში ქვედა ფენების სრული შეიარაღება დაახლ. 1 ხარის ან 2-3 ძროხის ფასად იყო შესაძლებელი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებისგან განსხვავებით, ხელოსნურ-მანუფაქტურული ნაწარმის მკვეთრი გაიაფება გამოწვეული უნდა იყოს შემდეგი გარემოებით: იმდროინდელ მოწინავე ევროპულ ქვეყნებში მკვეთრად გაიზარდა რკინის წარმოება, რის შედეგადაც, მისი ფასი შემცირდა. ტექნოლოგიების განვითარებამ და წარმოების გაფართოებამ, თავს მხრივ, გამოიწვია მანუფაქტურული ნაწარმის ღირებულების კლება. ჩანს, ამ პროცესმა საქართველოზეც იმოქმედა, რადგან, ერთი მხრივ, შედარებით გაიაფდა იმპორტირებული ხელოსნურ-მანუფაქტურული ნაწარმი, ხოლო, მეორე მხრივ, დროთა განმავლობაში, თბილისელი და სხვა ქართული ქალაქების ხელოსნებიც ითვისებდნენ ახალ ტექნოლოგიებს. ისიც აღსანიშნავია, რომ შეიარაღების გაიაფება ერთბაშად არ უნდა მომხდარიყო და ეს პროცესი ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და წარმოების გაფართოების კვალდაკვალ უნდა წარმართულიყო. მაგალითად, XVII საუკუნის I ნახევრის ან შუა ხანების ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში აღნიშნულია: „ოსიას ამას დაველაპარაკეთო: ან მოგუეც ერთი თუმანი თეთრი და ან შენი თოფიო“.[580] როგორც ითქვა, XVII საუკუნეში აბაზი იწონიდა 7,5 გრამს, ხოლო ერთი თუმნის წონა იყო 375 გრამი. აღნიშნული თანხით იმ პერიოდში დაახლ. 5 ძროხის ან 1800-2000 კგ. ხორბლის შეძენა იყო შესაძლებელი. თუ XVII საუკუნის I ნახევარში თოფის საშუალო ფასი 1 თუმანი იყო, გამოდის, რომ ერთ საუკუნეში მისი ფასი დაახლოებით 5-ჯერ შემცირებულა. რაც შეეხება ხმალს, შუბს და მშვილდს, მათი გაიაფება შედარებით ადრე უნდა დაწყებულიყო.

აქვე ჩნდება კითხვა: ფეოდალურ ეპოქაში მოსახლეობის უმრავლესობას, რომელიც დაბეგრილი იყო მრავალი სახელმწიფო და საბატონო გადასახადით, შეეძლო თუ არა, თუნდაც მკვეთრი გაიაფების პირობებში, თოფის და სხვა საჭირო შეიარაღების შეძენა? თოფის ფასი ხომ ერთი სრულწლოვანი ადამიანის მთელი წლის გამოსაკვებად საჭირო ხორბლის მარაგის ღირებულებას უდრიდა. ამ საკითხის გამოსარკვევად, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება – წყაროებში ვხვდებით ფაქტებს, როდესაც სხვადასხვა წელს სახელმწიფო, ე.წ. „დებულებას გარდა“, აწესებდა 2-3 მინალთუნის დამატებით გადასახადებს, რომელსაც გლეხები იხდიდნენ და ამ გადასახადის შეგროვებას განსაკუთრებული გართულებები არ ახლდა. ჩვენი აზრით, ფეოდალური ეპოქის სიმძიმეების მიუხედავად, ვინაიდან ყმა-გლეხთა უმრავლესობა ახერხებდა სხვადასხვა წელს დამატებითი გადასახადების გადახდას, თოფის შეძენაც შეეძლო. ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ XVII-სა და განსაკუთრებით, XVIII საუკუნეში, „ლეკიანობისა“ და სხვა საგარეო პრობლემების გამო, მოსახლეობისათვის თოფი და ხმალი იყო არა ფუფუნების საგანი, არამედ ხშირად გამოსაყენებელი პირველადი მოხმარების ნივთები. შეიარაღების მასობრივ გავრცელებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ოჯახის მიერ ერთხელ შეძენილ თოფსა და ხმალს რამდენიმე თაობა იყენებდა.

აქვე მოკლედ შევეხოთ თოფისწამლისა და ტყვიის ფასებს XVIII საუკუნის II ნახევარში. გიულდენშტედტის ექსპედიციის დანახარჯების ნუსხაში აღნიშნულია: „50

[580] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1972, გვ. 108.

გირვანქა თოფის წამალში, არა მარტო იეგერებისათვის, არამედ ჩემი ამალისთვისაც დასარიგებლად, თბილისში მივეცი თორმეტი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი (ანუ 12,5 მინალთუნი – ა. თ.).

50 გირვანქა ტყვიაში, ჩემი ამალისთვის დასარიგებლად, თბილისში მივეცი შვიდი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი (1772 წლის 28 ივნისი)".[581]

50 გირვანქა[582] თოფისწამალი დაახლ. 20,5 კილოგრამის (იმდროინდელი 5,7 ლიტრის) ტოლფასი იყო. შესაბამისად, ერთი ლიტრა თოფისწამლის ფასი გამოდის 11 აბაზი (ანუ 2 მინალთუნი და 1 აბაზი). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის 40-იან წლებში თოფისწამალი 7 აბაზი ღირდა. თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ იმ პერიოდში აბაზის წონა შეადგენდა 4,6 გრამს, ხოლო XVIII საუკუნის 60-90-იან წლებში – 2,9 გრამს, აღნიშნულ ეპოქებს შორის, თოფისწამლის ფასი დაახლოებით თანაბარი ყოფილა.[583] რაც შეეხება ტყვიას, გიულდენშტედტის ცნობით, იმავე რაოდენობის (50 გირვანქა) ტყვია თოფისწამლის ფასთან შედარებით, დაახლოებით 40%-ით იაფად იყიდებოდა. როგორც ჩანს, ახტალის ვერცხლის საწარმოს ამოქმედების შედეგად, სადაც ვერცხლის გამოდნობის პროცესში დიდი რაოდენობით ტყვიას იღებდნენ, წინა პერიოდთან შედარებით, ტყვია გაიაფებულა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XVIII სააუკის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შეიარაღებიდან გამოირიცხა მშვილდი და შუბი. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეითი ჯარის როლი. როგორც ქვეითები, ისე ცხენოსანი ჯარი, ძირითადად, შეიარაღებული იყო თოფით, ხმალ-ხანჯლით და რიგ შემთხვევაში, დამბაჩით.

ტურნეფორის ცნობით, აღმოსავლეთის ქვეყნებში თოფის სწრაფად დასატენად ქაღალდის მასრას იყენებდნენ, რომელშიც მოთავსებული იყო ტყვია-წამალი. მისი გადმოცემით, „...კბილით გახსნიან ქაღალდს იმ მხარეს, სადაც თოფის წამალია მოთავსებული, სწრაფად ჩაყრიან თოფის ლულაში და შიგ ქაღალდის მილში დარჩენილ ტყვიას ჩააყოლებენ. თოფის დატენვა ხდება ზემოდან ზუმბით, ხოლო ქაღალდს, რომელშიაც თოფის წამალი და ტყვია იყო გახვეული, საცობად იყენებენ...".[584] ტურნეფორის მიერ აღწერილი მასრის მსგავსი, ჩანს, საქართველოშიც გამოიყენებოდა. სულხან-საბას განმარტებით, „მასრა არს ლერწამი, საზედაოს დასახვეველი, გინა თოფის წამლის ჩასაყრელი, გინა რაჲც კალამსავით გაჴვრეტილია მოგრძე".[585] როგორც ჩანს, საქართველოში ქაღალდის მასრის ნაცვლად, ლერწმის მასრას იყენებდნენ, სადაც თოფის ერთი გასროლისათვის საჭირო ტყვია-წამალი იყო მოთავსებული. სწორედ ამ პერიოდიდან უნდა დამატებოდა ჩოხას სამასრეები[586] და მასში სწორედ ლერწმის მასრები უნდა ყოფილიყო ჩადებული, რომელიც

[581] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II, გვ. 257.

[582] ერთი გირვანქა იწონიდა 409,512 გრამს. იხ.: გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 71.

[583] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გიულდენშტედტისავე ინფორმაციით, იმავე პერიოდში ყიზლარში თოფისწამლის ფასი, თბილისის ფასთან შედარებით, 25%-თ იაფი ღირდა, თანაც რუსული თოფის წამლის ხარისხი გაცილებით სჯობდა ქართულ ანალოგს. იხ.: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II, გვ. 245.

[584] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 103.

[585] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I, გვ. 446.

[586] დაახლოებით იმავე პერიოდით განსაზღვრავს რ. თოფჩიშვილი ჩოხაზე სამასრეების გაჩენას. მისი დაკვირვებით, სამასრეები მხოლოდ სოციალურად დაწინაურებულთა სამოსზე იყო დატანილი. იხ.: რ. თოფჩიშ-

მოგვიანებით, ლამაზმა დეკორაციებმა შეცვალა. თოფისწამლისა და ტყვიის ლულაში მოთავსების შემდეგ, ჰერმეტულობისათვის საქართველოში არა ქაღალდს, არამედ „ძონძს“, ანუ სამოსლის ძველ ნაგლეჯს იყენებდნენ.[587] რაც შეეხება საპირისწამლეს, ის ჩოხის სამასრეების პარალელურად გამოიყენებოდა, რადგან მასში გაცილებით მეტი თოფისწამლის მარაგი იყო მოთავსებული. ამასთანავე, მასრებში გამზადებული თოფისწამლის გარდა, თოფის გასროლისათვის საჭირო იყო მცირე რაოდენობის დენთის ფალიაზე მობნევაც.

ორიოდე სიტყვით შევეხებით სამხედრო სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც. ერთიანი ქართული მონარქიის ეპოქაში ქართული ჯარის შემადგენელი იყო „როქის სპა“, ანუ მოქირაავნეები, რომელთაც ქართველი მეფეები, ძირითადად, ჩრდილოეთ კავკასიიდან ქირაობდნენ. წყაროებში არ მოგვეპოვება ცნობები, თუ რა თანხას იხდიდნენ მათ დასაქირავებლად. როგორც აღინიშნა, აღმოსავლეთის ქვეყნებში დაქირავებული მეომრის ყოველთვიური ხელფასი 4-30 ოქროს დინარის ფარგლებში იყო. ვერცხლზე გადაყვანით, მათი ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა დაახლ. 150-1100 გრამს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკურად დაბალგანვითარებული რეგიონიდან მეომრების დასაქირავებლად, ქართველ მეფეებს არცთუ დიდი თანხის გადახდა მოუწევდათ და ეს შეიძლება ყოფილიყო დასახელებული თანხებიდან უმცირესი – 4-8 ოქროს დინარი (50-100 დრამა), ანუ 150-300 გრამი ვერცხლი.

რაც შეეხება გვიანფეოდალურ ეპოქას, საკითხის შესახებ, პირდაპირი ცნობები მოგვეპოვება. 1769 წლის 14 მარტით დათარიღებული მაქსიმე აბაშიძის მოხსენებით ბარათში რუსეთის მთავრობისადმი დასავლეთ საქართველოს მდგომარეობის შესახებ, აღნიშნულია: „...იმერლებს გარდა, ყოველთვის იშოება თეთრითა მეომარი ლეკი და ოსი... ამას წინათ მეფემ სოლომონმა რამდენიმე (სავარაუდოდ, რამდენიმე ასეულს და ათასეულს უნდა გულისხმობდეს – ა. თ.) ლეკი იქირავა ცოტახანსა, თითო კაცი ოროლ თუმნათ უჯდებოდა“.[588] პლატონ იოსელიანის გადმოცემით, გიორგი XII 1799 წელს დაქირავებულ ლეკებს თვეში 30 მანეთს, ანუ 3 თუმანს უხდიდა – „1200 კაცსა ლეკსა მეომარსა ეძლეოდა თითვე და თითვე ჯამაგირი თვითოს თითვეში 30 მანეთი“.[589]

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევარში ქართველი მეფეები ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებულ მთიელებს ყოველთვიურად უხდიდნენ 2-3 თუმანს (100-150 აბაზი. აბაზი=2,9 გრ.), ანუ 290-435 გრამ ვერცხლს.

რაც შეეხება დაღესტნელების მიერ მოტაცებულ ქართველი ტყვეების დახსნის საფასურს, ამ საკითხზე საინტერესო ინფორმაციას მოგვითხრობს გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი. ავტორი კახეთის შესახებ თხრობისას, აღნიშნავს: „ამ პროვინციის მოსახლეობასთან ლეკებმა დასდეს განსაკუთრებული შეთანხმება, რომლის მიხედვიტაც აკრძალულია კახეთიდან, ან ქიზიყიდან გატაცებული კაცი სხვაგან გაიყიდოს,

---

ვილი. ქართული სამოსის ისტორიიდან: ჩოხა-ახალუხი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის შრომები. IX. თბ. 2015, გვ. 222-223.

[587] „ძონძი არს ყო[ვ]ელივე სამოსელთაგან ძველი და ნაგლეჯი...“. იხ.: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 356.

[588] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი I, გვ. 301.

[589] პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. რედ. აკაკი გაწერელია. თბ. 1978, გვ. 196.

თუ კი ის შეძლებს თავისი თავის ორ თუმნად გამოსყიდვას; ტყვე რომც მაღალი წარმოშობისა იყოს, მაინც ეს ფასი არ იზრდება. თუ კი ლეკს დაიჭერენ, მან თავი უნდა გამოისყიდოს სამ ტყვე-ქართველში, თუკი ის ამას ვერ შეძლებს, მაშინ თავისი გაუფრთხილებლობისათვის პასუხს სიცოცხლით აგებს, ანდა რაიმე სხვა საშუალება უნდა მოძებნოს გათავისუფლებისათვის".[590] ჩვენ სხვა წყაროებშიც ვხვდებით დაღესტნელი მთიელების მიერ მოტაცებული ქართველი ტყვეების გამოსახსნელად 2 თუმნის, ანუ დაახლ. 300 გრამ ვერცხლის გადახდის ფაქტებს, თუმცა, ჩანს უფრო დიდი თანხის გადახდის შემთხვევებიც.

ქვემოთ მოცემულია ოთხი ცხრილი: I ცხრილში წარმოდგენილია XI-XIII საუკუნეების სამხედრო აღჭურვილობის, II ცხრილში – ერეკლე II-ის სამხედრო შეიარაღების, III ცხრილში – XVIII საუკუნის ქართველი ფეოდალის იარაღის, ხოლო IV ცხრილში – XVII-XVIII საუკუნეების ქვედა ფენის წარმომადგენელთა, მათ შორის გლეხების, შეიარაღების ფასები.

I. XI-XIII საუკუნეების მეომრის სამხედრო აღჭურვილობის ფასები[591]:

საბრძოლო იარაღის დასახელება	**ფასი ოქროს მონეტის წონის/ სინჯის მითითებით და ვერცხლის დრამებსა და გრამებში გადაყვანით**	**იარაღის ფასის ეკვივალენტი ხორბლისა და ძროხების ოდენობა**
საშუალო ღირსების საბრძოლო ცხენი	15 დრაჰკანი (4,4 გრ. 24-კარატიანი)/დაახლ. 195 დრამა (585 გრ. ვერცხლი)	დაახლ. 2800 კგ. ხორბალი /15 ძროხა
სამარქაფო ცხენი	6 დრაჰკანი (4,4 გრ. 24-კარატიანი)/ 78 დრამა (230 გრ. ვერცხლი)	დაახლ. 1100 კგ. ხორბალი /6 ძროხა
ცხენის აღკაზმულობა	3-4 ოქრო (4,4 გრ. 22-კარატიანი)/ 33-44 დრამა (100-130 გრ. ვერცხლი)	დაახლ. 470-620 კგ. ხორბალი /3-4 ძროხა
ხმალი	5-10 ოქრო (4,4 გრ. 24-კარატიანი)/ 65-130 დრამა (195-390 გრ. ვერცხლი)	დაახლ. 930-1860 კგ. ხორბალი 5-10 ძროხა
ჩაბალახი	2 ოქრო (4,4 გრ. 22-კარატიანი)/22 დრამა (65 გრ. ვერცხლი)	დაახლ. 300 კგ. ხორბალი /2 ძროხა
ჯაჭვის პერანგი	2 ოქრო (4,4 გრ. 22-კარატიანი)/22 დრამა (65 გრ. ვერცხლი)	დაახლ. 300 კგ. ხორბალი /2 ძროხა
საბარკული	1 ოქრო (4,4 გრ. 22-კარატიანი)/11 დრამა (33 გრ. ვერცხლი)	დაახლ. 150 კგ. ხორბალი /1 ძროხა
ქაფი (მხრის დამცავი მომრგვალებული ლითონის ფირფიტა)	1 ოქრო (4,4 გრ. 22-კარატიანი)/11 დრამა (33 გრ. ვერცხლი)	დაახლ. 150 კგ. ხორბალი /1 ძროხა
შუბი და ფარი	1-2 ოქრო (4,4 გრ. 24-კარატიანი)/13-26 დრამა (40-78 გრ. ვერცხლი)	დაახლ. 150-300 კგ. ხორბალი /1-2 ძროხა

[590] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 168.

[591] მ. წურწუმია. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი, გვ. 224-225; მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 140-147.

კარავი	3-5 ოქრო (4,4 გრ. 24-კარატიანი)/33-65 დრამა (100-195 გრ. ვერცხლი)	დაახლ. 475-930 კგ. ხორბალი /3-5 ძროხა
მხედრის შეიარაღების საერთო ფასი საბრძოლო და საბარგო ცხენების ჩათვლით /ხორბლისა და ძროხის ოდენობის მითითებით		დაახლ. 480-600 დრამა /6800-8500 კგ. ხორბალი /39-48 ძროხა
მხედრის შეიარაღების საერთო ფასი ქაფის, საბარკულის, სამარქაფო ცხენისა და კარვის გამოკლებით /ხორბლისა და ძროხის ოდენობის მითითებით		350-440 დრამა /დაახლ. 4900-6150 კგ. ხორბალი /28-35 ძროხა

II. ერეკლე II-ის კუთვნილი ზოგიერთი საბრძოლო იარაღის ფასი[592]:

საბრძოლო იარაღის დასახელება	**ფასი (ცხრილში ყველგან აბაზი=2,9 გრ.)**	**იარაღის ფასის ეკვივალენტი ხორბლისა და ძროხების ოდენობა**
მინანქრის ხმალ-ჯავარდენი	80 თუმანი	1140 კოდი, ანუ 41 00 კგ. ხორბალი /200 ძროხა
თოფი ფრანგული	10 თუმანი	142 კოდი, ანუ 5100 კგ. ხორბალი /25 ძროხა
დამბაჩა ფრანგული.	5 თუმანი	71 კოდი, ანუ 2550 კგ. ხორბალი /12 ძროხა
„წელსარტყამი იარაღი ბალთებით“	2,5 თუმანი	35,5 კოდი, ანუ 1270 კგ.ხორბალი /6 ძროხა
დურბინდი	2 თუმანი	28,5 კოდი, ანუ 1000 კგ. ხორბალი /5 ძროხა
2 სამკლავე თავისი ჯაჭვებით და ჩაჩქანი	35 თუმანი	500 კოდი, ანუ 18 000 კგ. ხორბალი /87 ძროხა
საპირისწამლე ყადიმი (ძველი) ოქროს ყაწიმებით	5 თუმანი	71 კოდი, ანუ 2550 კგ. ხორბალი /12 ძროხა
საპირისწამლე ვერცხლისა სევადა.	2 თუმანი	28,5 კოდი, ანუ 1000 კგ. ხორბალი /5 ძროხა
ხანჯალი ოქროთი მოჭედილი	14 თუმანი	200 კოდი, ანუ 7200 კგ. ხორბალი /35 ძროხა
„ხანჯალი მურასა მინანქარი მარგალიტის ფოჩით“	90 თუმანი	1285 კოდი, ანუ 46 200 კგ. ხორბალი /225 ძროხა
„ხანჯალი ეშმის ტარიანი გურჯაანის ნაცვლისეული“	6 თუმანი	85 კოდი, ანუ 3050 კგ. ხორბალი /15 ძროხა
დურბინდი დიდი	6 თუმანი	85 კოდი, ანუ 3050 კგ. ხორბალი /15 ძროხა
ხანჯალი საია	2 მინალთუნი	2,8 კოდი, ანუ 100 კგ. ხორბალი /0,5 ძროხა
ერეკლე II-ის ზოგიერთი შეიარაღების საერთო ფასი (ცხენების, ცხენის აღკაზმულობის და კარვების გარეშე), ხორბლის და ძროხის ოდენობის მითითებით		257,7 თუმანი (2577 მინალთუნი, ანუ 12 885 აბაზი) /დაახლ. 3700 კოდი, ანუ 133 000 კგ. ხორბალი /643 ძროხა

[592] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 275-276; ხეც. Hd-3668.

III. ბეჟან ამილახვრიშვილის ზოგიერთი სამხედრო შეიარაღებისა და ცხენების ფასები (XVIII საუკუნის II ნახევარი)[593]:

საბრძოლო იარაღის დასახელება	**ფასი (ცხრილში ყველგან აბაზი=2,9 გრ.)**	**იარაღის ფასის ეკვივალენტი ხორბლისა და ძროხების ოდენობა**
რუსეთიდან მოტანილი თოფი	8 თუმანი	114 კოდი, ანუ 4100 კგ. ხორბალი / 20 ძროხა / ოთხ-უღელი (8) ხარი
ერთი ცხენი	3 თუმანი	43 კოდი, ანუ 1550 კგ. ხორბალი/7 ძროხა
ბედაური ცხენი – ასპინძის ბრძოლაში მოპოვებული ნადავლი	15 თუმანი	215 კოდი, ანუ 7740 კგ. ხორბალი/37 ძროხა
ვერცხლით მოჭედილი პირმრგვალი თოფი – ასპინძის ბრძოლაში მოპოვებული ნადავლი	3 თუმანი	43 კოდი, ანუ 1550 კგ. ხორბალი/7 ძროხა
ხმალი	5 თუმანი	71 კოდი, ანუ 2550 კგ. ხორბალი/12 ძროხა
ბეჟან ამილახვრიშვილის ცხენებისა და ზოგიერთი იარაღის საერთო ფასი		34 თუმანი
ხორბლისა და ძროხის ოდენობის მითითებით		486 კოდი, ანუ 17500 კგ. ხორბალი/83 ძროხა

IV. დაქირავებული მებრძოლის შეიარაღების და ცხენის აღკაზმულობის ფასები (XVIII საუკუნის 40-იანი წლები)[594]:

საბრძოლო იარაღის დასახელება	ფასი (ცხრილში ყველგან აბაზი=დაახლ. 5 გრ.)	იარაღის ფასის ეკვივალენტი ხორ-ბლის ოდენობა (მოცემულია XVIII საუკუნის 30-იანი წლების ფასებით)
ხმალი	1 მინალთუნი, ანუ 5 აბაზი	დაახლ. 115 კგ. ხორბალი
ხმალი	4 აბაზი	დაახლ. 90 კგ. ხორბალი
ხმალი	18 შაური, ანუ 4,5 აბაზი	დაახლ. 100 კგ. ხორბალი
ხმალი	4 მინალთუნი, ანუ 20 აბაზი	დაახლ. 460 კგ. ხორბალი
თოფი	2 მინალთუნი, ანუ 10 აბაზი	დაახლ. 230 კგ. ხორბალი
თოფის ყალიბი	1,5 შაური	დაახლ. 8,5 კგ. ხორბალი
თოფის წამალი	3 შაური	დაახლ. 17-18 კგ. ხორბალი
თოფის ტყვია	3 შაური	დაახლ. 17-18 კგ. ხორბალი
საპირისწამლე	2 შაური	დაახლ. 11-12 კგ. ხორბალი
ცალი ყაწიმი საპირისწამ-ლით	4 აბაზი	დაახლ. 90 კგ. ხორბალი

[593] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 81-83.
[594] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 1-4; III, გვ. 43-44.

ცხენის სამკერდული	2 აბაზი	დაახლ. 45 კგ. ხორბალი
ცხენის ტილო „დუშაყი“	1 აბაზი	დაახლ. 22-23 კგ. ხორბალი
ცხენის „თაქალთოს გასა-კეთები“ და კიდევ ცხენის ხარჯი	4 აბაზი	დაახლ. 90 კგ. ხორბალი
უნაგირი და ცხენის აღკაზმულობა	3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი	დაახლ. 340 კგ. ხორბალი
ავშარა და აღვირი	5 შაური	დაახლ. 28 კგ. ხორბალი
ავჟანდა და ცხენის აღკაზმულობის ზოგიერთი ნივთი	10 შაური	დაახლ. 55 კგ. ხორბალი
კარავი	5 მინალთუნი, ანუ 25 აბაზი	დაახლ. 570 კგ. ხორბალი
ნაბადი	6 შაური	დაახლ. 35 კგ. ხორბალი
სარტყელი	2 შაური	დაახლ. 11-12 კგ. ხორბალი
დაქირავებული მეომრის შეიარაღების და ცხენის აღკა-ზმულობის საერთო ფასი (ცხენის გამოკლებით) – XVIII საუკუნის 40-იანი წლები. ფასის ეკვივალენტი ხორბლის ოდენობის მითითებით		დაახლ. 1,5 თუმანი, ანუ 15 მინალ-თუნი /დაახლ. 1700 კგ. ხორბალი
დაქირავებული მეომრის შეიარაღების, ცხენის და ცხ-ენის აღკაზმულობის საერთო ფასი – XVIII საუკუნის 40-იანი წლები. ფასის ეკვივალენტი ხორბლის ოდენობის მითითებით		3-3,5 თუმანი, ანუ 30-35 მინალ-თუნი /დაახლ. 3400-4000 კგ. ხორბალი
გლეხის მინიმალური შეიარაღების საერთო ფასი (ხმალი, თოფი, საპირისწამლე, ტყვია-წამალი და ნაბადი) – XVIII საუკუნის 40-იანი წლები. ფასის ეკვიველენტი ხორბლის ოდენობის მითითებით		3,6 მინალთუნი, ანუ 18 აბაზი /410 კგ. ხორბალი

VIII. წიგნების, ხატების, ჯვრებისა და სხვა საეკლესიო ნივთების ღირებულება XI-XVIII საუკუნეებში

წიგნების ღირებულება XI-XVIII საუკუნეებში

ხელნაწერი წიგნის ღირებულების შესახებ ცნობებს გვაწვდის XI საუკუნის 70-იან წლებში შედგენილი ნიკორწმინდელის დაწერილი, რომელშიც აღნიშნულია: „... და მე დამხუდა იადგარი ნახევარწერილი ა და გავასრულე ყ(ოვლ)ითავე სისრულითა, შევმოსე მოვცუარე და შევჭედე. და მისისა დაწერისა და შეკაზმვისთვჳს მივეც დრაჰკანი დუკატი იე. და ვიყი[დე] წიგნი პარაკლიტონი ა და მივეც ფასად ცხენისა ნახევარი“.[595]

თავდაპირველად, ნიკორწმინდელის დაწერილში მოხსენებულ სხვადასხვა პროდუქტის ფასებს ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. მის ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ მუხლებად არის წარმოდგენილი ფასებთან დაკავშირებული ცნობები.[596] ივ. ჯავახიშვილი წიგნის ფასს დეტალურად შეეხო ნაშრომშიც „ქართული პალეოგრაფია“. ავტორმა ყურადღება გაამახვილა 15 დრაჰკან დუკატად შეფასებულ „ნახევარწერილ“ იადგარზე: „ვთქვათ, შეკაზმაში 3-5 დრაჰკანი მისცა (ნიკორწმინდელმა – ა. თ.), მაშინ ნახევარი წიგნის დაწერა 10-12 დრაჰკანი დუკატი დასჯდომია. მთელი წიგნი კი 20-24 დრაჰკანი დუკატი ღირებულა“.[597] მისი აზრით, მოცემულ ეპოქაში წიგნის საშუალო ფასი 20 დრაჰკანი იყო.[598]

ასევე ივ. ჯავახიშვილი წიგნის ფასის განსაზღვრისას იყენებს ხელნაწერ A-76-ზე იორამ ბოქაულთუხუცესის მიერ XVII საუკუნის დასაწყისში შესრულებულ მინაწერს (312r), რომელშიც აღნიშნულია: „მას ჟამსა, როდესაც მეფე ბატონი სუიმონ ურუმთაგან დატყუევდა და ჩუენ ხუანთქართანა ელჩად წავედით, და ეს წიგნი დატყუევებული ვიპოვეთ და დავიხსენით და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად“.[599] ის განმარტავს, რომ სტამბულში ნაყიდი ეს ქაღალდის დიდტანიანი, 676-გვერდიანი წიგნი, „სჯულისკანონი“ იყო.[600]

ივ. ჯავახიშვილმა მიახლოებით გამოიანგარიშა ხელნაწერი წიგნის ერთი გვერდის გადაწერის ღირებულებაც. სიონის ტაძრის დეკანოზ ნიკოლოზ ოსეს ძის მიერ 1764 წელს გადაწერილი 700-გვერდიანი ხელნაწერის (A-20) მინაწერიდან ირკვევა, რომ წიგნის საფასური ყოფილა შვიდი თუმანი – „შჳიდი თუმანი არის ამ წმინდას სახარების თარგმანში მიცემული, თხუთმეტი მინანთული (მინალთუნი – ა. თ.) მის ღირსებას,

[595] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 43.

[596] ივ. ჯავახიშვილი. საქრთველოს ეკონომიური ისტორია. ტფ. 1907, გვ. 108-109.

[597] ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. მეორე გამოცემა. თბ. 1949, გვ. 98

[598] ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 98.

[599] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის **(A)** კოლექცია, ტ. I_1, ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1973, გვ. 262.

[600] ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 98-99.

ყ˜დ სამღუდელოსაგან ბოდბელის იოანესგან მიცემული და ხუთ თუმან ნახევარი საწყალის ჩემი ბოდბელის დავითისაგან ჩღ˜ჲდ“.[601] იმის გამო რომ 700-გვერდიანი წიგნი 7 თუმანი ღირდა, შესაბამისად, 100 გვერდის გადაწერის საფასური იქნებოდა 1 თუმანი, 10 გვერდის – 1 მინალთუნი, ხოლო 1 გვერდის – 2 შაური.[602]

ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ფასებს ეხება პ. გუგუშვილი თავის ნაშრომში „ქართული სტამბის წიგნი 1629-1979“. ავტორს მოხმობილი აქვს ივ. ჯავახიშვილის მიერ განხილული ცნობები, ამასთანავე, XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის I ნახევრის წყაროებში დაფიქსირებული წიგნების ფასები. ამ შემთხვევაში პ. გუგუშვილი განიხილავს ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში“ არსებულ ცნობებს წიგნების ფასების შესახებ.[603] 1788 წლით დათარიღებულ ხონის ტაძრის შეწირულობის საბუთში ვხვდებით შემდეგი წიგნების ფასებს: „სახარების თარგმანი მარკოსის და ლუკასი“ – 80 მარჩილი; „სამღვდელთმთავრო კონდაკი“ – 27 მარჩილი; „დოღმატიკა შემოკლებული“ – 22 მარჩილი; „დამასკელის წიგნი სტამბისა“ – 5 მარჩილი; „მთავარანგელოსის წიგნი“ – 6 მარჩილი; „სვინაქსარი“ – 15 მარჩილი (მთავარეპისკოპოს ანტონის სიტყვით 14 მარჩილად ჰქონია ნაყიდი); „ანდრია სალოსის წიგნი“ – 6 მარჩილი.[604]

პ. გუგუშვილი ყურადღებას ამახვილებს, ასევე 1823 წელს 243-გვერდიანი ხელნაწერის – ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 25 მანეთად გაყიდვის ფაქტსა და 1837 წელს დ. ჩუბინაშვილის მიერ მოსკოვში 1743 წელს დაბეჭდილი ბიბლიის (ბაქარის ბიბლია – ა. თ.) პეტერბურგის აკადემიისათვის 200 მანეთად მიყიდვის შემთხვევაზე. ავტორი აღნიშნავს, რომ იმავე ხანებში 1709 წელს დაბეჭდილი სახარება 10 მანეთად ფასობდა. ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანში“ 20 მანეთი გადაუხდიათ. წიგნი დაზიანებული ყოფილა და აღნიშნული თანხით მისი შეძენაც მოხერხებულა, ამოგლეჯილი ფურცლები კი „კაის ხელით“ დაუწერინებიათ და შეუკერიათ კიდეც.[605]

წიგნის ფასს ეხება ე. მაჭავარიანი სტატიაში „შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის ფასი“. როგორც სათაურიდანაც ჩანს, ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ხელნაწერ წიგნებზე.[606] ავტორი საგანგებოდ ეხება წყაროსთავის ოთხთავის (Q-907) მომგებლის – იოანე საფარელ-მტბევარის ანდერძს, რომელშიც წიგნის ჭედური ყდის შესაქმნელად საჭირო თანხაზეა საუბარი. ე. მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ ანდერძში მითითებულია როგორც ოქრომჭედლის ხელობის საფასური, ისე მოჭედვისათვის საჭირო მასალის ოდენობაც: „ამას ოთხთავსა ზედა არს ორასისა დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქროჲ.“ იქვე მითითებულია ბექა ოპიზრის გასამრჯელო: „ოქრომჭედლისა ხელფასი კგ“ (273r).[607] უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ცნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ ვიგებთ მდიდრულად მოჭედილი წიგნის საფასურს.

---

[601] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის **(A)** კოლექცია, ტ. I_1, გვ. 76.

[602] ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 99.

[603] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. VII. ქართული სტამბის წიგნი 1629-1979. თბ. 1984, გვ. 109-111.

[604] ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. II. ტფ. 1921, გვ. 179.

[605] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. VII, გვ. 111.

[606] ე. მაჭავარიანი. შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის ფასი. მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. 24. თბ. 2015, გვ. 452-454.

[607] ე. მაჭავარიანი. შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის ფასი, გვ. 454-455; ქართულ ხელნაწერთა აღწერი-

ნიკორწმინდელის დაწერილში არსებულ ცნობებზე დაყრდნობით, წიგნის ფასს მოკლედ ეხება მ. წურწუმია.

ამჯერად, განვიხილავთ ყველა ზემოთ დასახელებულ და წყაროებში დაფიქსირებულ სხვა წიგნების ფასს. ამასთან, ყურადღებას გავამახვილებთ დროთა განმავლობაში ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნების გაძვირება-გაიაფების პროცესზე.

როგორც აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, XI საუკუნეში (ჩვენი ვარაუდით, XII-XIII საუკუნეებშიც) წიგნის საშუალო ფასი იყო 20 დრაჰკანი, კონკრეტულად ნიკორწმინდელის დაწერილში ნახსენებ იადგარის ღირებულებას კი – 20-24 დრაჰკანი დუკატით განსაზღვრავს, ხოლო წიგნის შეკაზმისათვის 3-5 დრაჰკანის გადახდა ივარაუდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნიკორწმინდელის დაწერილშივე დაცული ცნობის თანახმად, გლეხის ოჯახის ღირებულება უდრიდა 18 დრაჰკან დუკატს. ამდენად, ერთი „შეკაზმული“ წიგნი, ამ შემთხვევაში იადგარი, გლეხზე გაცილებით ძვირად ფასობდა.

20-24 დრაჰკანი დუკატის, თუნდაც 20 დრაჰკანის ვერცხლის გრამებში გადაყვანისთვის, კიდევ ერთხელ შევეხებით ვერცხლისა და ოქროს შეფარდებას. როგორც ხორბლის ფასების განხილვისას აღინიშნა, 24-კარატიანი ერთი ოქროს ნომისმა/დრაჰკანი საშუალოდ, 13 დრამის (დრამა=3 გრ.) ტოლფასი იყო. კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) მოჭრილი ოქროს მონეტების სინჯი კი, რომელსაც საქართველოში დუკატს უწოდებდნენ, საშუალოდ 18 კარატას შეადგენდა.[608] შესაბამისად, დრაჰკანი დუკატის შეფარდება 3-გრამიან ვერცხლის ფულთან იქნებოდა 1:11.

თუ 20-24 დრაჰკანი დუკატის ვერცხლთან შეფარდებას მოცემული კურსით ვიანგარიშებთ, მივიღებთ დაახლ. 220-264 დრამას (3-გრამიანი დრამის პირობებში), ანუ საშუალოდ – 700-730 გრამ ვერცხლს.

20 სრულფასოვანი დრაჰკანი ვერცხლზე გადაყვანით (შეფარდება 1:13) უდრიდა 780 გრამს. ერთი სიტყვით, XI-XIII საუკუნეებში წიგნის საშუალო ფასი უტოლდებოდა 700-780 გრამი ვერცხლის ღირებულებას.

იადგარი, ხელნაწერი (978-988 წწ).
ხეც. S-425

აღნიშნული ეპოქის საქართველოში იადგარის ფასად, იმდროინდელი ფასებიდან გამომდინარე, შესაძლებელი ყოფილა დაახლოებით 3500 კგ. ხორბლის შეძენა.

რაც შეეხება ნიკორწმინდელის დაწერილში მოხსენებულ პარაკლიტონს, რომლის შესაძენად „ცხენისა ნახევარი“ გადაუხდიათ, მისი ფასის დასადგენად უნდა გავიხსენოთ ცხენის ღირებულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, დასახელებულ ეპოქაში საშუალო ღირსების ცხენის ფასი იყო 15-23 ორქროს დრაჰკანი, რაც 600-900 გრამი ვერცხლის ეკვივალენტი იყო. შესაბამისად, პარაკლიტონის ღირებულე-

ლობა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია. II. ილ. აბულაძის რედაქციით. თბ. 1958, გვ. 324.

[608] გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საქართველოში, გვ. 91.



პარაკლიტონი, ხელნაწერი (1093 წ.).
ხეც. A-93

ბა გამოდის დაახლ. 7,5-12 დრაჰკანი დუკატი. წიგნების შედარებით დაბალი ღირებულება დამოკიდებული იქნებოდა ეტრატის ხარისხზე, ხელნაწერის მოცულობაზე და ა.შ. მცირე მოცულობის წიგნები, სავარაუდოდ, 7-8 დრაჰკანზე უფრო იაფიც ეღირებოდა.

ცხადია, მდიდრულად მოჭედილი ყდით და მხატვრობით გაფორმებული წიგნის ფასი 20 დრაჰკანად შეფასებულ საშუალო ხარისხის წიგნის ფასზე უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. ფასი დამოკიდებული იქნებოდა წიგნის გაფორმების ხარისხსა და ზომაზე. თუ რამდენად ძვირად ფასობდა მდიდრულად გაფორმებული წიგნი ჩვეულებრივ წიგნთან შედარებით, ამას აჩვენებს ე. მაჭავარიანის მიერ დამოწმებული წყაროსთავის ოთხთავის ანდერძი. როგორც აღინიშნა, ოთხთავის ჭედური ყდის შესაქმნელად 200 დრამა (600 გრამი), ვერცხლი და 20 დრამა (60 გრამი) ოქრო დახარჯულა, ხოლო ოქრომჭედელ, ბექა ოპიზრის გასამრჯელო 23 ოქროს დრამას (69 გრამს) შეადგენდა.

ზემოთ უკვე შევეხეთ განსახილველ ეპოქაში ოქროსა და ვერცხლის შეფარდებას და აღვნიშნეთ, რომ 24-კარატიანი ბაჯაღლო ოქროს ნომისმას (4,4 გრამი) 3-გრამიან ვერცხლის მონეტასთან შეფარდება იყო საშუალოდ, 1:13, ანუ 4,4 გრამი ოქრო ხურდავდებოდა 39 გრამ ვერცხლზე. შესაბამისად, ოქროს და ვერცხლის აბსოლუტური შეფარდება ყოფილა მაქსიმუმ 1:9. უნდა ვივარაუდოთ, რომ წყაროსთავის ოთხთავის მოოქრული ვერცხლის ყდის მოსაჭედად სწორედ ბაჯაღლო ოქრო გამოიყენებოდა. აქედან გამომდინარე, ოთხთავის ჭედური ყდისათვის დახარჯული 60 გრამი ოქრო უდრიდა დაახლ. 540 გრამ ვერცხლს, ხოლო ბექა ოპიზრის გასამრჯელო 69 გრამი ოქრო კი – დაახლ. 620 გრამ ვერცხლს. ამდენად, დასახელებული წიგნის მხოლოდ ჭედური ყდის ღირებულება გამოდის 1760 გრამი ვერცხლი (600+540+620=1760). აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ წყაროსთავის სახარების ანდერძში ყდის მოჭედვისათვის საჭირო ოქრო-ვერცხლთან ერთად დასახელებულია „თ[ვ]ლები და მარგალიტი“ – „ამას ოთხთავსა ზედა არს ორასისა დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქროჲ, თ[ვ]ლები და მარგალიტი, ოქრომჭედლისა ხელფასი კ˜ გ (Q-907 (273r).[609] მართალია, „თ[ვ]ლები და მარგალიტი“ შეფასებული არ არის, მაგრამ ვიცით, რომ ყდის ზედა ფრთას ამკობს 4 თვალი, მათ შორის ორი ლურჯი მინა, 2 გრანატი (ალმანდინი); ქვედა ფრთას – ორი თვალი, 1 მომწვანო ფირუზი, 1 მწვანე მინა; ყდის ორივე ფრთა, სავარაუდოდ, უხვად ყოფილა შემკული ასხმული მარგალიტებით.[610] დასახელებულ ციფრს თუ თვალ-მარგალიტის ფასსაც მივამატებთ, გამოდის, რომ ჭედურობის ღირებულება აჭარბებდა 2000 გრამ ვერცხლს. ბუნებრივია, მოცემულ ფასთან ერთად, გასათვალისწინებელია თავად (227 ფურცლიანი) წიგნის ღირებულე-

[609] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, გვ. 324.
[610] ქართული ხელნაწერების ჭედური ყდები. რედაქტორი ვ. კეკელია. თბ. 2015, გვ. 38-41.

ბაც – 20 დრაჰკანი, ანუ დაახლოებით 780 გრამი ვერცხლი. ერთი სიტყვით, მოცემულ ცნობებზე დაყრდნობით, წყაროსთავის ოთხთავის ღირებულება გამოდის 2800-3000 გრამი ვერცხლი, რაც 930-1000 დრამის ან 71-77 სრულფასოვანი დრაჰკანის ეკვივალენტია. აღნიშნული თანხით განსახილველ ეპოქაში შესაძლებელი იყო 4 კომლი გლეხის, ანდაც დაახლ. 70 ძროხის ან 30-35 ხარის ყიდვა.

წყაროსთავის ოთხთავი ჭედური ყდით (XII ს.). ხეც. Q-907

ამჯერად, განვიხილოთ XVII საუკუნის დასაწყისში 80 ფლურად სტამბულში ნაყიდი „სჯულისკანონი“. ფლური საქართველოში ოქროს ფულს აღნიშნავდა (ტერმინი წარმოიშვა იტალიური ფულის – ფლორინისაგან) და ტურნეფორის ცნობით XVII საუკუნეში 6 აბაზად და 3 შაურად ხურდავდებოდა,[611] ხოლო ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, „ფლურის ფასი, დრო არის, შვიდ აბაზად ფასობდეს, დრო არის, შვიდ აბაზ უზალთუნად იყოს, ხან ერთ შაურ ნაკლებადაც“.[612] ორივე მონაცემზე დაყრდნობით, ფლური საშუალოდ, 7 აბაზის ეკვივალენტი ყოფილა. იმ პერიოდში აბაზის წონა იყო 7,5 გრამი.[613] შესაბამისად, 7 აბაზი იწონიდა დაახლ. 52,5 გრამ ვერცხლს. როგორც ვხედავთ, 80 ფლურად შეფასებული „სჯულისკანონის“ ვერცხლში გადაყვანილი ღირებულება უდრიდა 4200 გრამს, ანუ 560 აბაზს (11,2 თუმანს). ჩვენი დაანგარიშება ეფუძნება იმ დაშვებას, რომ იორამ ბოქაულთუხუცესის მიერ წიგნში გადახდილ 80 ფლურში იგულისხმებოდა მაღალი ხარისხის ოქროს მონეტები. თუ დავუშვებთ, რომ ამ შემთხვევაში გადახდილი იყო ოსმალური ოქროს მონეტა – „ოთმანური ფლური“, მისი კურსი უფრო დაბალი იქნებოდა. როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოგვცემს, „ოქრო ჩვენში სრულად გოლანდიისა მუშაობდა, ვენე-

[611] ჟ. ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63; ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვეთი მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 55.

[612] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 486.

[613] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV, გვ. 8-22, 78-90.

ტიკისაცა და ოსმალისაცა უფრო ცოტა (მაგრამ ოსმალის ოქრო წმინდა არ არის და ამისათვის არ უყვარდათ ქართველებსა)“.[614]

რომელ ქვეყანაში მოჭრილ ოქროს მონეტასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, მაინც ცხადია, რომ დასახელებული წიგნის ფასი ძალიან მაღალი ყოფილა. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ ქართული წიგნი სტამბულში უფრო იაფი ეღირებოდა, ვიდრე საქართველოში, თუმცა საბოლოოდ მიიჩნევს, რომ „შეიძლება საქართველოში წიგნის ამდროინდელ ფასებთან გამათანაბრებლად მივიჩნიოთ და დაახლოებით 80 ფლური ქართული ძველი დიდტანიანი წიგნის XVI საუკ. ფასად ჩავთვალოთ“.[615]

ჩვენი აზრით, აღნიშნული მოსაზრება კორექტირებას საჭიროებს. ჯერ ერთი, არალოგიკურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ XVI-XVII საუკუნეებში, თუნდაც დიდტანიანი (676 გვერდიანი) წიგნის ღირებულება აღემატებოდეს ისეთ საჩვენებლად ძვირადღირებულ წიგნის ფასს, როგორიც არის ბექა ოპიზრის მიერ მდიდრულად მოჭედილი წყაროსთავის ოთხთავი. ამასთანავე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, XVIII საუკუნეში ხელნაწერი წიგნები გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე ზემოთ დასახელებული ფასი (80 ფლური). ამ შემთხვევაში წიგნის მაღალი ფასი განპირობებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებებით: I. წიგნი ქართველ ელჩებს შეუძენიათ განსაკუთრებულ ვითარებაში – „წიგნი დატყუევებული ვიპოვეთ“. ჩანს, ოსმალეთის სახელმწიფოს დედაქალაქში ქართულ ენაზე დაწერილ ქრისტიანული საკანონმდებლო ძეგლის შეძენას ეროვნული მნიშვნელობა ენიჭებოდა და მაღალი ფასის გადახდა ამ ფაქტს უნდა გამოეწვია. II. წიგნი წარმოადგენდა XIII-XIV საუკუნეების ხელნაწერს და, შესაბამისად, XVII საუკუნეში მას, როგორც სიძველეს, რეალურზე მეტი ფასი ექნებოდა. ერთი სიტყვით, წიგნის 80 ფლურად ყიდვის ფაქტი უნდა მივიჩნიოთ გამონაკლის, განსაკუთრებულ შემთხვევად და არა მის საშუალო ფასად XVI-XVII საუკუნეებში.

სტამბულში 80 ფლურად ნაყიდი „სჯულისკანონი“ (XIII-XIV სს.). ხეც. A-76

7 თუმნად შეფასებული 700-გვერდიანი ხელნაწერი (1764 წ.). ხეც. A-20

ამ მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ნიკოლოზ ოსეს ძის ცნობით, როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის II ნახევარში დიდტანიანი (700-გვერდიანი) წიგნი 7 თუმნად ფასობდა. 7 თუმანი უდრიდა 350 აბაზს. ერეკლე II-ის მოჭრილი სირმა-აბაზი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იწონიდა 2,9 გრამს. როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევარში გამორჩეულად დიდტანიანი ხელნაწერი წიგნის ფასი იყო დაახლ. 1000 გრამი ვერცხლი (350 აბაზი×2,9=1015), ხოლო საშუალო მოცულობის წიგნის ფასი გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

[614] თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ყუბანეიშვილმა. თბ. 1964, გვ. 42.

[615] ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 99.

ნიკოლოზ ოსეს ძის ცნობიდან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ XVIII საუკუნეში ერთი გვერდის გადაწერა 2 შაური ღირდა. ამ შემთხვევაში 7 თუმანზე (ანუ 350 აბაზზე, იმავე 1400 შაურზე) გაყოფილია წიგნის გვერდები (1400:700=2).

ჩვენი აზრით, აღნიშნული მოსაზრებაც საჭიროებს დაზუსტებას: ფრაზაში – „შვიდი თუმანი არის ამ წმიდას სახარების თარგმანში მიცემული“[616] – ლოგიკურად არა მხოლოდ გადამწერის ანაზღაურება უნდა იგულისხმებოდეს, არამედ ქაღალდის, ყდის, აკინძვის და ა.შ. თანხა.

XVIII საუკუნის II ნახევარში შედგენილ ეკონომიკური ისტორიის ამსახველ საბუთებში მითითებულია ქაღალდის ფასიც. 1771 წლის დანახარჯის ნუსხაში აღნიშნულია: „... ს (ერთი აბაზი) ქ. ერთი დასტა ქაღალდი“,[617] ხოლო XVIII საუკუნის მიწურულში უცნობი პირის საქონლის სიაში – „... შ (18 შაური) ქ. გ. დასტა ქაღალდი; ... ტ (6 შაური) ქ. ა. დასტა ქაღალდი“.[618] როგორც ვხედავთ, განსახილველ პერიოდში ერთი დასტა ქაღალდი ღირდა 1-1,5 აბაზი. დასტაში შედიოდა 24 თაბახი.[619] თუ თაბახი წიგნის 4 გვერდს უდრიდა, 24 თაბახით დაიწერებოდა 96 გვერდი. 700-გვერდიანი წიგნისათვის კი, გაფუჭებული სამუშაო გვერდების გათვალისწინებით, საჭირო იქნებოდა 8 დასტა ქაღალდი, რაც დაახლოებით 10 აბაზის, ანუ 2 მინალთუნის ღირებულების იქნებოდა. წიგნის გადაწერისათვის საჭირო ქაღალდის, ყდის, აკინძვისა და სხვა ხარჯებისათვის თუ გავითვალისწინებთ დაახლოებით 1-2 თუმანს, გადამწერის ღირებულება გამოვა 5-6 თუმანი. შესაბამისად, ერთი გვერდის გადაწერის საფასური იქნება 2 შაურზე ნაკლები, დაახლ. 1,5 შაური.

წიგნის გადაწერისა და თარგმანის საფასურის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გიულდენშტედტი. გერმანელი მოგზაური საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის კომისიისათვის გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავს: „საქართველოში ჩემი ყოფნისას მე შევიძინე ქართულ ენაზე დაწერილი მატიანე, რომელიც შეიცავს უახლეს ისტორიას გასული საუკუნის შუა წლებიდან ამ საუკუნის შუა წლებამდე. ეს ხელნაწერი შედგება 37 რვეულისაგან და თითო რვეული თავის მხრივ რვა მეოთხედი ფურცლისაგან. ცნობები საქართველოს შესახებ, რომელთა გამოცემას მე ვაპირებ ჩემს აღწერაში, უფრო სრული რომ გავხადო, საჭიროა ამ ხელნაწერის თარგმნა. მისმა უმაღლესობამ, ბ-ნმა დირექტორმა სტ-პეტერბურგის აკადემიისამ, დომაშნევმა, თანხმობა განაცხადა ჩემს ზეპირ წინადადებაზე, რომ ეს ხელნაწერი რუსულად თარგმნილიყო და თითო რვეულისთვის 2 მანეთი, ე.ი. მთელი ხელნაწერისთვის 74 მანეთი გადახდილიყო. ბ-მა ლეიტენანტმა ბართლომე სავორსიმინცევმა (სავარსიმაძემ(?) – ა. თ.) და ბ-ნმა რეგისტრატორმა პეტრე გრიგორიევმა თარგმანის საქმე უზრუნველყვეს და ახლა დაამთავრეს...“.[620]

როგორც ვხედავთ, ქართულიდან რუსულ ენაზე ერთი რვეულის თარგმნასა და გადაწერაში 2 მანეთი (იგივე 2 მინალთუნი) გადაუხდიათ. 2 მანეთი, ანუ 10 აბაზი უდრიდა 40 შაურს, ხოლო რვეული კი 16 გვერდისაგან შედგებოდა. ასე რომ, ერთი გვერდი ტექსტის ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნა და გადაწერა 2,5 შაური

[616] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის **(A)** კოლექცია, ტ. I_1, გვ. 76.
[617] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 53.
[618] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 341.
[619] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 14.
[620] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II, გვ. 231.

ღირდა. ცხადია, თარგმანის გარეშე მხოლოდ ტექსტის გადაწერა უფრო იაფი, სავარაუდოდ, 2,5 შაურის ნახევარი ეღირებოდა.

გიულდენშტედტი ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის XVIII საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში წიგნის ფასის შესახებ. 1772 წლის 20 ნოემბერს მის მიერ ბაკმაისტერისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნულია: „ქართული ქრონიკა, უკვე რამდენი ხანია, რაც საქართველოში ვიშოვე და აკადემიის ხაჯზე ვიყიდე 30 მანეთად. ის იწყება თარგამოსიდან და მის მიერ ნიმროდთან წარმოებული ომით და ქვეყნის პირველი განსახლებით; გადმოდის XV საუკუნეში და თავდება ქართული პროვინციების დაყოფით. ის შეიცავს 70 მეფის ცხოვრებას. მეფე მირიანი, რომლის დროსაც, 338 წ. ახ. წ., საქართველოში გავრცელდა ქრისტიანული რელიგია, არის 29-ე. ამჟამად მე ამ წიგნს ყიზლარში ვათარგმნინებ ქართულიდან რუსულად. იქიდან ზოგ კარგს ცნობებს უნდა მოველოდეთ, თუმცა არა ყოველივე უნდა იყოს მთლად სწორი მასში, განსაკუთრებით მირიანის მეფობამდე“.[621]

ამგვარად, გიულდენშტედტს საქართველოში 30 მანეთად, ანუ 3 თუმნად შეუძენია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნუსხა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პ. გუგუშვილს დამოწმებული აქვს XVIII საუკუნის II ნახევარში წიგნის ფასთან დაკავშირებული რამდენიმე ცნობა. მოკლედ განვიხილავთ მის მიერ დამოწმებული წიგნების ფასებს: „სახარების თარგმანი მარკოსის და ლუკასი“ ღირდა 80 მარჩილი. მარჩილი 3 აბაზს უდრიდა. შესაბამისად, აღნიშნული წიგნის ფასი ყოფილა 240 აბაზი, ანუ 4,8 თუმანი; „სამღვდელთმთავრო კონდაკი“ ღირდა 27 მარჩილი, ანუ 1,62 თუმანი; „დოღმატიკა შემოკლებული“ – 22 მარჩილი, ანუ 1,32 თუმანი; „დამასკელის წიგნი სტამბისა“ – 5 მარჩილი, ანუ 3 მინალთუნი (0,33 თუმანი); „მთავარანგელოსის წიგნი“ – 6 მარჩილი, ანუ 3,6 მინალთუნი (0,36 თუმანი); „სვინაქსარი“ – 15 მარჩილი, ანუ 9 მინალთუნი (0,9 თუმანი); „ანდრია სალოსის წიგნი“ – 6 მარჩილი, ანუ 3,6 მინალთუნი.[622]

მოხმობილი ცნობებიდან ირკვევა, რომ სტამბაში ნაბეჭდი წიგნი – „დამასკელის წიგნი სტამბისა“ საკმაოდ იაფი ღირდა (5 მარჩილი, ანუ 3 მინალთუნი). ჩანს, პ. გუგუშვილმა აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ XVIII საუკუნეში სტამბის წიგნი ხელნაწერ წიგნთან შედარებით, 8-10-ჯერ გაიაფდა.[623] ვფიქრობთ, რომ აღნიშნული დასკვნა არ არის მართებული, რასაც ქვემოთ მოხმობილი ცნობები ამტკიცებს. კონკრეტულ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს მცირე მოცულობის ნაბეჭდ წიგნთან და მისი დაბალი ფასიც ამით უნდა აიხსნას.

XVIII საუკუნის II ნახევარში ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ფასის შესახებ საგულისხმო ინფორმაციის შემცველია 1795 წლის ახლო ხანებში შედგენილი ეგნატი თუმანიშვილის დაკარგული ნივთების ნუსხა. მასში აღნიშნულია, რომ 1795 წლის სექტემბერში აღა-მაჰმად-ხანის ქართლ-კახეთზე თავდასხმის პერიოდში, ევაკუაციის დროს, მსახურებს მუხათგვედში ბარგი დაუკარგავთ. დაკარგულ ნივთებს შორის აღნიშნულია სხვადასხვა ღირებულების წიგნებიც: „... ᾶ (ორი თუმანი) ქ. სახარება Ჩელწერილი

[621] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II, გვ. 385-386.
[622] ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. II, გვ. 179.
[623] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. VII, გვ. 351-352.

მხედრული ერთი; ̂ძ (ცამეტი მინალთუნი) ქ. სამოციქულო რუსული სტამბა ერთი; ჩს (ექვსი აბაზი) ქ. დავითნი ტფილისის სტამბა ერთი; ძ (სამი მინალთუნი) ქ. დავითნი ̂ელწერილი მხედრული ერთი; ძს (ექვსი აბაზი) ქ. ლოცვანი ტფილისის სტამბა ერთი; ̂ჭ (თხუთმეტი მინალთუნი) ქ. ღრამატიკა ერთი; ̂ (თუმანი) ქ. რიტორები ერთი; ̂ (თუმანი) ქ. კატიღორია ერთი; ̂ (თუმანი) ქ. ლოღიკა ერთი; ̂ჩ (თერთმეტი მინალთუნი) ქ. მეტაფიზიკა ერთი; ჭ (ხუთი მინალთუნი) ქ. პატარა ღრამატიკა ერთი; ძ (სამი მინალთუნი) ქ. პატარა კატიღორია ერთი; ცქ (ცამეტი აბაზი); ქ. დამასკელი რუსული სტამბა ერთი; ჯ (რვა მინალთუნი) ქ. კატეხისმოს ერთი; ჰ (ცხრა მინალთუნი) ქ. არხ-მატიკა ხუთი ნაწილი ერთი; ჭ (ხუთი მინალთუნი) ქ. დაუჯდომელი დიდი ტანისა და ამასთან ერთად შეკრული მრავალი ლოცვები; ̂ც (თორმეტი მინალთუნი) ქ. სამართლის წიგნი ერთი; ̂ბ (ორი თუმანი) ვეფხისტყაოსანი საუცხოო, გარს ჯაზვარშემოვლებული ერთი; ჭ (ხუთი მინალთუნი) ქ. ქსენეფორეს ცხოვრება ერთი; ჭ (ხუთი მინალთუნი) ქ. ჩარდავრიშიანი ერთი; ჭ (ხუთი მინალთუნი) ქ. არტიკულის წიგნი....". შემდეგ ჩამოთ-ვლილია ტანისამოსი და სხვა დაკარგული ნივთები.[624]

სახარება, ხელნაწერი (XVIII ს.). ხეც. H-314

მოხმობილი მასალიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის მიწურულში სახარება ფასობდა 2 თუმნად.

ორ თუმნადაა შეფასებული „საუცხოო, გარს ჯაზვარშემოვლებული" ვეფხისტყაოსანიც. აღნიშნული მონაცემებიდან ვიგებთ, რომ საშუალო სიდიდის ხელნაწერის წიგნის ფასი ყოფილა 2 თუმანი (100 აბაზი), ხოლო მცირე მოცულობის წიგნების ფასი – გაცილებით ნაკლები. ყველაზე იაფი წიგნი 6 აბაზი ღირდა.

მონაცემები საინტერესოა ხელნაწერი და სტამბაში ნაბეჭდი წიგნების ფასების შედარებისთვისაც – ეგნატი თუმანიშვილის დაკარგულ წიგნებს შორის ყოფილა როგორც ხელნაწერი, ისე თბილისის სტამბაში დაბეჭდილი დავითნი. ხელნაწერი წიგნის ღირებულებად მითითებულია 3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი, ხოლო სტამბაში დაბეჭდილი იმავე წიგნის ფასად – 6 აბაზი. სხვაობა გამოდის 2,5; როგორც ზემოთ აღინიშნა, XIX საუკუნის I მეოთხედში ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი სახარების ფასი 1 თუმანი ყოფილა, ხოლო ეგნატი თუმანიშვილის ნუსხაში ხელნაწერი სახარება 2 თუმანად არის შეფასებული. სტამბის წიგნი, ხელნაწერთან შედარებით, ორჯერ იაფად ფასობდა. ამგვარად, სტამბაში დაბეჭდილი წიგნები ხელნაწერთან შედარებით, სწორედ 2-2,5-ჯერ იაფი უნდა ყოფილიყო (და არა 8-10-ჯერ, როგორც ამას პ. გუგუშვილი აღნიშნავდა).

რა თქმა უნდა, ზოგიერთი წიგნი 2-3 თუმანზე ძვირი ღირდა. ამ მოსაზრებას ადასტურებს არა მარტო ნიკოლოზ ოსეს ძის ცნობა, რომლის მიხედვითაც, დიდტანიანი წიგნი 7 თუმნად ფასობდა, არამედ სხვა მასალაც – აბაშიძის ქვრივის 1802 წლის საჩივარში აღნიშნულია: „... ქ. ამასვე აქვს სადღესასწაულო ძვირფასი, ღირს ექვს თუმნად".[625]

[624] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 256-260.
[625] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 372.

ბეგთაბეგისეული ვეფხისტყაოსანი, რომელიც ძალიან ჰგავს 2 თუმნად შეფასებულ ანალოგს. ხელნაწერი. ხეც. H-54

ასევე საინტერესოა 1797 წლის ახლო ხანებში შედგენილი, სავარაუდოდ, ერეკლე მეფის ქონების ნუსხა, რომელშიც სხვა ნივთებთან ერთად აღნიშნულია: „... ბ̑ (ორი თუმანი) ქ. ა სახარება სტანბისა; დ̑ (ოთხი თუმანი) ქ. ა თვენი Ჩელწერილი ხუცურად... ზ̑ (შვიდი თუმანი) ქ. ბ პატარა სახარება...“.[626]

ამგვარად, სტამბაში დაბეჭდილი სახარება 2 თუმნად ფასობდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, იმავე ეპოქაში ხელნაწერი სახარებაც 2 თუმანი ღირდა. მეფის კუთვნილი სტამბური სახარება, სავარაუდოდ, ძვირფასად შემკობილი იყო, რამაც განაპირობა კიდეც მისი შედარებით მაღალი ფასი (მდიდრულად გაფორმებული ნაბეჭდი წიგნები დღემდე შემორჩენილია. ამის მაგალითია ძვირფასად შემკული ეკატერინე დადიანის ნაბეჭდი სახარება (RAR-57).

რაც შეეხება თვენისა და 2 პატარა სახარების მაღალ ფასებს, ესეც განპირობებული უნდა იყოს მათი მდიდრულად შემკობით.

წიგნების ფასის დასადგენად და ქართული წარჩინებული ოჯახების ბიბლიოთეკის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად საინტერესოა 1801-1806 წლებში იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილი მეფის რძლის, წერეთლის ასულ ქეთევანის, ნივთების ნუსხა. ნუსხაში შემდეგ წიგნებს ვხვდებით: „... ქ. სახარების თარგმანი მათეს თავისა, ხუცურად ნაწერი, სიონის დეკანოზის დაწერილი; სადად შეკრული სახარება; სამოციქულო; Ჟამნი; დავითნი; მარხვანი; ზატიკი; სადღესასწაულო Ჩელნაწერი ხუცურად; ბარაკლიტონი; ორი ტომი მეტაფრასი, ხუცურად ნაწერი; წ˜ა ვასილის ეთიკა; კლემაქსი, ხუცურად ნაწერი; დაბადება; ექვსთა დღეთა წ˜ა ვასილისა; დამასკელის წიგნი; კონდაკი; კურთხევანი; საფილასოფიო წიგნები; ღრამატიკა; რიტორება; ლოღიკა; ორი დიალიკტიკა; მეტაფიზიკა; ზნეთსწავლების წიგნი, ითიკად წოდებული; ფიზიკა; გაიოზის ნათარგმნი წიგნი ღ˜თისმეტყველების გუარი; აღაპიტ დიაკვნის ქმნილი წიგნი; კიტაიის სიბრძნე; საექიმო დიდი კარაბადინი. ხუცური ნაწერი; მეორე საექიმო წიგნი მხედრული; ქართლის ცხოვრება; ნათურალი ისტორია, დახატული; სარკინოზთა და სხვათადმი საბაასო წიგნი; ცხენის კარაბადინი; ლექსიკონი ქართული და რუსული წარწერილი; ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება, ორი ტომი; კათალიკოზის ანტონისაგან ნათარგმნი (?); კიდე ალექსანდრე მაკლედონელის წიგნი, სპარსულიდამ ნათარგმნი და დახატული; როსტომიანი, უცხოდ დახატული, ქართული ნაწერი და ჯაზვარ შემოვლებული; თათრული მდივნობის წიგნი; თათრული ისტორიები სხვადასხვა და ლანგთემურის ისტორია თათრულებ, სულ ხუთი წიგნი; სახარება ქართულის ხელით ნაწერი თათრულის ენით; ქილილა და დამანა; ხონოღრაფი (sic);

[626] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 276-277.

ბოდანიკის და ნათურალის ისტორიის წიგნები რუსულად; თათრული კარაბადინი, ხალათად წოდებული; რუსუდანიანი; არტერალიის წიგნები რუსულად და დახატული ზარბაზნებით, ორი ტომი; ვარსკვლავთ-მრიცხველობის წიგნი; სეილანის ისტორია, ქართულად ნათარგმნი; ყარამანიანი.

ქ. ისე წვრილი და მომსხო წიგნები ვიდრე ოცდაათამდის, რუსული და ქართული. ფასი ასორმოცდათექვსმეტის თუმნისი 1560 p˜ y˜.[627]

იოანე ბატონიშვილს მიერ აღწერილია დაახლოებით 60-მდე წიგნი. ბოლოს კი აღნიშნულია, რომ დასახელებული წიგნების გარდა, ბიბლიოთეკაში კიდევ 30-მდე რუსული და ქართული მცირე მოცულობის თუ დიდტანიანი წიგნი იყო. ყველა წიგნის ფასი კი უდრიდა 156 თუმანს, ანუ 1560 რუსულ რუბლს (XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში რუბლი, ანუ, როგორც მოგვიანებით საქართველოში უწოდებდნენ, მანეთი მინალთუნის (5 აბაზის) ეკვივალენტური იყო). მოცემული ცნობის მიხედვით, დაახლოებით 90 წიგნის ფასი ყოფილა 1560 მანეთი. შესაბამისად, ერთი წიგნის საშუალო ღირებულება გამოდის 17,3 მინალთუნი (2 თუმანზე ნაკლები).

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნეში ხელნაწერი წიგნის საშუალო ფასი იყო 2-3 თუმანი. სწორედ აღნიშნულ თანხად იყო შეფასებული ქართლის ცხოვრება, ვეფხისტყაოსანი, სახარება და სხვა წიგნები. დიდტანიანი და მდიდრულად შემკული წიგნები 6-7 თუმნად და, საფიქრებელია, მეტადაც ფასობდა, ხოლო ყველაზე იაფი წიგნი 6 აბაზი ღირდა. სტამბაში ნაბეჭდი წიგნები კი, ხელნაწერ წიგნთან შედარებით დაახლოებით 2,5-ჯერ დაბალ ფასად იყიდებოდა. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისის სტამბაში ათასობით წიგნი იბეჭდებოდა. სასულიერო წიგნების უმეტესობა კი 1000 ტირაჟით გამოიცემოდა. პ. გუგუშვილის შეფასებით, აღნიშნული ტირაჟი დიდად არ ჩამორჩებოდა იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში დაბეჭდილი წიგნების ტირაჟს.[628] უნდა აღინიშნოს, რომ 1784-1795 წლებში თბილისის სტამბაში 10 000-მდე წიგნი დაიბეჭდა. წიგნზე მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ ამჯერად, თბილისის სტამბაში პირველად კერძო პირის, სტამბის იჯარადარის ქრისტეფორე კეჟერაშვილის ხარჯით დაიბეჭდა წიგნები.[629] ჩანს, თბილისის სტამბა კომერციულადაც მიმზიდველი იყო. ქართლ-კახეთის მოსახლეობის სიმცირის ფონზე, აღნიშნული რაოდენობის წიგნის ბეჭდვა ერთგვარად საკვირველიც არის. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დიდი ტირაჟების მიუხედავად, სტამბაში ნაბეჭდი წიგნის ფასი დიდად არ გაიაფებულა ხელნაწერ წიგნთან შედარებით, რაც იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში (ბუნებრივია, იგულისხმება შეძლებული ნაწილი) წიგნის მიმართ განსაკუთრებულ მოთხოვნილებაზე მიუთითებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XVIII საუკუნის II ნახევარში აბაზი 2,9 გრამს იწონიდა, შესაბამისად, 2-3 თუმნის წონა უდრიდა 290-435 გრამ ვერცხლს. ძვირადღირებული (6-7 თუმნად შეფასებული) წიგნის ფასის ვერცხლის გრამებში გამოხატულება იყო 900-1000 გრამი, ხოლო ყველაზე ნაკლებფასიანი წიგნისა – 17,5 გრამი.

---

[627] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 387-388.

[628] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. VII, გვ. 352.

[629] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. VII, გვ. 338-339.

XVIII საუკუნის II ნახევარში წიგნის საშუალო ფასად, 2-3 თუმნად, შესაძლებელი იყო 2-3 ხარის ან 5-7 ძროხის, ანდა 1000 კილოგრამზე მეტი ხორბლის შეძენა. ამრიგად, წიგნი ამ ეპოქაშიც მაღალ ფასს ინარჩუნებდა.

რაც შეეხება ყველაზე მცირეფასიან წიგნებს, რომლებიც 6 აბაზად ფასობდა, აღნიშნული თანხით შესაძლებელი იყო 1 ცხვრის ან 60 კილოგრამამდე ხორბლის შეძენა.

ამჯერად, შეგვიძლია თვალი მივადევნოთ XI-დან XIX საუკუნის დასაწყისამდე წიგნის ფასებს – როგორც აღვნიშნეთ, XI-XIII საუკუნეებში წიგნის საშუალო ფასი ყოფილა 700-780 გრამი ვერცხლი, ზოგიერთი წიგნი 450 გრამ ვერცხლადაც ფასობდა. მდიდრულად გაფორმებული წიგნის ფასი კი 2800-3000 გრამ ვერცხლს აღწევდა.

XVIII საუკუნეში კი წიგნის საშუალო ფასი 290-435 გრამ ვერცხლს უდრიდა. ზოგიერთი წიგნი 1000 გრამ ვერცხლს აჭარბებდა, ხოლო ყველაზე იაფი წიგნების ფასი 17,5 გრამ ვერცხლს უდრიდა. ამ პერიოდში სტამბის წიგნი ხელნაწერ წიგნზე 2-2,5-ჯერ იაფად ფასობდა.

რაც შეეხება XVII საუკუნის დასაწყისში სტამბულში 80 ფლურად, ანუ 4200 გრამ ვერცხლად ნაყიდ წიგნს, როგორც აღვნიშნეთ, ეს შემთხვევა სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს და არავითარ შემთხვევაში არ ასახავს იმ ეპოქაში წიგნის რეალურ ფასს.

როგორც ვხედავთ, საუკუნეების განმავლობაში, თავს იჩენს წიგნის გაიაფების ტენდენცია, რაც ლოგიკურია, რადგან თანდათანობით იაფდებოდა საწერი მასალა. ქაღალდი ეტრატთან შედარებით იაფი ღირდა, ქაღალდის წარმოება კი ვითარდებოდა. მართალია, საქართველოში ქაღალდი მეზობელი ქვეყნებიდან შემოდიოდა, მაგრამ მისი ფასი მაინც მცირდებოდა. სტამბის მეშვეობით კი წიგნების რაოდენობა იზრდებოდა, შესაბამისად, ეს პროცესიც უწყობდა ხელს მის გაიაფებას. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში, წიგნის ფასები იკლებდა, ზოგადი ღირებულება მაინც მაღალი რჩებოდა.

ხატების, ჯვრებისა და სხვა საეკლესიო ნივთების ღირებულება XI-XVIII საუკუნეებში

გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრებაი იოანესი და ეფთვიმესი“ აღნიშნულია „ხატი ცჯლოანი დიდი ას დრაჰკანად ფასებული“.[630] როგორც ვხედავთ, ცვილნარევი წამლებით დამზადებული[631] ძვირფასი ხატის ფასი 100 დრაჰკანი ყოფილა, რაც ვერცხლის მონეტებთან 1:13 შეფარდებით, 1300 დრამის, ანუ 3900 გრამი ვერცხლის ტოლფასია.

ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში ვხვდებით მდიდრულად შემკული ჯვრების ფასს: „ორნი ჯჯუარნი ასოთხმოც დიმიტრატად ფასებული“.[632] მაშასადამე, ერთი ჯვრის ფასი ყოფილა 90 დიმიტრატი. აღაპის განწესების სავარაუდო თარიღია არაუადრეს 1092 წელი, რადგან, ს. მორისონის აზრით, დიმიტრატი უნდა წარმოადგენდეს ალექსი

[630] გიორგი მთაწმინდელი. ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. თბ. 1946, გვ. 23.

[631] გიორგი მთაწმინდელი. ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. ლექსიკონი, გვ. 151.

[632] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 135.

I-ის რეფორმამდე მოჭრილ დაბალსინჯიან ოქროს მონეტას, რომელზეც გამოსახულნი იყვნენ ალექსი I და წმ. დიმიტრი. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებული ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის პუბლიკაციის ავტორის ე. მეტრეველის მიერ.[633] XI საუკუნის 80-იან წლებში ბიზანტიური ოქროს მონეტების სინჯი 8 კარატამდე (33-34%) დაეცა,[634] ხოლო ალექსი I კომნენოსის რეფორმამდელ მონეტებში ოქროს შემცველობა მხოლოდ 10%-ით განისაზღვრებოდა,[635] რომელიც მაქსიმუმ 3 ვერცხლის მონეტაზე დახურდავდებოდა. ამდენად, აღაპში მოხსენებული ერთი ჯვრის ფასი ვერცხლის მონეტებში გადაყვანით გამოდის მაქსიმუმ 270 დრამა, ანუ დაახლ. 800 გრამი ვერცხლი.

ცხადია, ხატების, ჯვრების და სხვა საეკლესიო ნივთების ფასი ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით შემკულობის ოდენობაზე იქნებოდა დამოკიდებული. ზოგიერთი ნივთი დასახელებულ თანხებზე გაცილებით ძვირი ეღირებოდა, ხოლო არაძვირფასი მეტალით დამზადებული – იაფი.

ხატების შეძენის ფაქტს ეხება თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული მცხეთის სიგელი (№179), რომელშიც მითითებულია მათი ღირებულებაც:[636] „ქ. ესე... წიგნი... მოგართვით საქართველოს პატრიარქს ბატონიშვილს პატრონს დომენტის ჩ˜ნ იევანგულიშვილმან ამირჯანამ... ასრე და ამა პირსა ზ˜ა, რომელ კაისრის (sic) საბატონოდამ ათი ხატი მოვიტანეთ: ერთი ანჩისა, ერთი ნათლისმცემელისა, ერთი ი˜ე მახარებლისა, ერთი მთავარ-ანგელოზისა და ექვსი სხვა წურილი. ესები თქვენ მოგართვით და ავიღეთ მისის თვალისა, მარგალიტისა და ოქროს ფასად მარჩილი ორი ათასი, ასე რომე ათას რვაას მარჩილად ჴელმწიფის მეფის შაჰნავაზის საბ უყუფმა (sic) ოქრომჭედელმა და სხვათა მცოდნეთა კაც[თა] ამად დააფასეს და ჩვენ ორი ათასად გაგვითავეთ და გვიბოძეთ, ასრე რომელ აღარა დარჩა და უნაკლოდ მოგვებარა... და თუ ვინმე მოლაპარაკე და მოცილე კაცი გამოჩნდეს, პასუხიც ჩვენ მივსცეთ. ქკ˜ს :ტნბ: ქრისტეშობისთვე :ე: ..მე ჴელმწიფის მდივანს გიორგის დამიწერია“.[637]

როგორც ვხედავთ, ბექა ოპიზრის მოჭედილი ცნობილი ანჩის ხატი და კიდევ ცხრა ხატი ამირჯანა იევანგულიშვილს 1664 წელს ქართლის კათალიკოსი დომენტისათვის მიუტანია. ხატები შეფასებულა 1800 მარჩილად, ხოლო დომენტი კათალიკოსს მათ შესაძენად გაუღია 2000 მარჩილი, ანუ 6000 აბაზი (აბაზი=7,5 გრ.). 6000 აბაზი კი 120 თუმანს უდრიდა. 10 ხატიდან 6 მცირე მოცულობის ყოფილა, შესაბამისად, მათი ფასი უმნიშვნელო იქნებოდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 4 ძვირფასი შემკულობის ხატი დაფასებულა დაახლ. 100 თუმნად. 100 თუმნიდან კი, სავარაუდოდ, ნახევარი მაინც ანჩის ხატის ღირებულებად უნდა მივიჩნიოთ. მოცემული ლოგიკით, ანჩის ხატის შესაძენად, კათალიკოსს გაუღია 50 თუმანი, ანუ 2500 აბაზი, რაც 18 750 გრამი ვერცხლის ტოლფასი იყო. 50 თუმნით იმ ეპოქაში დაახლ. 100 ტონა ხორბლის ან 250 ძროხის შეძენა შეიძლებოდა.

---

[633] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 193, 270.

[634] გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საქართველოში, გვ. 90.

[635] C. Morrisson. Byzantine Money: Its Production and Circulation. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century, გვ. 924, 930.

[636] როგორც ზემოთ აღინიშნა, საკითხს მოკლედ შეეხო ე. მაჭავარიანი. ავტორმა დასახელებული საფასის ეკვივალენტი აბაზების ოდენობაც განსაზღვრა. იხ.: ე. მაჭავარიანი. შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის ფასი, გვ. 455-456.

[637] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა. II, გვ. 482.

ანჩის ხატი. დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვაჭარს ხატების გაყიდვის დროს ყურადღება გაუმახვილებია მხოლოდ „თვალისა, მარგალიტისა და ოქროს“ ფასზე. ამდენად, 10 ხატის შესაძენად გადახდილი თანხა – 2000 მარჩილი სრულად არ ასახავს მათ იმდროინდელ ღირებულებას. სიძველისა და საუკეთესო ჭედური ხელოვნების გათვალისწინებით, ხატების რეალური ღირებულება გაცილებით მაღალი იქნებოდა.

XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის წყაროებში ვხვდებით ხატებისა და სხვა საეკლესიო ნივთების ფასებს. XVIII საუკუნის უცნობი პირის ნივთების სიაში, რომელიც, ჩვენი აზრით, ერეკლე II-ის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს, ვხვდებით რამდენიმე ძვირფას ხატს. ჩამონათვალში პირველად დასახელებულ ხატს ღირებულებაც აქვს მიწერილი: „ერთი (მ)თავარანგელოზის ხატი ოქროსი, მურასა, ოქრო შვიდასის ფლურისა“.[638] როგორც ვხედავთ, მთავარანგელოზის ოქროს „მურასა“, ანუ მოოჭვილი[639] ხატი შეფასებული ყოფილა 700 ფლურად.

ჰოლანდიური ოქროს დუკატი. 1762 წ. საქართველოში მსგავს მონეტებს ფლური ეწოდებოდა. დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

ფლური, როგორც ზემოთ აღინიშნა, XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII

[638] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 342.
[639] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 28.

საუკუნის დასაწყისში, დაახლ. 7 აბაზად, ანუ 52,5 გრამ ვერცხლად ხურდავდებოდა. ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა, თუ რამდენ აბაზს შეესაბამებოდა ერთი ფლური XVIII საუკუნის II ნახევარში. აღნიშნულ ეპოქაში ფლურის კურსის დადგენა შესაძლებელია საბუთებიდან: 1800 წლის სპილენძის მადნის შემოსავლისა და დანახარჯის ნუსხაში აღნიშნულია, რომ 1 ბათმანი სპილენძი ღირდა 1 „ბაჯაღლის“ ფლური,[640] ხოლო იმავე პერიოდის სხვა საბუთიდან ვიგებთ, რომ ბათმანი სპილენძი იყიდებოდა 4 მინალთუნად, ანუ 20 აბაზად.[641] ერთი სიტყვით, 1 მაღალსინჯიანი ფლური შეესაბამებოდა 2,9-გრამიან 20 აბაზს, ანუ 4 მინალთუნს, რაც 58 გრამი ვერცხლის ტოლფასი იყო. რადგან ჩვენი შედარება დაფუძნებულია ოქროს უმაღლეს სინჯზე, ჩვეულებრივი, ბრუნვაში არსებული ფლურის კურსი ოდნავ დაბალი იქნებოდა და, ისევე როგორც XVII საუკუნეში, ამჯერადაც, 52-55 გრამი ვერცხლის, ანუ 18-19 აბაზის შესატყვისი იქნებოდა. შესაბამისად, 700 ფლური უდრიდა 12600-13300 აბაზს, ანუ 2500-2650 მინალთუნს. მოცემული თანხით, XVIII საუკუნის II ნახევრის ფასების გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო 134 ტონა ხორბლის ან 600-ზე მეტი ძროხის შეძენა.

საბუთებში ვხვდებით შედარებით ნაკლებფასიან ხატებსაც – „ხატი ერთი მაცხოვრისა ძვირფასი, ოქროთი მოჭედილი და თვალითა და მარგალიტით მოოჭვილი, ოქროს ყუთით, ღირს სამოც თუმანათ მეტათ“, – აღნიშნულია XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აბაშიძის ქვრივის საჩივრის წერილში.[642]

1801-1806 წლებში მეფის რძლის, წერეთლის ასულის, ქეთევანის ნივთების ნუსხაში აღნიშნულია: „მარგალიტით და თვლებით მოჭედილი ოქროს ჯუარი, თავისის ჯაჭვით, მინანქრით ქმნილი, გულზედ საკიდებელი ქალისა, ვერცხლის ფულად ფასით დაფასებული ოცდაათ თუმნად... ყელზე საკიდი ხატი, ოქროში ჩამჯდარი, ოქროს ჯაჭვით, ხუთი თუმანი“.[643]

ამავე საბუთში ვხვდებით ბარძიმ-ფეშხუმისა და სხვა საეკლესიო ნივთების ფასებსაც: „ერთი დიდი ბარძიმ ფეშხუმი, დაფერილი ფინიტკებით, მოჭედილი და თვლები, აქაური ხელოვნება. ორი თეფში სეფისკვერისა და ტაკუკი[644] და კოვზი ვერცხლისა დაფერილი, ამისი ფასი ორმოცდაათის თუმანი... ერთი მინანქრის ჯუარი, ტრაპეზზედ დასავენებელი და ფარჩის დაფარნები. ფასი ამისი ოცი თუმანი“.[645]

1790 წლის საბუთის მიხედვით, ეკლესიისათვის დამზადებული ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი 12 თუმნად ფასობდა.[646]

რაც შეეხება სანთელსა და საკმეველს, მათი ფასები ასე გამოიყურება: 1778 წლის საბუთის მიხედვით, 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ. წმინდა სანთელი ღირდა 3-4 მინალთუნი. ამდენად, 1 ლიტრა თაფლის სანთლის ფასი ყოფილა დაახლ. 51 გრამი ვერცხლი,

---

[640] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 134.
[641] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 172.
[642] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 372.
[643] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 384.
[644] ტაკუკი – სომხ. მომცრო მრგვალი ვერცხლის თასი, ბრტყელძირა და ბრტყელტარიანი, მდუღარისა და ღვინის გასაზავებლად წირვის დროს. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 37.
[645] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 387.
[646] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 1002.

ხოლო 1 ჩარექი, ანუ 900 გრამი „საკმელის“ ღირებულება შეადგენდა 1 მინალთუნს, ანუ 14,5 გრამ ვერცხლს.[647]

დამოწმებული ცნობებიდან ირკვევა, რომ საუკუნეების განმავლობაში, ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი ქვებით მაღალმხატვრული გემოვნებით დამზადებული ნივთები ინარჩუნებდა მაღალ ფასს. რაც შეეხება წიგნებს, სამხედრო შეიარაღების მსგავსად, XI–XIII საუკუნეების ფასებთან შედარებით, გვიან ფეოდალურ ეპოქაში მათი ღირებულება მცირდება. ამდენად, დროთა განმავლობაში, ვხედავთ ხელოსნურ-მანუფაქტურული ნაწარმის გაიაფების პროცესს, რაც განვითარებული მსოფლიოს ტენდენციას წარმოადგენდა. როგორც ჩანს, პოლიტიკურად არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ტექნოლოგიური პროგრესი ნელი ტემპებით საქართველოშიც აღწევდა.

წიგნების, ხატების, ჯვრების და სხა საეკლესიო ნივთების საეკლესიო ფასები:

თარიღი	**ნივთის დასახელება**	**ფასი ვერცხლის გრამების ოდენობის გათვალისწინებით**	**წყარო**
XI ს. II. ნახ.	შეჭედილი იადგარი, ხელნაწერი წიგნი	30 დრაჰკანი დუკატი/დაახლ. 330 დრამა ანუ 1000 გრამი ვერცხლი	ქისკ. I: 43[648]
XI ს. II ნახ	იადგარი, ხელნაწერი წიგნი, ჭედურობის გარეშე	20-24 დრაჰკანი დუკატი/220-264 დრამა, ანუ 700-730 გრამი ვერცხლი	ქისკ. I: 43
XI ს. II ნახ.	პარაკლიტონი, ხელნაწერი	7,5-12 დრაჰკანი დუკატი/დაახლ. 82-130 დრამა, ანუ 245-390 გრამი ვერცხლი	ქისკ. I: 43[649]
XI-XIII სს.	ხელნაწერი წიგნი – საშუალო ზომის, მდიდრული გაფორმების გარეშე	20 დრაჰკანი/260 დრამა, ანუ 780 გრამი ვერცხლი	ქდ: 98[650]
XII ს.	წყაროსთავის ოთხთავი, ჭედური ყდით	930-100 დრამა, ანუ 2800-3000 გრამი ვერცხლი	ხეც. Q-907, 273r[651]
XVII ს. დასაწყისი	სჯულისკანონი, ხელნაწერი. სტამბულში ნაყიდი	80 ფლური/560 აბაზი (აბაზი=7,5 გრ.), ანუ 4200 გრამი ვერცხლი	ხეც. A-76, 312r
1764	700-გვერდიანი ხელნაწერი	7 თუმანი, ანუ დაახლ. 1000 გრამი ვერცხლი	ხეც. A-20, 5r
1772	ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი ნუსხა	3 თუმანი, ანუ 435 გრამი ვერცხლი	გმს. II: 385-386
XVIII ს. II. ნახ.	სახარება	2 თუმანი, ანუ 290 გრამი ვერცხლი	III: 257[652]

[647] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 58-59.

[648] წყაროში მოცემულია „ნახევრწერილი“ შეჭედილი იადგარის ფასი 15 დრაჰკანი დუკატი.

[649] წყაროში მითითებულია, რომ პარაკლიტონის ფასად გადახდილია „ცხენისა ნახევარი“.

[650] ხელნაწერი წიგნების საშუალო ფასი განსაზღვრა ივ. ჯავახიშვილმა. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 98.

[651] ხელნაწერის ანდერძში მითითებულია მხოლოდ ოთხთავის ყდის ჭედურობისათვის და ბექა ოპიზრის გასამრჯელოს სახით გადახდილი ოქრო-ვერცხლის ოდენობა. მთლიანი წიგნის სავარაუდო ფასი განსაზღვრულია ჩვენ მიერ.

[652] ცხრილში მხოლოდ ტომისა და გვერდების მითითებით დამოწმებულია: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, II, III.

XVIII ს. II. ნახ.	ვეფხისტყაოსანი, „გარს ჯაზვარშემოვ-ლებული“	2 თუმანი, ანუ 290 გრამი ვერცხლი	III: 257
XVIII ს. II. ნახ.	ხელნაწერი წიგნი – საშუალო ზომის, მდიდრული გაფორმე-ბის გარეშე	2-3 თუმანი, ანუ 290-435	III: 256; 387-388
XVIII ს. II. ნახ.	დავითნი, ხელნაწერი – მცირე მოცულობის	6 აბაზი, ანუ 17,5 გრამი ვერცხლი	III: 257
1771	დასტა ქაღალდი (24 თაბახი)	1 აბაზი	I: 53
XVIII ს. მიწ.	დასტა ქაღალდი (24 თაბახი)	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	III: 341
1800	ქაღალდი, „კაი ფოს-ტის, ნახევარი ზარი, ნახევარი უზარო“ – 0,5 ოზმა (ოზმა – 20 დასტა ქაღალდი, ანუ 480 თაბახი; ზარი – აქ, ოქრონიშნიანი)	6 მინალთუნი, ანუ 87 გრამი ვერცხლი	II: 300
XI ს.	„ხატი ცკლოიანი დიდი“	100 დრაჰკანი/1300 დრამა, ანუ 3900 გრამი ვერცხლი	გმ: 23
XI ს.	ჯვარი	90 დიმიტრატი/სავარაუდოდ 270 დრამა, ანუ 800 გრამი ვერცხლი	აქმსწ: 135
XVII ს. II ნახ.	ანჩის ხატი და კიდევ 9 ხატი	2000 მარჩილი/6000 აბაზი (აბა-ზი=7,5 გრ.), ანუ 45 000 გრამი ვერცხლი	ქრონ. II: 482
XVIII ს. II ნახ.	მთავარანგელო-ზის ხატი – ოქრო, მოოქვილი	700 ფლური/12600-13300 აბაზი (აბაზი=2,9 გრ.), ანუ 37 500 გრამი ვერცხლი	III: 342
XVIII-XIX სს. მიჯნა	„ხატი ერთი მაცხ-ოვრისა ძვირფასი, ოქროთი მოჭედილი და თვალითა და მარ-გალიტით მოოქვილი, ოქროს ყუთით“	60 თუმანი, ანუ 8700 გრამი ვერცხლი	III: 372
XIX ს. დასაწ.	ოქროს ჯუარი – მარგალიტით და თვლებით მოჭედილი, თავისის ჯაჭვით, მინანქრით	30 თუმანი, ანუ 3350 გრამი ვერცხლი	III: 384
XIX ს. დასაწ.	მოჭედილი დიდი ბარძიმ-ფეშხუმი და რამდენიმე მცირე საეკლესიო ნივთი	50 თუმანი, ანუ 7250 გრამი ვერცხლი	III: 387
XIX ს. დასაწ.	მინანქრის ჯვარი, ტრაპეზზე დასასვენ-ებელი	20 თუმანი, ანუ 2900 გრამი ვერცხლი	III: 387
1790 წ.	ვერცხლის ბარ-ძიმ-ფეშხუმი	12 თუმანი, ანუ 1740 გრამი ვერცხლი	ქსძ. III : 1002.

1778	წმინდა სანთელი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	3-4 მინალთუნი, ანუ საშუალოდ, 51 გრამი ვერცხლი	I: 58-59
1778	საკმეველი – 1 ჩარექი, ანუ 900 გრამი	1 მინალთუნი, ანუ 14,5 გრამი ვერცხლი	I: 58-59

IX. საგლეხო ფუძისა და გლეხის ღირებულება XI-XVIII საუკუნეების საქართველოში

შუა საუკუნეების საქართველოში მიწა ძირითად საწარმოო საშუალებას წარმოადგენდა. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში მიწის ფონდის უდიდესი ნაწილი მეფის, საერო ფეოდალების და ეკლესია-მონასტრების საკუთრებას შეადგენდა. მიწების მხოლოდ მცირე ფონდი იყო დარჩენილი ქვედა ფენების პირად მფლობელობაში. გლეხთა მცირე ნაწილს ნასყიდი ან სხვა საშუალებით მიღებული თუ შენარჩუნებული მიწის მცირე სავარგულები ჰქონდა, თუმცა დროთა განმავლობაში, მსგავსი კატეგორიის მიწებიც ფეოდალთა საკუთრება ხდებოდა. განსხვავებული მდგომარეობა იყო ქვეყნის მაღალმთიან ზოლში, სადაც ფეოდალური ურთიერთობები ნელი ტემპით აღწევდა. აღნიშნულ მხარეებში თავისუფალი მეთემეები ცხოვრობდნენ, თუმცა, გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე, მათ განკარგულებაში სახნავ-სათესი მიწების ძალიან მცირე ოდენობა იყო. მაღალმთიან ზოლში მცხოვრებთა პირადი თავისუფლების მიუხედავად, იურიდიულად მათ მესაკუთრედ სახელმწიფო ითვლებოდა და მეფის მოხელეები განაგებდნენ.[653]

ფეოდალების საზოგადოებრივ მდგომარეობასა და ადგილს დიდწილად მათ მფლობელობაში არსებული მიწების ფართობი, ასევე ამ მიწაზე დასახლებულ ყმა-გლეხთა რაოდენობა განსაზღვრავდა. დიდებულები (შემდგომში თავადები) დიდი რაოდენობით ყმა-მამულების მესაკუთრეები იყვნენ, ხოლო საშუალო და წვრილი აზნაურები შედარებით ნაკლებ ქონებას ფლობდნენ.

მიწების სავარგულების დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, გლეხებს ეკავათ მუდმივი სარგებლობის უფლებით. აღნიშნული მიწების, ისევე როგორც გლეხების მესაკუთრედ მეფე, ფეოდალები და ეკლესია გვევლინებოდა. მიწის სოლიდური ნაწილი მეფის, საერო ფეოდალების და ეკლესია-მონასტრების პირად მეურნეობას წარმოადგენდა, რომელსაც გლეხთა შრომითი ბეგარის საშუალებით ამუშავებდნენ. ამდენად, მიწის ფონდი ძირითადად წვრილ საგლეხო ფუძესა და ფეოდალთა პირად მეურნეობაში იყო თავმოყრილი.

წვრილ გლეხურ მეურნეობასა თუ დიდ ფეოდალთა მამულებში სასოფლო-სამეურნეო მიწების უდიდეს ნაწილზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, მარცვლეული კულტურები ითესებოდა. გარკვეულ ფართობზე გაშენებული იყო ვაზი და ხეხილი. სახნავ-სათესი მიწების მცირე ფართობზე ბოსტნეული და პარკოსანი კულტურებიც მოჰყავდათ.

გლეხის ძირითად სამეურნეო ერთეულს ფუძე, ანუ საკომლო წარმოადგენდა. საგლეხო მეურნეობის მოცულობის განსაზღვრას ქართულმა ისტორიოგრაფიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ივ. ჯავახიშვილის,

[653] მ. ლორთქიფანიძე. ნ. შოშიაშვილი. ძირითადი საზოგადოებრივი ფენები და სოციალური ბრძოლა. საქართველოს ისტორია. I, გვ. 467-471.

დ. გვრიტიშვილის, გ. აკოფაშვილის, დ. მეგრელაძის, ე. ორჯონიკიძის, ი. ანთელავას და სხვათა ნაშრომები.[654]

საგლეხო ფუძის ოდენობას ეხება 1195/1196 წლების თამარ მეფის მღვიმისადმი დაწერილი სიგელი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ანტონ ჭყონდიდელმა ერთ ფუძეზე მოსახლე ქოსაისძეების ორ კომლ გლეხს ჯამში 12 დღიური მიწა და ვენახი გამოუყო: „და ამათ გლეხთა ორთავეს სწორად მივსცენით მიწანი მონასტრი|საგან სხალტბას, სახელდებით: ბოტკოს და დიდველს დღისა ათისაი და წყა|როისა სათავესა ორისა დღისაი და ვენაჯი, რ(ომე)ლ საკრებულოი იდვა სხალტბას“.[655] აღნიშნულ სიგელზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილმა სრული ფუძის მოცულობად სწორედ 12 დღიური სახნავ-სათესი და ერთი ვენახი მიიჩნია,[656] რაც გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.[657]

ცხადია, ყველა გლეხს თანაბარი ოდენობის მიწა არ ჰქონდა. განხილული საბუთიდანაც ჩანს, რომ ერთ საგლეხო ფუძეზე ორი კომლი გლეხი მჯდარა. სხვა წყაროებით დასტურდება, რომ ერთ ფუძეს ზოგჯერ ორზე მეტი კომლიც ფლობდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ყველა კომლს ვენახი არ ჰქონდა. იყვნენ უმიწო გლეხებიც. ზოგიერთი გლეხი კი სრულ ფუძეზე გაცილებით დიდი ფართობის მიწებს ამუშავებდა. ამდენად, 12-13 დღიური, ანუ 6-6,5 ჰა.[658] მიწის ფართობი საშუალო შეძლების გლეხების ნორმას წარმოადგენდა.

საშუალო შეძლების გლეხის 12-13 დღიური მიწიდან ერთი დღიური ეკავა ვენახს, დაახლ. ერთი დღიური – კარ-მიდამოს და, რიგ შემთხვევაში, ხეხილის მცირეფართობიან ბაღს. სავარაუდოდ, სახნავ-სათესი მიწიდან ერთ ან ორ დღიურზე ბოსტნეული და პარკოსანი კულტურები (ცერცვი, ოსპი, მუხუდო, მოგვიანებით ლობიო და სხვ.) მოჰყავდათ, ხოლო 9-10 დღიურზე ძირითადი საკვები პროდუქტი – პურეული კულტურები ითესებოდა. აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახნავ-სათესი 9-10 დღიურიდან ყოველწლიურად შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 4,5-5 დღიურის დამუშავება, რადგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, იმდროინდელი ტექნოლოგიების პირობებში, სრულფასოვანი მოსავლის მისაღებად, აუცილებელი იყო მიწის ყოველწლიური დასვენება.

---

[654] იხ.: დ. გვრიტიშვილი. მასალები ქართული გლეხობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნე). თბ. 1979, გვ. 17; გ. აკოფაშვილი. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. თბ. 1963. № 5(14), გვ. 124-141; გ. აკოფაშვილი. გლეხური და საბატონო მეურნეობის განვითარება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 533-539; დ. მეგრელაძე. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობისათვის XVII-XVIII სს. ქართლის მასალების მიხედვით. მაცნე. თბ. 1965. № 5 (26), გვ. 193-204; ე. ორჯონიკიძე. მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 33. თბ. 1960, გვ. 217-232; დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1967; ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის. თბ. 1977; ზ. ჯამბურია. საქართველოს სოციალური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 2. 1989, გვ. 9-25.

[655] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 103.

[656] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია (1907), გვ. 16-17.

[657] როგორც ქვემოთ ვნახავთ, გვიანფეოდალურ ეპოქაშიც საშუალო შეძლების გლეხი ანოლოგიურ მიწის ფართობს ამუშავებდა.

[658] 1 დღიური მიწა დაახლ. 0,5 ჰა.-ს შეადგენდა. იხ.: გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 158.

რადგან მიწა ძირითად საწარმოო საშუალებას წარმოადგენდა და სოციალური სტატუსი დიდწილად, მიწისმფლობელობის ოდენობასთან იყო დაკავშირებული, დიდი მოცულობის მიწის გასხვისებასა თუ შეძენას მეფის თანხმობა ესაჭიროებოდა. ხოლო, როგორც ისტორიული საბუთებიდან ჩანს, მცირე მოცულობის (რამდენიმე დღიური ან საკომლო) მიწის ყიდვა-გაყიდვის აქტი მყიდველსა და გამყიდველს შორის მარტივად ფორმდებოდა, რასაც ამოწმებდა რამდენიმე დამსწრე პირი.

სახნავ-სათესი მიწის ღირებულება XI-XV საუკუნეების საქართველოში

განსახილველი ეპოქის ქართულ წყაროებში ფასის მითითებით მიწის ფართობის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევებს იშვიათად ვხვდებით.[659] სახნავ-სათესი მიწის ფართობისა და ვენახის ღირებულების შესახებ პირველი ცნობები ამჯერადაც ნიკორწმინდელის დაწერილში გვხვდება.

ნიკორწმინდელის დაწერილში მიწის ფართობი სხვადასხვა ტერმინით არის აღნიშნული: „ყანაჲ“, „მიწაჲ“, „ვენაჯი“ „მიწა ხილოანი“, და „მიწაჲ ტყიანი“ და „პარტახი“. აქედან სახნავ-სათეს ფართობს წარმოადგენდა „ყანაჲ“, „მიწაჲ“ და „პარტახის“ ნაწილი. საბუთის მიხედვით, ყანა განსაზღვრული ფართობის სახნავ-სათეს მიწას ეწოდებოდა. განსხვავებული ფართობის ყანა საბუთში აღნიშნულია შემდეგი ტერმინებით: „ნაკუეთი ყანაჲ“, „ყანაჲ გრივისა ერთისა სათესავი“, „ყანაჲ ექუსისა კაბინისა სათესავი“ და „ყანისა ნახევარი“ და სხვ.

როგორც ხორბლის ფასზე მსჯელობისას აღინიშნა, ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, ყანის საშუალო ღირებულება 2 დრაჰკან კონსტანტინატს შეადგენდა, რაც დაახლ. 60-70 გრამი ვერცლის (20-24 სრულფასოვანი დრამის) ტოლფასი იყო. საბუთის მიხედვით, ყანა იცვლებოდა ერთ ხარში ან ორ ძროხაში და, როგორც აღინიშნა, 300 კგ. ხორბალში.[660] ერთი სიტყვით, რაჭის რეგიონში რომელიც ინტენსიური მეხორბლეობის მხარედ მიიჩნეოდა, ყანა ფასობდა 2 დრაჰკან კონსტანტინატად.

ნიკორწმინდელის დაწერილში ყანის ყიდვა-გაყიდვის 20-ზე მეტი შემთხვევა არის დაფიქსირებული. უმეტეს მათგანში ყანის ფასების თანაბრობა გვაძლევს საფუძველს, რომ ტერმინში, როგორც აღინიშნა, დადგენილი ფართობი ვიგულისხმოთ. რადგან გვიანდელი წყაროების მიხედვით, მიწის ფართობი, ძირითადად, დღიურებით განისაზღვრებოდა, ჩვენი აზრით, ნიკორწმინდელის დაწერილში ნახსენები ყანა სწორედ ერთ დღიურ მიწას უნდა აღნიშნავდეს.[661]

მოცემული ლოგიკის მიხედვით, XI საუკუნის II ნახევარში ერთი დღიური სახნავი მიწის საშუალო ფასი 2 დრაჰკანი კონსტანტინატი ყოფილა.

---

[659] მსგავსი ცნობები მრავლად მოგვეპოვება XVII-XVIII საუკუნეების დოკუმენტურ წყაროებში.

[660] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 40, 42.

[661] მ. წურწუმიას აზრით, ნიკორწმინდელის დაწერილში ნახსენები ყანის ფართობი 2 ჰექტარს უნდა შეადგენდეს. იხ.: წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 146-147. აღნიშნული მოსაზრება ძნელად გასაზიარებელია, რადგან შეუძლებელია 2 ჰა. სახნავ-სათესი მიწის ფართობი, ანუ 4 დღიური მიწა 300 კგ. ხორბალზე გაეცვალათ – რადგან XVIII საუკუნის საქართველოში 2 ჰა. მიწის ფართობზე 2400 კგ. ხორბლი მოჰყავდათ. XI საუკუნეში 4 დღიურიდან თუნდაც ამის ნახევარი – 1200 კგ. მოსავალი რომ მოეწიათ, მაინც ალოგიკურად მიგვაჩნია 300 კგ. ხორბალის ფასად დასახელებული მოცულობის მიწის ფართობის შეძენა.

ნოკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, ყანის ფასს დაახლ. ორჯერ აღემატებოდა მიწის ფასი და საშუალოდ, 4 დრაჰკან კონსტანტინატს შეადგენდა.[662]

საინტერესოა ნიკორწმინდელის სიგელში მოხსენებული მიწის ფართობის განსაზღვრა. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, XI საუკუნის I ნახევრის მელქისედეკ კათალიკოსის სიგელში „ფოძე“, ანუ „ფუძე“ და „მიწა“ სხვადასხვა სიდიდის ერთეულებს წარმოადგენს. შესაბამისად, მელქისედეკ კათალიკოსის სიგელსა და ნიკორწმინდელის დაწერილში მიწა უძრავი ქონების ნაჭერს უნდა გულისხმობდეს და არა მთლიან საკომლოს. ავტორის დაკვირვებით, განსხვავებული სურათია თამარ მეფის შიომღვიმისადმი შედგენილ სიგელში, რომელის მიხედვითაც, მიწა და ფუძე თანაბარი სიდიდის ერთეულებად მოჩანს.[663]

XI საუკუნეში მიწა მთლიან საკომლოს, ანუ ფუძეს რომ არ აღნიშნავდა, ეს კარგად ჩანს ნიკორწმინდელის დაწერილიდანვე: „ხოტევს ვიყიდე გაბოშისაგან მიწაჲ და მივეც ჴარი ა, და ზ(ედ)ა აგარას დავდგი სახლი სენაითა და ქუეშე ორითა ბოსლითა, დავდგი ბეღელი სადაგი ა, და ზედა ბეღელი ხერხული ა. ჩაყრივისაგან ვიყიდე მიწაჲ და მივეც ოთხმოცისა დრამისაჲ, მოწამე არიან კაცნი. ეფრემ შემოსწირა ყანაჲ ბ ხოტევლისა სულისათჳს. იგი და ნასყიდი ერთგან შევკრიბე და გლეხი დავასახლე აგარასა შინა და ბეგარასა გარდაიჴდიდის“.[664] როგორც ვხედავთ, ნიკორწმინდელს ბეგარის გადამხდელი გლეხი ორ სხვადასხვა ფასად ნაყიდ მიწაზე დაუსახლებია და მისთვის კიდევ ორი ყანაც დაუმატებია. ამდენად, გლეხის ფუძის „შესაქმნელად“ საჭირო გამხდარა ორი მიწის და ორი ყანის გაერთიანება. შესაბამისად, ნიკორწმინდელის დაწერილში ნახსენები მიწა, საგლეხო ფუძესთან შედარებით, მცირე ფართობს გულისხმობდა.

გამოთქმული მოსაზრების მართებულობაზე მიუთითებს ამავე საბუთის ყიდვა-გაყიდვის სხვა აქტიც: „მისვე დებორიანის ძისაგან ვიყიდე პარტახი ა, და მივეც ცხენი ა, და ჩაბალახი გუდამაყრული ა, და მოწამე არიან კაცნი“.[665] როგორც ვხედავთ, „პარტახში“ გადახდილია ცხენი და „ჩაბალახი გუდამაყრული“. როგორც ზემოთ აღინიშნა, საშუალოზე ნაკლები ღირსების ცხენი 6 ოქროს ნომისმად ფასობდა, ხოლო ჩაბალახი 2-4 ოქროდ. ამდენად, „პარტახის“, ანუ მიტოვებული, გავერანებული საგლეხო ფუძის ფასიც კი მნიშვნელოვნად აჭარბებდა მიწის საშუალო ფასს – 4 ნომისმას და შეადგენდა დაახლ. 8-10 დრაჰკანს.

როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, ყანა უნდა აღნიშნავდეს „ნახნავ მიწას, დამუშავებულსა და კორდგატეხილს“,[666] ანუ მიწაზე უკეთესი ხარისხის სახნავ-სათესს. აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით, ყანაზე ორჯერ ძვირადღირებული მიწა, ერთ დღიურზე საშუალოდ, 2,5-3-ჯერ მეტ ფართობს უნდა გულისხმობდეს.

---

[662] მ. წურწუმია მიწის ფასს ანალოგიურად 4 ოქროთი განსაზღვრავს. მისი აზრით, მიწა უდრიდა მთლიან საგლეხო ფუძეს, ანუ 12 დღიურს. იხ.: XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 144-145, 147-152.

[663] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვ. მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 136-137.

[664] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 41-42.

[665] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 40.

[666] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვ. მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 137.

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, XI საუკუნეში საგლეხო ფუძის შემადგენელი სახნავ-სათესი მიწის ფასის მიახლოებითი გამოთვლაც – ჩვენ თუ ამოსავალ წერტილად ავიღებთ მოცემულობას, რომლის მიხედვითაც, 1 დღიური ყანის ღირებულება შეადგენდა 2 დრაჰკან კონსტანტინატს, ანუ დაახლ. 65 გრამ ვერცხლს, 10 დღიური მიწის ფართობის ფასად მივიღებთ 20 დრაჰკან კონსტანტინატს, ანუ დაახლ. 650 გრამ ვერცხლს (კონსტანტინატის და 3-გრამიანი ვერცხლის მონეტების შეფარდება – 1:11-თან). შესაძლოა, შედარებით დიდი ფართობის ერთიანად ყიდვა-გაყიდვის შემთხვევაში, ფასი მცირე ყოფილიყო, თუმცა, საშუალო შეძლების გლეხის სახნავ-სათესი მიწა 550-600 გრამი ვერცხლი მაინც ეღირებოდა.

საგლეხო ფუძის მოცემული ღირებულება გარკვეულ თანხვედრაში მოდის ზემოთ განხილულ ფაქტებთან: ხოტევში ერთი ბეგრის გადამხდელი გლეხი დაუსახლებიათ დაახლ. 11 დრაჰკანის ღირებულების მიწის ფართობზე, რომელიც დაახლოებით 6-7 დღიურს შეადგენდა.[667] ხოლო, „პარტახის“ ფასი ყოფილა 8-10 დრაჰკანი. ცხადია, სრულფასოვანი საგლეხო ფუძის ფასი პარტახის ღირებულებაზე გაცილებით დიდი იქნებოდა.

მიწის ფასი მოცემულია 1200 წლის ახლო ხანებში შედგენილ საბუთშიც: „... ესე შესამოსელი რვა დრაჰკანად ვაჭრულად დააფასეს. მას შინ| ოქროდ არ ძალ-გიჩნდა და მოგუ{ე}ც ორი გუთანი მიწაი მჭედლიური“.[668] როგორც ვხედავთ, „გუთანი მიწის“ ფასი ყოფილა 4 დრაჰკანი. „გუთანი მიწა“ ნახსენებია, ასევე 1230-იანი და 1259/60 წლებით დათარიღებულ საბუთებში.[669]

წყაროებიდან არ ჩანს „გუთანი მიწის“ ფართობის ოდენობა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „გუთანი XIII ს. საბუთების მიხედვით, მიწის საზომს წარმოადგენდა, ალბათ, მიწის იმ ოდენობას, რომლის მოხვნაც გუთნეულს ერთი დღის განმავლობაში შეეძლო. ამგვარად, „გუთანი“ და დღიური თითქოს ერთი და იმავე სიდიდის ოდენობად უნდა ვიგულისხმოთ“.[670] „გუთანი მიწა“ და დღიური ერთი დღის სახნავ მიწად მიაჩნდა ს. კაკაბაძესაც.[671]

ჩვენი აზრით, „გუთანი მიწის“ ფართობი ერთ დღიურზე მეტი უნდა ყოფილიყო, რადგან იმავე ეპოქის დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ტერმინი დღიური („დღისა ათისაი, ორისა დღისაი“) უკვე დამკვიდრებული ყოფილა და მიწის გარკვეულ მოცულობას აღნიშნავდა.[672] ერთსა და იმავე ეპოქაში ორი სხვადასხვა ტერმინის პარალელური არსებობა კი მათ განსხვავებულ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს.

ამდენად, თუ დღიური მიწის მოცულობა შეადგენდა 0,5 ჰექტარს, „გუთანი მიწა“, სავარაუდოდ, მასზე ორჯერ დიდი მაინც უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, 10 დღიური სახნავ-სათესი ფართობის ღირებულება ყოფილა 20 სრულფასოვანი დრაჰკანი, ანუ

---

[667] გლეხი დაასახლეს 1 ხარად, ანუ 2 დრაჰკანად ნაყიდ მიწასა და 80 ადგილობრივად მოჭრილ დრამად, ანუ დაახლ. 5 დრაჰკან კონსტანტინატად ნაყიდ მიწაზე (დაახლ. 4-5 დღიური). ასევე, დაუმატეს 4 დრაჰკან კონსტანტინატის ღირებულების 2 ყანა (დაახლ. 2 დღიური).

[668] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 92.

[669] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 113, 140.

[670] ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი III. ნაკვ. მესამე. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 139.

[671] ს. კაკაბაძე. ქართული მეტროლოგია. საისტორიო მოამბე. I, გვ. 58.

[672] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 103.

დაახლ. 780 გრამი ვერცხლი. თუ ჩვენი გამოთვლა მეტ-ნაკლებად სწორია, საგლეხო ფუძის შემადგენელი სახნავ-სათესი ფართობის ღირებულება XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში, წინა საუკუნის ფასთან შედარებით, დაახლ. 20-30%-ით გაზრდილა. თუ გავითვალისწინებთ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონეს და გუთნის დამკვიდრებით გამოწვეულ ტექნოლოგიურ წინსვლას, სრულებით ლოგიკურია სახნავ-სათესი ფართობის გაძვირების ტენდენცია.

მოგვიანო პერიოდის მიწის ფასთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობას ვხვდებით 1249/1260 წლებში შედგენილი საბუთის („დაწერილი მღვიმის კრებულისა გრიგოლ სურამელისადმი“) XV-XVI საუკუნეების მინაწერში: „... სიგელი მოგეც მე, მიწობილისძემ(ა)ნ ფ{ა}რემუზ, თქ(უე)ნ, მონოზ{ო}ნთა ხერხეულიძის ასულსა ეკ{ა}ტ{ე}რინეს, მ(ა)ს ჟ(ამს)ა, ოდეს მტკურისპირს მ(ი)წა მოგყიდეთ დ{ა} ავიღეთ ფ{ა}სი რ(ა) ჲსაც მთხოვნელნი ვიყვ{ე}ნით, ან ბ(ა)ტონი დ{ა} ან ყმაჲ პ(ირუე)ლ(ა)დ მ{ა}მულის პ{ა}ტრონმ{ა}ნ აიღო სამ{ა}ს სამოცი ნ{ა}ღდი თანგა და ჩ{უე}ნ პ{ა}ტრონმ{ა}ნ ავიღეთ...“.[673]

როგორც ვხედავთ, საბუთში საუბარია „მტკურისპირს“ მიწის 360 თანგად შეძენის ფაქტზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, XII საუკუნის მიწურულიდან ტერმინი მიწა საგლეხო ფუძის ტოლფასი ყოფილა. შესაბამისად, საქმე უნდა გვქონდეს ერთ საკომლო მიწის შეძენის ფაქტთან. ამ შემთხვევაში, გამოსარკვევია მხოლოდ თანგის რაობა. რადგან საქართველოში აღმოჩენილი განძების შემადგენლობაში თემურ ლენგის მოჭრილი 6,2-გრამიანი ვერცხლის მონეტები არ გვხვდება, მიჩნეულია, რომ XV-XVI საუკუნეების ქართულ წყაროებში მოხსენებულ თანგებში შირვანში მოჭრილი თანგები იგულისხმება.[674] XV-XVI საუკუნეებში შირვანული თანგების წონითი რემედიუმი 4 გრამიდან 0,5 გრამამდე მერყეობდა, შემცირების ტენდენციით. კონკრეტულად ჰალილულაჰ I-ის (1417-1462 წწ.) ჰიჯრ. 834 წელს (1430/1431 წ.) მოჭრილი მონეტები იწონიდა 4,24-3,77 გრამს, ხოლო ფარუხ-იასარის (1462-1501 წწ.) მოჭრილი თანგები – 2,56-1,69 გრამს. ჰალილულაჰ II-ის (1524-1535 წწ.) მმართველობის დროიდან კი, მონეტის წონა შემცირდა 0,5 გრამამდე.[675]

საბუთიდან არ ჩანს ზუსტად რომელი მონეტებით განხორციელდა მიწის შესყიდვა, თუმცა, ვინაიდან XV საუკუნის ქართული წყაროების მიხედვით, თანგა და კირმანეული თეთრი თანაბარი წონის მონეტებად მიიჩნეოდა,[676] ხოლო XV საუკუნის სამონეტო განძებში კირმანეული თეთრის წონა მერყეობდა 2,7-1,75 გრამებს შორის,[677] თანადროული შირვანული თანგის წონად, დაახლ. 2,2 გრამი ვერცხლი (ფარუხ-იასარის მოჭრილი მონეტები) უნდა მივიჩნიოთ.

---

[673] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 133.

[674] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე მთავართა ემისიები. თბ. 2011, გვ. 126-130.

[675] Г. В. Злобин. Монеты Ширваншахов династии Дербенди (третья династия). москва, 2010, გვ. 146-175, 214-256; А. Раджабли. Нумизматика Азербайджана (Очерки истории монетного дела и денежного обращения Азербайджана). Баку, 1997, გვ. 63-64;

[676] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. III. XV საუკუნის მეორე ნახევარი. შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ. გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ. თბ. 2014, გვ. 117.

[677] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964, გვ. 88-89.

2,2-გრამიანი თანგის პირობაზე, 360 თანგას საერთო წონა იქნება დაახლ. 800 გრამი ვერცხლი. მოცემული გამოთვლით, „მტკურისპირს“ ნაყიდი მიწა (სავარაუდოდ, 10-12 დღიური) 800 გრამი ვერცხლი ღირდა. როგორც ჩანს, XI საუკუნის ფასთან შედარებით, XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე მიწის ღირებულება მცირედით გაზრდილა და ეთანაბრებოდა XIII საუკუნის დასაწყისის ფასს.

ვენახის ღირებულება XI-XV საუკუნეების საქართველოში

როგორც ღვინის ფასებზე მსჯელობისას აღინიშნა, ერთი ვენახის ფართობი დაახლ. 0,3-0,5 ჰა.-ს შეადგენდა და XVIII საუკუნის მონაცემებით, საშუალოდ, 1200-1500 ლიტრ ღვინის მოსავალს იძლეოდა. 1200-1500 ლირტი ღვინის ფასი კი შეადგენდა დაახლ. 550-800 გრამ ვერცხლს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთი ვენახიდან მოწეული მოსავლის ღირებულება 5,5-8-ჯერ აჭარბებდა ერთი დღიური ყანიდან მიღებულ ხორბლის ფასს.[678] შესაბამისად, ვენახი ყანაზე გაცილებით ძვირი უნდა ყოფილიყო.[679]

სახნავ-სათესი მიწისა და ვენახის ღირებულებების შეფარდებისათვის, საინტერესოა XVI საუკუნის I ნახევრის შეწირულობის წიგნი სვეტიცხოვლისადმი. საბუთში ჩამოთვლილია შეწირული მამულები: „...{ზაური ერთი ვაშაფე}რიძე მისითა ნასყიდითა, სახლ-კარითა, ვენაჯითა და რვის დღის საჭნავითა; გიორგაშვილი მისითა ვენაჯითა, ბექაური მისით(ა) ვენაჯითა, {მამისეულ}ი ვენაჯი ორი, გრძელას ვენაჯი ერთი, ბულიაშვილის ვენაჯი ერთი, ურიაყოფილის ვენაჯი ერთი, საჭნავი დღე ათი, ლუკისშვილი ვენაჯი ერთი, ტარიელის ყმებს ვენაჯს გარეთ... საინბეგაშვილის ვენაჯი ერთი, დავლათარაშვილის ვენაჯი ერთი, სარუაშვილის ვენაჯი ერთი, ფარილუსას ვენაჯი ერთი...“.[680] როგორც ვხედავთ, საბუთში, ძირითადად, ვხვდებით ერთი ვენახის შეწირვის ფაქტებს, ვენახის გვერდით კი დასახელებულია რვა და ათი დღიური მიწა, რაც ხაზს უსვამს მათ თანაბარ ღირებულებას.

ნიკორწმინდელის დაწერილში ვენახების მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ფასებს ვხვდებით. არის შემთხვევა, როდესაც ვენახში გადახდილია ფური (დაახლ. 15-16 დრამა) და 75 დრამა[681], სულ დაახლ. 90 ორგრამიანი დრამა, რაც ჩვენი გამოთვლით, 6 დრაჰკან კონსტანტინატის ეკვივალენტურია. ყიდვა-გაყიდვის ზოგიერთ აქტში ვენახის ფასი გაცილებით მაღალი ჩანს. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ერთ-ერთ აქტში აღნიშნულია, რომ ყანისა და ვენახის ფასად, გადახდილია „ცხენი კარგი ა“.[682] როგორც

[678] იმავე ეპოქაში 1 დღიური ყანიდან, როგორც აღინიშნა, იღებდნენ 600 კგ. ხორბალს. თუ აღნიშნულ ოდენობას მოვაკლებთ დასათეს მარცვლეულს (75 კილოგრამს), გამოდის, რომ 1 დღიურ მიწაზე გლეხი იღებდა დაახლ. 500 კგ. ხორბალს, რომლის ღირებულება უდრიდა დაახლ. 100 გრამ ვერცხლს.

[679] განსახილველი ეპოქის ბიზანტიაში ვენახის ღირებულება მინიმუმ 6-10-ჯერ აღემატებოდა ამავე ფართობის სახნავი მიწის ფასს, ხოლო დაბეგვრის ინდექსის გათვალისწინებით, ეს განსხვავება 8-12-ჯერადი იყო. იხ.: A. E. Laiou. The Agrarian Economy, Thirteenth-Fifteenth Centuries. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century. Ed. by A. E. Laiou, გვ. 360; მ. ნურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 154.

[680] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. IV. XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე საათაბაგო). ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ. სპარსული ტექსტები მომზადა თ. აბაშიძემ. თბ. 2016, გვ. 163.

[681] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 40.

[682] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 40.

ზემოთ გავარკვიეთ, კარგი ცხენი აღნიშნულ ეპოქაში სულ მცირე 15 დრაჰკანი ღირდა. ამდენად, ყანის ფასის გამოკლებით, ვენახის ღირებულება 12-13 დრაჰკანი ყოფილა. ვხვდებით ვენახის შედარებით იაფად ყიდვის ფაქტებსაც: „გლეხისაგან ვიყიდე ვენაჯი და მივეც ფური ა, აჟურაი მ (40)“.[683] ამ შემთხვევაში, ვენახში გადახდილია დაახლ. 4 დრაჰკანი.[684]

ჩვენი აზრით, მევენახეობის განვითარების მიუხედავად, რაჭის რეგიონში, გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, ვენახები, ბარის რაიონებთან შედარებით, მცირე ფართობებზე უნდა ყოფილიყო გაშენებული.[685] შესაბამისად, საბუთში ნახსენებ ვენახში ყოველთვის აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ფართობი (0,3-0,5 ჰა.) არ უნდა იგულისხმებოდეს და, ძირითადად, სტანდარტულზე ნაკლები მოცულობის ვენახზე უნდა იყოს საუბარი.

დიდი ალბათობით, სტანდარტული ვენახის ფასს უნდა განსაზღვრავდეს ყიდვა-გაყიდვის ერთი აქტი, რომელშიც დაკონკრეტებულია ვენახის ფართობი. ამ შემთხვევაში, საუბარია „ნაოთხალ“, ანუ მეოთხედ ვენახზე: „ჯინჭარაჲს ძისა გლეხისაგან ვიყიდე ნაოთხალი ვენაჯისაი, ჩ(უე)ნ თანა ედვა და გავისაკუთრე და მივეც ზროხაჲ ა, და ორმოცისა დრამისა ჴმელადი. და მოწამე არიან კაცნი“.[686] ამ შემთხვევაში, მეოთხედ ვენახში გადახდილია ერთი ძროხა და 40 დრამის ხმელადი. როგორც აღინიშნა, ძროხის ღირებულება უდრიდა 1 დრაჰკან კონსტანტინატს (დაახლ. 33-35 გრამ ვერცხლს), ხოლო ადგილობრივი 40 დრამა – დაახლ. 2,5 დრაჰკან კონსტანტინატს (დაახლ. 80 გრამ ვერცხლს). ერთი სიტყვით, მეოთხედი ვენახის ღირებულება ყოფილა 3,5 დრაჰკანი კონსტანტინატი, ანუ 115 გრამი ვერცხლი, შესაბამისად, ერთი დღიური ვენახის ფასი გამოდის 14 დრაჰკანი კონსტანტინატი, ანუ დაახლ. 450 გრამი ვერცხლი.

ამდენად, ჩვენი გამოთვლით, XI საუკუნეში ერთი ვენახი ფასობდა დაახლ. 14 დრაჰკან კონსტანტინატად, რაც საშუალოდ, 400-450 გრამი ვერცხლის ტოლფასი იყო.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ XI საუკუნის ბიზანტიაში 1250 კვ. მ. (1 მოდი) ვენახი ღირდა 4-6,5 ოქროს ნომისმა,[687] 0,5 ჰა. (5000 კვ. მ.) კი – 16-26 ნომისმა.

ვენახის ფასს ვხვდებით 1200 წლის ახლო ხანებში შედგენილ საბუთშიც – „დაწერილი მღვიმის კრებულისა ზოსიმესადმი“, რომელშიც აღნიშნულია: „... აგა|რას თორმეტისა დრაჰკნისა ვენაჯი იყიდეთ კჯრიკაჲსგ(ა)ნ, და იგიცა| ზ(ედ)ა მოჰკიდეთ“.[688] როგორც ვხედავთ, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ქართლში ვენახი გაყიდულა 12 დრაჰკანად.

ამავე საბუთში აღნიშნულია: „... რუეთს ს(ა)კ(უ)რთხ(ე)ვლისა საგლეხოსა ვენაჯსა ზ(ედ)ა კ(აც)ნი ვინ|მე სხდომილ იყვნეს არ მემამულენი, მიწაი ვენაჯად აეშენა და

[683] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 43.

[684] მ. წურწუმიამ საბუთში დაფიქსირებული ვენახის მაღალი ფასი გამონაკლისად ჩათვალა და ვენახის ღირებულებად მიიჩნია 4-6 ოქრო, ხოლო ვანახის ფართობად – 0,3-0,5 ჰექტარი. მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 145, 153-155.

[685] რაჭაში, სადაც სამეურნეო მიწის ფონდი, ბართან შედარებით, ნაკლები იყო, პირველადი საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხორბლის და სხვა მარცვლეულის ნათესები იკავდებდა ძირითად ფართობს.

[686] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 40.

[687] C. Morrisson, Jean-Claude Cheynet. Prices and Wages in the Byzantine World. The Economic History of Byzantium: From the Seventh through the Fifteenth Century, გვ. 832-833.

[688] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 89.

იგინი| კ(აც)ნი კიდე წავიდეს. ნაშენებისა მ(ა)თისა ნ(ა)ცვლად, ი(ოვან)ეს გამზრდელსა გარისელა|ჲსძესა თექუსმეტი დრაჰკანი მიეცა მ(ა)თ კ(ა)ცთათჳს, და მის გარისელაჲსძისა| ს(უ)ლისა სალოცავად თორმეტი კოკაჲ გაუყოფლისა ტკბილის(ა)გ(ა)ნ აიღების მისა|დ სალ(ო)ც(ა)ვად ყ(ოველ)თა წელიწადთა...".[689]

აღნიშნულ ცნობებზე ყურადღება ივ. ჯავახიშვილმა გაამახვილა. ავტორი აღნიშნავს: „ჩვენ ვიცით, რომ გაშენებაში გამშენებელს ნახევარი ვენახი ერგებოდა ხოლმე; ეს 16 დრაჰკანი სწორედ ამ ნახევარი ვენახის ფასია; მაშასადამე მთელი ვენახი 32 დრაჰკანი ღირებულა... უეჭველია ეს ვენახი სივრცით პირველზე $2^{1/2}$-ად მეტი უნდა ყოფილიყო ან არა და თვისებით სჯობნიდა".[690]

ვაზის მოვლის სცენა. მინიატიურა ჯრუჭის II ოთხთავიდან (XII ს.). ხეც. H-1667. 52v

ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს სწორედ დიდი ფართობის ვენახთან, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საბუთის მიხედვით, ვენახი გაუშენებია რამდენიმე ადამიანს – „კ(აც)ნი ვინ|მე სხდომილ იყვნეს არ მემამულენი", „იგინი| კ(აც)ნი კიდე წავიდეს". რადგან ერთი ვენახი რამდენიმე ოჯახის საკმარისი არ იქნებოდა, საქმე უნდა გვქონდეს მინიმუმ ორ ვენახთან. თუ მივიჩნევთ, რომ 32 დრაჰკანი 2 ვენახის საფასურს წარმოადგენდა, ერთი ვენახის ღირებულება 16 დრაჰკანი ყოფილა.

ამდენად, ორივე ცნობის შეჯერებით, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, ერთი ვენახის ღირებულება შეადგენდა 12-16 დრაჰკანს, ანუ საშუალოდ, 550 გრამ ვერცხლს.

როგორც აღინიშნა, XI საუკუნეში ვენახის საშუალო ფასი 400-450 გრამი ვერცხლი იყო, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე კი დაახლ. 550 გრამი. შესაბამისად, ვენახის ფასის მიმართებით, ისევე როგორც სახნავ-სათესი მიწის შემთხვევაში, ზრდის ტენდენცია იკვეთება.

შემდგომი ეპოქის საქართველოში ვენახის ფასის გასარკვევად, საინტერესოა 1452 წლის 20 დეკემბერით დათარიღებული ნანიტა ყიფიანის შეწირულობის წიგნი ქვათახევის მონასტრისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „... მერმე მან<ა> ვენაჯი მომყიდა, სამასი თანგა მივეცი...".[691]

საბუთის შედგენის თარიღის გათვალისწინებით, თანგის წონად, სულ მცირე, 3,5 გრამი (ჰალილულაჰ I-ის მოჭრილი) ვერცხლი მაინც უნდა მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, 300 თანგის საერთო წონა იქნება დაახლ. 1050 გრამი ვერცხლი. შესაბამისად, ვენახის საშუალო ღირებულება ყოფილა 1000 გრამი ვერცხლი.

აქვე მოვიტანთ XVI საუკუნის დასაწყისის კიდევ ერთ ცნობას – 1508 წლის ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია: „...მოგყიდე]თ ჩუენგან ძუირად და სამკუიდროდ და ს[აუ|კუნოდ ნას]ყიდი წითლისძისეული ვენაჯი ჴევთა [შუა მი|ს]ითა სამძღურითა, ყოვლითურთ უკლები, წყლი[ითა]. |ასრე რომე, გარდავიჴდიდეთ აღაპსა, რარიგადაც

[689] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 89.
[690] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია (1907), გვ. 109.
[691] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. III, გვ. 61.

[გავ|რიგდით. ავიღე]თ თქუენგან ფასი სრული და უკლები, რ[არიგად|აც გული] ჩუენი შესჯერდებოდა – თანგა ათა[სი ორ|მო]ცი ახ(ა)ლი...“.[692]

ამ შემთხვევაში ვენახის ფასად დასახელებულია 1040 თანგა. იქვე განმარტებულია, რომ ანგარიშსწორებისას გამოუყენებიათ „ახალი“ მონეტები. ამდენად, გამორიცხულია, რომ ვენახის საფასური ჰალილულაჰ I-ის და ფარუხ-იასარის მოჭრილი თანგებით გადაეხადათ. საბუთის შედგენის დროს, 1508 წლისთვის, შირვანში იჭრებოდა შეიხ იბრაჰიმ II-ის (1502-1524 წწ.) 1,02-გრამიანი მონეტები.[693] შესაბამისად, ვენახის ფასი გამოდის დაახლ. 1050 გრამი ვერცხლი. როგორც ვხედავთ, XV-XVI საუკუნეების ორივე ცნობის მიხედვით, ვენახის ფასი დაახლოებით თანაბარია და საშუალოდ, 1000 გრამ ვერცხლს შეადგენს.

ვენახის ფასი დასახელებულია 1520 წლის ქვათახევის შეწირულობის წიგნშიც: „...[კახაბრ]ისძისსეული ვენაჯი ჯ[ევთა] შუა მისითა სა[მართლიანითა სა]მზღვრით{ა}, ყოვლითურთ უკლები წყლი[თა, ზ]ვრითა, ხილითა ყოვლითვეთურთ ნასყიდი. [მიმიცე] მია ფასად თანგა ათას სამას ოცი...“.[694]

ამ შემთხვევაში ვენახი გაყიდულა 1320 თანგად (1320 გრ. ვერცხლად). რადგან ვენახთან ერთად ხილიც (ხილის ბაღი?) ნახსენებია, მისი ფასი შედარებით მაღალი ყოფილა.

ერთი სიტყვით, მოხმობილი წყაროების მიხედვით, XV საუკუნესა და XVI საუკუნის დასაწყისში ვენახი 1000 გრამ ვერცხლად ფასობდა. ფაქტების სიმწირე ვენახის დასახელებული ფასის გადამოწმების საშუალებას არ გვაძლევს. თუ დავუშვებთ, რომ სამივე შემთხვევაში საუკეთესო, ან შედარებით დიდი ფართობის ვენახთან გვაქვს საქმე, სტანდარტული ვენახის ფასად 700-800 გრამი ვერცხლი მაინც უნდა მივიჩნიოთ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ XI საუკუნის ფასთან შედარებით, XV საუკუნეში მიწის ფასი დაახლოებით 25-30%-ით მაღალი ჩანს, ვენახის ფასი თითქმის გაორმაგებულია.

რამ გამოიწვია ვენახის ფასის მკვეთრი გაზრდა, რთული სათქმელია, თუმცა გარკვეული მოსაზრების გამოთქმა შესაძლებელია. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საქმე უნდა გვქონდეს მოსავლიანობის გაზრდასთან, რაც აისახებოდა კიდეც ვენახის ღირებულებაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუ ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე გამუდმებული სამხედრო კამპანიებისაგან განადგურებულ-გადამწვარი ყანის აღდგენა ერთ წელიწადში იყო შესაძლებელი, ვაზის გაშენებას და სრულყოფილი მოსავლის მიღებას რამდენიმე წელი დასჭირდებოდა. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორიც იმოქმედებდა, სახნავ-სათეს მიწასთან შედარებით, ვენახის ღირებულების შესამჩნევ მატებაზე.

გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულება XI-XV საუკუნეების საქართველოში

ამჯერად, გლეხის ფასი უნდა გავარკვიოთ. პირველი ცნობები გლეხის ფასის შესახებ, კვლავინდებურად, ნიკორწმინდელის დაწერილიში გვხვდება. ყიდვა-გაყიდვის ერთ-ერთ აქტში გლეხის ფასი გარკვევით არის მითითებული: „და შემდგომად პირ-

[692] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. IV, გვ. 30.
[693] Г. В. Злобин. Монеты Ширваншахов династии Дербенди, გვ. 278-308.
[694] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. IV, გვ. 80.

ველ დაწერილისა ამის კ(უალა)დ ვიყიდენ ცხილათს გლეხნი ბ ნი[მრ] [...] ძისაგან და მივეც ფასად დრაჰკანი დუკატი ლვ“.[695]

როგორც ვხედავთ, 2 გლეხის შესაძენად, 36 დრაჰკანი დუკატია გადახდილი, შესაბამისად, 1 გლეხის ფასი ყოფილა 18 დრაჰკანი დუკატი.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) მოჭრილი ოქროს მონეტების სინჯი, რომელსაც საქართველოში დრაჰკან დუკატს უწოდებდნენ, საშუალოდ, 18 კარატს შეადგენდა.[696] ამდენად, დრაჰკანი დუკატის შეფარდება 3-გრამიან ვერცხლის მონეტებთან იქნებოდა მაქსიმუმ 1:11. თუ დრაჰკანი დუკატის ვერცხლის ღირებულებას მოცემული კურსით ვიანგარიშებთ, ერთი გლეხის ვერცხლში გამოხატული ფასი გამოდის დაახლ. 200 დრამა (დრამა=3 გრ.), ანუ საშუალოდ, 600 გრამი ვერცხლი.

რადგან გლეხის გაყიდვისას, საბუთში ყოველთვის ის ადგილია მითითებული, სადაც გლეხი შეიძინეს, მ. ბერძნიშვილის მიიჩნევს, რომ გლეხი იყიდებოდა თავის საცხოვრებელ ადგილთან, ანუ მიწასთან ერთად.[697]

ჩვენ კატეგორიულად გამოვრიცხავთ 18 დრაჰკან დუკატად გლეხის და მისი ფუძის შეძენის შესაძლებლობას. როგორც ზემოთ ვნახეთ, მხოლოდ საგლეხო ფუძეში შემავალი სახნავ-სათესი მიწა და ვენახი ღირდა დაახლ. 34 დრაჰკანი კონსტანტინატი და, ამდენად, გამორიცხულია 18 დრაჰკან დუკატად გლეხის და საგლეხო ფუძის შეძენა.[698]

კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) ჰისტამენონ ნომისმა (საშუალოდ 18 კარატი, 4,35 გრ.). ქართული ზედსახელით: დრაჰკანი დუკატი. დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

ამავე დროს, ჩვენ ვეთანხმებით მ. ბერძნიშვილის და მ. წურწუმიას მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნაყიდ გლეხში არა ერთი ადამიანი, არამედ კომლი იგულისხმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბუთში გლეხის რაოდენობა აღნიშნულია, როგორც ერთი („გლეხი ა“), გლეხი როგორც კომლი ისე იყიდება. მ. წურწუმია დასახელებული მოსაზრების არგუმენტად აღნიშნავს, რომ „ამის პირდაპირი მითითება საბუთშივე მოიპოვება, როდესაც მონასტრის წინამძღვარი ცხილათს აბულახტარისაგან ნაყიდ ერთ გლეხს („გლეხი ა“) მიწას აძლევს („მუნვე, ცხილათს, მოვიგე მიწაჲ და მივეც მათვე საკაბალოდ“) და მას მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს („მივეც მათვე“). ეს ნიშნავს, რომ საბუთში მოხსენიებული გლეხის სყიდვა კომლის სახით, მის ოჯახთან ერთად ხდება და რაოდენობა არა გლეხის სულს, არამედ მის კომლს აღნიშნავს“.[699]

---

[695] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 44.

[696] გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საქართველოში, გვ. 91.

[697] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმიდელის „დაწერილი“). თბ. 1979, გვ. 79-80. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს მ. წურწუმია. იხ.: მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 141-142

[698] გარდა იმისა, რომ ფასების არითმეტიკა გამორიცხავს გლეხების მიწიანად ყიდვის ფაქტს, საბუთზე დაკვირვებაც ცხადყოფს ყოველივეს – ნიკორწმინდელი ნაყიდ გლეხებს ასახლებდა მის მიერვე შეძენილ მიწებზე. ამით დასტურდება, რომ უმეტეს შემთხვევაში, ნაყიდ გლეხებს მიწა არ ჰქონიათ.

[699] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 141-142.

ამდენად, წყაროში მითითებული 18 დრაჰკანი დუკატი წარმოადგენდა საგლეხო ფუძის გარეშე ერთი კომლი გლეხის საფასურს. შესაბამისად, XI საუკუნის II ნახევარში ერთი კომლი გლეხი ფასობდა მაქსიმუმ 600 გრამ ვერცხლად, ანუ 200 დრამად (დრამა=3 გრ.).

სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ინფორმაცია XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში გლეხის ფასის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ საგლეხო ფუძის ზრდის ტენდენციას, უნდა ვივარაუდოთ გლეხის ფასის ზრდაც.

ამჯერად, შევაჯამებთ გლეხისა და მის სარგებლობაში არსებულ უძრავი ქონების, ანუ საგლეხო ფუძის საერთო ფასს. როგორც აღინიშნა, საშუალო შეძლების გლეხის კუთვნილი 10 დღიური სახნავ-სათესი მიწისა და ვენახის ღირებულება შეადგენდა 34 დრაჰკან კონსტანტინატს. საგლეხო ფუძის სრული ფასის განსაზღვრისათვის გასათვალისწინებელია, ასევე 2 დრაჰკანი კონსტანტინატის ღირებულების დაახლ. 1 დღური მიწა, სადაც გლეხის საცხოვრებელი იყო განთავსებული და ასევე, საცხოვრებელი სახლი.

ნოკორწმინდელის დაწერილში გლეხის საცხოვრისის ღირებულებასაც ვხვდებით: „... ვახტანგის გლეხსა მივეც სახლი ა. და მისგან ავიღე ყანაჲ ა“.[700] როგორც ვხედავთ, გლეხის პრიმიტიული საცხოვრებელი სახლი ყანაში იცვლებოდა, შესაბამისად, მის საშუალო ფასი ყოფილა 2 დრაჰკანი კონსტანტინატი.

სოფელ ხეოთის ძველი ნასახლარი, რომელიც ძალიან ჰგავს შუა საუკუნეების გლეხების საცხოვრებელს. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. თანამედროვე თურქეთი

ამდენად, XI საუკუნეში საგლეხო ფუძე, სახნავ-სათესი ფართობის, კარ-მიდამოს და საცხოვრებლის ჩათვლით ფასობდა 38 დრაჰკან კონსტანტინატად, ხოლო გლეხის

[700] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 40.

ოჯახი 18 დრაჰკან დუკატად, სულ 56 სინჯდაკლებულ ნომისმად, რაც დაახლ. 600 დრამის (დრამა=3 გრ.), ანუ 1800 გრამი ვერცხლის ტოლფასია.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ მოცემული საერთო ღირებულება წარმოადგენს საგლეხო ფუძის ყველა კომპონენტის, პირობითად, საცალო ფასების ჯამს. ბუნებრივია, საგლეხო ფუძესთან ერთად, მთლიანი კომლის შეძენა შედარებით ნაკლებ ფასად იქნებოდა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, გლეხის და მისი ფუძის საბაზრო ფასად დაახლ. 1600-1700 გრამი ვერცხლი, ანუ საშუალოდ, 530-570 დრამა უნდა მივიჩნიოთ.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გლეხისა და საგლეხო ფუძის, ანუ სრულფუძიანი კომლის დასახელებული ღირებულება ეხება საშუალო შეძლების გლეხებს. ზოგიერთი გლეხის ქონება შედარებით დიდი იყო შესაბამისად, მათი ღირებულება დასახელებულ თანხაზე გაცილებით მაღალი იქნებოდა, ხოლო ღარიბი, ნაკლებმიწიანი, ან უმიწო გლეხების ფასი – დაბალი.[701]

გლეხის და საგლეხო ფუძის ჩვენ მიერ გამოთვლილი ფასის ერთგვარი გადამოწმება შესაძლებელია რკონის დაწერილის მიხედვით. მართალია, საბუთში არ მოიპოვება პირდაპირი ცნობა გლეხის ფასის შესახებ, თუმცა საქმე გვაქვს მთლიანი სოფლის ყიდვის შემთხვევასთან, რაც გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

კახა თორელის 1260 წელს შედგენილ სიგელში აღნიშნულია: „... ვიყიდე ხოვლე ხოჯა სალამის ცოლისა და შვილისაგან ნახევარი და ნახევარი ჰასან სუმბატისძისა სომეხისაგან და იოსებ ბულბაფაისძისა ჰურიისაგან. მათ სამოცდა ხუთი ათას თეთრად ეყიდა აღბუღასაგან და მისთა შვილთაგან, ვითა დაწერილია შიგა სწერია. და აწ მივეც ფასი სრული“.[702]

როგორც ვხედავთ, კახა თორელმა სოფელი ხოვლე 65 000 თეთრად იყიდა და შეწირა „რკონისა ღ(მრთ)ისმშობელს“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმ ეპოქაში საქართველოში იჭრებოდა როგორც ქართველ მეფეთა მონეტები (დავით ნარინის და დავით ულუს მონეტები), ისე მონღოლური საოკუპაციო სერიები. აღნიშნული მონეტების წონები დიდად განსხვავებული არ იყო და საშუალოდ, 2,7 გრამს შეადგენდა.[703]

ქართველ მეფეთა მონეტები:

დავით ნარინის ვერცხლის მონეტა მხედრის გამოსახულებით (2,4-2,7 გრ. ვერცხლი). 1247 წ. დაცულია საქართველოს ეროვნულ მიზეუმში

დავით ულუ „ბაგრატიონის“ 1252-1255 წლების ვერცხლი ემისია (2,73 გრ. ვერცხლი). დაცულია საქართველოს ეროვნულ მიზეუმში

[701] 18 დრაჰკანი დუკატი სწორედ უმიწო გლეხების ფასი იყო.
[702] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 147.
[703] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 68-71, 96-100.

საოკუპაციო სერიები:

თბილისში მოჭრილი ულუს ბეკის დირჰემი მონადირე მხედრის გამოსახულებით (2,87 გრ.). 1244/1245 წწ. დაცულია საქართველოს ეროვნულ მიზეუმში

თბილისში მოჭრილი ანონიმური დირჰემი ექვსქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით (2,61 გრ.). 1245/1246 წწ. დაცულია საქართველოს ეროვნულ მიზეუმში

თბილისში მოჭრილი მანგუ ყაენის დირჰემი (2,62 გრ.). 1254-1261 წწ. დაცულია საქართველოს ეროვნულ მიზეუმში

როგორც კახა თორელი აცხადებს, „მოგუიჴსენებია სოფელი ხოვლე ზურითა, ხოდაბუნითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქვილითა და ყოვლითა სამართლიანითა ზღურითა: საჴმრითა და უჴმრითა და სოფელი სამსახურითა და ბეგრითა, ვითა მე გამიჩენია“.[704]

როგორც ვხედავთ, სოფელში არ იგულისხმებოდა მხოლოდ გლეხები და მათი საკომლოში შემავალი მიწები. სოფელს ჰქონდა ზვარ-ხოდაბუნები, რაც მებატონის საკუთრება იყო, ასევე საძოვრები („ველი“), ტყე, წისქვილები, მდინარე და სარწყავი არხი („წყლითა“). მებატონის საკუთრებაში არსებულ ზვარ-ხოდაბუნებს არანაკლები ფასი ჰქონდა, ვიდრე გლეხების სარგებლობაში არსებულ მიწებს.[705] ასევე, მნიშვნელოვანი ღირებულება ჰქონდა წისქვილებს. საძოვრები, ტყეები და მდინარე სხვადასხვა გადასახადის, მათ შორის, თევზჭერის, საბალახე და აშ., შეკრების წყაროს წარმოადგენდა. რკონის დაწერილში, იქ სადაც საუბარია მწირველისათვის ხოდაბუნებიდან ხორბალის მიცემაზე და „ესტატური და კოხური“ ვენახების „გაჩენაზე“, ნახსენებია

[704] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 148.

[705] ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ჩვენ მიერ ზემოთ განხილული, 1619-1620 წლების ორბელიანების ზვრებიდან და კულუხიდან (ანუ გლეხთა გადასახადებიდან) მიღებული მოსავლის ანგარიში. როგორც აღინიშნა, 1619 წელს ორბელიანებმა ნახიდურის ზვრიდან მიიღეს 120 საპალნე ტკბილი, ხოლო იმავე სოფლის კულუხიდან მხოლოდ 20 საპალნე. საერთოდ, იმავე წელს 10 ზვრიდან მიიღეს 616 საპალნე, კულუხიდან – 117, 1620 წელს კი 11 ზვრიდან 828 საპალნე, ხოლო 7 სოფლის კულუხიდან 130 საპალნე. იხ.: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. II, გვ. 442-443.

სასახლეც – „ღ(მრთ)იშობლის ეკლესიათა უკანით სასახლე“.[706] ჩანს, სოფლის საერთო ქონებაში სასახლეც იგულისხმებოდა.

ერთი სიტყვით, სოფლის საერთო ფასში შედიოდა არამარტო გლეხებისა და მათი ფუძის ღირებულება, არამედ ზვარ-ხოდაბუნების, ტყის, წისქვილების, მდინარის, საძოვრების და სასახლის ფასიც. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მხოლოდ მწირველებისათვის ხოდაბუნებიდან დაწესებული ყოფილა 20 გრივი ხორბლის გადაცემა. საბუთში ვხვდებით კახა თორელის მითითებას იმის შესახებ, რომ ზვარ-ხოდაბუნებიდან მიღებული მოსავლიდან, მოუსავლიანი წლების დანაკლისის საკომპენსაციოდ, სოლიდური მარაგებიც უნდა შეექმნათ.[707] რა თქმა უნდა, ხოდაბუნიდან აღებული მოსავლის ნაწილი დასათესადაც უნდა გამოეყენებინათ. საერთო ჯამში, ჩამოთვლილი ხარჯების გათვალისწინებით (მწირველებისთვის – 20 გრივი, მარაგი – 10-15 გრივი, დასათესი მარცვლეული – 5-8 გრივი), სავარაუდებელია, რომ ხოდაბუნიდან 40 გრივის, ანუ 4000 კგ. ხორბლის აღება მაინც ყოფილა შესაძლებელი. თუ მივიჩნევთ, რომ 1 დღიური მიწის მოსავლიანობა აღნიშნულ ეპოქაში 300-400 კგ.-ით განისაზღვრებოდა, 4000 კგ. მოსვლის მისაღებად, 10-13 დღიური მიწა იქნებოდა საჭირო. მიწის ყოველწლიურად დასვენების პრაქტიკიდან გამომდინარე, აღნიშნული ოდენობის ხორბლის მოსავლის მოსაწევად, 20-26 დღიური სახნავი მიწის ფონდია სავარაუდებელი. გარდა ამისა, საბუთის კონტექსტიდან ჩანს, რომ „მწირველებისათვის გაჩენილი“ ხორბლის გარდა, „სეფისკვერისათვის“, მონასტრის კრებულისათვის, ასევე აღდგომა დღეს „მაძღარი პურით“ გლახაკთა დასაპურებლად, ხოდაბუნებიდან მონასტერს ხორბლის სხვა მარაგიც უნდა გადასცემოდა.[708] საბოლოო ჯამში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფელ ხოვლეს ხოდაბუნების საერთო ფართობი 50-60 დღიურ მიწას მაინც შეადგენდა, რაც დაახლოებით 100-120 დრაჰკანის, ანუ 1300-1500 თეთრის ტოლფასი იყო. ვენახის მაღალი ფასიდან გამომდინარე, სოფლის საბატონო ზვრებს ხოდაბუნებზე მეტი ღირებულება ექნებოდა. ფეოდალთა კუთვნილი ზვარ-ხოდაბუნები წარმოუდგენელია მარნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების გარეშე, რაც ცხადია, გარკვეულ თანხად იანგარიშებოდა. ამდენად, მხოლოდ სოფლის ზვარ-ხოდაბუნების ფასი რამდენიმე ათას თეთრს უტოლდებოდა. ამ თანხას უნდა დაემატოს წისქვილების, სასახლის, ტყის, საძოვრების, მდინარის და ა.შ. ღირებულებაც. გვიანდელი ცნობების მიხედვით, მხოლოდ წისქვილის წყვილი ქვა 40 მინალთუნი, ანუ 200 აბაზი ღირდა,[709] რაც XIII საუკუნეში მოჭრილი დაახლ. 220 თეთრის ტოლფასი იყო. XVIII საუკუნის მიწურულს, დავით გოსტაშაბიშვილის საჩივრის წიგნში აღნიშნულია, რომ მოზრდილი წისქვილის საიჯარო ფასი წელიწადში 7-8 ურემ ფქვილს შეადგენდა.[710] მისივე ჩვენებით, ურემი იტევდა 720 კოლოგრამს,[711] 7-8 ურმის ტვირთი კი საშუალოდ, 5,5 ტონას უდრიდა, რაც დაახლ. 450 აბაზის, ანუ აღნიშნული პერიოდის დაახლ. 500 თეთრის ტოლფასი

[706] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 149.
[707] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 150.
[708] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 148-149.
[709] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 51.
[710] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 335.
[711] თავადი აცხადებს, რომ მას წლების განმავლობაში ეკუთვნოდა 21 ურემი ფქვილი, რომლის ფასიც 42 თუმანს შეადგენდა. მისივე განმარტებით, ლიტრის საფასური ყოფილა 2 შაური. ფასის მიხედვით, 21 ურემი ფქვილის წინა ყოფილა 15120 კგ. შესაბამისად, ურემი იტევდა 720 კგ.-ს (15120/21=720).

იყო. წისქვილის საბაზრო ღირებულება კი ერთი წლის საიჯარო ფასზე გაცილებით დიდი, სულ მცირე, 1500 თეთრი მაინც იქნებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, უხეში გათვლით, სოფელში გადახდილი 65000 თეთრიდან დაახლ. 40000 თეთრი უნდა ვივარაუდოთ გლეხებისა და მათი ფუძის ფასად. შესაბამისად, დაახლ. 25 000 თეთრი უნდა მივიჩნიოთ ზვარ-ხოდაბუნების, წისქვილების, სასახლის, ფეოდალის სამეურნეო ნაგებობების, ველ-მინდვრების (სათიბ-საძოვრების), ტყეების, მდინარის და ა.შ. ღირებულებად. აქვე უნდა ითქვას, რომ იმ სოფლებში სადაც ციხე-სიმაგრე, ეკლესია და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობები იყო, გლეხების და მათ სარგებლობაში არსებული მიწების ფასი საერთო ფასის ნახევარი ან უფრო ნაკლებიც შეიძლება ყოფილიყო.

რკონის დაწერილიში საგლეხო ფუძის აღსანიშნავად, ტერმინი „მიწა“ გვხვდება. კახა თორელმა, სხვა გადასახადებთან ერთად, რკონის მონასტრისათვის ყოველ მიწას დაუწესა კულუხის გამოსაღები: „...სამას და ორმოცსა თეთრსა გამოიღებდენ ეკუტერს მისაღებელსა: თჳთოი მიწაი რვა-რვასა თეთრსა გამოიღებდეს“.[712] რადგან ერთი მიწა 8 თეთრს იხდიდა და ჯამში, 340 თეთრი იკრიბებოდა, გამოდის, რომ გადასახადს იხდიდა 42,5 მიწა/კომლი.

როგორც საბუთიდან ირკვევა, სოფელ ხოვლეში 42,5 კომლის გარდა, სხვა მოსახლეებიც ყოფილან. კახა თორელი აღნიშნავდა: „ორი მიწაი მეტეხთა ღ(მრთ)ისმშობლისა იყო შეწირული ბეყეურეთი და გორგაითი. მათ კიდე გაეყიდა და მე ეგრეთცა მეტეხთა ღ(მრთ)ისმშობელს მოვაჴსენე ჩემის, სულისათჳს.

მორბედის ძის მიწაი ვარძიის ღ(მრთ)ისმშობლისა იყო შეწირული და მასვე მოვაჴსენე.

ხოხალაისძე და აბესაისძე კავთას შეწირულნი იყუნეს და მასვე შევსწირენ. ესენი ბეგარას, რაითაც შეწირულნი არიან, მუნ მიიღებდენ; და სამართალი და მამითადი განაღამცა თქუენივე იყო“.[713]

როგორც ვხედავთ, ხუთი მიწა, მასზე მოსახლე გლეხებთან ერთად, შეწირული ყოფილა სხვა ეკლესია-მონასტრებისათვის. თორელმა კი ისინი იყიდა და კვლავ ძველ მეპატრონე ეკლესია-მონასტრებს დაუბრუნა. აღნიშნულ მიწაზე მსხდომი გლეხები ბეგარას რკონის მონასტერს არ უხდიდნენ, ამიტომ ისინი 340 თეთრის გადამხდელებში არ იგულისხმებოდნენ.

კახა თორელი, ასევე აცხადებდა, რომ „შეწირული, ნებიერი და სიგლოსანი – ერთობ ყუელაი მიყიდია, ვითა მათთა დაწერილთა შიგა სწერია“.[714]

აღნიშნული ფრაზა ცხადყოფს, რომ სოფელში, ზემოთ დასახელებული კულუხის გადამხდელი 42,5 სრულფუძიანი და ეკლესია-მონასტრებისათვის შეწირული 5 გლეხის გარდა, რამდენიმე „ნებიერი და სიგლოსანი“ გლეხიც ყოფილა. ჩვეულებრივი საბატონო გადასახადების გადამხდელად არც „ნებიერი“ გლეხები აღირიცხებოდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კახა თორელი სოფლის ნასყიდობის დახასიათებისას ხაზს უსვამდა, რომ მან შეიძინა „სოფელი სამსახურითა და ბეგრითა“.[715] ამ

[712] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 149.
[713] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 148.
[714] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 148.
[715] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 148.

შემთხვევაში, მებეგრე გლეხების გვერდით, სოფელში მსახური გლეხების არსებობაც დასაშვებია, რომლებიც სოფლის მმართველობასა და ზვარ-ხოდაბუნების დამუშავების ორგანიზებაში იქნებოდნენ ჩართულნი.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჯამურად შეწერილი 340 თეთრი ნაშთის გარეშე არ იყოფა 8 თეთრზე – ერთ მიწაზე დაწესებული გადასახადის მოცულობაზე. ეს გარემოება მიუთითებს გლეხთა შორის მიწის არათანაბარ განაწილებაზე. როგორც ჩანს, ზოგიერთ კომლს სრული საკომლო არ ეკავა და განიცდიდა მიწის დეფიციტს, ზოგიერთ კომლს კი, შესაძლებელია, სრულ საკომლოზე მეტი სახნავი მიწა და ვენახი ჰქონოდა. როგორც ცნობილია, გლეხები, უმეტეს შემთხვევაში, ერთ საკომლოზე ნაკლებ მიწაზე იყვნენ დასახლებულნი. მაგალითად, ზემოთ განხილულ თამარ მეფის სიგელში აღნიშნულია: „მიწად ერთი კვამლად ორი“, ასევე „ფუძედ ერთი კვამლად გ (3)“.[716] რა თქმა უნდა, ასეთი გლეხები დასახელებულ სოფელშიც იქნებოდნენ, რის მტკიცებულებად სწორედ 42,5 ფუძის არსებობა უნდა ჩაითვალოს.

რადგან აღნიშნული გადასახადი გლეხებს კულუხის სახით შეეწერებოდათ, გადამხდელად, თავისთავად, მხოლოდ ვენახის მქონე გლეხები იგულისხმებოდნენ. ვენახი, როგორც აღინიშნა, იმ ეპოქისათვის საკმაოდ ძვირადღირებულ ქონებას წარმოადგენდა და შეუძლებელია, რომ ვაზის ნარგაობა სოფლის ყველა გლეხის მფლობელობაში ყოფილიყო. ამდენად, ვენახის არმქონე სოფლის მკვიდრი რამდენიმე გლეხი დასახელებული გადასახადის საერთო ანგარიშში არ იქნებოდა გათვალისწინებული.

ერთი სიტყვით, საბუთში ნათლად ნაჩვენები 47,5 სრულფუძიანი კომლის გარდა, სოფლის მცხოვრებთა რიცხვს უნდა მივათვალოთ რამდენიმე „ნებიერი“ გლეხი, ერთ ფუძეში გაერთიანებული კომლები, ასევე რამდენიმე უვენახო კომლი და, დიდი ალბათობით, ერთი-ორი მსახურის კომლიც. შესაბამისად, სოფელში დასახლებულთა რაოდენობა უნდა განვსაზღვროთ სულ მცირე 65-70 კომლით.

თუ სოფელ ხოვლეს შესაძენად გადახდილ 65 000 თეთრიდან, 40000 თეთრს მივიჩნევთ გლეხებისა და მათი ფუძის საფასურად, გამოდის, რომ ერთი კომლის ღირებულება ყოფილა საშუალოდ, 570-620 თეთრი, ანუ დაახლ. 1550-1700 გრამი ვერცხლი.

როგორც ვხედავთ, რკონის დაწერილის მიხედვით, ჩვენ მიერ გამოთვლილი საგლეხო ფუძის ღირებულება თანხვედრაში მოდის ნიკორწმინდელის დაწერილის საფუძველზე მიღებულ ფასთან. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ XI საუკუნესა და XIII საუკუნის 60-იან წლებში გლეხის და საგლეხო ფუძის ღირებულება დაახლოებით თანაბარი ყოფილა.

რაც შეეხება ერთიანი საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანას – XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისს, აღნიშნულ ეპოქაში განსხვავებული ფასები უნდა ყოფილიყო. როგორც უკვე აღინიშნა, დასახელებულ პერიოდში, XI საუკუნის ფასებთან შედარებით, სახნავ-სათესი მიწა და ვენახი 20-30%-ით ძვირად ფასობდა. სავარაუდებელია აგრეთვე, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის კვალდაკვალ, გლეხის ფასიც გაზდრილი იქნებოდა.

გამოთქმული მოსაზრების დასტურად უნდა მივიჩნიოთ კახა თორელის სიტყვები: „მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან. ოქროჲ ძუირად იყვის და

[716] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 100-101.

სოფელი იეფად“.[717] როგორც ჩანს, მონღოლთა ბატონობით გამოწვეული ეკონომიკის უკუსვლა აისახა გლეხებისა და მიწის ფასზეც. ამდენად, ეკონომიკური დაღმასვლის შედეგად, მიწისა და გლეხის ღირებულება XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან გაუთანაბრდა XI საუკუნის II ნახევრის მდგომარეობას.

ამჯერად, მოკლედ შევეხებით XV საუკუნის ვითარებას. როგორც ზემოთ ვნახეთ, აღნიშნულ პერიოდში საგლეხო ფუძის ღირებულება აღემატებოდა XI საუკუნის ფასს. შესაბამისად, უნდა გაზრდილიყო გლეხების ფასიც.

ამ ეპოქის გლეხისა და მისი ფუძის შეფასებისათვის, საინტერესო ინფორმაციის შემცველია 1472 წლის ახლო ხანებში შედგენილი საბუთი – „პირობის წიგნი კალაურელებისა დავით კათალიკოსისადმი“. მასში აღნიშნულია: „... ე]|სე გასათავებელი პირი [გ]კ{ა}დრეთ და მოგახს|ეთ თქუენ, ქ(რისტე)ს ღ(მრ)თისა მ{ი}ერ ქ(ართლი)სა კ(ათალიკო)ზსა და(ვი)თს, |ჩ{უ}ენ, დიდ<ა>მ(ა)ნ და მცირემან, ერთობლითა კალა|ურელთა, მას ჟამსა, ოდეს ჩ{უ}ენსა და გორგიას|შვილსა შუ{ა} ცოტა რამე სამ<ა>-დურავი |გამოვიდა.

აწ, ეს წიგნი მოგახსენეთ: |თუ ამის უკანის თუ რამე ჩ{უ}ენგან ერთმანე|თზედა ავკაცობა გამოვიდეს, თქუენი და თქუენი|სა საყდრ{ი}სა შემცოდენი ვიყვნეთ, და კვა|მლის თავსა ათას-ათასი თანგა მოგახს|ენოთ შუა შემოუსვლელადა ყოვლისა კაცისაგან“.[718]

როგორც ვხედავთ, საბუთში საუბარია სოფლის გლეხების მიერ დანაშაულის („ავკაცობის“) განმეორების შემთხვევაში, ათასი თანგის გადახდაზე. კონტექსტის მიხედვით, ათასი თანგა უნდა შეადგენდეს ერთი გლეხის ღირებულებას. თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, გამოდის, რომ XV საუკუნეში გლეხი ფასობდა 1000 თანგად. რადგან 1470-იან წლებში თანგა იწონიდა დაახლ. 2,2 გრამს, გლეხის სავარაუდო ღირებულება დამრგვალებით, 2000 გრამი ვერცხლი გამოდის.

თითქოს, იგივე კონტექსტი უნდა იკითხებოდეს თომა მეწოფელის მონათხრობში, სადაც აღნიშნულია, რომ XV საუკუნის 40-იან წლებში ჯეჰან შაჰის შემოსევის დროს, ტყვეებს 1000 თანგად ათავისუფლებდნენ, რომელთა დახსნა მტრისაგან დარბეულ ხალხს აღარ შეეძლო.[719] როგორც ვხედავთ, ადამიანების (ამ შემთხვევაში გლეხების) გათავისუფლების სანაცვლოდ, ამჯერადაც 1000 თანგაა ნახსენები. მართალია, ამ ეპოქის თანგა აღემატებოდა იმავე საუკუნის 70-იან წლებში მოჭრილ თანგის წონას, მაგრამ სხვაობა ძალიან დიდი არ იყო.

დასახელებული მონაცემების გათვალისწინებით, მიწიან-ვენახიანი გლეხის საშუალო ფასი XV საუკუნესა და, სავარაუდოდ, XVI საუკუნეშიც დაახლ. 3500-3600 გრამი ვერცხლი უნდა ყოფილიყო (გლეხის ღირებულება – 2000 გრ., ვენახის ღირებულება – 700-800 გრ.; სახნავ-სათესი მიწის ღირებულება 800 გრ.).

ერთი სიტყვით, XV-XVI საუკუნეებისათვის სახეზე გვაქვს გლეხის და საგლეხო ფუძის ფასის გარკვეული ზრდის ტენდენცია. ჩვენი ვარაუდით, ამ ეპოქის გლეხის და საგლეხო ფუძის ღირებულება ახლოს უნდა იყოს XII საუკუნის და XIII საუკუნის დასაწყისის (ე.წ. ოქროს ხანის) ფასებთან.

---

[717] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 146.
[718] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. III, გვ. 208-209.
[719] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბ. 1982, გვ. 264.

მიწის ღირებულება XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში

XVII-XVIII საუკუნეების წყაროებში მიწის, ვენახისა და გლეხების ყიდვა-გაყიდვის შემთხვევებს მრავლად ვხვდებით. ნასყიდობის წიგნების აბსოლუტურ უმრავლესობაში, როგორც წესი, ფასი არ არის მითითებული და უბრალოდ აღნიშნულია: „ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა“. მიუხედავად ამისა, საბუთების ერთ ნაწილში ფასდადებაც მოცემულია. ამჯერად, განვიხილავთ მხოლოდ იმ საბუთებს, რომლებშიც ფასები გარკვევით არის დაფიქსირებული.

1612 წლის ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია: „...ნასყიდობის წიგნი მოგეცით მე ახაშნელმა ალავერდამა და შვილმა ჩემ[მ]ა ჯანიამა, ჩემ[მ]ა ძმის წულმა შავერდამა... თქვენა ყორღანაშვილსა კახაბერსა და ძმასა თქუენსა მამაგულსა... ახაშნულს მინდორჩი მიწა ალავერდამა ხუთის დღისა, ყარას შვილმა გარსუამა სამის დღისა, ჭაბუკას შვილის მიწის ბოლოს არის... ალავერდას მიწის ფასად ოცის მარჩილისა, ყარას შვილისა ათის მარჩილის, ასრე რომე ჩვენზე აღარა დარჩა რა რომე მოსაცემი...“.[720] როგორც ვხედავთ, 8 დღიური მიწა გაყიდულა 30 მარჩილად, ანუ 90 აბაზად (აბაზი=7,5 გრ.[721]). ამდენად, დღიური მიწის ფასი ყოფილა 11,25 აბაზი, რაც დაახლ. 85 გრამი ვერცხლის ტოლფასია.

1672 წლის მამულის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „... მე მითარამა და შუილმა ჩემ[მ]ა არუთენამ თქუენ საფარაშვილს ალავერანასა, შვილს[ა] შენსა დათუნას და ოთარას კოდას თავს მოგყიდე მიწა შვიდი დღის, ავიღე ფასი ოზდა ცხრა მარჩილი თეთრი. ვაშლოვანს მოგყიდე სახლკარი მისის კალოსაბძლითა ავიღე ფასი თექვსმეტი მარჩილი თეთრი და სამი კოდი პური. ჩემი გული შეჯერდა...“.[722]

საბუთის მიხედვით, 7 დღიური მიწის ფასი ყოფილა 29 მარჩილი (87 აბაზი), ანუ 652,5 გრამი ვერცხლი, 1 დღიურის ფასი კი – დაახლ. 12,5 აბაზი, ანუ 92-94 გრამი ვერცხლი.

ამავე საბუთში ვხვდებით გლეხის საცხოვრებლის ფასს. გლეხის „სახლ-კარი მისის კალოსაბძლითა“, გაყიდულა 16 მარჩილად და 3 კოდ პურად. 16 მარჩილი, ანუ 48 აბაზი იწონიდა 360 გრამ ვერცხლს, ხოლო 3 კოდი (90 კგ.) ხორბლის ღირებულება უდრიდა დაახლ. 2,4 აბაზს, ანუ 18 გრამ ვერცხლს. შესაბამისად, საცხოვრებლის მთლიანი ფასი შეადგენდა 50,4 აბაზს, ანუ დაახლ. 380 გრამ ვერცხლს. სახლ-კარსა და „კალო-საბძელში“, ბუნებრივია, 1 დღიურამდე მიწაც იგულისხმებოდა. რადგან დღიური მიწა დაახლოებით 12 აბაზად ფასობდა, მხოლოდ სახლის და კალო-საბძელის, ანუ გლეხის საცხოვრებლის ფასი ყოფილა 36 აბაზი (270 გრამი ვერცხლი). ამ შემთხვევაში, საქმე უნდა გვქონდეს შეძლებული გლეხის საცხოვრებელთან.[723]

მიწის ფასი დაფიქსირებულია 1688 წლის საბუთშიც: „... ჩვენ შუა ბოლნელებმა სამებისაშვილმან ბერომ, ჩემმან ძმის წულმან მანუჩარი{ს} შვილმან ფარემუზ და

---

[720] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). ფონდი 1450. დავთ. 17. საბ. 7.

[721] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV, გვ. 8-22.

[722] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 48.

[723] გლეხის საცხოვრებელი, ძირითადად, დარბაზული ტიპის იყო. დარბაზის ცენტრში, იქ სადაც ცეცხლი ენთო, კერა იყო განთავსებული. კერასთან დაკავშირებული იყო ქვაბის საკიდი ჯაჭვი, ქვაბი, შამფური, კეცი და სხვ. (იხ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, გვ. 610). გლეხს მცირე ოდენობის ლითონის ჭურჭელთან ერთად, ხის იაფფასიანი საოჯახო ნივთებიც ჰქონდა.

გივმან... თქვენ პაპიაშვილს სიიბათ იესაულს ბაინდურას, ფარემუზს, გივს, ბეჟანს და გოდერძის, ასე რომ ჩუენს ვენახს უკან ჩვენი სამკვიდრო მიწა რევიშვილს ბოლნელს მივყიდეთ და თქუენ გოდერძი რევიშვილისაგან გეყიდად ის ჩუენი სამკვიდრო მიწა და ექუსი მარჩილი თეთრი დაგვიდევით და ჩუენც ნიკოლოზის ზურის ბოლოს ჩუენი სამკვიდრო მიწა ამასა სანაცულოდ მოგეცით და მოგყიდეთ ერთი დღისა და ნახევრისა...".[724]

ამდენად, 1,5 დღიური მიწა ბოლნისში გაყიდულა 6 მარჩილად, ანუ 18 აბაზად (135 გრ. ვერცხლი), ხოლო 1 დღიური მიწის ფასი ყოფილა 12 აბაზი, ანუ 90 გრამი ვერცხლი.

თეიმურაზ II-ის 1746 წლის განჩინებიდან ირკვევა, რომ ქვემო ქართლში ერთი საკომლო შეფასებული ყოფილა 6 თუმნად,[725] რაც 300 აბაზის (იმ პერიოდისათვის – აბაზი=5 გრ.), ანუ დაახლ. 1500 გრამი ვერცხლის ტოლფასი იყო.

XVIII საუკუნის II ნახევრის მიწის ფასის შესახებ, საინტერესო ინფორმაციის შემცველია 1769 წლის 19 მარტის მელაძეების არზა ერეკლე II-ისადმი მამულის შესახებ. საბუთში აღნიშნულია: „...ამას მოგახსენებთ. ბატონი ჩემი ლევან სამ თუმანს მთხოვდა. ქსნის ერისთავის ყმა გია მოვიდა და სამ თუმნათ რხვითსა ხუთი დღის მიწა დაუგირავე კათალიკოზის ყმის ხახანაშვილის ოსეფას პირითა...".[726]

ამ შემთხვევაში, შიდა ქართლში 5 დღიური მიწა დაუგირავებიათ 3 თუმნად, ანუ 150 აბაზად. ხოლო, 1 დღიური მიწის დასაგირავებელი ფასი ყოფილა 30 აბაზი. აბაზი კი აღნიშნულ პერიოდში იწონიდა 2,9 გრამს. შესაბამისად, დღიური მიწა დაგირავებულა 87 გრამ ვერცხლად. ბუნებრივია, მიწის საბაზრო ფასი მოცემულზე მაღალი იქნებოდა.

ყიდვა-გაყიდვის საბუთებში ვხვდებით მიწის შედარებით დაბალ ფასსაც. 1735 წლის ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია: „ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩუენ ზემო ბოლნელმა ვ[...]ავინას შვილებმა ბეჟომ, ისმეილმა, შენ შანშიას შვილის ავთანდილს, ესე რომე დამჭირდა და მოგადეგ კარს, მოგყიდე დოლმაზანთ ს{ა}წნ{ა}ხელს ზეით... ჩემი მიწა. ასე რომ შვიდი მინალთუნი გამოგართვი. შენ ის მიწა მოხან... დღიური ორ მინალთუნათ, ათ შაურათ...".[727]

როგორც ვხედავთ, ბოლნისში 1 დღიური მიწა გაყიდულა 2,5 მინალთუნად, ანუ 12,5 აბაზად. რადგან XVIII საუკუნის 30-იან წლებში აბაზი საშუალოდ, 5 გრამს იწონიდა, დღიური მიწის ფასი გამოდის 62,5 გრამი ვერცხლი.

ვალის გასასტუმრებლად და ხელმოკლეობის გამო, მიწა ზოგჯერ კიდევ უფრო იაფადაც გაყიდულა: „...ასე რომე შენი თუმან ნახევარი ვალი მემართა და მთხოვე და მოცემა ვერ შევიძელ, ღონე არსაით მქონდა. შენს ვალში მოგყიდე... ჩემი წილი მიწა ოთხის დღის, ნაფუძარი ჩემი წილის ნასახლარითა...".[728] საბუთი უთარიღოა, თუმცა XVIII საუკუნის II ნახევარს უნდა განეკუთვნებოდეს. შესაბამისად, 1 დღიური მიწის ფასი გამოდის დაახლ. 19 აბაზი (აბაზის=2,9 გრ.), ანუ 55 გრამი ვერცხლი.

---

[724] სეა. ფონდი 1450. დავთ. 8. საბ. 21.
[725] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 368.
[726] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 146.
[727] სეა. ფონდი 1450. დავთ. 8. საბ. 37.
[728] სეა. ფონდი 1450. დავთ. 17. საბ. 154.

დაახლოებით ანალოგიური ფასია დაფიქსირებული 1728 წლის საბუთშიც: „...მე მუსიის შვილმა ევოამ შენ [....] შვილის გიორგისაგან ექუსი მარჩილი თეთრი დაგიდევ. ამის გირაოთ ჩემი ორის დღის მიწა ნახურევს...“.[729] ამ შემთხვევაში 2 დღიური მიწის დასაგირავებელი ფასი გამოდის 18 აბაზი, ანუ 90 გრამი ვერცხლი.

გვიანფეოდალურ ეპოქაში, დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც მოსახლეობის შემცირებით გამოიხატებოდა, დაუსახლებელ მიწას არცთუ დიდი ფასი ჰქონია. როგორც ცნობილია, აღნიშნული ეპოქისათვის იშვიათობას არ წარმოადგენდა დაუსახლებელი, ანუ „უშენი“ ადგილების და სოფლების არსებობა. შესაბამისად, XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნეში იკვეთება სურათი, რომ მიწას იმ შემთხვევაში ჰქონდა შესაფერისი ღირებულება, თუ ის მუშავდებოდა, ხოლო მიტოვებულ, დაუსახლებელ ადგილებში ფასი დაბალი იყო.

წყაროებში ვხვდებით მიწის საკმაოდ მაღალ ფასად გაყიდვის შემთხვევებსაც: „ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, ზურაბ თარხნიშილმა, თქვენ, წმინდას ევსტატის, ასე რომე თქვენი ექვსი თუმანი რომ [მ]მართებს, იმის სარგებელში ორის დღის მიწა მომირთმევია, პატარა კარს ქვემოთ ჭანჭახ-ზემოდამ ლოდის ორი მიწა... (1790 11 მარტი)“.[730] ამ შემთხვევაში, 1 დღიური მიწის ფასი ყოფილა 3 თუმანი (150 აბაზი), ანუ 400 გრამზე მეტი ვერცხლი. დიდი ალბათობით, გაყიდული მიწა თბილისის მახლობლად მდებარეობდა, რამაც განაპირობა კიდეც მისი მაღალი ღირებულება.

XIX საუკუნის დასაწყისში ერასტი თარხანოვს შიდა ქართლში რამდენიმე მიტოვებული საკომლო გაუყიდია, ერთი საკომლო 7 თუმნად,[731] ანუ დაახლოებით 1000 გრამ ვერცხლად.

როგორც ვხედავთ, XVII-XVIII საუკუნეებში მიწის განსხვავებული ფასები ფიქსირდება. დასახლებულ ადგილებში დღიური მიწა საშუალოდ, 85-90 გრამ ვერცხლად იყიდებოდა, რაც სირმა-აბაზის (2,9 გრ.) პირობაზე, 30-31 აბაზის ტოლფასი იყო. ამდენად, ერთი სრული საკომლოს, ანუ 10-11 დღიური სახნავ-სათესი მიწის საშუალო ფასი ყოფილა 1000 გრამი ვერცხლი (დამრგვალებით 7 თუმანი, ანუ 350 სირმა-აბაზი), ხოლო სახლ-კარის ღირებულების გათვალისწინებით (200-270 გრამი ვერცხლი), დასახლებულ ადგილებში, ვენახის გარეშე, საგლეხო ფუძის სრული ფასი გამოდის 1200-1300 გრამი ვერცხლი.

რა თქმა უნდა, ეს მონაცემი ეხება საშუალო შეძლების სრულფუძიან გლეხების სარგებლობაში არსებულ მიწებს და არა ბოგანოების, ხიზნების, მცირემიწიან და მდიდარი გლეხების საქონებელს. მცირემიწიან, საშუალო და მდიდარი გლეხების საკომლოების ღირებულებით სხვაობას კარგად ასახავს XVIII საუკუნის ერთ-ერთი საბუთი, რომელშიც გაყიდული საკომლოების ფასებს ვხვდებით: „ქ. გაყიდა დათუნამ და პაატამან დმანის[ს] ერთი საკომლო თხუთმეტი თუმნათ, ახალშენს გაყიდა ორი საკომლო თორმეტ თუმნათ, ტბის[ს] ერთი საკომლო სამ თუმნათ, ენაგეთს ერთი საკომლო სამ თუმნათ, მარაბდას, ორმოცდაათი თუმნათ“.[732] როგორც ვხედავთ, სხვადასხვა სიდიდის საკომლოების ფასები მკვეთრად განსხვავებული ყოფილა.

[729] სეა. ფონდი 1450 დავთ. 8. საბ. 39.
[730] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 85.
[731] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 474.
[732] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 346.

ვენახის ღირებულება XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში

ვენახის ფასის შესახებ საინტერესო ცნობას ვხვდებით 1672 წლის 3 აპრილის ნასყიდობის წიგნში: „...მოგყიდეთ ჩვენ, ჯოეშვილ[ე]ბმან ბესალამან, პაპიამან, ქიტიამან და გურგენამ ჩვენს ბატო[ნ]ს პაპუნაბეგს ბერიას ვენაჯი. ავიღეთ ფასი ოცდაათი მარჩილი თეთრი, რასაც ჩვენი გული შესჯერდა...“.[733]

როგორც ვხედავთ, ვენახის შესაძენად გადახდილია 30 მარჩილი (90 აბაზი/1,8 თუმანი), ანუ 675 გრამი ვერცხლი.

XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია: „... ოცდა ორი მარჩილი თეთრი გვემართა, ვერ მოგეცა და რომე გამიჭირდა ჩუენი ძმებისაგან ნარგები ჩუენი უცილობელი ჰალა ჰალალი... ვენახი, რაც რუსა ზეითა ვენახი არის, ის ვენახი მიმიცემია...“. ჩანს, ვენახი გაყიდულა 22 მარჩილად, ანუ 66 აბაზად (დაახლ. 500 გრამ ვერცხლად). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 22 მარჩილად უნდა გაყიდულიყო არა სრული ვენახი, არამედ ნაწილი – „რაც რუსა ზეითა ვენახი არის“.[734]

1775 წლის განჩინებაში აღნიშნულია: „ქ. გორელი ალიხანა სულხან მდივნის ყმა უჩიოდა კა[რალ]ელს გემონაშვილს შავყულას: ჩვენი ნასყიდი ვენახი უჭირამს, დედაჩემისაგან უყიდნია ნატყუვრათ; მოველ და ვედავე, რაც დედის ჩემისათვინ ფასი მიეცა, ის ისევ მივე და ნასყიდობის წიგნი გამოვართვიო. ჩემი ვენახი ცხრა კვალი იყო და ორის მეტი არ დამანებაო... მამული ალიხანას დარჩა. ამ ცხრა კვალში სამი კვალი ამაგისათვინ შავყულას მივეცით და ეს სამი კვალი ისევ ალიხანასთვინ უნდა დაეხსნევინებინა. იმ სოფლის კაცნი გავატანეთ, ღმრთის წინაშე ეს სამი კვალი თორმეტ მინალთუნად და[ა]ფასეს. ალიხანას თორმეტი მინალთუნი მივაცემინეთ და ეს ვენახი სრულათ ალიხანას დარჩა“.[735]

როგორც ვხედავთ, სადავო გამხდარა „ცხრა კვალი“ ვენახი. საბუთში ვენახის ფართობზე ხაზგასმა იმ ფაქტის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ „ცხრა კვალში“ სტანდარტულზე მცირე ვენახი იგულისხმებოდა. რადგან, „ცხრა კვალი“ ვენახის მესამედი 12 მინალთუნის ღირებულების ყოფილა, მთლიანი მოცულობის ფასი იქნებოდა 36 მინალთუნი, ანუ 3,6 თუმანი. 3,6 თუმანი კი შეიცავდა 180 აბაზს, ანუ 522 გრამ ვერცხლს (180X2,9). ამდენად, არასრული ვენახი ამჯერადაც დაახლ. 500 გრამ ვერცხლად გაყიდულა.

1756 წლის 7 ივნისის ერეკლე II-ის განჩინებაში აღნიშნულია: „...აგრევ კიდევ ხუთი თუმანი ჭაჭიასშვილს დავითს მართებდა თამასუქით. ამისი ორი ვენახი გირაოთ უწერია. ის ჭაჭიაშვილის ორი ვენახიც ელენესთვის დაგვინებებია. მანამ თავისი თეთრი მიეცემოდეს, ეს ვენახებიც ამას უნდა ეჭიროს“.[736] როგორც ვხედავთ, ორი ვენახი 5 თუმნად ყოფილა დაგირავებული. ერთი ვენახის დაგირავების ფასი ყოფილა 2,5 თუმანი, ანუ 125 აბაზი. 1750-იან წლებში თბილისში მოჭრილი აბაზის საშუალო წონა

[733] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 47-48.
[734] სეა. ფონდი 1450 დავთ. 8. საბ. 39.
[735] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 684-685.
საბუთი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ საქმე გვაქვს ქალის მიერ ქონების გაყიდვასთან, რაც სადავო გამხდარა. მსგავსი ფაქტები სხვა საბუთებითაც დასტურდება.
[736] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 455-456.

იყო 4,6 გრამი,[737] შესაბამისად, 125 აბაზის წონა შეადგენდა 575 გრამ ვერცხლს. 575 გრამ ვერცხლად დაგირავებული ვენახის საბაზრო ღირებულება კი დაახლ. 700-800 გრამი იქნებოდა.

შიხინაანთ გაბრიელას და გრიგორას ვალის შესახებ, ერეკლე II-ისადმი მირთმეულ არზაში (1786 წლის 20 ნოემბერი) აღნიშნულია: „ახლა ამას ვეხვეწებით ჩვენს მოწყალესა, რომ ქარუმიძის შვილებსა შვიდი თუმანი მართებს თამასუქითა, და ვენახი გირავოთა გვიჭირავს, და არც ვენახის მოსავალი გვეძლევა, თვითონა სჭამს, და არც ფულს გვაძლევს...“.[738] ამ შემთხვევაში, ვენახი დაგირავებულია დაახლ. 1000 გრამ ვერცხლად.

ვენახის გაშენების ხარჯებია აღწერილი 1776 წლის 2 მარტით დათარიღებულ გოგია ელიოზაშვილის არზაში: „...ქვემო ნიქოზელებმა ხატის მიწა მამცეს, სოფლელებმა ერთად პირობა დამიდვეს: ეს ვენახი გა{ა}შენეო, ხუთი წელიწადი შენ ჭამეო და მასუკან ორი წილი შენაო და მესამედი ხატს მიართვიო. ბაგა[739] ჩავყარე, ოთხი თუმანი დავხარჯე, ცოტას ხანს მე შინ არ გახლდი, ამდგარა პაპუნა ფავნელისშვილი და ის ჩემი ნაჭირვახულევი თავისის ყმისთვის მიუცია...“.[740] როგორც ვხედავთ, ვენახის გაშენება საკმაოდ დიდ ხარჯებთან – დაახლ. 580 გრ. ვერცხლთან ყოფილა დაკავშირებული.

ვენახის გაშენებისათვის გაწეული მძიმე შრომა კარგად არის აღწერილი 1778 წლის 1 მარტით დათარიღებულ გიორგი წნორიაშვილის არზაში ერეკლე II-სადმი: „... ეს ექვსი წელიწადი არის ვენახათ ვაშენებ. ოთხი ძმა ცოლშვილით შიგ ჩავიხოცენით. ოროლი მოჯამაგირე არ გამომლევია, რაც რამ მებადა, მოჯამაგირეს ვაძლევ...“.[741]

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში ვენახი საშუალოდ, 700-800 გრამ ვერცხლად ფასობდა. განსახილველ ეპოქაში, ვენახის ჩათვლით, სრულფუძიანი გლეხის სარგებლობაში არსებული მიწებისა და სახლ-კარის ღირებულება დაახლ. 1900-2100 გრამ ვერცხლს უდრიდა. მოცემული ოდენობის ვერცხლი 7,5-გრამიანი აბაზის პირობაზე (XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I მეოთხედი), დაახლ. 5-6 თუმნის ეკვივალენტი იყო, ხოლო სირმა-აბაზის ბრუნვის პერიოდში – 14 თუმნის. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დასახელებულ თანხად იყიდებოდა დამუშავებული მიწის ფართობი და არა მიტოვებული, „გახარაბებული“ ადგილები. მოსახლეობის სიმცირის პირობებში, როგორც აღინიშნა, ასეთი „ნაფუძვარები“ გაცილებით იაფი ღირდა.

გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულება XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში

გლეხის და მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება მოცემულია 1609 წლის ახლო ხანებში შედგენილ ყმის ნასყიდობის წიგნში. საბუთში აღნიშნულია: „...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ჯავახიშვილმან პატრონმან

[737] თ. ქუთელია. თბილისის ზარაფხანა 1736-1757 წლებში, გვ. 47.
[738] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 702.
[739] ბაგა – ახლად გაშენებული ვენახი. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. II, გვ. 312-313
[740] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 329.
[741] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 678.

შანშე, შვილთა ჩვენთა შალვა და ქაიხოსრო, თქვენ, ცალქალამნიძეს გიორგის, შვილთა თქვენთა იოთამს და სეხნიას, მას ჟამსა, ოდეს ქალაქსა და გორში ვალის გარდამჴდენი შევიქმენით, დიდად დაგვუეჭირა და მოგყიდეთ სკრას ჩვენი მკვიდრი ყოვლის ადამის მონათესავეს კაცისაგან უცილებელი გლეხი ბესალიაშვილი პაატა, მისი ძმა გიორგი და მისი შვილი შოშია და ძმის-წული ზუბია და სვიმონ მათის ორის ვენახითა და მთელის მამულითა ყოვლითურთ, რისაც მქონებელი იყოს, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, კალო-საბზლით, საჴნავითა და უჴნავითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა და ავიღეთ თქვენგან ფასი მარჩილი ორას ოთხმოცი და შეგვჯერდა ჩვენი გული...“.[742]

როგორც ვხედავთ, შანშე ჯავახიშვილმა გიორგი ცალქალამანიძეს 1 კომლი გლეხი 280 მარჩილად, ანუ 840 აბაზად (აბაზი=7,5 გრ.) მიჰყიდა. 840 აბაზი შეადგენდა 16,8 თუმანს და მისი საერთო წონა 6300 გრამს უდრიდა.[743]

საბუთიდან ჩანს, რომ შანშე ჯავახიშვილის მიერ გაყიდულ 1 კომლში გაერთიანებული ყოფილა 2 ოჯახი, სულ 5 სრულწლოვანი მამაკაცი. მათ სარგებლობაში არსებული საგლეხო ფუძე სტანდარტული ფუძისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ შეიცავდა 2 ვენახს და წისქვილს. როგორც ვნახეთ, ამ პერიოდში საგლეხო ფუძე დაახლ. 5-6 თუმნად ფასობდა. რადგან აღნიშნულ კომლს დამატებით მეორე ვენახი (სულ მცირე 1,8 თუმანის ღირებულების) და წისქვილი (დაახლ. 1,5 თუმნის ღირებულების[744]) ჰქონდა, კონკრეტულ შემთხვევაში, შეძლებული გლეხის ფუძის ღირებულება გამოდის დაახლ. 9 თუმანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფუძის გარეშე, გლეხის ფასი ყოფილა 7,8 თუმანი. ვინაიდან ბესალიაშვილის კომლში ორი ოჯახი და 5 სრულწლოვანი მამაკაცი ერთიანდებოდა, ცხადია, მათი ფასი, ჩვეულებრივ კომლთან შედარებით, მაღალი უნდა ყოფილიყო.

დიდი მოურავის და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასისხლო საქმეზე სვიმონ II-ის 1620 წლის 15 აპრილის განჩინებაში აღნიშნულია: „...ჩუენ ამისი ასრე გავაჩინეთ: წარდგეს ქაიხოსრო თუითან თავის თავითა, სამის შესახელებულის უმტეროს მოურავის ყადარის კაცითა და ოთხის შეუსახელებელის კაცითა და ასრე შეჰფიცოს... და თუ ვერ დაიფიცოს, ან დაუდვას რვა კუამლი გლეხი და ან მიართოს ოთხმოცი თუმანი თეთრი...“.[745]

ანალოგიური ფასი ფიქსირდება იმავე განაჩენის სხვა ადგილასაც: „...და თუ ვერ დაიფიცოს, ან დაუდვას ხუთი კუამლი გლეხი და ან მიართვოს ორმოცდაათი თუმანი...“.[746]

გლეხი 10 თუმნად არის შეფასებული 1640 წლის 21 ივნისის როსტომ მეფის განჩინებაშიც – „მიართოს [ხუ]თასი მარჩილი თეთრი და ან დაუდვას სამი კუამლი გლეხი“.[747]

---

[742] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 15.

[743] შედარებისათვის, აღნიშნული ეპოქის 16,8 თუმანი (აბაზი=7,5 გრ.) XVIII საუკუნის II ნახევრის სირმა-აბაზის კურსით (აბაზი=2,9 გრ.), დაახლ. 43 თუმნის ეკვივალენტური იყო.

[744] მცირე წისქვილის მესამედი წილი, XVIII საუკუნის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, გაიყიდა 1 კამეჩის და 1 ცხვრის საფასურად. ამდენად, მთლიანი წისქვილის ფასი გამოდის 3 კამეჩი და 3 ცხვარი. XVIII საუკუნის ფასებით, დასახელებული შინაური ცხოველების საერთო ფასი შეადგენდა მაქსიმუმ 1,5 თუმანს. იხ.: სეა. ფონდი 1450. დავთ. 17. საბ. 25.

[745] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 57.

[746] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 63.

[747] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 79.

როგორც ვხედავთ, სასამართლოს მიერ ერთი კომლი გლეხი შეფასებული ყოფილა 10 თუმნად. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო სამართალი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა გლეხების უმიწოდ გასხვისების ფაქტებს, დიდი ალბათობით, აქ უნდა იგულისხმებოდნენ „მამულიანი“ გლეხები. შესაბამისად, სახელმწიფო სამართლის მიხედვით, XVII საუკუნის I ნახევარში ერთი „მამულიანი“ კომლის ღირებულება შეადგენდა 3750 გრამ ვერცხლს.[748]

ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის შემცველია 1646 წლის 10 ივნისის ბატონ-ყმობის წიგნი: „ესე წიგნი მოგართვით, ჩვენ ხოჟონელმა მურაჩაშვილმა შანაზარამ, დავითამა, იეგანამა და კიდევ დავითამა თქვენ, ბატონს ქალ[ა]ქის მოურავს მანუჩარს... ასე რომე შემოგეხვეწენით, თეთრი გთხოეთ, გამოგართვით თექ[ვ]სმეტი თუმანი. ჩვენი თავი ჩვენს ბატონისაგან დავიხსენით და ჩვენი თ[ა]ვი და ჩვენის ბატონის მოცემული აზ[ა]ტობის წიგნიც მოგეცით. არავის თქვენთან ხელი არა ქონდეს...“.[749]

როგორც საბუთიდან ირკვევა, მურაჩაშვილებმა ქალაქის მოურავისაგან ვალად აიღეს 16 თუმანი, ამ თანხად თავი დაიხსნეს და ვალის სანაცვლოდ, ახალი მებატონის ყმები გახდნენ. საბუთიდან ჩანს, რომ გლეხის კომლში ერთიანდებოდა ოთხი სრულწლოვანი მამაკაცი. რადგან გლეხის კომლში ერთი სახელის მქონე ორი მამაკაცი იხსენიება, სავარაუდებელია, რომ ამ შემთხვევაშიც, საქმე გვაქვს ორი ოჯახისაგან გაერთიანებულ კომლთან. ერთი სიტყვით, ოთხი მამაკაცისაგან შემდგარი ოჯახის ფასი ყოფილა 16 თუმანი, ანუ 6000 გრამი ვერცხლი.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბატონ-ყმობიდან თავის დახსნა შესაძლებელი ყოფილა გლეხის გასაყიდ, ანუ საბაზრო ფასად. თუმცა, თავის დახსნას ფეოდალის ნებართვაც სჭირდებოდა და ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ თანხა სოციალური თავისუფლების წინაპირობას არ წარმოადგენდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გლეხები ძალიან იშვიათად ახერხებდნენ აღნიშნული ოდენობის თანხის შეგროვებას.

1665 წლის ყმების ნასყიდობის წიგნში აღნშნულია: „ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, მურადაშვილებმან სუმბატამ, გივინამ და ტუსინამა შენ, სუხინას და შენს ძმას გაბუნასა; – ასრე, რომე მამა ჩუენს საქინას რუა თუმანი ემართა და იმისი ოთხი თუმანი რომ თქუენგან ავიღეთ და მამის ჩუენის ვალში მივეცით და თქუენი თეთრი ვეღარ გიშოვნეთ და მაგიერად შაშვაძის შვილები ქიტა და ბერუაი მოგეცით ნასყიდობითა, მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმან, რისაც მოსაჯმარად გინდოდეს...“.[750]

ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს გლეხის კომლის უმიწოდ გაყიდვის ფაქტთან – გარდა იმისა, რომ დოკუმენტში მიწა არ არის ნახსენები, ფრაზა „გიბედნიეროს ღმერთმან, რისაც მოსაჯმარად გინდოდეს...“, სწორედ უმიწოდ გაყიდვას უნდა მიანიშნებდეს. ამდენად, უმიწო კომლი 4 თუმნად (200 აბაზად), ანუ 1500 გრამ ვერცხლად გაყიდულა.

გლეხის ოჯახიდან ერთი ადამიანის დაგირავების ფასია მოცემული 1678 წლის 14 ივნისის გირავნობის წიგნში: „...ავიღე მე, ალელი ბიძინას-შვილმა ბ[ა]ინდურმა შენ, ხოჯა-ბულინ[აანთ(?) ნას[ა]არას[ა]გ[ა]ნ ოცდა ხუთი მინ[ა]ლთუნი ასე და ამა პირს[ა] ზედ[ა]ნ, რომე ჩემი შვილი ბიძინა ათის წლის[ა] შენთ[ა]ნ გირ[ა]ვ[ო]დ დავდევი. ამა

[748] დიდი ალბათობით, ამ პერიოდში გლეხის სისხლის ფასიც 10 თუმნით განისაზღვრებოდა.
[749] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 30-31.
[750] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 43.

ერთი წელიწადი ვ[ა]და და თუ ვ[ა]დას გარდასცილდეს და შენი თეთრი არ მოგიტ[ან]ო, ჩემი შვილი ბიძინა შენი იყოს ნასყიდობლ[ა]თ...".[751]

როგორც ვხედავთ, 10 წლის ბიჭი მამამ 25 მინალთუნად დააგირავა. აშკარაა, რომ ბიჭის ღირებულება გირავნობის ფასზე მაღალი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, ათი წლის ბავშვის გირავნობის ფასი გამოდის დაახლ. 940 გრამი ვერცხლი.

ძალიან საინტერესო ინფორმაციის შემცველია 1708 წლის 3 აპრილის ბიჭის დახსნილობის წიგნი, რომელშიც აღნიშნულია: „...ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, აბულაძემ მამუკამ და კოსაძემ დათუნამ თქვენ, ზუბულიძეს დეკანოზ არდაშელს, შვილთა შენთა... – ასე რომე დიაღ დიდათ გაგვიჭირდა ამ ბიჭის თაობაზედ, სხვა ილაჯი არსაით გვქონდა შენს მეტი, მოვედით და შემოგეხვეწენით. ასე რომ ეს იმერელი ბიჭი კაცია, პატარა, თათრებს მოვპარეთ, შაგვიტყეს და მეფე ვახტანგთან გვიჩივლეს, ჩვენც გაგვიწყრნენ და ბიჭსაც ისევ აძლევდნენ. რათგან თქვენ შამოგეხვეწენით, ჩვენზედაც დიდად გაისარჯე და ეს ბიჭი კაცია დაიხსენ სამოცდაშვიდ მარჩილად თათრებისაგან. არას კაცს საცილობელი არა აქვს რა...".[752]

როგორც ვხედავთ, იმერელი ბიჭი „თათრების" საკუთრებას წარმოადგენდა. მათ, სავარაუდოდ, ბიჭი დატყვევებული იყიდეს. ქართლში გადმოსვლის შემდეგ კი მამუკა აბულაძესა და დათუნა კოსაძეს ბიჭი ფარულად დაუხსნიათ. მართალია, ქართლში „ტყვეთა სყიდვა" იკრძალებოდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში ნაყიდი ტყვის ქართლში ლეგალურად შემოყვანა შესაძლებელი იყო.[753] შესაბამისად, სამართლებრივი კუთხით, „თათრები" იმერელი ბიჭის მესაკუთრეებად გამოდიოდნენ და ჩადენილი ქმედებისათვის აბულაძესა და კოსაძეს „გაუწყრნენ" კიდეც. საბოლოოდ, ბიჭი დეკანოზმა 67 მარჩილად, ანუ დაახლ. 1500 გრამ ვერცხლად დაიხსნა. შესაბამისად, ბიჭი დეკანოზის ყმა გამხდარა.

ოჯახის ერთი წევრის გაყიდვის ფაქტს ვხვდებით XVIII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში. 1750 წლის 3 მაისის სასამართლოს განჩინებიდან ირკვევა, რომ მოახლე გოგო მებატონეებს უყიდიათ 100 მარჩილად (აბაზი=4,6 გრ.), ანუ 1380 გრამ ვერცხლად.[754]

ნაზარალიხანის განჩინება ბიძინა და დუშია მაჩაბლების(?) საქმეზე, რომელიც თარიღდება 1688-1691 წლებით, ჩვენთვის საინტერესო ცნობებს შეიცავს: „...და დავითს რომ მოეკლა და მისი სისხლი რომ გავაჩინეთ, იმისი განაჩენი სხვა არის. ორას ორმოცი თუმანი გაუჩინეთ. იმისგან სხვა ყველა ზოგი ჩვენ, ზოგი დარბაისელთ ვიპატიეთ და ზოგი იქით ჭრილობასა და მიჴდომისათვის გავაშვებინეთ. ადგილს სამოცი

[751] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 58.

[752] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 137.

[753] აღნიშნული ვითარება ასახულია დასტურლამალში. საკანონმდებლო ძეგლის თანახმად, იმერეთიდან ქართლში ტყვის შემოყვანისათვის დაწესებული ყოფილა 3 მინალთუნის ბაჟი, ხოლო თუ შემომყვანი ამ ტყვეს ქართლში გაყიდდა, მყიდველსაც და გამყიდველსაც 3-3 მინალთუნი უნდა გადაეხადათ (იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 286). მართალია, ქართლის ჯანიშინი მაღალი ბაჟით ერთგვარად ზღუდავდა დასავლეთ საქართველოდან ქართლში ტყვეების შემოყვანას, მაგრამ, ჩანს, ირანის ხელისუფლება მას ამ პროცესის სრულად აღკვეთის უფლებას არ აძლევდა.

[754] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 385.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გლეხის ოჯახის ერთი წევრის, ამ შემთხვევაში, ახალგაზდრა ასაკის „გოგოს" და „ბიჭის", ცალკე აღებული ფასი, რადგან საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენდა (დაახლ. 1000 გრ. ვერცხლი), ოჯახის წევრთა ცალ-ცალკე გაყიდვა მებატონეებისათვის მომგებიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კანონი კრძალავდა გლეხების გაყიდვის ასეთ შემთხვევებს, მსგავს ფაქტებს ადგილი მაინც ჰქონდა და ეს გამოწვეული იყო მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღებით.

თუმანი დარჩა. ამ სამოც თუმანში მივეცით ვარიანს უჯარმელაშვილი ხუცესი მისის ძმებით, კიდევ უჯარმელაშვილი ბერუკა და ხუცო, ძარს ტრამაკაძე მამუკა მისის ძმებითა ესენი დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ყოელისფრითა და ამ[ა]ს გარდა ოცი დღის მიწა ვარიანს ამილრამბარის წილიდამ. ესენი მივაცემინეთ...".[755]

როგორც ვხედავთ, 20 დღიური მიწის და 4 „მამულიანი კომლის"[756] საფასური ყოფილა 60 თუმანი. 20 დღიური მიწის ღირებულების, ანუ მაქსიმუმ 5 თუმნის გამოკლებით, 4 მამულიანი კომლის ფასი გამოდის 55 თუმანი, ხოლო ერთი კომლის – 13,5 თუმანი, ანუ დაახლ. 5000 გრამი ვერცხლი. ვინაიდან გლეხის ფუძე საშუალოდ, 5-6 თუმნად ფასობდა, მიწის გარეშე, 1 კომლის ფასი გამოდის 7-8 თუმანი.

შეძლებული გლეხები გაცილებით მაღალ ფასად იყიდებოდნენ, რისი დამადასტურებელიც არის 1698 წლის 26 დეკემბრის ყმის ნასყიდობის წიგნი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ერთი კომლი გლეხი 28 თუმნად, ანუ 10 500 გრამ ვერცხლად გაუყიდიათ.[757] საბუთიდან ჩანს, რომ ჩვეულებრივი საკომლოსაგან განსხვავებით, გლეხს ჰქონია „ნასყიდი" მიწა, ასევე „საფიჩხულო".[758]. ამავე დროს, საბუთიდან ჩანს, რომ კომლში ორი ოჯახი ყოფილა გაერთიანებული. ერთი სიტყვით, შედარებით მდიდარი, „ღონიერი", ანუ „კაი გლეხის" ფასი 28 თუმანი ყოფილა.

საბუთებში ვხვდებით გამოუვალ მდგომარეობაში იაფად თავის გაყიდვის შემთხვევასაც: „...ესე წიგნი მოგართვი მე, ქადის-გულმა დათუნამა და ჩემ[მ]ა შვილმა ბასილამა თქვენ, გამდლის-შვილს ქაიხოსროს და თქვენს ძმისწულებს იორამსა და დემეტრეს; – ასე რომე ქურდობა შემაჩნდა და ხევისთავებმა დამიჭირეს და სხვა სახსარი ვერა ვიშოვნე და ცოლშვილით მყიდ[დ]ენ. მანავს ჩამიყვანეს მოურავის სახლითუხუცეს მავაჭრებდენ და ადექ და შენ დამიხსენ და ჩემი საზღაურიც შენ გაიღე და შვიდი Წარი და ერთი მინალთუნი თეთრი და ახლა მე შენთვის ყმობის წიგნი მომიცია და კიდეც ყმად დაგისახლდე და ერთგულად და ერთსულად გ[მ]სახურო... (1707 წლის 15 მაისი)".[759] როგორც ჩანს, დათუნა ქადის-გულმა და მისმა შვილმა ერთი ხარი მოიპარეს. ვახტანგის სამართლის მიხედვით, ნაქურდალი ქურდს შვიდმაგად უნდა აენაზღაურებინა.[760] ერთი მინალთუნი კი სამართლებრივი დავის აღსრულებისათვის (იასაულის, ან მოურავის, ანდაც ხევისთავისათვის) გადასახდელ თანხას წარმოადგენდა. 7 ხარის ღირებულება მაქსიმუმ 2,5-3 თუმანი იყო. ამდენად, დათუნა ქადის-გული მებატონის ყმა გახდა 2,5-3 თუმნის, ანუ დაახლ. 750-1100 გრამი ვერცხლის ფასად. რადგან საბუთში აღნიშნულია, რომ ყმას ბატონისათვის „ერთსულად" უნდა ემსახურა, გამოდის, რომ 2,5-3 თუმნის სანაცვლოდ, ახალი მებატონის ყმა გამხდარა მხოლოდ დათუნა ქადის-გული და არა მისი ოჯახის წევრები.

---

[755] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 79-80.

[756] რადგან საბუთში ყველა სხვა შემთხვევაში სახელით მოხსენებულია მხოლოდ გლეხის ოჯახის უფროსი და არა მისი ძმები და სახლისკაცები, ამიტომ უჯარმელაშვილი ბერუკა და ხუცო ორ სხვადასხვა კომლს უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, საბუთში მოხსენებულია 4 კომლი: 1. „უჯარმელაშვილი ხუცესი მისის ძმებით", 2. უჯარმელაშვილი ბერუკა, 3. უჯარმელაშვილი ხუცო და 4. „ძარს ტრამაკაძე მამუკა მისის ძმებითა".

[757] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 106.

[758] მდინარეში ჩადგმული თევზის დასაჭერი მოწყობილობა. იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 34-35.

[759] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 134.

[760] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 519-521.

ამჯერად, წარმოვადგენთ XVIII საუკუნის II ნახევრის მონაცემებს. 1756 წლის 7 ივნისის ერეკლე II-ის განჩინებაში აღნიშნულია, რომ თამასუქით აღებული 11 თუმანის, ანუ დაახლ. 2500 გრამი ვერცხლის სანაცვლოდ, დაგირავებული ყოფილა 1 მამულიანი კომლი.[761]

ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის შემცველია 1771 წლის 12 ივნისის იოანე ბარამიშვილის არზა, რომელსაც ახლავს ერეკლე II-ის ოქმი. არზაში ბარამიშვილი აღნიშნავდა: „... ამას მოგახსენებთ ჩვენს ჴელმწიფეს: თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ი[მ] კაცსში ოცდათორმეტი თუმანი გაღებული მაქუს. ანდრიიდამ გარდმომიყვანია, იმის მეტი კაცი არა მყვანდა, ის იყო თითქმის ჩემი სიცოცხლე. ეს მეხუთე წელიწადი არის, რომ ჩემი კაცი მაკლია. პირობა ასე იყო: როდესაც ბატონი ქართლში მობრძანდეს, ამოდი და შენი კაცი მოგაბაროო. ახლა რომ ქართლში ბრძანდებოდით, ვიჩივლეთ და იასაული მიბოძეთ; იასაულმა მოგახსენათ: ყულარაღასმა გააქცივა და ოსეთში დამალაო. ოთხი წელიწადი არის, რომ ვსჩივი და თავს გაწყენ, სამართალმა მომცა და იმან არ დამანება...“. არზას ახლავს ერეკლე II-ის ოქმი: „ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ის კაცი ბარამისშვილს... რადგან ორჯერ დახსნილი ჰყვანდა, ამისათვის თავის კაცი არ უნდა დაეჭირათ. ჩვენ ერისთავსაც და ყულარაღასსაც ამის მიცემა შეუთვალეთ; იმათ ერთმანერთზე მიეგდოთ და არ მოეცათ. [რადგან] ამ ივანე ბარამიშვილს თავის კაცი არ მოსცეს, ქსნის ერისთვი[ს] ყმა საცა კახეთში ამ ივანემ იპოვოს, ორი კომლი კაცი უნდა მოსცეს. იასაულო ავალისშვილო გიო! საცა ამ ივანემ ერისთვისა და ყულარაღასის ყმა იპოვნოს, ორი კომლი კაცი აუყარე და მოაბარე...“.[762]

როგორც ვხედავთ, ბარამიშვილს თავისი ყმა ორჯერ დაუხსნია ტყვეობიდან. დატყვევებული ყმა მას „ანდრიიდამ“ მოუყვანია.[763] ტყვის დახსნაში ბარამასშვილს ჯამურად დაუხარჯავს 32 თუმანი. ეს ტყვე კი, მეფის ბრძანების მიუხედავად, ქსნის ერისთავსა და მისი ოჯახის წევრს ოსეთში „გაუქცევიათ“ და „დაუმალავთ“. მეფეს კი 32 თუმნის სანაცვლოდ, ბარამიშვილისათვის კახეთში მცხოვრები ერისთავის კუთვნილი 2 უმამულო კომლი მიუცია.

ერთი სიტყვით, სახელმწიფო სამართლის მიხედვით, XVIII საუკუნის II ნახევარში ერთი უმამულო კომლი შეფასებული ყოფილა 16 თუმნად, ანუ დაახლ. 2300 გრამ ვერცხლად.

1794 წლის ნიკოლოზ ჩუთკერაშვილის არზაში ერეკლე II-ისადმი აღნიშნულია, რომ ტყვედ ნამყოფმა მისმა მამამ და ბიძამ ქრისტიანობა მიიღეს და ატენში დასახლდნენ. რადგან მათი სახლისკაცი დემეტრე ციციშვილის ყმა ყოფილა, მებატონეს მათი ოჯახის ყმობაზეც განუცხადებია პრეტენზია. ნიკოლოზ ჩუთკერაშვილის განცხადებით, მამამისი „ახალი ქრისტიანი გახლდა და აქაურის სამართლების არა იცოდა რა“, შვილი ნიკოლოზი 12 თუმნად, ანუ 1740 გრამ ვერცხლად დაუგირავებია და ამ თანხით თავი დაუხსნია ციციშვილის ყმობიდან.[764]

1794 წლის 11 ივნისის საბუთში აღნიშნულია, რომ გლეხ ზურაბ მამუკელაშვილს „ურიების დავაზე“ 35 თუმანი ვალად დაედო და ვერ იხდიდა. ვალის გადასახდელად

[761] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 455-456.
[762] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 186-187.
[763] უნდა იგულისხმებოდეს ჩრდილოეთ კავსასიის მთისწინეთში არსებული „ანდრიას სოფელი“ (Андреевская деревния). იხ.: მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს-ის პირველ მესამედში, გვ. 137.
[764] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, გვ. 266-267.

კი, იულონ ბატონიშვილს სთხოვდა ნებართვას, რათა თავისი თავი და „მამულები“ გაეყიდა. საბოლოოდ, ყმის ვალის დიდი ნაწილი მამუკელაშვილის მებატონე თუ-ლაშვილს გადაუხდია.[765]

ამდენად, 1 კომლი გლეხის საბაზრო ფასად მითითებულია 35 თუმანი, ანუ დაახლ. 5100 გრამი ვერცხლი.

შეძლებული გლეხები გაცილებით დიდ ფასადაც იყიდებოდნენ. 1793 წლის 29 აპრილის წერილში სოლომონ მეითარი დავით თარხნიშვილს ატყობინებს, რომ „მელ-ქუას-შვილებს შემომევაჭრა მაჩაბელი ლუარსაბ, ოთხმოც თუმანს მაძლევს...“.[766] სხვა დოკუმენტიდან ჩანს, რომ აღნიშნული გლეხები სოლომონ მეითარს მართლაც 80 თუმნად, ანუ 11600 გრამ ვერცხლად გაუყიდია.[767]

საბუთებში ვხვდებით გლეხების შედარებით დაბალ ფასად გაყიდვის შემთხვევე-ბსაც. 1766 წლის 30 მარტის საბუთიდან ჩანს, რომ ახლად დაოჯახებული უმამულო გლეხი 4 თუმანად, ანუ 580 გრამ ვერცხლად იყიდებოდა;[768] 1795 წლის 13 ივნისის საბუთის მიხედვით, რევაზ ფავნელიშვილმა გაბრიელ მაიორს 10 თუმნად, ანუ 1450 გრამ ვერცხლად დაუგირავა ერთი კომლი გლეხი; XVIII საუკუნის მინურულის ეგნატე და პაპუა თუმანიშვილების ნასყიდობის ნუსხში კი აღნიშნულია: „...თემურაზას-შვილები დაფასდა ათ თუმნათ... ფრანგი გიორგი დაფასდა შვიდ თუმნათ.... ფრანგი პეტრე დაფასდა თერთმეტ თუმნათ... იმერელი მარიამას-შვილი დაფასდა ექვს თუმნათ...“.[769]

დამოწმებული ცნობები სათანადო წარმოდგენას გვიქმნის XVII-XVIII საუკუნეებში როგორც გლეხის, ისე საგლეხო ფუძის ფასის შესახებ: ვენახისა და სახნავ-სათესი მიწის, ანუ ფუძის გარეშე, 1 კომლი გლეხი საშუალოდ, 1900-2300 გრამ ვერცხლად ფასობდა, რაც XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში უდრიდა დაახლ. 5-6 თუმანს, ხოლო XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, აბაზის წონის შემცირების კვალ-ბაზე – 13-15 თუმანს; სახნავ-სათესი მიწის, ვენახისა და სახლ-კარის ჩათვლით, ერთი კომლი გლეხის ღირებულება შეადგენდა 3800-5200 გრამ ვერცხლს, ანუ 7,5-გრამიანი აბაზის პირობაზე, 10-14 თუმანს, ხოლო სირმა-აბაზის წონის გათვალისწინებით (2,9 გრ.), 25-35 თუმანს.

რაც შეეხება შედარებით მდიდარ გლეხებს, მათი ღირებულება ზოგჯერ საშუალო შეძლების გლეხების ფასს სამჯერაც აჭარბებდა, ხოლო უმამულო, მცირემიწიანი და უმიწო (ბოგანო) გლეხები გაცილებით იაფად ფასობდნენ.

„ლეკიანობა“ და მისი გავლენა გლეხების ღირებულებაზე

დამოწმებული ცნობები, ძირითადად, ადგილობრივი თავად-აზნაურების მიერ გლეხების გაყიდვის თუ ყიდვის შემთხვევებს ეხებოდა. ფეოდალურ საზოგადეობაში, როგორც წესი, ყმა-მამულის გამყიდველადაც და შემძენადაც სწორედ ფეოდალები გვევლინებოდნენ. თუმცა, XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფო-

[765] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, გვ. 278-279.
[766] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 249.
[767] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 272.
[768] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 103.
[769] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 324.

ში ერთგვარი სპეციფიკური ვითარება შეიქმნა – ე.წ. „ლეკიანობამ“ ფართო მასშტაბები შეიძინა. დაღესტნელი მთიელები მშვიდობიან მოსახლეობას ყოველწლიურად იტაცებდნენ. სამეფო ხელისუფლება „ლეკიანობის“ აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა (სწორედ დაღესტნელთა მძარცველური პოლიტიკის გასანეიტრალებლად შეიქმნა მორიგე ჯარი და ა.შ.), მაგრამ აღნიშნულ ეპოქაში ბარის მოსახლეობაზე თავდასმა დაღესტნელი მთიელების ყოველდღიური ცხოვრების წესად იყო გადაქცეული. ამდენად, „ლეკიანობის“ აღმოფხვრა ძალიან რთულ ამოცანას წარმოადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეფო ხელისუფლებას საკანონმდებლო ნორმების ცვლილებაზე წასვლაც მოუხდა. ტყვეების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით, სამეფო კარი იძულებული გახდა, ფეოდალების ინტერესების საწინააღმდეგო კანონი მიეღო. ცნობილია, რომ 1765 წელს ერეკლე II-მ გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც, გლეხები საკუთარი ძალისხმევით ტყვეობიდან თავის დახსნის შემთხვევაში, თავისუფალებას იღებდნენ – ვისთანაც მოისურვებდნენ, იმასთან მივიდოდნენ, ძველ ბატონს ეკრძალებოდა მათი დაყმევება.[770] ახალი საკანონმდებლო ნორმიდან დამომდინარე, ძალიან გაიზარდა ტყვედ ნამყოფი თავისუფალი გლეხების რაოდენობა, რომლებსაც შეეძლოთ გარკვეული პირობის სანაცვლოდ (მაგალითად, ვალის დაფარვის შემთხვევაში), თავის მებატონედ თუნდაც გლეხები აერჩიათ.[771] ამასთანავე, ნებისმიერ პირს ჰქონდა უფლება, ტყვეობიდან დაეხსნა გლეხი, რომელიც მისი ყმა ხდებოდა. ძველი მებატონე მასზე პრეტენზიას ვეღარ აცხადებდა. როგორც სამხედრო შეიარაღების ფასების განხილვისას აღინიშნა, იაკობ რაინეგსის გადმოცემით, ლეკები გატაცებული ქართველი ტყვეების საფასურად საკმაოდ მცირე თანხას – 2 თუმანს, ანუ დაახლ. 300 გრამ ვერცხლს ითხოვდნენ.[772]

თუ კანონი, ერთი მხრივ, ზღუდავდა ფეოდალის უფლებებს, მეორე მხრივ, მათ ყმების შედარებით იაფად შეძენის საშუალება უჩნდებოდათ. მებატონეები ან უშუალოდ თვითონ ყიდულობდნენ ტყვეებს, ანდაც გლეხებს იმ დავალიანებას უფარავდნენ, რომელიც ტყვეობიდან თავის გამოსახსნელად გადაიხადეს. თანადროულ საბუთებში ამგვარ ფაქტებს ხშირად ვხვდებით.[773] ტყვეობიდან თავდახსნილ გლეხთან ერთად, ძველი მებატონისაგან თავისუფლდებოდა მისი მეუღლეც,[774] შესაბამისად, ამ გზით, ყმების შეძენა მებატონეებისათვის ორმაგად მომგებიანი იყო.

---

[770] Д. Пурцеладзе. Грузинские крестьянские и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ, Тифл. 1882, გვ. 17.

[771] XVIII საუკუნის II ნახევარში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც გლეხი იხდიდა დატყვევებული გლეხის გამოსასყიდ თანხას. ამ შემთხვევაში, ყოფილი ტყვე გლეხის ყმა ხდებოდა. საკითხის შესახებ ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს სოციალური ისტორიიდან („სოფლის ნასყიდის“ გაგებისათვის). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII. თბ. 2017, გვ. 139-148.

[772] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 168.
ისიც აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში, ლეკებისაგან თავის დახსნის საფასური 2 თუმანს აღემატებოდა.

[773] გლეხი თუ საკუთარი თანხით მოახერხებდა ტყვეობიდან თავის დახსნას, როგორც აღინიშნა, თავისუფლდებოდა ძველი მებატონისაგან და ძირითადად, სახასო ყმების რიგებში ეწერებოდა. თუ მას მამული ჰქონდა და თავის რჩენა შეეძლო, აზატის კატეგორიაში გადიოდა. იყო შემთხვევები, როცა გარკვეული შეთანხმების საფუძველზე რომელიმე ფეოდალის ყმა ხდებოდა. ხოლო, როგორც აღინიშნა, თუ ფეოდალი დაიხსნიდა, მისი საკუთრება ხდებოდა.

[774] ი. დოლიძე. საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი. საქართველოს ჩვეულებითი სჯული. თბ. 1960, გვ. 75; სამართალი ბატონიშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ. თბ. 1964, გვ. 0201.

ფეოდალებს ადვილად შეეძლოთ, ლეკების მიერ ახალციხეში გადაყვანილი ტყვეების გამოსყიდვაც – დატყვევებულის ბაზარზე გასაყვანად ყადის სპეციალური ნებართვა ყოფილა აუცილებელი, რომელიც გაიცემოდა ტყვის მოყვანიდან სამი თვის შემდგომ. ნებართვის გაცემის სამთვიანი დაყოვნება იმისათვის ყოფილა საჭირო, რომ ტყვეს პატრონი გამოსჩენოდა და გამოესყიდა. ტყვის გამოსყიდვა ახალციხიდან საშუალოდ, 4 თუმანად ყოფილა შესაძლებელი.[775]

ერთი სიტყვით, დაღესტნელების მიერ დატყვევებული გლეხების გამოსყიდვით, რიგ შემთხვევაში, მებატონეები შედარებით იაფად ახერხებდნენ ყმების შეძენას.[776]

მებატონეები ყმების შეძენის სხვა გზებსაც მიმართავდნენ. მაგალითად, იესე ოსე ძეს რუსი დეზერტირები დაუთანხმებია ყმობაზე და ამისათვის გარკვეული საფასურიც გაუღია – ზოგიერთი მათგანი საპყრობილედან გამოუყვანია. ჩანს, თავადმა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის დაწესებული ჯარიმები გადაიხადა.[777]

ყმების გამრავლების მიზნით, როგორც მეფე, ისე ფეოდალები, ხშირად მიმართავდნენ მზობელი ქვეყნებიდან მოსახლეობის გადმოსახლებასაც. ამდენად, ყმა-გლეხების შეძენის მრავალი გზა არსებობდა, თუმცა, დასახელებული კატეგორიის ყმებთან შედარებით, „მკვიდრი“ გლეხების ღირებულება, რომლებსაც გამართული მეურნეობა ჰქონდათ, ყოველთვის მაღალი იყო.

გლეხური მეურნეობის ყოველწლიური შემოსავლებისა და გადასახადების ფულადი გამოხატულება XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში

ამჯერად, მოკლედ განვიხილავთ საშუალო შეძლების გლეხის მეურნეობის წლიურ შემოსავლებს. გვიანფეოდალურ ეპოქაში გლეხური მეურნეობის შესახებ ზოგადი სურათის საჩვენებლად, XVIII საუკუნის II ნახევრის მონაცემებს მოვიხმობთ, რადგან აღნიშნული პერიოდის ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ, ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზა გვაქვს.

როგორც ცნობილია, გვიანფეოდალური ეპოქის საქართველოში არსებობდნენ უმიწო („ბოგანო“), მცირემიწიანი, საშუალო შეძლების და შედარებით დიდი მიწის ფართობის მქონე გლეხური ოჯახები. გლეხთა ნაწილს „ნასყიდი“ მიწაც ჰქონდა. ამ მხრივ, გლეხები შესაბამის კატეგორიებად იყოფოდნენ. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში არსებობდა გადაუნაწილებელი სათემო მიწებიც, რასაც, რა თქმა უნდა, გლეხები ამუშავებდნენ. ამ პერიოდში ვხვდებით ფეოდალთა მიწების „საღალედ“ აღების პრაქტიკასაც. „საღალედ“ მიწებს იღებდნენ ის გლეხები, რომლებსაც არ ჰყოფნი-

[775] მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო XVIII საუკუნეში (ნარკვევი). თბ. 1982, გვ. 315-316.

[776] ზემოთ თქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „ლეკიანობა“ ფეოდალებისთვის რაიმე სახით ხელსაყრელი ყოფილიყო. ასე ნამდვილად არ იყო, რადგან თუ, ერთი მხრივ, მათ შეეძლოთ შედარებით იაფად ყმების შეძენა, ზოგადად, დაღესტნელების შემოსევების შედეგად, მათთვის მიყენებული ზარალი ძალიან დიდი იყო, კარგავდნენ რა გლეხებს და ქონებას.

[777] ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გვ. 124.
მართალია, რუსი დეზერტირები თავადს მალე გაექცნენ და სამეფო არტილერიაში („თოფხანაში“) შევიდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენთვის ის ფაქტია საინტერესო, თუ როგორ ცდილობდნენ ფეოდალები მათთვის ხელსაყრელ პირობებში ყმების შეძენას.

დათ საკომლოში შემავალი სახნავ-სათესი ფართობი და ზედმეტი მიწის დამუშავების ფიზიკური შესაძლებლობა ჰქონდათ. „საღალედ“ იღებდნენ მიწას „ხიზანი“ და უმიწო გლეხებიც. უმიწო გლეხთა ნაწილი, როგორც წყაროებიდან ჩანს, ფეოდალებისა და შეძლებული გლეხების მამულში ყოველდღიური შრომით ირჩენდა თავს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გლეხის სრული ფუძე საშუალოდ, 12 დღიური მიწისა და ერთი ვენახისაგან შედგებოდა. საშუალო შეძლების გლეხები სწორედ აღნიშნული ოდენობის მიწას ამუშავებდნენ. ანალოგიური დასკვნის საშუალებას იძლევა XIX საუკუნის დასაწყისის სტატისტიკური მონაცემებიც. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ გლეხთა დაახლ. 35-45% მცირემიწიანი ან უმიწო იყო.

საშუალო შეძლების გლეხთა სარგებლობაში არსებული 12 დღიური სახნავ-სათესი ფართობიდან, ყოველწლიურად შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 6 დღიურის დამუშავება, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სრულფასოვანი მოსავლის მისაღებად, აუცილებელი იყო მიწის ყოველწლიური დასვენება. 6 დღიური სახნავ-სათესი მიწიდან ძირითადი საკვები პროდუქტი – მარცვლეული კულტურები დაითესებოდა მაქსიმუმ 5 დღიურზე, რადგან ბოსტნეულისთვის და სხვა საჭირო კულტურებისათვის 1 დღიური მიწა მაინც იქნებოდა გამოყოფილი.

როგორც აღინიშნა, 1 დღიურ მიწაზე ითესებოდა 2,5 კოდი ხორბალი, ხოლო მოსავალი რვაჯერადი იყო.[778] ამდენად, 5 დღიური მიწადან დაახლ. 100 კოდი მარცვლეულის მოწევა შეიძლებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ქართლისა და კახეთის ბარში, საჭიროებიდან გამომდინარე, საერთო სახნავ-სათესი ფართობის დაახლოებით მესამედზე ითესებოდა ქერი,[779] გამოდის, რომ საშუალო შეძლების ოჯახი ყოველწლიურად იღებდა დაახლოებით, 70 კოდ ხორბალს და 30 კოდ ქერს. XVIII საუკუნის II ნახევარში კოდი იტევდა 36 კილოგრამს.[780] აქედან გამომდინარე, გლეხის ყოველწლიური მოსავალი საშუალოდ, 2500 კგ. ხორბალს და 1100 კგ. ქერს შეადგენდა.

როგორც ხორბლის ფასებზე მსჯელობისას გავარკვიეთ, XVIII საუკუნის II ნახევარში 1 კოდი ხორბალი საშუალოდ, 3-3,5 აბაზად, ხოლო ქერი 2-2,5 აბაზად ფასობდა. თუ ჩვენ საშუალო შეძლების გლეხის მოსავალს საბაზრო ფასებში გადავიყვანთ, გამოდის, რომ მის მიერ წლიურად მიღებული ხორბლის ღირებულება შეადგენდა დაახლ. 45 მინალთუნს, ხოლო ქერის მოსავალი – 13-14 მინალთუნს.

საბატონო გლეხები მოსავლის დაახლოებით მეექვსედს,[781] ხოლო სახასო გლეხები ერთი მეხუთედიდან ერთ მეათედამდე[782] იხდიდნენ მარცვლეულის გადასახადს – ღალას. ორივე კატეგორიის გლეხებისთვის თუ ღალის საშუალო ოდენობას მივიჩნევთ

---

[778] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 379.

[779] სახელმწიფო გადასახადიც შესაბამისი პროპორციულობით იყო გაწერილი – ორი წილი ხორბალი, ერთი წილი ქერი.

[780] როგორც აღინიშნა, თბილისის პოლიცმაისტერ იოსებ შაგუბატოვის ცნობით, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, კოდის მოცულობის გაზრდის პირობებშიც, დღიურ მიწაზე ითესებოდა 2,5 კოდი ხორბალი, მოსავლიანობა კი ათჯერადიც ყოფილა. იხ.: მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 53.

[781] დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, გვ. 140.

[782] ი. ანთელავა. სახელმწიფო გლეხთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბ. 1970, გვ. 144.

მოსავლის მერვედს, მოწეული მარცვლეულიდან გლეხის გადასახადი იქნებოდა დაახლ. 8-9 კოდი ხორბალი და 4 კოდი ქერი. თითოეული კომლი, ასევე ვალდებული იყო ყოველწლიურად, სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაეხადა 2 კოდი ხორბალი და 1 კოდი ქერი.

როგორც უკვე აღინიშნა, ფეოდალურ ეპოქაში ერთი ადამიანის გამოსაკვებად, თვეში იანგარიშებოდა 1 კოდი ხორბალი. აქედან გამომდინარე, ერთი სრულწლოვანი ადამიანის გამოსაკვებად მთელი წლის განმავლობაში, გათვალისწინებული იყო 12 კოდი ხორბალი. 5-6-წევრიანი კომლის გამოსაკვებად, სადაც 2-3 სრულწლოვანი ადამიანი ცხოვრობდა, საჭირო იქნებოდა დაახლ. 50 კოდი მარცვლეული. ამას თუ დავუმატებთ საბატონო და სახელმწიფო ნატურალურ გადასახადებს, ასევე მოსავლის მისაღებად გასაწევ გარკვეულ ხარჯებს, საშუალო შეძლების გლეხს ყოველწლიურად დაახლ. 5 კოდამდე ხორბლის მარაგის შექმნა ან გაყიდვა შეეძლო. 5 კოდი ხორბლის ფასი კი 3-4 მინალთუნი იყო. გლეხის მეურნეობიდან, უკეთეს შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა 2-4 მინალთუნის ქერის ბაზარზე გატანა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბაზარზე გატანილი პროდუქტის გაყიდვით მიღებული ფულადი სახსრებიც ხშირ შემთხვევაში, დამატებით დაწესებულ სახელმწიფო ან ფულად-საბატონო გადასახადებს ხმარდებოდა.

ზოგიერთ შეძლებულ გლეხს გაცილებით დიდი მოსავალი ჰქონდა. მაგალითად, ქართლში გლეხი ბერუაშვილი ყოველწლიურად ხნავდა 15 დღიურს, ბურნაძე – 30 დღიურს, გუნიაშვილი – 18 დღიურს, მაისურაძე – 25 დღიურს.[783]

აქვე მოკლედ შევეხებით მევენახეობის შედეგად მიღებულ მოსავალს. როგორც აღვნიშნეთ, ერთი ვენახიდან გლეხი წელიწადში დაახლ. 1200 ლიტრა ღვინოს იღებდა. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში არსებული ფასის გათვალისწინებით, 1200 ლიტრა ღვინის ღირებულება გამოდის დაახლ. 40 მინალთუნი, ანუ 4 თუმანი. მევენახეობიდან მიღებული მოსავლის დიდი ნაწილიც პირადი მოხმარებისა და გადასახადებისთვის იყო გათვალისწინებული. გლეხს მხოლოდ ღვინის მცირე ნაწილის გატანა შეეძლო ბაზარზე.

გლეხებს ბოსტნეული, ხილი და სხვა საჭირო პროდუქტებიც მოჰყავდათ. ამ პროდუქციის მოცულობა უმნიშვნელო იყო. აღნიშნული პროდუქტებიც პირად მოხმარებასა და გადასახადებს ხმარდებოდა, შესაბამისად, ბაზარზე ნაკლებად გადიოდა. თუმცა იყო გამონაკლისებიც, მაგალითად, გიულდენშტედტი გადმოგვცემს, რომ კახეთის ზოგიერთ სოფელში „ყოველი ოჯახი წლიურად იღებს 2-4 ფუთ აბრეშუმის პარკს, ხოლო გირვანქას ყიდიან 60-90 კაპიკად“.[784] დასახელებული ოდენობის აბრეშუმი 100 მინალთუნზე მეტი ღირებულების იყო. ქვეყნიდან დიდი რაოდენობით ენდროს ექსპორტიც ხორციელდებოდა, რომელსაც, ბუნებრივია, გლეხები მოიპოვებდნენ. თუმცა, ასეთი დამატებითი შემოსავალი ყველა სოფლის მოსახლეობას არ ჰქონდა.

ოჯახების დიდ ნაწილს ჰყავდათ ძროხა, ან ხარ-კამეჩი, ცხვრები, ქათმები, იშვიათად ცხენი და ა.შ. რაც გარკვეულ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა.

---

[783] ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 162-163.

[784] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 35.

ერთი სიტყვით, საშუალო შეძლების გლეხის ყოველწლიურად წარმოებული პროდუქციის ღირებულება 100 მინალთუნს, ანუ 10 თუმანს აღემატებოდა, რომლის უდიდესი ნაწილი ოჯახის გამოკვებასა და გადასახადებს ხმარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხს ბაზარზე გასატანად მოწეული მოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი რჩებოდა, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ბაზართან კავშირი საკმაოდ ინტენსიური ყოფილა – ი. ანთელავას პროცენტული გაანგარიშებით, რაც XIX საუკუნის დასაწყისის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს ეფუძნება, სოფლის მეურნეობასთან ერთად, სავაჭრო საქმიანობას (ანუ ბაზარზე პროდუქციის გატანას) ეწეოდა გორის მაზრის გლეხთა 77%, სიღნაღის და თელავის მაზრების გლეხთა 80%-ზე მეტი და ანანურის მაზრის გლეხთა 50%-მდე.[785]

ასეთ სურათს ვიღებთ XVIII საუკუნეში საშუალო შეძლების გლეხთა მეურნეობის რეალური მოცულობის შესახებ. თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საშუალო შეძლების ოჯახებისაგან განსხვავებით, უმიწო და მცირემიწიან გლეხებს გაცილებით რთულ ეკონომიკურ ვითარებაში უწევდათ ცხოვრება. რაც შეეხება მცირერიცხოვან მდიდარ გლეხებს, მათ მიერ მოწეული ყოველწლიური პროდუქციის ღირებულება ზოგ შემთხვევაში 5-ჯერ და მეტჯერ აჭარბებდა საშუალო შეძლების გლეხის მოსავლის ოდენობას.[786]

ამჯერად, მოკლედ შევეხოთ გლეხების საბატონო და სახელმწიფო გადასახადების ოდენობას. როგორც ვნახეთ, გლეხები სახელმწიფო გადასახადს იხდიდნენ, ძირითადად, მარცვლეულის სახით, რომელსაც „კოდის პური“ ეწოდებოდა. „კოდი პურის“ გადასახადის ოდენობა XVIII საუკუნის დასაწყისში შეადგენდა 3 კოდ ხორბალს და 1 კოდ ქერს. კოდი ამ პერიოდში 30 კგ.-ს იტევდა, ხოლო XVIII საუკუნის II ნახევარში, როდესაც კოდის მოცულობა 36 კგ.-მდე გაიზარდა, გადასახადის მოცულობა განისაზღვრებოდა 2 კოდი ხორბლით და 1 კოდი ქერით. XVIII საუკუნის II ნახევარში 3 კოდი ხორბლის და ქერის ღირებულება უდრიდა დაახლ. 1,8 მინალთუნს. წყაროებში თითქმის მუდმივად ვხვდებით დამატებით, ე.წ. „დებულებას გარდა“ დაწესებულ სხადასხვა სახელმწიფო გადასახადს. ამ გადასახადების ფულადი გამოხატულება წელიწადში დაახლოებით 1 მინალთუნს უტოლდებოდა.[787]

გლეხები ასევე იხდიდნენ სამოხელეო და სხვა სახის გადასახადებს. როგორც ზემოთ ითქვა, ბაზარზე გატანილი პროდუქციიდან მიღებული მცირე ფულადი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სახის გადასახადებს ხმარდებოდა.

მრავალფეროვანი იყო საბატონო გადასახადებიც. ძირითადი საბატონო გადასახადის – ღალას და კულუხის გარდა, არსებობდა სააღდგომო, საშობაო და სხვა გადასახადებიც. აქვე უნდა აღინიშნოს შრომამიგებითი ბეგარაც, ანუ ფეოდალის სასარგებლოდ ბატონის ზვარ-ხოდაბუნებში მუშაობა, რაც არანაკლებ მძიმე გადასახადს წარმოდგენდა.

---

[785] ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 164.

[786] გლეხური მეურნეობის ყოველწლიური შემოსავლების შესახებ ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. მასალები XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XI. თბ. 2016, გვ. 155-166.

[787] იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 109-110.

იმისათვის, რომ დეტალური წარმოდგენა შეგვექმნას ყოველწლიურად გლეხების მიერ მებატონისათვის გადახდილი გადასახადების ოდენობის შესახებ, მოვიხმობთ ერთ-ერთ ცნობას – XVIII საუკუნის დასასრულის საბუთში აღნიშნულია: „ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ ციცის-შვილმან ნიკოლოზმან და ძმამან ჩემ{მ}ან ამილღაბარმან... ეს პირობა დაგიდევით და მოგეცით თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს ციცისშვილს გიორგის მინბაშსა, ასე რომ თქვენი თხუთმეტი თუმანი ემართა ჩემს ყმას პარკუაშვილს, მოთაბ{ა}რის(?) თამასუქითა. ალალ ახათ დაედვა ეს თეთრი პარკუაშვილსა. ჩვენ, ნიკოლოზმან, და ჩემ{მ}ა ძმამ ამილღაბარმა... ეს პარკუაშვილი ისაია ცამეტს წელიწადს შენს თეთრში მოგეცით, რომ ამ ცამეტს წელიწადში ჩვენ უარზე არა გაუაროთ, არც არა ვთხოვოთ, არც სახემწიფო, არც საქვეყნო, არც ჩვენი სამსახური ვთხოვო. ამ ცამეტს წელიწადში თქვენი თეთრი უნდა აიღოთ ამ კაცისაგანა. ჩვენ არაფერი საქმე ამ კაცთან არ გვექნება. ამ ც{ა}მ{ე}ტს წელიწადს უკან ამ პარკუაშვილთან თქვენ ხელი აღარ გექნება, ისევ ჩვენი იქნება...“. საბუთს აქვს მინაწერი: „თხუთმეტი თუმანი და ნახევარი დადგა თავნი და სარგებელი“.[788]

როგორც ვხედავთ, ყმის ვალზე პასუხისმგებლობას იღებდნენ მისი ბატონები – ნიკოლოზ და ამილღაბარ ციციშვილები და მოვალეს, მინბაშ გიორგი ციციშვილს 13 წლით უთმობდნენ თავის ყმას. 13 წელიწადში გლეხს საბატონო გადასახადების გადახდით უნდა დაეფარა ვალის ძირითადი თანხა – 15 თუმანი და სარგებელი, ანუ პროცენტი, რაც შეადგენდა 0,5 თუმანს. ყმა-გლეხის მესაკუთრე პირობას იძლეოდა, რომ ამ წლების განმავლობაში, გლეხის სახელმწიფო გადასახადებსაც არ მოითხოვდა. ჩანს, მებატონეს თავად უნდა დაეფარა თავისი ყმის სახელმწიფო ვალდებულებები. მოცემული მონაცემების თანახმად, გლეხის 1 წლის საბატონო და სახელმწიფო გადასახადების საერთო ჯამი შეადგენს დაახლ. 1,2 თუმანს, ანუ 12 მინალთუნს (15,5 თუმანი, ანუ 155 მინალთუნი გაყოფილი 13 წელზე). როგორც არაერთხელ აღინიშნა, გლეხები გადასახადებს, ძირითადად, ნატურალური პროდუქციის სახით იხდიდნენ, შესაბამისად, 12 მინალთუნის გადასახადში იგულისხმება, როგორც ნატურალური პროდუქტების ღირებულება, ისე ფულადი გადასახადები. ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის II ნახევარში გლეხს ყოველწლიურად დაახლ. 12 მინალთუნის, ანუ 60 აბაზის ღირებულების საბატონო და სახელმწიფო გადასახადების გადახდა უწევდა, საიდანაც დიდი ნაწილი – დაახლ. 9 მინალთუნი საბატონო გადასახადებზე მოდიოდა. შედარებით ნაკლებად იბეგრებოდნენ სახელმწიფო, ანუ სახასო და საეკლესიო გლეხები. რაც შეეხება შრომით ბეგარას, როგორც ჩანს, გადასახადის ეს სახეობა თანხობრივად არ იანგარიშებოდა, თუმცა რეალურად, სოლიდურ გადასახადს წარმოადგენდა.

საგლეხო ფუძის ღირებულება XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოში

XVI-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ძმიმე ეკონომიკური მდგომარეობა სათანადო ადგილას დეტალურად განვიხილეთ. როგორც აღინიშნა, ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ დაწესებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა იზოლაციამ ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური კავშირები დაარღვია. მძიმე ყოფითი პირობები „ტყვეთა სყიდ-

[788] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 153.

ვის“ წამახალისებელ გარემოებად იქცა. ამ ფონზე სავარაუდებელია, რომ დასავლეთ საქართველოში გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულება აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ფასებზე ნაკლები ყოფილიყო. ვნახოთ, რა ვითარებასთან გვაქვს საქმე განსახილველი ეპოქის დასავლეთ საქართველოში.

XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულებას ვხვდებით იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის ყმების წყალობის სიგელში. საბუთში აღნიშნულია, რომ გლეხ გიორგი იაკობიძეს ვალად დაედო პაპუნა წერეთლისაგან ნასეხები 90 მარჩილი. ვალის სანაცვლოდ, წერეთელს მეფისათვის გლეხის ყმობაში აყვანა უთხოვია: „შემოგვეხვეწეთ და ქრთამიც მოგვართვით და ის გიორგი იაკობიძე და მისი შვილი ესტატე, თამაზა და გოდერძი ესენი მათის ცოლ-შვილითა, სახლკარითა, ჭურ-მარანით, სასაფლაო-ეკლესიათა მისის სამართლიანის საქმით ყოვლისფერი თქვენთვის გვიბოძებია...“.[789]

როგორც ვხედავთ, პაპუნა წერეთელმა 90 მარჩილის (270 აბაზის; აბაზი=დაახლ. 5 გრ.), ანუ დაახლ. 1350 გრამ ვერცხლის ფასად შეიძინა „მამულიანი“ გლეხი, რომელიც, სავარაუდოდ, სახასო ყმა იყო. მართალია, წერეთელმა თხოვნით მიმართა მეფეს და „ქრთამიც“ (მოსაკითხი) მიართვა, რაც ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ გლეხის ფასი მაინც ძალიან დაბალი ჩანს.

1727 წლის ყმის დაგირავების წიგნში ვკითხულობთ, რომ კაცია ქართველიშვილს შალვა ბაქრაძისაგან ვალად აუღია „სამოცდა თექ[ვ]სმეტი და ნახევარი მარჩილი. გლეხი დაგიწინდე მახარობელი კოჩაძე... თუ მოგცე ამ გიორგობის თვეში შენი თეთრი, თვარა გლეხიც ღმერთმა მოგახმაროს...“.[790]

როგორც საბუთიდან ჩანს, გლეხი დაგირავებული ყოფილა 76,5 მარჩილად, ანუ დაახლ. 1150 გრამ ვერცხლად. რა თქმა უნდა, გლეხის გასაყიდი ფასი დასაგირავებელ ფასზე მაღალი იქნებოდა, მაგრამ ქართლ-კახეთის ფასებთან შედარებით, საგრძნობლად დაბალი ჩანს.

1727 წელსვე მანუჩარ ქავთარაძემ ქველი [წერეთელს] 160 მარჩილად მიყიდა „აჭარაძე ბეჟია და მისი შვილი პაპუნა, შვილთა და მამავალითა მისის მამულითა, სახნავითა, უხნავითა, საძებრითა, უძებრითა, მთითა და ბარითა, რისიც მქონებელი იყოს დღეს...“.[791]

ამ შემთხვევაში, ერთი სრულფუძიანი კომლი გაყიდულა 160 მარჩილად, ანუ დაახლ. 2400 გრამ ვერცხლად.

იმავე წლის კიდევ ერთი საბუთის მიხედვით, ერთი მამულიანი კომლი გაყიდულა 123,5 მარჩილად, ანუ დაახლ. 1850 გრამ ვერცხლად.[792]

1735 წლის ახლო ხანებში შედგენილ ყმების ნასყიდობის წიგნის მიხედვით, ქველი წერეთელს 250 მარჩილად, ანუ 3750 გრამ ვერცხლად უყიდია საკმაოდ შეძლებული, ორი ოჯახისაგან შემდგარი, გლეხის კომლი, რომელთა მფლობელობაში მიწასთან ერთად, წისქვილი და სათიბიც ყოფილა.[793]

---

[789] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 456-457.
[790] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 461.
[791] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 462-463.
[792] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 464.
[793] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 466.

XVIII საუკუნის შუა ხანების ყმის გირავნობის წიგნის მიხედვით, ქაიხოსრო ზაალისშვილმა 140 მარჩილად, ანუ 2100 გრამ ვერცხლად კაპანაძის „მამულიანი“ კომლი დააგირავა. 1 წელიწადში ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, მათი დათმობის პირობას დებდა.[794]

როგორც ვხედავთ, იმერეთში გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულება აღმოსავლეთ საქართველოში დაფიქსირებული ფასების დაახლოებით ნახევარს შეადგენდა. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოშიც ვხვდებით შედარებით დაბალი ფასის სანაცვლოდ, ყმა-მამულის გაყიდვის შემთხვევებს, მაგრამ დასავლეთ საქართველოში მათი ღირებულების სიმცირე თვალშისაცემია. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმერეთის მსგავსად, დასავლეთ საქართველოს სამთავროებშიც ანალოგიური ვითარება იქნებოდა.

კვლევის საფუძველზე მიღებული სახნავ-სათესი მიწის, ვენახის, მთლიანი საგლეხო ფუძის, გლეხის, ასევე ჯამურად გლეხისა და მისი საგლეხო ფუძის ფასების დინამიკა XI-XVIII საუკუნეების საქართველოში:

თარიღი	**გლეხი (კომლი) და საგლეხო ფუძე**	**ღირებულება**
	საქართველო	
XI საუკუნის II ნახევარი	საგლეხო ფუძის შემადგენელი 11-12 დღიური სახნავ-სათესი მიწა და კარ-მიდამო	24 დრაჰკანი კონსტანტინატი /დაახლ. 700-800 გრამი ვერცხლი
XI საუკუნის II ნახევარი	საგლეხო ფუძის შემადგენელი ვენახი	14 დრაჰკანი კონსტანტინატი /დაახლ. 400-450 გრამი ვერცხლი
XI საუკუნის II ნახევარი	საგლეხო ფუძე	38 დრაჰკანი კონსტანტინატი /დაახლ. 1100-1200 გრამი ვერცხლი
XI საუკუნის II ნახევარი	გლეხი (კომლი)	18 დრაჰკანი დუკატი /დაახლ. 600 გრამი ვერცხლი
XI საუკუნის II ნახევარი	**გლეხი და საგლეხო ფუძე**	დაახლ. 56 დრაჰკანი კონსტანტინატი/დუკატი /1600-1800 გრამი ვერცხლი /530-600 დრამა (დრამა=3 გრ.)
XII-XIII საუკუნეების მიჯნა	საგლეხო ფუძის შემადგენელი 11-12 დღიური სახნავ-სათესი მიწა და კარ-მიდამო	24 დრაჰკანი /დაახლ. 900-950 გრამი ვეცხლი
XII-XIII საუკუნეების მიჯნა	საგლეხო ფუძის შემადგენელი ვენახი	დაახლ. 550-600 გრამი ვერცხლი
XII-XIII საუკუნეების მიჯნა	საგლეხო ფუძე	დაახლ. 1500 გრამ ვერცხლი (?)
XII-XIII საუკუნეების მიჯნა	**გლეხი და საგლეხო ფუძე**	(?)

[794] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 35.

XIII საუკუნის II ნახევარი	**გლეხი და საგლეხო ფუძე**	570-620 თეთრი/დაახლ. 1550-1700 გრამი ვერცხლი
XV–XVI საუკუნეები	საგლეხო ფუძის შემადგენელი 11-12 დღიური სახნავ-სათესი მიწა და კარ-მიდამო	800 გრამი ვერცხლი
XV–XVI საუკუნეები	საგლეხო ფუძის შემადგენელი ვენახი	700-800 გრამი ვერცხლი
XV–XVI საუკუნეები	საგლეხო ფუძე	1500-1600 გრამი ვერცხლი
XV–XVI საუკუნეები	გლეხი (კომლი)	1000 თანგა (?) /2000 გრამი ვერცხლი (?)
XV–XVI საუკუნეები	**გლეხი და საგლეხო ფუძე**	3500 გრამი ვერცხლი (?)
აღმოსავლეთ საქართველო		
XVII-XVIII საუკუნეები	საგლეხო ფუძის შემადგენელი 11-12 დღიური სახნავ-სათესი მიწა და კარ-მიდამო	1200-1300 გრამი ვერცხლი /დაახლ. 3,3-3,5 თუმანი (აბაზი=7,5 გრ.) /8,2-9 თუმანი (აბაზი=2,9 გრ.)
XVII-XVIII საუკუნეები	საგლეხო ფუძის შემადგენელი ვენახი	700-800 გრამი ვერცხლი /დაახლ. 1,9-2,2 თუმანი (აბაზი=7,5 გრ.) /დაახლ. 5,5 თუმანი (აბაზი=2,9 გრ.)
XVII-XVIII საუკუნეები	საგლეხო ფუძე	დაახლ. 1900-2100 გრამი ვერცხლი /5-6 თუმანი (აბაზი=7,5 გრ.) /13-14 თუმანი (აბაზი=2,9 გრ.)
XVII-XVIII საუკუნეები	გლეხი (კომლი)	1900-2300 გრამი ვერცხლი /დაახლ. 5-6 თუმანი (აბაზი=7,5 გრ.) /დაახლ. 13-14 თუმანი (აბაზი=2,9 გრ.)
XVII-XVIII საუკუნეები	**გლეხი და საგლეხო ფუძე**	3750-5200 გრამი ვერცხლი /დაახლ. 10-14 თუმანი (აბაზი=7,5 გრ.) /დაახლ. 25-35 თუმანი (აბაზი=2,9 გრ.)
დასავლეთ საქართველო		
XVII-XVIII საუკუნეები	**გლეხი და საგლეხო ფუძე**	დაახლ. 1800-2500 გრამი ვერცხლი

თუ მხედველობაში არ მივიღებთ XVI–XVIII საუკუნებში დასავლეთ საქართველოში შექმნილ სპეციფიკურ ეკონომიკურ ვითარებას, გლეხისა და მისი ფუძის საბაზრო ღირებულება XI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე გაზრდილა საშუალოდ, 2-5-ჯერ.

ძირითადი საკვები პროდუქციის – მარცვლეულის, ასევე ღვინის ფასების ანალიზ-მა გვიჩვენა, რომ აღნიშნული საუკუნეების განმავლობაში, ქვეყანაში ინფლაციური პროცესები პრაქტიკულად არ შეინიშნებოდა. ამდენად, გლეხისა და საგლეხო ფუძის ფასის ზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელი უნდა იყოს.[795]

[795] საკითხს დეტალურად ქვემოთ, სისხლის ფასების განხილვისას შევეხებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ვინაიდან, XIII საუკუნიდან ქართული სახელმწიფო პოლიტიკურ უკუსვლას განიცდიდა, რთული წარმოსადგენი ხდება პროცესების ამგვარი განვითარება. შედეგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებულ მოსაზრებას ვხვდებით. მსგავსი მოსაზრება შემოგვთავაზა ს. კაკაბაძემ, თუმცა ავტორი საგლეხო ფუძის ფისკალური ანალიზის დროს, არ ითვალისწინებდა ცნობების უმეტესობას. მისი მოსაზრებით, XII-XIII საუკუნეებში საგლეხო ფუძე, ანუ 12 დღიური მიწა და ვენახი ფასობდა, არა 36-40, არამედ 80 დრაჰკანად. ს. კაკაბაძე დასახელებულ თანხას ადარებდა რა XVII საუკუნის საგლეხო ფუძის ფასს, აღნიშნავდა, რომ ქვეყანამ გაიარა აშკარა გაღარიბების პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი XVII საუკუნის საგლეხო ფუძის ღირებულების განსაზღვრისას, იმოწმებდა „განჩინებას დიდი მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასიხლო საქმეზე“, რომელშიც ცალსახად, რამდენიმე ადგილას გლეხის ღირებულებად 10 თუმანია მითითებული, რატომღაც აღნიშნავდა, რომ გლეხი და მისი მიწა 5 თუმნად ყოფილა შეფასებული. იხ.: ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. I, გვ. 26; საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში. მნათობი. № 2. ტფ. 1924, გვ. 223-224.

X. ფეოდალების ქონება XI-XVIII საუკუნეებში

ფეოდალების ქონება XI-XV საუკუნეებში

ქართული საფეოდალოების ისტორია და ფეოდალთა მიწისმფლობელობა სათანადოდ არის შესწავლილი.[796] ამჯერად, ჩვენს მიზანს წარმოადგენს ფეოდალური სახლის ქონების თანხობრივი განსაზღვრა. ბუნებრივია, ფეოდალური სახლების ქონების მოცულობის დადგენას არსებული კვლევების საფუძველზე შევეცდებით.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული ფეოდალური ეპოქის დიდებულებისა თუ აზნაურების მფლობელობის შესახებ დეტალური ცნობები არ მოგვეპოვება, ქართველი ფეოდალების ქონების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა მაინც შესაძლებელია. როგორც აღინიშნა, რკონის დაწერილის მიხედვით, XIII საუკუნის შუა ხანებში დაახლ. 65-70 კომლით დასახლებული სოფელი 65 000 თეთრად გაიყიდა. საბუთის შემდგენლის – კახა თორელის სიტყვით, მონღოლური ხარკის სიდიდის გამო, იმ პერიოდში „ოქროჲ ძუირად იყვის და სოფელი იეფად“. მონღოლთა ბატონობით გამოწვეულ დევალვაციამდე, როგორც სახნავ-სათესი მიწისა და ვენახის ფასის განხილვამ გვიჩვენა, ყმა-მამულის ფასი დაახლ. 20-30%-ით ძვირი მაინც უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში დასახელებული სოფლის ღირებულება 80 ათასი თეთრის ფარგლებში უნდა ვივარაუდოთ. ამდენად, 60-70 კომლით დასახლებული 1 სოფლის მფლობელი ფეოდალის ქონების ღირებულება 65-80 ათას თეთრს უტოლდებოდა. ხოლო ის დიდებულები, რომელთა მფლობელობაში იყო 10-15 მსგავსი სიდიდის სოფელი და ამ სოფლებში მოსახლე 600-1000 კომლი გლეხი, მათი სიმდიდრე დაახლ. 600 ათასიდან 1 მილიონზე მეტ თეთრად იქნებოდა შეფასებული. განვითარებული ფეოდალური ეპოქის საქართველოში ზოგიერთი დიდებული გაცილებით დიდი ოდენობის ყმა-მამულის მფლობელად გვევლინება. მაგალითად, დიდი ქონების მფლობელები იყვნენ მხარგრძელთა საგვარეულოს წევრები. საინტერესოა, რომ XIII საუკუნის დასაწყისში ქართველთა ჯარის მიერ ხლათის გარემოცვის დროს ტყვედ ჩავარდნილი ივანე ათაბაგის გამოხსნა მოხერხდა დიდძალი ტყვეების გათავისუფლების, ციხეების დაბრუნების და 100 000 ოქროს დინარის გადახდის შემდეგ.[797] 100 000 ოქროს დინარი აღნიშნულ ეპოქაში უდრიდა დაახლ. 1 200 000 დრამას (დრამა=3 გრ.). ამდენად, ათაბაგის გამოსახსნელად მხოლოდ ფულადი სახით, 60-70 კომლით

[796] იხ.: დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან. თბ. 1955; ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწ. I-II. თბ. 1935; გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სომხით-საბარათიანოს სათავადოები. თბ. 1955; მ. ქიქოძე. ქართული სათავადოების ისტორიიდან XV-XVIII სს. საამილახვრო. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 35. თბ. 1963, გვ. 7-113; ო. სოსელია. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბ. 1966; მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003 და სხვ.

[797] თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. № 2. თბ. 1974, გვ. 178.

დასახლებული 15-20 სოფლის ღირებულების თანხა გადაუხდიათ. ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად მხარგრძელთა ფეოდალურმა სახლმა გაიღო აღნიშნული თანხა, თუ ქართულმა სახელმწოფომ, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, დიდძალ გამოსასყიდთან გვაქვს საქმე, რაც ხაზს უსვამს ივანე ათაბაგის, როგორც ფეოდალის და როგორც სახელმწიფო მოხელის, სიდიადეს და ქონებრივ შესაძლებლობებს.

დიდი რაოდენობით სოფლებსა და ყმა-გლეხებს ფლობდა ეკლესიაც. აღნიშნულ ეპოქაში მხოლოდ სვეტიცხოვლის ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენდა მრავალი სოფელი და იქ მოსახლე ასობით გლეხი.[798]

ფეოდალების ქონება XVI-XVII საუკუნეებსა და XVIII საუკუნის დასაწყისში

შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა გვაძლევს საშუალებას, რომ XVII-XVIII საუკუნეების ფეოდალების ქონების ოდენობას უფრო დეტალურად გავეცნოთ. XVII-XVIII საკუნეების ფეოდალთა მფლობელობის განხილვამდე, შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ XIII საუკუნის სოფლის ღირებულება – 65 000 თეთრი, XVII საუკუნის საფასის გათვალისწინებით, უდრიდა 465-470 თუმანს. ხოლო, ივანე ათაბაგის გამოსახსნელად გადახდილი, 15-20 სოფლის შეძენისათვის საკმარისი თანხა, 1 200 000 დრამა (დრამა=3 გრ.),[799] უტოლდებოდა XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისის დაახლ. 9600 თუმანს.

აღნიშნული ეპოქის თავადების ქონების შეფასება, ერთი მხრივ, XVI საუკუნეში არსებულ ვითარებასაც წარმოაჩენს, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოდგენას შეგვიქმნის XI-XV საუკუნეების დიდებულის თუ აზნაურის ქონებაზეც. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გლეხისა და საგლეხო ფუძის ფასი XI საუკუნიდან ეტაპობრივად იზრდებოდა და XVII-XVIII საუკუნეებისათვის დაახლოებით 2,5-3-ჯერ აღემატებოდა XI საუკუნის ფასებს. ამდენად, პირობითად, XI საუკუნეში 1000 კომლი ყმა-გლეხის მფლობელი ფეოდალის ქონება დაახლოებით 1,5/1,7-ჯერ ნაკლები ფულადი თანხით შეფასდება XV საუკუნეში იმავე ოდენობის ყმების მფლობელი ფეოდალის ქონებასთან, ხოლო 2,5-ჯერ ნაკლებად – XVII-XVIII საუკუნეებში 1000 კომლის მფლობელი თავადების ქონებასთან შედარებით.

საამილახვროს ქონება

ჩვენამდე მოაღწია გვიანფეოდალური საქართველოს ზოგიერთი რეგიონის მოსახლეობის აღწერის დავთარმა. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ფეოდალების უძრავი ქონებისა და ყმა-გლეხთა ღირებულების მიახლოებითი

[798] სატაძრო მფლობელობის შესახებ იხილეთ: ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები. თბ. 1966; საქართველოს საპატრიარქო და მისი მიწათმფლობელობა. თბ. 2010.

[799] უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ეპოქის წყაროებში ქართული საფასის სახელწოდება იყო თეთრი და არა დრამა, თუმცა, რადგან თეთრის წონა, ზოგადად, 3 გრამზე ნაკლები იყო, ხოლო XII საუკუნეში, „ვერცხლის კრიზისის“ გამო, მხოლოდ სპილენძის მონეტები იჭრებოდა (რომელსაც ვერცხლის მონეტების კურსი უნდა ჰქონოდა), ვერცხლის ფულს ჩვენ პირობითად, დრამად მოვიხსენიებთ.

გამოთვლა. თავდაპირველად, განვიხილავთ ქართლის ერთ-ერთი დიდი სათავადოს – საამილახვროს საერთო ქონების თანხობრივ გამოხატულებას.

XVII საუკუნის II ნახევრის აღწერის დავთრის მიხედვით, საამილახვროში ცხოვრობდა 901 კომლი გლეხი. სათავადოში ყმა-მამულები შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: ყმა-გლეხების ნაწილი ამილახვრებზე დაქვემდებარებულ სამთავნელს, ნათლისმცემლის მონასტერს და შიო-მღვიმეს, ნაწილი რამდენიმე ათეულ ამილახვრის ყმა აზნაურს ეკუთვნოდა. 400 კომლი გლეხი კი საამილახვროს საერთო საკუთრებას წარმოადგენა, საიდანაც 350-ზე მეტი „მესაურე“, ანუ გადასახადის გადამხდელი „მამულიანი“ გლეხი იყო, დანარჩენი – „ბოგანოები“.[800] სათავადოს კუთვნილი ყმების მრავალმხრივი შიდა განაწილების მიუხედავად, ყმა-მამულების მთელი ფონდი ამილახვრების საკუთრებად ითვლებოდა. რადგან ჩვენ ვიცით გლეხისა და მისი „საქონებელის“ ფასი, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია საამილახვროს ყმების ღირებულების განსაზღვრა. როგორც აღინიშნა, საშუალო შეძლების გლეხი XVII-XVIII საუკუნეებში 10-14 თუმნად ფასობდა, ამდენად, ამილახვრების სათავადოში მცხოვრები 901 გლეხისა და მათ სარგებლობაში არსებული მიწების მიახლოებითი ღირებულება 10-12 ათასი თუმნის ფარგლებში იქნებოდა.

დიდი სათავადოს ქონება, ცხადია, მხოლოდ ყმა-გლეხების „საქონებელით“ არ შემოიფარგლებოდა. სოფელ ხოვლეს ღირებულების შეფასებისას აღვნიშნეთ, რომ სოფლის ფასი მხოლოდ გლეხის კომლების ღირებულებით არ განისაზღვრებოდა, რადგან სოფელში არსებულ ზვარ-ხოდაბუნებს, ტყეს, საძოვარ-სათიბ მინდვრებს, წისქვილებს, სასახლეს, მარანს, ბეღელს და ა.შ. არცთუ მცირე ფასი ჰქონდა. ამილახვრებს ყმები შემდეგ სოფლებში ჰყავდათ: მოხისში, მეჯვრისხევში, ბერშოეთში, რეხაში, ნაწრეტში, ასში, ბოლში, ახალდაბაში, ახმაჯში, ვერითასში, ჯოხისში, ვანთაში, ტინისხიდში, სობისში, ორჭოსანში, შავშვებში, ავაზანში, ცხვილოსში, ძოვრეთში, ჭალაში, ყურსში, კასპში, კახასში, გერითებში, ფხვენისში, კარბში, ძევერაში, თამარაშენში, წორბისში, ქალაქებში – გორსა და თბილისში.[801] რადგან ამილახვრების ყმა-მამული გადანაწილებული იყო 30-მდე სოფელში (სოფლების ერთი ნაწილი მხოლოდ ამილახვრების მფლობელობაში იყო, ხოლო სოფლების ნაწილს სხვა მემამულეებთან ერთად ფლობდნენ), ცხადია, აღნიშნული სოფლების ველ-მინდვრები, ტყეები, მდინარეები, ზვარ-ხოდაბუნები, წისქვილები და სხვა სავარგულები მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სათავადოში რამდენიმე დიდი თუ მცირე ციხე-სიმაგრე, ეკლესიები და სასახლეები მდებარეობდა, ასევე ამილახვრების რამდენიმე ათეული ყმა აზნაური ცხოვრობდა, უხეში გათვლით, სათავადოს მთლიანი ქონება ყმა-გლეხთა კომლების საერთო ღირებულებაზე ორჯერ მეტი მაინც უნდა ყოფილიყო. ამდენად, ამილახვართა ფეოდალური სახლის ყმა-გლეხებისა და უძრავი ქონების ღირებულება სულ მცირე 20 000 თუმნად მაინც უნდა შეფასდეს.

რაც შეეხება ყმა-გლეხებისაგან მიღებულ ყოველწლიურ შემოსავლებს, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: 901 კომლი ყმა-გლეხების მფლობელობის მიუხედავად, საამილახვროს აზნაურებისა და ეკლესია-მონასტრების ყმები

[800] იხ.: ს. კაკაბაძე. საამილახვროს დავთარი მე-17 ს.-ნის II ნახევრისა.

[801] დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 120.

საბატონო გადასახადებს თავის უშუალო ბატონებს უხდიდნენ (აზნაურებს, მონასტრებს).[802] უშუალოდ ამილახვრების ფეოდალურ სახლს გადასახადებს უხდიდა დაახლ. 400 კომლი, მათგან 50-ზე მეტი ბოგანო იყო.[803] რადგან ზოგიერთი ძლიერი კომლი მეტ გადასახადს იხდიდა, ხოლო ბოგანოები ნაკლებს, საშუალოდ, ოთხასივე კომლი უნდა მივიჩნიოთ თანაბარი გადასახადის გადამხდელად. ზემოთ აღინიშნა, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ნატურით თუ ფულის სახით არსებული საბატონო გადასახადების თანხობრივი ჯამი შეადგენდა დაახლ. 9 მინალთუნს (აბაზი=2,9 გრ.), რაც XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში მოჭრილი 7,5-გრამიანი აბაზების კურსით, 3,5 მინალთუნს შეესაბამებოდა. ამდენად, ყმა-გლეხთა გადასახადებიდან სათავდო სახლის წლიური შემოსავალი იქნებოდა დაახლ. 1400 მინალთუნი. გარდა გლეხების გადახდილი გადასახადებისა, სათავადო სახლის შემოსავლებში უნდა გავითვალისწინოთ, ზვარ-ხოდაბუნებიდან მიღებული მოსავლის საფასური, ფეოდალური საბაჟოებიდან შეკრებილი გადასახადები და სხვა სახის შემოსავლები. ამდენად, ყმა-მამულებიდან საამილახვროს წლიური შემოსავალი 2500-3000 მინალთუნის, ანუ 250-300 თუმნის ოდენობით მაინც უნდა ვივარაუდოთ.

საყაფლანიშვილოს ქონება

საამილახვროსთან შედარებით, კიდევ უფრო დიდ სათავადო სახლს წარმოადგენდა საყაფლანიშვილო. XIX საუკუნის მონაცემებით, აღნიშნული საგვარეულოს მფლობელობაში 180 000-მდე ჰა. ფართობი იყო, რომლის დიდი ნაწილი საძოვრებს წარმოადგენდა. ყაფლანიშვილებს სულ 164 სოფელი ეკუთვნოდათ. სოფლების ნაწილი დაუსახლებელი იყო, ზოგიერთ სოფელში კი ძალიან ცოტა მოსახლეობა ცხოვრობდა. 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერიდან ვიგებთ, რომ სათავადო სახლის საერთო[804] ყმების რიცხვი ყოფილა 1213, მათ შორის, 972 გამომღები და 241 ბოგანო. 155 კომლი კი საერთო ქონებაში არ შედიოდა და ყაფლანიშვილების მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრების საკუთრებას წარმოადგენდა. 1213 საერთო ყმიდან დაახლ. 350 კომლი ყაფლანიშვილთა რამდენიმე ათეული ყმა-აზნაურის საკუთრება იყო. აღსანიშნავია, რომ სათავადოში 650-ზე მეტი აყრილი, აოხრებული და ამოწყვეტილი კომლი ფიქსირდებოდა.[805] საყაფლანიშვილოს გლეხთა უმეტესობას, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ ტაშირსა და მიმდებარე მხარეებში, ვენახები არ ჰქონდათ, სამაგიეროდ, მემინდვრეობასთან ერთად, განვითარებული იყო მეცხოველეობა, მოჰყავდათ სელი და სხვა ტექნიკური კულტურები, ასევე ბრინჯი. ამდენად, გლეხის და მისი საკომლოს

[802] აზნაურს რთულად, თუმცა მაინც შეეძლო თავადისაგან წასვლა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, „ნასყიდობის“ გარდა, მისი კუთვნილი ყმა-მამულები თავადს რჩებოდა. იხ.: გ. აკოფაშვილი. აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XVIII ს. საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 32. თბ, გვ. 85-110.

[803] ს. კაკაბაძე. საამილახვროს დავთარი მე-17 ს.-ნის II ნახევრისა, გვ. III.

[804] დიდ სათავდოებში საერთო ყმა-მამულების გარდა, „სათავისთავო“ და „საუფლისწულო“ ქონებაც იყო. „სათავისთავო“ ოჯახის ცალკეული წევრების პირად საკუთრებას, ხოლო „საუფლისწულო“ დროებით სარგებლობაში არსებულ ქონებას წარმოადგენდა. ქონების დიდი ნაწილი კი ფეოდალური სახლის საერთო მფლობელობაში იყო მოქცეული.

[805] ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწ. I-II, გვ. 138-156.

საშუალო ფასად ამ შემთხვევაშიც, მინიმუმ 10 თუმანი უნდა ვიგულისხმოთ.[806] შესაბამისად, სათავადოს საერთო ყმებისა და მათი საკომლოების ფასი იქნება დაახლ. 12 000 თუმანზე მეტი. დასახელებულ თანხას თუ დავუმატებთ ყაფლანიშვილთა სახლის წევრთა კერძო მფლობელობაში მყოფ 155 ყმასა და მათ „საქონებელს“, ყმების საერთო ღირებულება დაახლ. 13 550 თუმანს გადააჭარბებს. ხოლო, ზვარ-ხოდაბუნების, საძოვრების, ტყეების, სასახლეების, წისქვილების და ა.შ. ჩათვლით, ფეოდალური სახლის ქონება დაახლ. 27 000 თუმნის ღირებულების იქნებოდა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ სათავადო სახლს, როგორც აღინიშნა, ჰქონდა ძალიან დიდი ფართობის სახნავ-სათესი მიწების „რეზერვები“ და საძოვრები. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ მიწას შესაფერისი ღირებულება იმ შემთხვევაში ჰქონდა თუ გლეხებით იყო დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ სათავადო სახლის სარეზერვო მიწის ფონდი იმ პერიოდში რეალურ ფასთან შედარებით, ნაკლებად ფასობდა, საერთო ქონების პოტენციური ღირებულება 27 000 თუმანზე გაცილებით დიდი იქნებოდა და 40000 თუმანს გადააჭარბებდა.

რაც შეეხება სათავადო სახლის შემოსავლებს, შემდეგი ვითარება იკვეთება – გ. ჯამბურიამ, XVIII საუკუნის I ნახევრის სათავადოს საგადასახადო დავთრის მიხედვით, გამოთვალა ღალის სახით გადახდილი მარცველეულის ოდენობა. სათავადოს 56 სოფლში ყოველწლიურად 4530 კოდი ხორბალი, ქერი და ასლი იკრიბებოდა.[807] ვინაიდან რეგიონში მევენახეობა დიდად განვითარებული არ იყო, კულუხის სახით, 110-120 საპალნე გროვდებოდა, XVIII საუკუნის I ნახევრის მონაცემებით კი, კულუხის ოდენობა მხოლოდ 37,5 საპალე ყოფილა.[808] სამაგიეროდ, დიდი იყო მეცხოველეობიდან მიღებული გადასახადები. XVIII საუკუნის დასაწისში გლეხებზე გაწერილი ყოფილა 69 ძროხა, 713 ცხვარი, თხა, ბატკანი და 480 ღორი.[809] გლეხს ევალებოდა გარკვეული ოდენობის სელის, ბამბის და ბრინჯის გადახდაც. გარდა ნატურალური პროდუქტებით მიღებული გადასახადებისა, სათავადოს საერთო ყმებზე გაწერილი ყოფილა 18 თუმანი მალის და 15 თუმანი სასვიანოს გადასახადიც.[810]

გლეხების მიერ სათავადოსათვის გადახდილი ნატურალური პროდუქტების ფულადი ღირებულება ასე გამოიყურება: 4530 კოდი მარცველეულის იმდროინდელი ღირებულება უდრიდა დაახლ. 60-65 თუმანს; 69 ძროხის ფასი შეადგენდა დაახლ. 14 თუმანს, ხოლო 713 წვრილფეხა საქონლის და 480 ღორის – დაახლ. 75 თუმანს. 110 საპალნე ღვინის ფასი კი 15-20 თუმანი იყო. აღნიშნულ თანხას უნდა დავუმატოთ ბრინჯის, სელის, ბამბის, ერბოს, ყველის, ქათმის, კვერცხის და სხვა გადასახადე-

[806] იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სათავადოს ყმების უმეტესობას ვენახი არ ჰქონდა და, ამავე დროს, ბოგანოების რიცხვიც სათავადოში ძალიან დიდი იყო, ჩვენი აზრით, გლეხების კომლების საშუალო ფასი 10 თუმნით უნდა განისაზღვროს.

[807] გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 101.

[808] გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 102-103.

[809] გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 105-106.

[810] გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 107.

აღსანიშნავია, რომ გ. ჯამბურიას აზრით, გარდა ზემოთ დასახელებული თანხის ოდენობისა, „სათავისთავო“ და „საუფლისწულო“ მამულებიდან, დამატებით 60 თუმანი იკრიბებოდა მალის და სასვიანოს გადასახადებიდან. აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან ყაფლანიშვილთა სახლის წევრთა კერძო მფლობელობაში მყოფ 155 ყმა-გლეხზე ვერ გაიწერებოდა საერთო ყმების, ანუ 1213 კომლის გადასახადზე მეტი.

ბიც, რაც საშუალოდ, 50-70 თუმნის ღირებულებად უნდა მივიჩნიოთ. ერთი სიტყვით, გადასახადების სახით მიღებული ნატურალური პროდუქტების ჯამური ღირებულება შეადგენდა დაახლ. 215-240 თუმანს. ხოლო, მალის და სასვიანოს ჩათვლით, საყაფლანიშვილოს ფეოდალური სახლის საერთო მფლობელობაში მყოფ ყმა-გლეხთა გადასახადები წლიურად განისაზღვრებოდა დაახლ. 250-270 თუმნით, ანუ 2500-2700 მინალთუნით.

როგორც ვნახეთ, საყაფლანიშვილოს ფეოდალური სახლის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა 1213 კომლი. მათი ნაწილი – 350 კომლი აზნაურების ყმა იყო. შესაბამისად, უშუალოდ საყაფლანიშვილოს სასარგებლოდ, გადასახადებს იხდიდა 863 კომლი ყმა-გლეხი. თუ გავითვალისწინებთ თარხნების, ანუ გადასახადებისაგან გათავისუფლებულთა ოდენობსაც, შესაბამისად, მებეგრე გლეხების რიცხვი დაახლ. 830-840 კომლით უნდა განისაზღვროს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში საშუალოდ, ერთი გლეხის მიერ ბატონისათვის ყოველწლიურად გადახდილი გადასახადი შეადგენდა 3,5 მინალთუნის ღირებულების პროდუქციასა და ფულად რენტას. აღნიშნული მეთოდით გამოთვლის შემთხვევაში, 830-840 კომლის გადასახადი გამოდის დაახლ. 2900 მინალთუნი, ანუ 290 თუმანი, რაც ძალიან უახლოვდება ჩაშლილად, გადასახადის სახეობების მიხედვით, ჩვენ მიერ ზემოთ გამოანგარიშებული თანხის ოდენობას. მცირე განსხვავება გამოწვეული უნდა იყოს იმ ფაქტით, რომ საყაფლანიშვილოში პროცენტულად დიდი იყო ბოგანოთა რაოდენობა.

რა თქმა უნდა, ფეოდალური სახლის ყოველწლიური შემოსავალი მხოლოდ გლეხთა გადასახადებით არ შემოიფარგლებოდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ორბელიანების სახლის კუთვნილ ზვრებში საშუალოდ, 600 საპალნე ღვინო მოდიოდა, რაც დაახლ. 100 თუმნის ღირებულების იყო. ამასთან, ხოდაბუნებიდან იღებდნენ დიდი რაოდენობით მარცვლეულს. უხვმოსავლიან წელს 12 000 კოდი ხორბლის და ქერის მოსავალიც კი მიუღიათ. ხოდაბუნების, ანუ როგორც საყაფლანიშვილოს დავთრებშია მითითებული – სამეხრეოების,[811] ყოველწლიურ მოსავლიანობად თუ 12000 კოდის ნახევარს ვიგულისხმებთ, გამოდის, რომ სათავადო სახლს აქედან დაახლ. 80 თუმანის პროდუქციის შემოსავალი ჰქონია.

გასათვალისწინებელია, სათავადოს კუთვნილი საქონლის ჯოგების არსებობა,[812] ფეოდალური საბაჟოების მოსაკრებელი და შემოსავლის სხვა წყაროები. საერთო ჯამში, საყაფლანიშვილოს წლიური შემოსავლები სულ მცირე, 4500 მინალთუნით უნდა განისაზღვროს. ფეოდალური სახლის წევრების ცალკეული მფლობელობის ჩათვლით კი, შემოსავლების ოდენობა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა.

ამდენად, ორი სათავადოს განხილვამ გვიჩვენა, რომ XVII საუკუნეში, XVIII საუკუნის დასაწყისში და, სავარაუდოდ, XV-XVI საუკუნეებშიც დიდი ფეოდალური სახლის მფლობელობაში არსებული ყმა-გლეხებისა და უძრავი ქონების მიახლოებითი ღირებულება 20-30 ათას თუმანს უდრიდა. გვიანფეოდალური ეპოქის ქართლის სამეფოში, საამილახვროს და საყაფლანიშვილოს გარდა, მსგავსი სიდიდის ფეოდალურ სახლებს წარმოადგენდა ქსნის საერისთავო, არაგვის საერისთავო, სამუხრანბატონო და საციციანო.

[811] იხ.: გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 99.
[812] იხ.: გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 106.

არაგვის და ქსნის საერისთავოების ქონება

XVII-XVIII საუკუნეებში არაგვისა და ქსნის ერისთავები დიდი ოდენობით ყმა-მამულს ფლობდნენ. 1770 წლის სტატისტიკური მონაცემის მიხედვით, არაგვის საერისთავოს ბარსა და მთაში ითვლებოდა 2000 კომლი, ხოლო ქსნის საერისთავოში 1600 კომლი. გარდა ამისა, არაგვის საერისთავოში ცხოვრობდა 1200 კომლი ეთნიკურად ოსი მოსახლეობა, ქსნის საერისთავოშო კი – 2000 კომლი.[813] აღნიშნულ ცნობაში საერისთავოებში მცხოვრებთა რიცხვი დამრგვალებით არის მოცემული. უფრო დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის 1781 წლის არაგვისა და ქსნის ხეობათა ხალხის აღწერის დავთრებიდან ამოღებული სტატისტიკური ამონაკრები, რომელიც ეხება მხოლოდ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობას. აღნიშნული ცნობის თანახმად, არაგვის საერისთავოში ცხოვრობდა 1775 კომლი გლეხი. აქედან, მთიანი ზონის მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა 1017 კომლს, რომელთა შორის, 58 ბოგანო და ობოლი იყო, ხოლო ბარში მაცხოვრებელი 758 კომლიდან კი, ბოგანოთა და ობოლთა რაოდენობა 175-ს ითვლიდა. აღნიშნულ მონაცემს უნდა დაემატოს ზახას, თრუსოს, ჭვრივს, ხადას და ღუდეს მცოვრები 1200 კომლი ოსი.[814] ერთი სიტყვით, არაგვის საერისთავოს ტერიტორიაზე XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში სულ 2975 კომლი ცხოვრობდა.

1781 წლის მონაცემებით, ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე 1519 კომლი ეთნიკურად ქართველი მოსახლე ფიქსირდება. მათ შორის, მთის რეგიონებში მოსახლეობდა 730 კომლი (აქედან 35 ბოგანო), ხოლო ბარში – 789. ოსების ჩათვლით, ქსნის საერისთავო XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში სულ 3519 კომლ ყმა-გლეხს ითვლიდა,[815] რომლებიც ასობით მცირე და საშუალო სოფელში ცხოვრობდნენ.[816]

იმისათვის, რომ XVI-XVII საუკუნეებსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ერისთავების ქონება შევაფასოთ, რამდენიმე გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: I. XVIII საუკუნის 70-იან წლებში საერისთავოების ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად ოსი მოსახლეობის ჩრდილოეთ კავკასიიდან ეტაპობრივი გადმოსახლება XVI საუკუნის მიწურულიდან უნდა დაწყებულიყო.[817] ამდენად, XVI საუკუნეში საერისთავოების ტერიტორიაზე მათი დასახლებები ნაკლებად არის სავარაუდებელი, ხოლო XVII საუკუნეში დასახელებულზე ბევრად ცოტანი იქნებოდნენ. ამასთან, ნომინალური იყო ოსი მოსახლეობის ყმური დამოკიდებულება აღნიშნული ფეოდალების მიმართ. აქედან გამომდინარე, ეთნიკურად ოს მოსახლეობას ბარის ყმა-გლეხების ღირებულების ანალოგიური ფასი არ ექნებოდა. II. საერისთავოების მოსახლეობის სოლიდური ნაწილი მაღალმთიან ზოლში სახლობდა, სადაც სახნავ-სათესი მიწები ძალზედ ცოტა იყო და მცირე ოდენობის მოსავალი მოჰყავდათ. სავარგულებად კი, ძირითადად, სათემო სა-

[813] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 420.

[814] დ. გვრიტიშვილი. ფეოლალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 102.

[815] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. I, გვ. 247.

[816] საერისთავოების სოფლების ჩამონათვალი იხილეთ: დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 77-83, 98-101.

[817] იხ.: რ. თოფჩიშვილი. ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში. კრებ. საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები. თბ. 2009, გვ. 135-171; რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ. 1997; მ. დუმბაძე. ოსური ახალშენები ქართლის მთიანეთში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 429-432.

თიბ-საძოვრები ითვლებოდა. შესაბამისად, მოსახლეობა თავს მეცხოველეობით ირჩენ-და. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, აღნიშნულ რეგიონში განვითარებული არ იყო მევენახეობა. ერთი სიტყვით, მაღალმთიან ზოლში მცხოვრებთა ფუძე აბსოლუ-ტურად სხვა აგებულების იყო, ხოლო მოსახლეობის ერისთავებზე დამოკიდებულება – კლასიკური ბატონყმური ურთიერთობებისაგან განსხვავებული. მთის მოსახლეობის გადასახადებიც სიდიდით მკვეთრად ჩამოუვარდებოდა ბარში მცხოვრები ყმა-გლეხების გადასახადების ოდენობას. შესაბამისად, ისევე როგორც ეთნიკურად ოსი მოსახლეობის შემთხვევაში, განსხვავებული იქნებოდა მთაში მცხოვრები ყმა-გლეხების ფასიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერისთავთა ქონების შეფასებისას, ამო-სავალ ვითარებად უნდა ავიღოთ ბარში მცხოვრები ყმა-გლეხების ოდენობა. როგორც აღინიშნა, ორივე საერისთავოს ბარში მცხოვრებ გლეხთა ოდენობა 800 კომლზე ნაკლებს შეადგენდა – არაგვის საერისთავოში ბარში ცხოვრობდა 758 კომლი, ქსნის საერისთავოში – 789 კომლი. თითოეულ საერისთავოს ბარში მცხოვრები ყმების მიახლოებითი ღირებულება იქნებოდა 9000 თუმანი. მთაში მცხოვრები ქართველი და ოსი ყმების საერთო ფასად კი, პირობითად, ბარის ყმების ღირებულება უნდა მივიჩნიოთ. ამდენად, თითოეული ერისთავის ყმებისა და მათ მფლობელობაში არსე-ბული მიწების ღირებულებად, საშუალოდ, 18 000 თუმანი უნდა ჩავთვალოთ, ხოლო ციხე-სიმაგრეების, სასახლეების, ზვარ-ხოდაბუნების, საძოვრების, ტყეების და ა.შ. ფასის გათვალისწინებით, მათი საერთო ქონება დაახლ. 30-35 ათასი თუმნით უნდა განისაზღვროს.

ყმა-გლეხთა გადასახადებიდან, ფეოდალური მეურნეობიდან და საბაჟოებიდან საე-რისთავოების ყოველწლიური შემოსავლები, საყაფლანიშვილოს მსგავსად, 4000-4500 მინალთუნის ფარგლებში უნდა მოვიაზროთ.

სამუხრანბატონოს და საციციანოს ქონება

როგორც აღინიშნა, დიდ სათავადო სახლებს წარმოადგენდა სამუხრანბატონო და საციციანო. XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში მათი ქონების შესახებ დაზუსტებული მონაცემები არ მოგვეპოვება. დ. გვრიტიშვილის ვარაუდით, სამუხრან-ბატონოში ყმა-გლეხთა რიცხვი 1600-ზე მეტი უნდა ყოფილიყო, ხოლო საციციანოში – 1400-მდე.[818] დ. გვრიტიშვილი, ყმათა ოდენობის დასადგენად, აღნიშნულ სათავა-დოთა მფლობელობაში არსებული სოფლების რაოდენობას ამრავლებს პოტენციურ მცხოვრებლებზე (20-30 კომლზე), რაც, ჩვენი აზრით, კორექტირებას საჭიროებს – დასაზუსტებელია, მხოლოდ აღნიშნულ სათავადოებს ეკუთვნოდათ ყველა სოფელი, თუ ზოგიერთ მათგანს სხვა მემამულეებთან ერთად ფლობდნენ. ამასთან, არ ვიცით, რამდენ სოფელში ცხოვრობდა მოსახლეობა და რამდენი იყო ე.წ. „დაცლილი“, ანუ დაუსახლებელი სოფელი. მიგვაჩნია, რომ ორივე დასახელებული სათავადო საამი-ლახვროს მსგავსი სიდიდის იქნებოდა.

[818] დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 107-109, 129-130.

როგორც ვხედავთ, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის დიდი ფეოდალური სახლები ყმა-გლეხებისა და უძრავი ქონების სახით, დაახლოებით 20-35 ათასი თუმნის ქონებას ფლობდნენ. სხვა საკითხია, რომ დიდი სათავადო სახლის წევრები ყმა-გლეხთა გადასახადებიდან, სახელმწიფო სამოხელეო თანამდებობებიდან და სხვა წყაროებიდან მნიშვნელოვანი ოდენობით სიმდიდრეს აგროვებდნენ, რის შედეგადაც, მათ ჰქონდათ სოლიდური ფულადი სახსრები და სხვადასხვა სახის ძვირფასეულობა. ეკონომიკური სიძლიერე, თავის მხრივ, განაპირობებდა პოლიტიკურ ძალაუფლებას. შესაბამისად, დიდი სათავადოები პოლიტიკური იმუნიტეტით სარგებლობდნენ.[819]

დიდი სათავადოს ქონების ღირებულება ერთი გლეხისა და მის სარგებლობაში არსებული საგლეხო ფუძის/საკომლოს ფასს (საშუალოდ, 12 თუმანი) დაახლ. 1700-2900-ჯერ აღემატებოდა.

აღნიშნული ექვსი სათავადო სახლის უფროსი პირველი ხარისხის, ანუ „დიდებული თავადის“ რანგში გადიოდა. მათ ქვემოთ მდგომი თავადები წარმოადგენდნენ მეორე ხარისხის, ანუ „შუა თავადის“ კატეგორიას, ხოლო „შუა თავადზე“ ნაკლები შეძლებისანი – „მესამე თავდს“. ანალოგიურ დაყოფას ვხვდებით აზნაურების შემთხვევაში: „დიდი აზნაური“, ანუ „გადიდებული აზნაური“, „შუა აზნაური“ და „ცალმოგვი აზნაური“.[820]

მეორე და მესამე ხარისხის თავადების ქონება

ყველა კატეგორიის ფეოდალის საზოგადოებრივი ადგილი ყმა-გლეხებისა და მიწის მფლობელობის შესაფერისი იყო. მაგალითად, მეორე ხარისხის თავადის კატეგორიაში გადიოდა მაჩაბლების, აბაშიძეების, ჯავახიშვილების და სხვა ფეოდალური სახლის უფროსები, ასევე ზემოთ ჩამოთვლილი დიდი სათავადო სახლის გვერდითი შტოს წევრები – თავადიშვილები. თავადი მაჩაბლები XVIII საუკუნის II ნახევარში ფლობდნენ 100-ზე მეტ ყმას. 1783 წლის ზემო ქართლის საქვეყნო ხარჯის ნუსხის მიხედვით, ფარსადან მაჩაბლის ყმების შეწერილი გადასახადის ოდენობა შეადგენდა 225 კოდ ფქვილს და 22,5 თუმანს, ხოლო ოთხი სხვა მაჩაბლის ყმებს ევალებოდათ 54 კოდი მარცვლეულის და 5,5 თუმნის გადახდა.[821] კონკრეტული გადასახადი იკრიბებოდა ნახევარი ნატურით, ნახევარი ფულად, კომლზე 3 კოდი ფქვილის ანგარიშით. ამდენად, შეწერილი გადასახადის ოდენობის მიხედვით, ფარსადან მაჩაბლის ყმების რიცხვი გამოდის 150 კომლი, ხოლო სხვა მაჩაბლების 36 კომლი. გადასახადების დაწესებასთან დაკავშირებით, ერეკლე II-ის ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ქვრივებს და ობლებს, ანუ უკიდურესად გაჭირვებულებს გადასახადი არ შეეწერებოდათ.[822] გადასახადისაგან გათავისუფლებულთა ჩათვლით კი, მაჩაბლების საერთო ყმების რიცხვი 200 კომლზე მეტი გამოდის, რომელთა უმეტესობას – დაახლ. 170 კომლს, ფარსადან მაჩაბე-

[819] სათავადოს პოლიტიკური უფლებების შესახებ იხილეთ: მ. ქიქოძე. ქართული სათავადოების ისტორიიდან XV-XVIII სს., გვ. 97-98.
[820] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489
[821] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 72-73.
[822] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 70.

ლი ფლობდა. მაჩაბლებს ეკუთვნოდათ რამდენიმე აზნაურიც.[823] როგორც ვხედავთ, გაყრამდე, ანუ ცალკეული ოჯახის წევრების მიერ ყმა-გლეხების გადანაწილებამდე, მაჩაბელთა ფეოდალური სახლი 200-250 კომლს ფლობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავადების კატეგორიებად დაყოფის მიუხედავად, ერთი კატეგორიის თავადებს თანაბარი ოდენობის ყმები არ ჰყავდათ – ზოგიერთი ფლობდა შედარებით მეტ ყმა-მამულს, ზოგიერთი მათგანი ნაკლებს. 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერის მიხედვით, ყაფლანიშვილების განაყოფი ფეოდალური სახლები შემდეგი ოდენობის ყმა-გლეხებს ფლობდნენ: გოსტაშაბიშვილები – 117 კომლს,[824] გერმანოზისშვილები – 117 კომლს, ზურაბიშვილები – 100 კომლს, აბაშიშვილები – 110 კომლს, იოთამიშვილები – 134 კომლს, იორამიშვილები – 105 კომლს.[825] კიდევ უფრო ნაკლები ყმა-მამულების მფლობელებად გვევლინებიან ქავთარიშვილები, რომელთა ყმათა რიცხვი შეადგენდა 78 კომლს, ხოლო ფალავანხოსროშვილები ფლობდნენ 59 კომლს. უკანასკნელი ორი სათავადო სახლი, სავარაუდოდ, მესამე კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ერთი სიტყვით, მეორე ხარისხის თავადები საშუალოდ, 100-250 კომლ ყმა-გლეხს ფლობდნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეორე ხარისხის თავადების ყმებისა და უძრავი ქონების ღირებულება საშუალოდ, 2000-4000 თუმანს შეადგენდა. დროთა განმავლობაში, აღნიშნული ფეოდალური სახლები იყრებოდნენ. შედეგად, ყმა-მამულები რამდენიმე ფეოდალური სახლის ხელში ნაწილდებოდა.

მცირე მემამულე თავადების საკუთრებაში მხოლოდ რამდენიმე ათეული, ზოგჯერ უფრო ნაკლები ყმა იყო. მცირე მემამულეებს ციხე-სიმაგრეები, სასახლეები და ეკლესიები ან არ გააჩნდათ, ან ფლობდნენ მცირე ოდენობით. მათ ხელში არც ბევრი სოფელი და მისი ველ-მინდვრები, არც ფეოდალური საბაჟოები იყო. მცირე ყმა-მამულის მფლობელ თავადებს აზნაურებიც ცოტა ჰყავდათ. შესაბამისად, 50-ზე ნაკლები ყმა-გლეხის მფლობელი ფეოდალის ქონება 1000 თუმანზე ნაკლები იყო. მცირე იყო მათი ყოველწლიური შემოსავლებიც.

აზნაურების ქონება

აქვე მოკლედ შევეხებით აზნაურების ქონებას. როგორც აღინიშნა, XV–XVIII საუკუნეებში აზნაურებიც ყმათა მფლობელობის მიხედვით იყოფოდნენ „გადიდებულ აზნაურად“, „შუა აზნაურად“ და „ცალმოგვ აზნაურად“. აზნაურები წარმოადგენდნენ სამეფო, სათავადო და საეკლესიო საკუთრებას.[826] აზნაურები მცირე ოდენობით

[823] 1781 წლის ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთარში 150-მდე მაჩაბლის ყმა არის შეყვანილი, რომელთა უმეტესობა, დაახლ. 100 კომლი, ფარსადან მაჩაბელს ეკუთვნოდა. აღწერაში მოცემულია მაჩაბლის რამდენიმე აზნაურიც. დავთრები თავნაკლული და ბოლონაკლულია, შესაბამისად, მაჩაბლების ყველა ყმა არ არის დაფიქსირებული. იხ.: ა. თაბუაშვილი. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გვ. 44-72.

[824] ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწ. III-IV. თბ. 1938, გვ. 425.

[825] გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 41-75.

[826] აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ვრცლად იხილეთ:. აკოფაშვილი. აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XVIII ს. საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. 32. თბ. 1955, გვ. 85-110.

ყმა-მამულს ფლობდნენ. ზოგიერთ აზნაურს კი ყმები საერთოდ არ ჰყავდა. XIX საუკუნის დასაწყისის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აზნაურთა უმეტესობას 2-3 ყმა-გლეხი ჰყავდა. აზნაურთა შედარებით მცირე ნაწილი გვევლინება 10 და მეტი კომლის მებატონედ. ზოგიერთი აზნაური კი 20 და 30 ყმა-გლეხსაც ფლობდა. აზნაურებს, ყმა-გლეხების გარდა, სახნავ-სათესი მიწებისა და ვენახის სახით, საკუთარი მეურნეობაც ჰქონდათ. აზნაურები განსხვავებული ოდენობით მიწის ფართობს ფლობდნენ. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ რამდენიმე დღიური მიწის მესაკუთრე იყო, უმეტესი მათგანი კი, 20-დან 150 დღიურამდე, ხოლო ერთეულები 1000 დღიურამდე მიწას ფლობდნენ. იყვნენ უმიწო აზნაურებიც.[827] XVII-XVIII საუკუნეების სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებითაც, აზნაურები დაახლოებით დასახელებული ოდენობის ყმა-გლეხთა მფლობელებად გვევლინებიან.

ამდენად, 18-30 კომლი ყმა-გლეხის მფლობელი აზნაურის ქონება, რამდენიმე ათეული დღიური საკუთარი მიწის ფართობისა და ვენახის ღირებულებასთან ერთად, თანხობრივად დაახლ. 250-500 თუმანს შეადგენდა, იშვიათ შემთხვევაში კი მეტს; 6-15 ყმა-გლეხის მებატონე აზნაურის ქონება უტოლდებოდა 100-200 თუმანს, ხოლო 2-5 ყმა-გლეხის მფლობელი აზნაურის ქონება, საკუთარ მცირე მეურნეობასთან და სახლ-კართან ერთად, უდრიდა 40-100 თუმანს.

ერთი სიტყვით, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში (და სავარაუდოდ, XVI საუკუნეშიც) ფეოდალების საკუთრებაში არსებული ყმა-გლეხებისა და უძრავი ქონების ღირებულება ასე გამოიყურება: გაუყრელი დიდი სათავადო სახლები – 20-35 ათასი თუმანი, „შუა თავადები“ – საშუალოდ, 2000-4000 თუმანი, „მესამე თავადები“ – საშუალოდ, 1000 თუმანი და უფრო ნაკლები; „გადიდებულ აზნაურები“ – საშუალოდ 250-500 თუმანი, „შუა აზნაურები“ – საშუალოდ, 100-200 თუმანი, „ცალმოგვი აზნაურები“ – საშუალოდ, 40-100 თუმანი და უფრო ნაკლები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად-აზნაურების ქონებრივი მდგომარეობა ნაჩვენებია ქართლის სამეფოს მაგალითზე. კახეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში კი, ამ მხრივ, გარკვეულ განსხვავებებს ვხვდებით. კერძოდ, განსახილველი ეპოქის კახეთში დიდი გაუყოფელი სათავდო სახლები პრაქტიკულად არ არსებობდა.[828] კახეთის დიდი ფეოდალების, მათ შორის, ჩოლოყაშვილების, ანდრონიკაშვილების, მაყაშვილების და ა.შ. ყმები გადანაწილებულები იყვნენ რამდენიმე ოჯახს შორის. შედეგად, კახეთში ყველაზე გავლენიანი ფეოდალური სახლები მაქსიმუმ რამდენიმე ასეული (100-300) ყმის მებატონეებად გვევლინებოდნენ.[829] კახეთის ყველაზე დიდი ფეოდალები ქართლის „შუა თავადის“ იდენტურ ქონებას ფლობდნენ.

დასავლეთ საქრთველოს სამთავროების დიდი თავადების ქონების ოდენობაც მკვეთრად ჩამორჩებოდა ქართლის სამეფოს თავადების მფლობელობის მასშტაბებს. რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, ქართლის მსგავსად, დიდი სათავადოები აქაც არსებობდა. წერეთლები და სხვა გაუყოფელი ფეოდალური სახლები მნიშვნელოვანი რაო-

[827] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, გვ. 40-49.
[828] ვრცლად იხილეთ: ნ. ასათიანი. საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII საუკნეების კახეთის სამეფოში. თსუ-ს შრომები. ტ. 77. თბ. 1959, გვ. 27-55.
[829] იხ.: XVIII საუკუნის დასაწყისის კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთარი. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. I, გვ. 9-104

დენობის ყმა-გლეხს ფლობდნენ,[830] თუმცა ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ განსახილველ ეპოქაში დასავლეთ საქართველოში გლეხი და უძრავი ქონება შედარებით იაფად ფასობდა.

რაც შეეხება მესამე ხარისხის თავადებსა და აზნაურებს, მათი ქონების ღირებულება დაახლოებით ქართლის სამეფოს ანალოგიური იყო სხვა სამეფო-სამთავროებში.

თავადების ქონება XVIII საუკუნის II ნახევარში

ქართლის თავადების მფლობელობა გარკვეულწილად შეიცვალა XVIII საუკუნის შუა ხანებსა და ამავე საუკუნის მეორე ნახევარში. ცვლილება ძირითადად, დიდ და, გარკვეულწილად, საშუალო სათავადო სახლებს შეეხო. აღნიშნული ცვლილებები ორმა ფაქტორმა განაპირობა: I. „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ შედეგად, მკვეთრად შემცირდა ქვემო ქართლის მოსახლეობის რაოდენობა. არა იმავე ტემპებით, მაგრამ შიდა ქართლშიც შემცირდა მოსახლეობა. შედეგად, დიდად დაზარალდა საყაფლანიშვილო, საციციანო და მათ მეზობლად არსებული შედარებით მცირე სათავადოები. ყმა-გლეხთა რიცხვი შემცირდა სამუხრანბატონოსა და საამილახვროშიც; II. ერეკლე II-ის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, რომლის მიზანი იყო სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაცია, სათავადოებმა დაკარგეს პოლიტიკური იმუნიტეტი. ქვეყანაში ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარება, რაციონალური მეურნეობების გაჩენა და, პარალელურად, ფეოდალური სახლების საერთო მამულების დეგრადაცია, ძირს უთხრიდა სათავადოთა ეკონომიკურ ძლიერებას. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, დაიწყო სათავადო სახლების რღვევა. ამ პერიოდში თვალშისაცემია თავად-აზნაურთა ქალაქისაკენ სწრაფვაც. თბილისში XVIII საუკუნის მიწურულში 70-ზე მეტი თავადი ცხოვრობდა. მათ აღარ აკმაყოფილებდათ საერთო მამულიდან მიღებული რენტა და ცდილობდნენ ინდივიდუალური – „სათავისთავო“ ქონების შექმნას. XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების ქართლ-კახეთის სამეფოში სათავადო სახლების რღვევისა და ინდივიდუალური მეურნეობის მასობრივი ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო. ვხვდებით მამულების გადანაწილების ფაქტებს ფავლენიშვილთა, ყორჩიბაშიშვილთა, აბაზაძეთა, მაჩაბელთა, გურამიშვილთა, ანდრონიკაშვილთა, ფალავანდიშვილთა, ხიმშიაშვილთა, თუმანიშვილთა, ჩოლოყაშვილთა, რატიშვილთა, დავითიშვილთა, ამირეჯიბთა, თაქთაქიშვილთა, გერმანოზიშვილთა, გარსევანიშვილთა, დიასამიძთა, ავალიშვილთა, ბეგთაბეგიშვილთა, ჯავახიშვილთა, თარხნიშვილთა, ხერხეულიძეთა და სხვა საშუალო სიდიდის სათავადო სახლებში.[831]

რაც შეეხება, ზემოთ დასახელებულ ექვს დიდ სათავადო სახლს, ცვლილება მათაც შეეხოთ. კერძოდ, თუ ერთი მხრივ, აღნიშნული სახლების ყმა-გლეხების ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მეორე მხრივ, იმუნიტეტის დენონსაციამ, ცხადია, დიდ სათავადოთა შიდა მფლობელობაზეც იმოქმედა. პოლიტიკური უფლებების ჩამორთ-

[830] იხ.: ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). II. თბ. 1981.

[831] იხ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 179-181.

მევის ფონზე, სათავადოთა ერთიანობა აღარ იყო ძველებურად აქტუალური. ამავე დროს, არარაციონალურად დამუშავებული საერთო მამული ვეღარ უზრუნველყოფდა თავადიშვილთა მოთხოვნებს და, მიუხედავად გვარის გაუყოფლობის ძირძველი ტრადიციისა, ჩანს, რომ ამ პერიოდში დიდ სათავადოთა მამულები, ფაქტობრივად, რამდენიმე სახლის წევრთა შორის ნაწილდება. სათავადო სახლის ფორმალური ერთიანობის შენარჩუნების მიუხედავად, XVIII საუკუნის II ნახევარში ყაფლანიშვილების ოჯახის წევრები ცალ-ცალკე ფლობდნენ ყმა-მამულებს – დამოუკიდებელ მფლობელებად გვევლინებიან დავით სარდალი, ვახტანგ ყაფლანიშვილი, ზაალ ყაფლანიშვილი და სხვა ოჯახის წევრები.[832] თითოეული მათგანი ფლობდა 100-დან 250-მდე ყმა-გლეხს. შესაბამისად, ყველაზე მეტი ყმა-გლეხის მესაკუთრე ყაფლანიშვილის, ამ შემთხვევაში, დავით სარდლის (გარდაიცვალა 1796 წ.), ქონება დაახლოებით ხუთჯერ ნაკლები ღირებულების იყო წინა ეპოქის ერთიანი ფეოდალური სახლის ქონებასთან შედარებით.

საციციანო სათავადო სახლი ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გაიყო ზემო და ქვემო ციციშვილებად. დროთა განმავლობაში, სათავადოს ერთიანი ქონება ათზე მეტ ოჯახში გადანაწილდა. ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში ციციშვილთა კონკრეტული სახლების ქონება მეორე ხარისხის თავადის ქონებას უტოლდებოდა.

საყაფლანიშვილოს მსგავსად, ფორმალური ერთიანობა შენარჩუნდა საამილახვროსა და სამუხრანბატონოში, მაგრამ მათი ქონებაც მკვეთრად შემცირდა. საამილახვროს ყმა-გლეხთა რაოდენობის გარკვეული შემცირება გამოიწვია „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ დროინდელმა მოვლენებმა. ამასთან, 1765 წლის შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ, ერეკლე II-მ მოახდინა დემეტრე ამილახვრიშვილის წილი ყმა-მამულის კონფისკაცია, რის შედეგადაც, საამილახვროს სოლიდური ნაწილი სამეფო მამულად გამოცხადდა.[833] საამილახვროში ასევე გაძლიერდა ოჯახის წევრთა კერძო მფლობელობა და დაახლ. 150 კომლი გლეხი კერძო მფლობელობაში გადანაწილდა. აღნიშნული მოვლენების ფონზე, 1791 წლის საამილახვროს დავთრის მიხედვით, ფეოდალური სახლის „საერთო“ ქონება მხოლოდ 300 კომლი გლეხით შემოიფარგლებოდა, რომელთა ნაწილი აზნაურებს, ნაწილი ეკლესია-მონასტრებს ეკუთვნოდათ.[834] ამდენად, წინა ეპოქასთან შედარებით, XVIII საუკუნის II ნახევარში ამილახვართა ერთიანი ფეოდალური სახლის ქონება დაახლოებით სამჯერ შემცირებულა.

XVIII საუკუნის II ნახევარში რამდენჯერმე შემცირდა მუხრანბატონების სახლის ქონებაც. ამ პერიოდში მათ მფლობელობაში დაახლოებით 250-300 კომლი ყმა-გლეხი იყო.[835]

ყმა-გლეხების სიმრავლით გამორჩეულ ქსნისა და არაგვის საერისთავოებს რაც შეეხება, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ აღნიშნული საერისთავოები გააუქმეს და სამეფო მამულად გამოაცხადეს.

---

[832] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 181-187.

[833] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 519-525.

[834] ვრცლად იხილეთ: შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები. ტექსტები გამოსცა და შესავალი დაურთო ა. თაბუაშვილმა. თბ. 2010, გვ. 59-100.

[835] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 195-198.

ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში დიდ ფეოდალთა ქონება მნიშვნელოვნად შემცირდა, სამაგიეროდ, მკვეთრად გაიზარდა სამეფო საკუთრებაში არსებული ყმა-მამულების რაოდენობა.[836] აღნიშნულ პერიოდში ქართლის დიდი თავადები ქონებრივი კუთხით, პრაქტიკულად, გაუთანაბრდნენ კახეთის თავადებს.

რაც შეეხება მცირე მემამულე თავადებს და აზნაურებს, ფეოდალური ოჯახების დაშლის შედეგად, მათი ქონებაც იყოფოდა. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მცირე მემამულეთა ოჯახებში გაყრის ფაქტები XVIII საუკუნემდეც ხშირი იყო. შესაბამისად, XVIII საუკუნის II ნახევარში, წინა ეპოქასთან შედარებით, მცირე მემამულეების ქონება მკვეთრად არ შეცვლილა.

[836] ფეოდალების და სახელმწიფო ყმა-გლეხთა ოდენობების შესახებ, ასევე მათი პროცენტული შეფარდება იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 105-108.

XI. სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების (ჯამაგირის) ოდენობა

წყაროებში არ მოიძიება ინფორმაცია განვითარებული ფეოდალური ეპოქის საქართველოში მოხელეთა გასტუმრების წესის შესახებ. არ ვიცით, რა სახის და რა ოდენობის ანაზღაურებას იღებდა მაგალითად, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და სხვა დიდი თუ მცირე სახელოს მქონე მოხელე.

ერთიან ქართულ სამეფოში მოხელეთა ანაზღაურების ოდენობის შესახებ ერთგვარი წარმოდგენის შესაქმნელად, თვალი გავადევნოთ ბიზანტიის იმპერიაში არსებულ თანამდებობის პირთა ხელფასებს. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბიზანტიის იმპერია კლასიკურ ფეოდალურ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა და სახელმწიფო შემოსავლებიც ცენტრალიზებულად, ძირითადად, ფულადი სახით იკრიბებოდა. შესაბამისად, ხელფასებიც მხოლოდ ფულადი სახით გაიცემოდა. ამავე დროს, ტრადიციული ფეოდალური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც ძირითად სამხედრო ძალებს ფეოდალები ქმნიდნენ, ბიზანტიას ჰყავდა მრავალათასკაციანი ცენტრალიზებული არმია და ქვეყნის შემოსავლების უმეტესი ნაწილი მის შენახვაზე იხარჯებოდა.

კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (913-959 წწ.) „ცერემონიების წიგნის“ მიხედვით, ბიზანტიაში სტრატეგოსთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად ანატოლიკონის სტრატეგოსს, ოთხ წელიწადში ერთხელ, 40 ლიტრა ოქრო ეძლეოდა. შესაბამისად, წელიწადში მისი ხელფასი 10 ლიტრა ოქროთი განისაზღვრებოდა. ხოლო XI საუკუნეში მიხეილ VII დუკას (1071-1078 წწ.) ხრისოვულის მიხედვით, უმაღლესი საკარისკაცო ტიტულის მქონე პირების როგას[837] ოდენობა ასე გამოიყურება: კურაპალატი – 32 ლიტრა ოქრო (ტიტულს ფლობდა ერთი პირი), პროედროსი – 28 ლიტრა ოქრო (ტიტულს ფლობდა 1 პირი), მაგისტროსი – 16 ლიტრა (ტიტულს ფლობდა 2 პირი), ვესტარხი – 14 ლიტრა ოქრო (ტიტულს ფლობდა 2 პირი), ვესტი – 12 ლიტრა ოქრო (ტიტულს ფლობდა 2 პირი), ანთიპატოსი – 8 ლიტრა ოქრო (ტიტულს ფლობდა 1 პირი), პატრიკიოსი – 4 ლიტრა ოქრო (ტიტულს ფლობდა 4 პირი), ჯიპატოსი – 2 ლიტრა ოქრო (ტიტულს ფლობდა 6 პირი), პროტოსპათარიოსი – 1 ლიტრა ოქრო (ტიტულს ფლობდა 15 პირი), სპათაროკანდიდატოსი – 0,5 ლიტრა ოქრო (ტიტულს ფლობდა 10 პირი).[838]

რადგან ბიზანტიური ლიტრა 327,45 გრამს იწონიდა,[839] 1 ლირტა ოქრო დაახლ. 72 ჰისტამენონ ნომისმას უდრიდა, ხოლო ვერცხლზე გადატანით (3-გრამიან ვერცხლის მონეტების და ჰისტამენონ ნომისმას შეფარდება 1:13) – 936 მილიარისს (იმავე დრამას).

---

[837] ბიზანტიაში ყოველწლიურ სარგოს, ხელფასს როგა ეწოდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბიზანტიაში უმაღლესი საკარისკაცო ტიტულის მქონე პირები ყველაზე მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ.

[838] ვრცლად იხილეთ: ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. თბ. 2016, გვ. 241-260.

[839] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 50.

ამდენად, ოქროს ნომისმებისა და მილიარისების/დრამების გათვალისწინებით, კურაპალატის ტიტულის მფლობელი პირის ხელფასი ყოფილა დამრგვალებით, 2300 ოქროს ნომისმა, ანუ 30 000 დრამა; პროედროსის ხელფასი – 2000 ნომისმა, ანუ 26 000 დრამა; მაგისტროსის ხელფასი – 1150 ნომისმა, ანუ 15 000 დრამა; ვესტარხის ხელფასი – 1000 ნომისმა, ანუ 13 000 დრამა; ვესტის ხელფასი – 860 ნომისმა, ანუ 11 200 დრამა; ანთიპატოსის ხელფასი – 575 ნომისმა, ანუ 7500 დრამა; პატრიკიოსის ხელფასი – 290 ნომისმა, ანუ 3750 დრამა; ჯიპატოსის ხელფასი – 145 ნომისმა, ანუ 1880 დრამა; პროტოსპათარიოსის ხელფასი – 72 ნომისმა, ანუ 935 დრამა; სპათა-როკანდიდატოსის სხელფასი – 36 ნომისმა, ანუ 470 დრამა.

როგორც ვხედავთ, ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების როგა 470 მილიარისი-დან/დრამადან 30 000 მილიარისამდე/დრამამდე მერყეობდა. სწორედ 30 000 დრამის ეკვივალენტ ოქროს იღებდა კურაპალატი, რომელიც ძალიან მაღალ საკარისკაცო ტიტულად ითვლებოდა. ბიზანტიაში კურაპალატზე მაღალ ტიტულად მხოლოდ ნო-ველისიმოსი, სევასტოსი და კესაროსი მიიჩნეოდა. ცხადია, აღნიშნული ტიტულების როგა კიდევ უფრო მაღალი იყო.

ვფიქრობთ, საინტერესოა თანადროულ ბიზანტიასა და საქართველოში სასულიერო პირთა მიღებული ანაზღაურების შედარება.

ნიკორწმინდელის დაწერილში აღნიშნულია: „ქართველნი ხუცესნი მოვიყვანენით და და[ვა]კარგენით: მათ ზ(ედ)ა გაგჯცემია დრაჰკანი კოსტანტინატი ნბ (52) სააღ-ვსებოდ“.[840] მ. წურწუმიას დაკვირვებით, აღნიშნული 52 დრაჰკანი კონსტანტინატი ქართლიდან დასავლეთ საქართველოში გადაყვანილი 4 ხუცესის ჯამაგირს უნდა წარ-მოადგენდეს. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, მონასტრის პირველი ან მეორე დასის წევრი ხუცესის წლიური სარგოს ოდენობა 13 დრაჰკანი კონსტანტინატი ყოფილა.[841]

XIII საუკუნის I მესამედში შედგენილ ვაჰანის ქვაბთა განგების მიხედვით, მო-ნასტრის წინამძღვრისათვის ფულადი სახით განწესებული იყო 6 დუკატი, ხოლო ნატურით 8 გრივი ხორბალი (4 გრივი „წმინდაჲ“ და 4 გრივი ქრთილი) და 3 საპალნე ღვინო. იმდროინდელი ფასებით, 8 გრივი (800 კგ.) ხორბლის და ქრთილის საშუა-ლო ფასი უდრიდა 5 დუკატს, ხოლო 3 საპალნე ღვინის (450 ლიტრი) – დაახლ. 5,5 დუკატს. ამდენად, მონასრტის წინამძვრის ფულადი და ნატურალური პროდუქტების სახით მიღებული სარგოს ოდენობა შეადგენდა 16,5 დუკატს.[842]

პირველი დასის წევრებს, იკონომოსსა და დეკანოზს განწესებული ჰქონდათ 4 დუკატი, 6 გრივი ხორბალი (3 „წმინდაჲ“, 3 ქრთილი) და 2 საპალნე ღვინო, ფულადი გამოხატულებით სულ – დაახლ. 11 დუკატი.

„უთავადესთა ძმათა“ – 3 დუკატი, 2 გრივი ხორბალი (1 „წმინდაჲ“ და 1 ქრთილი) და 1 საპალნე ღვინო, სულ დაახლ. 6,5 დუკატი.

მონასტრის „მეორესა დასისათა“ – 2 დუკატი, 2 გრივი ხორბალი (1 „წმინდაჲ“ და 1 ქრთილი), 1 საპალნე ღვინო, სულ დაახლ. 5,5 დუკატი.

მწირებს კიდევ ნაკლები ეძლეოდათ.

---

[840] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 43.

[841] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 155-156.

[842] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 140-141.

ერთი სიტყვით, ვაჰანის ქვაბთა განგების მიხედვით, წინამძღვარს განწესებული ჰქონდა 16,5 დუკატი, პირველი დასს – 11 დუკატი, მეორე დასს – 5,5-6,5 დუკატი.

როგორც ვხედავთ, ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით ნაჩვენები მონასტრის დასის სარგო დაახლოებით ეთანაბრება XIII საუკუნის I მესამედში დადგენილ ოდენობებს.

ბიზანტიაში სოფლის მღვდლების შემოსავალი წელიწადში 6 ნომისმამდე აღწევდა, ხოლო დიდ მონასტებში გაცილებით მეტი ანაზღაურება იყო დაწესებული. XI საუკუნის ბოლოს პეტრიწონის მონასტრის წინამძღვარს განწესებული ჰქონდა 40 დრაჰკანი, პირველი დასის ძმების როგა იყო 20 დრაჰკანი, მეორე დასის – 15 დრაჰკანი, ხოლო მესამე დასის – 10 დრაჰკანი.[843]

ამდენად, საქართველოში არსებული გასამრჯელო ჩამოუვარდება პეტრიწონის მონასრტის დასის როგას. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პერტიწონის მონასტერი ერთ-ერთი გამორჩეული იყო ბიზანტიის იმპერიაში და მონასტრის საძმოსათვის ანაზღაურებაც მაღალი იყო.[844]

მოცემული პირობის გათვალისწინებით, სასულიერო პირთა სარგოს ოდენობის მხრივ, ბიზანტიასა და საქართველოს შორის ძალიან დიდი განსხვავება არ ჩანს. განსხვავება უფრო ანაზღაურების ფორმებშია – საქართველოში, ვაჰანის ქვაბთა განგების მიხედვით, თანხა და ნატურალური პროდუქტები იყო განწესებული, ბიზანტიაში – თანხა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის ეპოქაში, განსაკუთრებით, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერების ხანაში – XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში, მოხელეთა ანაზღაურება დიდად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო ბიზანტიაში არსებული რეალობისაგან.

გვიანფეოდალური ხანის ქართველი სახელმწიფო მოხელეების ანაზღაურების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოგვეპოვება. აღნიშნული ეპოქის ქართულ სამეფო-სამთავროებში უმაღლესი რანგის მოხელე სახლთუხუცესი იყო. შესაბამისად, მისი ანაზღაურებაც ყველაზე დიდი იყო. სახლთუხუცესიდან დაწყებული, დამთავრებული უმდაბლესი მოხელით, ყველა თანამდებობის პირი გარკვეულ ანაზრაურებას იღებდა. მოხელეების გასტუმრება არ ხდებოდა მხოლოდ ფულადი ჯამაგირით. ზოგიერთ მოხელეს ფული და ნატურალური პროდუქტები ეძლეოდა, ზოგიერთს – მხოლოდ პროდუქტები. მოხელეთა ნაწილს ანაზღაურება სახელმწიფო ხაზინიდან ეძლეოდა, ნაწილი საგამგეო ტერიტორიიდან იღებდა მისთვის განკუთვნილ შემოსავლებს. ზოგადად, მოხელეთა სასარგებლოდ დაწესებული იყო შემდეგი სახის ანაზღაურების ფორმები: 1. ჯამაგირი ხაზინიდან ფულით, 2. ჯამაგირი ხაზინიდან ნატურით, ანუ სარგო,[845] 3. ხაზინიდან გასაცემი ჯამაგირი, პროცენტის სახით, 4. ნატურალური გამოსაღებები, 5. ფულადი გამოსაღებები, 6. სახელმწიფო ნატურალური შემოსავლის მთლიანად, ან ნაწილობრივ დათმობა, 7. სახელმწიფო ფულადი შემოსავლის მთლიანად, ან ნაწილობრივ დათმობა, 8. ზედნართი სხვადასხვა ნატურალური და ფულადი გამოსაღებიდან,

[843] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 140-141.

[844] მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის, გვ. 156.

[845] სარგო, ზოგადად, მთლიან ჯამაგირსაც აღნიშნავდა, მაგრამ გვიანფეოდალური ეპოქის წყაროების მიხედვით, უმთავრესად, საკვები პროდუქტების სახით მიღებულ ანაზღაურებას ნიშნავდა.

9. ანარიცხი მეფის ნატურალური ან ფულადი შემოსავლიდან წინასწარ განსაზღვრული თანხით, ან პროცენტის სახით.[846]

მოხელეთა ანაზღაურება ერთი ან რამდენიმე წესის მიხედვით ხდებოდა. მაგალითად, XVIII საუკუნის II ნახევარში ცენტრალური სამხედრო უწყების წარმომადგენლებს ჯამაგირი ჰქონდათ დანიშნული, დამატებით კი სარგოს, ანუ საკვებ პროდუქტებს იღებდნენ; მოურავებს კი ხაზინიდან არც ფული და არც პროდუქტები ეძლეოდათ, არამედ მათ შემოსავალს წარმოადგენდა სახელმწიფო ფულადი და ნატურალური გამოსაღებების, რიგ შემთხვევაში ნაწილობრივი, რიგ შემთხვევაში მთლიანი დათმობა; მდივანბეგების შემოსავალი განისაზღვრებოდა როგორც ფულადი ხელფასით, ისე სარგოს სახით და სამდივანბეგო გადასახადით.[847]

ერთი სიტყვით, ანაზღაურების მრავალმხრივი ფორმა არსებობდა, რომელიც დაფუძნებული იყო თანამდებობის შინაარსზე. ანაზღაურების მსგავსი მრავალფეროვნების საფუძველი ფეოდალური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ვითარება იყო, რაც ფულად-სასაქონლო ურთიერთობების ნაკლებ განვითარებაში გამოიხატებოდა – სახელმწიფოს შემოსავლების დიდ ნაწილს წარმოადგენდა არა ფულადი გადასახადები, არამედ ნატურალური პროდუქტები, შესაბამისად, ანაზღაურებაც არ იყო ერთგვაროვანი.

საინტერესოა, რომ გვიანფეოდალურ ხანაში მოხელეთა ანაზღაურების დასახელებული ფორმები არ ემსგავსება არც ირანში და არც ოსმალეთში არსებულ წესებს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ის წინა ეპოქის საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს.

ქართლ-კახეთის სამეფოს მოხელეების ხელფასების ოდენობის შესახებ, დეტალური ინფორმაცია თავმოყრილია შ. მესხიას მიერ გამოქვეყნებულ საარქივო მასალებში, რომელიც თარიღდება XIX საუკუნის დასაწყისით.[848]

აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს ქართლ-კახეთის სამეფოს ყოფილი მოხელეების მიმართვებს რუსეთის მთავრობისთვის. ყოფილი მოხელეებისათვის პენსიის დანიშვნის მიზნით, მთავარმართებელ ციციანოვის მოთხოვნის შესაბამისად, ქართველ თავადებს თანამდებობებზე დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარედგინათ, რომელშიც ანაზღაურების ოდენობაც იქნებოდა ნაჩვენები. პავლე ციციანოვის განკარგულებით, წარდგენილ არზა-მოხსენებებს არ განიხილავდნენ, თუ მეფეთა ნაბოძები სიგელებით არ იქნებოდა დადასტურებული. ამიტომ, ყოფილ მოხელეთა უმეტესობას წარდგენილი ჰქონდა ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის გაცემული თანამდებობისა და ჯამაგირის წყალობის სიგელები. შესაბამისად, მასალები სანდოა და მათი ავთენტურობა, ძირითადად, ეჭვს არ იწვევს.

თავდაპირველად შევეხებით სამეფოს უმაღლესი მოხელის – სახლთუხუცესის ჯამაგირის ოდენობას. XVIII საუკუნის მიწურულში სახლთუხუცესის სახელო, მეწინავე

---

[846] ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, გვ. 111.

[847] სამდივანბეგო გადასახადი სასამართლოში წარმოდგენილ მხარეებს უნდა გადაეხადათ. სამდივანბეგოს, ანუ სასამართლოს საკუთარი ხაზინა ჰქონდა და ხაზინადარიც ჰყავდა. სამდივანბეგო ხაზინიდან მდივანბეგებს, მდივნებს, მორდლებს, ეშიკაღასბაშებს და ხაზინადარს საკუთარი წილი ეკუთვნოდათ. ძირითადი ნაწილი, რა თქმა უნდა, მდივანბეგებს ერგებოდათ. საქმისწარმოების შესაბამისად, ზოგიერთ მდივანბეგს მეტი შემოსავალი ჰქონდა, ზოგიერთს ნაკლები.

[848] იხ.: მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. I (26). თბ. 1948.

სადროშოს სარდლის თანამდებობასთან ერთად, იოანე ორბელიანს ეკავა. 1803 წლის მის მოხსენებაში სახლთუხუცესის თანამდებობიდან მიღებული შემოსავლები მუხლობრივად არის აღწერილი: I. საბაჟოებიდან – 49 თუმანი და 9 მინალთუნი; II. ბურნიოთის[849] იჯარიდან – 22 თუმანი და 7 მინალთუნი; III. ხამხალათის იჯარიდან[850] – 21 თუმანი და 10 შაური; IV. ყასაბხანიდან და დაბახანიდან – 15 თუმანი და 9 მინალთუნი; V. თევზის იჯარიდან – 6 თუმანი, 6 მინალთუნი და 10 შაური; VI. ღვინის და არყის იჯარიდან – 6 თუმანი, 3 მინალთუნი, და 10 შაური; VII. ყაფნის იჯარიდან – 6 თუმანი, 3 მინალთუნი, და 10 შაური; VIII. „თვის შაურისა და ქოხების“ ანუ დუქნების ქირიდან – 9 მინალთუნი; IX. საპნის ქვაბიდან – 2 მინალთუნი და 5 შაური; X. სალბაშის იჯარიდან – 2 მინალთუნი და 5 შაური; XI. თბილისის მახტიდან – 17 თუმანი და 4 მინალთუნი; XII. თბილისის „დაჰნიმიდან“ – 2 თუმანი; XIII. თბილისის მალიდან – 1 თუმანი და 2 მინალთუნი; XIV. გორის მალიდან – 2 მინალთუნი; XV. ყაზახის მახტიდან – 27 თუმანი და 5 მინალთუნი; XVI. შამშადილის მახტიდან – 22 თუმანი და 7 მინალთუნი; XVII. ქართლ-კახეთის მეკომურთა გადასახადიდან – 17 თუმანი; XVIII. სახასო სოფლების გადასახადებიდან – 22 თუმანი და 7 მინალთუნი; XIX. „სჯულის გარდამავალთაგან“ ჯარიმიდან – 15 თუმანი; XX. „ფანჯიექიდან“[851] – 19 თუმანი; XXI. „დებულებას გარდა“ გადასახადებიდან – 68 თუმანი; XXII. ვერცხლის მადნებიდან – 20 თუმანი; XXIII. სპილენძის მადნებიდან – 69 თუმანი, 3 მინალთუნი, 6 შაური და 6 ფულ-ნახევარი; XXIV. ზარაფხანიდან – 25 თუმანი; XXV. ერევნის მახტიდან – 50 თუმანი; XXVI. ღვინის იჯარიდან – 7 თუმანი და 3 მინალთუნი; XXVII. „რაც სამეფო სახნავი მიწებიდამ ღალა ადგებოდა ან ბრინჯის მოსავალი იქნებოდა, ან ვენახის მოსავალი, ან ბაღისა, ამების შემოსავალი ჰქონდა ოცის თავი“; XXVIII. „მეფეს როდესაც ეყოლებოდა ძროხის ნახირი და ფარა ცხვრისა, აქედამ ჰქონდა ოცის თავი“; XXIX. „მეფე როდესაც ყმას თუ მამულს გასცემდა და სიგელს უბოძებდა, იმ სიგელის ზურგზედ სალთხუცესს უნდა დაებეჭდა და აქედამ სარგებლობა ჰქონდა“; XXX. „იჯარებს რომ აიღებდნენ და შართლამა დაიწერებოდა და მეფე დაბეჭდავდა, იმ იჯარებიდამ იჯარის შესაფერს ფეშქაშს მიართმევდნენ, ამაში სარგებლობა ჰქონდა“.[852]

ჩამონათვალის მიხედვით, იმ მუხლების გამოკლებით, რომლებშიც შემოსავლები თანხობრივად არ არის ნაჩვენები, ქართლის სახლთუხუცესის წლიური ანაზღაურება 510 თუმანს, ანუ 5100 მინალთუნს აჭარბებდა. ხოლო, იმ ოთხი მუხლის გათვალისწინებით, საიდანაც შემოსავლის ზუსტი ოდენობა არ ჩანს, სახლთუხუცესის სრული შემოსავალი 5300 მინალთუნამდე არის სავარაუდებელი.

იოანე ორბელიანის შემოსავალი აღნიშნული თანხით არ შემოიფარგლებოდა, რადგან ის ქართლის სახლთუხუცესის თანამდებობასთან ერთად, როგორც აღინიშნა, მეწინავე სადროშოს სარდლის სახელოსაც ფლობდა. მართალია, აღნიშნული მოხსენებიდან არ ჩანს სარდლის თანამდებობიდან მიღებული შემოსავლები, თუმცა „კავკასიის

---

[849] თამბაქოს გაყიდვაზე დაწესებული იყო სპეციალური გადასახადი, რომელიც იჯარით გაიცემოდა და მას ეწოდებოდა ბურნუთის/ბურნიოთის იჯარა.

[850] „ხამხალათის“, იმავე „ბეჭდის“/„საბეჭდავის“ იჯარა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ეწოდებოდა ქსოვილებზე დაწესებულ აქციზის გადასახადს.

[851] „ფანჯიექი“ ეწოდებოდა სამხედრო ნადავლის მეხუთედს, რომელიც მოლაშქრეებს სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა დაეთმოთ. სახლთუხუცესს, როგორც თანამდებობის პირს, აღნიშნული მეხუთედიდან გარკვეული თანხა ერგებოდა.

[852] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 2-3.

საარქეოგრაფიო კომისის“ მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ დოკუმენტში მოცემულია იოანე ორბელიანის ორივე თანამდებობიდან მიღებული შემოსავლის ჯამი – 8005 რუბლი, ანუ 8005 მინალთუნი.[853] რადგან სახლთუხუცესის თანამდებობიდან იოანე ორბელიანი იღებდა 5100-5300 მინალთუნს, გამოდის, რომ მეწინავე სადროშოს სარდლის სახელოდან მისი შემოსავალი ყოფილა 2700-2900 მინალთუნი. ერთი სიტყვით, სარდალ-სახლთუხუცესის სახელოების სრული სარგო შეადგენდა 8005 მინალთუნს, ანუ 40 025 სირმა-აბაზს (აბაზი=2,9 გრ.).

ქართლ-კახეთის სამეფოში სახლთუხუცესის თანამდებობა მხოლოდ იოანე ორბელიანს არ ეკავა. ის ქართლის სახლთუხუცესი იყო. ქართლის სახლთუხუცესის პარალელურად, არსებობდა კახეთის სახლთუხუცესის თანამდებობაც, რომელიც იმ პერიოდში ორად ყოფილა გაყოფილი – კახეთის პირველი სახლთუხუცესის თანამდებობას იკავებდა თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ხოლო კახეთის მეორე სახლთუხუცესი იყო თავადი ალექსანდრე მაყაშვილი.

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ჩვენებაში, ასევე მუხლობრივად არის ჩამოთვლილი კახეთის პირველი სახლთუხუცესის შემოსავლები. თუმცა, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი კახეთის სახლთუხუცესის თანამდებობის პარალელურად, ფლობდა კახეთის მილახვრის სახელოსაც. მისი შემოსავლების ჯამი შეადგენდა 1974,5 მინალთუნს. აქედან, მილახვრის თანამდებობიდან იღებდა 605 მინალთუნს.[854] შესაბამისად, კახეთის პირველი სახლთუხუცესის თანამდებობის სარგო ყოფილა 1369,5 მინალთუნი.

კახეთის მეორე სახლთუხუცესის – ალექსანდრე მაყაშვილის ჩვენებით, რომელიც არმის ეშიკაღასბაშის და კახეთის ხევისთავის თანამდებობებსაც იკავებდა, მისი სრული შემოსავალი 2269,5 მინალთუნს შეადგენდა. არმის ეშიკაღასბაშის წლიური სარგო უდრიდა 700 მინალთუნს, კახეთის ხევისთავის სარგო კი – 200 მინალთუნს.[855] ამდენად, კახეთის მეორე სახლთუხუცესის შემოსავალიც 1369,5 მინალთუნი ყოფილა.

როგორც ვხედავთ, კახეთის სახლთუხუცესის გაერთიანებული სარგო უდრიდა 2739 მინალთუნს, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოს სამივე სახლთუხუცესი აღნიშნული თანამდებობიდან იღებდა დაახლ. 8200 მინალთუნს, ანუ 41 000 აბაზს.

ქართლ-კახეთის სამეფოში ქართლის სახლთუხუცესის შემოსავლები მნიშვნელოვნად აჭარბებდა კახეთის ორივე სახლთუხუცესის სარგოს, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ქართლის სახლთუხუცესის საგამგეო ტერიტორია მოიცავდა ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ არტერიას – თბილისს.

როგორც ვხედავთ, სახლთუხუცესების სარგოს ოდენობა ქვეყნის საერთო შემოსავლებთან იყო კავშირში. ბუნებრივია, უფრო ნაკლები შემოსავლების მქონე ქვეყანაში სახლთუხუცესისა თუ სხვა თანამდებობის პირების შემოსავლები კიდევ უფრო ნაკლები იქნებოდა. მართლაც, იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესის – ზურაბ წერეთელის თანამდებობრივი სარგო 2400 მინალთუნს შეადგენდა.[856] ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე,

[853] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. II. Тифлис, 1868, გვ. 39.

[854] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 7-8.

[855] კახეთის სახლთუხუცესის თანამდებობის მსგავსად, გარკვეული ხნით ქართლის სახლთუხუცესის თანამდებობაც გაყოფილი ყოფილა და ერთდროულად ორ პირს ეკავა. იხ.: მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 9.

[856] ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). II, გვ. 119.

ადვილად წარმოსადგენია, რამდენად დიდი იქნებოდა XII–XIII საუკუნეების საქართველოში უმაღლესი სახელოების მქონე პირების – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, ათაბაგის, მანდატურთუხუცესის, ამირსპასალარის და სხვა მოხელეების შემოსავლები.

ქართლ-კახეთის სამეფოს სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებიდან გამოსაყოფია თავად ოთარ ამილახვრის შემოსავლები, რომელიც ერთობლივად იკავებდა მემარჯვენე სადროშოს სარდლის და გორის მოურავის თანამდებობებს. მისი საერთო თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 500 თუმანს, ანუ 5000 მინალთუნს (25 000 აბაზს).[857] ოთარ ამილახვრის მოხსენებაში შემოსავლების წყაროები მუხლობრივად არის ჩამოთვლილი, თუმცა თანხობრივი განმარტება არ ახლავს. ამიტომ, მემარჯვენე სადროშოს სარდლისა და გორის მოურავის შემოსავალებს შორის ზუსტი გამიჯვნა ვერ ხერხდება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში მემარჯვენე სარდლის საგამგეო ტერიტორიაზე მცხოვრებთა რიცხვი აღემატებოდა მეწინავე სადროშოს, ანუ ქვემო ქართლის მოსახლეობას, ამილახვრის შემოსავლები სარდლის თანამდებობიდან იოანე ორბელიანის სარგოზე მეტი უნდა ყოფილიყო. როგორც აღინიშნა, იოანე ორბელიანის შემოსავალი მეწინავე სადროშოს სარდლის თანამდებობიდან დაახლ. 2700-2900 მინალთუნს შეადგენდა, ოთარ ამილახვრის სარგოს ოდენობა კი, სავარაუდოდ, 3500-4000 მინალთუნი იქნებოდა, ხოლო გორის მოურავობიდან – 1000-1500 მინალთუნი.

ქიზიყის მოურავის – რევაზ ანდრონიკაშვილის მოხსენებიდან ირკვევა, რომ მისი სახელოს შემოსავალი შეადგენდა 300 თუმანს, ანუ 3000 მინალთუნს (15 000 აბაზს). დამატებითი შემოსავალი კი ჰქონია ბაგრატ ბატონიშვილის კუთვნილი სოფლის (ყირიხლუს) მოურავობიდან.[858]

თბილისის მოურავის ევსტათი ციციშვილის წლიური სარგო კი ყოფილა 2579 მინალთუნი (12 895 აბაზი).[859]

დასახელებული მასალის საფუძველზე, ქვემოთ წარმოდგენილია ქართლ-კახეთის სამეფოს 50-ზე მეტი თანამდებობის პირის ყოველწლიური შემოსავლები. საკუთარ მოხსენებებში მოხელეები ფულად ანაზღაურებას ჯამაგირს უწოდებდნენ, ხოლო ნატურალური პროდუქტებით გასტუმრებას – სარგოს. ცხრილში მოცემულია ჯამაგირის და სარგოს საერთო ფულადი ოდენობები.

თანამდებობის პირი	**თანამდებობა/თანამდებობები**	**ყველა სახის ანაზღაურების ფულადი ოდენობა**	**წყარო[860]**
იოანე ორბელიანი	სახლთუხუცესი და მეწინავე სადროშოს სარდალი	8005 მინალთუნი	Акты. II: 39
იოანე ორბელიანი	სახლთუხუცესი	დაახლ. 5100-5300 მინალთუნი	2-3

[857] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 84-87.
[858] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 88.
[859] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 91-92.
[860] როგორც აღინიშნა, ჯამაგირის ოდენობები, ძირითადად, მოცემლია შ. მესხიას გამოქვეყნებულ მასალებში (მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. I (26). თბ. 1948), შესაბამისად, ცხრილში მითითებულია მხოლოდ აღნიშნული პუბლიკაციის გვერდები. ხოლო, რამდენიმე მონაცემი დამოწმებულია Акты-ის II ტომიდან. იხ.: Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. II. Тифлис, 1868.

იოანე ორბელიანი	მეწინავე სადროშოს სარდალი	2700-2900 მინალთუნი	Акты. II: 39
ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი	კახეთის პირველი სახლ-თუხუცესი	1369,5 მინალთუნი	7-8
ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი	კახეთის მილახვარი	600 მინალთუნი	8-9
ზურაბ ორბელიანი	მილახვარი	400 მინალთუნი	71
ალექსანდრე მაყაშვილი	კახეთის მეორე სახლ-თუხუცესი	1369,5 მინალთუნი	9
ალექსანდრე მაყაშვილი	არმის ეშიკაღასბაში	700 მინალთუნი	9
ალექსანდრე მაყაშვილი	კახეთის ხევისთავი	200 მინალთუნი	9
ოთარ ამილახვარი	მემარჯვენე სადროშოს სადრალი და გორის მოურავი	5000 მინალთუნი	84-87
რევაზ ანდრონიკაშვილი	ქიზიყის მოურავი	3000 მინალთუნი	88
ევსტათი ციციშვილი	თბილისის მოურავი	2579 მინალთუნი	91-92
დარჩია ბებუთაშვილი	თბილისის მელიქ-მამა-სახლისი	??? თანამდებობების მიხედვით დაენიშნა პენ-სია 600 მინალთუნი	43 Акты. II: 43
მიკირტუმ სურგუნოვი	თბილისის ნაცვალი	840 მინალთუნი	97-98; Акты. II: 43.
ასლან ორბელიანი	ქართლის ეშიკაღასბაში	3000 მინალთუნი	57-58
გიორგი ციციშვილი	ხალვათხანის ეშიკაღას-ბაში	350 მინალთუნი	60
აიდემურ ვაჩნაძე	ხალვათხანის ეშიკაღას-ბაში	200 მინალთუნი	59-60
გიორგი ხერხეულიძე	არმის ეშიკაღასბაში	600 მინალთუნი	61
იოსებ ბებუთაშვილი	მიშკარბაში („ობერიეგერ-მეისტერი“)	1000 მინალთუნი	72
ევგენი აბაშიძე	სალაროს ნაზირი	1430 მინალთუნი	16
იოსებ მელიქიშვილი	ლაშქარნივისი და სალა-როს მუშრიბი	1000 მინალთუნი	17-18
იოანე სუმბათაშვილი	მოლარეთუხუცსი და ლაშქარნივისი	980 მინალთუნი	13
იოანე ჩოლოყაშვილი	მდივანბეგი	1500 მინალთუნი	51
ბეჟან ერისთავი	მდივანბეგი	1146 მინალთუნი	50
ნოკოლოზ ციციშვილი	მდივანბეგი – „ქალაქის“	700 მინალთუნი	49
ფარსადან ყორღანაშვილი	სამდივანბეგოს (სა-სამართლოს) ხაზინადარი	400 მინალთუნი	54
მანუჩარ თუმანიშვილი	ლაშქარნივისი	530 მინალთუნი	41-42
ომან ხერხეულიძე	ლაშქარნივისი	530 მინალთუნი	43
აფრიამ ენაკოლოფაშ-ვილი	თათრების ლაშქარნივისი და მირზა	440 მინალთუნი	44

იროდიონ გურგენიძე	თელავის მოურავი	463 მინალთუნი	48-49
საამ ბარათაშვილი	ძველი თაქლის მოურავი და სხვა სოფლების ელიაღასი	665 მინალთუნი	103
თეიმურაზი	სიღნაღის ქევხა	80 მინალთუნი	108
ზაალ ბარათაშვილი	მორდალი	420 მინალთუნი	46-47
იროდიონ გურგენიძე	მორდალი	420 მინალთუნი	47-48
ნიკოლოზ შარვაშიძე	მოლარეთუხუცესი	420 მინალთუნი	15
დავით მაყაშვილი	ნაზირი	460 მინალთუნი	24
იოსებ ჭავჭავაძე	ნაზირი	488 მინალთუნი	27
ბარამ გურგენიძე	ნაზირი	440 მინალთუნი	27
იოანე შალიკაშვილი	ნაზირი	380 მინალთუნი	25-26
იოანე ბეგთაბეგიშვილი	მდივანი და მოლარეთუხუცესი, დედოფლის მსახური	1030 მინალთუნი	33; Акты. II: 43
სიმონ ქობულოვი	მდივანი	730 მინალთუნი	32-33
სიმონ ქობულოვი	ხევისთავი	200 მინალთუნი	33
სიმონ ქობულოვი	დედოფლის სოფლის – სანავარდოს მოურავი	240 მინალთუნი	33
არტემ მოძღვრიშვილი	მდივანი	250 მინალთუნი	31-32
იოანე ქობულოვი	არტილერიის პოლკოვნიკი	300 მინალთუნი	35
იოანე ქობულოვი	ლაშქარნივისი	180 მინალთუნი	35
იოანე ქობულოვი	მდივანი	400 მინალთუნი	35
იოანე ქობულოვი	მდივანბეგობის წილიდან	200 მინალთუნი	35
იოანე ქობულოვი	სოფელ ხოდაშენის მოურავი	350 მინალთუნი	35
იოანე ქობულოვი	მირიან ბატონიშვილის კუთვნილი სოფელ შალაურის მოურავი	100 მინალთუნი	35
იოანე ქობულოვი	ბაგრატ ბატონიშვილის კუთვნილი თათრის სოფელ დემურჩის მოურავი	80 მინალთუნი	35
შიაოშ თუმანიშვილი	ფეშქაშნივისი	200 მინალთუნი	22
ნიკოლოზ ონიკოვი	მწერალი (მეფის)	140 მინალთუნი	38
დავით გურგენიძე	სუფრაჯი	180 რუბლი /მინალთუნი	27
ზაალი საამის შვილი	ყორიასაულბაში	180 მინალთუნი	62
თაყა არღუთაშვილი	ყორიასაულბაშის ნაიბი	240 მინალთუნი	63
თაყა არღუთაშვილი	ელჩი მეზობელ ქვეყნებში	600 მინალთუნი	63
პავლე საღინაშვილი	ბოქაულთუხუცესი	530 მინალთუნი	64
ზურაბ ფალავანდიშვილი	ბოქაულთუხუცესი	400 მინალთუნი	65

მანუჩარ ციციშვილი	ბოქაულთუხუცესი, დამატებით საიასაულო შემოსავალი ნაჩვენები არ არის	120 მინალთუნი	65
დავით ნაზარაშვილი	მაიორი	325 მინალთუნი	80
გიორგი თუმანიშვილი	არტილერიის კაპიტანი	225 მინალთუნი	81
გიორგი ჭუმბურიძე	არტილერიის კაპიტანი	225 მინალთუნი	83-84
ზაზა ამირეჯიბი	მინბაში	450 მინალთუნი	106; Акты. II: 39
ზურაბ ფალავანდიშვილი	უზბაში	192 მინალთუნი	65
დავით აბაშიშვილი	ქეშიკჩიბაშის ნაიბი	600 მინალთუნი	66
გიორგი ვეზირიშვილი	ნასახჩიბაშის ნაიბი	100 მინალთუნი	71
მირზა	მემანდარი	160 მინალთუნი	67
პაპა არღუთაშვილი	იასაული	400 მინალთუნი	68-69
ეროთე სიდამონიძე	დედოფლის მოხელე	260 მინალთუნი	40-41
გიორგი ნოდარიშვილი	დედოფლის სახლ-თუხუცესი	230 მინალთუნი	Акты. II: 43
ანდუყაფარ გამყრელიძე	მეფის ფარეშთუხუცესი, შილდის მოურავი და დედოფლის სუფრაჯი	300 მინალთუნი	73
თომა მელვინეთხუციშ-ვილი	მელვინეთუხუცესი	300 მინალთუნი	73-74
თომა მელვინეთხუციშ-ვილი	ლეკების მემანდარბაში	200 მინალთუნი	73
დავითი და მისი შვილი ელეფთერი	თელავის ეკლესიის დეკანოზი და წინამძღ-ვარი	250 მინალთუნი	109
დავით-გარეჯის არქი-მანდრიტი ილარიონი და მონასტრის კრებული		215 მინალთუნი	110-111

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოში სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირთა შემოსავლები 80 მინალთუნიდან 8000 მინალთუნამდე მერყეობდა. ერთსა და იმავე თანამდებობაზე მყოფი პირების გასამრჯელო რიგ შემთხვევაში განსხვავებული იყო, რაც უნდა გამომდინარეობდეს მათი საქმიანობის არეალის გარკვეული განსხვავებულობით.

საერთო ჯამში, საკუთარი შემოსავლების დასაბუთების მიზნით, რუსეთის მთავრობას 73 პირმა მიმართა. როგორც მთავარმართებელ პავლე ციციანოვის 1803 წლის 17 ნოემბრის რაპორტიდან ირკვევა, რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთის სამეფოს 56 ყოფილი თანამდებობის პირის მიმართვა განიხილა, რათა მათთვის საკომპენსაციოდ პენსია დაენიშნა. განიხილეს აგრეთვე დამატებით 19 პირის მიმართვა, რომლებსაც ქართლ-კახეთის მეფეების მიერ ჰქონდათ დანიშნული პენსია. რაპორტიდან ჩანს, რომ დასახელებულ ცხრამეტივე პირს რუსეთის ხელისუფლების მიერ ხელახლა დაუმტკიც-

დათ პენსია ჯამურად, 3020 რუბლის/მინალთუნის ოდენობით. თითოეული მათგანის პენსია 50 რუბლიდან 240 რუბლამდე მერყეობდა.

რაც შეეხება 56 ყოფილი თანამდებობის პირის მიმართვებს, მათ მიერ დასაბუთებული შემოსავლების საერთო ოდენობა 60 000 მინალთუნს აღემატებოდა. მათგან რუსეთის მთავრობამ მხოლოდ 44 პირს დაუნიშნა პენსია, თუმცა მკვეთრად შეკვეცილი თანხის ოდენობით. შესაბამისად, თითქმის ყველა შემთხვევაში, თანამდებობრივ ანაზღაურებას დიდად ჩამორჩებოდა დანიშნული პენსია. მაგალითად, სარდალ-სახლთუხუცესს 2100 რუბლის/მინალთუნის ოდენობის პენსია დაუნიშნეს (თანამდებობებიდან მიღებული 8005 მინალთუნის ნაცვლად), ხოლო ოთარ ამილახვარს 2100 რუბლი დაენიშნა (მოთხოვნილი 5000 მინალთუნის ნაცვლად). საერთო ჯამში, 60 000 მინალთუნის ანაზღაურების მქონე პირებისათვის პენსიის სახით, წლიურად, 16 990 რუბლი/მინალთუნი გამოიყო.[861]

უნდა აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველობის ხარჯები არ შემოიფარგლებოდა დასახელებული 60 000 მინალთუნით, რადგან ძალიან ბევრი თანამდებობის პირის შემოსავლები აღნიშნულ მასალაში ნაჩვენები არ არის, რაც გამოწვეული იყო შემდეგი ფაქტორებით: ჯერ ერთი, თავადების ნაწილისათვის, რომლებმაც ბრძოლა გამოუცხადეს რუსეთის ხელისუფლებას, პენსიის დანიშვნის საკითხი, ცხადია, არც განიხილებოდა. ამასთან, აღნიშნულ მასალაში ვერ ვხვდებით საშუალო და, განსაკუთრებით, დაბალი რანგის მოხელეთა ჯამაგირს. მასალაში, ასევე არ არის ასახული ათეულობით მოურავის სარგოს შესახებ ინფორმაცია. მწირად არის წარმოდგენილი სამხედრო უწყების ხარჯებიც. როგორც ლაშქარნივისების – მანუჩარ თუმანიშვილის და ომან ხერხეულიძის ჩვენებებიდან ირკვევა, ქართლ-კახეთის სამეფოში სამხედრო უწყების მოხელეთა საერთო ჯამაგირი 24 000 მინალთუნს შეადგენდა.[862] ზემოთ დასახელებული საბუთებიდან ჩანს, რომ იმ პირებიდან, ვინც სამხედრო უწყებიდან იღებდა ჯამაგირს, მხოლოდ თორმეტმა მათგანმა მიმართა რუსეთის მთავრობას, რომელთა ჯამაგირის ოდენობა 3000 მინალთუნზე ნაკლები იყო. ცხადია, რომ სამხედრო უწყების წარმომადგენელთა უმეტესობა აღნიშნულ საბუთებში არ ფიგურირებდა, რაც ლოგიკურიცაა, რადგან მათი დიდი ნაწილი საშუალო და ქვედა რგოლის წარმომადგენელი იყო. რუსეთის მთავრობის მიერ კი ასეთი რანგის სამხედრო მოსამსხურეებისათვის პენსიის დანიშვნა არ განიხილებოდა. მოცემულ საბუთებში ვერ ვხვდებით, ვერც რიგითი პოლიციელების, ანუ იასაულების ანაზღაურებას.

---

[861] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. II, გვ. 37-43.

[862] მანუჩარ თუმანიშვილის და ომან ხერხეულიძის მოხსენებით, სამხედრო უწყების მოსამსახურეებზე – „მინბაშებს, უზბაშებს, თოფხანის მოხელეთ, აფიცრებს, თოფჩებს, ალამდრებს და სხვას მოჯამაგირე კაცთ“ – გაცემული ჯამაგირიდან თუმანზედ ორი შაური მათ ერგებოდათ. საერთო ჯამში, ორივე ლაშქარნივისი ანარიცხის სახით, 240 მინალთუნს იღებდა (იხ.: მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 42-43). აქედან გამომდინარე, სამხედრო უწყების მოხელეთა საერთო ანაზღაურება გამოდის 24 000 მინალთუნი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წარმოდგენილი თანხა მხოლოდ ჯამაგირის სახით გაიცემოდა, ამიტომ უწყების სრული ხარჯის დასადგენად, უნდა გავითვალისწინოთ სარგო და რიგითი თოფჩების, ანუ „სალდათების“ კვების, ტანისამოსის, შეიარაღების და სხვა ხარჯები. შესაბამისად არ შევცდებით, თუ სამხედრო უწყების ხარჯებს მინიმუმ 40 000 მინალთუნით განვსაზღვრავთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ ხარჯებში არ იგულისხმებოდა სარდლების და მათზე დაქვემდებარებულ პირთა შენახვა-გასტუმრება, რადგან მათ ჯამაგირი არ ეძლეოდათ და მათი შემოსავლები განსხვავებული მუხლებისაგან შედგებოდა.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს სრული ბიუროკრატიული აპარატის შესანახად, 60 000 მინალთუნზე გაცილებით მეტი, სავარაუდოდ, 15 000 თუმანი, ანუ 150 000 მინალთუნი მაინც ესაჭიროებოდა. შესაძლებელია, XVIII საუკუნის ბოლო წლებში მოხელეთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოდენობა, ცნობილი მიზეზების გამო, შემცირებულიც ყოფილიყო, მაგრამ უდავოა, რომ ერეკლე II-ის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, როდესაც მკვეთრად შეიზღუდა სათავადოთა სისტემა და გაფართოვდა ბიუროკრატიული აპარატი (მაგალითად, ერთი მდივანბეგის ნაცვლად, ვხვდებით სულ მცირე 13 მდივანბეგს და ა.შ.), სახელმწიფოს მმართველობის ამ ნაწილში დასახელებული თანხა იხარჯებოდა.

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის სამეფოს მოხელეთა ანაზღაურება საკმაოდ მოცულობითი ყოფილა. ზემოთ აღინიშნა, რომ XI საუკუნის ბიზანტიის იმპერიაში კურაპალატის ტიტულის მქონე პირთა ხელფასი 30 000 მილიარისის/დრამის ტოლფასი იყო. X-XI საუკუნეების სრულფასოვანი დრამა XVIII საუკუნის II ნახევარში მოჭრილი სირმა-აბაზის ეკვივალენტური იყო. ამდენად, ქართლის სარდალ-სახლთუხუცესის, იოანე ორბელიანის წლიური შემოსავალი – 8000 მინალთუნი, ანუ 40 000 აბაზი, აჭარბებდა კურაპალატის ხელფასის ოდენობას. აღნიშნული ფაქტობრივი მასალა, თავის მხრივ, აქარწყლებს დიდი ხნის განმავლობაში თავსმოხვეულ მოსაზრებას, თითქოს, XIX საუკუნის დასაწყისში ეკონომიკურად უკიდურესად დაუძლურებულ ქართულ სახელმწიფოს ფიზიკურად არსებობის საშუალება აღარ ჰქონდა.

XII. „სისხლის ფასები“ XIV-XVIII საუკუნეების საქართველოში

ადრე შუა საუკუნეების ევროპაში დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო ფულადი კომპენსაცია, რომელიც დამოკიდებული იყო ვერგელდის (ადამიანის ფასის) ოდენობაზე. ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით, დანაშაულის საზღაურად დაწესებული იყო დაზარალებულის „სისხლის“ ფასის შესაფერისი კომპენსაცია. აღნიშნული ნორმა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს არსებობის ბოლომდე შენარჩუნდა. დროთა განმავლობაში, იცვლებოდა მხოლოდ სისხლის ფასის ოდენობა. ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში სისხლის ფასი დამოკიდებული იყო სოციალურ სტატუსზე და სახელმწიფო თანამდებობაზე. სოციალური სტატუსის განსაზღვრისათვის კი, უმთავრესი იყო ქონებრივი მდგომარეობა. ფეოდალი დროთა განმავლობაში თუ დაკარგავდა ქონების დიდ ნაწილს, იცვლებოდა მისი სისხლის ფასიც. მაგალითად, ვახტანგის სამართლის მიხედვით, დიდებული თავადის სისხლის ღირებულება 1536 თუმანს შეადგენდა, სხვა ადგილას კი კანონმდებელი ხაზს უსვამდა დიდებულის სტატუსს: „დიდებული თავადი ეს არის: გაუყრელი ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ამილახორი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ორბელიშვილი. როსცა გაუყრელი ყოფილა – ციციშვილიც ამათთან. ამათთან კი არა და, – სომხითის მელიქიც ითქმის“.[863] როგორც ვხედავთ, 1536 თუმნად შეფასებული იყო იმ ექვსი დიდებული თავადის სისხლის ფასი, რომლებიც გაუყოფელ, ერთიან მამულს ფლობდნენ. თუ გაყოფის შედეგად, ერთიანი ქონება ოჯახის წევრებს შორის დანაწილდებოდა და ამ პროცესის შედეგად შემცირდებოდა, მათი სტატუსიც დაემცრობოდა, რაც სისხლის ფასზეც აისახებოდა. სწორედ აღნიშნულ გარემოებას მიუთითებდა კანონმდებელი ციციშვილთა შესახებ: „როსცა გაუყრელი ყოფილა – ციციშვილიც ამათთან“, ანუ ქონებრივი გადანაწილებით, ციციშვილების სოციალური სტატუსი და სისხლის ფასიც შეცვლილა. ხოლო არატრადიციული ფეოდალური სახლის – სომხითის მელიქების ქონებრივ ძლიერებას, მათი სისხლის ფასის ზრდა გამოუწვევია. „...რადგან მაგდენის მამულის პატრონი არ იყო... გაუბჭვეს მამულის სიმცრისათვის მცირე და უკადრისი სისხლი“, – აღნიშნულია 1694 წლის 4 ივნისის ერეკლე I-ის განჩინებაში გურამიშვილის სასისხლო საქმეზე.[864] ერთი სიტყვით, სისხლის ფასი პირდაპირ დამოკიდებული იყო ქონებრივ მდგომარეობაზე. მართალია, ფეოდალიზმის კონსერვატორული ბუნებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ფეოდალის ქონებრივი დამცრობა დაუყოვნებლივ არ აისახებოდა მის სტატუსზე, მაგრამ დროთა განმავლობაში, სოციალურ იერარქიაში მისთვის შესაფერის ადგილს იკავებდა.

---

[863] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 490.
[864] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 165-166.

„სისხლის ფასები“ ბექა-აღბუღას და ვახტანგის სამართლის წიგნების მიხედვით

სისხლის ფასებს განვიხილავთ ორი სხვადასხვა ეპოქის საკანონმდებლო ძეგლის – ბექა-აღბუღას და ვახტანგის სამართლის წიგნების მიხედვით.

ვინაიდან ფეოდალების ქონების ოდენობას დიდწილად ყმა-გლეხების მფლობელობა განსაზღვრავდა, თავდაპირველად, შევეხებით გლეხების სისხლის ფასებს.

XIII საუკუნის II ნახევრისა და XIV საუკუნის ვითარებაა ასახული ბექა-აღბუღას სამართალში. სამართლის წიგნის მიხედვით, როგორც ცნობილია, გლეხის „სისხლი“ განსაზღვრული იყო 400 თეთრად – „გლეხისა სისხლი ოთხასი თეთრი იყოს“.[865] შესავალ ნაწილში აღბუღა სისხლის ფასში ასაღები თეთრის შესახებ აღნიშნავდა: „პატრონისა პაპისჩემისაგან განაჩენი ყაზანაური თეთრი იყო და ამა ჟამთ შიგა ყაზანურობა აღ-სადმე-მოკლებულიყო (?). და დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი. და როგორაცა აწ ჟამისა თეთრი იყოს, ანგარიშით ამა წესით აღიღებდენ“.[866]

როგორც ვხედავთ, კანონმდებლის განმარტებით, დროთა განმავლობაში, მონეტის წონის ცვლილების მიუხედავად, ერთ თეთრად უნდა ეანგარიშათ „ორიანი“, 5-დანგიანი წმინდა ვერცხლი. რადგან ერთი დანგი 0,74 გრამს იწონიდა,[867] 5-დანგიანი მონეტის წონა გამოდის 3,7 გრამი. XIV საუკუნის I ნახევარში ორდირჰემიანი მონეტები მართლაც იჭრებოდა, რომლის წონა 3,5 გრამი იყო. გ. დუნდუას მოსაზრებით, სამართლის წიგნში სისხლის ფასი სწორედ აღნიშნული მონეტებით განისაზღვრებოდა.[868] თუ კანონმდებლის დაწესებული მონეტის ზუსტი წონით ვიხელმძღვანელებთ, ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, გლეხის „სისხლი“ შეფასებული ყოფილა, მცირე დამრგვალებით, 1500 გრამ ვერცხლად (400X3,7=1480).

როგორც ვხედავთ, გლეხის სისხლის ფასი (დაახლ. 1500 გრამი ვერცხლი) XI საუკუნის II ნახევარსა და XIII საუკუნის II ნახევარში დაფიქსირებულ გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულების (დაახლ. 1500-1800 გრამი ვერცხლი) თითქმის იდენტურია.

რაც შეეხება გვიანდელ ვითარებას, ვახტანგის სამართლის წიგნში აღნიშნულია: „გლეხის კაცის სისხლი – 12 თუმანი“.[869] ამდენად, XVIII საუკუნის I მეოთხედში გლეხის სისხლის ფასი განისაზღვრა 12 თუმნად, ანუ 600 აბაზად (აბაზი=7,5 გრ.), რაც დაახლ. 4500 გრამ ვერცხლს უდრიდა. საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაშიც, სისხლის ფასის ოდენობა იმავე ეპოქაში გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულების (საშუალოდ, 10-14 თუმანი) იდენტური გამოდის.

როგორც ვხედავთ, გლეხის სისხლის ფასი განისაზღვრებოდა გლეხისა და საგლეხო ფუძის საბაზრო ღირებულების მიხედვით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ

---

[865] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 429.
[866] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 425.
[867] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 36.
[868] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნიმიზმატიკა. II ნაწილი, გვ. 42-43.
[869] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489.

საბაზრო ღირებულების მსგავსად, XIII-XVIII საუკუნეებში გლეხის სისხლის ფასი დაახლ. 3-ჯერ გაზრდილა.[870]

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გლეხის, ანუ 1 ადამიანის სისხლის ფასი მთლიანი კომლის, ანუ ოჯახის ყველა წევრის, სახლ-კარის, სახნავ-სათესი მიწისა და ვენახის ტოლფასი ყოფილა. სამართალწარმოების აღნიშნული ნიუანსი საბუთებშიც დაფიქსირებულია. მაგალითად, 1712 წლის ნასყიდობის სიგელში გლეხი აცხადებდა: „... ერთს უბრალოს საქმეზე ცოდვა მამერია და დედაკაცი შემამაკვდა და სისხლი დამედვა მთელი და ის სისხლი თქვენ გარდამიწყვიტეთ, ან რაც ბატონის კარზე დამეხარჯა, ისიც თქვენ გარდამიწყვიტეთ. ახლა ჩემი თავი ჩემის ცოლითა და შვილითა ასრე ნასყიდათ მომიცია და დაგრჩა, რომ არას კაცს თქვენთან ‍ველი არ აქვს...“.[871] როგორც ვხედავთ, მთლიანი სისხლის საზღაურის საფასურად, გლეხის ოჯახი მებატონის ყმა ხდებოდა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში გლეხის და საგლეხო ფუძის ფასი 20-30%-ით აღემატებოდა XI საუკუნესა და მონღოლთა ბატონობის ეპოქაში არსებულ ფასებს. შესაბამისად, აღნიშნულ ეპოქაში შესაძლებელია გლეხის სისხლის ფასი 1500 თეთრზე მაღალიც ყოფილიყო, თუმცა ფაქტობრივი მასალის არარსებობის გამო, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. იგივე ითქმის XV-XVI საუკუნეების ვითარებაზე – რადგან აღნიშნულ ეპოქაში გლეხის საბაზრო ფასი გაზრდილი იყო, სავარაუდოდ, სისხლის ფასიც უნდა გაზრდილიყო. გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს XV საუკუნის ე.წ. სასისხლო სიგელები, თუმცა ამ სიგელების სანდოობის საკითხი და მასში მოხსენებული ფულის ერთეულების რეალური ღირებულების დადგენა რთულ ამოცანად რჩება.

ამჯერად, განვიხილავთ სხვა წოდების წარმომადგენელთა სისხლის ფასებს. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში, როგორც ცნობილია, ფეოდალთა სამი კატეგორიაა გამოყოფილი: 1. დიდებული, 2. „ტაძრეული“, „ციხოსან-მონასტროსანი“ აზნაური, რომელსაც „მამული დიდი [ჰქონდეს]“ და 3. „უციხო, უმონასტრო“ აზნაური. აღნიშნულია, ასევე „ქოთლოსანი“, აბჯროსანი“ და „კარვოსანი“, რომელთაც „აზნაურული სჭირს“ და მსახური.

---

[870] ვახტანგის სამართალი განმარტავს, რომ „გლეხის კაცისა და მსახურის სისხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი და სახლის საჴმარი რკინა, რვალი, – ყველა დაიჭირვის“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 486). აღნიშნული ნორმა ერთი შეხედვით, გამორიცხავს გლეხის სისხლის საფასურად ადამიანისა და მიწის მოაზრებას, თუმცა პრაქტიკაში ეს ასე არ იყო. სიტყვები – „ყველა დაიჭირვის“, უნდა განმარტავდეს იმ ვითარებას, რომ საჭიროების შემთხვევაში, არა მხოლოდ ჩამოთვლილი ნივთები, არამედ გადახდის სხვა საშუალებებიც გამოეყენებინათ. რადგან თავისი ყმის დანაშაულზე პასუხისმგებელი საბოლოოდ, მაინც მებატონე გამოდიოდა, შესაბამისად, გლეხის სისხლის ფასის ანგარიშში მისი მთლიანი კომლი და მიწა იყო ნაგულისხმები.

XIX საუკუნის დასაწყისში ჩაწერილი „ჩვეულებითი რჯულის“ მიხედვით, თუ გლეხი ვალს მებატონისაგან დამოუკიდებლად აიღებდა, ვალი მხოლოდ მისი მოძრავი ქონებით უნდა გადაეხადა, ხოლო თუ ეს ქონება საკმარისი არ იქნებოდა, თანხის შესაგროვებლად გარკვეულ ვადას მისცემდნენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ვალს გლეხი ბატონის თანხმობით აიღებდა და მის დასაფარად მოძრავი ქონება არ კმაროდა, მევალეს „მამულსაც მისცემდნენ და კაცსაც“. ანუ ფეოდალური სამართალი პირდაპირ მიუთითებდა, რომ გლეხის ვალის დაფარვა მისი ოჯახით და „მამულით“ უნდა მომხდარიყო (იხ.: ი. დოლიძე. საქართველოს ჩვეულებითი სჯული. თბ. 1960, გვ. 51). რა თქმა უნდა, სისხლის საფასურის გადასახდელად, გლეხის მიერ ვალის აღება ბატონის თანხმობით იქნებოდა შესაძლებელი. ამდენად, ბატონის სურვილის მიუხედავად, თავისი ყმის ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა მაინც მას ეკისრებოდა.

[871] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 150.

ფეოდალების სისხლის ფასები ასე გამოიყურება:

1. დიდებული – „სისხლი ორმოცი ათასი თეთრი იყოს“.

2. „ციხოსან-მონასტროსანი“ – „სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს“.

3. „უციხო, უმონასტრო“ – „თორმეტი ათასი თეთრი“.[872]

თუ აღნიშნულ თანხას ვერცხლის გრამებში გადავიყვანთ, შემდეგ ოდენობებს მივიღებთ:

1. დიდებული – 148 000 გრამი ვერცხლი (40 000 თეთრი).

2. „ციხოსან-მონასტროსანი“ – 74 000 გრამი ვერცხლი (20 000 თეთრი).

3. „უციხო, უმონასტრო“ – 44 400 გრამი ვერცხლი (12 000 თეთრი).

ვახტანგის სამართლის მიხედვით, ფეოდალების შემდეგი კატეგორიებია გამოყოფილი: 1. დიდებული თავადი, 2. „შუა თავადი“, 3. „მესამე თავადი“, 4. „გადიდებული აზნაური“, 5. „შუა აზნაური“, 6. „ცალმოგვი, ანუ მესამე აზნაური“.[873] მათთვის შემდეგი ოდენობის სისხლის ფასები განისაზღვრა:

1. დიდებული თავადი – ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი.

2. „შუა თავადი“ – შვიდას სამოცდარვა თუმანი.

3. „მესამე თავადი“ – სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი.

გრამებში გადაყვანილი ფასები ასე გამოიყურება:

1. დიდებული თავადი – 576 000 გრამი ვერცხლი (1536 თუმანი/15 360 მინალთუნი, ანუ 76 800 აბაზი).

2. „შუა თავადი“ – 288 000 გრამი ვერცხლი (768 თუმანი/7680 მინალთუნი, ანუ 38 400 აბაზი).

3. „მესამე თავადი“ – 144 000 გრამი ვერცხლი (384 თუმანი/3840 მინალთუნი, ანუ 19 200 აბაზი).[874]

როგორც ვხედავთ, XIII-XIV საუკუნებთან შედარებით, XVIII საუკუნის I მეოთხედში სისხლის ფასი პირველი კატეგორიისათვის გაზრდილია დაახლ. 4-ჯერ, მეორე კატეგორიისათვის – დაახლ. 4-ჯერ, ხოლო მესამე კატეგორიისათვის – დაახლ. 3-ჯერ.

მსახურის სისხლის ფასს ბექა-აღბუღას სამართალი განსაზღვრავს 1000 თეთრით, ანუ 3700 გრამი ვერცხლით,[875] ხოლო ვახტანგის სამართალი – 24 თუმნით,[876] ანუ 9000 გრამი ვერცხლით. განსხვავება ამ შემთხვევაში დაახლ. ორ-ნახევარია.

საშუალოდ, აღნიშნულ ეპოქებს შორის, სამივე კატეგორიის თავადის, ასევე მსახურისა და გლეხის სისხლის ფასების საერთო ზრდა დაახლოებით სამმაგია.[877]

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, ვაჭრები ორ კატეგორიად იყოფოდა – საპატიო ვაჭარი, ანუ დიდვაჭარი და „მას ქვეშე“, ანუ საშუალო ვაჭარი:

---

[872] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 426-427.

[873] ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში მოხსენებულ ფეოდალებს ვახტანგის ეპოქის თავადები შეესაბამება.

[874] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 429.

[875] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489.

[876] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489.

[877] ბექა-აღბუღას სამართალი „ქოთლოსანის“, აბჯროსანის“ და „კარვოსანის“ სისხლის ფასებს 6-12 ათასი თეთრით, ანუ 22200-44400 გრამი ვერცხლით განსაზღვრავს. ვახტანგის სამარალი კი, სამი ხარისხის აზნაურების სისხლის ფასებს შემდეგნაირად განსაზღვრავს: გადიდებილი აზნაურის – 192 თუმანი, ანუ 72000 გრამი ვეცხლი, შუა აზნაურის – 96 თუმანი, ანუ 36000 გრამი ვერცხლი, ცალმოგვი აზნაურის – 48 თუმანი, ანუ 18000 გრამი ვერცხლი. რადგან ამ შემთხვევაში კონკრეტული ეპოქის სოციალურ კატეგორიებთან გვაქვს საქმე, შედარებისათვის მათი სისხლის ფასებს არ ვითვალისწინებთ.

„თუ ვაჭარი მოკლას ვაჭარმან, თუ სხვამან ვინგინდამ, საპატიოსა ვაჭრისა თორმეტი ათასი თეთრი იყოს, ასეთისა, რომე პატრონთა კარგად ყვეს საპატიოთ და საქმის მქნელად.

და მას ქვეშეთისა, რომე გზით მოვიდეს, და პატრონთა ნახვისა და ძღვნისა მიღებასა ღირს იყოს, მისი ექვსი ათასი თეთრი იყოს".[878]

კონტექსტიდან ჩანს, რომ საშუალოზე დაბალი კატეგორიის ვაჭრებიც იყვნენ, მაგრამ მათი სისხლი შეფასებული არაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი როლი არც ისე დიდი უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, კანონმდებელი საგანგებოდ მათ სისხლს არ აფასებდა. წვრილი ვაჭრების სისხლი, სავარაუდოდ, გლეხის სისხლის ფასის იდენტური იქნებოდა. ვერცხლის გრამებში გადაყვანით, XIII-XIV საუკუნეებში ვაჭრების სისხლის ფასები ასე გამოიყურება:

1. საპატიო ვაჭარი – 44 400 გრამი ვერცხლი (12 000 თეთრი).
2. „მას ქვეშე", ანუ საშუალო ვაჭარი – 22 200 გრამი ვერცხლი (6 000 თეთრი).

ვახტანგის სამართლის წიგნში ვაჭართა სისხლის შემდეგ ტარიფებს ვხვდებით:

1. დიდვაჭრის სისხლი – 36 000 გრამი ვერცხლი (96 თუმანი).
2. „მეორე ვაჭრის" სისხლი – 18 000 გრამი ვერცხლი (48 თუმანი).
3. „მესამე ვაჭრის" სისხლი – 9000 გრამი ვერცხლი (24 თუმანი).
4. „მეოთხე ვაჭრის" სისხლი – 4500 გრამი ვერცხლი (12 თუმანი).[879]

როგორც ვხედავთ, ვაჭრების სისხლის ფასები XIII-XIV საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე არათუ გაზრდილა, არამედ ოდნავ შემცირებულა კიდეც.

გლეხის შემთხვევაში, სისხლის ფასი თითქმის აბსოლუტურ თანხვედრაში მოდის „მამულიანი" კომლის ფასთან. ცხადია, ფეოდალის სისხლიც მისი ქონების შესაფერისი უნდა ყოფილიყო. როგორც გლეხისა და ფეოდალის ქონების განხილვამ გვიჩვენა, დიდი სათავადო სახლის ქონება დაახლ. 1700/2900-ჯერ აღემატებოდა გლეხის ღირებულებასა და მის ქონებას. რაც შეეხება სისხლის ფასებს, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, განსხვავება 100-ჯერადია, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით – 128-ჯერადი. ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი მონაცემები, რეალურად ეკონომიკურ კანონზომიერებას ეფუძნებოდა. საქმე ის არის, რომ სათავადოებისა და აზნაურთა ერთიან სახლებში თავადისა და აზნაურის სისხლის ფასის განსაზღვრების ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს, არა ერთი ადამიანის სისხლისათვის საჭირო ქონება, არამედ სათავადოს სახლისკაცების სისხლის შესაფერისი ქონება. დიდ სათავადოებს, როგორც ცნობილია, განაგებდნენ სახლის უფროსები, რომელთა სისხლი შეფასებული იყო 1536 თუმნად, ხოლო მათი სახლისკაცები მეორე ხარისხის თავადთა კატეგორიაში გადიოდნენ. მეორე ხარისხის თავადების სისხლი ფასობდა 768 თუმნად. ტრადიციულად, დიდი სათავადოების ერთიანი სახლები რამდენიმე ოჯახისაგან შედგებოდა და მამაკაცების რაოდენობა პოტენციურადაც და რეალურადაც ორ ათეულს ან უფრო მეტს უტოლდებოდა. ამდენად, დიდი სათავადოს ქონება მოიაზრებოდა არა მხოლოდ სახლის უფროსის, არამედ მისი სახლის წევრების სისხლის საზღაურადაც. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენის დროს, საამილახვროში ხუთი სახლი იყო,[880] შესაბამისად, საამილახვროს წევრთა სისხლის

[878] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 463.
[879] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489.
[880] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 197; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 687;

განსაზღვრისათვის გათვალისწინებული იქნებოდა არა მხოლოდ 1536 თუმანი, არამედ ოთხი სახლის 15-20 მამაკაცის სისხლის საფასურიც – დაახლ. 12000-15000 თუმანიც. მხედველობაში მიღებული იქნებოდა ის გარემოებაც, რომ ოჯახის ერთი ან ორი წევრის ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის საზღაურის გადახდას დრამატული შედეგი არ უნდა მოეტანა სათავადოსათვის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო და მცირე სათავადოებში (ისევე როგორც აზნაურთა შემთხვევაში), დიდი სათავადოებისაგან განსხვავებით, ნაკლები ოჯახი ერთიანდებოდა. ამდენად, მათი სისხლის ფასის განსაზღვრისათვის, გათვალისწინებული იქნებოდა არა 15-20 მამაკაცის სისხლის შესაფერისი ქონება, არამედ უფრო ნაკლები.

სისხლის ფასების ზრდას ყურადღება მიაქცია თ. დუნდუამ თავის ნაშრომში „ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“. ავტორი სისხლის ფასების ზრდის შესახებ აღნიშნავს: „თანხის ზრდა უდრის ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდას“. მისი აზრით, „...რაოდენობრივი მატების ნელი ტემპები უდრის შემეცნებითი დიალექტიკის ერთ თვისებრივ საფეხურზე ყოფნას“.[881]

აღნიშნულ მოსაზრებებს, ზოგადად, ვეთანხმებით და დავამატებთ, რომ განსახილველ ეპოქებს შორის, საგლეხო ფუძის ფასის ზრდა თანხვედრაში მოდის წარმოდგენილ კონცეფციასთან.[882] ინფლაციის თითქმის არარსებობის პირობებში, სისხლისა და ქონების ფასების ზრდა, სწორედ ზემოთქმულის დამადასტურებელი უნდა იყოს.

ამდენად, სისხლის ფასებისა და გლეხის ქონების ზრდამ გვიჩვენა, რომ აღმოსავლეთ საქართველში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქცია XIII-XIV საუკუნეებიდან XVIII საუკუნის I ნახევრამდე აშკარად გაიზარდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, დასაზუსტებელია როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები, ასევე გამოსარკვევია, ეკონომიკური ფაქტორის გარდა, სხვა გარემოებებიც ხომ არ განაპირობებდა სისხლის ფასის ზრდას?

დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, ყურადღება უნდა მივაქციოთ საგლეხო ფუძის ზრდის მაჩვენებელსა და სისხლის ფასის ზრდის ტემპებს. როგორც ზემოთ ვნახეთ, კონკრეტულად საგლეხო ფუძის ღირებულება XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე გაიზარდა დაახლ. 1,7/1,8-ჯერ (1100-1200 გრამი ვერცხლიდან 2000 გრამ ვერცხლამდე), მაშინ როდესაც გლეხის (ოჯახის წევრებთან ერთად) ღირებულებამ 3,5-ჯერ მოიმატა (600 გრამი ვერცხლიდან დაახლ. 1900-2300 გრამ ვერცხლამდე).

საგლეხო ფუძის ფასის ზრდის კოეფიციენტიდან გამიმდინარე, ჩვენი აზრით, ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია XI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე მხოლოდ 1,5/2-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება გლეხების ღირებულების უფრო მაღალი ტემპებით (3,5-ჯერ) მატებას, ეს პროცესი უნდა გამოეწვია შემდეგ ფაქტორებს: I. XIII საუკუნიდან საგარეო მტრების შემოსევების შედეგად, მწარმოებელი მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვანად შემცირდა, რასაც უნდა გამოეწვია ფასის გარკვეული ზრდა; II. დაახლ. XV-XVI საუკუნეებიდან, გლეხები

[881] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 162-163.

[882] უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჩვენი გამოთვლებით, სისხლის ფასის ზრდის საშუალო მაჩვენებელია 3, ხოლო თ. დუნდუას აზრით, ზრდა ხუთმაგია. განსხვავება გამომდინარეობს იქიდან, რომ თ. დუნდუას აზრით, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში დასახელებულ თეთრში იგულისხმებოდა არა ორდირჰემიანი, არამედ ნაკლები წონის მონეტა, რომელიც შეესატყვისებოდა ქართულ თეთრს.

სამხედრო ვალდებული პირები გახდნენ და მიწათმოქმედების პარალელურად, მუდმივად მონაწილეობდნენ სამხედრო კამპანიებში. შესაბამისად, გლეხის სისხლის ფასზე აღნიშნულ ფაქტსაც უნდა მოეხდინა გავლენა. ამდენად, სისხლის ფასის მატება განაპირობა, როგორც წარმოებული პროდუქციის ზრდამ, ასევე სხვა გარემოებებმა. გლეხისა და საგლეხო ფუძის გაძვირება, თავის მხრივ, განაპირობებდა მათი მფლობელი ფეოდალების ქონებისა და სისხლის ფასის მატებასაც.

ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ იმ მოსაზრებაზე, რომელიც XIII-XVIII საუკუნეებში, საწყაოების გადიდების მიზნით, საბატონო გადასახადების გაზრდას ეხება. აღნიშნულ საკითხზე, თავდაპირველად, ივ. ჯავახიშვილმა გაამახვილა ყურადღება და შენიშნა, რომ საგადასახადო საწყაოები, მათ შორის ლიტრა, პირვანდელ მოცულობასთან შედარებით, ექვსჯერ იყო გადიდებული. ავტორი აღნიშნავდა: „საფიქრებელია, რომ საზომების გადიდება მაშინდელი ფინანსისტების ერთგვარი ოსტატური ხერხი უნდა ყოფილიყო შემოსავლის გასადიდებლად. მთელი ამ ღონეობის ცბიერება იმაში მდგომარეობდა, რომ გადასახადების ნორმები და გამოსაღებელის ოდენობის სახელ-რიცხვები ძველი და უცილობელი რჩებოდა, კანონი და გამოსაღებელის გარიგების წიგნები დაურღვეველი იყო, შემოსავალი კი მეტი შემოვიდოდა და საგრძნობლადაც გადიდდებოდა, რათგან გადასახადები წინანდელი პატარა ლიტრისა, კაბიწისა და კოკის მაგიერ ახალი გადიდებული საზომებით უნდა გამოეღოთ... გადასახადების გადიდება მხოლოდ მაშინ შეიძლება შემოსავლის გასადიდებლად მიზანშეწონილ და საღ საშუალებად იქმნეს ცნობილი, როდესაც ამას ხალხის კეთილდღეობის უცილობელი გაუმჯობესება წინ უსწრებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, რასაკვირველია, მეტი გაღარიბების მიზეზად შეიქმნება. ამის გამო უეჭველია, საქართველოს მაშინდელ პირობებში გადასახადების ესოდენი გადიდება ჩვენი ერის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის სახეირო არ უნდა ყოფილიყო და ხალხისა და მეურნეობის დაგლახაკებას უფრო გააძლიერებდა“.[883]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა: „... XII-XIII საუკუნიდან XV საუკუნის შუა წლებამდის პურის და ღვინის ძირითადი საწყაო – ლიტრა ექვსჯერ არის გადიდებული. ამდენადვეა გადიდებული ceteris paribus, მაშასადამე თავი ბეგარაც... ლიტრა [და მისგან დამოკიდებით სხვა საწყაონიც] შეუჩერებლივ იზრდება და XVIII საუკუნის დასასრულისათვის ის 10-12-ჯერ მეტია XIII საუკუნის ლიტრასთან შედარებით... გასაგებია, თუ ფეოდალური საქართველოს განვითარება შეფერხდა... ასეთ ურთიერთობამდის მისული საზოგადოების განვითარება დიდის ხნით შეიძლება შენელდეს, შედგეს [„ჩიხი“], მაგრამ ის ამ ურთიერთობის შემდგომ გაუარესებისას შეიძლება რეგრესის გზითაც დაექანოს... სამწუხაროდ, საქართველოს განვითარება საშინაო და საგარეო პირობები XV საუკუნეში სწორედ ვერ იყო ისეთი, რომელიც ამ „ჩიხიდან“ საზოგადოების გამოსვლას ხელს შეუწყობდა“.[884]

როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილი მოცემულ პროცესს (ანუ საწყაოების გადიდებას და, შესაბამისად, გადასახადების ზრდას) ქვეყნის „ჩიხში“ შეყვანის ერთ-ერთ

[883] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, გვ. 409-410.
[884] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. II. თბ. 1965, გვ. 69-70.

მიზეზად განიხილავს. გამოთქმული მოსაზრება გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.[885]

ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ლიტრის, მასთან დაკავშირებული საწყაოებისა და გადასახადების გაზრდის საკითხი ჩვენ შემდეგნაირად წარმოგვიდგენია: XII-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე ლიტრის მოცულობის დაახლ. 9-ჯერ გაზრდის ფაქტის მიუხედავად, ძირითადი საგადასახადო საწყაოების ზრდა იმავე მოცულობით არ მომხდარა. ეს განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ საგადასახადო საწყაოებში, დროთა განმავლობაში იკლებდა ლიტრების ოდენობა. მაგალითად, თუ XIII საუკუნეში ღვინის უმთავრეს საგადასახადო საწყაოდ გამოიყენებოდა 24-ლიტრიანი (ლიტრა=406,25 გრ.) კოკა, XVIII საუკუნეში გადასახადის გადახდა წარმოებდა, ძირითადად, 10-ლიტრიანი (ლიტრა=3 კგ.-ს) კოკით. ამგვარად, კოკა XII-XIII საუკუნეებში იწონიდა დაახლ. 10 ლიტრს, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისში – 30 ლიტრს.[886] როგორც ვხედავთ, ღვინის საგადასახადო საწყაო დასახელებულ საუკუნეებს შორის, მხოლოდ სამჯერ გაიზარდა. რაც შეეხება მარცვლეულის საწყაოებს, ამ შემთხვევაშიც მსგავს სურათს ვხვდებით – XI-XIII საუკუნეებში მარცვლეულის საგადასახადო საწყაო კაბიწი იყო, ხოლო მსხვილ ერთეულად ითვლებოდა გრივი, რომელიც 10 კაბიწს შეიცავდა. კაბიწი XI-XIII საუკუნეებში დაახლოებით 10 კგ.-ს იწონიდა, XV საუკუნის II ნახევარში და XVI საუკუნეში – 17,5 კგ.-ს.[887] XVI საუკუნიდან კაბიწი ჩანაცვლდა კოდით. ამავე საუკუნეში კოდი იწონიდა 18 კგ.-ს, XVIII საუკუნის I მესამედში კი 10-ლიტრიანი კოდი მიიჩნეოდა „სწორ“ კოდად და იტევდა 30 კგ.-ს.[888] როგორც ვხედავთ, მარცვლეულის საწყაოც XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე სამჯერ გაზრდილა. გრივი, რომელიც 10 კაბიწს იტევდა, XI-XIII საუკუნეებში იწონიდა დაახლ. 100 კგ.-ს.[889] XVI საუკუნის მიწურულიდან კი გვხვდება 10 კოდის მოცულობის საწყაო – ხარვარი, რომელსაც გრივი უნდა ჩაენაცვლებინა. ხარვარი XVIII საუკუნის I მესამედში იწონიდა 300 კგ.-ს.[890] ამ შემთხვევაშიც ზრდა სამმაგია. ერთი სიტყვით, ძირითადი საგადასახადო საწყაოები XI-XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნის I ნახევრამდე დაახლოებით სამჯერ გაიზარდა და არა 6-7-ჯერ, ანდაც 10-12-ჯერ;

რა თქმა უნდა, მოსახლეობის შემცირების პარალელურად, XIII საუკუნის შემდგომ პერიოდში, ფეოდალები მეტი გადასახადების მიღებას ეცდებოდნენ, მაგრამ ცოტა საეჭვოდ გამოიყურება მოსაზრება, რომ საწყაოები მხოლოდ ზედმეტი გადასახადის მიღების მიზნით გაეზარდათ. ჩვენი აზრით, ეკონომიკური კანონზომიერების საწინააღმდეგო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე შემოსავლების მქონე საგლეხო ფუძე, წინა საუკუნეებთან შედარებით, XV-XVIII საუკუნეებში სამჯერ მეტი გადასახადით დაბეგრილიყო. დაბეგვრის ინდექსის ასეთი ზრდა, ელემენტა-

[885] იხ.: ბ. ლომინაძე. ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XV სს. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 754; ბ. ლომინაძე. საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 744-745. გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 217-218.

[886] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 101-102.

[887] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 93.

[888] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 96-99.

[889] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 84.

[890] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 114-115.

რულად, საარსებო საშუალებას მოუსპობდა გლეხებს.[891] ყმა-გლეხების უკიდურესად დაუძლურება კი მათი მეპატრონეების ინტერესშიც არ შედიოდა, რადგან ფეოდალების ქონება დიდწილად გადასახადის გადამხდელი ყმებით განისაზღვრებოდა. თანაბარ ეკონომიკურ პირობებში გადასახადის ასეთი მკვეთრი ზრდა თეორიულადაც ძნელად წარმოსადგენია – XVIII საუკუნეში, როდესაც, დასახელებულ ავტორთა მოსაზრებით, გლეხები მაქსიმალურად დაიბეგრნენ, საბატონო გადასახადები შეადგენდა საერთო მოსავლის მეხუთედს, ანუ 20%-ს. შესაბამისად, გამოდის რომ XI-XII საუკუნეებში დაბეგვრის ინდექსი მხოლოდ 5-7% იყო. ასეთი დაშვება კი წარმოუდგენელია;

ჩვენი აზრით, ეტაპობრივად საწყაოების ზრდა და გადასახადების გადიდება გამოწვეული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ფეოდალთა მტაცებლური ბუნებით, არამედ საგლეხო მეურნეობის განვითარებით. თუ სიღრმისეულად დავაკვირდებით პროცესს, ვნახავთ, რომ ლიტრის ზრდის ტენდენცია შეინიშნება ერქვანის ნაცვლად გუთნის დამკვიდრების პარალელურად. როგორც ჩანს, არასწორგოგორებიანი ფამფალაკი და სხვა დეტალები დროთა განმავლობაში შეემატა გუთანს, რის შედეგადაც, იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. 10-12-უღლიანი დიდი ქართული გუთნის დამკვიდრებას მეტი ფართობის ათვისება უნდა გამოეწვია. მოსავლიანობის მატებას მარცვლეულის ახალი ჯიშების გამოცდა და სხვა ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობი დეტალიც შეუწყობდა ხელს. ამდენად, XVIII საუკუნეში მარცვლეულის 8-ჯერადი მოსავლიანობა გარკვეული პროგრესის შედეგი უნდა იყოს და არა წინა ეპოქებში არსებული ნორმა. ანალოგიურ პროცესთან უნდა გვქონდეს საქმე მევენახეობასთან დაკავშირებითაც – როგორც ღვინის ფასის განხილვისას აღინიშნა, XI-XII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე ვენახიდან მიღებული მოსავლის ოდენობა დაახლ. 800-1000 ლიტრი ღვინიდან 1200-1500 ლიტრამდე უნდა გაზრდილიყო. ერთი სიტყვით, მოსავლიანობის გადიდებას უნდა გამოეწვია საგლეხო ფუძისა და გლეხის ღირებულების გაზრდა.

ამდენად, გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულების, სისხლის ფასის, საწყაოების, გადასახადებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდა სინქრონულ პროცესად გვევლინება, რაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გარკვეული პროგრესის მანიშნებელია.

რა თქმა უნდა, ის ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რომ ყმა-გლეხების გადასახადები უფრო მეტად გაიზრდებოდა (და რეალურად გაიზარდა კიდეც), ვიდრე იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, თუ გლეხი XI საუკუნეში 5 დღიური მიწიდან მოიწევდა 1500-2000 კგ. მარცვლეულს, ფეოდალი მას უზომოდ ვერ დაბეგრავდა, რადგან მისთვის, სულ მცირე, ოჯახის გამოსაკვები და დასათესი ხორბლის მარაგი (დაახლ. 1300-1400 კგ.) უნდა დაეტოვებინა. ხოლო, XVIII საუკუნეში 5 დღიური მიწიდან მოყვანილი 3000 კგ. მარცვლეულიდან მებატონეს შეეძლო სამჯერ მეტი გადასახადი აეღო, რადგან გლეხის არსებობისათვის საჭირო მარაგს, ამ შემთხვევაში, საფრთხე არ შეექმნებოდა. ასეთია ჩვენი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის ზრდაში, უპირველეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდას ვგულისხმობთ. ფეოდალური ქვეყნების ეკონომიკა დიდწილად მიწასა და სასო-

[891] ყოვლად წარმოუდგენლად მოჩანს გადასახადების 8-12-ჯერ გაზრდასთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდი.

ფლო-სამეურნეო პროდუქციაზე იყო დამყარებული. შესაბამისად, წამყვანი ადგილი სოფლის მეურნეობას ეკავა. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკაში თავის როლს საქალაქო ცხოვრებაც ასრულებდა. სწორედ ქალაქების განვითარებას უნდა უზრუნველეყო ფეოდალიზმის დაძლევა და ქვეყნის შემდგომი წინსვლა. თუ X-XIII საუკუნეების საქართველოში ქალაქების როლი იზრდებოდა, XIV საუკუნიდან საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. აღნიშნული ეპოქიდან თბილისის ჩათვლით, ყველა ქართული ქალაქის მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა, ზოგიერთმა ქალაქმა კი არსებობა შეწყვიტა. როგორც ჩანს, აღნიშნული პროცესიც აისახა სისხლის ფასებზე. შესაბამისად, დიდვაჭრებისა და საშუალო შეძლების ვაჭრების სისხლი ბექა-აღბუღას სამართლის წიგნით უფრო მეტ თანხად ფასობდა (44 000 და 22 000 გრ. ვერცხლი), ვიდრე ვახტანგის სამართლის წიგნით იყო განსაზღვრული (36 000 და 18 000 გრ. ვერცხლი). ყოველივე ეს შეძლებულ ვაჭართა კატეგორიის, მინიმუმ, ვერგანვითარების მანიშნებელია. როგორც ვხედავთ, სისხლის ფასები საზოგადოებრივი ფენების ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტ ინდიკატორს წარმოადგენდა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ვაჭართა სისხლის ფასის გარკვეული კლების მიუხედავად, ვახტანგის სამართალის წიგნის მიხედვით, ისინი ოთხ კატეგორიად იყოფოდნენ, მაშინ როდესაც, აღბუღას სამართალი მხოლოდ ორი კატეგირიის ვაჭარს გამოყოფდა. ყოველივე ეს, შესაძლოა, გვიანფეოდალურ ეპოქაში წვრილი, საცალო ბაზრის მეტად განვითარების მანიშნებელი იყოს.

ამდენად, XIII-XVIII საუკუნეების განმავლობაში, თუ სახეზე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო სფეროში ზრდა, საქალაქო ცხოვრების პირობაზე, გარკვეულ კლებას ჰქონდა ადგილი. ამოტომ, ქალაქების როლის გათვალისწინებით, XIII-XVIII საუკუნეებში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის ზოგადი ზრდა უნდა განისაზღვროს არა სამმაგი, არამედ ორმაგი, ან უფრო ნაკლები ოდენობით.

XIII-XVIII საუკუნეებში ქვეყნის პოლიტიკური დეგრადაციის ფონზე რაიმე სახის ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი, ერთი შეხედვით, შეიძლება მიუღებელ მოსაზრებად მოჩანდეს, მაგრამ წარმოუდგენელ ვითარებასთან საქმე არ გვაქვს – რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფო ეკონომიკურად გაცილებით უფრო მძლავრი იყო XI-XIII საუკუნეებში (და თუნდაც XIV საუკუნეში), ვიდრე გვიანფეოდალურ ეპოქაში, თუმცა ამისათვის სულაც არ იყო საჭირო, რომ თითოეული გლეხის თუ ფეოდალის ქონება XI-XIII საუკუნეებში უფრო დიდი ყოფილიყო, ვიდრე XVII-XVIII საუკუნეებში. XI-XIII საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებას განაპირობებდა ქვეყნის ერთიანობა, გაფართოებული საზღვრები, გაცილებით მეტი მოსახლეობა, ყმადნაფიცი ქვეყნები და ა.შ. და არა გლეხის ან ცალკეული ფეოდალის ქონების ღირებულება. XVII-XVIII საუკუნეებში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის ზრდა არანაირად არ ნიშნავდა XIII საუკუნეზე დიდი ეკონომიკის არსებობას – თუ მაქსიმუმ ორჯერ გაიზარდა ერთ მოსახლეზე პროდუქცია, გაცილებით მეტჯერ შემცირდა მოსახლეობის ოდენობა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პროდუქციის ზრდის ფაქტი ფიქსირდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში.

„სისხლის ფასები“ XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში

როგორც ზემოთ ვნახეთ, გვიანფეოდალური ეპოქის დასავლეთ საქართველოში მეტად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა სუფევდა, რის შედეგადაც, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, გლეხისა და საგლეხო ფუძის ღირებულება მცირე იყო. შესაბამისად, საინტერესოა, რამდენად აისახა არსებული ეკონომიკური გარემო სისხლის ფასებზე.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა ვახტანგის სამართლის წიგნი, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სისხლის განსხვავებულ ტარიფებს ვხვდებით. მაგალითისათვის მოვიტანთ ქაიხოსრო აგიაშვილის სასისხლო საქმეზე სოლომონ I-ის განჩინებას, რომელშიც აღნიშნულია: „სისხლის ფასად გავაჩინეთ რვა ქესა. მარა ასეთი დრო და ჟამია, რომ შეძლება არ არის. ამისათვის ნახევარი ხელმწიფემ იპატია, ერისთავმა და დარბაისელმან იპატივა. ოთხი ქესა თეთრი უნდა მისცეს...“.[892]

ქესა XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში 216 რუბლის/მინალთუნის ტოლფასი იყო.[893] ამდენად, სოლომონ I-ს თავადის სისხლი 1728 მინალთუნად (8×216=1728), ანუ 172,8 თუმნად შეუფასებია. რაც თავის მხრივ, ორჯერ და მეტჯერ ნაკლებია ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით მესამე თავადის სისხლის ფასზე.

ვახტანგის დაწესებულ ფასებთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში სისხლის ფასი რომ განახევრებული იყო, ეს კარგად ჩანს XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შედგენილი საბუთიდან, რომელშიც არაორაზროვნად აღნიშნულია: „ორას ორმოცი მარჩილი ცალმოგვი აზნაუ[რ]შვილის და ასოცი მარჩილი მსახურის ნახევარს სისხლშიდ მისცეს დავითმა სვიმონს“.[894]

როგორც ვხედავთ, სასამართლო განჩინებით, ცალმოგვი აზნაურის ნახევარი სისხლი შეფასებული იყო 240 მარჩილად, ანუ 14,4 თუმნად, ხოლო მსახურის ნახევარი სისხლი 120 მარჩილად, ანუ 7,2 თუმნად. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ცალმოგვი აზნაურის სისხლი უდრიდა 48 თუმანს, ხოლო მსახურის – 24 თუმანს.[895] ამდენად, ქართლში ცალმოგვი აზნაურის ნახევარი სისხლის ფასი იყო 24 თუმანი, ხოლო მსახურის – 12 თუმანი. შესაბამისად, განჩინების მიხედვით, იმერეთში აზნაურის სისხლი განახევრებული ჩანს, ხოლო მსახურის – 40%-ით შემცირებული. სხვა საკითხია, რომ აღნიშნულ ეპოქაში აბაზის წონა 2,5-ჯერ იყო შემცირებული ვახტანგ VI-ის პერიოდის აბაზებთან შედარებით. ერთი სიტყვით, დაბალი კატეგორიის ფეოდალების (ასევე, გლეხების) სისხლის ფასი დასავლეთ საქართველოში, უმეტეს შემთხვევაში, განახევრებული ჩანს, რაც ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობდა. რაც შეეხება პირველი ხარისხის თავადებს, ამ შემთხვევაში, სისხლის განაკვეთად მითითებული იყო ქართლ-კახეთში არსებული ფასი – „დიდებულის თავადის მთელის სისხლი – ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი“, აღნიშნულია სოლომონ

[892] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 277-278.
[893] მ. გონიკიშვილი. იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 21, 54.
[894] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI. სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ. 1977, გვ. 278.
[895] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 489.

II-ის განჩინებაში ზურაბ წერეთლისა და როსტომ ნიჟარაძის სასისხლო საქმეზე.[896] აქედან ცხადი ხდება, რომ გვიანი ფეოდალური ეპოქის დასავლეთ საქართველოში ეკონომიკურმა დაღმასვლამ თავისი კვალი დაამჩნია გლეხობას, მსახურეულ ფენასა და ქვედა კატეგორიის ფეოდალებს, ხოლო დიდმა სათავადოებმა დუხჭირ ეპოქაშიც შეინარჩუნეს მდგრადობა.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა ვახტანგის სამართლის წიგნი, პრაქტიკაში სისხლის ფასი უმეტეს შემთხვევაში, დადგენილ ნორმაზე ნაკლებად ფასდებოდა.

„სისხლის ფასები“ XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში

ფეოდალთა ქონების განხილვამ გვიჩვენა, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში უმთავრესად დიდი ფეოდალების (სათავადოების) ქონებრივი მდომარეობა დაახლოებით სამჯერ შემცირდა. ვნახოთ, როგორ აისახა ეს ფაქტი სისხლის ფასებზე. თავდაპირველად, მოკლედ შევეხებით გლეხების სისხლის ფასს.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვახტანგ VI-ის დაწესებული გლეხის სისხლის ფასი ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის ზოგიერთ კუთხეში ჯერ გააორმაგა, შემდეგ კი 30 თუმნამდე ასწია.[897] 1786 წლის 17 მაისის ერეკლე II-ის „განჩინების დადებაში ქართველთა, თუშთა და ანწუხელთათვის“ აღნიშნულია: „სისხლი პირველად თორმეტი თუმანი იყო, მეორე[თ] ოცდაოთხ თუმნათ გავხადეთ; და კიდევ არ იქნა, მაინც კიდევ ხოცდნენ. და ახლა ოცდაათ გაგვიხდია...“.[898]

თითქმის ანალოგიური ვითარებაა ასახული 1791 წლის 3 აპრილის ერეკლე II-ის განჩინებაში კორინთელისა და ოსების სასისხლო საქმეზე, რომელშიც გლეხის სისხლი აზნაურის სისხლის ფასის – 96 თუმანის მესამედით, ანუ 32 თუმანით განისაზღვრება.[899] 1793 წლის 15 თებერვლის განჩინებაში კი გლეხი ფრიდონაშვილის ნახევარი სისხლი შეფასებულია 12 თუმნად.[900]

სასამართლო განჩინებებიდან ჩანს, რომ ზოგჯერ გლეხის სისხლი 12 თუმნადაც ყოფილა შეფასებული, თუმცა XVIII საუკუნის II ნახევარში გლეხის სისხლის ფასის 30 თუმნამდე მომატების ტენდენცია აშკარად შეიმჩნევა.

გამომდინარე იქიდან, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში აბაზის წონა დაახლ. 2,5-ჯერ შემცირდა, ვახტანგ VI-ის ეპოქის 12 თუმანი ერეკლე II-ის ეპოქის 30 თუმნის ეკვივალენტური იყო. ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში გლეხის სისხლის ფასი

---

[896] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 436.

[897] Сборник законов Грузинского царя Вахтанга VI. Под ред. Д. З. Бакрадзе. Тифлис, 1887, გვ. 10; სამართალი ბატონიშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ. თბ. 1964, გვ. 0189.

[898] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 732. აღნიშნული დოკუმენტის ფრანგული თარგმანი 1857 წელს გამოაქვეყნა მ. ბროსემ. იხ.: Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIXe siècle. P. 2. Histoire moderne. 2-e livr. traduite du géorgien par M. Brosset. St.-Pétersbourg, 1857, გვ. 538. დ. ბაქრაძე სწორედ დასახელებულ დოკუმენტზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ერეკლემ გლეხების სისხლის ფასი გაზარდა.

[899] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 529-530.

[900] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 599-602.

რეალურად კი არ იზრდებოდა, არამედ სირმა-აბაზის კურსის შესაბამის დაკორექ-ტირების პროცესთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება თავად-აზნაურებს, სასამართლო პრაქტიკაში ვერსად ვხვდებით მათი სისხლის ფასების აბაზის წონის ადეკვატურ გათანაბრებას. ყველა სასისხლო საქ-მის განაჩენში თავად-აზნაურთა სისხლი კვლავინდებურად ვახტანგ VI-ის დადგენილი თუმნების რაოდენობით იანგარიშებოდა.[901] ეს კი თავისთავად ნიშნავდა თავად-აზნაურ-თა სისხლის ფასის დაახლ. 2,5-ჯერ შემცირებას.

გლეხების სისხლის ფასისაგან განსხვავებით, ფეოდალთა სისხლის ფასის ფაქტო-ბრივი შემცირება გამოწვეული უნდა იყოს ფეოდალური სახლების გაყოფის შედეგად ქონების შემცირებით და იმუნიტეტის დენონსაციით.

დიდი სათავადოების საწინააღმდეგო პოლიტიკა კარგად ჩანს დავით ბატონიშვი-ლის სამართლის წიგნიდანაც. დავით ბატონიშვილმა სამართლის წიგნზე მუშაობა 1800 წელს დაასრულა და გიორგი XII-ს წარუდგინა. მართალია, „სამართალი ბატო-ნიშვილის დავითისა“, სამეფოს გაუქმების გამო, ძალაში არ შესულა, მაგრამ მასში ასახული ნორმები მაინც საინტერესოა. სამართლის წიგნში სისხლის შემდეგი ტარი-ფებია მოცემული:

„გადიდებული თავადის სისხლის არის ექუსასი თუმანი... ამათთან აღირიცხვის ალავერდლისა და მთავარეფისკოპოსის სისხლიცა.

მეორის თავადის სისხლი არის სამასი თუმანი... და ამათთან აღირიცხვის ეპოს-კოპოსთ სისხლიცა.

მესამის თავადის სისხლი არის ორასი თუმანი... ამათთან აღირიცხვის არხიმან-დრიტის სისხლიცა.

პირველი აზნაურის სისხლი არის ასი თუმანი... ამასთან აღირიცხვის წინამძღუარ-თა სისხლიცა.

მეორის აზნაურის სისხლი არის სამოცი თუმანი... ამათთან აღირიცხვის მღუ-დელ-მონაზონის სისხლიცა; ამათთანვე – სისხლი მოქალაქეთა.

მესამის აზნაურის სისხლი არის ორმოცდახუთი თუმანი... ამასთან აღირიცხვის მღუდლის სისხლი; ამასათანვე აღირიცხვის ვაჭრის სისხლი.

მსახურის სისხლი არის ოცდაათი თუმანი... ამასთან აღირიცხვის მთავარდიაკონის სისხლი.

გლეხის სისხლი არის ოცდაოთხი თუმანი.“

დავით ბატონიშვილი დადგენილი სისხლის ფასების მართებულობასაც ასაბუთებ-და: „უკეთუ იმპერატორისა (იგულისხმაბა რუსეთის იმპერატორი – ა. თ.) სრულსა ღენარალსა აქუს სისხლად როჭიკი თვისი, ვაკმაოთ ჩეჷნცა სარდალთა ჩუჷნთა თა-ნასწორებაჲ იმპერატორის სარდლისა, ვინათგან არცა მეფე ჩვენი არს უფროსი იმ-პერატორისა, არცა სარდალი – სარდლისა, არცა სიმდიდრე – სიმდიდრისა და არცა მეცნიერება – მეცნიერებისა და არცა მამული – მამულისა. და ჯერეთ ვინადგან არა შემოღებულ არს რეგულისა კანონი ქუჷყანასა ჩუჷნსა, არცა კანონითა მით განწესდებოდა, მით რომე არარაჲსაგან არარაჲმე წარმოიშვების.

[901] თავად-აზნაურებისათვის სისხლის ფასი რომ ვახტანგის დაწესებული თუმნების ოდენობით იანგარიშე-ბოდა, ამის დამადასტურებელი ინფორმაცია წყაროებში მრავლად მოიძებნება. იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 400, 529, 686; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 32-40.

გარნა თანასწორება ჰვსცეთ უპირველესთა გუარისა ჩვენისა თავადთა პატივისათვის მამულისა ჩვენისა, თანასწორებაჲ სრულისა ღენარალის სისხლის თანშეზიარებითა, რომელ არს ექუსასი თუმანი; ხოლო შედეგსა – შედეგისა, რომელ არს სამასი თუმანი, და მესამესა – მესამისა ღენარალისა, რომელ არს ორასი თუმანი.

ხოლო პირველსა აზნაურსა – ასი თუმანი, ვინათგან სრულისა კეთილშობილისა ტიტული არს პოლკოვნიკისა ტიტული, და მეორესა – პოდპოლკოვნიკისა, რომელ არს სამოცი თუმანი, და მესამესა აზნაურსა მიეცეს სისხლი მაიორისა, რომელ არს ორმოცდახუთი თუმანი.

ხოლო გლეხთა – ოცდა ოთხი თუმანი, ამად ვინაიდგან არს სრული გლეხის ფასი სხუათა საჴელმწიფოთა შინა.

გარნა მსახურთა – შემსგავსებითა სალდათთათა, ვინაიდგან არა მოიყვანების სალდათი უქვემოეს ოცდაათისა თუმნისა“.[902]

როგორც ვხედავთ, დავით ბატონიშვილი განსაკუთრებით ამცირებდა დიდი თავადების სისხლის ფასებს. ამდენად, „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ ფისკალური კუთხით გამოხატავდა ერეკლე II-ის რეფორმების შინაარსს, რაც თავადთა უფლებების შეზღუდვისა და სათავადოთა სისტემის სრულ აღმოფხვრაში გამოიხატებოდა.

სისხლის ფასებთან დაკავშირებით, ბოლოს შევეხებით ე.წ. სასისხლო სიგელებში დაფიქსირებულ ტარიფებს. როგორც ცნობილია, ძირითადად, XV საუკუნეში შედგენილი სასისხლო სიგელები ნატყუარად მიიჩნია ივ. ჯავახიშვილმა.[903] საპირისპიროდ, სიგელებს სრულად სანდო წყაროდ აცხადებდა ს. კაკაბაძე.[904] დროთა განმავლობაში, ქართულმა ისტორიოგრაფიამ სასისხლო სიგელებს მეტი ყურადღება დაუთმო. ზოგიერთი სასისხლო სიგელის ნამდვილობის შესახებ, გამოითქვა მოსაზრებები.[905]

სასისხლო სიგელებში სისხლის ფასად მითითებულია 80 000, 120 000, 200 000, 400 000, 800 000 და ა.შ. ნომინალები. სხვადასხვა საბუთში ნომინალებად დასახელებულია „ძველი კირმანეული“, „ძველი თეთრი“, „ძველი ცხუმური თეთრი“, „ძველი თეთრი ყაზანაური“ და სხვ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დასახელებულ თანხებად, უმეტეს შემთხვევაში, შეფასეული იყო ქვედა საფეხურზე მდგომი აზნაურების სისხლი.

ნომინალების ყველაზე მცირე ეგზემპლარების წონითაც რომ ვიხელმძღვანელოთ, მაინც ცხადი ხდება, რომ სასისხლო სიგელებში ეკონომიკური რეალობისათვის აბსოლუტურად არაადეკვატურ თანხებთან გვაქვს საქმე.

მიუხედავად აღნიშნულისა, სიგელებში დაფიქსირებულ თანხებს რაიმე ლოგიკური ახსნა უნდა ეძებნებოდეს, რადგან როგორც ჯ. ოდიშელი სრულიად ლოგიკურად შე-

---

[902] სამართალი ბატონიშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, გვ. 137-139.

[903] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. IX. თბ. 1996, გვ. 501-523.

[904] ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. II. ტფ. 1924, გვ. 49.

[905] იხ.: ჯ. ოდიშელი. ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან (ზოგიერთი სასისხლო სიგელის შესახებ). მაცნე. № 4. თბ. 1966, გვ. 207-223; ე. ხოშტარია-ბროსე. ე.წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შესწავლისა და საქართველოში მოქმედი ფეოდალური კანონმდებლობის საკითხისათვის. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია. № 1. თბ. 1987, გვ. 61; ილ. ანთელავა. XI-XV სს. საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბ. 1980, გვ. 63. მ. სურგულაძე. სასისხლო სიგელები, როგორც ქართული წერილობითი დოკუმენტური წყაროების დამოუკიდებელი სახეობა. მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. XVII. თბ. 1992, გვ. 125-145. გ. არახამია. სასისხლო სიგელთა შესწავლისათვის. თბ. 2017.

ნიშნავდა „ყველა სასისხლო სიგელი ნატყუარიც რომ იყოს, მათში დაცული ცნობები მაინც გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, გარკვეული სიფრთხილით. რამდენადაც ხელის მიხედვით მაინც სასისხლო სიგელები ძველადვეა შექმნილი და საბუთებში მოცემული ყველა მომენტი რომ არა სწორად იყოს წარმოდგენილი, მაშინ თვით ყალბისმქნელობა ყოველგვარ აზრს დაკარგავდა".[906]

სასისხლო სიგელებში მოცემული თანხების შესახებ, საინტერესო მოსაზრება გამოთქვა მ. სურგულაძემ. მისი აზრით, „სასისხლო სიგელებში აშკარა ტენდენციაა ფულის „დაძველებისაკენ". გაცილებით მნიშვნელოვნად არის ჩათვლილი ფასის სიძველე, ვიდრე ფულის რეალური მსყიდველობითი უნარი. სისხლის საფასური სასისხლო სიგელებში ნომინალურია და არა რეალური. სასისხლო განაჩენებიდან ცნობილია, რომ სისხლის ფასს იხდიდნენ ყმა-მამულით, ნაირ-ნაირი უძრავი ქონებით, მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც იშვიათად, ფულით. ამასთან, გადასახდელი ქონების ღირებულების განსაზღვრა ყოველთვის ხდებოდა სასამართლოს მიერ უკვე რეალური ფასების შესაბამისად. სასისხლო სიგელებში დადგენილ სისხლის ფასს შეიძლება ჰქონოდა უფრო გვარის სიძველის მაორიენტირებელი მნიშვნელობა და არა აბსოლუტური".[907]

ჩვენც მიგვაჩნია, რომ სასისხლო სიგელებში სისხლის ღირებულება სიმბოლურად იყო დასახელებული, თუმცა გასარკვევი რჩება მოტივი, თუ რატომ იწერებოდა ყალბ თუ ნამდვილ სიგელებში მსგავსი სიდიდის თანხები. მოტივის დასადგენად, ყურადღება უნდა მივაქციოთ XV საუკუნეში ქართველ მეფეთა მოჭრილ მონეტებს – კონსტანტინე I-ის 1407-1411 წლებში მოჭრილი ვერცხლის მონეტები იწონიდა 0,40 გრამს; 1412 წლით დათარიღებული ალექსანდრე I დიდის ვერცხლის მონეტები – 0,35 გრამს; ვახტანგ IV-ის მონეტების წონითი რემედიუმი მერყეობდა 0,60-0,85 გრამებს შორის, თუმცა მონეტა წარმოადგენდა ბილონს; გიორგი VIII-ის მოჭრილი მონეტები იწონიდა 0,47-0,70 გრამს და, ასევე, წარმოადგენდა ბოლონს; ბაგრატ VI-ის მოჭრილი ბილონის საშუალო წონა იყო 0,64 გრამი; კონსტანტინე II-ის და დავით X-ის ბილონის მონეტებიც 0,39-0,66 გრამებს შორის მერყეობდა.[908]

როგორც ვხედავთ, XV საუკუნეში მოჭრილი ვერცხლის მონეტები 0,35-0,40 გრამს იწონიდა, ხოლო საშუალოდ, 0,50-გრამიანი ბილონის მონეტები რეალურად, ალექსანდრე დიდის მიერ მოჭრილ მონეტებზე ნაკლები ღირებულების იყო. ამდენად, XV საუკუნეში ქართველ მეფეთა მოჭრილ მონეტებს, აღბუღა ათაბაგის მიერ სისხლის საზღაურად განსაზღვრულ 3,7-გრამიან ვერცხლის მონეტებთან შედარებით, 10-15-ჯერ ნაკლები ღირებულება ჰქონდა. შესაბამისად, თუ დიდებულის სისხლის ფასს – 40 000 თეთრს, XV საუკუნეში მოჭრილი მონეტების კურსზე დავიანგარიშებთ, მივიღებთ 400-600 ათას თეთრს, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ XV საუკუნეში სისხლის ფასების გარკვეულ ზრდასაც, დიდებულის სისხლის ფასის ბილონებით გასტუმრებისათვის 800 000 და შესაძლებელია, მილიონი თეთრიც ყოფილიყო საჭირო. ჩვენი აზრით, დასახელებული გარემოება უნდა გამხდარიყო ნაყალბევ თუ რეალურ სიგე-

[906] ჯ. ოდიშელი. ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან, გვ. 209.
[907] მ. სურგულაძე. სასისხლო სიგელები, როგორც ქართული წერილობითი დოკუმენტური წყაროების დამოუკიდებელი სახეობა, გვ. 131.
[908] ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. III, გვ. 146-171.

ლებში თანხის ოდენობის ჩაწერის მოტივატორი. სწორედ ამიტომ, უმეტეს საბუთში მოხსენებულია არა იმ პერიოდში ბრუნვაში არსებული მონეტები, არამედ – ძველი.

რეალური სასამართლო განაჩენების საფუძველზე კი, სისხლის საფასურად აზნაურებს 10-12 გლეხი და გარკვეული ნივთები გადაეცემოდათ და არა სასისხლო სიგელებში ჩაწერილი თანხის ოდენობის ქონება. 10-12 გლეხის ღირებულება, პირობითად, თუ მაქსიმუმ 10 ათას კირმანეულ თეთრს შეადგენდა, ბილონის მონეტებით ყიდვის შემთხვევაში, მართლაც ასი ათასამდე ნომინალის გადახდა გახდებოდა საჭირო.

როგორც ვხედავთ, XV საუკუნეში ქართველი მეფეების მიერ მოჭრილი ბილონის მონეტებით სისხლის საფასურის გადახდისათვის თუ საშუალო სიდიდის ქონების შესაძენად, მართლაც, ასობით ათასი ეგზემპლარი იყო საჭირო, რის გამოც, იმდროინდელ საზოგადოებაში მსგავსი ოდენობის თანხის დასახელება გაოცებას არ იწვევდა. შესაბამისად, გაყალბებულ სიგელებში რეალურად მიღებული ოდენობის თანხები იწერებოდა, მხოლოდ ძველი ნომინალების მითითებით. არც ის არის გამორიცხული, რომ ქვეყნის პოლიტიკური დაშლის პროცესში, მეფეებსა თუ მეფობის კანდიდატებს, ფეოდალების მიმხრობის მიზნით, სასისხლო სიგელებში რელური ოდენობის თანხებისათვის ძველი თეთრის სახელწოდებები მიეწერათ.

XIII. საქალაქო ცხოვრებასთან დაკავშირებული ფასები

საქართველოს ქალაქები და საქალაქო ცხოვრება სათანადოდ არის შესწავლილი. საკითხის კვლევას ყურადღება დაუთმეს ქართველმა ისტორიკოსებმა: ივ. ჯავახიშვილმა,[909] პ. გუგუშვილმა,[910] ლ. ჭილაშვილმა,[911] შ. მესხიამ,[912] ვ. გაბაშვილმა,[913] მ. ლორთქიფანიძემ,[914] კ. კუციამ,[915] მ. გაბაშვილმა,[916] გ. აფრასიძემ,[917] თ. გამსახურდიამ,[918] ქ. ნადირაძემ[919] და სხვა ავტორებმა. ამჯერად, არ შევეხებით სხვადასხვა ეპოქის საქართველოში ქალაქების განვითარების თუ დაცემის საკითხებს და განვიხილავთ მხოლოდ ქალაქის საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო-სახელოსნო ქულბაქების/დუქნების, სასტუმრო სახლების – ქარვასლების, აბანოების, ქალაქის განაპირა ბაღების, საყოფაცხოვრებო ნივთების, სამშენებლო მასალის და ა.შ. ფასებს.

ერთიანი ქართული მონარქიის ეპოქის ქალაქებში არსებული ფასების შესახებ ცნობები, ფაქტობრივად, არ მოგვეპოვება, თუმცა ხარვეზს ავსებს XVIII საუკუნის მონაცემები. აღნიშნული ეპოქის ქართულ ქალაქებში სხვადასხვა ნაგებობისა თუ ნივთის ღირებულება გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის წინა პერიოდში არსებული ფასების შესახებაც.

XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის საქართველოს სამეფოს ქალაქური ცხოვრების ზოგიერთი დეტალის შესახებ, გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს 1218 წლის ანისის ქართული წარწერა, რომელიც ეპიფანე კათალიკოსს ეკუთვნის. წარწერიდან ჩანს, რომ ანისის მართლმადიდებელ მოსახლეობას და სამღვდელოებას შორის, სადავო გამხდარა სასულიერო პირთა მიერ საეკლესიო

---

[909] ივ. ჯავახიშვილი. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს. პრომეთე. № 1. თბ. 1918, გვ. 35-61.

[910] პ. გუგუშვილი. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ. 1941.

[911] ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. I. თბ. 1968; ტ. II. თბ. 1970; კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს). თბ. 1980.

[912] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II.

[913] ვ. გაბაშვილი. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან. თბ. 1970; საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში. თსუ შრომები. ტ. 121. თბ. 1967, გვ. 201-224.

[914] მ. ლორთქიფანიძე, ნ. შოშიაშვილი. ქალაქები. საქართველოს ისტორია. I. თბ. 2006; მ. ლორთქიფანიძე. ქალაქები, ვაჭრობა, ხელოსნობა. საქართველოს ისტორია. ტ. II. თბ. 2012; ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30. თბ. 1954, გვ. 143-157.

[915] კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში. თბ. 1984.

[916] მ. გაბაშვილი. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში. თბ. 1981.

[917] გ. აფრასიძე. საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI-XVIII სს.). თბ. 1984.

[918] თ. გამსახურდია. ქალაქები, ვაჭრობა, ხელოსნობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გვ. 339-358.

[919] ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში. თბ. 2018.

გადასახადების (ჯვრისწერის, ნათლობის, მიცვალებულთა ანდერძის აგების და სხვ.) გაზრდა. ხუცესებს წესის აგების საფასურად 100 ტფილური დრამა, შესაფერისი მასპინძლობა და ა.შ. მოუთხოვიათ, რასაც მოსახლეობის პროტესტი მოჰყოლია. დავის მოსაგვარებლად ეპიფანე კათალიკოსს, რომელიც ანისში ახლად აგებული ეკლესიის კურთხევის მიზნით იყო ჩასული, დაუგმია სამღვდელოების მიერ მრევლისათვის წაყენებული მოთხოვნები და თავის განჩინებით შეუმცირებია საეკლესიო გადასახადები.[920]

ივ. ჯავახიშვილი ანისის ქართულ წარწერაში მოცემული ცნობების საფუძველზე აღნიშნავდა, რომ „მე-13 ს. მეორე ათწლეულში დაწყებულა ეკონომიკური კრიზისი, რომლის მიზეზი და გარემოება ჯერ გამოსარკვევია: ფასების მატებასთან ერთად, ცხოვრებაც საგრძნობლად გაძვირებულა. ყველგან საქართველოში ერთიდაიმავე სიმძაფრით დაიწყო იგი და დაეტყო ყოფა-ცხოვრებას, თუ არა, ჯერ არ ვიცით, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთს ნაწილში, სომხეთის ოდინდელს დედაქალაქს ანისში მისი სიდუხჭირე რომ ეკონომიკურ ურთიერთობას უკვე სცვლიდა, ეს 1218 წ. ეტიფანე კათალიკოზის განჩინებითგანაც ნათლად ჩანს“.[921]

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი ანისში საეკლესიო გადასახადების გადიდების ფაქტიდან გამომდინარე, ვარაუდობდა, რომ იმ პერიოდში, ზოგადად, ფასები გაზრდილა და ცხოვრებაც გაძვირებულა. ავტორს აღნიშნული მოვლენა ეკონომიკური კრიზისის დასაწყისად მიაჩნდა.

ჩვენი აზრით, XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს დიდ ქალაქებში პროდუქციაზე ფასების მომატება და, შესაბამისად, გადასახადების გაზრდა განსახილველი ეპოქის ლოგიკური პროცესი უნდა იყოს და ეკონომიკური კრიზისის ნიშნებს არ უნდა შეიცავდეს. საქმე ის არის, რომ XII საუკუნის II ნახევრისა და XIII საუკუნის დასაწყისის ერთიან ქართულ სამეფოში ქალაქების რაოდენობამ მანამდე არნახულ ნიშნულს მიაღწია, რის შედეგადაც, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქების მოსახლეობა. აღნიშნული ეპოქის თბილისში 100 000-მდე მცხოვრები ივარაუდება, ანალოგიური ოდენობის მოსახლეობა უნდა ყოფილიყო ანისშიც, ხოლო საშუალო სიდიდის ქალაქებში – დაახლ. 20 000 მცხოვრები. ასეთ ვითარებაში, ისევე როგორც თანადროულ განვითარებული მსოფლიოს დიდ ქალაქებში, პროდუქცია ყოველთვის ძვირდებოდა, რაც განპირობებული იყო ფეოდალური ეპოქაში არსებული მომარაგების სირთულეებით. ამ შემთხვევაშიც, სწორედ ანალოგიურ პროცესთან უნდა გვქონდეს საქმე. ამდენად, XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს სამეფოს ქალაქებში გაზრდილი მოსახლეობის ფონზე, ფასების გარკვეული მატება უფრო საქალაქო ცხოვრების დაწინაურებაზე უნდა მეტყველებდეს, ვიდრე ეკონომიკურ კრიზისზე.

რაც შეეხება XVIII საუკუნის მონაცემებს, თბილისური სახლების, ქარვასლა-დუქნების თუ სხვა სახის ნაგებობების ღირებულების შესახებ, დეტალურ ინფორმაციას ვხვდებით დოკუმენტური ტიპის წყაროებში.

---

[920] Н. Марр. Надпись Эрифания, Католикоса Грузии. Известия Академии наук. Т. IV. СПб.1910, გვ. 1433-1442; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბ. 1982, გვ. 7-8.

[921] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, გვ. 7.

სახლების ღირებულება XVIII საუკუნის თბილისში

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ შ. მესხიამ, საარქივო მასალის ანალიზის საფუძველზე, მოკლედ განიხილა გვიანი ფეოდალური ეპოქის თბილისური სახლების გარეგანი იერსახე და ფასები. ავტორის დაკვირვებით, ზოგიერთი თბილისური სახლის ფართობი 150 კვადრატულ მეტრს შეადგენდა, სახლების ნაწილი კი გაცილებით მცირე მასშტაბის ყოფილა, ხოლო კვადრატული მეტრის ფასი 2 მინალთუნიდან 3,4 მინალთუნამდე მერყეობდა.[922]

აღნიშნულ საკითხს უფრო ვრცლად შევეხებით – 1780 წლის ერთ-ერთი საბუთიდან ვიგებთ, როგორც თბილისში მდებარე უძრავი ქონების ფასს, ისე სხვა საინტერესო დეტალებს: „... როგორათაც მის სიმაღლის მეფის ირაკლის ბ{რ}ძანება არის. მისი ბრძანების მიხედვით ჩითახანთ არაქელა მამკვდარიყო, ცოლშვილი დარჩომოდა, ცოლი გათხოვებოდა და შვილიც ოსმალუს ქვეყანაში სავაჭროთ წასულიყო და იქ მომკვდარიყო და ჩვენ იმისი სახლები დავაზომინეთ, დარბაზი იყო სიგძე ადლი ცხრა, ადლი ნახევარი და განი რვა ადლი. დერეფანი სიგძე ადლი რვა და ერთი ჩარექი, განი ხუთი ადლი. რომ შეიქმნა დარბაზის და დერეფნის ჯამი გაზანდარი ადლი ას ჩვიდმეტი ადლი და სამი ჩარექი. რომე პანტელანთ მოსიასშვილი იოანეზე მივყიდეთ. სათორნე გავზომეთ სიგძე ადლი რვა და ერთი ჩარექი, განი ოთხი ადლი და ნახევარი, რომ შეიქმნა სათორნის ჯამი გაზანდარი ადლი ოცდათოთხმეტი ადლი და შენ ქადინანთ ბეჟანას მოგყიდეთ ეს სათორნე, რომ ამ სათორნის და ამ სახლების ადლი ერთი დაფასდა ორ მილანთუნად(cis), რომ იქმნა ამ სახლების ადლის ჯამი ასორმოცდა თერთმეტი და სამი ჩარექი. თეთრის ჯამი იქს ოცდა ათი თუმნის, სამი მინალთუნი{ს} და ათი შაური{ს}... სამ წილათ გაყავით: ერთი წილი ხელმწიფისთვის სარქარს მიერთვა... ერთი წილი {მ}კვდრის სულისათვის თავის ჴუცის ხელით დაიხარჯა... და ერთი წილი თავისი... გათხოვილი ცოლისა და გათხოვილ ქალს მივეცით...“.[923]

როგორც ვხედავთ, თბილისური სახლის საერთო ფართობი ყოფილა დაახლ. 152 კვ. მეტრი, საიდანაც დარბაზს ეკავა 76 კვ. მეტრი, დერეფანს – დაახლ. 41 კვ. მეტრი, ხოლო სათონეს – 34 კვ. მეტრი. 1 კვ. მეტრი გაყიდულა 2 მინალთუნად, ანუ 10 აბაზად. სახლის საერთო ღირებულება კი 30,3 თუმანს და 10 შაურს, ანუ 303,5 მინალთუნს შეადგენდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მეპატრონეების გარდაცვალების შემდგომ, სახელმწიფოს მიერ გაყიდული სახლიდან მიღებული თანხა სამ ნაწილად გაყოფილა: მესამედი სახელმწიფოს გადასცემია, მესამედი – გარდაცვლილი მესაკუთრეების სულის მოსახსენებლად ხუცესს, ხოლო მესამედი – მემკვიდრე ქალებს, მათ შორის, სახლის მეპატრონის ყოფილ (გათხოვილ) მეუღლეს.

ერთ-ერთი თბილისური სახლის ფართობისა და ფასის შესახებ, საინტერესოა 1781 წლის საბუთიც, რომელშიც აღნიშნულია: „... დოვლათიარანთ მელქოა შვილის, ნალბანდი ოჩანეზას ქალებმა, ანამა და ელენემა თქუენ გეგელიანთ გიორგის შვილებს მხატუარი ქრისტიას... ასე რომე ჩვენი დედ მამა დაიხოცნენ, ოცდა ცხრა თუმანი და ხუთი აბაზი ვალი დაგვრჩა და ამისა თანხათ ერთი სახლი დაგვრჩა, გასყიდვა

[922] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 653-654.
[923] სეა. ფონდი 1450. დავთ. 10. საბ. 96.

მოუნდომეთ, დავაზომინეთ, გაზანდარი ადლი იყო ოთხმოცი. ადლი დაფასდა ერთი ცამეტ აბაზათ, შეიქმნა თულის ჯამი ოცი თუმანი და რვა მინალთუნი...".[924]

გარდა იმისა, რომ საბუთში მოცემულია თბილისური სახლის ფასი, ის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ უძრავი ქონების გამყიდველებად ქალები გვევლინებიან, რაც ხაზს უსვამს აღნიშნული პერიოდისათვის ქალთა უფლებების მნიშვნელოვან ზრდას.

1785 წლის ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია: „ავიღე მე გობორანთ გასპარას შვილ{..} ფარსადანამ, შენ ლერელი ტინას ხოჯასშვილი თამაზასაგან ოცდა ხუთი თუმანი ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი სირმა აბაზი... ამისი გირავო ჩემი მამეული სახლი – ერთი დარბაზი, ორი ოთახი თავისი შანიშინი, ეზოთ...".[925] როგორც ვხედავთ, 25 თუმნად დაგირავებული სახლი შედგებოდა დარბაზისაგან, 2 ოთახისაგან და ეზოსაგან. ოთახებს „შანიშინებიც" ჰქონია, რაც დარბაზის გასაყოფ ასაწევ-დასაწევ ვიწრო ფიცრის დარაბებს ნიშნავდა.[926]

ზოგიერთი საცხოვრებელი გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო – გორჯასპი მდივნის (თუმანიშვილის) 1751 წლის დანახარჯების ნუსხაში მითითებულია, რომ თბილისში სასახლის მშენებლობაზე დაიხარჯა 56 თუმანი, 4 მინალთუნი და 10 შაური.[927] აღნიშნული თანხა სირმა-აბაზის კურსით, დაახლ. 90 თუმანს, ანუ 900 მინალთუნს უდრიდა. თუ მშენებლობის ხარჯებს მიწის ფასსაც დავუმატებთ, სახლის ღირებულება 100 თუმანზე მეტი იქნებოდა.[928] ერთი კვადრატული მეტრის ფასად 3 მინალთუნი რომ მივიჩნიოთ, გორჯასპი მდივნის სასახლის ფართობად, სულ მცირე, 300 კვ. მეტრი უნდა ვივარაუდოთ.

ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, XVIII საუკუნის მიწურულს, თბილისში მოქალაქის სახლები 184,5 თუმნად გაყიდულა.[929]

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ყიდვა-გაყიდვის ამსახველი საბუთების მიხედვით, ძირითადად, მოქალაქეების სახლების ფასებს ვეცნობით. რაც შეეხება დიდ ფეოდალთა თბილისურ სასახლეებს, ცხადია, ისინი არ იყიდებოდა და, შესაბამისად, მათი ფასისა თუ ფართობის შესახებ ცნობები საბუთებში არ აისახებოდა. ქალაქის ელიტარულ უბნებში განლაგებული მუხრანბატონების, ორბელიანების, ამილახვრებისა და სხვა თავადების სასახლეები, რა თქმა უნდა, გაცილებით დიდი ფართობის იქნებოდა. ფეოდალთა საცხოვრებლების სიდიდეს ისიც უსვამს ხაზს, რომ თბილისის უბნებს სწორედ მათი სასახლეების მიხედვით ეწოდა სახელწოდებები – მუხრანთუბანი, ორბელიანების უბანი და სხვ.

გაცილებით იაფი უნდა ყოფილიყო თბილისში მცხოვრები შედარებით ღარიბი მოსახლეობის სახლები. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, გიორგი ბატონიშვილს 15 წლის ობოლი ბიჭისათვის, სიონის დეკანოზის შვილის – გაბრიელ ქართველიშვილისათვის აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად დანგრეული სახლის აღსადგენად 30

[924] სეა. ფონდი 1450. დავთ. 20. საბ. 65.
[925] სეა. ფონდი 1450. დავთ. 8. საბ. 12.
[926] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 32, 46.
[927] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ 6-25.
[928] ერთ-ერთ საბუთში დიდი სახლისათვის საჭირო მიწის ფართობის ღირებულებად დასახელებულია 50 თუმანი: „... ნ͡ (50 თუმანი) ქ. კლდის უბნის სახლის ალაგი". იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 363.
[929] სეა. ფონდი 1450 დავთ. 8. საბ. 78.

მანეთის (ანუ 3 თუმნის) აბაზები მიუცია. როგორც პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, მოგვიანებით, გაბრიელ ქართველოვს (ქართველიშვილს) თავად მოუყოლია ეს ამბავი პლატონისათვის და აღუნიშნავს, რომ „ამა ფულით დროთა მათ... აღვაშენეთ სახლიო, რადგანაცა იყო დიდი იეფობა მასალისა, მუშისა, კალატოზთა და აგურისა“.[930]

აღნიშნული ცნობის თანახმად, მცირე ფართობის სახლის აღდგენა 3 თუმნადაც ყოფილა შესაძლებელი. რა თქმა უნდა, ამგვარი სახლის სრული ფასის დასადგენად, მიწის ფართობიც გასათვალისწინებელია, რომელსაც არცთუ მცირე ფასი ექნებოდა. შესაბამისად, მცირე მოცულობის სახლების ღირებულება 10 თუმნის ფარგლებშია სავარაუდებელი. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, თბილისში ერთი პატარა ოთახის ფასი 5 თუმანი ყოფილა.[931]

ამდენად, თბილისელი მოქალაქეების სახლები, რომელთა ფართობი საშუალოდ, 100-300 კვ. მეტრს შეადგენდა, 30-დან 100 თუმნამდე ფასობდა, ხოლო ღარიბი მოსახლეობის სახლები – დაახლ. 10 თუმნად. დიდ ფეოდალთა მდიდრული სახლები კი 100 თუმანზე გაცილებით ძვირი ეღირებოდა.

სავაჭრო-სახელოსნო ქულბაქების/დუქნებისა და ქარვასლების ღირებულება XVIII საუკუნის თბილისში

ქართულ ქალაქებში არსებულ სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებას გვიან ფეოდალურ ეპოქაში ქულბაქი ეწოდებოდა, სადაც მზადდებოდა და იყიდებოდა პროდუქცია. XVIII საუკუნის განმავლობაში ტერმინი ქულბაქი დუქნით შეიცვალა.

XVIII საუკუნის დასაწყისში თბილისში 200-მდე დუქანი იყო, ხოლო ამავე საუკუნის 70-90-იან წლებში მათი რიცხვი 500-ს აჭარბებდა. მათგან ნახევარზე მეტი სახელოსნოებზე მოდიოდა.[932]

ცხადია, სავაჭრო-სახელოსნო სახლები ყველა ქართული ქალაქის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. მაგალითად, XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბას I-ის შემოსევების შედეგად განადგურებულ ქალაქ გრემის ნაქულბაქარებმა ჩვენს დრომდე მოაღწიეს. გორში კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დუქნები, ადგილობრივების გარდა, იმერლებსაც ჰქონიათ, ხოლო XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში ასამდე დუქანი ყოფილა.[933]

---

[930] პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. რედ. აკ. გაწერელია. თბ. 1978, გვ. 132-133.
[931] სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 114.
[932] თბილისის ისტორია. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. რედ. მამია დუმბაძე, ვიქტორ გუჩუა. თბ. 1990, გვ. 352.
[933] მ. გონიკიშვილი. იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 34.

სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებები – ქულბაქები.
გრემის ნაქალაქარი. რესტავრირებული

საარქივო მასალაზე დაყრდნობით, შ. მესხია მიიჩნევდა, რომ თბილისში დუქნების ფართობი საშუალოდ შეადგენდა 15-30 კვ. მეტრს, ხოლო მათი ღირებულება – 10-35 თუმანს.[934] ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, რ. კაშია და მ. სანაძე დუქნების ღირებულებად 25-60 თუმანს ასახელებენ, ხოლო გირავნობის თანხას – 12-25 თუმანს.[935]

დუქნების ფასების შესახებ მოვიხმობთ რამდენიმე ცნობას – XIX საუკუნის დასაწყისის ქონების ნუსხაში ვხვდებით თბილისის სავაჭრო-სახელოსნო დუქნების ფასებს: „... ი͡ე (15 თუმანი) ქ. ხარაზ-ზანის თავის დუქნები. ი͡ (10 თუმანი) იქავე ქ. ბაჰყალის ͡დუქანი. Ჩ͡ (8 თუმანი) ქ. იქავე დალაქის დუქანი. ლ͡ (30 თუმანი) ქ. მეხაშის დუქანი. ნ (50 თუმანი) ქ. ქარვასლის კარისა ფუქნით. ნ (50 თუმანი) ქ. ჰავლაბრის კარისა ბ დუქანი... ი͡ე (15 თუმანი) ქ. ჩამასოს (?) თავისა მკერვალის დუქანი...“[936]

დუქნის ფასს ეხება 1764 წლის ნასყიდობის წიგნიც: „... სარაჯხანის ნახევარი დუქანი თორმეტი თუმანი, მეჩითებთან ერთი პატარა დუქანი ათი თუმანი...“;[937] XVIII საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია: „მოგყიდე... ზემო უბანში ერთი დუქანი ოცდა თხუთმეტ თუმნადა...“;[938] 1800 წლის ნასყიდობის წიგნიც გვამცნობს დუქნის ფასს: „... ჩვენი დუქანი თქვენთან და პატრებთან გირაოთ იყო ორმოცდა რვა თუმნათ, ოთხი თუმანიც ახლა გამოგართვი, რომ სხვა მოვალე{ე}ბს მიეცა... თუმცა უწინ მეტად იყო დაფასებული, მაგრამ აღა მამად ხანის დროს დამწვარიყო და გაგეკეთებინა...“;[939] 1782 წლის ნასყიდობის სიგელის თანახმად კი, თბილისის ბაზართან მდებარე დუქანი 31 თუმნად გაყიდულა.[940]

სავაჭრო-სახელოსნო დუქნების ფასის შესახებ, მეტად საინტერესოა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XVIII საუკუნის II ნახევარში შედგენილი ერთ-ერთი საბუთი, რომელშიც აღნიშნულია: „... ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერინე

[934] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 650-651.
[935] რ. კაშია. მ. სანაძე. ვაჭრობა და ვაჭართა ფენა XVIII ს. თბილისში. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. № 2. თბ. 1989, გვ. 72.
[936] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 363-364.
[937] სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 114.
[938] სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 10.
[939] სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 148.
[940] სეა. ფონდი 1450. დავთ. 8. საბ. 16.

და მოგეცი მე, მატინანთ პაპას შვილმა ოსეფამა... თქვენ, მის უმაღლესობის მოძღვარს, მეტეხის დეკანოზ იასეს... დუქნები და{ა}ფასეს ორას თუმნად. ერთი დუქანი, ბაზაზ ხანაში რომ არის, ოჰანეზა Ჩქიმს მისცეს პ͡ (80 თუმნად)... ერთი დუქანი, რომ გოდერძა იჯდა, დაფასდა სამოც თუმნათ... ერთი დუქანი, რომ ამირჯანა ზის თავის უკანას დუქნით დაფასდა Ხ͡ (60 თუმნად)“.[941]

როგორც ვხედავთ, ბაზაზ ხანაში არსებული დუქანი 80 თუმნად გაყიდულა, ხოლო სხვა ორი დუქანი – 60-60 თუმნად.

ამდენად, დამოწმებული ცნობების თანახმად, თბილისის დუქნების უმეტესობის ფასი 10 თუმნიდან 50 თუმნამდე მერყეობდა, ხოლო ზოგიერთი მათგანის ფასი 80 თუმანიც ყოფილა.

XVIII საუკუნის II ნახევრის თბილისში წვრილ სახელოსნო დაწესებულებებთან ერთად, სახელმწიფო თუ კერძო ინიციატივით შექმნილი შედარებით მსხვილი მანუფაქტურული ტიპის საწარმოებიც არსებობდა. აღნიშნული საწარმოების ფასების შესახებ გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს დედოფლის საკუთრებაში არსებული თბილისის მთავარი სამღებროს საიჯარო ფასი. როგორც ცნობილია, თბილისის მთავარ სამღებროში დაქირავებულთა შრომა გამოიყენებოდა და წარმოადგენდა მანუფაქტურული სახის საწარმოს.[942] დასახელებული სამღებროს ერთი წლის საიჯარო ფასი 700 თუმნით, ანუ 7000 მინალთუნით განისაზღვრებოდა.[943] ცხადია, მსგავსი სიდიდის მანუფაქტურულ საწარმოს (მაგ., თოფისწამლის „ქარხნის“ და სხვ.) საბაზრო ღირებულება ერთ წლის საიჯარო ფასზე გაცილებით დიდი იქნებოდა.

დუქნებთან ერთად, ქალაქების განუყოფელი ნაწილი იყო სასტუმრო სახლები, ანუ ქარვასლები.

ქარვასლის ნაშთი, ანისი. განვითარებული ფეოდალური ეპოქა

[941] ხეც. Hd-13032.

[942] ნ. ბერძენიშვილი. სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. VI, ტფ. 1937, გვ. 440-441.

[943] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ 389.

გვიანფეოდალური ეპოქის თბილისში რამდენიმე ქარვასლა ყოფილა. ერთ-ერთი ქარვასლის ფასი დაფიქსირებულია 1799 წლის ნასყიდობის სიგელში: „... დამჭირდა და გასყიდვა მოვინდომე, მოველ და ჩემის ნებით მოგყიდე მამის ჩემისაგან ას ოცდა შვიდ თუმნათ ბეუშართათ ნასყიდი ქარვასლა, რომ ენიბეგანთ მამაჯანა შვილი აკოფასაგან ჰქონდა მამაჩემს ნასყიდი“.[944] შ. მესხიას აზრით, 127 თუმნად გაყიდული ქარვასლა შედარებით პატარა უნდა ყოფილიყო.[945] მართლაც, საბუთზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ აღნიშნული ქარვასლა არ წარმოადგენდა ქალაქის მთავარ სასტუმრო სახლს. ქალაქის დიდი ქარვასლის ღირებულება 127 თუმანზე გაცილებით დიდი, სავარაუდოდ, 500 თუმნის ფარგლებში იქნებოდა.

აბანოების ღირებულება XVIII საუკუნის თბილისში

თბილისური ყოფისათვის აბანო ერთ-ერთ პოპულარულ ადგილად მიიჩნეოდა. აბანო, ზოგადად, ქალაქური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, შესაბამისად, შუა საუკუნეებში არა მხოლოდ თბილისში იყო აბანოები, რომლებიც ბუნებრივი ცხელი წყლით მარაგდებოდა, არამედ – საქართველოს ყველა ქალაქში.

აბანო. გრემის ნაქალაქარი. რესტავრირებული

თბილისში, ისევე როგორც თელავში, სამეფო სასახლის ეზოში განთავსებული იყო მეფის აბანო. საზოგადოებრივი აბანოებით კი ქალაქის მოსახლეობა სარგებლობდა, რისთვისაც გარკვეული საფასურის გადახდა უწევდათ. თუ რამდენად პოპულარული ყოფილა მოსახლეობაში თბილისური აბანოები, ამის შესახებ, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის იოსებ შაგუბატოვი. მისი გადმოცემით, „ქალებს იმდენად უყვართ აბანოები, რომ დილიდანვე ემზადებიან და თან სადილიც მიაქვთ. ზოგჯერ მეორე დღემდეც კი რჩებიან... აბანოებისადმი ლტოლვა იმდენად ძლიერია, რომ ვერც უა-

[944] სეა. ფონდი 1450. დავთ. 6 საბ. 78.
[945] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 651.

მინდობა, ვერც ქარიშხალი ვერ აკავებს მათ სურვილს, ამიტომაც ხშირად ხდებიან ავად და კვდებიან კიდევაც. ბანაობენ არა უმეტეს ერთი საათისა. აბაზანისათვის რიგში წარმომავლობის მიუხედავად ყველა ერთნაირად დგას“.[946]

თბილისური გოგირდის აბანოები საკმაოდ ძვირად ფასობდა. 1722 წლის სასამართლო განჩინებაში აღნიშნულია: „ქალაქის მელიქ-მამასახლისი, ციხის ქეთხუდები და მოქალაქები და ციხის კალატოზები გავგზავნეთ, აბანოც დავაფასებინეთ... წყალი ორმოც თუმნად... აბანო სამას თუმნად დაფასდა“.[947]

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის 20-იან წლებში აბანო სამას თუმნად, ანუ 15 000 აბაზად (აბაზი=დაახლ. 5 გრ.) ფასობდა. სირმა-აბაზის კურსით კი, მისი ფასი შეადგენდა დაახლ. 500 თუმანს, ანუ 25 000 აბაზს. ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ მხოლოდ წყლის მეპატრონეს (ანუ ვისი კუთვნილი ტერიტორიიდანაც მოედინებოდა გოგირდის ცხელი წყალი) 40 თუმანი ეკუთვნოდა.

თბილისის აბანოები

ერთ-ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ მდივან ნინია მეითრისშვილის აბანოს ერთი წლის საიჯარო ფასი 80 თუმანი ყოფილა, ხოლო მდივანბეგ იოანე სუმბათაშვილის აბანოს წლიური საიჯარო ფასი 73 თუმანს, ანუ 730 მინალთუნს შეადგენდა.[948] დედოფლის კუთვნილი აბანოს ყოველწლიური საიჯარო ფასი კი 60 თუმანი, ანუ 600 მინალთუნი ყოფილა.[949] მოიჯარეების მოგებისა და აბანოების კეთილმოწყობისათვის გაწეული დანახარჯების ჩათვლით, აღნიშნული აბანოების წლიური შემოსავლები 120-150 თუმნამდეა სავარაუდებელი, ხოლო მათი საბაზრო ღირებულება – დასახელებულ თანხაზე რამდენჯერმე მეტი.

[946] მასალები XIX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ისტორიისათვის: იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა, გვ. 53.
[947] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 291-292.
[948] მასალების საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 254.
[949] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ 389.

საბუთებიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში საზოგადოებრივი აბანოს სარგებლობისათვის ერთ აბაზამდე თანხის გადახდა ყოფილა საჭირო.[950]

ამდენად, XVIII საუკუნეში თბილისის აბანოები საკმაოდ ძვირად ფასობდა, ხოლო მისი მეპატრონეები სოლიდურ შემოსავალს იღებდნენ.

თბილისის განაპირა ბაღების ღირებულება XVIII საუკუნეში

საერთოდ, ქალაქის განაპირა ბაღები საკმაოდ ძვირად ფასობდა. თბილისი სწორედ ამ ბაღებში მოწეული ბოსტნეულითა და სხვა პროდუქტებით მარაგდებოდა. მსგავსი ბაღები თბილისის გარშემო განლაგებული იყო ორთაჭალაში, დირსიჭალაში, სეიდა-ბადში, სოლოლაკსა და სხვა ადგილებში.

აღნიშნულ უბნებში მიწა საკმაოდ ძვირი იყო, ხოლო ბაღების მეპატრონეები დიდ მოგებას ნახულობდნენ. 1757 წლის საბუთში სეიდაბადის ერთ-ერთი ბაღის გაშენე-ბის ხარჯები დეტალურად არის გაწერილი, რის მიხედვითაც, ქალაქისპირა ბაღების შესახებ, ზოგადი წარმოდგენა გვექმნება – საბუთიდან ჩანს, რომ ბაღის გაშენების საერთო დანახარჯი 32 თუმანს აღემატებოდა (სირმა-აბაზის კურსით დაახლ. 50 თუ-მანს). ბაღის მეპატრონეს დაუქირავებია ქანის მჭრელი ოსტატები და მუშები. მათ კლდე გაუჭრიათ, რის შედეგადაც, თიხის მილებით ბაღში წყალი მიუყვანიათ. ბაღი კედლით შემოუზღუდავთ. მეპატრონეს შეუძენია შრომის იარაღები, დაუქირავებია მებაღე და დარაჯები. ბაღში კი დაუთესავს ნიორი, ხახვი, პრასი, ქონდარი, ჭარხალი, ქინძი, კიტრი, ნიახური, რეჰანი, წიწმატი, ბადრიჯანი, კომბოსტო, სტაფილო, წითელა, სიმინდი, ლობიო, „კახური ლობიო“, ნესვი და საზამთრო.[951]

XVIII საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, დირსიჭალაში მდე-ბარე ბაღის საფასური 120 თუმანი, ანუ 1200 მინალთუნი ყოფილა – „დ{ი}რსი ჭალას თქვენთან საერთო გასპარას წილი ბაღი, ფასი ას ოცი თუმანი“.[952] XIX საუკუნის დასაწყისში ქალაქის შემოგარენში გაშენებული ერთ-ერთი ბაღი კი 60 თუმნად, ანუ 600 მინალთუნად იყო შეფასებული.[953]

1784 წლის საბუთში ვხვდებით ბაღების საგირავნო ფასს: „ავიღე მე... გოგიამ... ოსეფასშვილი ავთანდილისაგან ორმოცდა ოთხი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხი დანგიანი აბაზი... ამ ქვემორე თარიღიდამა რაც ხანს ჩემს ხელათ დაჰყოს თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო. მოგეცი ამის გირაოთ სეიდაბათში შენი ბაღის პირდაპირი ჩემი ახალი ნაშენი ბაღი გარსიანთ გევურქასთანა სანახევრო ჩემი წილი...“.[954] როგორც ვხედავთ, სეიდაბადში ახლად გაშენებული ნახევარი ბაღი 44 თუმნად დაგირავებულა.

---

[950] მასალების საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 194

[951] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 29-44.
XVIII საუკუნის მიწურულში მარიამ დედოფალს ქალაქის განაპირად არსებული „კლდის ბაღიდან“ 30 თუ-მანი შემოსავალი ჰქონია, ხოლო გარეთუბნის ბაღიდან – 6 თუმანი. აღნიშნულ პერიოდში დედოფლის კუთ-ვნილი ბაღები იჯარით გაიცემოდა.

[952] სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 114.

[953] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ 363.

[954] სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 2.

1790 წელს კი სეიდაბადის ბაღის ნახევარი 17 თუმნად დაუგირავებიათ.[955] როგორც ჩანს, შედარებით მცირე ზომის ბაღების საფასურიც და საგირავნო თანხაც ნაკლები ყოფილა. ერთ-ერთი ბაღის საფასურად 15 თუმანი, ანუ 150 მინალთუნი არის მითითებული.[956]

ამდენად, ქალაქის განაპირა ბაღების ღირებელება დაახლოებით 15 თუმნიდან 120 თუმნამდე მერყეობდა. როგორც აღინიშნა, ბაღების მეპატრონეები სოლიდურ შემოსავალს იღებდნენ.

თბილისური სახლების, სავაჭრო-სახელოსნო დუქნების, ქარვასლის, აბანოებისა და ბაღების ფასები:

თარიღი	ნაგებობა	ღირებულება	ნომინალის წონა	წყარო
1751	სასახლის აშენებისათვის გაწეული დანახარჯი	56 თუმანი, 4 მინალთუნი და 10 შაური (564,5 მინალთუნი), ანუ 2822,5 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 6-25[957]
1780	სახლი (დაახლ. 152 კვ. მ.)	30,3 თუმანი და 10 შაური (303,5 მინალთუნი), ანუ 1517,5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450. დავთ. 10. საბ. 96
1780	საცხოვრებელი სახლის 1 კვ. მ.	2 მინალთუნი, ანუ 10 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450. დავთ. 10. საბ. 96
1781	სახლი (80 კვ. მ.)	20 თუმანი და 8 მინალთუნი (208 მინალთუნი), ანუ 1040 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450. დავთ. 20. საბ. 65
1781	საცხოვრებელი სახლის 1 კვ. მ.	2 მინალთუნი და 3 აბაზი, ანუ 13 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450. დავთ. 20. საბ. 65
1789	პატარა ოთახის „ალაგი“	5 თუმანი (50 მინალთუნი), ანუ 250 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 114
1782	დუქანი	31 თუმანი (310 მინალთუნი), ანუ 1550 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450. დავთ. 8. საბ. 16
XVIII ს. II. ნახ.	დუქანი	35 თუმანი (350 მინალთუნი), ანუ 1750 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450 დავთ. 6. საბ. 10
XVIII ს. II. ნახ.	დუქანი	60 თუმანი (600 მინალთუნი), ანუ 3000 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	ხეც. Hd-13032
XVIII ს. II. ნახ.	დუქანი	80 თუმანი (800 მინალთუნი), ანუ 4000 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	ხეც. Hd-13032

[955] სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 1.

[956] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ 363.

[957] ცხრილში მხოლოდ ტომისა და გვერდების მითითებით დამოწმებულია: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, II, III.

1800	დუქანი	52 თუმანი (520 მინალთუ-ნი), ანუ 2600 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450 დავთ. 6. საბ. 148
XIX ს. დასაწ.	დუქნები	10-50 თუმანი (100-500 მინალთუნი), ანუ 500-2500 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 363-364
XVIII ს. II ნახ.	თბილისი სამღებროს 1 წლის საიჯარო ფასი	700 თუმანი (7000 მინალ-თუნი), ანუ 35 000 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 389
1799	ქარვასლა – საშუა-ლო სიდიდის	127 თუმანი (1270 მინალ-თუნი), ანუ 6350 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450. დავთ. 6 საბ. 78
1722	აბანო	300 თუმანი (3000 მინალ-თუნი), ანუ 15 000 აბაზი	აბაზი=დაახლ. 5 გრ.	ქსძ. IV: 291-292
XVIII ს. II ნახ.	დედოფლის აბანოს ერთი წლის საიჯა-რო ფასი	60 თუმანი (600 მინალთუ-ნი), ანუ 3000 აბაზი	აბაზი=დაახლ. 5 გრ.	III: 389
1805	ნინია მეითრისშვი-ლის აბანოს ერთი წლის საიჯარო ფასი	80 თუმანი (800 მინალთუ-ნი), ანუ 4000 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 254
1805	იოანე სუმბათაშვი-ლის აბანოს ერთი წლის საიჯარო ფასი	73 თუმანი (730 მინალთუ-ნი), ანუ 3650 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	II: 254
1757	სეიდაბადში ბაღის გაშენების საფასური	32 თუმანი (320 მინალთუ-ნი), ანუ 1600 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 29-44
XVIII ს. II ნახ.	ბაღი დირსიქალაში	120 თუმანი (1200 მინალ-თუნი), ანუ 6000 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 114
1784	სეიდაბადის ბაღის ნახევრის გირავნო-ბის თანხა	44 თუმანი (440 მინალთუ-ნი), ანუ 2200 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 2
1790	სეიდაბადის ბაღის ნახევრის გირავნო-ბის თანხა	17 თუმანი (170 მინალთუ-ნი), ანუ 850 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	სეა. ფონდი 1450. დავთ. 6. საბ. 1
XIX ს. დასაწ.	ბაღი	60 თუმანი (600 მინალთუ-ნი), ანუ 3000 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 363
XIX ს. დასაწ.	ბაღი	15 თუმანი (150 მინალთუ-ნი), ანუ 750 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 363

თბილისელი მოქალაქეების კაპიტალი, სავახშო კაპიტალი და სესხების პროცენტის ოდენობა XVIII საუკუნეში

ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერების ხანაში მოქალაქეთა სავაჭრო კაპიტალის ოდენობის შესახებ მონაცემები არ გაგვაჩნია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ეპოქის საქართველოში ქალაქის მოსახელობის ზედა ფენის წარმომადგენლები ზოგჯერ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებებს ასრულებდნენ,[958] უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ სოლიდური კაპიტალიც ჰქონდათ. საკითხის შესახებ ფაქტოლოგიური მასალის არარსებობის გამო, უფრო დეტალურად ვერ ვიმსჯელებთ.

XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში თბილისელ მოქალაქეთა კაპიტალის ოდენობის შესახებ, გარკვეული მონაცემები მოგვეპოვება.

ვიდრე უშუალოდ მოქალაქეთა კაპიტალის მოცულობას განვიხილავთ, უპირველესად აღვნიშნავთ, რომ XVIII საუკუნის შუა ხანებიდან აღმოსავლეთ საქართველოში სავაჭრო კაპიტალის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ერეკლე II-ის მიერ გატარებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად, აღმოსავლეთ საქართველომ თავი დააღწია ირანის ეკონომიკის პროვინციული დანამატის როლს და მოკლე ხანში თბილისელმა ვაჭრებმა ირან-რუსეთის ვაჭრობაში წამყვანი პოზიციები დაიკავეს. ამავე დროს, როგორც აღინიშნა, აღდგა ეკონომიკური კავშირები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის.

აღნიშნულ ეპოქაში ერეკლე II-ის ქვეშევრდომი ვაჭრები როგორც ირან-ოსმალეთის ქალაქებში, ისე რუსეთში დიდ სავაჭრო ოპერაციებს ეწეოდნენ.[959] ვაჭრობის გაფართოებას მოჰყვა სავაჭრო ამხანაგობების შექმნა. ბევრ ქართველ ვაჭარსა თუ სავაჭრო კომპანიას (ამხანაგობას) მუდმივი წარმომადგენელი ჰყავდა ირანის სხვადასხვა სავაჭრო ცენტრში, საიდანაც იღებდნენ სავაჭრო საქონელს და შემდეგ რუსეთის ბაზრებზე გაჰქონდათ.[960] ვაჭრობის განვითარება განაპირობებდა მოქალაქეთა კაპიტალის ზრდას. სავაჭრო კაპიტალის განვითარება, თავის მხრივ, ხელს უწყობდა მის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევას. XVIII საუკუნის II ნახევარში სახელმწიფო მანუფაქტურული საწარმოების გვერდით, უკვე ვხვდებით კერძო საწარმოებსაც.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მოქალაქეების ფულადი კაპიტალი მნიშვნელოვნად იზრდებოდა. შედეგად, XIX საუკუნის დასაწყისის თბილისში მოქალაქეებს სოლიდური კაპიტალი ჰქონდათ. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 8 მოქალაქე 5 000 თუმანზე, ანუ 50 000 მანეთზე მეტ კაპიტალს ფლობდა, 61 მოქალაქეს კი 10 000 მანეთზე მეტი, ხოლო 120 მოქალაქეს 1000

---

[958] ზემოთქმულის დამადასტურებელია დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელისათვის ჩრდილოეთ კავკასიიდან თამარის საქმროს ჩამოყვანის დავალება. იხ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, გვ. 411.

[959] საგარეო ვაჭრობის მასშტაბების საილუსტრაციოდ, დავასახელებთ ერთ-ერთ ფაქტს: XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოდან რუსეთში, მოზდოკის კარანტინის გავლით, თბილისელ ვაჭრებს 52 320 თოფი (ანუ დაახლ. 150 000 ათასი ადამიანის ტანისამოსისათვის საკმარისი) სხვადასხვა ქსოვილი და 200 ფუთამდე ბამბის ნართი შეუტანიათ. დასახელებული ქსოვილების საერთო მოცულობა 800 000 არშინი (მეტრი) იყო. იხ.: თბილისის ისტორია. ტ. I, გვ. 357.

[960] საკითხის შესახებ იხილეთ.: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 41-49.

მანეთზე მეტი თანხა ჰქონდა.[961] როგორც ვხედავთ, პირველი კატეგორიის მოქალაქეთა კაპიტალი დიდად არ ჩამოუვარდებოდა თანადროული ეპოქის დიდ ფეოდალთა ქონებას.

ამჯერად, მოკლედ შევეხებით სავახშო კაპიტალს. მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური ეპოქის საქართველოში ოფიციალური საკრედიტო დაწესებულება არ არსებობდა, სავახშო კაპიტალი ყოველთვის ფუნქციონირებდა. სესხს გასცემდნენ, ძირითადად, ვაჭრები, იშვიათად თავად-აზნაურობა და გლეხები. მსესხებლები კი იყვნენ გლეხები, თავად-აზნაურები, ვაჭრები და სხვ.

ერთიანი ქართული მონარქიის ხანაში სავახშო კაპიტალის ფართოდ განვითარებაზე მეტყველებს ორტაღების არსებობა.[962] რკონის დაწერილიდან ჩანს, რომ ორტაღები დიდი ოდენობით თანხას (რამდენიმე ათეულ ათას თეთრს) გასცემდნენ სესხად.[963]

ფართო საკრედიტო ოპერაციებს ვხვდებით XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოშიც, რაც განპირობებული იყო სავაჭრო კაპიტალის დაგროვებითა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებით. ფეოდალურ ეპოქაში სესხებს გლეხები და ფეოდალები, ძირითადად, დავალიანების დასაფარად იღებდნენ, თუმცა აღნიშნულ ეპოქაში ხშირი იყო ფულის გასესხების პროგრესული ფორმებიც, როდესაც მსესხებლად გამოდიოდნენ მსხვილი ვაჭრები ან სავაჭრო ამხანაგობები, კრედიტის პროცენტი კი სავაჭრო კაპიტალის მოგებით იფარებოდა. ამდენად, ვაჭრები უმეტესწილად, სესხს იღებდნენ საბრუნავი საშუალების შესავსებად.[964] აღნიშნული ეპოქის სავახშო კაპიტალის ოდენობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, საინტერესოა იოსებ და აღალუა ყორღანაშვილების ქონების ნუსხა რომლითაც დასტურდება, რომ მათ სხვადასხვა პირზე თამასუქით[965] გაცემული ჰქონდათ 2000 თუმანზე, ანუ 100 000 აბაზზე მეტი თანხა.[966] ქვეყანაში სავახშო კაპიტალი იმდენად განვითარდა, რომ XVIII საუკუნის მიწურულს, იოანე ბატონიშვილი თავისი კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულების შექმნასაც ითვალისწინებდა.[967]

რაც შეეხება სესხების პროცენტის ოდენობას, საკანონმდებლო ძეგლებსა და საისტორიო საბუთებში არსებული ცნობები გარკვეული დასკვნების საშუალებას იძლევა.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, ფულის გასესხების შემთხვევაში, სარგებლის ოდენობა 20 პროცენტით განისაზღვრებოდა: „თუ კაცმა [კაცსა] თეთრი ავალოს სასარგებლოდ, ათასისათვის ათას ორასს დასჯერდეს წელიწადსა შიგა, და ამავე ანგარიშითა უმცროს-უფროსი იყოს“.[968]

ვახტანგის სამართალში კი აღნიშნულია: „ვალისა ეს მოგაჯსენოთ, რომე ქართლში კითხვა აგრეთრიგად არ ყოფილა. ამ ახლო ხანებშიაც თუმანი თვეში ხუთ აბაზათაც

---

[961] სეა. ფონდი 16. საბუთი 3512. მართალია, საბუთი XIX საუკუნის I მესამედის ვითარებას ასახავს, მაგრამ ანალოგიური ოდენობის კაპიტალია სავარაუდებელი XVIII საუკუნის II ნახევრის თბილისშიც.

[962] საკითხის შესახებ იხილეთ: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 152-153.

[963] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 146-147.

[964] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 58-59.

[965] თამასუქი – სასესხო ხელშეკრულება, ხელწერილი, რომელშიც განსაზღვრული იყო სესხის ოდენობა, პროცენტი და სხვა დეტალები. თამასუქს, გამსესხებელისა და მსესხებელის გარდა, მოწმეებიც აწერდნენ ხელს.

[966] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 375-379.

[967] იოანე ბაგრატიონი. სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ. თბ. 1957, გვ. 43.

[968] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 462.

მისცემია, ოთხ აბაზათაც, სამ აბაზათაც, ათ შაურათაც, ორ აბაზადაც, ხუთ შაურათაც, აბაზადაც, სამ შაურადაც, ორ შაურადაც, ამაში დია, ბევრი გვარიც ქმნილა... თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალი ქნა და სული სძულს, თუმანი – თვეში ხუთ შაურად; თუ სული ცოტა უყვარს – აბაზად; თუ უკეთ უყვარს – სამ შაურად; და თუ მართლა უყვარს – ორ შაურად. სულ ეკეთესი ეს არის, რომ სარგებელი სულ არ აიღოს".[969]

ვახტანგის განმარტებით, 1 თუმნის თვიური სარგებელი ყოფილა ორი შაურიდან 5 აბაზამდე. ვინაიდან თუმანი შედგებოდა 50 აბაზის, ანუ 200 შაურისაგან, ერთ თვეში მიღებული სარგებლის ოდენობა შეადგენდა 1-დან 10 პროცენტამდე.

კანონმდებელი კრძალავდა მაღალი პროცენტის სანაცვლოდ, ფულის გასესხების ფაქტს და კანონიერი სარგებელის ოდენობას განსაზღვრავდა 1 თუმანზე 2 შაურიდან 5 შაურამდე (2,5 აბაზამდე), რაც თვიურ 1-2,5 პროცენტს შეადგენდა. შესაბამისად, ფულის გასესხებისას, კანონიერ წლიურ პროცენტად ვახტანგს დაუწესებია 12-30%. კონტექსტიდან ჩანს, რომ სესხები იშვიათ შემთხვევაში გაიცემოდა სარგებლის მინიმალური ოდენობით.

ისტორიული საბუთების მიხედვით, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში ფულის გასესხების შემთხვევაში, უმეტესად, 1 თუმანზე 1 აბაზი, ანუ წლიურად 24% აიღებოდა.[970] სესხების სარგებელი ზოგჯერ თუმანზე თვეში 2 აბაზითაც, ანუ წლიური 48%-ით განისაზღვრებოდა.[971] იშვიათ შემთხვევაში ვხვდებით თუმნის 3 შაურად, ანუ 18%-ად გასესხების ფაქტებს.[972]

XVIII საუკუნის II ნახევრის თამასუქის წიგნებიდან ჩანს, რომ თბილისში, გირაოს უზრუნველყოფის შემთხვევებში, თუ გირაოს გარეშე, სესხების უმეტესობა 1 თუმანზე თვეში 2 შაურის სარგებლის პირობით, ანუ წლიურ 12%-ად გაიცემოდა. ვხვდებით უფრო ნაკლებ პროცენტის – თუმანზე 1,5 შაურის მიღების ფაქტებსაც (წლიურ 9%-ის),[973] ასევე თუმანზე 3 შაურის (წლიურ 18%-ის), 1 აბაზის (წლიურ 24%-ის) და მეტი სარგებლის მიღების ფაქტებსაც,[974] მაგრამ საბუთებში უმეტესად, სწორედ 12%-ია მითითებული.[975]

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევრში, კაპიტალის ზრდის შედეგად, სესხების პროცენტის განაკვეთი აშკარად შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა.

სხვადასხვა საჭიროებისათვის გაწეული დანახარჯები და ზოგიერთი ნივთის ფასი

ამჯერად, შევეხებით ქალაქის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ სხვადასხვა საკითხს. თავდაპირველად, მოვიხმობთ ცნობებს ქორწილში გაწეული დანახარჯების შესახებ. 1779 წლის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, თუმანიშვილთა ფეოდალური

[969] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 512-513.
[970] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 9, 13, 15, 25, 30.
[971] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 22.
[972] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 13, 24.
[973] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 105
[974] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 42, 44, 47, 48, 52, 57, 64
[975] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II, გვ. 37, 45, 54, 55, 56, 61, 59, 60, 67, 70, 72, 73, 74, 80, 84, 87, 96, 97, 101, 102, 104, 107, 109, 110, 114, 121, 131, 133, 141...

საგვარეულოს წარმომადგენლის ქორწილის ხარჯები 140 თუმანს, ანუ 1400 მინალთუნს აჭარბებდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქორწილისათვის შეუძენიათ 10 საპალნე (დაახლ. 1500-1800 ლიტრი) და 75 თუნგი (270 ლიტრი) ღვინო, დაახლ. 180 ლიტრი არაყი, 9 ძროხა, 230 ქათამი, 26 ბატი, 10 ხოხობი, დაახლ. 445 კგ. ცხვრის ხორცი, დაახლ. 72 კგ. ყველი, დაახლ. 86 კგ. ზურგიელი, 72 კგ. ბრინჯი, 72 კგ. ნიგოზი, 72 კგ. ლობიო, 36 კგ. მუხუდო, დაახლ. 43 კგ. ქონის სანთელი, 18 კგ. წმინდა (თაფლის) სანთელი და ა.შ.[976]

ზოგიერთი ფეოდალის ქორწილისათვის ბევრად ნაკლები დანახარჯი გაწეულა. ბეჟან ამილახვრიშვილის დანახარჯების ნუსხის მიხედვით, შიდა ქართლში მისი ძმის – ომან ამილახვრიშვილის ქორწილის დანახარჯები შეადგენდა დაახლ. 40 თუმანს.[977]

1788 წლის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, თავადის ან შეძლებული მოქალაქის მეუღლის დაკრძალვისათვის (მათ შორის, „შვიდის წირვისათვის“, ორმოცისათვის, საფლავის მოწყობისათვის) დაუხარჯავთ დაახლ. 72 თუმანი. მხოლოდ, „საფლავის ქვისა, თუ მარმარილოს ფასი, თუ შავის ქვის, თუ გაკეთებისა და თუ ზედ დადების ხარჯი“ შეადგენდა 6 თუმანს.[978]

ხელმოკლე თავადის ქალის დაკრძალვისათვის კი გაცილებით ნაკლები თანხა დაუხარჯავთ – 1795 წლის ივნისში გარდაცვლილ რევაზ ფავლენიშვილის დის დაკრძალვის ხარჯები სულ 10 თუმანს შეადგენდა.[979]

XVIII საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია ავადმყოფის მოვლის და მკურნალობის თანხაც – „გოგია ბიჭი რომ ავათ გახდა საოფლისაგან, შესანახავად მივეც ექსი მინალთუნი“.[980] როგორც ჩანს, ქვედა ფენის წარმომადგენლის, სავარაუდოდ, მსახურის მკურნალობის და მოვლისათვის 6 მინალთუნი გადაუხდიათ. ამავე საბუთის მიხედვით, ზიარებისათვის 2 აბაზი გადაუხდიათ – „ზურაბ რომ ეზიარა, მივეც საწირავათ ორი აბაზი“.[981]

1771 წლის დანახარჯის ნუსხის მიხედვით, დალაქის გასამრჯელო 1 აბაზს შეადგენდა. თუმცა ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 1 აბაზი ლეონ ბატონიშვილს თავისი ძმის მომსახურების სანაცვლოდ გადაუხდია – „ს (ერთი აბაზი) ქ. თავის ძმის იულონის დალაქს თავმოსაპარსათ“.[982]

XVIII საუკუნის თბილისში ევროპულ სამოსთან ერთად მრავალი ნივთი, მათ შორის, შლაპები და ქოლგებიც გავრცელებულა. მოგზაურ იოსებ დე ლა პორტის გადმოცემით, XVIII საუკუნის თბილისში „წარჩინებული ქალები ხშირად ცხენებით დადიან. მდიდრად მორთულ ცხენებზე მჯდომ ქალებს შლიაპა აქვს თავზე შემოკრული, მკერდი ოქროს ბაბთებით აქვთ მორთული, ხოლო ხელში ქოლგები ანუ სამზეურები უპყრიათ. შლიაპები და ქოლგები მოტანილია რუსეთიდან. მოხუცები და დაუძლურებულები გადაადგილდებიან ტახტრევანდებით“.[983]

---

[976] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 69-75.
[977] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 78-79.
[978] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 89-96.
[979] სეა. ფონდი 1450. დავთ. 17. საბ. 147.
[980] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 77.
[981] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 76.
[982] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 53.
[983] ხეც. H-609, 94r.

1797 წელს შედგენილ ერეკლე II-ის ქონების ნუსხის მიხედვით, ოქრომკედის არშიით გაწყობილი შლაპა 2 თუმნად, ხოლო ქოლგა 1 თუმნად იყო შეფასებული.[984]

XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში თბილისში თეატრალური წარმოდგენებიც იმართებოდა. გადმოცემის მიხედვით, წარმოდგენებს მართავდა არტილერისტი გაბრიელ მაიორი, რომელიც ბილეთებს არიგებდა. ბილეთზე კი შემდეგი ტექსტი ყოფილა განთავსებული: „შაური ორი, გაბრიელ მაიორი".[985] ამდენად, თბილისში თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრება 2 შაურად, ანუ 0,5 აბაზად ყოფილა შესაძლებელი.

ისტორიულ საბუთებში XVIII საუკუნის ყოფისათვის დამახასიათებელი მრავალი ნივთის ღირებულებას ვხვდებით. ამჯერად, ყველა მათგანს დეტალურად აღარ განვიხილავთ, წარმოვადგენთ მხოლოდ ზოგად მონაცემებს.

ცხრილში მოცემულია სხვადასხვა რიტუალისა თუ საქმიანობისათვის გაწეული დანახარჯები და ზოგიერთი, მათ შორის ძვირადღირებული ნივთის ფასი:

თარიღი	**ნივთის /პროდუქტის დასახელება**	**ღირებულება**	**ნომინალის წონა**	**წყარო**
1779	ფეოდალის ქორწილის ხარჯი	140 თუმანი (1400 მინალთუნი), ანუ 7000 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 69-75[986]
1779	ბალხანა/ბალდაღინი – (სვეტებზე დადგმული მდიდრულად მორთული ჩარდახი, სეფა, რომლის ქვეშაც ქორწილის დროს სხდებოდნენ მეფე-პატარძალი, გვ. 9-10)[987]	1 თუმანი, ანუ 50 აბაზი	–	I: 69
1788	ფეოდალის ან მდიდარი მოქალაქის (ქალის) დაკრძალვის ხარჯები	72 თუმანი, ანუ 3600 აბაზი	–	I: 89-96
1795	ხელმოკლე ფეოდალის (ქალის) დაკრძალვის ხარჯები	10 თუმანი, ანუ 500 აბაზი	–	სეა. ფონდი 1450. დავთ. 17. საბ. 147
XVIII. ს. II ნახ.	მსახურის მკურნალობის და მოვლის ხარჯი	6 მინალთუნი, ანუ 30 აბაზი	–	I: 77
XVIII. ს. II ნახ.	ზიარების თანხა	2 აბაზი	–	I: 76
1780-90-იანი წწ.	თეატრალურ წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთის ღირებულება	2 შაური, ანუ 0,5 აბაზი	–	Кавказ, 1858. №86

[984] მასალების საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 276.

[985] Н. Берзенов. О быте грузии старого. გაზ. Кавказ, 1858. № 86.

[986] ცხრილში მხოლოდ ტომისა და გვერდების მითითებით დამოწმებულია: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, II, III.

[987] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 21. ცხრილში, სადაც ამა თუ იმ ნივთის განმარტებაა მოცემული, მითითებული იქნება მხოლოდ დასახელებული ნაშრომის გვერდები.

1800	სათვალე	1 მინალთუნი, ანუ 5 აბაზი		II: 300
1798	ქოლგა, ძვირფასი (მეფის)	1 თუმანი, ანუ 50 აბაზი	–	III: 276
1798	შლაპა, თეთრი ბუმბულით, ბუზმენ-ტიანი (ბუზმენტი/ბუზუმენტი – ოქრომ-კედის არშია, გვ. 11)	2 თუმანი, ანუ 100 აბაზი	_	III: 276
1778	მენავის გასამრჯელო, მტკვარზე (ორ-თაჭალაში)	1 აბაზი	–	I: 64
1771	დალაქის გასამრჯელო „თავმოსაპარ-სად“	1 აბაზი	–	I: 53
1777	სამართებლის „დასაჩარხავად“ (დალაქ-ის იარაღი)	1 აბაზი	–	I: 56
1779	2 დიდი საქორწილო ბეჭდის დამზა-დებისათვის ოქრომჭედლის გასამრჯე-ლო	8 მინალთუნი, ანუ 40 აბაზი	–	I: 71
1806	თამბაქო – 1 ლიტრი, ანუ 3,6 კგ.	4 აბაზი	–	II: 307
1807	ბურნუთი – 1 ლიტრა (ბურნუთი/ბურ-ნიოთი – დაფქვილი თამბაქო, გვ. 11) შიდა ქართლი, გორი	2 მინალთუნი, ანუ 10 აბაზი	–	II: 307
1798	ბურნიოთის/ბურნუთის კოლოფი, ლაჟვარდის (მეფის)	12 თუმანი, ანუ 600 აბაზი	–	III: 277
1798	ბურნიოთის კოლოფი – „შირმაის“ (მე-ფის) („შირმაი“ – ლომთევზა, რომლის ეშვებიც გამოიყენება სხვადასხვა ნივ-თის გასაკეთებლად, გვ. 47)	3 თუმანი, ანუ 150 აბაზი	–	III: 277
1798	ბურნიოთის კოლოფი, სადა (მეფის)	1 თუმანი	–	III: 277
1779	შეშა – 1 ურემი	2 მარჩილი, ანუ 6 აბაზი	–	I: 70
1779	შეშა – 5 გუდურა (გუდურა – შეკვრა, იღლია შეშა, გვ. 13)	1 მარჩილი, ანუ 3 აბაზი	–	I: 74
1779	ნახშირი – 3 ცალი (ცალი – საპალ-ნის ნახევარი, ცხენის, ვირის და ა.შ. აკიდებული ტვირთის ნახევარი, ცალ მხარეზე აკიდებული, გვ. 49)	1 მარჩილი	–	I: 70
1779	ნახშირი – 1 [ურემი]	2 მინალთუნი და 3 აბაზი, ანუ 13 აბაზი	–	I: 70
1790	ფიჩხი – ერთი თონე პურისათვის?	1 აბაზი	–	I: 110-111
1805	ფიჩხი – 2 საპალნე	2,2 აბაზი	–	II: 255
1795	ფისი – 1 ჩარექი, ანუ 900 გრ.	2 შაური ანუ 0,5 აბაზი	–	III: 263
XIX ს. დასაწ.	უმარილი/ფერუმარილი (კოსმეტიკა ქალისათვის) – 1 სტილი, ანუ დაახლ. 165 გრ.	4 აბაზი	–	I: 213

1779	სანდალი და სხვა მასალა – 0,5 სტი-ლი, ანუ დაახლ. 80 გრ. (სანდალი – ხე, ინდოეთიდან შემოტანილი, შეიცავს ეთერის ზეთსა და მცენარეულ საღე-ბავს. სანდალი სამი ფერისაა: თეთრი, ყვითელი და წითელი, გვ. 33-34)	2 აბაზი	–.	I: 70
XIX ს. დასაწყ.	ინა – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ. (ინა – მცენარისაგან დამზადებული მოწითა-ლო-მოყვითალო საღებავი, ძირითადად, თმისა და ფრჩხილების შესაღებად, გვ. 21)	2 მინალთუნი	–	I: 213
1779	ინა – 6 სტილი, ანუ დაახლ. 985 გრ.	მარჩილი, ანუ 3 აბაზი	–	I: 74
1778	„ფარნის გასაკეთებლად“	1 მინალთუნი	–	I: 66
XIX ს. დასაწ.	აბრეშუმი (ყაჭი) – 20 ლიტრა, ანუ 72 კგ.	12 თუმანი, ანუ 600 აბაზი	–	III: 390
XIX ს. დასაწ.	ბამბა – 100 ლიტრა, ანუ 360 კგ.	20 თუმანი, ანუ 1000 აბაზი	–	III: 390
1772	ბამბა – ბათმანი, ანუ 3,6 კგ. კახეთი	1,4-1,5 მანეთი, ანუ 7-7,5 აბაზი	–	გმს. I: 255
1790	ბამბა – 6 სტილი, ანუ დაახლ. 1 კგ.	3 აბაზი	–	I: 99
1783	ბამბა – 4 ლიტრა, ანუ 14,4 კგ.	4 მინალთუნი და 4 აბაზი, ანუ 24 აბაზი	–	III: 200
1785	მატყლი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	6 შაური	–	III: 212
1794	ლილა – 1 ბათმანი, ანუ 7,3 კგ.	7 თუმანი, ანუ 35 აბაზი	–	I: 136
XIX ს. დასაწ.	ლილა – 1 ოყა, ანუ 1,28 კგ.	1 თუმანი	–	III: 263
1772	ენდრო, ნედლი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	1 მანეთი/ მი-ნალთუნი, ანუ 5 აბაზი	–.	გმს. I: 255
1772	ენდრო, გამხმარი – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	1,4 მანეთი/მი-ნალთუნი	–	გმს. I: 255
1783	იმერული თავთა – 2 თოფი (?) (თავთა – თხელი აბრეშუმის ქსოვილი, გვ. 17)	3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი	–	III: 200
1772	უნაგირი	5,25 მანეთი/ მინალთუნი, ანუ 26,25 აბაზი	–	გმს. I: 239
1772	თოკი, ცხენის ძუისაგან დაგრეხილი – 30 საჟენი (საჟენი – დაახლ. 2,13 მეტრი)	3 მანეთი/მინალ-თუნი, ანუ 15 აბაზი	–	გმს. II: 235
1772	ლაგამი	1 მანეთი/მინალ-თუნი	–	გმს. II: 235

1772	ქეჩის კარავი	10,5 მანეთი/ მინალთუნი, ანუ 52,5 აბაზი	–	გმს. II: 235
1772	წისქვილი წყვილი ქვა (ახალგორი)	40 მანეთი/ მინალთუნი, ანუ 200 აბაზი	–	გმს. I: 51
1792	მაგიდის მდიდრული სერვიზი	8 თუმანი, ანუ 400 აბაზი	–	II: 287
1798	დანა-ჩანგალი, მწვანე ტარიანი (ძვირ-ფასი) – 22 (მეფის)	12 მინალთუნი, ანუ 60 აბაზი	–	III: 276
1798	მაგიდის სუფრა, ძვირფასი – 2 (მეფის)	2 თუმანი, ანუ 100 აბაზი	–	III: 276
1798	ყავის ძვირფასი ფინჯანი – 6 (მეფის)	6 მინალთუნი, ანუ 30 აბაზი	–	III: 277
1798	ჩაის ფინჯანი, „ნალბაქებით“ – 12 („ნალბაქი“ – ლამბაქი, გვ. 29) (მეფის)	1,5 თუმანი, ანუ 75 აბაზი	–	III: 277
1798	ჭიქა, ფაიფურის – 2 (მეფის)	1 მინალთუნი	–	III: 277
1798	ფინჯანი, ყავის, ზარფებით – 3 (ზარფი – საჭიქე, ჭიქის ჩასადგამი, გვ. 17) (მეფის)	1 მინალთუნი	–	III: 277
1798	ბროლის საშაქრე (მეფის)	2 მინალთუნი	–	III: 277
1798	ფიალა – მარტორქის (მეფის)	1 თუმანი	–.	III: 277
1801-1806	40 ვერცხლის კოვზი, ვერცხლის ლან-გარი და სხვა ვერცხლის რამდენიმე ნივთი საერთო წონით 1 ფუთი და 30 გირვანქა, ანუ დაახლ. 28 კგ.	175 თუმანი, ანუ 8750 აბაზი	–	III: 385
XVIII ს. შუა ხან.	ვერცხლის „ჯამ-თასი“	2 თუმანი	აბა-ზი=4,6 გრ.	III: 174
XVIII ს. შუა. ხან	სპილენძის სურა – 2	1 თუმანი	აბა-ზი=4,6 გრ.	III: 174
1779	კოვზი – 20	2 აბაზი და 1 ბისტი	–	I: 74
1795	1 ჯამი, 1 თეფში, 1 ფინჯანი, 4 ლამბაქი, ბროლის ყურიანი 1 საღვინე, 1 პოდნოსი – ჩინის, ანუ ჩინური	15 მინალთუნი, ანუ 75 აბაზი	–	III: 258
1795	სპილენძის ტაფა	6 აბაზი	–	III: 267
1795	პატარა ქვაბი და ტაფა	8 აბაზი	–	III: 259
1785	ლანგარი ვერცხლის	6 თუმანი, ანუ 300 აბაზი	–	II: 68
XVIII ს. II. ნახ.	ქვაბი	8 აბაზი	–	II: 155

1795	სპილენძის კოკა – 2, დიდი ჯაჭვით გადაბმული	15 მინალთუნი	–	III: 259
1795	ტაშტი სპილენძის – „საბანებელი“, დიდი	12 მინალთუნი	–	III: 260
1795	ქვაბი – 2	5 მინალთუნი	–	III: 260
1795	ლანგარი – მომცრო	7 აბაზი	–	III: 260
1795	ქაფქირი – დიდი	1 მინალთუნი	–	III: 260
1795	ყავადანი – დიდი	2 მინალთუნი	–	III: 260
1975	შანდალი თითბრის – 2	3 მინალთუნი და 10 შაური	–	III: 260
1795	თუნგი – წყლის სათბობი	4 აბაზი	–	III: 260
1751	2 ჩაფი – წყლის საზიდი	2 შაური, ანუ 0,5 აბაზი	–	I: 20
	ვერცხლის თასი – 9	13,5 თუმანი		III: 385
1801-1806	კულა ვერცხლის – 1 და 1 ხის, მოჭედილი (კულა – ყელვიწრო სასმისი, გვ. 23)	10 თუმანი, ანუ 500 აბაზი	–	III: 385
1795	მაფრაშა – 6 (ხალიჩისებურად ნაქსოვი ჭრელი, ფართო ტომარა ლოგინის და მისთანების გადასატანად, გვ. 25).	2 თუმანი და 4 მინალთუნი, ანუ 120 აბაზი	–	III: 258
1795	იისფერი ყალამქარის საბანი მითელებით და შილებით (მითელი – საბნის ან ბალიშის ქვედა პირი, გვ. 26; შილა – წითლად შეღებილი მატერია, გვ. 46).	2,5 თუმანი, ანუ 125 აბაზი	–	III : 258
1795	ბალიში თავრიზისა, ხიოს ჩითის მითელით და ჩითით	3 თუმანი, ანუ 150 აბაზი	–	III: 258
1795	ლეიბი, რუსული – 2	15 მინალთუნი	–	III: 258
1795	მუთაქა, მითლებით, საპირეებით, საურით – 2	8 მინალთუნი	–	III: 258
1795	დიდი ხალიჩა – 2	4 თუმანი	–	III: 258
1795	ხალიჩა, ნახმარი – 2	2 თუმანი	–	III: 258
1795	ორხოა/ორხაო/ორხავო/ორხუა – 5-ადლიანი, ნახმარი (ორხაოიანი გრძელი ხალიჩა, გვ. 30)	3 თუმანი	–	III: 259
1795	ოხრუა დიდი	5 თუმანი, ანუ 250 აბაზი	–	III: 267
1801-1806	ქალის ვერცხლის საპირფარეშო იარაღი: სინი, ჯამი, სასაპნე, „სურმის ჩხირები“, თმის დასაწვნელი, „უმარილის გასალესი სადაფი თავისის გასალესითა“	25 თუმანი, ანუ 1250 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	III: 385
1795	აბანოს სათლი დიდი, ქაშანისა (ქაშანი – ქალაქი და პროვინცია ირანის ცენტრალურ ნაწილში, ცნობილი მეჭურჭლეობით. 41)	6 მინალთუნი, ანუ 30 აბაზი	–	III: 267
1795	აბანოს თასი „ქაშანისა“	1 მინალთუნი	–	III: 267

1788	სავარცხელი – „შისმაისა“(?)	2 აბაზი	–	I: 90
1788	საპონი – მარანდული (მარანდული – მარანდიდან, თურქული, გვ. 25)	2 შაური	–.	I: 90
1798	საპონი (მარანდული) – 21	2 მინალთუნი	–	III: 276
1795	საპონი – 4 ლიტრა, ანუ 14,4 კგ.	4 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 22,5 აბაზი	–	III: 262
1783	„აბანოს ფული“, ანუ აბანოთი სარგებლობის ღირებულება	1 აბაზი	–	III: 194
1795	უთო, არზრუმის და რუსული 6 კლიტე, რკინის 4 მაყაში (მაყაში – მცირე მაშა, სანთლის დასადები, შანდალის ნაწილი. 25) რკინის 6	7 მინალთუნი, ანუ 35 აბაზი	–	III: 259
1795	შანდალი, დიდი, თითბრის	5 მინალთუნი	–	III: 267
1795	რუსული კლიტე – 2	6 შაური	–	III: 263
1795	მაყაში (ამ შემთხვევაში შანდლის ნაწილი) – თითბრის, ფრანგული „საუცხოო“	3 მინალთუნი	–	III: 259
1795	საბანი, მოახლეების – 4, მითლებით და ხიოს და ქალაქის ჩითით	4 თუმანი და 8 მინალთუნი, ანუ 240 აბაზი	–	III : 259
1795	ლეიბი, მატყლის, ჩითგადაკრული – 2	12 მინალთუნი	–	III: 259
1795	ლეიბი – 2 მატყლის	5 მინალთუნი და 4 აბაზი	–	III: 260
1795	ბალიში, ჩითის – 6	12 მინალთუნი	–	III: 260
1795	ბალიში, ბუმბულის	7,5 მინალთუნი	–	III : 267
1788	ხელსახოცი, მოვის – 2	2 მინალთუნი	–	I: 90
1795	4 ფარდაგი, დიდი	4 თუმანი	–	III: 258
1795	ნახმარი ფარდაგი – 2	6 მინალთუნი	–	III: 259
1795	ჯეჯიმი – 2 (სხვადასხვა ფერის ზოლებიანი ნაქსოვი მატერია მუთაქის პირად ან საფენად, გვ. 52)	8 მინალთუნი	–	III: 259
1795	ქალაქური ქეჩა, პატარა – 2	4 მინალთუნი	–	III: 259
1801-1806	„სამხატვოს სახაზავი იარაღი, შავს ყუთში განწყობილი“	5 თუმანი	–	III: 386
1779	სანთელი, ქონის – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	3,5 აბაზი	–	I: 72
1795	დუგმა, თითბრის – 48	1 აბაზი	–	III: 263
1797	ნალი – „ორი ჭედა“, ანუ 8 ნალი	2 მინალთუნი	–	I: 153
1790	ცხენის დაჭედვის საზღაური	უზალთუნი, ანუ 0,5 აბაზი	–	I: 99
1785	რკინა – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	10 შაური	–	III: 213
1794	რკინა – 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ.	10 შაური	–	II: 290

1800	სპილენძი – 1 ბათმანი, ანუ დაახლ. 7,3-8 კგ.	4 მინალთუნი	–	I: 172, 173
1779	მარგალიტი – 22 „მარცვალი“ (თვალი)	1 თუმანი და 6 მინალთუნი, ანუ 80 აბაზი	–	I: 71
1801-1806	მარგალიტი – 100 „მარცვალი თითო მუხუდოს ოდენა“	100 თუმანი, ანუ 5000 აბაზი	–	III: 383
1801-1806.	„ჩამოსავლები მარგალიტისა თვლებით მძიმე და ძვირფასი“	200 თუმანი, ანუ 10 000 აბაზი	–	III: 383
1801-1806	„ყელსაბამი თუელებითა და მარგალიტითა, ოქროს მინანქრით ქმნილი“	80 თუმანი, ანუ 4000 აბაზი	–	III: 383
1779	ბეჭედი, საქორწილო ფეოდალის ან მდიდარი მოქალაქის – 2	5 თუმანი, 8 მინალთუნი და 4 აბაზი, ანუ 294 აბაზი	–.	I: 71
1779	იაგუნდი – 1 თვალი	მარჩილი, ანუ 3 აბაზი		I: 71
1779	ზურმუხტი – 1 თვალი	მარჩილი	–	I: 71
1779	იაგუნდი – 1 წვრილი თვალი	1 აბაზი	–	I: 71
1779	ზურმუხტი – 1 წვრილი თვალი	1 აბაზი	–	I: 71
1798	„ბრილიანტის ნივთი, შუაში ლალი უზის“ (მეფის)	20 თუმანი, ანუ 1000 აბაზი	–	III: 277
1798	თითა, 2 ალმასით (თითა – თვალ-მარგალიტით მოჭედილი გულის, ან შუბლის ქინძისთავი, გვ. 19)	8 თუმანი, ანუ 400 აბაზი	–	III: 277
1798	თითა, 12 მარგალიტით	33 თუმანი, ანუ 1650 აბაზი	–	III: 277
1798	ქარვის კრიალოსანი (მეფის)	7 მინალთუნი, ანუ 35 აბაზი	–	III: 277
1798	მარჯნის კრიალოსანი (მეფის)	3 თუმანი, ანუ 150 აბაზი	–	III: 277
1798	ბეჭედი – წითელი იაგუნდის (მეფის)	40 თუმანი, ანუ 2000 აბაზი	–	III: 277
1798	ბეჭედი – ლურჯი იაგუნდის, პატარა ალმასით (მეფის)	8 თუმანი, ანუ 400 აბაზი	–	III: 277
1798	ბეჭედი – ლურჯი იაგუნდის ბეჭედი (მეფის)	10 თუმანი, ანუ 500 აბაზი	–	III: 277
1798	ბეჭედი – ფირუზის (მეფის)	3 თუმანი, ანუ 150 აბაზი	–	III: 277
1801-1806	ბეჭედი – ლურჯი იაგუნდის	12 თუმანი, ანუ 600 აბაზი	–	III: 384
1801-1806	ბეჭედი – წვრილი ბრილიანტით	12 თუმანი, ანუ 600 აბაზი	–	III: 384

1801-1806	ბეჭედი, ფირუზის – 2	10 თუმანი და 5 მინალთუნი, ანუ 525 აბაზი	–	III: 384
1801-1806	ოქროს ჯაჭვი, გულზე ჩამოსაკიდებელი, „სადად ქმნილი“	40 თუმანი, ანუ 2000 აბაზი	–	III: 384
1801-1806	ჯაჭვი, გულზე ჩამოსაკიდებელი, მინანქრის	15 თუმანი, ანუ 750 აბაზი	–	III: 384
1801-1806	„ორი ოქროს მინაქრის საათები“, თავისი ჯაჭვებით – 2	25 თუმანი, ანუ 1250 აბაზი	–	III: 384
1801-1806	ღილები, ოქროს მინანქრით – 12	15 თუმანი, ანუ 750 აბაზი	–	III: 384
1801-1806	რახტი ვერცხლის, ოქროთი დაფერილი – 2 (რახტი – ცხენის მორთულობა ოქროს ან ვერცხლის ბალთებით მოჭედილი, გვ. 31)	30 თუმანი, ანუ 1500 აბაზი	–	III: 385
1801-1806	„ოცამდის ისრები, ნადირშას ნაქონები, ჩალისა და ხისა, საუცხოო. ჩერქეზული მშვილდი და ისრები“	82,5 თუმანი, ანუ 4125 აბაზი	–	III: 386
1801-1806	„წვრილი რახტი“ ვერცხლის – 3	10 თუმანი, ანუ 500 აბაზი	–	III: 385
1801-1806	უნაგირი, ვერცხლის	6 თუმანი, ანუ 300 აბაზი	–	III: 385
1779	ოქრო – 1 მისხალი, ანუ 4,6 გრ.	4 მინალთუნი და 1 აბაზი, ასულ 21 აბაზი	–	I: 71

მუშებისა და ხელოსნების ჯამაგირის ოდენობა, საშენი მასალის ფასები XVIII საუკუნის თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებში

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, მუშის დღიური ხელფასი 1 შაურით განისაზღვრებოდა: „დღეში მუშა ერთ შაურად იმუშავებს“, – აღნიშნავდა კანონმდებელი.[988] როგორც ზემოთ აღინიშნა, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში შაური 1,7-1,8 გრამს იწონიდა. შესაბამისად, მუშის დღიური ხელფასიც სწორედ აღნიშნული ოდენობის ვერცხლით განისაზღვრებოდა, თუმცა ვახტანგის სამართლის წიგნში არ არის დაკონკრეტებული აღნიშნულ თანხაში კვების ხარჯიც იგულისხმებოდა თუ არა.

1749 წლის ბერბუკის გალავნისა და რუების დანახარჯის ნუსხაში მოცემულია მუშის დღიური გასამრჯელოს ოდენობა. საბუთში რამდენიმე ადგილას აღნიშნულია, რომ მუშის გასამრჯელო დღეში 1 შაურს შეადგენდა, ხოლო კალატოზისა და ხუროს ანაზღაურება 2 შაურს უდრიდა.[989]

[988] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 514.
[989] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. II, გვ. 93-94.

კონკრეტულად 1748-1749 წლებში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი აბაზი საშუალოდ, 4,6 გრამს იწონიდა,[990] შესაბამისად, შიდა ქართლში მუშის გასამრჯელო შეადგენდა 1,15 გრამს, ხოლო ხურო-კალატოზების – 2,3 გრამს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მუშებისა და ხურო-კალატოზების გამოკვება დამქირავებლის ვალდებულება ყოფილა. თუმცა განსხვავებული იყო მათი კვების რაციონი. მუშების კვებისათვის გათვალისწინებული იყო მხოლოდ პური და მარილი, ხოლო ხურო-კალატოზის შემთხვევაში – პურთან და მარილთან ერთად, ღვინო, „სამარხო“ თუ „სახსნილო“. დღეში მუშის გამოკვების ხარჯი დაახლ. 0,5 შაურს უდრიდა. ხუროსა და კალატოზის კვებისათვის კი დაახლ. 1,5 შაურის პური, ღვინო, მარილი და „სახსნილო“ თუ „სამარხო“ ყოფილა გათვალისწინებული.[991]

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის შუა ხანებში შიდა ქართლში მუშის დაქირავება მისი გამოკვების ხარჯების ჩათვლით, 1,5 შაურად ყოფილა შესაძლებელი. აღნიშნული პერიოდის 1,5 შაური ვახტანგის ეპოქის 1 შაურის ტოლფასი იყო. ამდენად, ვახტანგის სამართლის წიგნში დასახელებული მუშის ხელფასში (1 შაური), დიდი ალბათობით, მისი გამოკვების ხარჯიც იგულისხმებოდა.

1749 წლის ბერბუკის გალავნისა და რუების დანახარჯის ნუსხის მიხედვით, ხურო-კალატოზების ჯამაგირი და მათთვის გათვალისწინებული საკვების ღირებულება შეადგენდა 4 შაურს, ანუ 1 აბაზს (აბაზი=4,6 გრ.)

ამავე საბუთში მოცემულია ურმის დაქირავების ხარჯიც: „თორმეტმა ურემმა ქვა ზიდა, დღეში ერთი ურემი ექვს შაურად“. ერთი ურმით 800-მდე ალიზის გადაზიდვა ყოფილა შესაძლებელი. მშენებლობისათვის ერთი ტივი 8 მინალთუნად უყიდიათ, 4 ბარი და 4 წერაქვი – 4 მინალთუნად და 2 აბაზად, ცხავი – 2 შაურად, 30 ნიჩაბი – 6 აბაზად.[992]

შიდა ქართლისაგან განსხვავებით, თბილისში მუშისა და ხურო-კალატოზების ხელფასი შედარებით მეტი ყოფილა. 1751 წლის დანახარჯის ნუსხის მიხედვით, ერთი მუშის დღიური გასამრჯელო შეადგენდა 2 შაურს (2,3 გრ.), ხოლო ხუროსა და კალატოზის დღიური ხელფასი, კვების ჩათვლით – 2 აბაზს (9,2 გრ.).[993] ერთი სიტყვით, თბილისში მუშის დღიური ხელფასი ბერბუკის გალავნის მშენებლობაზე დასაქმებულ მუშებთან შედარებით, დაახლ. 40%-ით მეტი ყოფილა, ხოლო კალატოზ-ხუროს ანაზღაურება – ორჯერ მეტი.

რაც შეეხება XVIII საუკუნის II ნახევარში მუშის და ხელოსნების ხელფასს, შემდეგ ვითარებას ვხედავთ: 1789 წლის დანახარჯის ნუსხის მიხედვით, „კალატოზი თავისი სასმელ-საჭმელით“ დაუქირავებიათ 1 მინალთუნად,[994] ანუ 5 სირმა-აბაზად (აბაზი=2,9 გრ.). სხვა ადგილას კალატოზის გასამრჯელოდ 3-4 აბაზია მითითებული.[995] ამდენად, XVIII საუკუნის ბოლოს ხურო-კალატოზის გასამრჯელო უდრიდა დაახლ. 9-14,5 გრამ ვერცხლს, მუშის დღიური ჯამაგირი კი – 1-1,25 აბაზს, ანუ 2,9-3,6 გრამ ვერცხლს.[996]

---

[990] თ. ქუთელია. თბილისის ზარაფხანა 1736-1757 წლებში, გვ. 47.
[991] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. II, გვ. 94
[992] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. II, გვ. 93-94.
[993] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 7, 11-12.
[994] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 97.
[995] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 13.
[996] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 86-87; III, გვ. 7.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის შუა ხანებთან შედარებით, 70-90-იან წლებში მუშის, კალატოზისა და ხუროს დღიური შრომის საზღაური შედარებით მომატებული ჩანს, რაც მშენებლობის ტემპების ზრდაზე მეტყველებს.

ამავე ეპოქის წყაროებში რეგიონებიდან თბილისში მიგრაციის ფაქტებიც ფიქსირდება. საბუთებში ვხვდებით შემდეგ ფრაზებს: „წყვილი იმერელი ხურო“, „ბ (2) მუშა მთიულებისა“, „გ (3) მთიულის მუშა“. მათი გასამრჯელო კი ჩვეულებრიზე ნაკლები იყო. ორი იმერელი ხუროს დღიური ანაზღაურება 1 მარჩილია, ანუ ერთი მათგანის – 1,5 აბაზი, ხოლო მთიული მუშის 3 შაური.[997] როგორც ჩანს, ქალაქში მიგრირებული მოსახლეობა სამუშაოს სანაცვლოდ, მცირე გასამრჯელოზეც თანხმდებოდა.

თბილისში ვხვდებით მშენებლობასთან დაკავშირებულ იშვიათი სპეციალობის ოსტატებსაც. ასეთ ოსტატთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ „ქანქანა“ („ქოქანკი/ქუქანკი“) და „ქანგაქა“ ოსტატები. პირველი მათგანი გვირაბის გამომთხრელად და წყლის გამომყვან ოსტატად მიიჩნეოდა, ხოლო მეორე – ქვის, საბადოს მჭრელად.[998] მათი დღიური ანაზღაურება კალატოზის ჯამაგირის იდენტური ყოფილა.[999]

აღნიშნული ეპოქის თბილისში 5 ურემი შეშის დაჭრა 10 შაურად ფასობდა,[1000] ხოლო 3 ულაყით ქვიშის ზიდვაში 1 მინალთუნს და 2 აბაზს იხდიდნენ.[1001] ღამის „ქეშიკის“, ანუ დარაჯის ჯამაგირი კი 5 შაურს, ანუ 1,2 აბაზს შეადგენდა.[1002]

საბუთებიდან ჩანს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მშენებლობისათვის იყენებდნენ კირს, აგურს, ქვას, ქვიშასა და ხის მასალას.

XVIII საუკუნის II ნახევარში შიდა ქართლში თავადის სასახლისა და მარნის ასაშენებლად საკმარისი გამომწვარი კირის, ანუ ერთი „გორული საკირეს“ ფასი ყოფილა 6 თუმანი.[1003] აღნიშნული ეპოქის თბილისში კი კირის გამოსაწვავად სპეციალური „ქურა“ მოქმედებდა. 1 „ქურიდან“ 58 ურემი კირი გამოდიოდა და 11,7 თუმნად ფასობდა.[1004]

აგური სხვადასხვა სახის ყოფილა – „დიდი ყალიბის“, „ცხვირიანი“ (ანუ დეკორატიული)[1005] და ა.შ. 1751 წელს 200 აგურში 3 აბაზი (აბაზი=4,6 გრ.) გადაუხდიათ.[1006] განსხვავებული ყალიბის აგურს ფასიც განსხვავებული ჰქონდა. ხის მასალას ტივის სახით მტკვარზე აცურებდნენ და ასე შემოჰქონდათ თბილისში. ტივი დაახლ. 15 მორისაგან შედგებოდა და 1-1,5 თუმნად ფასობდა.[1007] კედლების შესალესად იყენებდნენ კირს და გაჯს. 20 საპალნე, ანუ დაახლ. 3000 კგ. გაჯი 2,5 აბაზი (აბაზი=4,6 გრ.) ღირდა. ჩანს, ასევე ცარცით კედლების შეთეთრების პრაქტიკაც. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში შპალერიც შემოსულა.[1008] 1 თოფი, ანუ 8-10 მეტრი სიგრძის შპალერის ფასი 1 აბაზი ყოფილა.[1009] ქვიშისა და ქვის მოსამარაგებლად მხოლოდ

[997] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 8-13.
[998] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი, გვ. 41.
[999] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 21-22, 30, 86.
[1000] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 70.
[1001] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 18.
[1002] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 179.
[1003] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 77.
[1004] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 206, 219.
[1005] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 207; III, გვ. 5.
[1006] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 7.
[1007] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 77.
[1008] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 205; II, გვ. 300.
[1009] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 205.

ტრანსპორტირების ხარჯები ყოფილა საჭირო, ხოლო დამუშავებული ქვების შესაძენად კი გარკვეულ საფასურს იხდიდნენ – „თაღის ქვა ვიყიდე ბერძნისაგან“, რომლის საფასური 9 მინალთუნი, ანუ 45 აბაზი ყოფილა, აღნიშნულია 1804 წლის საბუთში.[1010]

როგორც ზემოთ აღინიშნა, XVIII საუკუნის შუა ხანებში თბილისში შედარებით დიდი სახლის ასაგებად, მუშა-ხელოსნების დაქირავებისა და სამშენებლო მასალის დანახარჯები შეადგენდა დაახლ. 56,5 თუმანს (აბაზი=4,6 გრ.), რაც სირმა-აბაზის კურსით, 90 თუმანს უტოლდებოდა. შიდა ქართლში, სოფელ ჭალაში მეორე ხარისხის თავადის, ბეჟან ამილახვრისშვილის სასახლისა და 2-3 დღიურ მიწაზე ვენახის გასაშენებლად კი დაახლ. იმავე ოდენობის თანხა – 80 თუმანი (აბაზი=2,9 გრ.) დახარჯულა,[1011] ხოლო თბილისში შედარებით ხელმოკლე ოჯახის სახლის ასაგებად 3 თუმანიც საკმარისი ყოფილა. რაც შეეხება სხვა სახის მცირე ნაგებობებს, 1749 წლის ბერბუკის ციხის მშენებლობისათვის გაწეული დანახარჯის ნუსხიდან ვიგებთ, რომ სოფლის მცირე, ალიზით ნაგები ციხე-გალავნის ხარჯები, მუშა-ხელოსნების დაქარავებისა და საშენი მასალის საფასურის ჩათვლით, შეადგენდა დაახლ. 17 თუმანს (აბაზი=4,6 გრ.),[1012] რაც სირმა-აბაზის კურსით, 30 თუმნის ეკვივალენტურია.

მუშა-ხელოსნების ჯამაგირის ოდენობა და საშენი მასალის ფასები:

თარიღი	**მუშის და ხელოსნის გასამრჯელო /სამშენებლო მასალა /სამშენებლო იარაღი**	**ჯამაგირის ოდენობა/ღირებულება**	**ნომინალის წონა**	**წყარო**
XVIII ს. დასწ.	მუშის დღიური ჯამაგირი კვების ხარჯის გათვალისწინებით	1 შაური	შაური =1,7/1,8 გრ.	ქსძ. I: 514
1749	მუშის დღიური ჯამაგირი კვების ხარჯის გარეშე (შიდა ქართლი)[1014]	1 შაური	შაური=1,15 გრ.	სეიძ. II: 93-94.
1749	ხურო-კალატოზის დღიური ჯამაგირი კვების ხარჯის გარეშე (შიდა ქართლი)	2 შაური	შაური=1,15 გრ.	სეიძ. II: 93-94
1751	მუშის დღიური ჯამაგირი	2 შაური	შაური=1,15 გრ.	I: 7, 11-12[1014]
1751	ხურო-კალატოზის დღიური ჯამაგირი კვების ხარჯების გათვალისწინებით	2 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 7, 11-12
1780-90-იანი წწ.	ხურო-კალატოზის დღიური ჯამაგირი კვების ხარჯების გათვალისწინებით	1 მინალთუნი, ანუ 5 აბაზი /3-4 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 97; III: 13

[1010] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, გვ. 205.
[1011] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I. გვ. 77-78.
[1012] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. II, გვ. 93-94.
[1013] ცხრილში, ძირითადად, თბილისში არსებული ფასებია მოცემული, სხვა შემთხვევაში, ფრჩხილებში მითითებულია რეგიონი.
[1014] ცხრილში მხოლოდ ტომისა და გვერდების მითითებით დამოწმებულია: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, II, III.

1780-90-იანი წწ.	მუშის დღიური გასამრჯელო	1-1,25 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 86-87; III: 7
1751	„ქანქანა“ („ქოქანკი/ქუქანკი“), ანუ გვირაბის მთხრელი, წყლის გამომყვანი ოსტატის და მისი შეგირდის დღიური გასამრჯელო	14 შაური, ანუ 3,5 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 21-22
1757	„ქანგაქა“, ანუ კლდის მჭრელი ოსტატის დღიური გასამრჯელო	დაახლ. 2 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 30
1804	მხატვრის დღიური ანაზღაურება – სახლის რემონტისათვის	5 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 205
1801	ღამის „ქეშიკის“, ანუ დარაჯის ჯამაგირი	5 შაური, ანუ 1,2 აბაზი	–	I: 179
1804	შპალერის ქაღალდი – 7 {თოფი}, ანუ 56-70 მეტრი სიგრძის ქაღალდი	7 აბაზი	–	I: 205
1804	ვარაყი და ლაჟვარდი – 2 დასტა (ვარაყი – დასაფერავი, მოსაოქროვებელი ფურცლები; ლაჟვარდი – ლურჯი საღებავი. ამ შემთხვევაში ლურჯი ქაღალდი; დასტა – შეკვრა, კონა, 24 თაბახი)	7 აბაზი	–	I: 205
1757	კალათა ქვის საზიდი – 2	1 შაური	შაური =დაახლ. 1,15 გრ.	I:. 34
1749	ცხავი (საცერი ქვიშის, კირის გასაცრელად)	2 შაური	შაური=1,15 გრ.	სეიძ. II: 94
1749	ურმის დაქირავება ქვის საზიდად ერთი დღით	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	სეიძ. II: 93
1740-იანი წწ.	მეურმის დაქირავების ხარჯი დაღესტანში სურსათის წასაღებად	8 მინალთუნი, ანუ 32 აბაზი	აბაზი=5 გრ.	I: 5
1751	აგური – 200	1 მარჩილი, ანუ 3 აბაზი	–	I: 7
1751	აგური – 4000	1 თუმანი, ანუ 50 აბაზი	–	I: 9
1751	აგური – 5000	1 თუმანი, ანუ 50 აბაზი	–	I: 9
1751	აგური, უმი (გამოუწვავი), მიტანით – 1000	2 მინალთუნი და 2 შაური, ანუ 10,5 აბაზი	–	I: 23
1785	აგური, დიდი – 1000	6 მინალთუნი, ანუ 30 აბაზი	აბაზი=2,9 გრ	III: 5
1804	აგური, დიდი ყალიბის – 1000, მიტანით	6 მინალთუნი, ანუ 30 აბაზი	–	I: 207
1804	აგური, ცხვირიანი (დეკორატიული) – 200	2 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 12,5 აბაზი	–	I: 207

1749	1000 ალიზი (შიდა ქართლი)	4 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	სეიძ. II: 93
1785	თუნუქა – 200 (თუნუქა – თეთრი ლითონის (რკინის) ფურცელი, გვ. 20)	15 მინალთუნი, ანუ 75 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 77
1785	დარაბა – 20 (ხის ფიცრები, სარკ-მელზე ასაფარებელი)	3 მინალთუნი, ანუ 15 აბაზი	–	I: 77
1757	კირი – 18 კოდი, ანუ დაახლ. 600 კგ.	9 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 33
1785	კირი – „გორული საკირეს დაწვა“ (სასახლის და მარანის ასაგებად საჭირო კირის ოდენობა)	6 თუმანი, ანუ 300 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 77
1804	კირი – 1 ქურა (როგორც ერთ-ერთ საბუთშია აღნიშნული, 1 ქურა კირი 58 ურემს უდრიდა. იხ.: I: 219)	11 თუმანი და 7 მინალთუნი, ანუ 585 აბაზი	–	I: 206
1751	გაჯი – 20 საპალნე, ანუ დაახლ. 3 ტონა	10 შაური, ანუ 2,5 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	I: 8
1751	გაჯი – 100 საპალნე, ანუ 15 ტონა	2 მინალთუნი და 10 შაური, ანუ 12,5 აბაზი	–	I: 9
1751	ტივი – ნაძვის (ტივი შედგებოდა 12-16 მორისაგან)	6 მინალთუნი, ანუ 30 აბაზი	–	I: 8
1751	1 ტივის მორების მტკვრიდან დასახ-ლებაში მიტანის ქირა	6 შაური, ანუ 1,5 აბაზი)	შაური=1,15 გრ.	I: 8
1749	1,5 ტივი (შიდა ქართლი)	8 მინალთუნი, ანუ 40 აბაზი	აბაზი=4,6 გრ.	სეიძ. II: 94
1785	ტივი – 2 (შიდა ქართლი)	3 თუმანი, ანუ 150 აბაზი	აბაზი=2,9 გრ.	I: 77
1785	ფიცარი – 100 (შიდა ქართლი)	15 მინალთუნი, ანუ 75 აბაზი	–	I: 77
1751	ლურსმანი – 2 სტილი, ანუ დაახლ. 300 გრ. (სტილი – იმ პერიოდში დაახლ. 153 გრ.)	2 შაური და 6 ფული	შაური=1,15 გრ.	I: 19
1757	ლურსმანი – 4,5 სტილი, ანუ დაახლ. 700 გრ.	6 შაური	–	I: 37
1779	ლურსმანი – 3 ჩარექი, ანუ დაახლ. 2,7 კგ.	6 აბაზი	აბაზი= 4,6 გრ.	I: 70
1757	მილი, თიხის – 1300	4 თუმანი და 5 მინალთუნი, ანუ 225 აბაზი;	აბაზი=4,6 გრ.	I: 31
1757	მილი, თიხის – 1	დაახლ. 0,7 შაური	შაური=1,15 გრ.	I: 31
1757	მილის სახურავი ქაფქირი სპილენ-ძისა (ნახვრეტებიანი სახურავი, საცობი)	3 შაური, ანუ 0,75 აბაზი	–	I: 31

XIV. მასშტაბური ნაგებობების მშენებლობის ხარჯები X-XVIII საუკუნეების საქართველოში

მასშტაბური ნაგებობების ასაგებად გაწეული დანახარჯების განხილვამდე მოკლედ შევაჯამოთ ნაშრომის სხვადასხვა ადგილას მოცემული საშუალო და მცირე ნაგებობების მშენებლობის საფასური: XI-XVIII საუკუნეებში გლეხის პრიმიტიული საცხოვრებელი სახლის ყველაზე მინიმალური ფასი დაახლ. 24-26 დრამა, ანუ 70-80 გრამი ვერცხლი ყოფილა, ხოლო შედარებით უკეთესი სახლისა და დამხმარე სამეურნეო ნაგებობების (კალო-საბძლის) ღირებულება დაახლ. 270 გრამ ვერცხლს შეადგენდა, რაც სირმა-აბაზის კურსით, 1,8 თუმნის, ანუ 90 აბაზის ტოლფასი იყო. რაც შეეხება XVIII საუკუნის თბილისური სახლების აგებისათვის გაწეულ დანახარჯებს, ის 3 თუმნიდან (ანუ 150 სირმა-აბაზიდან) 100 თუმნამდე (ანუ 5000 სირმა-აბაზამდე) მერყეობდა. დიდი ფეოდალების გამორჩეული სასახლეების ასაგებად კი გაცილებით მეტი თანხა იყო საჭირო. გორის მახლობლად მდებარე სოფელ ბერბუკის ალიზით ნაგები მცირე ციხე-გალავნის მშენებლობის ხარჯები კი დაახლ. 17 თუმანს (აბაზი=4,6 გრ.) შეადგენდა, რაც სირმა-აბაზის კურსით, საშუალოდ 30 თუმნის, ანუ 1500 აბაზის ტოლფასი იყო.

რაც შეეხება სხვადასხვა ეპოქის საქართველოში გრანდიოზული ნაგებობების მშენებლობის ხარჯებს, უპირველესად, შევეხებით ანისში სასახლის მშენებლობის ხარჯებთან დაკავშირებულ XIII საუკუნის II ნახევრის ცნობას. ანისის ერთ-ერთი წარწერიდან ირკვევა, რომ ქალაქ ანისისა და მისი შემოგარენის ერთ-ერთ გავლენიან ფეოდალს – საჰმადინს საკუთარი საფასით 1276 წელს სასახლის აგება დაუსრულებია. ანისის სასახლის აგებისათვის კი მას 40 000 ოქროს დინარი გაუღია.[1015]

ბაღდადში მოჭრილი დინარი (4,4 გრ. ოქრო)

საჰმადინის მიერ ანისის სასახლის მშენებლობისათვის გაწეული ხარჯი – 40 000 ოქროს დინარი (როგორც საქართველოში უწოდებდნენ

[1015] Н. Я. Марр. Ани: Книжная история города и раскопки на месте городища. Ленинград-Москва, 1934, გვ. 42. როგორც ზ. სხირტლაძე შენიშნავს, „საჰმადინი – თავისი დროის ძლიერი დიდგვაროვანი – მონაწილეობას იღებდა ანისის ადმინისტრაციულ მმართველობაში... საჰმადინი, ისევე როგორც თავისი დროის სხვა ანელი დიდგვაროვანები – სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის წარმომადგენლები – საქართველოს სამეფოს მფლობელობის პირობებში მოღვაწეობდა და, ამის შესაბამისად, XIII საუკუნიდან შირაკში, კერძოდ კი ანისსა და მის შემოგარენში არსებულ ეთნოკონფესიური რეალობას თანაზიარი იყო“. იხ.: ზ. სხირტლაძე. საჰმადინის 1288 წლის ქართული წარწერა ანისში: ფრაგმენტული ტექსტის დადგენის ცდა. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2. თბ. 2017, გვ. 115.

– დრაჰკანი) კოლოსალურ თანხას წარმოადგენდა. შესაბამისად, საქმე უნდა გვქონდეს საუკეთესო სასახლის მშენებლობასთან.[1016]

ანისის გალავნის ნაწილი

40 000 ოქროს დინარი (ოქროს და ვერცხლის მონეტების შეფარდებით 1:12/13-თან) დაახლ. 480-520 ათას დრამას (დრამა=3 გრ.) შეადგენდა, ხოლო XVIII საუკუნის II ნახევარში მოჭრილი სირმა-აბაზების გათვალისწინებით – საშუალოდ 500 000 აბაზს, ანუ 10 000 თუმანს.

როგორც ვხედავთ, XIII საუკუნეში გამორჩეული საერო ნაგებობის, ამ შემთხვევაში სასახლის, მშენებლობისათვის 40 000 დრაჰკანი, ანუ დაახლ. 500 000 დრამა ყოფილა საჭირო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იმავე ეპოქაში ერთი სოფლის ღირებულება 65000 თეთრს, ანუ 3-გრამიანი მონეტებით დაახლ. 58 500 დრამას შეადგენდა, გამოდის, რომ დიდი სასახლის ასაგებად 8,5 სოფლის ღირებულების თანხა ყოფილა საჭირო.

განვითარებული ფეოდალური ეპოქის საქართველოში გრანდიოზულ ნაგებობათა მშენებლობის ხარჯების დასადგენად, ძალიან საინტერესოა ოშკის უნიკალური სააღმშენებლო წარწერა, რომელშიც ტაძრის აგებისათვის გაწეული ყოველწლიური დანახარჯებია მოცემული.

ტაძრის სამხრეთის კარის ტიმპანზე წითელი საღებავით შესრულებულ წარწერაში, რომელშიც მოხსენებულნი არიან ტაძრის მაშენებლები – ადარნასე III კურაპალატის

[1016] თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ XIII საუკუნის 40-იან წლებში მონღოლებმა საქართველოს ყოველწლიურ ხარკად დაახლოებით დასახელებული ოდენობის თანხის – 40-50 ათასი პერპერას – გადახდა დააკისრეს, მაშინ კიდევ უფრო ცხადი ხდება, თუ რამდენად გრანდიოზული სასახლის აგებასთან გვაქვს საქმე.

შვილები – ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი (იგივე დავით III კურაპალატი), სამშენებლო სამუშაოების შესახებ აღნიშნულია:

„და მე, გრიგოლ, ღირს მყო ღმერთმან მსახურებასა ამას მათსა ღმრთისა მიმართ, და მე ვიყავ საქმესა ზედამდგომი. და არწმუნა ღმერთმან გონებასა მათსა ერთგულებაჲ ჩემი, მონისა მათისაჲ.

ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდა და აზავერთა მექუიშეთაჲ, რომელ წელიწადსა წაეგების, დრამაჲ: კ (20): ათასი, ღუინოჲ ფისოსი ჭ (5000); რკინაჲ ლიტრაჲ ნ (50); ხუარბალი გრივი სმი (250): გალატოზი და ხუროჲ და მჭედელი, რომელ მარადის შურებოდა ჲი (70); ჴარი, რომელ ქვასა კრებდა ლ (30), ჯორი და სხვაჲ აზავერი, რომელ გრიგოლ-წმიდით სპონდიკსა კრებდა: ლ (30); სხუაჲ აზავერი, რომელ... კრებდა ჲ (60).... ..... ჲ (60) და .... (ყოველი) ერი და მოქმედი პ (80): .....“.[1017]



ოშკის სააღმშენებლო წარწერა

როგორც ვხედავთ, ტაძრის მშენებლობაზე ყოველწლიურად იხარჯებოდა 20 000 დრამა, 5000 ფისოსი ღვინო, 250 გრივი ხორბალი და 50 ლიტრა რკინა.

ტაძრის აგებისათვის გაწეული დანახარჯების დასადგენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარწერაში ნახსენები ფულის ერთეულის, აგრეთვე ხორბლის, ღვინისა და რკინის რეალური მოცულობების გამორკვევას. ამავდროულად, აუცილებელია მშენებლობაზე დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრაც. შესაბამისად, დეტალურად განვიხილავთ თითოეულ საკითხს.

ექ. თაყაიშვილმა 20 000 დრამის ოდენობის შესახებ გარკვეული ანალიზი შემოგვთავაზა: „დრამა იყო ვერცხლის ფული, რომელიც უდრიდა არაბულ „დირჰემს“,

[1017] ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი, გვ. 338.

შემდეგი დროის აბაზს. მაშასადამე, 20 000 დრამა უდრიდა 4000 რუსულ ვერცხლის მანეთს, როგორც ბროსემაც აღნიშნა“.[1018] ავტორი, ასევე შეეხო ფისოსის[1019] რაობას და, კონკრეტულ შემთხვევაში, ის ღვინის საწყაოდ მიიჩნია. ჩვენ სრულად ვიზიარებთ გამოთქმულ მოსაზრებას.

ექ. თაყაიშვილმა მოკლედ მიმოიხილა წარწერაში დასახელებული სხვა საწყაოებიც – 50 ლიტრა რკინის ოდენობად 213 კგ.-ს მიიჩნია,[1020] ხოლო 250 გრივი ხორბლის ოდენობის განსაზღვრისას აღნიშნავდა: „ბროსეს ანგარიშით, 250 გრივი უდრის $62^{1/2}$ რუსულ „ჩეტვერიკს“, ანუ 6554 ფრანგულ ლიტრას... მაგრამ ეს ანგარიში საეგებოა“.[1021] წარწერაში აღნიშნული რკინისა და ხორბლის ოდენობები გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს, რასაც მოგვიანებით დავუბრუნდებით.

ტაძრის მშენებლობაზე დასაქმებული ხელოსნებისა და მუშების რაოდენობას შეეხო ივ. ჯავახიშვილი. ავტორი აღნიშნავდა: „წარწერის დაზიანების გამო ბოლოში მოსხენებული მომუშავეების ხელობის გამორკვევა ძნელია, სახელდობრ, გაუგებარი რჩება ცნობა „სხუაჲ აზავერი რ“ და შემდგომი, თუ რას უნდა ეხებოდეს. მაგრამ, თუ თვით გრიგოლის განცხადებას გავიხსენებთ, რომ ფასი მიუციათ კალატოზებისა, მოქმედთა და მექვიშე აზავერთა პატრონებისათვის, თანაც ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ამ წარწერაში ჩამოთვლილია 30 ხარი ქვის მზიდავი, 30 აზავერი სპონდიოს მომტანი, მექვიშე აზავერთა რიცხვი-კი აღნიშნული [არაა], მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ წინადადება „სხუაჲ აზავერ რ˜“ უნდა სწორედ მექვიშეთა რიცხვს ეხებოდეს და ასე შეიძლება აღდგენილ იქმნეს: „სხუაჲ აზავერ რ˜[ლ ქუიშასა ზიდავდა]... და :ჲ:“ (60). მექვიშეთა რიცხვს წინამავალი, უეჭველია, ასეულის აღმნიშვნელი რიცხვ-ნიშანი აკლია, მაგრამ ცხადია ასზე მეტი ძნელი საგულისხმებელია, ამიტომ „ჲ“-ს წინ ალბათ „რ˜“ უნდა ყოფილიყო... ამგვარად მექვიშე აზავერთა საერთო რაოდენობა 160 გამოდის... ოშკის ტაძრის აგებაზე მომუშავე საქონლის რიცხვი ასე წარმოგვიდგება:

1. ქვის მომტანი ხარი 30 უღელი (ანუ 60 ხარი – ა. თ.).
2. სპოდიოს მომტანი 30 აზავერი.
3. ქვიშის მომტანი 160 აზავერი.

ჯამი: 30 უღელი ხარი და 190 აზავერი.

ხოლო ოშკის ტაძრის აგებაზე მომუშავე ხელოსან-მუშების რიცხვი ყოფილა:

1. გალატოზი, ხუროჲ და მჭედელი 70.
2. მუშა „მოქმედი“ 80.
3. ქვის მომტანი მერმე 30.
4. სპონდიოს მომტანი მეაზავერე 30.
5. მექუიშე აზავერის გამყოლი 160.

მომუშავეთა ჯამი: 70 ხელოსანი, 80 მუშა, 30 მეურმე და 190 მეაზავერე, ანუ სულ 370 კაცი“.[1022]

[1018] ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი, გვ. 340.

[1019] მარი ბროსე სიტყვა „ფისოსის“ ნაცვლად „ფასს“ კითხულობდა.

[1020] ექ. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ ლიტრა 64 მისხალს უდრიდა, ხოლო მისხალი – 4,266 გრამს, თუმცა ლიტრის წონად არა 270 გრამს, არამდე 4,26 კგ.-ს მიიჩნევდა.

[1021] ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი, გვ. 340.

[1022] ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თბ. 1946, გვ. 159-160.

ოშკის წარწერის ანალიზს გვთავაზობს, ა. ბაქრაძეც თავის სადისერტაციო ნაშრომში „ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო“. ავტორი ეთანხმება ექ. თაყაიშვილის მოსაზრებას 50 ლიტრა რკინის 213 კგ.-ით განსაზღვრის შესახებ, ხოლო 250 გრივ ხორბალსა და 5000 ფისოს ღვინოს გაურკვეველ ოდენობებად მიიჩნევს.

ა. ბაქრაძე, ასევე აღნიშნავს, რომ წარწერის ტექსტის დაზიანებული ნაწილის ჯავახიშვილისეული წაკითხვა სწორი არ უნდა იყოს, რადგან ასეულის აღმნიშვნელი ასო-ნიშანი – „რ“ ტექსტში სავარაუდებელი არ არის. დაზიანებულ ტექსტს კი შემდეგნაირად აღადგენს: „სხვაჲ აზავერი, რომელ [ქვიშასა კრებდა] ჲ“. ავტორის აზრით, მშენებლობაზე 70 ხელოსნისა და 80 მუშის გარდა, დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს კიდევ 120 კაცი, რომლებიც ტვირთისმზიდავი საქონლის გამყოლები იყვნენ. ერთი სიტყვით, ა. ბაქრაძის დაკვირვებით, მშენებლობაზე 270 ადამიანი იყო დასაქმებული, რომლებსაც ადმინისტრაციულ-ტექნიკური თვალსაზრისით, ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას უწევდა გრიგოლი. „საშენ მასალად გამოყენებული ყოფილა ქვა, სპონდიკი... ადგილი გრიგოლ-წმინდა, საიდანაც მოჰქონდათ სპონდიკი, წყაროებით უცნობია, მაგრამ უეჭველია, რომ ოშკის მახლობლად არის საგულისხმებელი. მშენებლობისათვის განკუთვნილ დანახარჯ თანხას „წარსაგებელი“ ეწოდებოდა. „წარსაგებელში“ მომუშავეთა ხელფასიც იგულისხმებოდა „ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექუიშეთა, რომელ წელიწადსა წარეგების დრამაჲ კ ათასი...“ და სხვა. მიზდი საბა ორბელიანის განმარტებით არის ასაღები რამ სარგო, ქირა. ამრიგად, როგორც ჩანს, მშენებლობაზე დახარჯული თანხა და სანოვაგე წარმოადგენდა მუშა-ხელის ქირას, ე.ი. აქ გამოყენებულია დაქირავებული შრომა. შეუძლებელია მაშენებელს ასეთი დიდი რაოდენობა მუშა-ხელისათვის ქირა მიეცა, თუ ეს უკანასკნელნი დაქვემდებარებულ პირებს წარმოადგენდნენ. ამ შემთხვევაში ყმური ვალდებულება აიძულებდა მათ უსასყიდლოდ ემუშავათ თავის პატრონებისათვის. ამრიგად, აქ თავისუფალ მუშა-ხელთან გვაქვს საქმე“, – დაასკვნის ავტორი.[1023]

ასეთია ოშკის ტაძრის მშენებლობის შესახებ არსებული მოსაზრებები. როგორც ვხედავთ, სადავო არ არის ოშკის ტაძრის მშენებლობაზე დასაქმებულ ხელოსანთა და „მოქმედთა“ ოდენობა. წარწერაში ნათლად არის მითითებული, რომ ტაძრის მშენებლობაზე დასაქმებული იყო 70 კალატოზი, ხურო და მჭედელი, ასევე – 80 მუშა („მოქმედი“). რაც შეეხება მშენებლობაზე საერთო დასაქმებულთა და ტვირთისმზიდავ ცხოველთა რაოდენობას, როგორც ვნახეთ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ხარისა და აზავერის რიცხვი იყო 250, ხოლო მათი გამყოლების ჩათვლით მშენებლობაზე სულ 370 კაცი მუშაობდა. ა. ბაქრაძის აზრით კი, ცხოველების რაოდენობა მოითვლიდა 120-ს, ხოლო ხელოსან-მუშებისა და ტვირთისმზიდავ ცხოველთა გამყოლები – 270-ს.

ჩვენი აზრით, წარწერის იმ ნაწილში, რომელშიც აღნიშნულია: „ჴარი, რომელ ქვასა კრებდა ლ (30), ჯორი და სხვაჲ აზავერი, რომელ გრიგოლ-წმიდით სპონდიკსა კრებდა: ლ (30); სხუაჲ აზავერი, რომელ... კრებდა ჲ (60).... ..... ჲ (60) და .... (ყოველი) ერი და მოქმედი პ (80):“, უნდა იკითხებოდეს სულ 180 ცხოველი, აქედან – ურმებში შებმული ქვის მზიდავი 30 ხარი; გიგოლ-წმინდიდან სპონდიკის შემკრები 30 „ჯორი და სხვაჲ აზავერი“; ფრაზაში – „სხუაჲ აზავერი, რომელ... კრებდა ჲ (60)“ – ა. ბაქრაძის

[1023] ა. ბაქრაძე. ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო (V-XIII სს.). სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1954, გვ. 45-48.

აღდგენის მიხედვით, 60 ქვიშის მზიდავი აზავერი უნდა ვიგულისხმოთ; „და ... (ყოველი) ერი და მოქმედი“-ს წინ დაზიანებულ ტექსტთან განთავსებულ ასო-ნიშანში – „ჲ“ – სხვა 60 აზვერი, ან ჯორი უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც, სავარაუდოდ, კირსა და ხის მასალას ეზიდებოდა. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ტექსტში კირი და ხის მასალა არსად არის ნახსენები, რომლის გარეშე მშენებლობა ვერ წარიმართებოდა. ერთი სიტყვით, მშენებლობისათვის გამოყენებული ყოფილა 30 ურემში შებმული ხარი და 150 სხვა ტვირთმზიდავი ცხოველი.

რაც შეეხება მომუშავეთა რაოდენობას, 70 ხელოსნისა და 80 მუშის გარდა, ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ 30 მეურმისა და 150 ტვირთისმზიდავი ცხოველის გამყოლიც. ჩვენი აზრით, 150 ტვირთისმზიდავი აზავერისა და ჯორის გამყოლად 150 ადამიანი არ იქნებოდა საჭირო, რადგან, ისევე როგორც ქარავნის გადაადგილებისას, ერთ ადამიანს შეეძლებოდა რამდენიმე ცხოველის გაყოლა. 150 ცხოველისთვის სამშენებლო მასალის აკიდებასა და მათ გადაადგილებას 50-70 კაციც უზრუნველყოფდა. ამდენად, მშენებლობაზე დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს 70 ხელოსანი, მათი დამხმარე 80 მუშა, 30 მეურმე და ტვირთისმზიდავი შინაური ცხოველების 50-70 გამყოლი, სულ 230-250 ადამიანი.

ამჯერად, განვიხილავთ წარწერაში დასახელებული პროდუქტების რაოდენობას. როგორც აღინიშნა, მშენებლობისათვის ყოველწლიურად იხარჯებოდა 50 ლიტრა რკინა, რაც არამართებული შეხედულებით, 213 კგ.-ად იყო მიჩნეული. როგორც ზემოთ ითქვა, IX-XI საუკუნეებში ლიტრა იწონიდა 406,25 გრამს,[1024] შესაბამისად, 50 ლიტრა რკინის წონა გამოდის 20,3 კგ. დასახელებული ოდენობის რკინა ქვის დასამუშავებელი და გასათლელი იარაღებისთვის იქნებოდა საჭირო. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, მსგავს იარაღს წარმოადგენდა წერაქვი (ქვის ჩამოსატეხად, ამოსათხრელად), წალკატი (ქვის გასათლელად), ურო, ორთოხი, ეჩო/ეჩონი. მშენებლობის დროს, კედლის სისწორის დასაცავად ბადის-პირიც ყოფილა აუცილებელი.[1025] ერთი სიტყვით, დაახლ. 20 კგ. რკინისაგან წარწერაში მოხსენებულ მჭედლებს სწორედ აღნიშნული სამშენებლო იარაღი უნდა დაემზადებინათ.

რაც შეეხება 250 გრივ ხორბალს, როგორც ხორბლის ფასების განხილვის დროს აღინიშნა, გრივი იმ პერიოდში იწონიდა დაახლ. 100 კგ.-ს.[1026] ამდენად, წლის განმავლობაში, მშენებლობაზე იხარჯებოდა 25 000 კგ. ხორბალი.

რადგან ფეოდალური ეპოქის საქართველოში ერთი ადამიანის კვების დღიურ ნორმად სულ მცირე 1 კგ. ხორბალი და ამავე ოდენობაზე ცოტა ნაკლები – დაახლ. 800 გრამიდან 1 ლიტრამდე – ღვინო ითვლებოდა, მშენებლობაზე 25 000 კგ. ხორბალთან ერთად, დაახლ. 20 000 ლიტრი ღვინო დაიხარჯებოდა. მოცემული ლოგიკის მიხედვით, 1 ფისოსი დაახლ. 4 ლიტრის მოცულობის ყოფილა.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ წარწერაში აღნიშნული 20 000 დრამა ხელოსნების, მუშებისა და აზავერთა მეპატრონეებისათვის გადახდილ თანხას წარმოადგენდა.[1027] როგორც ვნახეთ, ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამდა ა. ბაქრაძეც, რომლის

[1024] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 60.
[1025] ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I, გვ. 153-154.
[1026] გ. ჯაფარიძე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 84.
[1027] ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I, გვ. 159.

აზრითაც, ტაძრის მშენებლობაში არა ყმა-გლეხები, არამედ თავისუფალი მუშა-ხელი უნდა ყოფილიყო ჩართული.

ჩვენ ვეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 20 000 დრამა მშენებლობაზე დასაქმებულთა ანაზღაურებას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ გასარკვევია ხელფასის მიმღებთა ოდენობა. დასმულ კითხვაზე პასუხის მისაღებად გამოსარკვევია შემდეგი გარემოებები: I. რამდენი ადამიანის ხელფასისათვის იყო საკმარისი 20 000 დრამა? II. რამდენი ადამიანის გამოსაკვებად იყო საკმარისი 25 000 კგ. ხორბალი? და III. რამდენი ადამიანისათვის იყო საკმარისი 20 ტონა ღვინო?

ამ შეთხვევაში აუცილებელია განისაზღვროს სამუშაო დღეების მიახლოებითი რაოდენობა. მართალია, წარწერაში აღნიშნულია, რომ მშენებლობაზე დასაქმებულები „მარადის შურებოდა“, მაგრამ რეალური სამუშაო დღეები, ცხადია, ნაკლები იქნებოდა. კვირის უქმე დღის, რელიგიური დღესასწაულების, ზამთრის ყინვებისა და წლის სხვა დღეებში უამინდობის გათვალისწინებით, ტაძარზე აქტიური სამშენებლო სამუშაოები წელიწადში 250 დღე, მაქსიმუმ 270 დღე გაგრძელდებოდა.[1028]

250-270 დღის გათვალისწინებით, 25 000 კგ. ხორბალი და დაახლ. 20 000 ლიტრი ღვინო საკმარისი არ იქნებოდა, არა თუ 230-250 ადამიანისათვის, არამედ, მხოლოდ 70 ხელოსნისა და 80 მუშისათვისაც. წარწერაში დასახელებული ოდენობის ხორბალი და ღვინო მაქსიმუმ 80 ადამიანისათვის იქნებოდა სამყოფი. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მშენებლობაზე დასაქმებულებიდან კვება გათვალისწინებული იქნებოდა მხოლოდ ხელოსნების, ზედამდგომელისა და მისი თანმხლები სასულიერო პირებისათვის.

ასევე შეუძლებელია, რომ 20 000 დრამა 230 ან 250 ადამიანის გასამრჯელოდ მივიჩნიოთ, რადგან, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, გვიანი ფეოდალური ეპოქის საქართველოში ხელოსნის ანაზღაურება სულ მცირე 2 სირმა-აბაზს, ხოლო მუშის 1 სირმა-აბაზს უდრიდა. ვინაიდან დრამა და სირმა-აბაზი პრაქტიკულად თანაბარი წონის იყო, ამიტომ გვიანდელი მონაცემები შეგვიძლია X საუკუნის ვითარებაზეც გავავრცელოთ. ოშკის მშენებლობაზე 250 ადამიანს გასამრჯელოდ 1 დრამაც რომ მიეღო, 250-270 დღის განმავლობაში საჭირო იქნებოდა 62500-67500 დრამა. თუ ჩავთვლით, რომ XVIII საუკუნის ანაზღაურებასთან შედარებით, X საუკუნეში ხელოსნების ანაზღაურება უფრო ნაკლები იყო, 20000 დრამა მხოლოდ 70 კალატოზის, ხუროს და მჭედლის ხელფასად შეიძლება მივიჩნიოთ.[1029] იმ შემთხვევაში, თუ ოშკის მშენებლობაზე დასაქმებული კალატოზები, ხუროები და მჭედლები გასამრჯელოდ დღეში მინიმალურ ოდენობას – 1-1,2 დრამას მიიღებდნენ, მაშინ 20 000 დრამა სწორედ 70 ხელოსნის ჯამაგირად უნდა ჩავთვალოთ. ამდენად, ეჭვგარეშეა, რომ წარწერაში

[1028] ერთ-ერთი გვიანდელ საბუთში, რომელიც დავით-გარეჯში მიმდინარე მშენებლობის პროცესს ასახავს, 1810 წლის 4 მაისიდან 31 აგვისტომდე სამუშაო დღეები დეტალურად არის გაწერილი: „... ჯამი ამ თვისა: დ (4) დღე კვირე და უქმე ყოფილა... ბ თიბათვეს უქმე იყო წმინდის დავითისა... ია თიბათვეს დიდის ქარის მიზეზით არ იმუშავა...“ (იხ.: მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 28). როგორც ვხედავთ, კვირა დღეს და რელიგიური დღესასწაულების დროს მუშაობა დაუშვებელი იყო. სამუშაოებს აფერხებდა ქარი და, ზოგადად, უამინდობა.

[1029] კალატოზები და, ზოგადად, ხელოსნები რომ ყველა ეპოქაში გასამრჯელოს იღებდნენ, ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება. მაგალითად, ზემო კრიხის XI საუკუნის ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს: „სახელითა ღმრთისაითა, მე, კჯრიკე ჩემითა კალატოზობითა შევსწირე ამას ეკლესიასა კე დრამაი“ (იხ.: დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2012, გვ. 60). როგორც ვხედავთ, ხელოსანი თავისი კალატოზობით სწირავს 25 დრამას ეკლესიას, რაც აღნიშნული საქმიანობის ანაზღაურებადობაზე მეტყველებს.

ნახსენები თანხა და საკვები მხოლოდ ხელოსნებისათვის (შესაძლებელია, ზედამდგომელისა და რამდენიმე სასულიერო პირისათვის) იყო განკუთვნილი.

ერთი სიტყვით, ოშკის ტაძრის მშენებლობაზე ანაზღაურებას იღებდნენ და საკვებით უზრუნველყოფილნი იყვნენ ოსტატ-ხელოსნები, ხოლო მათი დამხმარე მუშები და ტვირთის მზიდავთა გამყოლნი ე.წ. „ბეგრის მუშებს“ წარმოადგენდნენ, რომლებსაც არც ანაზღაურება ეძლეოდათ და არც კვებით იყვნენ უზრუნველყოფილნი. ჩანს, მათვე ევალებოდათ ტვირთის მზიდავი ხარებისა და ჯორების გამოყვანაც.

ამჯერად, შევეხებით წარწერაში ნახსენებ ხორბლის, ღვინის და რკინის ფასებს. რადგან აღნიშნულ პერიოდში 1 კგ. ხორბლის ფასი შეადგენდა დაახლ. 0,21 გრამ ვერცხლს, 25 000 კგ.-ის ღირებულება იქნებოდა 1800-მდე დრამა. 20 000 ლიტრი ღვინის ფასად კი 2600-3000 დრამა უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნულ ეპოქაში, რკინის მაღალი ღირებულების მიუხედავად, 20 კილოგრამის ფასი მაქსიმუმ 200-300 დრამით უნდა განისაზღვროს. ერთი სიტყვით, ოშკის ტაძრის მშენებლობაზე წელიწადში იხარჯებოდა დაახლ. 25000 დრამა (ხელოსნების ჯამაგირი – 20000 დრამა, ღვინის ღირებულება – 2600-3000 დრამა, ხორბლის ღირებულება – 1800-მდე დრამა, რკინის ღირებულება – დაახლ. 200-300 დრამა).

ერთი წლის განმავლობაში, ტაძრის მშენებლობაზე გაწეული სრული ხარჯთაღრიცხვისათვის უნდა გავითვალისწინოთ მებეგრე გლეხების, მათი კვებისა და გამწევი საქონელის უფასოდ გამოყვანის ფაქტებიც. მათი დაქირავების შემთხვევაში ხარჯები, სულ მცირე, გაორმაგდებოდა და 50 000 დრამას გადააჭარბებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბეგარის გადასახადით, ანუ პირდაპირი ანაზღაურების გარეშე ადამიანების მუშაობის მიუხედავად, მშენებლობის საერთო ხარჯებში მაინც გასათვალისწინებელია მათთვის პოტენციურად გადასახდელი თანხები – კტიტორები, ამ შემთხვევაში ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი, ტაძრის მშენებლობაზე საკუთარი ყმების ჩართვით, არაპირდაპირ დანახარჯს სწევდნენ, ვინაიდან, თუნდაც ზვარ-ხოდაბუნებში მუშაობის ნაცვლად, მათ ყმების ბეგარის გადასახადი მშენებლობაზე უნდა მიემართათ. ამდენად, ხელოსნების, მუშებისა და გამწევი ძალის დაქირავებისათვის, სულ მცირე 50 000 დრამა ყოფილა საჭირო.

რაც შეეხება მშენებლობისათვის საჭირო ხის მასალასა და კირს, ვინაიდან ტყეებიც და კირის საბადოებიც სახელმწიფო რესურსს წარმოადგენდა, ხოლო მათ მოპოვებას, ტრანსპორტირებას და დამუშავებას ტაძარზე დასაქმებულები უზრუნველყოფდნენ, ამ შემთხვევაში, საერთო დანახარჯებში არ უნდა გავითვალისწინოთ. კერძო მშენებლობის პირობებში კი, აღნიშნული სამშენებლო მასალა საკმაოდ დიდ ხაჯებთან იყო დაკავშირებული.

რადგან გავარკვიეთ, რომ ტაძრის მშენებლობისათვის წლიურად სულ მცირე 50 000 დრამის საქმიანობა სრულდებოდა, სრული საფასურის გასარკვევად, გასათვალისწინებელია მშენებლობის ხანგრძლივობა.

ექ. თაყაიშვილის ვარაუდით, ტაძრის მშენებლობას, სულ მცირე, 10 წელიწადი მაინც დასჭირდებოდა.[1030] ტაძრის მშენებლობის ხანგრძლივობას კიდევ უფრო აკონკრეტებს ვ. სილოგავა. სხვადასხვა აღმოჩენის საფუძველზე, ავტორი მიიჩნევს,

[1030] ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი, გვ. 343.

რომ მშენებლობა დაიწყო 955-956 წლებში, გაგრძელდა დაახლ. 20 წელიწადს და დასრულდა 976 წელს.[1031]

როგორც ვ. სილოგავა შენიშნავს, ზემოთ განხილული წარწერის თარიღის მიხედვით ირკვევა, რომ 961 წლისათვის მშენებლობა უკვე მიყვანილი ყოფილა ტიმპანების დონეზე.[1032] აღნიშნული გარემოება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ წარწერის შესრულების დროს მშენებლობა დიდი ინტენსივობით მიმდინარეობდა, ხოლო, რადგან დასრულებას კიდევ 15 წელი დასჭირდა, ჩანს, მომდევნო წლებში მშენებლობის ტემპი გარკვეულად შენელებულა. ამდენად, ზემოთ დასახელებული წლიური ხარჯები ლოგიკურად, არაუმეტეს 15 წელზე უნდა გადავანაწილოთ.

15-წლიანი ინტენსიური მშენებლობის გათვალისწინებით, ოშკის ტაძრის მშენებლობაზე საერთო ჯამში, მხოლოდ ხელოსნების ანაზღაურებისა და კვებისათვის, კტიტორებს დაუხარჯავთ 375 000 დრამა, ხოლო „ბეგარის მუშების“ და ტვირთის მზიდავი საქონლის დაქირავების ხარჯების გათვალისწინებით – სულ მცირე, 750 000 დრამა. 750 000 დრამა კი დაახლ. 60 000 დრაჰკანის ტოლფასი იყო.

ოშკის სამონასტრო კომპლექსში მთავარ ტაძართან ერთად, ორი მცირე ეკლესია და საოსტიგნე-სემინარიაც შედიოდა, ამდენად, მშენებლობისათვის გაწეულ თანხებში დასახელებული მცირე ნაგებობებიც უნდა იგულისხმებოდეს. თუმცა, ცალკე გასათვალისწინებელია ტაძრის აგების შემდგომ მისი „შემკობისათვის“, ანუ მოხატვისათვის, ასევე სასულიერო ლიტერატურის, ხატებისა და სხვა ნივთების შესაძენად გაღებული თანხებიც, რომლებიც არცთუ მცირე იქნებოდა. ოშკის ერთ-ერთი წარწერიდან ირკვევა, რომ ტაძარი მისი აგებიდან 60-70 წლის შემდეგ მოუხატავთ, რისთვისაც საჭირო სახსრები ბიზანტიის სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველ დიდებულს – პატრიკიოზ ჯოჯიკს გაუღია.[1033]

ერთი სიტყვით, ოშკის ტაძრის სრული სამშენებლო ხარჯები, მოხატვა-შემკობის ღირებულების ჩათვლით, დაახლ. 70 000 დრაჰკანით, ანუ 800000-900000 დრამით უნდა განისაზღვროს. როგორც ჩანს, ისეთი დიდი ტაძრების აგებისა და კეთილმოწყობისათვის, როგორიც იყო ოშკი, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი და სვეტიცხოველი, საჭირო იყო დაახლ. 70 ათასი დრაჰკანი, ანუ თითქმის, 1 მილიონამდე დრამა. 1 მილიონი დრამა, თავის მხრივ, ვახტანგ VI-ის ეპოქის 8000 თუმნის, ხოლო ერეკლე II-ის დროინდელ 20 000 თუმნის ტოლფასი იყო.

[1031] ვ. სილოგავა. ოშკი – X ს. მემორიალური ტაძარი. თბ. 2006, გვ. 139.
[1032] ვ. სილოგავა. ოშკი – X ს. მემორიალური ტაძარი, გვ. 139.
[1033] ვ. სილოგავა. ოშკი – X ს. მემორიალური ტაძარი, გვ. 61.

ოშკის ტაძარი. X ს.-ის II ნახევარი. თურქეთი, ერზერუმის პროვინცია.
ისტორიული მხარე – იმიერ ტაო, მდინარე თორთუმის ხეობა

ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ მტრის შემოსევების შედეგად დაქცეული ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეთა აღსადგენად ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) მიერ დაწესებული მალის გადასახადზე. როგორც ცნობილია, ალექსანდრე დიდმა თემურ ლენგისა და თურქმანების შემოსევების შედეგად დანგრეული ციხე-სიმაგრეებისა და ეკლესია-მონასტრების აღსადგენად, 1425 წლიდან 1440 წლამდე კომლის თავს 40 თეთრის გადასახადი დააწესა.[1034] როგორც ზემოთ აღინიშნა, ალექსანდე დიდის მოჭრილი მონეტების საშუალო წონა 0,35 გრამს შეადგენდა. დიდი ალბათობით, დაწესებული გადასახადი სწორედ 40 ადგილობრივ თეთრს გულისხმობდა.[1035] თავის მხრივ, 40 თეთრი იწონიდა 14 გრამ ვერცხლს, რაც X საუკუნის მიწურულს მოჭრილი დაახლ. 5 დრამის, ანდაც XVIII საუკუნის II ნახევრის 1 მინალთუნის ტოლფასი იყო.

იმისათვის, რომ აღნიშნული გადასახადის საერთო ოდენობა მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ, საჭიროა, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინება. როგორც ცნობილია, XIII საუკუნის შუა ხანებში ქვეყანაში 800 ათას ოჯახამდე ივარაუდება. XV

[1034] ბ. ლომინაძე. საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში. ღონისძიებები ქვეყნის აღდგენისათვის. ალექსანდრე I დიდი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 725.

[1035] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ პერიოდში ადგილობრივი მონეტების წონის მკვეთრი შემცირების პირობებში, თეთრში უნდა იგულისხმებოდეს აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ფული – თანგა, კონკრეტულად შირვანული თანგა. შირვანული თანგა კი იმ დროისათვის 3 გრამს აჭარბებდა. შესაბამისად, 40 თანგა ერთი ხარის ან ორი ძროხის ტოლფასი იყო. მსგავსი ოდენობის დამატებითი გადასახადის დაწესება, ძალზე საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან ბატონყმური, საეკლესიო და სახელმწიფო გადასახადების პარალელურად, მოსახლეობის ქვედა ფენები დასახელებულ თანხას ვერ გაიღებდნენ.

საუკუნეში კი მათი რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირებულიყო. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გადასახადებს იხდიდნენ სრულფუძიანი კომლები. ღარიბი ოჯახები, გადასახადებისაგან გათავისუფლებულები, ასევე მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა, რომლებიც ბატონყმურ დამოკიდებულებაში არ იმყოფებოდა, სამღვდელოება და ფეოდალები გადასახადებს არ იხდიდნენ. თუ ჩავთვლით, რომ ალექსანდრე დიდის მეფობის დროს ქვეყანაში 200 000 გადასახადის გადამხდელი ოჯახი მაინც ცხოვრობდა, გამოდის, რომ წლის განმავლობაში დაახლოებით ერთი მილიონი დრამა შეგროვდებოდა. რადგან ვიცით, რომ აღნიშნული გადასახადი 15 წლის განმავლობაში იყო დაწესებული, სახელმწიფოს დაზიანებული ნაგებობების აღსადგენად, სულ ცოტა, 15 000 000 დრამის რესურსი გაუჩნდებოდა.

იმის გამო, რომ სიდიდით გამორჩეული ტაძრების აგებასა და მოხატვა-შემკობას 800 ათასიდან 1 მილიონ დრამამდე ესაჭიროებოდა, დასახელებული თანხით მნიშვნელოვანი საქმიანობის შესრულება იქნებოდა შესაძლებელი, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ აღდგენა, თავდაპირველ მშენებლობასთან შედარებით, ნაკლებ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული და, ამავე დროს, ყველა აღსადგენი ნაგებობა გრანდიოზულ შენობას არ წარმოადგენდა, მაშინ ნათელი გახდება 15 000 000 დრამად ასობით ნაგებობის აღდგენა მოხერხდებოდა.

რაც შეეხება გვიანფეოდალურ ეპოქაში გაწეულ სამშენებლო დანახარჯებს, მათ გამოსარკვევად მოვიხმობთ რამდენიმე ცნობას.

დარეჯან დედოფლის განმარტებით, XVIII საუკუნის 80-იან წლებში ავლაბრის გალავნის, სასახლისა და ეკლესის მშენებლობისათვის დაუხარჯავს 1000 თუმანზე მეტი – „... ამ ავლაბრის გალავნისა, სახლისა და ეკლესიის აშენებაზედ დამიხარჯავს თეთრი, ჩემის ცოდნით, ათას თუმანზედ მეტიც, მგონია“.[1036]

როგორც ვხედავთ, აღნიშნული მშენებლობისათვის დედოფალს დაახლ. 1000 თუმანი, ანუ 50 000 აბაზი გაუღია.

ავლაბრის გალავნის ნაწილი, დარეჯანის სასახლე და ეკლესია, რომელთა მშენებლობის დანახარჯი შეადგენდა 1000 თუმანს, ანუ 50 000 აბაზს

[1036] საქართველს სიძველენი. ტ. III, გვ. 298.

ასევე, დარეჯან დედოფალი გადმოგვცემს მის მიერ აგებული ქოლაგირის ციხის დანახარჯების შესახებაც: „... ქოლაგირს ქვითკირის დიდი ციხე და გალავანი ავაშენე, ამაზედ რაც ჩემი თეთრი დახარჯულა, ამისი ნუსხები თვითოეულად და სახელდობ დაწერილი ქმონდა და ქალაქის წახდენაში დაიკარგა. იმის მახლობელნი მეზობლები იმის შენობაზედ თუმცა მუშით შემეწივნენ, მაგრამ მე რაც დამიხარჯავს, იმას ვაფასებ, ამიტომ რომ ბეგრის მუშით ის ციხე და გალავანი არ აშენდებოდა და იმ ჟამად ახალ-ციხის ფაშა ჩვენზედ აშლილი იყო და დაღისტნისა დიდი ჯარები ჰყვანდა. დიაღ მრავალჯერ მოიწადინა ფაშამ და ჯარები გამოუსია იმ ციხის მუშაობის მოსაშლელად, მაგრამ მეც ჯამაგირით და ულუფით ჯარები დავაყენე და იმის სიფრთხილეში და ჯარების ჯამაგირსა და ულუფაში მრავალი დავხარჯე, რომ იმ ციხის აშენების ხარჯი, რაც მე თეთრი დამიხარჯავს, ვარავუდით ხუთი ათასი თუმანი იქნება და თუ ინებებთ, კიდეც გაჩხრიკეთ ის ციხე და დააფასებინეთ იმის ხარჯი და ჯარის ულუფა და ჯამაგირი...“.[1037]

როგორც ვხედავთ, საკმაოდ მოცულობითი ციხის აგებისათვის, დედოფალს სოლიდური თანხა – 5000 თუმანი, ანუ 250 ათასი აბაზი დაუხარჯავს. ცხადია, მხოლოდ ციხის აგებას აღნიშნული ოდენობის თანხა არ დასჭირდებოდა და, როგორც საბუთიდან ვიგებთ, ხარჯების გაზრდა მშენებლობის უსაფრთხოებისათვის ჯარის დაქირავების ფაქტს გამოუწვევია. მხოლოდ ციხის ასაგებად კი, სავარაუდოდ, დასახელებული თანხის ნახევარი – 2500 თუმანი, ანუ 125 000 აბაზი იქნებოდა საჭირო.

უნდა აღნიშნოს, რომ დარეჯან დედოფლის აგებული ქოლაგირის ციხე წარმოადგენს ოთხკუთედს, რომლის ერთი კედლის სიგრძე 136 მეტრს შეადგენს, მაღალ კედლებში კი ორ ათეულზე მეტი ბურჯი აქვს ჩატანებული. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქოლაგირის ციხე ერთ-ერთი იმ იშვიათ ციხეთა რიგს მიეკუთვნება, რომლის სამშენებლო ნახაზებმა ჩვენამდე მოაღწია.[1038]


ქოლაგირის ციხის გეგმა. ხეც. H-2746, 2r

აქვე მოვიხმობთ XIX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი საბუთის მოკლე შინაარსს, რომელშიც მოცემულია დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციის ხარჯები. როგორც საბუთიდან ირკვევა, სარესტავრაციო სამუშაოებისათვის თანხა რუსეთში გადასახლებულ იოანე ბატონიშვილს გაუღია. მისი დავალებით საქმის უშუალო შემსრულებელს – მანუჩარ თუმანიშვილს უდაბნოში ჩასატარებელი სამუშაოების შესაფასებლად კალატოზების უსტაბაში გოგია წაუყვანია, რომელსაც დაგეგმილი საქმიანობა 600-700 თუმნად,

[1037] საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 299-300.
[1038] ხეც. H-2746, 1r, 2r, 3r-v.

ანუ 30000-35000 აბაზად შეუფასებია. სარესტავრაციო სამუშაოები კი 1808-1810 წლებში მიმდინარეობდა.[1039]

დიდ ნაგებობათა მშენებლობის ხარჯების გათვალისწინებით, მეტად საგულისხმოა ომან ხერხეულიძის ცნობა ერეკლე II-ის მიერ გაწეული სააღმშენებლო საქმიანობის შესახებ. მემატიანის ცნობით, მეფეს ქართლ-კახეთის სამეფოში 160 ციხე-სიმაგრე აუგია – „მეფობასა ამისსა აშენდნენ სიმაგრენი ქართლ-კახეთისანი, ვიდრე ასსამოცამდე გალავანი და ბურჯი მტერთათვის. ხოლო თვით მეფე ირაკლიმ განაახლა ციხე გორისა, გალავანი სიღნაღისა, თელავისა, ბოჭორმისა, ჭოეთისა, გალავანი სევირელისა, საბიუსა, გრემისა, ფედისა, პატარძეულისა და ნორიისა“.[1040]

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მხოლოდ სიღნაღის გალავანი 4 კმ.-ს აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო გალავნის მშენებლობისათვის მებეგრე გლეხებს იყენებდა, მხოლოდ ხელოსნებისათვის გადასახდელი ხელფასის ოდენობა და სხვა ხარჯები რამდენჯერმე გადააჭარბებდა ქოლაგირის ციხის მშენებლობის საფასურს. ერეკლე II-ის მიერ აგებული ყველა ციხე-სიმაგრისათვის გაწეული დანახარჯები კი, რამდენიმე ათეული ათასი თუმნის ფარგლებში უნდა მოვიაზროთ.

ერთი სიტყვით, სახელმწიფოებრიობის გაუქმების წინა პერიოდშიც კი, სამეფოში გრანდიოზული ნაგებობების მშენებლობა არ შეწყვეტილა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ორი საუკუნის განმავლობაში შექმნილი ნარატივი, თითქოს, ქართულ სახელმწიფოებრიობას ეკონომიკური საფუძველი გამოცლილი ჰქონდა, გადასინჯვას მოითხოვს.

დიდი ნაგებობების მშენებლობაზე გაწეული ხარჯები:

თარიღი	**ნაგებობა**	**ფასი, ნომინალის წონის მითითებით**
X ს. II ნახევარი	ოშკის ტაძარი	დაახლ. 800 000/1 000 000 დრამა. დრამა=3 გრ.
XIII ს.	ანისში დიდებულის გამორჩეული სასახლე	40 000 ოქროს დინარი. დინარი=-დაახლ. 4,4 გრ. /დაახლ. 500 000 დრამა (თეთრი). დრამა=3 გრ.
XVIII ს. II ნახევარი	ავლაბრის სასახლე	1000 თუმანი, ანუ 50 000 აბაზი. აბაზი=2,9 გრ.
XVIII ს. II ნახევარი	ქოლაგირის ციხე, ციხის ასაგებად დაქირავებული ჯარის ხელფასის ჩათვლით	5000 თუმანი, ანუ 250 000 აბაზი. აბაზი=2,9 გრ.
1808-1810	დავით-გარეჯის რესტავრაცია	600-700 თუმანი

[1039] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III, გვ. 24-26.

[1040] ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბ. 1989, გვ. 74.

XV. ერთიანი ქართული მონარქიისა და სამეფო-სამთავროების სახელმწიფო შემოსავლები

ერთიანი ქართული მონარქიის სახელმწიფო შემოსავლებისა და მონღოლებისათვის გადახდილი ხარკის ოდენობის შესახებ, ცნობებს გვაწვდის XIV საუკუნის I ნახევრის ავტორი ჰამდალაჰ ყაზვინი, რომელიც ილხანთა სახელმწიფოს საფინანსო უწყების დიდი მოხელე იყო და, შესაბამისად, ხელი მიუწვდებოდა საგადასახადო ნუსხებზე.[1041]

ავტორი 1339/1340 წლებში დაწერილი ნაშრომის „გულთა სიამეს" მეექვსე კარში, რომლის სათაურია „აფხაზ(ეთ)-ის და საქართველოს ქალაქთა ხსენება", გადმოგვცემს: „... მისი საზღვრები არანს, არმენიას და რუმს ეკვრის. სახელმწიფო შემოსავალი ამ ქვეყნისა იქაური მეფეების დროს დაახლოებით ეხლანდელ ხუთას თუმანს შეადგენდა, ხოლო ამჟამად ას ოცი თუმანი და ორი ათასი დინარია. საქართველოსა და აფხაზეთის სატახტო ქალაქი ტფილისია...".[1042]

ჰამდალაჰ ყაზვინი თავისი ეპოქის სხვა ქვეყნების შემოსავლების შესახებ დასძენდა, რომ აღნიშნული თანხები მონღოლურ საგადასახადო დავთრებში ყოფილა ჩაწერილი („სწერია დავთარში"). აქედან გამომდინარე, 120 თუმანი და 2000 დინარი მონღოლებისათვის გადასახდელ ხარკს წარმოადგენდა.

ამდენად, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, მონღოლთა ბატონობამდე საქართველოს სამეფოს სახელმწიფო შემოსავლები შეადგენდა 500 მონღოლურ თუმანს, ხოლო მონღოლთათვის გადახდილი ხარკის ოდენობა – 120 თუმანს და 2000 დინარს.

აღნიშნულ ცნობას თავდაპირველად ყურადღება ვ. ბარტოლდმა მიაქცია. მისი განმარტებით, მონღოლური თუმანი 10 000 ვერცხლის დინარს შეიცავდა, დინარი კი – 6 დირჰემს. ყაზან ყაენის (1295-1304 წწ.) საფინანსო რეფორმის შედეგად, დინარის წონად 3 მისხალი განისაზღვრა, ხოლო აბუ-საიდის (1316-1335 წწ.) მმართველობის დროს ორ მისხლამდე შემცირდა. ერთი სიტყვით, ყაზან ყაენის დროს 1 მონღოლური თუმანი შეიცავდა 60 000 დირჰემს,[1043] ანუ შემცირებული წონის იმავე ოდენობის თეთრს/დრამას.

ვ. ბარტოლდი 1 დინარს 1911 წლის რუსული 75 კაპიკის ეკივალენტად მიიჩნევდა და დასძენდა, რომ მონღოლებამდე საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები უდრიდა 3 750 000 რუსულ მანეთს (რუბლს), ხოლო ილხანებისათვის გადახდილი ხარკი – 901 500 მანეთს (რუბლს).[1044]

ამდენად, ვ. ბარტოლდის მიხედვით, ჰამდალაჰ ყაზვინის მიერ საქართველოს სახელმწიფო შემოსავლებად დასახელებული 500 თუმანი შეიცავდა 5 000 000 დინარს (500×10 000=5 000 000).

[1041] რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება). ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ. 1967, გვ. 198.

[1042] ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებით და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა, გვ. 23.

[1043] В. Бартольд. Персидская надпись на стене анийской мечети Мануче. СПб. 1911, გვ. 17-19.

[1044] В. Бартольд. Персидская надпись на стене анийской мечети Мануче, გვ. 23.

ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობების მიხედვით, საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების შემოსავლები და ხარკის ოდენობა დაახლოებით ასე გამოიყურება[1045]:

ქვეყანა	**მონღოლთა ბატონობამდე სახელმწიფო შემოსავლები**	**მონღოლური სახელმწიფო გადასახადები/ხარკი**
არაბეთის ერაყი	3000 თუმანი, ანუ 30 000 000 დინარი	300 თუმანი, ანუ 3 000 000 დინარი
ირანის ერაყი (ჩრდილო-დასავლეთი ირანი)	2520 თუმანი, ანუ 25 200 000 დინარი	235 თუმანი და 1600 დინარი, ანუ სულ 2 351 600 დინარი
აზერბაიჯანი	2000 თუმანი, ანუ 20 000 000 დინარი	216 თუმანი და 400 დინარი, ანუ 2 160 400 დინარი
ფარსი	1050 თუმანი, ანუ 10 500 000 დინარი	287 თუმანი და 1200 დინარი, ანუ სულ 2 871 200 დინარი
რუმი	1500 თუმანი, ანუ 15 000 000 დინარი	330 თუმანი, ანუ 3 300 000 დინარი
საქართველო	500 თუმანი, ანუ 5 000 000 დინარი	120 თუმანი და 2000 დინარი, ანუ სულ 1 202 000 დინარი
არანი და მუღანი	300 თუმანი, ანუ 3 000 000 დინარი	30 თუმანი და 3000 დინარი, ანუ სულ 303 000 დინარი
შირვანი	100 თუმანი, ანუ 1 000 000 დინარი	11 თუმანი და 3000 დინარი, ანუ სულ 113 000 დინარი
გუშთასფი	100 თუმანი, ანუ 1 000 000 დინარი	118 500 დინარი
დიდი არმენია	200 თუმანი, ანუ 2 000 000 დინარი	39 თუმანი, ანუ 390 000 დინარი
დიარბექრი და დიარრაბბია (ზემო შუამდინარეთი)	1000 თუმანი, ანუ 10 000 000 დინარი	1 925 000 დინარი
ქურთისტანი	200 თუმანი, ანუ 2 000 000 დინარი	20 თუმანი და 1500 დინარი, ანუ სულ 201 500 დინარი
ხუზისტანი	300 თუმანი, ანუ 3 000 000 დინარი	32 თუმანი და 5000 დინარი, ანუ სულ 325 000 დინარი
შებანგარა	200 თუმანი, ანუ 2 000 000 დინარი	26 თუმანი და 6100 დინარი, ანუ სულ 266 100 დინარი
ქირმანი	88 თუმანი, ანუ 880 000 დინარი	67 თუმანი და 6500 დინარი, ანუ სულ 676 500 დინარი
სულ	10058 თუმანი, ანუ 100 580 000 დინარი[1046]	1920 თუმანი და 3800 დინარი, ანუ სულ 19 203 800 დინარი[1047]

[1045] ცხრილი შედგენილია ი. პეტრუშევსკის ნაშრომის მიხედვით. იხ.: И. П. Петрушевский. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII-XIV веков. Москва-Ленинград, 1960, გვ. 98-99.

[1046] პეტრუშევსკის ნაჩვენების აქვს მხოლოდ ვერცხლის დინარები. რეალურად ჩამოთვლილი ქვეყნების შემოსავლის ჯამი შეადგენს 130 000 000 ვერცხლის დინარზე მეტს.

[1047] რ. კიკნაძის გამოანგარიშებით, მონღოლთა შემოსავლები უდრიდა 19 765 880 დინარს, ანუ ზემოთ დასახელებულ ციფრზე მცირედით მეტს. იხ.: რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 23.

როგორც ვხედავთ, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, მთლიანი რეგიონის ქვეყნების შემოსავლები მონღოლებამდელ ეპოქაში 10 000 თუმანს აღემატებოდა, ხოლო საკუთრივ ილხანთა სახელმწიფოს შემოსავლები 2000 თუმანს აღწევდა.

ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობითვე ირკვევა, რომ ყაზან ყაენამდე ილხანთა სახელმწიფოს საერთო შემოსავლები შეადგენდა 1700 თუმანს, ხოლო ყაზანის დროს – 2100 თუმანს, აბუ-საიდის დროს კი – ამის ნახევარს.[1048] შესაბამისად, როგორც რ. კიკნაძე შენიშნავს, ავტორის მიერ ილხანთა შემოსავლად ნაჩვენები დაახლ. 2000 თუმანი არა მისი ეპოქის რეალობას, არამედ უფრო ადრეული ხანის – ყაზანის და ოლჯაითუს (1304-1316 წწ.) მმართველობის პერიოდის – შემოსავლებს წარმოადგენდა.[1049]

ჰამდალაჰ ყაზვინის მიხედვით, დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოზე დიდი შემოსავლები რეგიონის მხოლოდ 5 სახელმწიფოსა თუ პროვინციას ჰქონია. ასევე, სულ რამდენიმე ქვეყანა და პროვინცია იხდიდა საქართველოზე მეტ მონღოლურ გადასახადებს.

აღნიშნულ ცნობას ქართულმა ისტორიოგრაფიამ გარკვეული ყურადღება დაუთმო. ივ. ჯავახიშვილის, კ. გრიგოლიას, ვ. დონდუას, ვ. გაბაშვილის, დ. კაციტაძის და სხვა ავტორების აზრით, ჰამდალაჰ ყაზვინის მიერ დასახელებული 500 თუმანი, ანუ 5 000 000 დინარი საქართველოს პოლიტიკური ძლიერების, ანუ ე.წ. „ოქროს ხანის“ სახელმწიფო შემოსავალს წარმოადგენდა.[1050] გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებებიც, კერძოდ ს. კაკაბაძე 500 თუმანს XIII საუკუნის II ნახევარში საქართველოს მიერ მონღოლებისათვის გადასახდელი ხარკის ოდენობად მიიჩნევდა, ხოლო 120 თუმანს და 2000 დინარს – 1330-იანი წლების ხარკად,[1051] რ. კიკნაძის აზრით კი, დასახელებული 500 თუმანი წარმოადგენდა „დიდი თურქობის“ ეპოქის სელჩუკებისათვის გადასახდელ ხარკს.[1052]

დასახელებულ ავტორთაგან საკითხს ვრცლად მხოლოდ ივ. ჯავახიშვილი შეეხო თავის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ შრომაში, რომელიც დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.[1053]

[1048] რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 202.

[1049] რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 204.

[1050] იხ.: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ. 1983, გვ. 392; ვ. გაბაშვილი. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში. თსუ შრომები. თბ. 1967, გვ. 206; დ. კაციტაძე. XIV საუკუნის საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან. თსუ შრომები. ტ. 121, გვ. 253; ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი. თბ. 1967, გვ. 141-145; კ. გრიგოლია. ქართული რენესანსი რუსთველის ეპოქისა. კრებ. „შოთა რუსთაველი“. თბ. 1968, გვ. 38...

[1051] ს. კაკაბაძე. საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, გვ. 273-274.

[1052] რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 196-208.

[1053] ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობას მოკლედ შეეხო ივ. ჯავახიშვილი 1930 წელს გამოცემულ საქართველოს ეკონომიური ისტორიის I წიგნში, რომელშიც მხოლოდ წყაროს მნიშვნელობაზეა მსჯელობა (იხ.: ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 115-118). მოგვიანებით, 1940 წელს, ივ. ჯავახიშვილის თანაავტორობით შედგენილ ნაშრომში ძალიან მოკლედ განხილულია დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები, რაც შედარებულია მეზობელი სახელმწიფოების შემოსავლებთან (იხ.: ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ხაჭაპურიძე. საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე. თბ. 1940, გვ. 173). იგივე ტექსტი შეტანილია ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას ავტორობით, 1943 წელს გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოში (იხ.: ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. I. ს. ჯანაშიას რედაქციით. თბ. 1943, გვ. 217) და ქართველი ერის

ივ. ჯავახიშვილი თავდაპირველად, მონღოლთა დავთარში გატარებულ საქართველოს გადასახდელ 120 თუმანს და 2000 დინარს ეხება და აღნიშნავს, რომ ეს თანხა იყო არა სახელმწიფო შემოსავალი, არამედ ხარკი.

ასევე, ივ. ჯავახიშვილი დეტალურად განიხილავს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო შემოსავალს – 500 თუმანს. მისი აზრით, რადგან საქართველოს მხოლოდ 3 ყმადნაფიცი ქვეყნის – არანის, ხლათის და შირვანის ყოველწლიური შემოსავალი მონღოლებამდე 300, 200 და 100 თუმანს, ანუ ჯამურად 600 თუმანს შეადგენდა, საქართველოს შემოსავალში, ანუ 500 თუმანში ჰამდალაჰ ყაზვინს ყმადნაფიცი ქვეყნების გადახდილი ხარკი არ უნდა მიეთვალა. ამდენად, ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ 500 თუმანი საქართველოს შემოსავალს წარმოადგენდა ყმადნაფიცი ქვეყნების გადასახადების გარეშე.

500 თუმნის ოდენობის შესახებ კი ავტორი აღნიშნავს, რომ ბარტოლდის ანგარიშით, ის წარმოადგენდა 30 000 000 ვერცხლის დრამას. თუმცა ჯუვეინის ცნობაზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ XIII საუკუნეში 1 მონღოლურ თუმანში 1000 ბალიში ითვლებოდა, ხოლო ბალიში 75 ვერცხლის ოთხდანგიან (დაახლ. 3 გრ.) მონეტას შეიცავდა. მოცემული პირობის გათვალისწინებით (1 მონღოლური თუმანი=75 000 ოთხდანგიან დირჰემს/დრამას), ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავალი დამოუკიდებლობის დროს, ყმადნაფიცი ქვეყნების გადასახდელი ხარკის გარეშე, 37 500 000 ვერცხლის ოთხდანგიან მონეტას შეადგენდა.[1054]

რ. კიკნაძე მიიჩნევს, რომ, რადგან აბუ-საიდის მმართველობის დროს დინარის წონა დაახლ. 13 გრამიდან 2 მისხლამდე, ანუ 9 გრამამდე შემცირდა, ჰამდალაჰ ყაზვინის დასახელებული 500 თუმანი უნდა შეადგენდეს არა ბარტოლდის გამოანგარიშებულ თანხას, არამედ ერთი მესამედით ნაკლებს, ხოლო 500 თუმანი, მისი აზრით, როგორც აღინიშნა, უნდა ყოფილიყო არა საქართველოს შემოსავალი, არამედ XI საუკუნის მიწურულში ქართველების მიერ სელჩუკებისათვის გადახდილი ხარკი.[1055]

აღნიშნული მოსაზრება, სავსებით სამართლიანად, საეჭვოდ მიიჩნია გ. ჯაფარიძემ. მისი აზრით, XI საუკუნის ბოლოს ქართული სახელმწიფო დასახელებული ოდენობის

ისტორიის II წიგნის დამატებაში (იხ.: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II, გვ. 392). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიური ისტორიის გარდა, ყველა დასახელებული ნაშრომი ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.

დასახელებულ გამოცემებში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელიც შენიშნა ვ. დონდუამ – საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების შემოსავლების შედარებისას, საქართველოს შემთხვევაში, ცნობა მოტანილია მონღოლებამდელი ეპოქიდან, ხოლო მეზობელ ქვეყნების შემთხვევაში, აღებულია XIV საუკუნის მონაცემები. რეალურად ჰამდალაჰ ყაზვინი მოგვითხრობს, რომ აბუ-საიდის მმართველობის ეპოქაში, მაგალითად, რუმის გადასახადები უდრიდა 330 თუმანს, ხოლო სელჩუკების დროს მათი სახელმწიფოს შემოსავლები შეადგენდა 1500 თუმანს. ჯავახიშვილს კი შედარებული აქვს ილხანთა სახელმწიფოში რუმის გადასახელი თანხა და დამოუკიდებელი საქართველოს შემოსავლები. იმავე პირობით არის შედარებული არაბეთის ერაყის და სხვა რეგიონების შემოსავლები ქართულთან (იხ.: ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი, გვ. 141-145).

ჩვენი აზრით, ივ. ჯავახიშვილის თანაავტორობით შედგენილ ნაშრომებში დაშვებული უზუსტობა რედაქტირების შედეგი უნდა იყოს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, რომელშიც ხელნაწერი სახით მოცემულია ვრცელი გამოკვლევა (№ 310) ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობების შესახებ.

[1054] იხ.: ხეც. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 310.

[1055] რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის შესახებ), გვ. 196-208.

ხარკის გადახდას ვერ შეძლებდა. გამოთქმული მოსაზრება კიდევ უფრო საეჭვოდ გამოიყურება იმ ფონზე, რომ მეზობელი შირვანის სათურქო ხარკი შეადგენდა მხოლოდ 70 ათას დინარს, რომელიც მოგვიანებით, 40 ათასამდე შეუმცირებიათ. ჩვენ აბსოლუტურად ვეთანხმებით გ. ჯაფარიძის შენიშვნას და დავძენთ, რომ თავად ჰამდალაჰ ყაზვინის ნაშრომის შინაარსი არავითარ საფუძველს არ გვაძლევს 500 თუმნის სელჩუკებისათვის გადასახდელ ხარკად გაიგივების შესახებ.

გ. ჯაფარიძე იქვე შენიშნავს, რომ ჰამდალაჰ ყაზვინის მიერ დასახელებული თანხა, თავის მხრივ, არ შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერების შესახებ.[1056]

ასეთია ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები ჰამდალაჰ ყაზვინის საყურადღებო ცნობებთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, ირანელი ავტორის ცნობები, მისი საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, სანდოდ უნდა მივიჩნიოთ. ვფიქრობთ, ირანელი ავტორის დასახელებული ფულადი ოდენობები შესაბამისობაშია ლოგიკასთან და, ამავე დროს, არანაირად არ ცვლის ზოგად წარმოდგენას, თუნდაც თამარის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერების შესახებ. კერძოდ, როგორც ჰამდალაჰ ყაზვინი გადმოგვცემს, დამოუკიდებლობის ეპოქაში ქართული სახელმწიფოს შემოსავლები 5-ჯერ აღემატებოდა, მაგალითად, შირვანის, ხოლო 2,5-ჯერ დიდი არმენიის, ანუ შაჰ-არმენთა სახელმწიფოს შემოსავლებს. ასევე, სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ რუმის შემოსავლები 3-ჯერ უფრო დიდი ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფო შემოსავლებზე, რადგან რუმი საქართველოსთან შედარებით ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა და აკონტროლებდა სტრატეგიულ სავაჭრო გზებს. ვფიქრობთ, იმდროინდელი პოლიტიკური კონტექსტიც ადასტურებს ყოველივე ზემოთ თქმულს – ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ლაშქრობა სწორედ რუმის სულთანმა რუქნ ად-დინმა (1196-1204 წწ.) წამოიწყო და არა პირიქით, ხოლო ბასიანის ბრძოლაში მისი დამარცხება იმიტომ იყო რეზონანსული და სახელოვანი მოვლენა, რომ ქართველებმა უძლიერეს მოწინააღმდეგეს სძლიეს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ყაზან-ყაენის მმართველობის დროს, ჰამდალაჰ ყაზვინისავე ცნობით, ილხანთა სახელმწიფოს შემოსავლები დაახლ. 2000 მონღოლურ თუმანს შეადგენდა, სიდიდით მასზე რამდენჯერმე მცირე საქართველოს შემოსავლები კიდევ უფრო სოლიდურად გამოიყურება. ერთი სიტყვით, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობებში ეჭვის შესატანად ნაკლები საფუძველი გვაქვს.

როგორც აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, დასახელებულ 500 თუმანში არ უნდა იგულისხმებოდეს ყმადნაფიცი ქვეყნების მიერ გადახდილი ხარკიდან მიღებული შემოსავლები, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით ლოგიკურია.

ზემოთ აღინიშნა, რომ ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, საქართველოს შემოსავლების შემთხვევაში, 1 მონღოლურ თუმანში ყაზანის რეფორმამდელი, ანუ 75 000 ოთხდანგიანი დრამა უნდა იგულისხმებოდეს. რ. კიკნაძის აზრით კი, ჰამდალაჰ ყაზვინს მხედველობაში უნდა ჰქონოდა აბუ-საიდის მმართველობის დროინდელი მკვეთრად შემცირებული მონეტები.

[1056] გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს.-ის პირველ მესამედში. თბ. 1995, გვ. 11-12, სქოლიო 3.

რადგან კონტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ჰამდალაჰ ყაზვინი ყაზან ყაენის დროინდელი დავთრებით ხელმძღვანელობდა და არა აბუ-საიდის ეპოქის შემოსავლებით (სწორედ ამიტომ იყო ილხანთა შემოსავლების ოდენობა ნაჩვენები ძველი მონაცემებით და არა აბუ-საიდის დროინდელი დავთრების მიხედვით, რასაც რ. კიკნაძეც შენიშნავდა[1057]), ვფიქრობთ, გამოცდილ ფინანსისტს არ უნდა გასჭირვებოდა არც ნაშრომის დაწერის პერიოდის – XIV საუკუნის 30-იან წლების და არც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე არსებული ფულის ყაზან ყაენის მოჭრილი მონეტების კურსზე გადაყვანა. ამდენად, ამ შემთხვევაში მისაღები უნდა იყოს ვ. ბარტოლდისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც, 1 მონღოლური თუმანი შეადგენდა 10 000 დინარს, ხოლო დინარი – 6 სამდანგიან დრამას.

მოცემული მსჯელობის საფუძველზე, საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობის თანახმად, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, ერთიანი ქართული მონარქიის სახელმწიფო შემოსავლების ოდენობა, დიდი ალბათობით, ყმადნაფიცი ქვეყნების ხარკის გამოკლებით, შეადგენდა 500 თუმანს, ანუ 30 000 000 სამდანგიან, (დაახლ. 2,15-გრამიან) დირჰემს. აღნიშნული მონეტების 3-გრამიან დრამებში გადაყვანის შემთხვევაში, მივიღებთ 21 500 000 დრამას. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს შემოსავლები XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, მოხარკეთა ხარკის გამოკლებით, შეადგენდა 21 500 000 დრამას.

21 500 000 ოთხდანგიანი დრამა კი დაახლ. იმავე ოდენობის სირმა-აბაზის, ხოლო მინალთუნებისა და XIX საუკუნის დასაწყისის რუსული ფულის გათვალისწინებით, 4 300 000 მინალთუნის/რუბლის (მანეთის) ეკვივალენტური იყო. თანადროულ ოქროს მონეტებზე გადაყვანის შემთხვევაში კი, 21 500 000 ოთხდანგიანი დრამა, 1:11 შეფარდებით, 2 000 000-მდე პერპერას/ოქროს დინარის ტოლფასი გამოდის. მოხარკე ქვეყნების გადახდილი ხარკის ჩათვლით, საქართველოს საერთო სახელმწიფო ბიუჯეტი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, დიდი ალბათობით, დასახელებულ სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ ფულადი შემოსავლები არ უნდა იგულისხმებოდეს და მასში გადასახადების სახით შეკრებილი ნატურალური პროდუქტების ღირებულებაც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

შედარებისათვის, XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერიის მთლიანი ხარჯები 5 895 000 ნომისმას შეადგენდა,[1058] ხოლო, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4 000 000 ოქროს ფრანკს, 1311 წელს საფრანგეთის შემოსავლები კი 3 000 000 ფრანკს ითვლიდა.[1059] როგორც ზემოთ ვნახეთ, რუმის სელჩუკთა სახელმწიფოს შემოსავლები მონღოლებამდელ ეპოქაში 1500 თუმანს, ანუ დაახლ. 5-6 მილიონ ოქროს დინარს/პერპერას უდრიდა. ამდენად, ერთიანი ქართული მონარქიის საერთო შემოსავლები, მოხარკე ქვეყნების მიერ გადახდილი ხარკის ჩათვლით, დიდად არ ჩამოუვარდებოდა იმ ეპოქის მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების შემოსავლებს, რაც მის სიძლიერეზე მეტყველებს.

[1057] იხ.: რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის შესახებ), გვ. 204.

[1058] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერატორო ტიტულატურა საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 2012, გვ. 153; W. Treadgold. A History of Byzantine State and Society. Stanford, 1997. გვ. 575-577.

[1059] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II, გვ. 392.

აქვე მოკლედ შევეხებით საქართველოს მიერ მონღოლებისათვის გადახდილ ხარკის ოდენობასაც. როგორც ცნობილია, 1242 წლის საზავო პირობების მიხედვით, საქართველოს დაეკისრა ყოველწლიურად 40-50 ათასი პერპერას გადახდა.[1060] როგორც ზემოთ ვნახეთ, დასახელებული ოდენობის თანხით დიდი და გამორჩეული სასახლის აგება იყო შესაძლებელი. შესაბამისად, 50 000 პერპერა, ანუ დაახლ. 550000-600000 დრამა, ხარკის პირობაზე, არცთუ დიდ თანხას წარმოადგენდა.

მოგვიანებით ვითარება შეიცვალა – XIII საუკუნის 50-იან წლებში ჩატარებული აღწერის შედეგად, მონღოლებისათვის გადასახდელი ხარკის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.[1061] როგორც ვნახეთ, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, საქართველო, სავარაუდოდ, ყაზან-ყაენის მმართველობის დროს 120 თუმანსა და 2000 დინარს იხდიდა, რაც 7 212 000 სამდანგიანი მონეტის, ანუ დაახლ. 5 170 000 დრამის (დრამა=3 გრ.) ტოლფასია. 5 170 000 დრამა კი შეესაბამებოდა XIX საუკუნის დასაწყისის 1 მილიონზე ცოტა მეტ რუსულ რუბლს (იმავე ოდენობის მინალთუნს). ამრიგად, თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, ყაზან-ყაენის მმართველობის დროს საქართველოს გადასახდელი მონღოლური ხარკი თითქმის ათჯერ გაზრდილა.[1062]

ალ-მაზანდარანის მიერ შედგენილ სახელმწიფო ფინანსების წარმოების სახელმძღვანელოში, რომელშიც შეტანილია საგადასახადო დავთრები, ნაჩვენებია, რომ 1349/1350 წელს საქართველომ ხარკის სახით გადაიხადა 40 თუმანი.[1063] 40 თუმანი კი წარმოადგენდა საკმაოდ სოლიდურ თანხას – 2 400 000 დირჰემს.[1064]

როგორც ზემოთ გავარკვიეთ, 1425-1440 წლებში ალექსანდრე I დიდის მიერ დაწესებული 40 თეთრის გადასახადი ყოველწლიურად დაახლ. 1 000 000 დრამის ოდენობით იკრიბებოდა, რომელიც მტრის შემოსევების შედეგად დანგრეული ეკლე-

---

[1060] პლანო კარპინი. ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ. თარგმ. გ. ქიქოძისა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. II. თბ. 1942, გვ. 30; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბ. 1982, გვ. 24; ბ. ლომინაძე. მონღოლებთან დაზავება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 550.

[1061] იხ.: ბ. ლომინაძე. მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 558-569.

[1062] არ არის ცნობილი მონღოლური აღწერის ჩატარებიდან ყაზან ყაენამდე ქართველები ანალოგიური ოდენობის ხარკს იხდიდნენ თუ უფრო მეტს. გრიგოლ აკანელის გადმოცემით, დავთარში შეყვანილები სხვადასხვა გადასახადის სახით, ჯამში, 60 თეთრს იხდიდნენ (გროგოლ აკანელი. მოისართა ტომის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1961, გვ. 31; ბ. ლომინაძე. მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა, გვ. 566.). XIII საუკუნის 60 თეთრი დაახლ. 50 დრამას, ანდაც გვიანდელ 1 თუმანს უდრის. დასახელებული ოდენობის თანხა ერთი კომლისათვის ძალიან მაღალია. როგორც ცნობილია, აღნიშნული ეპოქის საქართველოს მოსახლეობა 800 000 კომლამდე ივარაუდება (ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, გვ. 55; ბ. ლომინაძე. მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა, გვ. 566). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ, დიდი ალბათობით, მონღოლურ ხარკს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა არ იხდიდა, ხოლო ეკლესიის ყმები და ზოგიერთი კატეგორიის გლეხები (მაგალითად, მთიელები და სხვ.) გადასახადებისაგან გათავისუფლებულები იყვნენ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონღოლური ხარკის გადამხდელი იყო დაახლ. 400 000 კომლი. ერთი კომლის მიერ 60 თეთრის/დირჰემის გადახდის შემთხვევაში, საქართველოში შეკრებილი მონღოლური გადასახადების ჯამი გამოდის 24 000 000 თეთრი. ამდენად, ან თითოეული კომლის გადასახადია გაზვიადებული, ანდაც საქართველოს მონღოლური აღწერის შემდგომ პერიოდში ყაზანის ეპოქის დაწესებულ გადასახადზე დაახლ. 3,7-ჯერ მეტი ხარკი ჰქონია შეწერილი.

[1063] რ. კიკნაძე. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან (ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის შესახებ), გვ. 197.

[1064] უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში, არ ვიცით, მონღოლური თუმანი ყაზანის ეპოქის დინარებით იანგარიშებოდა, თუ წონადაკლებული მონეტებით.

სია-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების აღსადგენად იხარჯებოდა. რაღა თქმა უნდა, ქვეყნის საერთო შემოსავლები დაწესებულ გადასახდზე რამდენჯერმე დიდი იქნებოდა. ამდენად, XV საუკუნის საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები, სულ მცირე, 5 მილიონი დრამა მაინც უნდა ვივარაუდოთ. აღნიშნული ეპოქის საქართველოში მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ მთავრები. როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით შემოსავლები უკვე ადგილობრივ მთავრებსა და ე.წ. „პროვინციის მეფეებს“ რჩებოდათ, რის გამოც, მცირდებოდა ერთიანი სამეფო ხაზინა.

XV საუკუნის შუა ხანების საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, საინტერესო ცნობებს გვაწვდის გიორგი სფრანძესი. ავტორი გადმოგვცემს, რომ გაერთიანებული საქართველოს ბოლო მეფე – გიორგი VIII (1446-1466 წწ.) თანახმა ყოფილა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე XI-ის (1449-1453 წწ.) საცოლედ დანიშნული საკუთარი ქალიშვილისათვის 65 000 ოქროს ფული გაეტანებინა, ხოლო ყოველწლიურად 5000 ოქრო მიეცა – „... მე მოსურნე ვარ ამ ქორწინების, ჩემს ქალიშვილს საჩუქრად ვაძლევ 50 000 ოქროს და ვკისრულობ ვუგზავნო მას 5000 ოქრო ყოველწლიურად“.[1065]

როგორც რ. ქებულაძე შენიშნავს, აღნიშნულ ეპოქაში ბიზანტიურ ოქროს მონეტებს უპირატესობა დაკარგული ჰქონდა, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, საუბარი უნდა იყოს ვენეციურ დუკატებზე. ვენეციური დუკატების საქართველოში გავრცელებას, თავის მხრივ, ადასტურებს ლეხურას ხეობის განძი, რომელშიც 13 ვენეციური დუკატი აღმოჩნდა. ვენეციური ოქროს დუკატი საშუალოდ, 3,5 გრამს იწონიდა.[1066] როგორც ზემოთაც აღინიშნა, გვიანდელი მონაცემების გათვალისწინებით (ტურნეფორის და ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით), ფლური საშუალოდ, 7 აბაზს უტოლდებოდა (აბაზი=7,5 გრ.)[1067]. ვახტანგის ეპოქის აბაზს კი ადრინდელი 2,5 დრამის წონა ჰქონდა. შესაბამისად, 50 000 ათასი დუკატი დაახლ. 875 000 დრამას უდრიდა. ამდენად, პოლიტიკურ-ეკონომიკური დაუძლურების მიუხედავად, XV საუკუნის შუა ხანებში საქართველოს მეფეს ჯერ კიდევ ჰქონია შესაძლებლობა, რომ დასახელებული ოდენობის თანხა გაეღო.

განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე 1477 წელს, როდესაც უზუნ ჰასანის მოთხოვნილი 16 000 დუკატის გადახდა ქართველ მეფე-მთავრებს – ბაგრატ VI-ს (1446-1478 წწ.) და ყვარყვარე ათაბაგს (1451-1498 წწ.) გასჭირვებიათ. იტალიელი ელჩების იოსაფატ ბარბაროს და ჯოვანი მარიო ანჯიოლელოს ცნობების მიხედვით, მათ დამპყრობლისათვის ფულის ნაცვლად, 4 მონღოლური ოქროს ბალიში შეუთავაზებიათ. უზუნ ჰასანს კი იტალიელი ელჩისათვის იოსაფატ ბარბაროსათვის დაუვალებია ბალიშების შეფასება. ევროპელ ელჩს ოქროს ბალიშების ღირებულება ქართველების სასარგებლოდ შეუფასებია, მაგრამ უზუნ ჰასანს შეთავაზება არ მიუღია და საომა-

---

[1065] იხ.: რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში. თბ. 1971, გვ. 18. მცირედით განსხვავებული ციფრები – 56 000 და 3000 აქვს მოცემული ივ. ჯავახიშვილს. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, გვ. 274. ანალოგიური თარგმანია გეორგიკაში. იხ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1970, გვ. 66.

[1066] რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 19-27.

[1067] იხ.: ჟ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 486.

რი მოქმედებები განუახლებია. საბოლოოდ, ქართველი მეფე-მთავრები იძულებული გამხდარან, რომ 16 000 დუკატი გადაეხადათ.[1068]

ევროპელი ელჩების აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით, გამოთქმულია ვარაუდი დაშლილი ქართული სამეფო-სამთავროების უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით.[1069] ეჭვგარეშეა, რომ ე.წ. „ოქროს ხანასთან“ შედარებით, პოლიტიკური დაშლილობის ფონზე, დასუსტებული ქვეყნის შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირებული იქნებოდა, მაგრამ გადაჭარბებულად მიგვაჩნია შეფასება, რომ ქვეყანას 16 000 დუკატის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლევა უზუნ ჰასანის შემოსევის ახლო ხანებში, კერძოდ 1475-1478 წლებში, ათონის ქართველთა მონასტრისადმი სამცხის ათაბაგ ყვარყვარეს შეწირულობა – სამცხის მთავარმა გარდაცვლილი შვილის ბაჰადურის სულის მოსახსენებლად მონასტერს უზუნ ჰასანის მოთხოვნილ თანხაზე მეტი 20 000 ოთმანური ფლური („ოცი ათასისა ოთმანურისა, რომელიმე ფლურად და რომელი[მე] თეთრად“) შესწირა. მზეჭაბუკ ათაბაგმა კი 1498 წელს თავისი ძმის ხსოვნისათვის 25 500 ფლური („ზოგი ფლურად, ზოგი თეთრად“) გაიღო.[1070] „ოთმანურ ფლურში“ უნდა იგულისხმებოდეს 3,5-გრამიანი ოქროს მონეტები – ალთუნები.[1071] როგორც ვხედავთ, XV საუკუნის ბოლო მეოთხედში სამცხე-საათაბაგოს მთავრებს ათონის ქართველთა მონასტრისათვის 45 500 ფლური შეუწირავთ, რაც წინა საუკუნეებში მოჭრილი დაახლ. 800 000-მდე ოთხდანგიან დრამის ეკვივალენტური იყო. როგორც ჩანს, სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანას კვლავ ჰქონდა მტკიცე ეკონომიკური საფუძვლები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოსმალეთის პოლიტიკის შედეგად XVI საუკუნიდან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა დასავლეთ საქართველოში. შესაბამისად, შემცირდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების შემოსავლები. შარდენის ცნობით, XVII საუკუნის 70-იან წლებში „სამეგრელოს მთავრის წლიური შემოსავალი ოცი ათას ეკიუს აღწევს. ამ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ბაჟი სამეგრელოში შემოტანილ და გატანილ ყოველგვარ საქონელზე, ადამიანების გაყიდვა და თვითნებურად შეწერილი გადასახადები. მთავარი მთელ შემოსავალს ინახავს სკივრებში, რადგან მას არც ერთი დენიეს დახარჯვა არ უხდება. ქვეშევრდომები მთავარს უსასყიდლოდ ემსახურებიან, სამამულო დომენი კი იმდენ სურსათ-სანოვაგეს იძლევა, რომ მთელ მის კარს ყოფნის და რჩება კიდეც“.[1072]

რადგან აღნიშნულ ეპოქაში 12,5 ეკიუ 1 თუმნის ეკივალენტური იყო,[1073] სამეგრელოს მთავრის შემოსავალი ადგილობრივ ფულზე გადატანით, 1600 თუმანს, ანუ 80 000 აბაზს უდრიდა. სირმა-აბაზის ან ოთხდანგიანი დრამის წონის გათვალისწინებით

[1068] ბ. ლომინაძე. საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფო-სამთავროებად. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 742-743.

[1069] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, გვ. 406-407; ბ. ლომინაძე. საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფო-სამთავროებად, გვ. 747.

[1070] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 185-187. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, გვ. 407.

[1071] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 90-91; მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 24-26.

[1072] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 126.

[1073] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63.

კი, დასახელებული თანხა 4000 თუმანს, ანუ 200 000 სირმა-აბაზს (40 000 მინალთუნს/ რუსულ რუბლს) შეესაბამებოდა. როგორც შარდენი აღნიშნავდა, მთავრის დომენი ნატურალური პროდუქტების სახით, დამატებით შემოსავლებსაც იძლეოდა, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სამეგრელოს სამთავროს შემოსავლები ადამიანების გაყიდვით მიღებული თანხებითაც ივსებოდა.

ანალოგიურად რთული მდომარეობა იკვეთება იმერეთის სამეფოში. მართალია, აღნიშნული ეპოქის იმერეთის სამეფოს შემოსავლების შესახებ დაზუსტებული მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის ჟან შარდენი: „... გენათელთან მოვიდა იმერეთის მეფის მიერ თბილისში გაგზავნილი ერთი აზნაური, რომელმაც დედოფალს მოახსენა, თუ რა წარმატებით შეასრულა მეფის დავალება. ეს აზნაური გაეგზავნათ რვა ათასი ეკიუს სასესხებლად, რისთვისაც გირაოდ სამეფო გვირგვინი გაეტანებინათ. ეს არის ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინი, რომლის ღირებულება, ალბათ, ოთხი ათასი პისტოლი იქნება, მაგრამ ფულის სესხება ამ გირაოთი არავინ მოისურვა. საქართველოს მთავარმა (ქართლის მეფემ – ა. თ.) შეიტყო თუ არა, რომ იმერეთის მეფე და დედოფალი გასაჭირში არიანო, მათ საჩუქრები გამოუგზავნა: მეფეს – სამი ცხენი, იარაღი და ათასი ეკიუ ფულად; დედოფალს – ოქრონაქსოვი და მოვერცხლილი ფარჩა, ატლასი, თავთა და ხუთასი ეკიუ“.[1074]

როგორც ვხედავთ, საგარეო და საშინაო გართულებების გამო, იმერეთის მეფე 8000 ეკიუს, ანუ იმდროინდელი 640 თუმნის (გვიანდელი 16 000 მინალთუნის/რუბლის) სანაცვლოდ, სამეფო გვირგვინს აგირავებდა, რაც ხაზს უსვამს დასავლეთ საქართველოს რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას. დიდი ალბათობით, იმავე ეპოქის იმერეთის სამეფოს შემოსავლები, სამეგრელოს სამთავროს შემოსავლების მსგავსად, 40 000 მინალთუნის/რუბლის ფარგლებში იქნებოდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოგვიანო ხანის, XIX საუკუნის დასაწყისის იმერეთის სამეფოს სახელმწიფო შემოსავლები სწორედ 40 000 მინალთუნამდე/რუბლამდე აღწევდა.[1075] ამდენად, XVII-XVIII საუკუნეებში სამეგრელოს სამთავროსა და იმერეთის სამეფოს ყოველწლიური შემოსავლების საერთო ჯამი დაახლ. 80 000 მინალთუნს, ანუ 400 000 სირმა-აბაზს/ დრამას უდრიდა, რაც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, ერთიანი ქართული მონარქიის შემოსავლებზე 50-ჯერ და მეტჯერ ნაკლებ თანხას წარმოადგენდა (21 500 000:400 000=53,75).

როგორც შარდენის მონათხრობიდან ვიგებთ, სახელმწიფო შემოსავლების თვალსაზრისით შედარებით უკეთესი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფოში, რადგან ქართლის მეფეს იმერეთის მეფისა და დედოფლისათვის 1500 ეკიუ და ძვირადღირებული საჩუქრები გაუგზავნია.

XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ქართლის მეფის შემოსავლების შესახებ, ცნობებს გვაწვდის ტურნეფორი. მისი გადმოცემით, „საქართველოს (ქართლის – ა. თ.) მეფის ყოველწლიური შემოსავალი ადგილობრივი ფულის ერთეულით ექვსას თუმანს აჭარბებს... მეფის შემოსავალია სპარსეთის ხელმწიფისაგან მიღებული ჯამაგირიც სამასი თუმანის ოდენობით, აგრეთვე, თბილისის საბაჟოდან და

[1074] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 285-286.
[1075] მ. გონიკიშვილი. იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 21-26.

შემოტანილი არყისა და ნესვისაგან მიღებული თანხა, რაც მთლიანად დაახლოებით ხუთას თუმანს შეადგენს. გარდა ამისა, იგი გარკვეულ თანხას იღებს იმ მიზეზით, რომ თბილისში გამვლელ წარჩინებულ პირებს უნდა გაუმასპინძლდეს. ცხვარი, ცვილი, კარაქი და ღვინო ამ ქვეყანაში უხვადაა. მეფე თითოეული კომლისაგან წელიწადში ერთ ცხვარს იღებს, რაც შეადგენს ორმოც ათას ცხვარს, რადგან საქართველოში სამოცი ათასი კომლია, ხოლო ცხვარი მხოლოდ ორმოც ათასს ჰყავს. რაც შეეხება ღვინოს, მეფეს იგი გადასახადის სახით ოთხი ათასი საპალნე შემოსდის, რაც ორმოც ბათმანს შედგენს, ბათმანი კი ექვსი ოყაა“.[1076]

როგორც ვხედავთ, ტურნეფორი შემოსავლებიდან უპირველესად, 600 თუმანს ასახელებს, რომელიც, ჩვენი აზრით, სასურსათო, ანუ „კოდის პურის“ გადასახადიდან შეკრებილი პროდუქციის საფასური უნდა იყოს.[1077] მისი ცნობით, საბაჟოებიდან და იჯარებიდან მეფის შემოსავლები 500 თუმანს შეადგენდა. რაც შეეხება თბილისში შეკრებილ გარკვეულ თანხას, რომლის ოდენობას ავტორი არ ასახელებს, ეს ქალაქის მალისა და საურის გადასახადს უნდა წარმოადგენდეს, რომლის ოდენობა დაახლ. 300 თუმანი იყო. როგორც ღვინის ფასებზე მსჯელობის დროს აღინიშნა, ქართლის მეფის ღვინის შემოსავალი – 4000 საპალნე, დაახლ. 1 200 000 ლიტრს უდრიდა, რაც საშუალოდ 1600 თუმნის ღირებულების იყო. რაც შეეხება ცხვრის გადასახადს, მას ვერც დასტურლამალსა და ვერც სხვა წყაროში ვხვდებით. ჩვენი აზრით, დასახელებულ გადასახადში უნდა იგულისხმებოდეს ე.წ. „სამასპინძლო“, რომელიც, ძირითადად, პირუტყვის სახით გროვდებოდა.[1078] აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ტურნეფორი ქართლის მოსახლეობის შესახებ, აშკარად გადაჭარბებულ ციფრს გვაწვდის, რის შედეგადაც, დასახელებული გადასახადიც გაზრდილად არის ნაჩვენები. ჩვენი აზრით, „სამასპინძლო“ გადასახადიდან არა 40 000 ცხვრის ღირებულების თანხა – დაახლ. 1500 თუმანი, არამედ უფრო ნაკლები – საშუალოდ 700 თუმანი შეგროვდებოდა.

ამდენად, ტურნეფორის ცნობის ანალიზის მიხედვით, ქართლის მეფის საერთო შემოსავალი XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში დაახლ. 3700 თუმანს, ანუ 37 000 მინალთუნს შეადგენდა, რაც სირმა-აბაზის წონის გათვალისწინებით, დაახლ. 90 000 მინალთუნის/რუბლის, ანუ 450 000 სირმა-აბაზის ტოლფასი იყო.

ბოლოს განვიხილავთ ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლებს. როგორც ცნობილია, ერეკლე II-ის მიერ გატარებული რიგი რეფორმების შედეგად XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ქვეყნაში სახელმწიფო შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 1770 წლისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლები 120 000-150 000 მინალთუნს/რუბლს, ანუ 600000-750000 სირმა-აბაზს შეადგენდა,[1079] 1780-იან წლებში 400 000 მი-

[1076] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 63.

[1077] რადგან აღნიშნულ ეპოქაში თავადები დიდი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობდნენ, ლოგიკურია, რომ „კოდის პურის“ გადასახდიდან მხოლოდ აღნიშნული თანხის ღირებულების მარცვლეული შეკრებილიყო.

[1078] გადასახადის სახეობების შესახებ იხილეთ: ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში.

[1079] 1770 წლის სტატისტიკური ცნობის თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლები 10000-12000 თუმანი ყოფილა (იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 422), ხოლო რუსი მოხელის, კაპიტან იაზიკოვის გადმოცემით – 150 000 რუბლი/მინალთუნი (იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I, გვ. 187).

ნალთუნამდე/რუბლამდე, ანუ 2 000 000 აბაზამდე გაიზარდა.[1080] შემოსავლების ზრდა განაპირობა როგორც ახტალისა და ალავერდის ვერცხლისა და სპილენძის გამოსადნობი საწარმოების ამოქმედებამ, ისე სამეფო კარის გატარებულმა რეფორმებმა.[1081]

ირანის მმართველის აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად, მართალია, მნიშვნელოვნად შემცირდა ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლები, მაგრამ კრიტიკულ დონემდე არ შემცირებულა – 1800 წელს 240 000 მინალთუნს შეადგენდა.[1082] როგორც ვხედავთ, ირანის მმართველის მიერ ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მიუხედავად, 1800 წლისათვის ქვეყნის შემოსავლები თითქმის ორჯერ აჭარბებდა 1770 წლის შემოსავლებს. აღნიშნული ფაქტით დასტურდება, რომ საგარეო მტრისაგან მიყენებული ზიანისა და საშინაო გართულებების ფონზე, ქვეყნის ეკონომიკა მაინც სტაბილურობას ინარჩუნებდა.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის 80-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლები დაახლ. 10-ჯერ ჩამორჩებოდა ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერების ხანის შემოსავლებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ეპოქის ქართლ-კახეთში მხოლოდ 300 000 მოსახლე ითვლებოდა, მაშინ, როდესაც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სამეფოში 5 000 000 მცხოვრები ივარაუდება, გამოდის, რომ ქვეყნის ეკონომიკა სავალალო მდგომარეობაში ნამდვილად არ იყო.

ამჯერად შევადაროთ ქართლ-კახეთის სამეფოსა და თანადროული რუსეთის იმპერიის შემოსავლები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლ. 40 მილიონი რუბლის ფარგლებში იყო,[1083] ხოლო რუსეთის მოსახლეობა 30 მილიონს აღწევდა.

ამდენად, მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით, აღნიშნული ეპოქის ქართლ-კახეთისა და რუსეთის იმპერიის სახელმწიფო შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე თითქმის თანაბარი ყოფილა – ქართლ-კახეთის სამეფოშიც და რუსეთის იმპერიაშიც სახელმწიფო შემოსავლები ერთ მოსახლეზე დაახლ. 1,3 მინალთუნს/რუბლს შეადგენდა. აღნიშნული მონაცემებით დასტურდება, რომ რთული პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ქართლ-კახეთის ეკონომიკური განვითარება დაახლოებით რუსეთის იმპერიის ეკონომიკის დონეზე იდგა. თუმცა, დიდ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ პატარა ქართული სამეფოს საერთო შემოსავლები სრულად ვერ უზრუნველყოფდა მტრულ სახელმწიფოთა რკალში მოქცეული ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევების დაძლევას. ქვეყნის სიდიდის გათვალისწინებით კი, რუსეთის იმპერიის შემოსავლები სოლიდური იყო.

ამდენად, XVIII საუკუნის მიწურულს ქართლ-კახეთის სამეფოს სისუსტე, რუსეთის იმპერიასთან მიმართებით, მისი მასშტაბებით იყო გამოწვეული და არა ეკონომიკური განუვითარებლობით. მეორე მხრივ, ისიც აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთის სამე-

---

[1080] С. Н. Бурнашев. Картина Грузий или опйсание политического состояния царств Картлалического и кахетического, გვ. 5.

[1081] ერეკლე მეორის ეკონომიკური პოლიტიკისა და ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლების შესახებ ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 25-117, 125-133.

[1082] Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. I, გვ. 431.

[1083] И. Блиох. финансы России XIX столетия. Т. I. СПБ. 1882, გვ. 52.

ფო, ისევე როგორც თანადროული რუსეთი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით, დიდად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს.

სხვადასხვა ეპოქაში ერთიანი ქართული მონარქიისა და სამეფო-სამთავროთა სახელმწიფო შემოსავლების დინამიკამ გვიჩვენა, რომ თუ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ქართული მონარქია სახელმწიფო შემოსავლების მხრივ თანადროული მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების დონეს დიდად არ ჩამოუვარდებოდა, გვიანფეოდალურ ხანაში აბსოლუტურად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყნის რესურსები დროთა განმავლობაში სუსტდებოდა. გარკვეულ პროგრესს კი XVIII საუკუნის ბოლო მესამედში ჰქონდა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ეპოქაში ეკონომიკური განვითარების მხრივ აღმოსავლეთ საქართველო მეზობელ დიდ სახელმწიფოებს თითქმის არ ჩამოუვარდებოდა,[1084] იმდროინდელ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან შედარებით, მნიშვნელოვან ჩამორჩენასთან გვაქვს საქმე.

ერთიანი ქართული მონარქიისა და ქართული სამეფო-სამთავროების სახელმწიფო შემოსავლები:

თარიღი	**სამეფო**	**შემოსავლების ოდენობა თანადროული ფულადი ერთეულების გათვალისწინებით**	**შემოსავლების ოდენობა 3-გრამიანი დრამის/აბაზის და მინალთუნის/რუბლის გათვალისწინებით**	**წყარო**
XII-XIII სს. მიჯნა	ერთიანი ქართული მონარქია	500 მონღოლური თუმანი	21 500 000 დრამა, ანუ 4 300 000 მინალთუნი/ რუბლი	ყაზვინი: 23
XVII ს. 70-იანი წწ.	სამეგრელოს სამთავრო	20 000 ეკიუ	200 000 აბაზი, ანუ 40 000 მინალთუნი/რუბლი	ჟშმ: 126
XVII-XVIII სს. მიჯნა	ქართლის სამეფო	დაახლ. 3700 თუმანი	დაახლ. 450 000 აბაზი, ანუ 90 000 მინალთუნი/რუბლი	ტმს: 63
1770	ქართლ-კახეთის სამეფო	დაახლ. 12-15 ათასი თუმანი	600 000-750 000 აბაზი, ანუ 120 000-150 000 მინალთუნი/რუბლი	ქსძ. II: 422; Грамоты. I: 187
1780-იანი წწ.	ქართლ-კახეთის სამეფო	400 000 მინალთუნი/რუბლი	2 000 000 აბაზი	Бурнашев: 5
1800	ქართლ-კახეთის სამეფო	240 000 მინალთუნი	1 200 000 აბაზი	Акты. I: 431

[1084] მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში არ წარმოგვიდგენია XVIII საუკუნის II ნახევრის ირანისა და ოსმალეთის ეკონომიკური ვითარება, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ქვეყნები, თავის მხრივ, რეგრესს განიცდიდნენ.

XVI. ინფლაციის დონე საქართველოში ფეოდალური ეპოქიდან დღემდე

იმისათვის, რომ სრულყოფილად გავიაზროთ ფეოდალურ საქართველოში არსებული ფასები, მოკლედ შევეხებით ინფლაციის დონეს. ფეოდალური ეპოქიდან დღემდე, ინფლაციის მიახლოებითი განსაზღვრისათვის, თვალი გავადევნოთ საკვები პროდუქტების, შინაური ცხოველებისა და შენობა-ნაგებობების ფასების დინამიკას.

საკითხის გამოსარკვევად უპირველესად, აუცილებელია ფეოდალურ ეპოქასა და თანამედროვე საქართველოში მიმოქცევაში არსებული ფულის პირობითი შედარება. როგორც ზემოთ აღინიშნა, X საუკუნესა და XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში მოჭრილი 3-გრამიანი ვერცხლის მონეტები (დრამები და სირმა-აბაზები) ბარტოლდის, ივ. ჯავახიშვილის, ექ. თაყაიშვილის და სხვა ავტორების მიერ შედარებულია XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის (I მსოფლიო ომამდე) რუსულ ფულთან და 5 დრამა/სირმა-აბაზი მისადაგებულია 1 რუსულ რუბლთან/მანეთთან. როგორც ვნახეთ, XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნეში 2,9-გრამიანი 5 სირმა-აბაზი 1 რუბლის ეკვივალენტური იყო. ამდენად, 3-გრამიანი დრამა/აბაზი 20 კაპიკის ტოლფასი იყო. I მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, რუსული რუბლის კურსი მკვეთრად დაეცა. მოგვიანებით, აღნიშნული ფული ჩანაცვლდა ჯერ ქართული ბონებით, შემდგომ – საბჭოთა მანეთით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მანეთების ნაცვლად, საქართველოში მიმოქცევაში შემოვიდა ჯერ დროებითი ფული – კუპონი, ხოლო 1995 წლიდან ლარი. ფეოდალურ და თანამედროვე ფულის ერთეულებს შორის არნახული მსყიდველობითი განსხვავების მიუხედავად, პირობითად, 5 დრამის, ანდაც 5 სირმა-აბაზის, ანუ 1 მინალთუნის ეკვივალენტად თანამედროვე 1 ლარი უნდა მივიჩნიოთ. ერთი სიტყვით, X საუკუნის 1 დრამა ან XVIII საუკუნის II ნახევრის 1 აბაზი თანამედროვე 20 თეთრის მსგავს თანხად უნდა ჩაითვალოს, ხოლო XVII საუკუნის და XVIII საუკუნესა დასაწყისში მოჭრილი 7,5-გრამიანი აბაზები – დაახლ. 50 თეთრის ეკვივალენტურად.

ინფლაციის დონის გამოსარკვევად, თავდაპირველად, შევეხებით ხორბლის ფასს. როგორც აღინიშნა, XI საუკუნიდან XVIII საუკუნის I ნახევრამდე 1 კგ. ხორბალი ფასობდა საშუალოდ, 0,20-0,22 გრამ ვერცხლად. შესაბამისად, 3-გრამიანი მონეტით შესაძლებელი იყო დაახლ. 14-15 კგ.-ის შეძენა, ხოლო 5 სამგრამიანი დრამით – 70-75 კგ-ის შეძენა. XVIII საუკუნის II ნახევრის ფასებით კი, 5 სირმა-აბაზით საშუალოდ, 50 კგ. ხორბლის ყიდვა შეიძლებოდა. თანამედროვე საქართველოში კი 1 ლარით მხოლოდ 1,5 კგ-ის შეძენაა შესაძლებელი. ამდენად, ინფლაციის დონე XI-XVII საუკუნეების ფასებთან მიმართებით გამოდის 45-50-ჯერადი, ხოლო XVIII საუკუნის II ნახევრის მიმართებით, დაახლოებით 33-ჯერადი.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხორბალი (პური) ფეოდალურ ეპოქაში უმთავრეს საკვებ პროდუქტს წარმოადგენდა, შესაბამისად, თანამედროვე და გან-

სახილველი ეპოქის ფასებს შორის საშუალო სხვაობის დასადგენად, მხოლოდ ხორბლის ფასების მონაცემს არ უნდა დავეყრდნოთ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, XVIII საუკუნის II ნახევარში 3,6 კგ. ლობიო 1 სირმა-აბაზად ფასობდა. დღევანდელი ფასებით, 3,6 კგ. ლობიოს ღირებულება შეადგენს დაახლ. 14,5 ლარს. ამ შემთხვევაში სხვაობა 70-ზე მეტია.

XVIII საუკუნის II ნახევარში 1 იმდროინდელი ლიტრა, ანუ 3,6 კგ. თაფლი 3,5 აბაზი ღირდა, ხოლო X-XI საუკუნეებში კიდევ უფრო იაფი. დღევანდელი ფასებით, 3,5 კგ. ნატურალური თაფლის ღირებულება საშუალოდ, 90-100 ლარია. თაფლის ფასებს შორის სხვაობა 130-140-ჯერადია, ხოლო X-XI საუკუნეების თაფლის ფასთან მიმართებით კიდევ უფრო მეტია.

1780-იანი წლების თბილისში 1 ლიტრა, ანუ 3,6 კგ. ყველის ღირებულება იყო 1-1,2 აბაზი. დღეის მონაცემებით, 3,6 კგ. ყველის საშუალო ფასი შეადგენს 25-30 ლარს. ეპოქებს შორის ფასთა განსხვავება უდრის 100-150-ს.

XVIII საუკუნის II ნახევარში 1 აბაზით ყიდულობდნენ იმდროინდელ 3,3 ლიტრა, ანუ 12 კილოგრამ ატამს. 12 კილოგრამი ატმის შესაძენად, დღეისათვის დაახლ. 24-30 ლარია საჭირო. შესაბამისად, ფასებს შორის სხვაობა არის 120-150.

XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისში დაახლ. 10 კგ. ყურძენი 1 აბაზად ფასობდა. დღეის მონაცემებით კი, თბილისში აღნიშნული ოდენობის ყურძნის ღირებულება შეადგენს დაახლ. 15-20 ლარს. ინფლაცია ამ შემთხვევაში 75-100-ჯერადი გამოდის.

როგორც ვხედავთ, ხორბლის ფასებისაგან განსხვავებით, ზოგადად, საკვები პროდუქტების XVIII საუკუნის II ნახევრის და თანამედროვე ფასებს შორის განსხვავება საშუალოდ, ასმაგია, ხოლო XVIII საუკუნის II ნახევრამდელ ეპოქასთან მიმართებით, განსხვავება კიდევ უფრო დიდია.

რაც შეეხება შინაური ცხოველებისა და ხორცპროდუქტების ფასებს, XVIII საუკუნის II ნახევარში ძროხა საშუალოდ, 4 მინალთუნად (20 აბაზად), ცხვარი 1 მინალთუნად (5 აბაზად), ხოლო 3,6 კილოგრამი ხორცი 1 აბაზად იყიდებოდა. დღევანდელი მონაცემებით კი, ძროხის საშუალო ღირებულება შეადგენს 1000 ლარს, ცხვრის – 200 ლარს, ხოლო 3,6 კგ. ხორცის – 50 ლარს. შესაბამისად, ინფლაციის დონე ძროხის შემთხვევაში, უდრის 250-ს, ცხვის – 200-ს, ხოლო ხორცის – 250-ს. როგორც აღინიშნა, XI-XIII საუკუნეებში შინაური ცხოველის ფასები ჩამორჩებოდა XVIII საუკუნის ფასებს. ამდენად, აღნიშნულ ეპოქასთან შედარებით, ინფლაციის დონე კიდევ უფრო მაღალი, დაახლ. 300-ჯერადი, გამოდის.

ბოლოს შევადარებთ XVIII საუკუნისა და თანამედროვე ეპოქის თბილისში უძრავი ქონების ფასებს. როგორც უკვე აღინიშნა, XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისის სახლების დაახლ. 1 კვ. მეტრი იყიდებოდა 2-3 მინალთუნად (10-15 აბაზად). თანამედროვე მონაცემებით კი, თბილისში 1 კვ. მეტრის საშუალო ღირებულებად 1500 ლარი მაინც უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, უძრავ ქონებასთან მიმართებით, ინფლაციის დონე დაახლ. 500-750-ს უდრის.

თუ შევაჯერებთ XVIII საუკუნის II ნახევრისა და თანამედროვე საქართველოში ფასებს შორის განსხვავებას, შემდეგ სურათს მივიღებთ: საკვები პროდუქტების შემთხვევაში, საშუალო ინფლაციის დონე უდრის 100-ს, შინაური ცხოველებისა და ხორცპროდუქტების შემთხვევაში – 250-ს, ხოლო საცხოვრებელი სახლის 1 კვ. მე-

ტრის ფასებთან მიმართებით – 500-750-ს. ყველა მონაცემის გათვალისწინებით, XVIII საუკუნის II ნახევრის 1 მინალთუნის, ანუ 5 აბაზის მსყიდველუნარიანობა თანამედროვე 1 ლართან შედარებით, საშუალოდ, 200-250-ჯერ მაღალი ყოფილა, ხოლო X-XIII საუკუნეების, პირობითად, 5 დრამის/თეთრის მიმართებით განსხვავება სულ მცირე 300-ჯერადი გამოდის.

ამჯერად, ინფლაციის მიახლოებითი დონის გათვალისწინებით, ნაშრომში განხილულ სხვადასხვა თანხას პირობითად შევადარებთ თანამედროვე ფასებს: XIII საუკუნის შუა ხანებში 65 000 თეთრად (თეთრი=2,7 გრ.) შეძენილ სოფელ ხოვლეს 3-გრამიან მონეტებში გამოხატული ღირებულება უდრის 58 500-ს, ანუ გვიანდელ 11 700 მინალთუნს. ინფლაციის დონის (300-ჯერადი) გათვალისწინებით, აღნიშნული თანხა პირობითად, თანამედროვე 3 510 000 ლარის ტოლფასია; XIII-XIV საუკუნეებში 1 გლეხის სისხლის ფასი – 400 თეთრი (თეთრ=3,7 გრ.), ანუ გვიანდელი დაახლ. 100 მინალთუნი, თანამედროვე – 30 000 ლარის ეკვივალენტურია, ხოლო ვახტანგ VI-ის ეპოქის გლეხის სისხლის ფასი – 12 თუმანი, ანუ სირმა-აბაზის კურსით, დაახლ. 300 მინალთუნი, დღევანდელი 75-90 ათასი ლარის ტოლფასია. სწორედ აღნიშნულ ფასად იყიდებოდა გლეხის ოჯახი და მისი „ფუძე“ დასახელებულ ეპოქაში. რაც შეეხება თავადების სისხლის ფასს, ვახტანგის მიერ I ხარისხის თავადისათვის განსაზღვრული 1536 თუმნის, ანუ სირმა-აბაზის კურსით, დაახლ. 38 500 მინალთუნის მსყიდველუნარიანობა თანამედროვე 11 მილიონი ლარის მსყიდველუნარიანობას აჭარბებს. ხოლო, აღნიშნულ ეპოქაში დიდი სათავადოს ქონების – 20-35 ათასი თუმნის, ანუ სირმა-აბაზის კურსით, 500000-875000 მინალთუნის რეალური ღირებულება თანამედროვე 150-250 მილიონ ლარზე მეტია.

თამარის მიერ ათონის ქართველთა მონასტრისათვის შეწირული სტავრის სამოსის ღირებულება 20 დრაჰკანი, ანუ 260 დრამა, თანამედროვე 15 000 ლარზე მეტია, ხოლო 18 თუმნად შეფასებული ერეკლე II-ის სამოსის ღირებულება თანამედროვე 45 000 ლარის ეკვივალენტურია. ერეკლე II-ისავე კუთვნილი „ხანჯალი მურასა მინა[ნ] ქარი მარგალიტის ფოჩით“, რომელიც 90 თუმნად იყო შეფასებული, თანამედროვე 200 000 ლარზე მეტი ღირებულების გამოდის.

საინტერესოა გრანდიოზული ნაგებობების ასაგებად გაღებული თანხის შედარება თანამედროვე ფულთან. ოშკის, თუ სხვა დიდი ტაძრების აგებისათვის საჭირო 1 მილიონამდე დრამის, ანუ გვიანდელი 200 000 მინალთუნის მსყიდველუნარიანობა, ინფლაციის დონის (1:300-თან) გათვალისწინებით, 60 000 000 ლარს უტოლდება. ხოლო, დარეჯან დედოფლის მიერ ქოლაგირის ციხის ასაგებად (მშენებლობის დასაცავად დაქირავებული ჯარისკაცების ჯამაგირის ჩათვლით) გაღებული 5000 თუმანი, ანუ 50 000 მინალთუნი, თანამედროვე 12 მილიონ ლარზე მეტია.

რაც შეეხება ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობის თანახმად XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სახელმწიფოს ყოველწლიურ შემოსავლებს – 500 მონღოლურ თუმანს, რაც ჩვენი ვარაუდით, დაახლ. 21 500 000 დრამას (გვიანდელი 4 300 000 მინალთუნს) შეადგენდა, თანამედროვე 1 მილიარდ 300 მილიონამდე ლარის ტოლია. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფეოდალურ ეპოქაში, ზოგადად, ფულის მიმოქცევის მასშტაბები მცირე გახლდათ, ასევე ნაკლები იყო ადამიანური საჭიროებები, შესაბამისად, თანამდეროვე ეპოქასთან შედარებით დანახარჯებიც მცირე იყო.

ძირითადი დასკვნები

ხორბლეულის, როგორც ძირითადი საკვები პროდუქტის წარმოებას ფეოდალურ მეურნეობაში დიდი ადგილი ეკავა. ამ თვალსაზრისით, საქართველო თვითკმარ ქვეყანას წარმოადგენდა. ზოგადი ცნობები მარცვლეული კულტურების უხვმოსავლიანობაზე მეტყველებს. XI საუკუნიდან დაწყებული XVIII საუკუნის I მესამედის ჩათვლით, გარკვეული გამონაკლისების გარდა, როდესაც სახეზე გვაქვს დროებითი გაძვირების ფაქტები, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხორბლის ფასი დაახლოებით თანაბარი იყო და 1 კგ.-ის ღირებულება მერყეობდა საშუალოდ, 0,17-0,25 გრამი ვერცხლის არეალში.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, რამდენადმე განსხვავებულ სურათს ვხვდებით. ერთიანი ქართული სამეფოს არსებობის დროს, დასავლეთ საქართველოში ხორბლის ფასი საქართველოს სხვა რეგიონებში არსებული ფასისაგან დიდად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო. საპირისპიროდ, XVI-XVII საუკუნეებსა და XVIII საუკუნის I ნახევარში დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოს ფასთან შედარებით, ხორბალი სულ მცირე 2-ჯერ ძვირად ფასობდა. ეს პროცესი უმთავრესად, გამოწვეული უნდა ყოფილიყო საქართველოს ამ ორი ორგანული ნაწილის ეკონომიკური გახლეჩით – აღმოსავლეთ საქართველო ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, დასავლეთ საქართველო ოსმალეთის. ასეთ პირობებში უხვმოსავლიან აღმოსავლეთ საქართველოში ხორბალი სტაბილურ ფასს ინარჩუნებდა, თუმცა, ჩანს, ძალზე შესუსტდა დასავლეთ საქართველოში ხორბლის შეტანა, რამაც ძირითადი საკვები პროდუქტის ფასთა შორის დიდი განსხვავება გამოიწვია. აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას უკიდურესად მძიმე ყოფაში უწევდა ცხოვრება და ქვედა ფენების ძირითად საკვებს ღომი წარმოადგენდა. სავარაუდოა, რომ XVI-XVIII საუკუნეების ვითარებისგან განსხვავებით, ერთიანი საქართველოს სამეფოს დროს, მოსახლეობის შედარებით დიდი ნაწილი იკვებებოდა ხორბლით. XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ხორბლის ღირებულება უკვე დაუახლოვდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ფასს. ამ შემთხვევაში, ფასების გათანაბრება ქვეყნის ორ რეგიონს შორის კავშირ-ურთიერთობის აღდგენას უნდა გამოეწვია.

რაც შეეხება საქართველოს „ხორბლის ბეღელად“ წოდებულ სამცხე-საათაბაგოს, XVII საუკუნემდე, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, ფასები სტაბილური ჩანს. ოსმალეთის მიერ რეგიონის დაპყრობის შემდეგ, XVII საუკუნიდან, ვხედავთ ფასების ზრდის ტენდენციას, რაც ოსმალეთში მიმდინარე პროცესების გამოძახილი უნდა ყოფილიყო.

ხორბლისა და, ზოგადად, მარცვლეული კულტურების ფასის სტაბილურობის მხრივ, ყველაზე მდგრადი მუდმივად საომარ ვითარებაში მყოფი აღმოსავლეთ საქართველო აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ნაყოფიერი მიწების გარდა, მეურნეობის მაღალი დონის შესანარჩუნებლად, სახელმწიფოებრიობის უწყვეტობა გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

ამდენად, XI საუკუნიდან XVIII საუკუნის I მესამედის ჩათვლით, ხორბლის ფასის მხრივ, ინფლაცია პრაქტიკულად არ ჩანს. საქართველოს არ შეხებია ე.წ. „ფასების რევოლუცია“, რადგან განსახილველ საუკუნეებში ქვეყანაში არ მომხდარა რადიკალური გარღვევა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, საწარმოო და ტექნოლოგიური საშუალებების მცირე პროგრესისა და ფეოდალური მეურნეობის პირობებში, ნორმალურ ვითარებაში, ინფლაციის მაჩვენებელი მაღალი არც უნდა ყოფილიყო. მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევარში ვხვდებით 30-40%-იან ინფლაციას, რაც ფულის მასის ზრდას, საქალაქო ცხოვრების განვითარებასა და მსგავს ფაქტორებს უნდა გამოეწვია.

ფეოდალური ეპოქის საქართველოში, ხორბალთან ერთად, ღვინო სიმდიდრის დაგროვების მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ეს კი განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: ძველ საქართველოში ღვინოს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი ეკავა. ის არა მარტო დღესასწაულებსა და სალხინო თუ სამგლოვიარო სუფრაზე გამოიყენებოდა, არამედ პირველადი მოხმარების საგანს წარმოადგენდა. ღვინო იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას სამხედრო მობილიზაციის პირობებშიც კი მოიხმარდნენ. უფრო მეტიც, სახელმწიფო ავალდებულებდა მოსახლეობას, რომ სალაშქროდ, სურსათ-სანოვაგის მარაგთან ერთად, გარკვეული რაოდენობის ღვინო აუცილებლად წაეღოთ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, საუბარია ყოველდღიურ მინიმალურ ოდენობაზე.

XIII საუკუნის შუა ხანებში საქართველოს რეგიონებში 1 ლიტრი ღვინის ფასი იყო 0,37-0,45 გრამი ვერცხლი, დიდ ქალაქებში დაახლ. 0,50-0,55 გრამი, ხოლო XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში სოფლად, საშუალოდ – 0,40 გრამი, თბილისში კი – 0,50-0,55 გრამი. სიძვირის პირობებში კი ლიტრის ფასი 1 გრამ ვერცხლამდე ძვირდებოდა. აღნიშნული ფასები უმთავრესად, აღმოსავლეთ საქართველოს ეხება.

რაც შეეხება ქვეყნის სხვა მხარეებს, XVI საუკუნის მიწურულს ახალციხის საფაშოში ღვინოს დაახლოებით ანალოგიური ფასი ჰქონდა. XVII საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოში ღვინო მკვეთრად გაიაფებულა და ლიტრის ფასი გამხდარა 0,2 გრამი ვერცხლი. აღნიშნულ რეგიონებში ღვინის გაიაფება ოსმალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ განაპირობა – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ისლამის დამკვიდრებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მევენახეობის განვითარებაზე, ხოლო დასავლეთ საქართველოში ღვინის ფასზე დიდად იმოქმედა აღმოსავლეთ საქართველოსთან კავშირის გაწყვეტამ, რაც განპირობებული იყო ოსმალეთის ეკონომიკური პოლიტიკით.

XVIII საუკუნის II ნახევარში, წინა ეპოქასთან შედარებით, აღმოსავლეთ საქართველოში ღვინო გაძვირდა და თბილისში 1 ლიტრა 0,8 გრამ ვერცხლად ფასობდა. ამდენად, ისევე როგორც ხორბლის შემთხვევაში, ღვინის ფასი დაახლ. 40%-ით გაიზარდა. გაძვირება, ამჯერადაც, ფულის მასის ზრდას, საქალაქო ცხოვრების განვითარებას და სხვა ფაქტორებს უნდა გამოეწვია.

ზოგადად, ფეოდალურ საქართველოში ხორბლისა და ღვინის ღირებულება, თანადროულ მეზობელ დიდ სახელმწიფოებსა და დასავლეთ ევროპაში არსებულ ფასებთან შედარებით, დაბალი იყო.

ცხენის ღირებულების განხილვამ გვიჩვენა, რომ XI-XVIII საუკუნეებში საქართველოში მისი ფასი ძალიან მაღალი იყო. საშუალო ღირსების საბრძოლო ცხენი XI-XIII საუკუნეებში 15-23 ოქროს დრაჰკანი, ანუ 600-900 გრამი ვერცხლი ღირდა, მარქაფა და საბარგო ცხენები კი – 6-2 დრაჰკანი. XVIII საუკუნეშიც ანალოგიურად, ცხენის საშუალო ღირებულება 450-1450 გრამი ვერცხლის (3-10 თუმანი) ფარგლებში მერყეობდა, ხოლო ყველაზე იაფი ცხენის ფასი დაახლ. 75-300 გრამი ვერცხლი (0,5-2 თუმანი) იყო.

ხარ-კამეჩისა და ძროხის ფასებს რაც შეეხება, შემდეგ სურათს ვხვდებით: XI-XIV საუკუნეებში ხარის საშუალო ფასი 2-3 პერპერა/დრაჰკანი, ანუ დაახლ. 100 გრამი ვერცხლი იყო. ხარსა და კამეჩს შუა საუკუნეებში თანაბარი ფასი ჰქონდა, ხოლო ძროხას – ორჯერ ნაკლები. ამდენად, ძროხის ფასად უნდა მივიჩნიოთ 1-1,5 დრაჰკანი, ვერცხლზე გადაყვანით – 40-60 გრამი. XVIII საუკუნის II ნახევარში ხარი ღირდა 8-10 მინალთუნი (დაახლ. 115-145 გრამი ვერცხლი), ხოლო ძროხა – 3-6 მინალთუნი (დაახლ. 45-90 გრამი ვერცხლი). ამდენად, XI-XIV საუკუნეებთან შედარებით, XVIII საუკუნეში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფასი გარკვეულწილად გაიზარდა.

რაც შეეხება სხვა საკვები პროდუქტების ფასებს, X საუკუნიდან XVIII საუკუნემდე, ზოგიერთი მათგანის ღირებულება უცვლელი იყო, ხოლო ზოგიერთის, ისევე როგორც ხორბლისა და ღვინის შემთხვევაში – გაზრდილი.

ნაშრომში ცალკეა განხილული ტანისამოსისა და ქსოვილების ღირებულება. ფეოდალურ საქართველოში აღნიშნული პროდუქციის დიდ ნაწილს ადგილზე ამზადებდნენ, ხოლო ნაწილი იმპორტირებული იყო. უცხოეთიდან შემოტანილი სამოსი და ქსოვილები ზედა ფენისათვის იყო განკუთვნილი, მაშინ როდესაც გლეხები ადგილობრივ პროდუქციას იყენებდნენ. შესაბამისად, ფასებიც დიდად განსხვავებული იყო. მაგალითად, XVIII საუკუნის II ნახევარში თუ გლეხის ღარიბული ტანსაცმლის შეძენა პირობითად, 1-2 ცხვრის ფასად, ანუ 3-10 აბაზად (აბაზი=2,9 გრ.) შეიძლებოდა, თავადის ერთი ხელი ტანისამოსის ღირებულება საშუალოდ, 7-10 თუმანს, ანუ 350-500 აბაზს შეადგენდა, ხოლო ზოგიერთი გამორჩეული სამოსის ფასი 20 თუმანსაც (1000 აბაზს) აჭარბებდა. ანალოგიურად, დიდი იყო განსხვავება ქსოვილის ფასებს შორისაც. მაგალითად, ქვედა ფენების 1 ტანი, ანუ 3-4 მეტრი სიგრძის ტანისამოსის ქსოვილის ფასი ყოფილა 2-2,5 აბაზი, მაშინ, როდესაც მხოლოდ 1 მეტრ ძვირადღირებულ ქსოვილს 30 აბაზზე მეტი ფასი ჰქონდა.

ნაშრომში საგანგებოდაა შესწავლილი XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები. როგორც კვლევამ გვიჩვენა, XVI საუკუნის შუა ხანებიდან აშკარაა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების კლების ტენდენცია, მისი უკიდურეს ნიშნულამდე დაყვანა და იმპორტულ, პირველადი მოხმარებისათვის საჭირო საქონლზე ფასების ზრდა. შედეგად, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შემოსავლის მიღების ძირითად წყაროდ „ტყვეთა სყიდვა“ იქცა. ყოველივე ეს დაკავშირებული იყო ოსმალეთის პოლიტიკასთან – დასავლეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობა მთლიანად ოსმალეთის სახელმწიფოს დაექვემდებარა, რითაც დაირღვა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური კავშირები. პროცესი მყარდებოდა დასავლეთ საქართველოს მეზობლად ოსმალეთის იმპერიის გაბატონების კვალდაკვალ და ამავე საუკუნის ბოლო მეოთხედში უკვე ჩამოყალიბებული სახე მიიღო. შექმნილი ეკონომიკური რეალობა გაგრძელდა

XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში. იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობამ ფართო ხასიათი მიიღო და მის შესუსტებას ადგილობრივი ხელისუფლება ვეღარ ახერხებდა, სწორედ მოცემული ეკონომიკური ვითარება განაპირობებდა.

დასავლეთ საქართველომ ოსმალეთის ეკონომიკურ იზოლაციას თავი XVIII საუკუნის II ნახევარში დააღწია. აღნიშნულ პერიოდში აღდგა სრულფასოვანი კავშირი ქართლ-კახეთთან, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაზეც აისახა – გაიზარდა ადგილობრივი პროდუქციის ფასები და შემცირდა იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება. მართალია, დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის მიწურულისათვის სასურველ განვითარების დონესთან მიახლოებული არ იყო, მაგრამ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის აღდგენა დადებითად მოქმედებდა ეკონომიკის განვითარებაზე, რაც თავის მხრივ, შესაძლებელს ხდიდა ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვას.

სამხედრო შეიარაღებისა და წიგნის ღირებულების დინამიკამ გვიჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებისაგან განსხვავებით, XI–XIII საუკუნეების ფასებთან შედარებით, გვიან ფეოდალურ ეპოქაში მათი ღირებულება მცირდებოდა. ამდენად, დროთა განმავლობაში, ვხედავთ ხელოსნურ-მანუფაქტურული ნაწარმის გაიაფების პროცესს, რაც განვითარებული მსოფლიოს ტენდენციას წარმოადგენდა. როგორც ჩანს, პოლიტიკურად არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ტექნოლოგიური პროგრესი ნელი ტემპებით საქართველოშიც აღწევდა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ XVI–XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში შექმნილ სპეციფიკურ ეკონომიკურ ვითარებას, ფაქტობრივი მონაცემით ირკვევა, რომ გლეხისა და მისი „ფუძის“ საბაზრო ღირებულება XI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე, საშუალოდ, 2,5-3-ჯერ გაზრდილა. გლეხისა და საგლეხო ფუძის ფასის ზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელი უნდა იყოს.

XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის ფეოდალების საკუთრებაში არსებული ყმა-გლეხებისა და უძრავი ქონების ფასების შესწავლის შედეგად, შემდეგი სურათი გამოიკვეთა: გაუყრელი დიდი სათავადო სახლების უძრავი ქონების ღირებულება 20-35 ათასი თუმანი იყო, „შუა თავადების“ ქონების ღირებულება – დაახლ. 2000-4000 თუმანი, „მესამე თავადების“ ქონების ღირებულება – დაახლ. 1000 თუმანი და უფრო ნაკლები; „გადიდებულ აზნაურების“ ქონების ღირებულება – საშუალოდ, 250-500 თუმანი, „შუა აზნაურების“ ქონების ღირებულება – საშუალოდ, 100-200 თუმანი, „ცალმოგვი აზნაურების“ ქონების ღირებულება – საშუალოდ, 40-100 თუმანი და უფრო ნაკლები.

XVIII საუკუნის II ნახევარში კი დიდ ფეოდალთა ქონება მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც, ძირითადად, მათ წინააღმდეგ ერეკლე II-ის მიერ გატარებული პოლიტიკით იყო განპირობებული.

ქართლ-კახეთის სამეფოში სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირთა შემოსავლების განხილვამ გვიჩვენა, რომ მათი ანაზღაურება (ფულადი და ნატურალური პროდუქტების სახით) 80 მინალთუნიდან 8000 მინალთუნამდე მერყეობდა.

ისევე როგორც გლეხის და საგლეხო ფუძის ღირებულების შემთხვევაში, ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა გლეხების, მსახურებისა და ფეოდალების სისხლის

ფასებიც. რაც შეეხება ვაჭრების სისხლის ფასებს, XIII-XIV საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე მათი ფასი არათუ გაიზარდა, ოდნავ შემცირდა კიდეც.

XVIII საუკუნის წყაროებზე დაყრდნობით, თბილისში სახლების, დუქნების, ქარვასლების, აბანოებისა და ქალაქის განაპირა ბაღების ღირებულება ასე გამოიყურებოდა: თბილისელი მოქალაქეების სახლები 30-დან 100 თუმნამდე ფასობდა, ხოლო ღარიბი მოსახლეობის სახლები – დაახლ. 10 თუმნად. დიდ ფეოდალთა მდიდრული სახლები კი 100 თუმანზე გაცილებით ძვირი ღირდა; დუქნების უმეტესობის ფასი 10 თუმნიდან 50 თუმნამდე მერყეობდა, ხოლო ზოგიერთი მათგანის ფასი 80 თუმანიც ყოფილა; მანუფაქტურული ტიპის საწარმოს – თბილისის მთავარი სამღებროს ერთი წლის საიჯარო ფასი 700 თუმნით, ანუ 7000 მინალთუნით განისაზღვრებოდა; საშუალო სიდიდის ქარვასლა 127 თუმნად ფასობდა; აბანოების ღირებულება 500 თუმანს აღწევდა; ქალაქის განაპირა ბაღების ღირებელება კი 15 თუმნიდან 120 თუმნამდე მერყეობდა.

რაც შეეხება XVIII საუკუნის II ნახევარში ხელოსნებისა და მუშების ხელფასს, შემდეგ ვითარებას ვხედავთ: თბილისში კალატოზებისა და სხვა ხელოსნების დღიური გასამრჯელო 3-5 აბაზს უდრიდა, მუშის დღიური ჯამაგირი – 1-1,25 აბაზს.

მასშტაბური ნაგებობების აგების დანახარჯების განხილვამ ცხადყო, რომ გამორჩეული სასახლის მშენებლობისათვის 40 000 დრაჰკანი, ანუ დაახლ. 500 000 დრამა ყოფილა საჭირო, ხოლო ოშკის ტაძრის მშენებლობისათვის – 1 მილიონამდე დრამა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოებრიობის გაუქმების წინა პერიოდშიც კი, სამეფოში გრანდიოზული ნაგებობების მშენებლობა არ შეწყვეტილა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ დამკვიდრებული მოსაზრება, თითქოს XVIII საუკუნეში ქართულ სახელმწიფოებრიობას ეკონომიკური საფუძველი გამოცლილი ჰქონდა, გადასინჯვას მოითხოვს.

ერთიანი ქართული სამეფოსა და სხვადასხვა ეპოქის ქართული სამეფო-სამთავროების სახელმწიფო შემოსავლებს რაც შეეხება, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობაზე დაყრდნობით, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, სავარაუდოდ, მოხარკე ქვეყნების მიერ გადახდილი ხარკის გარეშე, საქართველოს სამეფოს შემოსავალი შეადგენდა 21 500 000 ოთხდანგიან დრამას. მომდევნო საუკუნეებში კი ქართული სამეფო-სამთავროების შემოსავლები ქვეყნის დაშლისა და მოსახლეობის შემცირების გამო, იკლებდა. გარკვეულ პროგრესს ვხვდებით XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში – XVIII საუკუნის 80-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავალი შეადგენდა 400 000 მინალთუნს. დასახელებული თანხა დაახლ. 10-ჯერ უფრო ნაკლები იყო XII-XIII საუკუნეების ერთიანი სამეფოს შემოსავლებთან შედრებით. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ეპოქის ქართლ-კახეთში მხოლოდ 300 000 მოსახლე ითვლებოდა, მაშინ, როდესაც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სამეფოში 5 000 000 მცხოვრები ივარაუდება, გამოდის, რომ სახელმწიფოებრიობის გაუქმების წინა პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა სავალალო მდგომარეობაში ნამდვილად არ იყო.

ცხრილში მოცემული ლიტერატურის შემოკლებათა ძირითადი განმარტება:

აქმსწ = ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998.

გმ = გიორგი მთაწმინდელი. ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. თბ. 1946.

ატ = აბუსერიძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. თბ. 1941.

გვდდ = გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. წიგნი II. თბ. 1941.

გმს I = გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962.

გმს II = გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1964.

თიო = ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა. ტფ. 1913.

იაზ = ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008.

ისთახრი = ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებით და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა. თბ. 1937.

მთმ = გ. აკოფაშვილი. მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. მეორე ნახევარი – XIX ს. დამდეგი). კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966.

მსეი. I = მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. I (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938.

მსეი. III = მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. III. (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1955.

მქსსწ = მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ. 1948. ნაკვეთი I (26).

ოაქცშ = ნ. შენგელია. ოსმალური არზები ქუთაისის ციხის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა. VI. თბ. 1985.

ოდწარცშ = ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ. 1982.

ჟ = ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ. 2008.

ჟშმ = ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1975.

სეიძ II. = ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. II (XIII-XIX). თბ. 1974.

სს. II = საქართველოს სიძველენი. ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1909.

სს. III = საქართველოს სიძველენი. ტ. III. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1910.

სწძ. I = სვანეთის წერილობითი ძეგლები. I. ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ. თბ. 1986.

ტმს = ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1988.

ქდ = ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. მეორე გამოცემა. თბ. 1949.

ქისკ. I = ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984.

ქსძ. I = ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963.

ქსძ. II = ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965.

ქსძ. III = ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970.

ქსძ. IV = ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1972.

ქრონ = ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. II. ტფ. 1897.

ყაზვინი = ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებით და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა. თბ. 1937.

1574 გვდდ = 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ. 2016.

1728 თვდდ. I, II = 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ. თბ. 2009; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი II. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ. თბ. 2010.

XVI-XVIII ოდ. I = XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. წიგნი I. თბ. 1987.

Акты. II = Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. II. Тифлис, 1868.

Акты. V = Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Под ред. А. Д. Берже. Т. V. Тифлис, 1873.

Бурнашев = С. Н. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. Тифлис, 1896.

Грамоты. I = Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подъ редакцией А. А. Цагарели. Т. I. СПб. 1891.

Кавказ, 1858. № 86 = Н. Берзенов. О быте грузии старого. გაზ. Кавказ, 1858. № 86.

PRICES IN FEUDAL GEORGIA (THE 10TH-18TH CENTURIES)

Summary

The harvest of wheat and its price was very important during the Feudal Age. "Kartlis Tskhovreba" (Life of Kartli/History of Georgia) while mentioning the prosperity of state narrates: "and there was plenty of bread and wine in Kartli". According to the same text "shortage of bread" was considered as punishment of God.

Accounts are not informative for the prices on commodity in feudal Georgia. The price of the wheat is not an exception. But from the historical sources that we possess some conclusions could be drown. The oldest indirect account about the price of wheat is preserved in "Nikortsmindeli's Charter" which is dated to the 2nd half of the 11th century. Based on the information of this document it is possible approximately to calculate the price of wheat.

Ivane Javakhishvili was the first who paid attention to the prices on commodity based on "Nikortsmindeli's Charter" and his one of the earliest works – "Economic History of Georgia" (Tpilisi, 1907) – contains the accounts concerning prices. The whole information is arranged by clauses. Prices of arable land and plough are calculated in equivalent to money of his period. But the author do not mentions the price of wheat.

Ivane Javakhishvili again started collection of information concerning the prices in Medieval Georgia but this material is not published yet. The handwritten is preserved in his personal archive and is kept in Korneli Kekelidze National Center of Manuscripts.

Mamuka Tsurtsumia recently has paid attention to the prices that "Nikortsmindeli's Charter" contains.

According to our calculation in the 11th century Racha the price for 1 kg wheat was approx. 0,20-0,22 gr. silver.

It is disappointing that during the following four centuries since "Nikortsmindeli's Charter" there is no direct of indirect accounts about wheat prices.

Ottoman Census Books (defters) provide important information about wheat prices from the 16th century onwards. In this case we pay attention to three of them, those are: 1. The Great Defter of Gurcistan Vilayet of 1574; 2. The Great Defter of Gurcistan Vilayet of 1595; 3. The Great Defter of Tbilisi Vilayet of 1728. Accounts preserved in those three Ottoman Census Books could shed some light on the wheat prices in Georgia from the 16th to the first third of the 18th century.

Our observation on Ottoman Census Books shows that the price of one kg wheat in the 16th century South-East Georgia was approx. 0,20-0,23 gr. silver.

The same price was in Kartli in the first half of the 18th century. Wheat was approx. twice more expensive in West Georgia than in the other parts of Georgia.

The rich information is accumulated about prices on commodity in the historical sources of the midst and second half of the 18th century (stories by foreign travelers in Georgia, historical documents and historical texts). The price on wheat is a little more increased in the second half of the 18th century and the average price for one kg wheat was 0,28 gr. silver.

In addition, I should emphasize that assessment of the price of wheat throughout the centuries is quite nominal and does not include all exceptions. The prices on wheat and other commodity in certain situations were changeable. The powerful natural disasters, warfare, heavy tributes imposed by the conquerors and other factors had impact not only on the prices but, generally, over stability of country's economy. All these are indicated in the historical sources and in certain cases we see increase of price double or threefold, or even more. The book includes also prices on wine, cereals and other commodities in Feudal Georgia. Prices on horses and other domestic animals are researched separately. Price for the good horse was 15-23 gold coins – *drahkans*. The price for the horse kept to be high in Late Feudal Epoch. Price for draught ox was 2-3 *drahkans* in 12th and 13th centuries.

The following part of the work is about prices on garment. The prices for lower class garment and upper class garment are indicated.

Study over the princes on commodities and garments reveals that the inflation was minimal during the feudal epoch. Observation of prices also shows that despite strained political situation agriculture was always stable.

We have quite different situation in Western Georgia. There was a specific economic condition in 15th-18th centuries. This issue is discussed in length.

The Ottoman Empire became neighbour of fragmented Georgia in the last quarter of the 15th Century. The roads that connected western and eastern countries were under Ottoman control. According to 1555 peace treaty of Amasya, western Georgian states were under Ottoman dominion and East Georgia was under Iranian rule. Economic union collapsed between those two parts of Georgia. Ottomans were in full control of customs on the roads leading from West Georgia to other countries.

The Ottomans were interested in economic hardship of Western Georgian population in order to establish the trade of slaves as the most profitable source of income for them. Western Georgian lands were less profitable. They scarcely grew wheat which was the main product in Medieval times. Apparently wheat and other commodities were imported from East Georgia to West Georgia, while local products were almost never imported to East Georgia.

According to the historical sources, as a result of economic isolation of West Georgia the prices on local commodities were 6, 7 or even 10 times cheaper when the prices in Ottoman Empire from 16th century to the midst of 18th century. The same products were 3 times cheaper to the prices of Eastern Georgian products. This was a result of economic isolation of West Georgia by the Ottomans. Some products had never been exported from West Georgia and some others are purchased for very low prices, while price for the slaves were much higher.

In contrast to exported goods imported Ottoman products in West Georgia such as salt, clothes, military weapons and agrarian tools were very expensive. This economic reality facilitated the slave trade. This situation changed in the midst of the 18th century when Kartli and Kakheti were liberated from Iranian domination. Independent Kingdom of Kartli-Kakheti emerged as the neighboring country of West Georgia. Economic division of western and eastern parts of Georgia was completed. Preferential custom prices were established on the goods exported from West Georgia to East Georgia. The large amount of goods was imported in Tbilisi or in the other cities of East Georgia from the western part of Georgia. Salt and other products were imported from Tbilisi in regular prices in West Georgia.

As a result of these circumstances, the prices on commodity were increased drastically in West Georgia in second half of the 18th century. During this period prices in Kartli-Kakheti and West Georgia were equal to each other.

Therefore, West Georgia escaped the economic isolation. King of Imereti Solomon I (1752-1784) successfully used this situation for his benefit and started fierce struggle against the slave trade.

The prices on armaments are separately researched. The price for full military ammunition was 40 or more oxen in the Feudal Period but later their prices were declined. Firearms were spread in the Late Feudal Period. In the 17th century the production of firearms started in Georgia, but among the population it had been spread much earlier as imported product or was obtained through the looting in the warfare. According to the historical sources, the small part of the Georgian army had guns and pistols already in the end of the 16th century. The portion of the guns increased in the 17th century. In accordance with the census, *davtar* of Saamilakhvro district, in the end of 17th century 40% of the whole population was equipped with firearms. But in the 18th century more than 80% of the population was armed with firelock guns, which is confirmed by the census *davtars* and by the foreign and the Georgian sources as well.

The massive distribution of the guns and the pistols was caused by the development of the local industry. The places for the manufacture of the guns were as following: Tbilisi, Samegrelo region, Svaneti region, Machakhela gorge etc. Probably by the end of the 17th century firelock guns were produced in Georgia. The artisans of Tbilisi played the most important role in spread of firearms in Georgia.

The firelock gun consists of three main details, these are: gun barrel, lock and stock. The *mezarnishes* (jeweler, who adorns things with precious metal) were adorning expensive firearms with gold, silver and other precious material. The barrels were imported, which was mainly brought from the Crimea. According to the historical sources, the artisans of a lock, stock and generally, of the firearm are attested in Tbilisi and also in the provinces.

According to the 18th century data, the price for the expensive guns was 8-10 *tumans*, which was equal to approx. 4-6 tons of wheat, or equivalent to 20-25 cows' price. But the gun that was used by the lower class members could have been obtained for the price of one cow, which is equal to 200-300 kilograms of wheat.

Our work deals with the price of books and ecclesiastic items. Observation on the prices reveals that from the 11th century onwards prices declines down to the 18th century which indicates the development of artwork in Georgia.

The work also deals with the dynamic of prices of peasants and peasant households from the 11th to 18th centuries. According to historical records price for peasant household from the 11th century to 18th century was increased to 2,5-3,0-fold. At the same time we have observed increase of prices on crimes with the same rate which indicates rise of the production on per capita. But the poor political situation and decrease of population made no visible progress from this rise of the production.

The 18th century East Georgian peasant households are researched in length. Specific issues of the economic history of East Georgia is discussed, namely, peasant family farming and its condition. The historical sources are numerous for the study of history of the late feudal epoch of Georgia. From many different types of documents precise information concerning average size of peasant

farming could be absorbed. Also, precise accounts concerning the prices of the main commodity products are found in historical sources, based on these it is possible to calculate yearly revenue of peasants from harvest in monetary units.

The social condition of peasants was not equal – peasant without land tenure were called "bogano", there were peasants with small amount of land tenure, also with average amount of land tenure and more wealthier peasants. Despite the differentiation it is quite possible to calculate the average size of land tenure they used and the net worth of their gross product. According to fiscal census of 1804 and other historical data it is attested that peasants with average revenue, which were the majority, held approx. 12-15 daily land tenure (one daily land tenure was equal to 0.5 ha.). From this amount of land tenure it was possible to cultivate max. 6-7.5 daily land tenure every year. Due to the limited technical conditions and for obtaining the maximum amount of harvest the land breaking was very important. Small piece of land was used for the vegetables, fruits and other cultures while 5-6 daily lands were used to seed wheat and barley. Each family could harvest 100-120 *codi* (one *codi* is equal to 30-36 kg.) of crops. Market price for those commodities was 58-70 *minaltuni*. Peasant families with average revenue had their own vineyards and, also, cow, ships, chickens rarely oxen, horses etc. Average value of yearly produced product was more than 100 *minaltuni* (500 *abbasi*). The major part of generated product was intended for taxes and personal use and small amount was sold in market. Revenue obtained from trading was used to cover the taxes again.

Feudal household are also studied. The great lords (*tavadi*) in Late Feudal Epoch had around 1000-2000 peasant households and many villages. The total price of their property was quite high, while the prices on household of those feudal lords with fewer amounts of lands and peasants were relatively low. Alongside with the prices on real estate amounts of salary from state offices are researched.

The work includes discussion concerning the prices that are related with city life. Based on the historical records of the Late Feudal Epoch prices on armourer, inn, bath, store, garden, caravanserai and other estates are listed.

The prices on the construction of the grand buildings are calculated. According to our analysis of ktetorial inscription of Oshki Temple, expenses on its construction was almost 1 million silver *drama,* which is equal to 20000 *tumans* of second half of 18th century. Sahmadin, the local feudal from Ani, paid 40000 *drahkan* (approx. 500 000 silver *drama*) for the construction of his extraordinary palace in the second half of 13th century. It is noteworthy to mention that the great constructions were held in the Late Feudal Georgia as well. Queen Darejan paid 5000 *tumans* for the construction of Kolagiri fortress in the second half of the 18th century.

One more part of this book is about state revenue of Georgia. According to the accounts of Ḥamdallāh Qazvīnī, at the turn of the 12th and the 13th centuries state revenue of Georgia was equal to 500 Mongolian *tumans* which, according to our calculation, is equal to 21 500 000 million *drama* (*drama*= approx. 3 gr.). We also have accounts concerning state revenues of the Georgian states in the later periods.

The last part of our work presents dynamics of inflation from feudal period to the present. Based on prices of different commodities, it is argued that compare to money of feudal period, present Georgian currency – Lari has 250-300-fold lower purchasing power than feudal currency.

Apolon Tabuashvili

PRICES IN FEUDAL GEORGIA (THE 10TH-18TH CENTURIES)

საგამომცემლო ჯგუფი

ლანა გრძელიშვილი
ვლადიმერ პერანიძე

შპს „გამომცემლობა კოლორი“

მის.: ე. ბაღდავაძის ქ. №20